სსიპ საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კრებული

შედგენილია
საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის
2025 წლის პროგრამით განსაზღვრულ მასალებზე დაყრდნობით

2025

წინამდებარე კრებულში შესულია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო აქტები, რომლის წევრიცაა საქართველო 2025 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით.

მასალების წყაროდ გამოყენებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მცირე ტექნიკური ხასიათის შესწორებებით.

© საქპატენტი, 2025

საძიებელი

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია 4

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების
დაცვის ბერნის კონვენცია 34

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო
ორგანიზაციის სადამფუძნებლო კონვენცია 67

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების
ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) 82

ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ 118

ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ 125

რომის კონვენცია საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების,
ფონოგრამების დამამზადებლის და მაუწყებლობის ორგანიზაციების
უფლებათა დაცვის შესახებ 135

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ
მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმი 146

ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი
საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ 160

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის
ჰააგის შეთანხმების შენევის აქტი 170

ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების
საერთაშორისო დეპონირების შესახებ 190

ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და
მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ 200

ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (PCT) 210

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო
ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის 249

ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის
მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ 257

მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია 269

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია

20 მარტი 1883 წ.
გადასინჯულია 1900 წლის 14 დეკემბერს ბრიუსელში,
1911 წლის 2 ივნისს ვაშინგტონში, 1925 წლის 6 ნოემბერს ჰააგაში,
1934 წლის 2 ივნისს ლონდონში, 1958 წლის 31 ოქტომბერს ლისაბონში და 1967 წელის 14 ივლისს სტოკჰოლმში,
და შეტანილია ცვლილებები 1979 წლის 28 სექტემბერს

შინაარსი *

მუხლი 1: კავშირის დაარსება; სამრეწველო საკუთრების ფარგლები

მუხლი 2: ეროვნული რეჟიმი კავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის

მუხლი 3: კავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის დადგენილი რეჟიმის გავრცელება ზოგიერთი კატეგორიის პირებზე

მუხლი 4: A–I. პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, ნიშნები, საავტორო მოწმობები: პრიორიტეტის უფლება. – G. პატენტები: განაცხადის გაყოფა

მუხლი 4bis: პატენტები: ერთი და იგივე გამოგონებაზე სხვადასახვა ქვეყანაში მიღებული პატენტების დამოუკიდებლობა

მუხლი 4ter: პატენტები: გამომგონებლის დასახელება პატენტში

მუხლი 4^{quarter}: პატენტები: პატენტუნარიანობა ვაჭრობაში კანონით დადგენილი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში

მუხლი 5: A. პატენტები: ნაწარმის იმპორტი; გამოუყენებლობა ან არასაკმარისი გამოყენება; იძულებითი ლიცენზიები. – B. სამრეწველო დიზაინები: გამოუყენებლობა; ნაწარმის იმპორტი. – C. ნიშნები: გამოუყენებლობა; სხვადასხვა ფორმები; გამოყენება თანამფლობელების მიერ. – D. პატენტები, სასარგებლო მოდელები, ნიშნები, სამრეწველო დიზაინები: სპეციალური მინიშნება

მუხლი 5bis: სამრეწველო საკუთრების უფლებების ყველა სახეობა: უფლებების შესანარჩუნებლად საფასურის გადახდის საშეღავათო დროის პერიოდი; პატენტები: აღდგენა

მუხლი 5ter: პატენტები: დაპატენტებული მოწყობილობები, რომლებიც შეადგენენ საზღვაო, ხომალდების, თვითმფრინავების ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების ნაწილს

მუხლი 5^{quarter}: პატენტები: პროდუქტის იმპორტი ქვეყანაში, სადაც დაპატენტებულია ამ პროდუქტის წარმოების ხერხი

მუხლი 5^{quinquies}: სამრეწველო დიზაინები

* შინაარსი დამატებულია ტექსტით სარგებლობის გაიოლების მიზნით. ხელმოწერილ ტექსტში იგი არ არის.

მუხლი 6: ნიშნები: რეგისტრაციის პირობები; სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე ნიშნის დაცვის დამოუკიდებლობა

მუხლი 6bis: ნიშნები: საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები

მუხლი 6ter: ნიშნები: სახელწიფო გერბებთან, კონტროლის ოფიციალურ დამღებთან და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ემბლემებთან დაკავშირებული აკრძალვები

მუხლი 6quarter: ნიშნები: ნიშნების გადაცემა

მუხლი 6quinquies: ნიშნები: კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნების დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში

მუხლი 6sexies: ნიშნები: მომსახურების ნიშნები

მუხლი 6septies: ნიშნები: მფლობელის ნებართვის გარეშე მისი რწმუნებულის ან წარმომადგენლის სახელზე რეგისტრაცია

მუხლი 7: ნიშნები: საქონლის სახეობა, რომელზეც გამოიყენება ნიშანი

მუხლი 7bis: ნიშნები: კოლექტიური ნიშნები

მუხლი 8: საფირმო სახელწოდებები

მუხლი 9: ნიშნები, საფირმო სახელწოდებები: საქონლის დაყადაღება, როდესაც მასზე უკანონოდ არის დატანილი ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, მისი იმოპორტის და ა.შ. დროს მუხლი 10: ყალბი აღნიშვნები: წარმოშობის ან მწარმოებლის ყალბი აღნიშვნის მქონე საქონლის დაყადაღება მისი იმპორტის და ა.შ. დროს

მუხლი 10bis: არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

მუხლი 10ter: ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, ყალბი აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია: სამართლებრივი დაცვის საშუალებები, სასამართლო დევნის უფლება

მუხლი 11: გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, ნიშნები: დროებითი დაცვა განსაზღვრული სახის საერთაშორისო გამოფენებზე

მუხლი 12: სამრეწველო საკუთრების სპეციალური ეროვნული სამსახურები

მუხლი 13: კავშირის ასამბლეა

მუხლი 14: აღმასრულებელი კომიტეტი

მუხლი 15: საერთაშორისო ბიურო

მუხლი 16: ფინანსები

მუხლი 17: მე-13-დან მე-17-მდე მუხლების შესწორებები

მუხლი 18: 1-დან მე-12-მდე და მე-18-დან 30-მდე მუხლების გადასინჯვა

მუხლი 19: სპეციალური შეთანხმებები

მუხლი 20: კავშირის ქვეყნების მიერ რატიფიკაცია ან მიერთება; ძალაში შესვლა

მუხლი 21: კავშირის არაწევრი ქვეყნების მიერთება; ძალაში შესვლა

მუხლი 22: რატიფიკაციის ან მიერთების შედეგები მუხლი 23: ადრინდელ აქტებთან მიერთება

მუხლი 24: ტერიტორიები

მუხლი 25: კონვენციის განხორციელება ეროვნულ დონეზე

მუხლი 26: დენონსაცია

მუხლი 27: ადრინდელი აქტების გამოყენება

მუხლი 28: დავები

მუხლი 29: ხელმოწერა, ენები, დეპოზიტარის ფუნქციები

მუხლი 30: გარდამავალი დებულებები

მუხლი 1

[კავშირის დაარსება; სამრეწველო საკუთრების ფარგლები][1]

(1) ქვეყნები, რომლებსაც ეხება ეს კონვენცია, ქმნიან სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირს.

(2) სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.

(3) სამრეწველო საკუთრება ფართო მნიშვნელობით არის გაგებული და ეხება არა მხოლოდ უშუალოდ მრეწველობასა და კომერციას, არამედ სოფლის მეურნეობას, მოპოვებით მრეწველობას და ყველა სამრეწველო და ბუნებრივ პროდუქტს, მაგალითად, ღვინოს, მარცვლეულს, თამბაქოს ფოთოლს, ხილს, მსხვილფეხა რქოსან საქონელს, სასარგებლო წიაღისეულს, მინერალურ წყალს, ლუდს, ყვავილებსა და ფქვილს.

(4) პატენტები მოიცავს კავშირის ქვეყნების კანონებით აღიარებულ სხვადასხვა სახის სამრეწველო პატენტებს, როგორებიცაა შემოტანილი პატენტი, პატენტი გაუმჯობესებაზე, დამატებითი პატენტი და მოწმობა (ვარიანტი – პატენტი და მოწმობა დამატებით გამოგონებაზე) და სხვ.

მუხლი 2

[ეროვნული რეჟიმი კავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის]

(1) სამრეწველო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე კავშირის ყველა სხვა ქვეყანაში სარგებლობს უპირატესობებით, რომლებსაც ანიჭებს ან შემდგომში მიანიჭებს ადგილობრივ მოქალაქეებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა; მაგრამ ისე, რომ ზიანი არ მიადგეს უფლებებს, რომლებიცსპეციალურადაა გათვალისწინებული ამ კონვენციით. აქედან გამომდინარე, კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს მისი უფლებების დარღვევისას იგივე დაცვა და იგივე სამართლებრივი საშუალებები გააჩნია, როგორიც ადგილობრივ მოქალაქეს, იმ პირობით, რომ მოქალაქეებისათვის დაწესებული პირობები და ფორმალობები დაკმაყოფილებულია.
(2) ამასთან, სამრეწველო საკუთრების ნებისმიერი უფლებით სარგებლობისათვის იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, კავშირის ქვეყნის მოქალაქეებს არ შეიძლება დაუწესდეთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან დაწესებულების არსებობის საჭიროება.

(3) კავშირის თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურასთან და იურისდიქციასთან, მომსახურების მისამართის მითითებასთან ან რწმუნებულის დანიშვნასთან, რაც შეიძლება სამრეწველო საკუთრების კანონმდებლობით მოითხოვებოდეს, საგანგებოდ რჩება ძალაში.

მუხლი 3

[კავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის დადგენილი რეჟიმის გავრცელება ზოგიერთი კატეგორიის პირებზე]

კავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ ან რომლებსაც გააჩნიათ ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო კავშირის ერთ–ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, განიხილებიან, როგორც კავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეები.

[1] მუხლები დასათაურებულია მათი იდენტიფიკაციის გაადვილების მიზნით. ხელმოწერილ (ფრანგულ) ტექსტში სათაურები არ არის.

მუხლი 4

[A-I. პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, ნიშნები, საავტორო მოწმობები: პრიორიტეტის უფლება. - G. პატენტები: განაცხადის გაყოფა]

A – (1) ნებისმიერი პირი ან მისი უფლებამონაცვლე, რომელმაც დადგენილი მოთხოვნების დაცვით კავშირის ერთ–ერთ ქვეყანაში შეიტანა განაცხადი პატენტზე ან სასარგებლო მოდელის, სამრეწველო დიზაინის, ან სასაქონლო ნიშანის რეგისტრაციაზე, სხვა ქვეყნებში შეტანის მიზნით სარგებლობს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით ქვემოთ დადგენილ ვადებში.

(2) განაცხადის ნებისმიერი შეტანა, რომელიც სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადის შეტანის ეკვივალენტურია კავშირის რომელიმე ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ან კავშირის ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად, აღიარებულია როგორც პრიორიტეტის უფლების წარმოშობის საფუძველი.

(3) სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადი ნიშნავს ნებისმიერი ისეთი განაცხადის შეტანას, რომელიც საკმარისია შესაბამის ქვეყანაში განაცხადის შეტანის თარიღის დასადგენად რა ბედიც არ უნდა ეწიოს განაცხადს შემდგომში.

B – აქედან გამომდინარე, კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში განაცხადის ზემოაღნიშნული ვადების ამოწურვამდე ნებისმიერ შემდგომ შეტანას არ ეკარგება ძალა ამ ვადებით განსაზღვრულ დროის გამოგონების გამოქვეყნების ან გამოყენების, სამრეწველო დიზაინების ეგზემპლარების გაყიდვის, ან ნიშნის გამოყენების საფუძველზე, და ასეთი ქმედებები არ წარმოქმნის მესამე პირის რაიმე უფლებას ან პირადი მფლობელობის უფლებას. მესამე პირების მიერ მოპოვებული უფლებები იმ პირველი განაცხადის შეტანის თარიღამდე, რომელიც პრიორიტეტის უფლების საფუძველს წარმოადგენს, ძალაში რჩება კავშირის თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

C – (1) პრიორიტეტის ზემოაღნიშნული ვადები შეადგენს პატენტებისა და სასარგებლო მოდელებისათვის თორმეტ თვეს, ხოლო სამრეწველო დიზაინებისა და სასაქონლო ნიშნებისათვის – ექვს თვეს.

(2) ამ ვადების ათვლა იწყება პირველი განაცხადის შეტანის თარიღიდან; შეტანის დღე ვადაში არ შედის.

(3) თუ იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, ვადის ბოლო დღე არის ოფიციალური დასვენების დღე, ან დღე, როდესაც უწყება არ არის ღია განაცხადების მისაღებად, ვადა გრძელდება პირველ მომდევნო სამუშაო დღემდე.

(4) მომდევნო განაცხადი, რომელიც შეტანილია კავშირის იგივე ქვეყანაში და ეხება იგივე ობიექტს, რასაც წინა პირველი განაცხადი, რომელიც ასეთად მიიჩნევა, ზემოთ მოყვანილი მე–(2) პუნქტის მნიშვნელობით, განიხილება როგორც პირველი განაცხადი, რომლის შეტანის თარიღი წინა განაცხადის პრიორიტეტის ვადის ათვლის წერტილია, თუ მომდევნო განაცხადის შეტანისას, აღნიშნული წინა განაცხადი გატანილ იქნა, მასზე შეწყდა საქმის წარმოება ან მას ეთქვა უარი ისე, რომ არ მომხდარა მისი გამოფენა საჯარო განხილვისათვის და არ დარჩენილა სადაო უფლებები და თუ ამ მომენტამდე იგი არ იქნა გამოყენებული პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძვლად. აღნიშნულის შემდეგ წინა განაცხადი ვეღარ გახდება პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველი.

D – (1) ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს ისარგებლოს წინა განაცხადის შეტანის პრიორიტეტის უპირატესობით, მოეთხოვება გააკეთოს შესაბამისი განცხადება ასეთი განაცხადის შეტანის თარიღისა და იმ ქვეყნის მითითებით, სადაც ეს შეტანა განხორციელდა. თითოეული ქვეყანა განსაზღვრავს ასეთი განცხადების წარდგენის საბოლოო თარიღს.

(2) ასეთი დეტალური მონაცემები ქვეყნდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ პუბლიკაციებში, კერძოდ, პატენტებსა და მათთან დაკავშირებულ აღწერილობებში.

(3) კავშირის ქვეყნებს შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ითხოვს წინა განაცხადის პრიორიტეტს, მოსთხოვოს წარადგინოს წინა შეტანილი განაცხადის (აღწერილობა, ნახაზები, ა.შ.) ასლი. ასეთი განაცხადის მიმღები უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნამდვილობის თვალსაზრისით დამოწმებული ასლი არ საჭიროებს მისი ავთენტიკურობის რაიმე სხვა დამოწმებას და შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში საფასურის გადახდის გარეშე შეტანილ იქნეს მომდევნო განაცხადის შეტანიდან სამი თვის ვადაში. მათ შეუძლიათ, აგრეთვე მოითხოვონ, რომ დამოწმებულ ასლს თან ახლდეს იგივე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საბუთი, რომელშიც მითითებულია განაცხადის შეტანის თარიღი, და დამოწმებული ასლის თარგმანი.

(4) განაცხადის შეტანის დროს პრიორიტეტის მოთხოვნის შესახებ განცხადების წარსადგენად არ შეიძლება არანაირი სხვა ფორმალობის დაწესება. კავშირის თითოეული ქვეყანა განსაზღვრავს ამ მუხლით დადგენილი ფორმალობების შეუსრულებლობის შედეგებს, მაგრამ ასეთი შედეგები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს პრიორიტეტის უფლების დაკარგვას.

(5) მოგვიანებით შეიძლება მოთხოვნილ იქნეს დამატებითი მტკიცებულება. ნებისმიერ პირს, რომელიც სარგებლობს წინა განაცხადის პრიორიტეტით, მოეთხოვება მიუთითოს ასეთი განაცხადის ნომერი; ეს ნომერი ქვეყნდება მე–(2) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

E – (1) თუ ქვეყანაში სამრეწველო დიზაინზე განაცხადი შეტანილია სასარგებლო მოდელზე განაცხადის პრიორიტეტის მოთხოვნით, პრიორიტეტის მოთხოვნის ვადა იგივეა რაც სამრეწველო დიზაინებისათვის არის დადგენილი.

(2) გარდა ამისა, დასაშვებია ქვეყანაში სასარგებლო მოდელზე განაცხადის შეტანა გამოგონებაზე შეტანილი განაცხადის პრიორიტეტის მოთხოვნით და პირიქით.

F – კავშირის არცერთ ქვეყანას არ შეუძლია უარი თქვას პრიორიტეტზე ან საპატენტო განაცხადზე იმ საფუძველზე, რომ განმცხადებელი მოითხოვს რამდენიმე, თუნდაც სხვადასხვა ქვეყანაში დადგენილ პრიორიტეტს, ან იმ საფუძველზე, რომ განაცხადი, რომლისთვისაც ერთი ან რამდენიმე პრიორიტეტი, შეიცავს ერთ ან რამდენიმე ისეთ ელემენტს, რომელიც არ იყო შეტანილი განაცხადში ან განაცხადებში, რომელთა მიხედვითაც მოითხოვება პრიორიტეტი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ორივე შემთხვევაში ქვეყნის კანონის შესაბამისად სახეზეა გამოგონების ერთიანობა. რაც შეეხება ელემენტებს, რომლებიც არ იყო შეტანილი განაცხადში ან განაცხადებში, რომელთა მიხედვითაც მოითხოვება, პრიორიტეტი მომდევნო განაცხადის შეტანა მათთვის პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოქმნის.

G – (1) თუ ექსპერტიზა გამოავლენს, რომ საპატენტო განაცხადი შეიცავს ერთზე მეტ გამოგონებას, განმცხადებელს შეუძლია დაყოს განაცხადი გამოცალკევებული განაცხადების განსაზღვრულ რაოდენობად და თითოეულისათვის შეტანის თარიღად შეინარჩუნოს საწყისი განაცხადის შეტანის თარიღი ან ისარგებლოს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(2) განმცხადებელს საკუთარი ინიციატივით შეუძლია აგრეთვე, დაყოს საპატენტო განაცხადი და თითოეული გამოცალკევებული განაცხადისათვის შეინარჩუნოს საწყისი განაცხადის შეტანის თარიღი ან ისარგებლოს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით ასეთის არსებობის შემთხვევაში. კავშირის თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება განსაზღვროს პირობები, რომელთა შესაბამისადაც ასეთი დაყოფა იქნება ნებადართული.

H – პრიორიტეტზე უარის თქმა არ შეიძლება იმ საფუძველზე, რომ გამოგონების გარკვეული ელემენტები, რომლისთვისაც მოთხოვნილია პრიორიტეტი, არ არის ასახული წარმოშობის ქვეყანაში შეტანილი განაცხადის გამოგონების ფორმულაში, თუკი მთლიანობაში საგანაცხადო დოკუმენტებში ეს ელემენტები ნათლად არის გახსნილი.

I – (1) ქვეყანაში, სადაც განმცხადებლებს აქვთ უფლება საკუთარი არჩევანის შესაბამისად მოითხოვონ პატენტი ან საავტორო მოწმობა, საავტორო მოწმობაზე შეტანილი განაცხადი ამ მუხლით გათვალისწინებული პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას წარმოშობს იგივე პირობების საფუძველზე და იგივე შედეგებით, როგორსაც – საპატენტო განაცხადი.

(2) ქვეყანაში, სადაც განმცხადებლებს აქვთ უფლება საკუთარი არჩევანის შესაბამისად მოითხოვონ პატენტი ან საავტორო მოწმობა, ამ მუხლის საპატენტო განაცხადებთან დაკავშირებული დებულებების შესაბამისად საავტორო მოწმობაზე შეტანილი განაცხადის განმცხადებელი სარგებლობს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით, რომელიც ეფუძნება პატენტზე, სასარგებლო მოდელზე ან საავტორო მოწმობაზე განაცხადის პრიორიტეტის მოთხოვნას.

მუხლი 4[bis]

[პატენტები: ერთიდაიგივე გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული პატენტების დამოუკიდებლობა]

(1) პატენტები, რომელთა მისაღებად განაცხადები კავშირის ქვეყნების მოქალაქეების მიერ შეტანილია კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში, დამოუკიდებელია იგივე გამოგონებაზე კავშირის სხვა წევრ ან არაწევრ ქვეყანაში მიღებული პატენტებისაგან.

(2) ზემოხსენებული დებულება გაგებული უნდა იქნეს შეზღუდვის გარეშე, კერძოდ, პატენტები, რომელთა მისაღებად განაცხადები შეტანილია პრიორიტეტის მოთხოვნის ვადაში, დამოუკიდებელი უნდა იყოს ერთმანეთისაგან როგორც მათი ბათილად ცნობისა და მათზე უფლებების დაკარგვის, ისე მათი მოქმედების ხანგრძლივობის თვალსაზრისითაც.

(3) ეს დებულება ეხება ყველა იმ პატენტს, რომელიც იარსებებს აღნიშნული პატენტის ძალაში შესვლის მომენტისათვის.

(4) ამ კონვენციასთან ახალი ქვეყნების მიერთების შემთხვევაში აღნიშნული დებულება, ანალოგიურად, შეეხება ნებისმიერი მხარის პატენტებს, რომლებიც იარსებებენ მიერთებისას.

(5) კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში პრიორიტეტით სარგებლობის უფლების გამოყენებით

მიღებულ პატენტებს აქვთ მოქმედების იგივე ვადა, როგორიც ექნებოდა პატენტს მასზე განაცხადი რომ შეეტანათ ან იგი გაეცათ პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მოთხოვნის გარეშე.

მუხლი 4ter

[პატენტები: გამომგონებლის დასახელება პატენტში]

გამომგონების ავტორს უფლება აქვს მოხსენებულ იქნეს ასეთად პატენტში.

მუხლი 4^{quater}

[პატენტები: პატენტუნარიანობა ვაჭრობაში კანონით დადგენილი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში]

არ შეიძლება პატენტის გაცემაზე უარის თქმა და პატენტის ძალადაკარგულად ცნობა იმ საფუძველზე, რომ დაპატენტებული ან დაპატენტებული ხერხით მიღებული პროდუქტის გაყიდვა შიდა კანონმდებლობით აკრძალვებს ან შეზღუდვებს ექვემდებარება.

მუხლი 5

[A. პატენტები: ნაწარმის იმპორტი, გამოუყენებლობა ან არასაკმარისი გამოყენება; იძულებითი ლიცენზიები. – B. სამრეწველო დიზაინები: გამოუყენებლობა, ნაწარმის იმპორტი. – C. ნიშნები: გამოუყენებლობა; სხვადასხვა ფორმები; გამოყენება თანამფლობელების მიერ. – D. პატენტები, სასარგებლო მოდელები, ნიშნები, სამრეწველო დიზაინები: სპეციალური მინიშნება]

A – (1) პატენტმფლობელის მიერ კავშირის რომრლიმე ქვეყანაში დამზადებული ნაწარმის იმპორტი ქვეყანაში, სადაც გაცემულია პატენტი, არ იწვევს პატენტზე უფლების დაკარგვას.

(2) კავშირის თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს მიიღოს საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიების გაცემას პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით ბოროტად სარგებლობის აღსაკვეთად, მაგალითად, პატენტის გამოუყენებლობის შემთხვევაში.

(3) დაუშვებელია პატენტზე უფლებების დაკარგვის გათვალისწინება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იძულებითი ლიცენზიის გაცემა არ არის საკმარისი ხსენებული განსაკუთრებული უფლებით ბოროტად სარგებლობის აღსაკვეთად. არ შეიძლება პატენტზე უფლებების დაკარგვასთან ან მის გაუქმებასთან დაკავშირებით არანაირი პროცედურების დაწყება პირველი იძულებითი ლიცენზიის გაცემიდან ორი წლის ამოწურვამდე.

(4) არ შეიძლება პატენტის გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების საფუძველზე მოთხოვნილ იქნეს იძულებითი ლიცენზიის გაცემა პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან ოთხწლიანი, ან პატენტის გაცემის თარიღიდან სამწლიანი ვადის ამოწურვამდე იმის მიხედვით, რომელი ვადაც უფრო გვიან ამოიწურება; იძულებითი ლიცენზია არ გაიცემა, თუ პატენტმფლობელი მის უმოქმედობას დასაბუთებული მიზეზებით გაამართლებს. ასეთი იძულებითი ლიცენზია არაგანსაკუთრებულია და მისი გადაცემა დაუშვებელია სუბლიცენზიის სახით მისი გაცემის შემთვხევაშიც კი, გარდა შემთხვევისა, როდესაც მასთან ერთად გადაეცემა იმ საწარმოს ნაწილი ან გუდვილი, რომელიც იყენებს ასეთ ლიცენზიას.

(5) ზემოაღნიშნული დებულებები გამოიყენება mutatis mutandis სასარგებლო მოდელებისთვის.

B – სამრეწველო დიზაინების დაცვა არ შეიძლება რაიმე გარემოებათა გამო დაექვემდებაროს შეწყვეტას მისი გამოუყენებლობის ან იმ ნაწარმის იმპორტის საფუძველზე, რომელიც დაცულ ნიმუშს შეესაბამება.

C – (1) თუ რეგისტრირებული ნიშნის გამოყენება რომელიმე ქვეყანაში სავალდებულოა, რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ გონივრული ვადის ამოწურვის შემდეგ და მხოლოდ მაშინ, თუ დაინტერესებული პირი ვერ გაამართლებს თავის უმოქმედობას.

(2) მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის ისეთ განსხვავებულ ელემენტებიანი სახით გამოყენება, რომელიც არ ცვლის ნიშნის იმ სახის განმასხვავებლობას, რა სახითაც იგი რეგისტრირებული იყო კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, არ იწვევს რეგისტრაციის ძალის დაკარგვას და არ ამცირებს ნიშნისათვის მინიჭებულ დაცვას.

(3) ერთიდაიგივე ნიშნის ერთდროული გამოყენება იდენტურ ან მსგავს საქონელზე სამრეწველო ან კომერციული ორგანიზაციების მიერ, რომლებიც იმ ქვეყნის შიდა კანონის დებულებების თანახმად, სადაც მოთხოვნილია დაცვა, ნიშნის თანამფლობელებად ითვლებიან, ხელს არ უშლის ნიშნის რეგისტრაციას და არანაირად არ ამცირებს აღნიშნული ნიშნისათვის მინიჭებულ დაცვას კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, თუ ასეთ გამოყენებას არ შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება და არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

D – დაცვის უფლების აღიარებისათვის საჭირო პირობის სახით საქონელზე არანაირი აღნიშვნის ან მითითების გაკეთება პატენტის, სასარგებლო მოდელის, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან სამრეწველო დიზაინის დეპონირების შესახებ არ მოითხოვება.

მუხლი 5[bis]

[სამრეწველო საკუთრების უფლებების ყველა სახეობა: უფლებების შესანარჩუნებლად საფასურის გადახდის საშეღავათო დროის პერიოდი; პატენტები: აღდგენა]

(1) სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასურის გადასახდელად დაშვებულია არანაკლებ ექვსი თვის საშეღავათო დროის პერიოდი, რაც შეიძლება, თუ ამას ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს, დაექვემდებაროს საურავის გადახდას.

(2) კავშირის ქვეყნებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ გამოგონებაზე პატენტის აღდგენა, რომელსაც ძალა დაეკარგა საფასურის გადაუხდელობის გამო.

მუხლი 5[ter]

[პატენტები: დაპატენტებული მოწყობილობები, რომლებიც შეადგენენ საზღვაო, ხომალდების, თვითმფრინავების ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების ნაწილს]

კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში პატენტმფლობელის უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა:

(1) კაშირის სხვა ქვეყნების ხომალდების ბორტებზე კერძოდ, ხომალდის კორპუსზე, მანქანა-

მექანიზმებში, აღჭურვილობაში, საკუთნოებსა და სხვა დამხმარე ხელსაწყო-მექანიზმებში, იმ მოწყობილობათა გამოყენება, რომლებიც შეადგენენ მისი პატენტის საგანს, როდესაც ასეთი ხომალდები შემთხვევით ან დროებით შედის აღნიშნული ქვეყნის წყლებში, იმ პირობით, რომ ასეთი მოწყობილობები გამოიყენება მხოლოდ ხომალდის საჭიროებებისათვის;

(2) იმ მოწყობიობათა გამოყენება, რომლებიც შეადგენენ პატენტის საგანს, კავშირის სხვა ქვეყნების თვითმფრინავების ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციებში ან მათი ექსპლუატაციისას ან ამ სატრანსპორტო საშუალებების დამხმარე ხელსაწყო-მექანიზმებში, როდესაც აღნიშნული თვითმფრინავი ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალება დროებით ან შემთხვევით შედის აღნიშნული ქვეყნის ტერიტორიაზე.

მუხლი 5^{quater}
[პატენტები: პროდუქტის იმპორტი ქვეყანაში, სადაც დაპატენტებულია ამ პროდუქტის წარმოების ხერხი]

თუ პროდუქტის იმპორტი ხორციელდება კავშირის ქვეყანაში, სადაც არსებობს აღნიშნული პროდუქტის წარმოების ხერხის დამცავი პატენტი, პატენტმფლობელს შემოტანილი პროდუქტის მიმართ გააჩნია ყველა უფლება, რომელიც მიენიჭა მას აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობით ამავე ქვეყანაში წარმოებული იგივე პროდუქტების მიმართ წარმოების ხერხზე გაცემული პატენტის საფუძველზე.

მუხლი 5^{quinquies}
[სამრეწველო დიზაინები]

სამრეწველო დიზაინები დაცულია კავშირის ყველა ქვეყანაში.

მუხლი 6
[ნიშნები: რეგისტრაციის პირობები; სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე ნიშნის დაცვის დამოუკიდებლობა]

(1) სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანისა და რეგისტრაციის პირობებს კავშირის თითოეულ ქვეყანაში განსაზღვრავს მისი შიდა კანონმდებლობა.

(2) ამასთან, კავშირის ქვეყნის მოქალაქის მიერ კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციის მიზნით შეტანილ განაცხადს არ შეიძლება ეთქვას უარი ან მისი რეგისტრაცია ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული იმისსაფუძველზე, რომ მისი შეტანა, რეგისტრაცია ან რეგსიტრაციის ვადის გაგრძელება არ განხორციელებულა წარმოშობის ქვეყანაში.

(3) ნიშანი, რომელიც მართლზომიერად არის რეგისტრირებული კავშირის ქვეყანაში, განიხილება იმ ნიშნებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც რეგისტრირებულია კავშირის სხვა ქვეყნებში, წარმოშობის ქვეყნის ჩათვლით.

მუხლი 6bis
[ნიშნები: საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები]

(1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას ex officio, თუ ეს ნებადართულია მათი კანონმდებლობით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით უარი თქვან რეგისტრაციაზე ან გააუქმონ იგი და აკრძალონ სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელიც შეადგენს სხვა ნიშნის რეპროდუქციას, იმიტაციას ან თარგმანს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ნიშანთან აღრევა, თუ ეს ნიშანი უკვე მიჩნეულია ამ კონვენციის სარგებლობით უფლებამოსილი პირის

საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც მოახდინა რეგისტრაცია ან სადაც მოხდა გამოყენება, და როგორც საყოველთაოდ ცნობილი ნიშანი გამოიყენება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის. ეს დებულება მოქმედებს აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც ნიშნის არსებითი ნაწილი შეადგენს ნებისმიერი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის რეპროდუქციას ან იმიტაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასთან აღრევა.

(2) ასეთი ნიშნის გაუქმების მოთხოვნისათვის ნებადართულია არანაკლებ ხუთწლიანი პერიოდი რეგისტრაციის თარიღიდან. კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გამოყენების აკრძალვა უნდა იქნეს მოთხოვნილი.

(3) არანაირი დროითი შეზღუდვა არ წესდება ისეთი ნიშნების გაუქმებისა და გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნისათვის, რომლებიც რეგისტრირებულია ან გამოიყენება არაკეთილსინდისიერად.

მუხლი 6[ter]

[ნიშნები: სახელწიფო გერბებთან, კონტროლის ოფიციალურ დამღებთან და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ემბლემებთან დაკავშირებული აკრძალვები]

(1) (a) კავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ უარი თქვან ან ძალადაკარგულად ცნონ რეგისტრაცია და სათანადო საშუალებებით აკრძალონ კავშირის ქვეყნების გერბების, დროშების და სხვა სახელმწიფო ემბლემების, მათ მიერ მიღებული კონტროლისა და გარანტიის ოფიციალური ნიშნებისა და დამღების სასაქონლო ნიშნების სახით ან ასეთი ნიშნების ელემენტებად გამოყენება და მათი ნებისმიერი იმიტაცია ჰერალდიკის თვალსაზრისით უფლებამოსილი ორგანოების ნებართვის გარეშე.

(b) ზემოთ მოყვანილი (a) ქვეპუნქტის დებულებები მთლიანად გამოიყენება, აგრეთვე იმ საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების გერბების,დროშების და სხვა ემბლემების აბრევიატურების ან სრული სახელწოდებების მიმართ, რომელთა წევრია კავშირისერთი ან რამდენიმე ქვეყანა. გამონაკლისს წარმოადგენს გერბები, დროშები და სხვა ემბლემები, აბრევიატურები ან სრული სახელწოდებები, რომლებიც უკვე წარმოადგენენ მათი დაცვისათვის განკუთვნილი მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების საგანს.

(c) კავშირის არცერთ ქვეყანას არ მოეთხოვება გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი b) ქვეპუნქტის დებულებები, მოცემულ ქვეყანაში ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე კეთილსინდისიერად მოპოვებული უფლებების მფლობელთა საზიანოდ. კავშირის ქვეყნებს არ მოეთხოვებათ გამოიყენონ აღნიშნული დებულებები, თუ ზემოთ მოყვანილ (a) ქვეპუნქტში მითითებული გამოყენება ან რეგისტრაცია არ არის ისეთი ხასიათისა, რომ საზოგადოებაში გამოიწვიოს მოცემულ ორგანიზაციასა და გერბებს, დროშებს, ემბლემებს, აბრევიატურებსა და სრულ სახელწოდებებს შორის კავშირის არსებობის შთაბეჭდილება, ან თუ ასეთი გამოყენება ან რეგისტრაცია სავარაუდოდ არ არის ისეთი ხასიათისა, რომ საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში ნიშნის მოსარგებლესა და ორგანიზაციას შორის კავშირის არსებობის თაობაზე.

(2) კონტროლისა და გარანტიის აღმნიშვნელი ოფიციალური ნიშნებისა და დამღების გამოყენების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შემცველი ნიშნების გამოყენება გათვალისწინებულია იგივე ან მსგავსი სახეობის საქონელზე.

(3) (a) ამ დებულებების გამოსაყენებლად კავშირის ქვეყნები თანახმანი არიან საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით ერთმანეთს აცნობონ იმ სახელმწიფო ემბლემებისა და კონტროლისა და გარანტიის აღმნიშვნელი ოფიციალური ნიშნებისა და დაღმების სია, რომლებიც მათ

სურთ ან შემდგომ მოისურვებენ სრულად ან შეზღუდვებით დაუქვემდებარონ ამ მუხლით გათვალისწინებულ დაცვას და, აგრეთვე, აცნობონ ამ სიაში შეტანილი ყველა შემდგომი ცვლილება. კავშირის ყველა ქვეყანა მისთვის ამგვარად მიწოდებულ სიებს სათანადო წესით გახდის ხელმისაწვდომს საზოგადოებისათვის. ამასთან სახელმწიფო დროშებთან დაკავშირებით ასეთი შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.
(b) ამ მუხლის (1) პუნქტის (b) ქვეპუნქტის დებულებები გამოიყენება საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მხოლოდ ისეთი სახის გერბების, დროშებისა და სხვა ემბლემების, აბრევიატურებისა და სრული სახელწოდებებისათვის, რა სახითაც ამ ორგანიზაციებმა აცნობეს კავშირის ქვეყნებს საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით.

(4) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის ვადაში დაინტერესებულ ქვეყანას ან საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით გადასცეს თავისი შედავება, თუ ასეთი გააჩნია.

(5) სახელმწიფო დროშების შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი (1) პუნქტით დადგენილი ზომები გამოიყენება მხოლოდ 1925 წლის 6 ნოემბრის შემდეგ რეგისტრირებული ნიშნებისათვის.

(6) კავშირის ქვეყნების სახელმწიფო ემბლემების შემთხვევაში, გარდა დროშებისა, აგრეთვე, ოფიციალური ნიშნებისა და დამღების შემთხვევაში, ასევე, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების გერბების, დროშებისა და სხვა ემბლემების, აბრევიატურების ან სრული სახელწოდებების შემთხვევაში ეს დებულებები გამოიყენება მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მე-(3) პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან ორი თვის შემდეგ რეგისტრირებული ნიშნებისათვის.

(7) არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, ქვეყნებს უფლება აქვთ გააუქმონ 1925 წლის 6 ნოემბრამდე რეგისტრირებული ნიშნებიც კი, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო ემბლემებს, ოფიციალურ ნიშნებსა და დამღებს.

(8) ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც უფლება აქვთ გამოიყენონ თავისი ქვეყნის სახელმწიფო ემბლემები, ოფიციალური ნიშნები და დამღები, მათი გამოყენება შეუძლიათ მაშინაც კი, თუ ისინი სხვა ქვეყნის ანალოგიური ნიშნების მსგავსია.

(9) კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან აკრძალონ ვაჭრობაში კავშირის სხვა ქვეყნების სახელმწიფო გერბების უნებართვო გამოყენება, თუ გამოყენებას ისეთი ხასიათი აქვს, რომ შეუძლია შეცდომაში შეყვანა საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებით.

(10) ზემოთ მოყვანილი დებულებები ხელს არ უშლის კავშირის ქვეყნებს ისარგებლონ მე-6quinquies მუხლის B ნაწილის მე-(3) პუნქტში მოცემული უფლებით უარი თქვან ან ძალადაკარგულად ცნონ იმ ნიშნების რეგისტრაცია, რომლებშიც უნებართვოდ არის ჩართული გერბები, დროშები, სხვა სახელმწიფო ემბლემები ან კავშირის ქვეყანის მიერ მიღებული ოფიციალური ნიშნები და დამღები, აგრეთვე, ზემოთ მოყვანილ (1) პუნქტში აღნიშნული საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების განმასხვავებელი ნიშნები.

მუხლი 6 quater
[ნიშნები: ნიშნების გადაცემა]

(1) როდესაც კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით ნიშნის გადაცემა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხორციელდება ნიშნის მფლობელი საწარმოს ან მისი გუდვილის გადაცემასთან ერთად, მაშინ ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის აღიარებისათვის საკმარისია

ამქვეყანაშიგანლაგებული საწარმოსნაწილი ან მისი გუდვილი გადაეცეს უფლებამონაცვლეს, გადაცემული ნიშნით მონიშნული საქონლის აღნიშნულ ქვეყანაში წარმოებისა და გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებასთან ერთად.

(2) ზემოხსენებული დებულება კავშირის ქვეყნებს არ აკისრებს რაიმე ვალდებულებას ძალაში შესულად მიიჩნიოს ნებისმიერი ნიშნის გადაცემა, რომლის გამოყენება უფლებამონაცვლის მიერ, ფაქტობრივად, ისეთი ხასიათის იქნებოდა, რომ შეცდომაში შეიყვანდა საზოგადოებას, კერძოდ, ასეთი ნიშნით მონიშნული საქონლის წარმოშობის, ბუნების ან დამახასიათებელი ხარისხის მიმართ.

მუხლი 6 quinquies
[ნიშნები: კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნების დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში]

A – (1) წარმოშობის ქვეყანაში მართლზომიერად რეგისტრირებული ყველა სასაქონლო ნიშნის კავშირის სხვა ქვეყნებში შეტანა და დაცვა ხორციელდება ამ მუხლში აღნიშნული დათქმების გათვალისწინებით იმ სახით რა სახითაც იგი არის რეგისტრირებული. ასეთ ქვეყნებს საბოლოო რეგისტრაციამდე შეუძლიათ მოითხოვონ წარმოშობის ქვეყანაში კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობის წარდგენა. ამ მოწმობის ავთენტიკურობის არანაირი დადასტურება არ მოითხოვება.

(2) წარმოშობის ქვეყანად მიიჩნევა კავშირის ქვეყანა, სადაც განმცხადებელს აქვს ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულება, ან, თუ მას კავშირის ფარგლებში არ გააჩნია ასეთი დაწესებულება, კავშირის ქვეყანა, სადაც მას აქვს საცხოვრებელი ადგილი, ან, თუ კავშირის ფარგლებში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ არის კავშირის ქვეყნის მოქალაქე, ქვეყანა, რომლის მოქალაქეც ის არის.

B – სასაქონლო ნიშნებს, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი, არ შეიძლება უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან მათი რეგისტრაცია ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

1. თუ მათ ისეთი ხასიათი აქვთ, რომ არღვევს მესამე პირების მიერ მოპოვებულ უფლებებს ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა;
2. თუ მათ არ გააჩნიათ განმასხვავებლობა, ან შედგება მხოლოდ ისეთი სიმბოლოების ან აღნიშნვებისაგან, რომლებიც შეიძლება ვაჭრობაში გამოიყენებოდეს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, დანიშნულების, ღირებულების, წარმოშობის ადგილის ან მათი წარმოების დროის აღსანიშნად ან საქონლისთვის იქცა ჩვეულებრივ გავრცელებულ სიტყვად იმ ქვეყნის თანამედროვე ენაში ან ვაჭრობის კეთილსინდისიერ და დამკვიდრებულ პრაქტიკაში, სადაც მოითხოვება დაცვა;
3. თუ ისინი ეწინააღმდეგება მორალს ან საზოგადოებრივ წესრიგს, კერძოდ, აქვთ ისეთი ხასიათი, რომ შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება. იგულისხმება, რომ ნიშანი არ შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგოდ იმ ერთადერთი მიზეზით, რომ იგი არ ექვემდებარება ნიშნების შესახებ კანონმდებლობის დებულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვითონ ასეთი დებულება შეეხება საზოგადოებრივ წესრიგს. მასთან, ეს დებულებები ექვემდებარება მე–10 bis მუხლის გამოყენებას.

C – (1) იმის განსაზღვრისას ექვემდებარება თუ არა ნიშანი დაცვას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ფაქტობრივი გარემოება, განსაკუთრებულად ნიშნის გამოყენების დროის ხანგრძლივობა.

(2) კავშირის სხვა ქვეყნებში არ შეიძლება უარი ეთქვას არცერთ სასაქონლო ნიშანს იმ ერთადერთი მიზეზით, რომ იგი წარმოშობის ქვეყანაში დაცული ნიშნისაგან განსხვავდება მხოლოდ იმ ელემენტებით, რომლებიც არ ცვლის მის განმასხვავებლობას და გავლენას არ ახდენს მის იდენტურობაზე ნიშნის იმ ფორმასთან, რომლითაც ის რეგისტრირებული იყო აღნიშნულ წარმოშობის ქვეყანაში.

D – არც ერთ პირს არ შეუძლია ისარგებლოს ამ მუხლის დებულებებით, თუ ნიშანი, რომლისთვისაც იგი მოითხოვს დაცვას, არ არის რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში.

E – მიუხედავად ამისა, წარმოშობის ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება არცერთ შემთხვევაში არ იწვევს კავშირის სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელების ვალდებულებას .

F – პრიორიტეტის მოთხოვნიდან გამომდინარე უპირატესობა ხელშეუხებელი რჩება მე-4 მუხლით დადგენილი პერიოდის განმავლობაში ნიშნების სარეგისტრაციოდ შეტანილი განაცხადებისათვის, მაშინაც კი თუ რეგისტრაცია წარმოშობის ქვეყანაში განხორციელდა ამ პერიოდის ამოწურვის შემდეგ.

მუხლი 6[sexies]
[ნიშნები: მომსახურების ნიშნები]

კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას დაიცვან მომსახურების ნიშნები. მათ არ მოეთხოვებათ ასეთი ნიშნების რეგისტრაცია.

მუხლი 6[septies]
[ნიშნები: მფლობელის ნებართვის გარეშე მისი რწმუნებულის ან წარმომადგენლის სახელზე რეგისტრაცია]

(1) იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელი პირის, რწმუნებული ან წარმომადგენელი, კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში მფლობელის ნებართვის გარეშე შეიტანს განაცხადს თავის სახელზე ნიშნის რეგისტრაციაზე, მფლობელს უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მოთხოვნილ რეგისტრაციას ან მოითხოვოს მისი გაუქმება, ან თუ ქვეყნის კანონი ამის ნებას იძლევა, აღნიშნული რეგისტრაციის გადაფორმება მის სასარგებლოდ, გარდა შემთხვევისა, როდესაც ასეთი რწმუნებული ან წარმომადგენელი დაასაბუთებს თავისი მოქმედების მართლზომიერებას.

(2) ნიშნის მფლობელს, ზემოთ მოყვანილი (1) პუნქტიდან გამომდინარე, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს რწმუნებულის ან წარმომადგენლის მიერ ნიშნის გამოყენებას, თუ მას ასეთი გამოყენებაზე ნებართვა არ გაუცია.

(3) შიდა კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორივე მხარისათვის მისაღები ვადა, რომლის განმავლობაშიც ნიშნის მფლობელმა უნდა ისარგებლოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.

მუხლი 7

[ნიშნები: საქონლის სახეობა, რომელზეც გამოიყენება ნიშანი]

ნიშნის რეგისტრაციისათვის საქონლის სახეობა, რომელზეც ნიშანი უნდა იქნეს გამოყენებული, არც ერთ შემთხვევაში არ ქმნის დაბრკოლებას.

მუხლი 7bis

[ნიშნები: კოლექტიური ნიშნები]

(1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას სარეგისტრაციოდ მიიღონ და დაიცვან იმ გაერთიანებების კუთვნილი კოლექტიური ნიშნები, რომელთა არსებობა არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის კანონს, მაშინაც კი, თუ ასეთი გაერთიანებები არ ფლობენ სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულებას.

(2) თითოეული ქვეყანა თვითონ ადგენს კონკრეტულ პირობებს, რომელთა შესაბამისად ხდება კოლექტიური ნიშნის დაცვა და, თუ ნიშანი ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესს, შეუძლია უარი თქვას დაცვაზე.

(3) ამასთან, ამ ნიშნების დაცვაზე არ შეიძლება უარი ეთქვას რომელიმე გაერთიანებას, რომლის არსებობა არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობას, იმ საფუძველზე, რომ ასეთი გაერთიანება არ არის დაარსებული იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, ან არ არის შექმნილი ამ უკანასკნელის
კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8

[საფირმო სახელწოდებები]

საფირმო სახელწოდება კავშირის ყველა ქვეყანაში დაცულია განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე მიუხედავად იმისა, შეადგენს თუ არა იგი სასაქონლო ნიშნის ნაწილს.

მუხლი 9

[ნიშნები, საფირმო სახელწოდებები: საქონლის დაყადაღება, როდესაც მასზე უკანონოდ არის დატანილი ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, მისი იმოპორტის და ა.შ. დროს]

(1) ყველა საქონელი, რომელზეც უკანონოდ არის დატანილი სასაქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, ექვემდებარება ყადაღას კავშირის იმ ქვეყნებში შეტანისას, სადაც ასეთ ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას მინიჭებული აქვს სამართლებრივი დაცვა.

(2) დაყადაღება ხორციელდება, აგრეთვე, ქვეყანაში, სადაც მოხდა უკანონო დატანა, ან ქვეყანაში, რომელშიც მოხდა საქონლის იმპორტი.

(3) დაყადაღება ხორციელდება პროკურორის, ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს, ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის – ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნით, თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

(4) ტრანზიტის შემთხვევაში ორგანოებს საქონლის დაყადაღების ვალდებულიება არ ეკისრებათ.

(5) თუ ქვეყნის კანონმდელობით არ არის დაშვებული დაყადაღება იმპორტის დროს, დაყადაღება იცვლება იმპორტის აკრძალვით ან დაყადაღებით ქვეყნის შიგნით.

(6) თუ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის დაშვებული დაყადაღება იმპორტის დროს, არც იმპორტის აკრძალვა, არც დაყადაღება ქვეყნის შიგნით, მაშინ, ვიდრე კანონმდებლობა შესაბამისად შეიცვლებოდეს, ამ ზომების ჩანაცვლება ხდება ქმედებებითა და საშუალებებით, რომლებიც ასეთ შემთხვევებში ხელმისაწვდომია მოქალაქეებისათვის ასეთი ქვეყნის კანონის მიხედვით.

მუხლი 10

[ყალბი აღნიშვნები: წარმოშობის ან მწარმოებლის ყალბი აღნიშვნის მქონე საქონლის დაყადაღება მისი იმპორტის და ა.შ. დროს]

(1) წინა მუხლის დებულებები გამოიყენება საქონელზე წარმოშობის ან მწარმოებლის, დამამზადებლის ან მოვაჭრის ვინაობის შესახებ ყალბი აღნიშნვების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენების შემთხვევაში.

(2) ნებისმიერი მწარმოებელი, დამამზადებელი, ან მოვაჭრე, იქნება იგი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც დასაქმებულია ასეთი საქონლის წარმოებით, დამზადებით, ან გაყიდვით და მისი საქმიანობა დაფუძნებულია ადგილზე, რომელიც ყალბად არის მითითებულ როგორც წარმოშობის ადგილი, ან რეგიონში, სადაც ასეთი ადგილი მდებარეობს, ან ყალბად მითითებულ ქვეყანაში, ან ქვეყანაში, სადაც წარმოშობის ადგილის ყალბი აღნიშვნა გამოიყენება, ნებისმიერ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ მიიჩნევა.

მუხლი 10bis

[არაკეთილსინდისიერი კონკურენცია]

(1) კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით.

(2) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვეებს.

(3) კერძოდ, აკრძალულია:

1. ისეთი ხასიათის მქონე ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დაწესებულების, საქონლის, სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ;
2. კომერციული საქმიანობისას ისეთი ხასიათის ყალბი განცხადებების გაკეთება, რომლებიც იწვევს კონკურენტის დაწესებულების, საქონლის, სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის დისკრედიტაციას;
3. ისეთი აღნიშვნების გამოყენება ან განცხადებების გაკეთება, რმაც კომერციული საქმიანობისას შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება საქონლის გვარეობის, დამზადების ხერხის, მახასიათებლების, დანიშნულებით გამოსაყენებლად ვარგისიანობის შესაბამისობის, ან რაოდენობის მიმართ.

მუხლი 10ter
[ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, ყალბი აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია: სამართლებრივი დაცვის საშუალებები, სასამართლო დევნის უფლება]

(1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ კავშირის სხვა ქვეყნების მოქალაქეები მე-9, მე-10 და მე-10bis მუხლებში მითითებული ყველა ქმედების ეფექტიანი აღკვეთის სამართლებრივი საშუალებებით.

(2) გარდა ამისა, ისინი იღებენ ვალდებულებას გაითვალისწინონ ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემს მრეწველების, მწარმოებლებისა და მოვაჭრეების ინტერესების წარმომდგენელ კავშირებსა და გაერთიანებებს, თუკი ასეთი კავშირებისა და გაერთიანებების არსებობა არ ეწინააღმდეგება მათი ქვეყნების კანონებს, მე-9, მე-10 და მე-10bis მუხლებში მითითებული ქმედებების აღკვეთის მიზნით სასამართლოში ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე აღძრან საქმეისეთ ფარგლებში, რამდენადაც ქვეყნის კანონები, სადაც დაცვა მოითხოვება, რთავს ნებას ამ ქვეყნის კავშირებსა და გაერთიანებებს განახორციელონ ასეთი ქმედება.

მუხლი 11
[გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, ნიშნები: დროებითი დაცვა განსაზღვრული სახის საერთაშორისო გამოფენებზე

(1) კავშირის ქვეყნები თავიანთი შიდა კანონმდებლობების შესაბამისად, დროებით დაცვას ანიჭებენ პატენტუნარიან გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს, სამრეწველო დიზაინებსა და სასაქონლო ნიშნებს რომელიმე მათგანის ტერიტორიაზე გამართულ ოფიციალურ ან ოფიციალურად აღიარებულ საერთაშორისო გამოფენებზე გამოფენილ საქონელთან დაკავშირებით.

(2) ასეთი დროებითი დაცვა არ ახანგრძლივებს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პრიორიტეტის მოთხოვნის ვადებს. თუ საქონლის გამოფენის შემდეგ შეტანილი იქნება პირველი განაცხადი და, მოგვიანებით, მოთხოვნილი იქნება ასეთი განაცხადის პრიორიტეტი, ნებისმიერი ქვეყნის ორგანოს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ პრიორიტეტის მოთხოვნის ვადის ათვლა დაიწყოს საქონლის გამოფენაზე წარდგენის თარიღიდან.

(3) თითოეულ ქვეყანას შეუძლია ექსპონირებული ნაწარმის იდენტურობისა და მისი წარდგენის თარიღის დასტურად მოითხოვოს ისეთი დოკუმენტური მტკიცებულება, რომელსაც იგი თვლის საჭიროდ.

მუხლი 12
[სამრეწველო საკუთრების სპეციალური ეროვნული სამსახურები]

(1) კავშირის თითოეული ქვეყანა ვალდებულია დააფუძნოს სამრეწველო საკუთრების სპეციალური სამსახური და ცენტრალური უწყება პატენტების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო დიზაინებისა და სასაქონლი ნიშნების საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით.

(2) ეს სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ პერიოდულ გამოცემას. იგი რეგულარულად აქვეყნებს:

(a) გაცემული პატენტების მფლობელების სახელებსა და გვარებს, დაპატენტებული გამოგონებების მოკლე დახასიათებასთან ერთად;
(b) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების რეპროდუქციებს.

მუხლი 13
[კავშირის ასამბლეა]

(1) (a) კავშირს გააჩნია ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის იმ ქვეყნებისგან, რომლებმაც ივალდებულეს მე–13–დან მე–17–მდე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნები.
(b) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ახლდენ მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.
(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც დანიშნა იგი.

(2) (a) ასამბლეა:
- (i) განიხილავს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებას და ამ კონვენციის განხორციელებას;
- (ii) კონვენციის სარევიზიო კონფერენციების მომზადებასთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ – „საერთაშორისო ბიურო"), რომელიც მოხსენებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომ – „ორგანიზაცია") დამფუძნებელ კონვენციაში, კავშირის იმ ქვეყნების ნებისმიერი შენიშვნის სათანადოდ გათვალისწინებით, რომლებმაც არ ივალდებულეს მე–13– დან მე–17–მდე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- (iii) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას, რომელიც ეხება კავშირს და მას აძლევს ყველა აუცილებელ ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ;
- (iv) ირჩევს ასმბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;
- (v) განიხილავს და ამტკიცებს მისი აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებსა და საქმიანობას და აძლევს მას ინსტრუქციებს;
- (vi) განსაზღვრავს და იღებს შესაბამისად კავშირის პროგრამას და ორწლიან ბიუჯეტს, ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;
- (vii) იღებს კავშირის ფინანსურ ინსტრუქციებს;
- (viii) ქმნის ექსპერტთა ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებსაც ჩათვლის საჭიროდ კავშირის მიზნების მისაღწევად;
- (ix) ადგენს კავშირის არაწევრი რომელი ქვეყანა და სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დაიშვება დამკვირვებლებად მის სხდომებზე;
- (x) იღებს მე–13–დან მე–17–მდე მუხლებში შესატან ცვლილებებს;
- (xi) იღებს კავშირის მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად განზრახულ ნებისმიერ სხვა სათანადო ზომებს;
- (xii) ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ კონვენციით;
- (xiii) ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებსაც მას ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია ანიჭებს, იმ პირობით, რომ მან ისინი აღიარა;

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლითაც, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებადი სხვა კავშირებიც არიან დაინტერესებულნი, ასამბლეას გადაწყვეტილებები გამოაქვს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(3) (a) დელეგატს შეუძლია (b) ქვეპუნქტის დებულებების გათვალისწინებით წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა.

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებიც სპეციალური შეთანხმების პირობებით ერთიანდებიან საერთო უწყებაში, რომელსაც თითოეული მათგანისათვის გააჩნია მე-12 მუხლში მითითებული სამრეწველო საკუთრების სპეციალური ეროვნული სამსახურის სტატუსი, დისკუსიების დროს შეიძლება ერთობლივად იქნეს წარმოდგენილი ერთ-ერთი მათგანის მიერ.

(4) (a) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) მიუხედავად (b) ქვეპუნქტის დებულებებისა, როდესაც რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რაოდენობა ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ ტოლია ან მეტია მათი ერთი მესამედისა, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ, ყველა ასეთი გადაწყვეტილება, გარდა მის საკუთარ პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა, ძალაში შედის მხოლოდ ქვემოთ მოყვანილი პირობების შესრულებისას. საერთაშორისო ბიურო ხსენებული გადაწყვეტილებების შესახებ ატყობინებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილნი სესიაზე და სთავაზობს მათ შეტყობინების თარიღიდან სამი თვის ვადაში წერილობითი სახით გამოხატონ, რომ ხმას აძლევენ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ან თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან. თუ ამ ვადის გასვლის მომენტისათვის იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს, რომ ხმას აძლევენ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ან თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან, აღწევს ქვეყნების რაოდენობას, რომელიც აკლდა კვორუმის მისაღწევად თავად სესიაზე, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის, იმ პირობით, თუ ამავე დროს ხმათა საჭირო უმრავლესობა კვლავ იარსებებს.

(d) ასამბლეის გადაწყვეტილებების მისაღებად მე-17(2) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, მოითხოვება კენჭისყრაში მონაწილე ხმების ორი მესამედი.

(e) ხმის მიცემაზე თავშეკავებულთა რაოდენობა კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობაში არ ითვლება.

(5) (a) დელეგატს შეუძლია, (b) ქვეპუნქტის დებულების გათვალისწინებით, ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(b) ავშირის ქვეყნები, რომლებზეც მითითებულია მე-3(b) პუნქტში, როგორც წესი, ისწრაფვიან ასამბელის სესიებზე გაგზავნონ საკუთარი დელეგაციები. თუ, მიუხედავად ამისა, რაიმე განსაკუთრებული მიზეზით, რომელიმე ასეთ ქვეყანას არ შეუძლია გაგზავნოს საკუთარი დელეგაცია, მას შეუძლია სხვა ასეთი ქვეყნის დელეგაციას მიანიჭოს მისი სახელით ხმის მიცემის უფლებამოსილება, იმ პირობით, რომ თითოეულ დელეგაციას შეუძლია მინდობილობით მისცეს ხმა მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით. ხმის მიცემის ასეთი რწმუნებულება ენიჭება სახელმწიფოს მეთაურის ან უფლებამოსილი მინისტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.

(6) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, სხდომაზე დაიშვებიან დამკვირვებლებად. სესიაზე ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს და, განსაკუთრებულ

(7) (a) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით გარემოებათა არ არსებობისას, იგივე დროსა და იგივე ადგილაზე, როდესაც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(b) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება საგანგებო სესიაზე აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით ან ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) პროცედურისათვის ასამბლეა იღებს მის საკუთარ წესებს.

მუხლი 14
[აღმასრულებელი კომიტეტი]

(1) ასამბლეას გააჩნია აღმასრულებელი კომიტეტი.

(2) (a) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისგან, რომლებიც ასამბლეის მიერ არჩეულნი არიან ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. გარდა ამისა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ორგანიზაციის შტაბ-ბინა, მე-16(7)(b) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, აქვს ex officio ადგილი კომიტეტში.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ახლდენ მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.
(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც დანიშნა იგი.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რაოდენობა შეესაბამება ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მეოთხედს. შესავსები ადგილების რაოდენობის დადგენისას ოთხზე გაყოფის შედეგად დარჩენილი ნაშთი მხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას ასამბლეა სათანადო ყურადღებას უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებასა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრ ქვეყანათა რიცხვში იმ სპეციალური შეთანხმებების მონაწილე ქვეყნების მოხვედრის საჭიროებას, რომლებიც დაფუძნებულია კავშირთან მიმართებაში.

(5) (a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი თავის მოვალეობას ასრულებს ასამბლეის იმ სესიის დახურვიდან, რომელზეც იქნა იგი არჩეული, ასამბლეის შემდეგი რიგითი სესიის დახურვამდე.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არაუმეტეს ორი მესამედისა შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეულნი.
(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისა და შესაძლო ხელახლა არჩევის ჩატარების წესების დეტალებს.

(6) (a) აღმასრულებელი კომიტეტი:
(i) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;
(ii) ასამბლეას წარუდგენს წინადადებებს გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ კავშირის პროგრამის პროექტსა და ორწლიან ბიუჯეტთან დაკავშირებით;
(iii) [ამოღებულია]
(iv) ასამბლეას წარუდგენს გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებსა და ფინანსური აღრიცხვის რევიზიის ანგარიშებს სათანადო შენიშვნებით;
(v) ასამბლეის გადაწყვეტილებების შესაბამისად და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება ასამბლეის ორ რიგით სესიას შორის პერიოდში, იღებს ყველა აუცილებელ ზომას, გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად;
(vi) ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მასზე ამ კონვენციით არის განაწილებული.
(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებითაც, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებადი სხვა კავშირებიც არიან დაინტერესებულნი, აღმასრულებელ კომიტეტეტს გადაწყვეტილებები გამოაქვს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(7) (a) აღმასრულებელი კომიტეტი გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით

სესიაზე წელიწადში ერთხელ, უპირატესად იგივე დროსა და იგივე ადგილზე, როდესაც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.

(b) აღმასრულებელი კომიტეტი გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება საგანგებო სესიაზე როგორც საკუთრივ მისი ინიციატივით, ისე აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) (a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ერთი ხმის უფლება.
(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.
(c) გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
(d) ხმის მიცემაზე თავშეკავებულთა რაოდენობა კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობაში არ ითვლება.
(e) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(9) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, სხდომაზე დაიშვებიან დამკვირვებლად.

(10) პროცედურისათვის აღმასრულებელი კომიტეტი იღებს მის საკუთარ წესებს.

მუხლი 15
[საერთაშორისო ბიურო]

(1) (a) კავშირის ადმინისტრაციულ ამოცანებს ასრულებს საერთაშორისო ბიურო, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საერთაშორისო კონვენციის მიერ დაარსებული კავშირის ბიუროსთან გაერთიანების შედეგად განახლებულ კავშირის ბიუროს.

(b) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო უზრუნველყოფს კავშირის სხვადასხვა ორგანოს სამდივნოების ფუნქციონირებას.

(c) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და გააჩნია კავშირის წარმოადგენის უფლება.

(2) საერთაშორისო ბიურო თავს უყრის და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება სამრეწველო საკუთრების დაცვას. კავშირის თითოეული ქვეყანა საერთაშორისო ბიუროს დაუყოვნებლივ ატყობინებს სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებილი ყველა ახალი კანონისა და ოფიციალური ტექსტის შესახებ. გარდა ამისა, იგი საერთაშორისო ბიუროს აწვდის მისი სამრეწველო საკუთრების სამსახურის ყველა გამოცემას, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სამრეწველო საკუთრების დაცვასთან და შეიძლოა, საერთაშორისო ბიურო თავისი საქმიანობისათვის სასარგებლოდ ჩათვლის.

(3) საერთაშორისო ბიურო პერიოდულ გამოცემას აქვეყნებს თვეში ერთხელ.

(4) საერთაშორისო ბიურო კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, მისი მოთხოვნით, აწვდის ინფორმაციას სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

(5) საერთაშორისო ბიურო წარმართავს კვლევებს და უზრუნველყოფს სამრეწველო საკუთრების დაცვის ხელშესაწყობად გამიზნულ მომსახურებას.

(6) გენერალური დირექტორი და შტატის ნებისმიერი მის მიერ დანიშნული თანამშრომელი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტისა და ექსპერტთა

ნებისმიერი სხვა კომიტეტის ან მუშა ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული თანამშრომელი ამ ორგანოების ex officio მდივანია.

(7) (a) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით ამზადებს კონფერენციებს კონვენციის დებულებათა, გარდა მე–13–დან მე–17–მდე მუხლებში მოცემული დებულებებისა, გადასინჯვის მიზნით.

(b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან გადასინჯვასთან დაკავშირებული კონფერენციების მომზადების თაობაზე.

(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ამ კონფერენციებზე გამართულ დისკუსიებში.

(8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა დავალებას.

მუხლი 16
[ფინანსები]

(1) (a) კავშირს აქვს ბიუჯეტი.

(b) კავშირის ბიუჯეტი მოიცავს კავშირის საკუთარ შემოსავალსა და ხარჯებს, მის შენატანებს კავშირების საერთო ხარჯების ბიუჯეტში და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტისათვის გამოყოფილ თანხას.

c) ხარჯები, რომლებიც მიეწერება არა მხოლოდ ამ კავშირს, არამედ, ასევე, ერთ ან მეტ სხვა კავშირს, რომელთა ადმინისტრირება ორგანიზაციის მიერ ხორციელდება, განიხილება როგორც კავშირების საერთო ხარჯები. ასეთ საერთო ხარჯებში კავშირის წილი პროპორციულია იმ სარგებელისა, რომელიც კავშირს აქვს მასში.

(2) კავშირის ბიუჯეტი დგინდება სხვა იმ კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით, რომელთა ადმინისტრირება ორგანიზაციის მიერ ხორციელდება.

(3) კავშირის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია:
- (i) კავშირის ქვეყნების შენატანები;
- (ii) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან მიმართებაში გაწეული მომსახურების საფასურები და გადასახადები;
- (iii) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან მიმართებაში გამოცემული პუბლიკაციების გაყიდვით შემოსული თანხები ან როიალთი.
- (iv) საჩუქრები, მემკვიდრეობა და სუბსიდიები;
- (v) რენტა, პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და სხვა.

(4) (a) კავშირის თითოეული ქვეყანა ბიუჯეტში მისი შენატანის დადგენის მიზნით განეკუთვნება გარკვეულ კლასს და იხდის თავის წლიურ შენატანს შემდეგნაირად დადგენილი წილობრივი ერთეულების საფუძველზე:[2]

2 ისმო–ს მმართველმა ორგანოებმა და კავშირებმა, რომელთა ადმინისტრირება ისმო–ს მიერ ხორციელდება, მიიღეს შენატანების ახალი ერთიანი სისტემა, რომელიც ძალაშია 1994 წლის 1 იანვრიდან და რომელმაც შეცვალა პარიზის კონვენციის მე–16 მუხლის მე–4 პუნქტის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებში აღწერილი შენატანების დაყოფის სისტემა. ერთიანი სისტემის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ ისმო–ს დოკუმენტიდან AB/XXIV/5.

I	კლასი	 25
II	კლასი	 20
III	კლასი	 15
IV	კლასი	 10
V	კლასი	 5
VI	კლასი	 3
VII	კლასი	 1

(b) თითოეული ქვეყანა, გარდა ქვეყნებისა, რომლებმაც ეს ასე უკვე გააკეთეს, თავისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენასთან ერთად უთითებს კლასს, რომელთანაც მას სურს მიკუთვნება. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეიცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, მან ამის შესახებ უნდა განუცხადოს ასამბლეას ერთ–ერთ რიგით სესიაზე. ნებისმიერი ასეთი ცვლილება შედის ძალაში კალენდარული წლიდან, რომელიც მოსდევს ხსენებულ სესიას.

(c) თითოეული ქვეყნის წლიური შენატანის სიდიდე ისეთივე პროპორციაშია ყველა ქვეყნის მიერ კავშირის წლიურ ბიუჯეტში შეტანილ საერთო თანხასთან, როგორც მისი წილობრივი ერთეულების სიდიდე ყველა გადამხდელი ქვეყნის წილობრივი ერთეულების ჯამთან.

(d) შენატანების გადახდა ხდება ყოველი წლის პირველ იანვარს.

(e) შენატანის გადახდასთან დაკავშირებული დავალიანების მქონე ქვეყანას არ შეუძლია გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება კავშირის ნებისმიერ ორგანოში, რომლის წევრიც ის არის, თუ მისი დავალიანება ტოლია ან აჭარბებს წინა ორი სრული წლისათვის მის მიერ გადასახდელი შენატანის სიდიდეს. მიუხედავად ამისა, კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება ამ ორგანოში, თუ და ვიდრე ის დარწმუნებულია, რომ გადახდის გადავადება განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებებით არის განპირობებული.

(f) იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი საფინანსო პერიოდის დაწყების წინ ბიუჯეტი არ არის მიღებული, ფინანსური ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად იგი რჩება წინა წლის ბიუჯეტის დონეზე.

(5) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან მიმართებაში გაწეული მომსახურების საფასურებისა და გადასახადების სიდიდეს ადგენს და ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს მოახსენებს გენერალური დირექტორი.

(6) (a) კავშირს გააჩნია საბრუნავი ფონდი, რომელიც იქმნება კავშირის თითოეული ქვეყნის ერთჯერადი გადასახადით. თუ ფონდი არასაკმარისი ხდება, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

(b) თითოეული ქვეყნის საწყისი გადასახადის სიდიდე ხსენებულ ფონდში ან მისი

მონაწილეობა ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შენატანისა იმ წელს, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ. (c) გადასახადების თანაფარდობა და გადახდის პირობები დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე და მას შემდეგ, რაც ასამბლეა მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრს.

(7) (a) შტაბ-ბინის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც დადებულია ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ, თუ საბრუნავი ფონდი არასაკმარისია, ასეთი ქვეყანა გაიღებს ავანსებს. ამ ავანსების თანხა და გაცემის პირობები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის დამოუკიდებელი შეთანხმებების საგანს წარმოადგენს. ვიდრე ასეთ ქვეყანას აკისრია ავანსების გაცემის ვალდებულება, მას აქვს ex officio ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში. (b) წინა (a) ქვეპუნქტში მითითებულ როგორც ქვეყანას, ისე ორგანიზაციას გააჩნია უფლება წერილობითი შეტყობინებით განახორციელოს ავანსების გაცემის ვალდებულების დენონსაცია. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დამთავრებიდან, როდესაც გაიგზავნა ასეთი შეტყობინება.

(8) ანგარიშების აუდიტი ხორციელდება კავშირის ერთი ან მეტი ქვეყნის ან გარე აუდიტორების მიერ ფინანსური რეგლამენტის შესაბამისად. ისინი ინიშნებიან მათი თანხმობით, ასამბლეის მიერ.

მუხლი 17
[მე-13-დან მე-17-მდე მუხლების შესწორებები]

(1) წინადადებები მე-13, მე-14, მე-15, მე-16 მუხლებსა და ამ მუხლში შესწორებების შეტანის თაობაზე შეიძლება დასმულ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთი წინადადებების შესახებ წინასწარ, ასამბლეაზე მათ განხილვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე, აცნობებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს.

(2) წინა (1) პუნქტში მითითებულ მუხლებში შესწორებები მიიღება ასამბლეის მიერ. შესწორებების მისაღებად მოითხოვება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა სამი მეოთხედი; ამასთან, მე-13 მუხლსა და ამ პუნქტში ნებისმიერი შესწორების მისაღებად მოითხოვება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა ოთხი მეხუთედი.

(3) ნებისმიერი შესწორება მუხლებში, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტში, ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გენერალური დირექტორი მიიღებს წერილობით შეტყობინებებს ქვეყნის მიერ შესწორების აღიარების შესახებ, რაც მათი შესაბამისი კონსტიტუციური პროცედურების მიხედვით არის განხორციელი, იმ ქვეყნების სამი მეოთხედიდან, რომლებიც შესწორების მიღების მომენტში არიან ასამბლეის წევრები. აღნიშნულ მუხლებში ნებისმიერი შესწორება, რომელიც მიღებულია ამგვარად, სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებიც შესწორებების ძალაში შესვლის მომენტისათვის უკვე არიან ასამბლეის წევრები ან გახდებიან მისი წევრები უფრო მოგვიანებითი თარიღისათვის იმ პირობით, რომ ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც გაგზავნეს შეატყობინება ასეთი შესწორებების აღიარების შესახებ.

მუხლი 18
[1-დან მე-12-მდე და მე-18-დან 30- მდე მუხლების გადასინჯვა]

(1) ეს კონვენცია შეიძლება გადაისინჯოს მასში ისეთი შესწორებების შესატანად, რომლებიც კავშირის სისტემის გასაუმჯობესებლად არის გამიზნული.

(2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგრიგობით იმართება აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.

(3) მე–13–დან მე–17–მდე მუხლებში შესწორებების შეტანა ხორციელდება მე–17 მუხლის დებულებების მიხედვით.

მუხლი 19
[სპეციალური შეთანხმებები]

მიღწეულია შეთანხმება, რომ კავშირის ქვეყნები იტოვებენ უფლებას გამოყოფილად, ერთმანეთს შორის დადონ სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული სპეციალური შეთანხმებები, ისე, რომ, ეს შეთანხმებები არ ეწინააღმდეგებოდეს ამ კონვენციის დებულებებს.

მუხლი 20
[კავშირის ქვეყნების მიერ რატიფიკაცია ან მიერთება; ძალაში შესვლა]

(1) (a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიკაცია, ხოლო თუ მას არა აქვს ხელი მოწერილი, შეუძლია მასთან მიერთება. რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ დოკუმენტების დეზიტზე წარდგენა ხდება გენერალურ დირექტორთან.
(b) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას მისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტში შეუძლია განაცხადოს, რომ მისი რატიფიკაცია ან მიერთება არ ვრცელდება:
(i) მუხლებზე 1–დან მე–12–მდე, ან
(ii) მუხლებზე მე–13–დან მე–17–მდე.

(c) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (b) ქვეპუნქტის შესაბამისად, თავისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის მოქმედება არ გაავრცელა ამ ქვეპუნქტში მითითებული მუხლების ორი ჯგუფიდან ერთ–ერთზე, შეუძლია მოგვიანებით ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ავრცელებს თავისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის მოქმედებას მუხლების ამ ჯგუფზე. ასეთი განცხადების დეპოზიტზე წარდგენა ხდება გენერალურ დირექტორთან.

(2) (a) 1–დან 12–მდე მუხლები ძალაში შედის კავშირის იმ პირველი ათი ქვეყნის მიმართ, რომელთაც რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტი დეპოზიტზე წარადგინეს (1)(b) (i) პუნქტით დაშვებული განცხადების გაკეთების გარეშე ასეთი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ მეათე დოკუმენტის დეპოზიტზე წარადგინიდან სამი თვის შემდეგ.
(b) მე–13–დან მე–17–მდე მუხლები ძალაში შედის კავშირის იმ პირველი ათი ქვეყნის მიმართ, რომელთაც რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტი დეპოზიტზე წარადგინეს (1)(b) (ii) პუნქტით დაშვებული განცხადების გაკეთების გარეშე, ასეთი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ მეათე დოკუმენტის დეპოზიტზე წარადგინიდან სამი თვის შემდეგ.
(c) იმ შემთხვევაში, თუ (a) და (b) ქვეპუნქტების შესაბამისად და 1 (b) პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით (1)(b)(i) და (ii) პუნქტებში მითითებული მუხლების ორი ჯგუფი უკვე შესულია ძალაში, კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, გარდა (a) და (b) ქვეპუნქტებში მითითებულისა, რომელიც დეპოზიტზე წარადგენს რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ

დოკუმენტს ან კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც დეპოზიტზე განაცხადს 1 (c) პუნქტის შესაბამისად წარადგენს, მუხლები 1–დან მე–17–მდე ძალაში შედის სამი თვის შემდეგ ასეთი დეპოზიტის მიღების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების გავრცელების თარიღიდან, თუ დეპონირებულ დოკუმენტში ან განცხადებაში უფრო გვიანი თარიღი არ იყო მითითებული. მეორე შემთხვევაში ამ ქვეყნის მიმართ აქტი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(3) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელმაც რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტი წარადგინა დეპოზიტზე, მუხლები მე–18–დან 30– მდე ძალაში შედის იმ თარიღებიდან ყველაზე ადრეული თარიღიდან, როდესაც ამ ქვეყნის მიმართ 1(b) პუნქტში აღნიშნული მუხლების ჯგუფიდან ნებისმიერი შედის ძალაში მე–(2)(a), (b) ან (c) პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 21
[კავშირის არაწევრი ქვეყნების მიერთება; ძალაში შესვლა.

(1) კავშირის არაწევრ ნებისმიერ ქვეყანას, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და ამის მეშვეობით გახდეს კავშირის წევრი. მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენა ხდება გენერალურ დირექტორთან.

(2) (a) კავშირის არაწევრი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მისი მიერთების შესახებ დოკუმენტს დეპოზიტზეწარადგენსამაქტისრაიმე დებულებების ძალაში შესვლის თარიღამდე ერთი ან მეტი თვით ადრე, ეს აქტი ძალაში შედის იმ თარიღიდან, როდესაც აღნიშნული დებულებები თავდაპირველად შევიდა ძალაში მე–20(2) (a) ან (b) მუხლის თანახმად, თუ მიერთების დოკუმენტებში უფრო გვიანი თარიღი არ იყო აღნიშნული; იმ პირობით, რომ:

(i) თუ მუხლები 1–დან 12–მდე ამ თარიღისათვის არ არის შესული ძალაში, ასეთ ქვეყანას ამ დებულებათა ძალაში შესვლამდე პერიოდში და მათ სანაცვლოდ ეკისრება ლისაბონის აქტის 1–დან მე–12–მდე მუხლების ვალდებულებები,

(ii) თუ მუხლები მე–13–დან მე–17–მდე ამ თარიღისათვის არ არის შესული ძალაში, ასეთ ქვეყანას ამ დებულებათა ძალაში შესვლამდე პერიოდში და მათ სანაცვლოდ ეკისრება ლისაბონის აქტის მე–13 და მე–14(3), (4) და (5) მუხლების ვალდებულებები თუ მიერთების დოკუმენტში ქვეყანა უთითებს უფრო გვიან თარიღს, ეს აქტი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(b) კავშირის არაწევრი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მისი მიერთების შესახებ დოკუმენტს დეპოზიტზე წარადგენს თარიღით, რომელიც მოსდევს ან ერთ თვეზე ნაკლები დროით წინ უსწრებს ამაქტის მუხლების ერთი ჯგუფის ძალაში შესვლას, ეს აქტი, (a) ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით, ძალაში შედის სამი თვის შემდეგ თარიღიდან, როდესაც მისი მიერთების შესახებ შეტყობინება გავრცელდა გენერალური დირექტორის მიერ, თუ მიერთების დოკუმენტში უფრო გვიანი თარიღი არ იყო მითითებული. მეორე შემთხვევაში, ეს აქტი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(3) კავშირის არაწევრი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მიერთების შესახებ დოკუმენტს დეპოზიტზე წარადგენს ამ აქტის მთლიანად ძალაში შესვლის შემდეგ, ან ამ თარიღამდე ერთ თვზე ნაკლები დროით ადრე, ეს აქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც მისი მიერთების შესახებ შეტყობინება გავრცელდა გენერალური დირექტორის მიერ, თუ მიერთების დოკუმენტში უფრო გვიანი თარიღი არ იყო მითითებული. მეორე შემთხვევაში, ეს აქტი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღით.

მუხლი 22
[რატიფიკაციის ან მიერთების შედეგები]

მე–20(1)(b) და 28(2) მუხლებით დაშვებული შესაძლო გამონაკლისების გათვალისწინებით, რატიფიკაციას ან მიერთებას ავტომატურად მოსდევს ამ აქტის ყველა დებულების აღიარება და ყველა უპირატესობით სარგებლობა.

მუხლი 23
[ადრინდელ აქტებთან მიერთება]

ამ აქტის მთლიანად ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყანას შეუძლია არ მიუერთდეს ამ კონვენციის ადრინდელ აქტებს.

მუხლი 24
[ტერიტორიები]

(1) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია მისი რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტში განაცხადოს, ან შემდგომში ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინებით გენერალურ დირექტორს აცნობოს, რომ ეს კონვენცია მოქმედებს მთელ ტერიტორიაზე ან მის იმ ნაწილზე, რომელზეც მითითებულია განცხადებაში ან შეტყობინებაში და რომლის საგარეო ურთიერთობებზეც იგი არის პასუხისმგებელი.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა ასეთი განცხადება ან გაგზავნა ასეთი შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს კონვენცია წყვეტს მოქმედებას მთელ ასეთ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე.

(3) (a) წინა (1) პუნქტის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ძალაში შედის იმავე თარიღიდან, როდესაც – ის რატიფიკაცია ან მიერთება, რომლის შესაბამისი დეპოზიტზე წარსადგენი დოკუმენტიც შეიცავს ასეთ განცხადებას, ხოლო ამავე პუნქტის მიხედვით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ ამის შესახებ შეტყობინების გავრცელებიდან სამი თვის შემდეგ.

(b) წინა მე–(2) პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მუხლი 25
[კონვენციის განხორციელება ეროვნულ დონეზე]

(1) ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა იღებს ვალდებულებას თავისი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს ზომები ამ კონვენციის გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) მიღწეულია შეთანხმება, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც ქვეყანა მისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტს წარადგენს დეპოზიტზე, მას ექნება შესაძლებლობა ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე აამოქმედოს ამ კონვენციის დებულებები.

მუხლი 26
[დენონსაცია]

(1) ეს კონვენცია რჩება ძალაში დროითი შეზღუდვის გარეშე.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორისათვის

შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ასეთი დენონსაცია ასევე განაპირობებს ადრეული აქტების დენონსაციას და ეხება მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ეს დენონსაცია, კონვენცია მთლიანად რჩება ძალაში და მოქმედებს კავშირის სხვა ქვეყნების მიმართ.

(3) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რომელიმე ქვეყნის მიერ, კავშირში მისი გაწევრიანების თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე.

მუხლი 27
[ადრინდელი აქტების გამოყენება]

(1) ეს აქტი ცვლის 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენციას და მის მომდევნო, გადასინჯვის შედგად მიღებულ აქტებს იმ ქვეყნების ურთიერთობების მიმართ, რომლებზეც იგი ვრცელდება და იმ მოცულობით, რამდენადაც იგი გამოიყენება.

(2) (a) ქვეყნების მიმართ, რომლებზეც ეს აქტი არ ვრცელდება მთლიანობაში, მაგრამ ვრცელდება 1958 წლის 31 ოქტომბრის ლისაბონის აქტი, უკანასკნელი ძალაში რჩება მთლიანობაში ან ისეთი მოცულობით, რომ ეს აქტი არ ცვლის მას (1) პუნქტის საფუძველზე. (b) ასევე, ქვეყნების მიმართ, რომლებზეც არ ვრცელდება არც ეს აქტი, არც მისი ნაწილი, არც ლისაბონის აქტი, ძალაში რჩება 1934 წლის 2 ივნისის ლონდონის აქტი მთლიანობაში ან ისეთი მოცულობით, რომ ეს აქტი არ ცვლის მას (1) პუნქტის საფუძველზე.

(c) ასევე, ქვეყნების მიმართ, რომლებზეც არ ვრცელდება არც ეს აქტი, არც მისი ნაწილი, არც ლისაბონის აქტი, არც 1934 წლის 2 ივნისის ლონდონის აქტი, ძალაში რჩება 1925 წლის 6 ნოემბრის ჰააგის აქტი მთლიანობაში ან ისეთი მოცულობით, რომ ეს აქტი არ ცვლის მას (1) პუნქტის საფუძველზე.

(3) კავშირის არაწევრი ქვეყნები, რომლებიც გახდნენ ამ აქტის მონაწილენი იყენებენ მას კავშირის იმ ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობაში, რომელიც არ არის ამ აქტის მონაწილე, ან რომელიც არის ამ აქტის მონაწილე, მაგრამ გააკეთა განცხადება მე-20(1)(b)(i) მუხლის შესაბამისად. ასეთი ქვეყნები აღიარებენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში შეუძლიათ გამოიყენონ იმ ბოლო აქტის დებულებები, რომლის მონაწილეც არის იგი.

მუხლი 28
[დავები]

(1) კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის ამ კონვენციის ინტერპრეტაციის ან გამოყენების თაობაზე ნებისმიერ იმ დავასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ მოგვარდა, დაინტერესებული ქვეყნებიდან ნებისმიერის მიერ შეიძლება შეტანილ იქნეს გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სასამართლოს შესახებ სტატუტის შესაბამისად მისი წარდგენის გზით, თუ დაინტერესებული ქვეყნები არ შეთანხმდებიან დავის მოგვარების რაიმე სხვა ხერხზე. ქვეყანა, რომელიც სარჩელს წარადგენს სასამართლოში, ამის შესახებ ატყობინებს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურო იღებს ზომებს, რათა ამ საკითხზე მიაპყროს კავშირის სხვა ქვეყნების ყურადღება.

(2) ამ აქტის ხელმოწერის ან მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენისას თითოეულ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ მასზე არ ვრცელდება

(1) პუნქტის დებულებები. ასეთ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის დავასთან დაკავშირებით (1) პუნქტის დებულებები არ გამოიყენება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება მე-(2) პუნქტის დებულებების შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეუძლია გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით უკან გამოითხოვოს განცხადება.

მუხლი 29
[ხელმოწერა, ენები, დეპოზიტარის ფუნქციები]

(1) (a) ამ აქტზე ხელი მოეწერება ერთ პირად ფრანგულ ენაზე და დეპოზიტზე წარედგინება შვედეთის მთავრობას.
(b) ოფიციალური ტექსტი ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუსულ და ესპანურ ენებზე, და სხვა ისეთ ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს ასამბლეამ, დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ.
(c) სხვადასხვა ენაზე ტექსტების ინტერპრეტაციის თაობაზე აზრთა განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1968 წლის 13 იანვრამდე სტოკჰოლმში.

(3) გენერალური დირექტორი ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის შვედეთის მთავრობის მიერ დამოწმებულ ორ ასლს უგზავნის კავშირის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში – ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი ამ აქტის რეგისტრაციას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას ატყობინებს ხელმოწერების, რატიფიკაციის ან მიერთების თაობაზე დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენის და ნებისმიერი იმ განცხადების შესახებ, რომლებსაც შეიცავს ასეთი დოკუმენტები, ან რომლებიც გაკეთებულია მე-20(1)(c) მუხლის შესაბამისად, ამ აქტის ნებისმიერი დებულების ძალაში შესვლის, დენონსაციისა და 24-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული შეტყობინების შესახებ.

მუხლი 30
[გარდამავალი დებულებები]

(1) პირველი გენერალური დირექტორის მიერ თანამდებობის დაკავებამდე, ამ აქტში ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროზე ან გენერალურ დირექტორზე მითითება ითვლება მითითებად კავშირის ბიუროზე ან მის გენერალურ დირექტორზე შესაბამისად.

(2) კავშირის ქვეყნებს, რომლებსაც არ აქვთ აღებული მე-13-დან მე-17-მდე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები, შეუძლიათ ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის გავადაში სურვილისამებრ, ისარგებლონ, ამ აქტის მე-13-დან მე-17-მდე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, ისე თითქოს ეს მუხლები მათთვის სავალდებულოა. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ისარგებლოს ასეთი უფლებებით, ამ მიზნით გენერალურ დირექტორს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელიც ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან. ასეთი ქვეყნები ითვლება ასამბლეის წევრებად აღნიშნული ვადის ამოწურვამდე.

(3) ვიდრე კავშირის ყველა ქვეყანა არ გახდება ორგანიზაციის წევრი, ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო აგრეთვე ფუნქციონირებს, როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი – როგორც აღნიშნული ბიუროს დირექტორი.

(4) მას შემდეგ, რაც კავშირის ყველა ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება გადაეცემა ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს.

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია

მიღებულია 1886 წლის 9 სექტემბერს

შევსებულია პარიზში 1896 წლის 4 მაისს; გადასინჯულია ბერლინში 1908 წლის 13 ნოემბერს; შევსებულია ბერნში 1914 წლის 20 მარტს; გადასინჯულია – რომში 1928 წლის 2 ივნისს, ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს, სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და პარიზში 1971 წლის 24 ივლისს და შეცვლილია 1979 წლის 28 სექტემბერს

კავშირის ქვეყნებმა, რომლებიც ერთნაირად არიან განმსჭვალულნი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებების შეძლებისდაგვარად ეფექტურად და ერთგვაროვნად დაცვის სურვილით, აღიარებენ რა კონვენციის გადასინჯვის მიზნით 1967 წელს სტოკჰოლმში გამართული კონფერენციის მუშაობის მნიშვნელობას, გადაწყვიტეს გადასინჯონ სტოკჰოლმის კონფერენციის მიერ მიღებული აქტი, ამ აქტის 1–20 და 22–26 მუხლების უცვლელად დატოვებით. აქედან გამომდინარე, ქვემორე ის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებმაც წარადგინეს თავიანთი სრული უფლებამოსილებანი შესაბამისი ფორმით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
[კავშირის დაარსება][1]

ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ავტორთა უფლებების დასაცავად მათ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე.

მუხლი 2
[დაცული ნაწარმოებები: 1. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები”; 2. ფიქსაციის შესაძლო მოთხოვნა; 3. წარმოებული ნაწარმოებები; 4. ოფიციალური ტექსტები; 5. კრებულები; 6. დაცვის ვალდებულება; პირები, რომლებიც სარგებლობენ დაცვის უფლებით; 7. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები და სამრეწველო დიზაინები; 8. ახალი ამბები]

(1) გამოთქმა „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები” მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მისი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორიცაა: წიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით ან ტექსტის გარეშე; კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული, გრაფიკული და ლითოგრაფიული ნაწარმოებები; ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც გათანაბრებულია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები; ილუსტრაციები, გეოგრაფიული

1 ისმო-ს შენიშვნა: კონვენციის ტექსტით სარგებლობის გაადვილების მიზნით, თითოეულ მუხლსა და დამატებით კარს აქვს სათაური. ხელმოწერილ ტექსტში სათაურები არ არის.

რუკები, გეგმები, ესკიზები და მოცულობითი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას.

(2) მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება დააწესოს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ან მათი გარკვეული კატეგორიები არ ექვემდებარება დაცვას, თუ ისინი არ არის დაფიქსირებული რაიმე მატერიალური ფორმით.

(3) თარგმანები, ადაპტაციები, მუსიკალური არანჟირებები და ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების სხვა სახეცვლილებები დაცულია როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ორიგინალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების შელახვის გარეშე.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს დაცვა, რომელიც ენიჭება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და იურიდიული ხასიათის ოფიციალურ ტექსტებსა და ასეთი ტექსტების ოფიციალურ თარგმანებს.

(5) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების კრებულები, მაგალითად ენციკლოპედიები და ანთოლოგიები, რომლებიც მასალის შერჩევისა და განლაგების გამო, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, დაცულია როგორც ასეთი, ამგვარი კრებულების შემადგენელი თითოეული ნაწარმოების ავტორის უფლებების შეულვის გარეშე.

(6) ამ მუხლში აღნიშნული ნაწარმოებები სარგებლობს დაცვით კავშირის ყველა ქვეყანაში. ეს დაცვა მოქმედებს ავტორისა და მისი უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ.

(7) ამ კონვენციის მუხლის 7(4) დებულებების გათვალისწინებით, კავშირის ქვეყნებს რჩებათ უფლება გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის და სამრეწველო დიზაინებისა და მოდელებისათვის განსაზღვროს მათი კანონების გამოყენების ფარგლები, ასევე, ამგვარი ნაწარმოებების, დიზაინებისა და მოდელების დაცვის პირობები. ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოშობის ქვეყანაში დაცულია მხოლოდ, როგორც დიზაინები და მოდელები, კავშირის სხვა ქვეყანაში აქვს მხოლოდ, ისეთი სპეციალური დაცვის უფლება, როგორიც ენიჭება ამ ქვეყანაში დიზაინებსა და მოდელებს. თუმცა, თუ ამ ქვეყანაში არ ხდება ასეთი სპეციალური დაცვის მინიჭება, ეს ნაწარმოებები დაიცვება, როგორც ხელოვნების ნაწარმოებები.

(8) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებზე ან სხვადასხვა ფაქტებზე, რომელთაც უბრალო პრეს–ინფორმაციის ხასიათი აქვს.

მუხლი 2[bis]

[გარკვეული ნაწარმოებების დაცვის შესაძლო შეზღუდვა: 1. გარკვეული გამოსვლები; 2. ლექციებისა და მიმართვების გარკვეული გამოყენება; 3. ამგვარი ნაწარმოებების კრებულების შედგენის უფლება]

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება წინა მუხლით გათვალისწინებული დაცვიდან სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხოს პოლიტიკური გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას ასევე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომლებითაც ლექციები, მიმართვები და ამავე ხასიათის საჯაროდ წარმოთქმული სხვა ნაწარმოებები შეიძლება რეპროდუცირებულ იქნეს პრესის მეშვეობით, გადაიცეს ეთერით, გადაიცეს საყოველთაო გაცნობისათვის სადენის მეშვეობით და გახდეს საყოველთაო გაცნობის საგანი, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კონვენციის 11[bis] მუხლის (1) პუნქტში,

როდესაც ამგვარი გამოყენება გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

(3) მიუხედავად ამისა, ავტორი სარგებლობს წინა პუნქტებში მითითებული, თავისი ნაწარმოებების კრებულის შედგენის განსაკუთრებული უფლებით.

მუხლი 3
[დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები: 1. ავტორის მოქალაქეობა; ნაწარმოების გამოქვეყნების ადგილი; 2. ავტორის საცხოვრებელი ადგილი; 3. „გამოქვეყნებული" ნაწარმოებები; „ერთდროულად გამოქვეყნებული" ნაწარმოებები]

(1) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა ვრცელდება:

(a) ავტორებზე, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების მიმართ.

(b) ავტორებზე, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მათი ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ამ ქვეყანაში, ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ქვეყანაში.

(2) ავტორები, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში, ამ კონვენციის მიზნებისთვის უთანაბრდებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

(3) „გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში" იგულისხმება ავტორების თანხმობით გამოქვეყნებული ნაწარმოებები, მიუხედავად ეგზემპლარების დამზადების საშუალებებისა იმ პირობით, თუ ამ ეგზემპლარების რაოდენობა, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს. გამოქვყნებად არ ჩაითვლება რამატული, მუსიკალურ-დრამატული, კინემატოგრაფიული ნაწარმოების ან მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო წაკითხვა, ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების გადაცემა სადენით ან ეთერის საშუალებით, ხელოვნების ნაწარმოების გამოფენა და არქიტექტურული ნაწარმოების აგება.

(4) ნაწარმოები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში გამოქვეყნებულად მიიჩნევა, თუ ის გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

მუხლი 4
[კინემატოგრაფიული ნაწარმოებების, არქიტექტურული ნაწარმოებებისა და ხელოვნების გარკვეული ნაწარმოებებისათვის დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები]

(1) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ სრულდება მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები, ვრცელდება:

(a) იმ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებზე, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ-ბინა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში;

(b) იმ არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც აგებულია კავშირის რომელიმე ქვეყანაში, ან ხელოვნების იმ სხვა ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც შეადგენენ კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

მუხლი 5
[გარანტირებული უფლებები: 1. და 2. წარმოშობის ქვეყნის გარეთ; 3. წარმოშობის ქვეყანაში; 4. „წარმოშობის ქვეყანა”]

(1) ამ კონვენციით დაცული ნაწარმოებების მიმართ ავტორები, კავშირის ქვეყნებში, ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის გარდა, სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ ამჟამად და შესაძლოა მიენიჭოთ მომავალში მათ მოქალაქეებს ქვეყნის შესაბამისი კანონებით, ასევე, ამ კონვენციით სპეციალურად მინიჭებული უფლებებით.

(2) ამ უფლებებით სარგებლობა და მათი გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობის შესრულებაზე; ასეთი სარგებლობა და გამოყენება არ არის დამოკიდებული ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დაცვის არსებობაზე. აქედან გამომდინარე, ამ კონვენციის დებულებების გარდა, დაცვის ფარგლები, ისევე როგორც ავტორის უფლებების დასაცავად მინიჭებული ზიანის ანაზრაურების საშუალებები, რეგულირდება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(3) დაცვა წარმოშობის ქვეყანაში რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. თუმცა, თუ ავტორი არ არის იმ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლისთვისაც მას კონვენციით ენიჭება დაცვა, ამ ქვეყანაში იგი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორითაც ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორები.

(4) წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა:

(a) კავშირის რომელიმე ქვეყანაში ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების შემთხვევაში, – ეს ქვეყანა; ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, რომლებიც დაცვის სხვადასხვა ვადას ანიჭებენ, – ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც დადგენილია დაცვის უმოკლესი ვადა;

(b) ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ერთ–ერთ ქვეყანაში, – ეს უკანასკნელი ქვეყანა;

(c) იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებები არ არის გამოქვეყნებული, ან ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, კავშირის რომელიმე ქვეყანაში ერთდროულად გამოქვეყნების გარეშე, – ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ავტორი, იმ პირობით, რომ:

(i) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისათვის, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ–ბინა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ქვეყანაში, წარმოშობის ქვეყანა არის ეს ქვეყანა, და

(ii) კავშირის ქვეყანაში აგებული არქიტექტურული ნაწარმოებების ან ხელოვნების სხვა ნაწარმოებებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს, წარმოშობის ქვეყანა არის ეს ქვეყანა.

მუხლი 6
[დაცვის შესაძლო შეზღუდვა გარკვეული ნაწარმოებების მიმართ იმ გარკვეული ქვეყნების მოქალაქეთათვის, რომლებიც არ შედიან კავშირში: 1. პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში; 2. უკუძალის არარსებობა; 3. შეტყობინება]

(1) თუ რომელიმე ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს იმ ავტორების ნაწარმოებების დაცვას, რომლებიც არიან კავშირის ერთ–ერთი ქვეყნის მოქალაქეები, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს იმ ავტორთა ნაწარმოებებისთვის მინიჭებული დაცვა, რომლებიც პირველი გამოქვეყნების თარიღისათვის არიან სხვა ქვეყნის

მოქალაქეები და არ აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში. თუ პირველი გამოქვეყნების ქვეყანა ისარგებლებს ამ უფლებით, კავშირის სხვა ქვეყნებს არ მოეთხოვებათ განსაკუთრებულ რეჟიმს დაქვემდებარებულ ნაწარმოებებს მიანიჭონ იმ დაცვაზე უფრო ფართო დაცვა, ვიდრე მათ აქვთ მინიჭებული პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში.

(2) წინა პუნქტით დადგენილი არანაირი შეზღუდვა არ ახდენს გავლენას იმ უფლებებზე, რომლებიც შეძენილი აქვს ავტორს კავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოქვეყნებული ნაწარმოების მიმართ, ასეთი შეზღუდვის ძალაში შესვლამდე.

(3) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად ზღუდავენ საავტორო უფლებების მინიჭებას, ამის შესახებ აცნობებენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს (შემდგომ – „გენერალური დირექტორი") წერილობითი დეკლარაციით, რომელშიც განსაზღვრულია ის ქვეყნები, რომელთა მიმართაც იზღუდება დაცვა, ასევე, შეზღუდვები, რომლებსაც ექვემდებარება იმ ავტორთა უფლებები, რომლებიც ამ ქვეყნების მოქალაქეები არიან. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა ქვეყანას ამ დეკლარაციის შესახებ.

მუხლი 6[bis]

[არაქონებრივი უფლებები: 1. ავტორად აღიარების მოთხოვნა; შედავება გარკვეულ ცვლილებებსა და სხვა დამრღვევ ქმედებებთან დაკავშირებით; 2. ავტორის გარდაცვალების შემდეგ; 3. ზიანის ანაზღაურების საშუალებები]

(1) ავტორის ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ გაუკუღმართებას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას.

(2) წინა პუნქტის შესაბამისად ავტორისათვის მინიჭებული უფლებები ინარჩუნებს ძალას მისი გარდაცვალების შემდეგ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლამდე და ხორციელდება იმ პირების ან დაწესებულებების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა იმ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობა, ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების მომენტში, არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყოფენ წინა პუნქტში ჩამოთვლილი ყველა უფლების დაცვას, შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთი ეს უფლება შეწყდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

(3) ზიანის ანაზღაურების საშუალებები ამ მუხლით მინიჭებული უფლებების უზრუნველსაყოფად რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

მუხლი 7

[დაცვის ვადა: 1. ზოგადი დებულება; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისთვის; 3. ანონიმურად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის; 4. ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის; 5. ათვლის დაწყების თარიღი; 6. უფრო ხანგრძლივი ვადები; 7. უფრო ხანმოკლე ვადები; 8. გამოსაყენებელი კანონი; ვადების „შედარება"]

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლის მთელ პერიოდსა და ორმოცდაათ წელს მისი გარდაცვალების შემდეგ.

(2) მიუხედავად ამისა, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში, კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ მას მერე, რაც ნაწარმოები ავტორის თანხმობით ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, ან – თუ ასეთი ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს ვერ განხორციელდა, – ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში, ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ, შემდეგ მას მერე რაც ნაწარმოები კანონიერად გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. თუმცა, თუ ავტორის ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს მის ვინაობასთან დაკავშირებით, დაცვის ვადა შეადგენს (1) პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდს. თუ ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, გამოიყენება (1) პუნქტით დადგენილი დაცვის ვადა. კავშირის ქვეყნებს არ მოეთხოვებათ დაიცვან ანონიმურად ან ფსევდონიმით შესრულებული ნაწარმოებები, რომელთა მიმართაც არსებობს სრული საფუძველი ვარაუდისა, რომ მათი ავტორის გარდაცვალებიდან გასულია ორმოცდაათი წელი.

(4) ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ვადა განისაზღვრება კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით იმდენად, რამდენადაც ისინი დაცულია, როგორც მხატვრული ნაწარმოებები; თუმცა, ეს ვადა უნდა გაგრძელდეს ნაწარმოების შექმნიდან, სულ მცირე, ოცდახუთწლიანი პერიოდის ბოლომდე.

(5) ავტორის გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული დაცვის ვადა და (2), (3) და (4) პუნქტებით გათვალისწინებული ვადები აითვლება ავტორის გარდაცვალების ან ამ პუნქტებში მითითებული მოვლენის თარიღიდან, მაგრამ ასეთი ვადების ათვლის თარიღად ყოველთვის მიიჩნევა ავტორის გარდაცვალების ან ასეთი მოვლენის შემდგომი წლის 1 იანვარი.

(6) კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ დაადგინონ დაცვის ვადა, რომელიც აღემატება წინა პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებს.

(7) კავშირის ქვეყნებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულებები ამ კონვენციის რომის აქტით, და რომლებიც ამ აქტის ხელმოწერის დროისათვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით ანიჭებენ დაცვის უფრო ხანმოკლე ვადებს, ვიდრე წინა პუნქტებშია გათვალისწინებული, უფლება აქვთ, ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს, ძალაში დატოვონ ეს ვადები.

(8) ნებისმიერ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს ვადა არ აღემატება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილ ვადას.

მუხლი 7[bis]
[თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების დაცვის ვადა]

წინა მუხლის დებულებები გამოიყენება, ასევე, თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ვადები, რომლებიც განისაზღვრება ავტორის გარდაცვალების დროიდან, აითვლება უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი ავტორის გარდაცვალების დღიდან.

მუხლი 8
[თარგმნის უფლება]

ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები, ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების დაცვის მთელი ვადის განმავლობაში, სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით თავისი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმნაზე ნებართვის გაცემის.

მუხლი 9
[რეპროდუცირების უფლება: 1. ზოგადი დებულება; 2. შესაძლო გამონაკლისები; 3. ხმისა და გამოსახულების ჩანაწერები]

(1) ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ ამ ნაწარმოებების ნებისმიერი სახით ან ფორმით რეპროდუცირებაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება, გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაუშვას ასეთი ნაწარმოებების რეპროდუცირება იმ პირობით, თუ ასეთი რეპროდუცირება არ აყენებს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებასა და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

(3) ამ კონვენციის მიზნებისთვის ხმის ან გამოსახულების ნებისმიერი ჩანაწერი მიიჩნევა რეპროდუცირებად.

მუხლი 10
[ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების გარკვეული შემთხვევები: 1. ციტატები; 2. ილუსტრაციები სწავლების მიზნით; 3. წყაროსა და ავტორის მითითება]

(1) დასაშვებია ციტატების მოყვანა ნაწარმოებიდან, რომელიც კანონიერად უკვე გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ ეს შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან და მისი მოცულობა გამართლებულია დასახული მიზნით, მათ შორის, სტატიების ციტირება ჟურნალ-გაზეთებიდან პრესის მიმოხილვის ფორმით..

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით და მათ შორის უკვე არსებული ან მომავალში დადებული სპეციალური შეთანხმებებით, შეიძლება ნებადართული იყოს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ილუსტრაციის სახით გამოყენება დასახული მიზნით გამართლებული მოცულობით, სასწავლო ხასიათის გამოცემებში, საეთერო გადაცემებში, ან ხმის ან გამოსახულების ჩანაწერებში, იმ პირობით, თუ ასეთი გამოყენება თავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან.

(3) ამ მუხლის წინა პუნქტების თანახმად, ნაწარმოებების გამოყენებისას მითითებული უნდა იყოს წყარო და ავტორის სახელი, თუ ის აღნიშნულია ამ წყაროში.

მუხლი 10bis
[ნაწარმოებების შესაძლო თავისუფალი გამოყენების დამატებითი შემთხვევები: 1. გარკვეული სტატიებისა და ეთერით გადაცემული ნაწარმოებების; 2. მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას ნაჩვენები ან გაჟღერებული ნაწარმოებები]

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება დაუშვას მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან რელიგიურ საკითხებზე გაზეთებში ან პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული

სტატიებისა და ეთერით გადაცემული ამავე ხასიათის ნაწარმოებების პრესის საშუალებით რეპროდუცირება, ეთერით გადაცემა ან სადენით საყოველთაოდ გაცნობა იმ შემთხვევაში, როდესაც მათ რეპროდუცირებასთან, ეთერით გადაცემასა ან საყოველთაოდ გაცნობასთან დაკავშირებით არ არსებობს საგანგებო დათქმები. თუმცა, ყოველთვის მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული წყარო; ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას, ასევე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის, ეთერით გადაცემის ან სადენით საყოველთაო გაცნობის საშუალებით, მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას, რეპროდუცირებულ იქნეს და საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით გახდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ისმის ან ჩანს მოვლენის მსვლელობისას.

მუხლი 11
[გარკვეული უფლებები დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებებზე: 1. საჯარო შესრულების და შესრულების საყოველთაო გაცნობის უფლება; 2. თარგმანებთან დაკავშირებით]

(1) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

(i) თავიანთი ნაწარმოებების საჯარო შესრულებაზე, ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო შესრულების ჩათვლით;

(ii) საყოველთაო გაცნობის მიზნით, თავიანთი ნაწარმოებების შესრულების ნებისმიერი ხერხით გადაცემაზე.

(2) ასეთივე უფლებებით სარგებლობენ დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ავტორები ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების სრული ვადის განმავლობაში.

მუხლი 11[bis]
[ეთერით გადაცემა და მასთან დაკავშირებული უფლებები: 1. ეთერით გადაცემა და სხვა სახის უსადენო გადაცემები, საეთერო გადაცემის საყოველთაო გაცნობა სადენით ან ეთერით ხელახალი გადაცემის საშუალებით, საეთერო გადაცემის საყოველთაო გაცნობა ხმამაღლამოლაპარაკის ან ანალოგიური ხელსაწყოს მეშვეობით; 2. იძულებითი ლიცენზიები; 3. ჩაწერა; ჩანაწერები ხანმოკლე გამოყენებისათვის]

(1) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

(i) თავიანთი ნაწარმოებების ეთერით გადაცემაზე, ან ამ ნაწარმოებების საყოველთაო გაცნობაზე ნიშნების, ხმების ან გამოსახულებების უსადენო გადაცემის ნებისმიერი სხვა საშუალებით;

(ii) ეთერით გადაცემული ნაწარმოების ნებისმიერ საყოველთაო გაცნობის სადენით ან ეთერით რეტრანსლიაციის მეშვეობით, თუ მას ახორციელებს არა პირვანდელი, არამედ სხვა ორგანიზაცია;

(iii) ეთერით გადაცემული ნაწარმოების საყოველთაო გაცნობაზე ხმამაღლამოლაპარაკით, ნიშნების, ბგერების ან გამოსახულებების გადამცემი ნებისმიერი სხვა ანალოგიური ხელსაწყოს მეშვეობით.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება წინა პუნქტში გათვალისწინებული უფლებების განხორციელების პირობები, თუმცა პირობები იმოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი იქნა დადგენილი. ეს პირობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ავტორის არაქონებრივ უფლებებსა და სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებას, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს კომპეტენტური ორგანო.

(3) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად გაცემული ნებართვა, არ გულისხმობს ეთერით გადაცემული ნაწარმოების ჩაწერის ნებართვას ბგერებისა ან გამოსახულებების ჩამწერი ხელსაწყოების მეშვეობით. თუმცა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს ხანმოკლე გამოყენების ჩანაწერების შესრულების წესები, რასაც ახორციელებს სამაუწყებლო ორგანიზაცია საკუთარი მოწყობილობებით და იყენებს საკუთარი საეთერო გადაცემებისთვის. ამგვარი კანონმდებლობით შესაძლებელია ნებადართული იყოს ოფიციალურ არქივებში ასეთი ჩანაწერების შენახვა მათი განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო.

მუხლი 11ter
[გარკვეული უფლებები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე: 1. საჯაროდ წაკითხვის უფლება და წაკითხულის საყოველთაო გაცნობის უფლება; 2. თარგმანებთან დაკავშირებით]

(1) ლიტერატურის ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:
(i) თავიანთი ნაწარმოებების საჯარო წაკითხვაზე, მათ შორის ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო წაკითხვის ჩათვლით;
(ii) თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი წაკითხვის საყოველთაო გაცნობისათვის საჯარო გადაცემაზე.

(2) ასეთივე უფლებებით სარგებლობენ ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორები თავიანთი ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

მუხლი 12
[ადაპტაციის, არანჟირებისა და სხვა ცვლილებათა უფლება]

ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ნაწარმოებების ადაპტირების, არანჟირებებისა და სხვა ცვლილებების ნებართვა.

მუხლი 13
[მუსიკალური ნაწარმოებებისა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექსტების ჩაწერის უფლების შესაძლო შეზღუდვა; 1. იძულებითი ლიცენზიები; 2. გარდამავალი ღონისძიებები; 3. ავტორის ნებართვის გარეშე იმპორტირებული ეგზემპლარებზე ყადაღის დადება]

(1) კავშირის თითოეულ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დააწესოს დათქმები და პირობები მუსიკალური ნაწარმოებების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით, რომელმაც გასცა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად ტექსტის ჩაწერის ნებართვა, რათა გასცეს ასეთ ტექსტთან ერთად, თუ ამგვარი არსებობს, ამ მუსიკალური ნაწარმოების აუდიოჩანაწერის დამზადების ნებართვა; თუმცა ყველა ასეთი დათქმა და პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებმაც ისინი დააწესა და

არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ამ ავტორების უფლებას მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს უფლებამოსილი ორგანო.

(2) რომში 1928 წლის 2 ივნისს და ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს ხელმოწერილი კონვენციების 13(3) მუხლის შესაბამისად, კავშირის ქვეყნებში დამზადებული მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერების რეპროდუცირება შესაძლებელია მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებართვის გარეშე ამ ქვეყანაში, ვიდრე ორი წელი არ გავა ქვეყანისათვის ამ აქტით ვალდებულების დაკისრების შემდეგ.

(3) ამ მუხლის (1) და (2) პუნქტების თანახმად, დამზადებული ჩანაწერები, იმპორტირებული დაინტერესებული მხარეების ნებართვის გარეშე იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი მიჩნეულია უკანონოდ, ექვემდებარება ყადაღის დადებას.

მუხლი 14
[კინემატოგრაფიასთან დაკავშირებული უფლებები: 1. კინემატოგრაფიული ადაპტაცია და რეპროდუცირება; გავრცელება; ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულება ან საყოველთაო გაცნობა სადენის მეშვეობით; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ადაპტაცია; 3. იძულებითი ლიცენზიების გამოუყენებლობა]

(1) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

(i) ამ ნაწარმოებების კინემატოგრაფიული ადაპტირებასა და რეპროდუცირებაზე და ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების გავრცელებაზე;

(ii) ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისა და სადენით საჯარო გადაცემაზე.

(2) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებიდან წარმოებული კინემატოგრაფიული პროდუქციის ადაპტაცია ნებისმიერ სხვა მხატვრულ ფორმად, კინემატოგრაფიული პროდუქციის ავტორის ნებართვის გარდა, აგრეთვე, საჭიროებს ორიგინალური ნაწარმოებების ავტორთა ნებართვასაც.

(3) 13(1) მუხლის დებულებები არ გამოიყენება.

მუხლი 14bis
[კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები: 1. „ორიგინალურ" ნაწარმოებებთან გათანაბრება; 2. უფლებების მფლობელები; ნაწარმოების შექმნაში წვლილის შემტან გარკვეულ პირთა ზოგიერთი უფლებების შეზღუდვა; 3. ნაწარმოების შექმნაში წვლილის შემტანი ზოგიერთი სხვა პირები]

(1) კინემატოგრაფიული ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, საავტორო უფლებების შეულახავად იმ ნებისმიერ ნაწარმოებზე, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ადაპტირებული ან რეპროდუცირებული. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორითაც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი, წინა მუხლში გათვალისწინებული უფლებების ჩათვლით.

(2)(a) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(b) მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელთა შორის ითვალისწინებს ავტორებს, რომლებმაც შეიტანეს წვლილი ნაწარმოების შექმნაში, ასეთ ავტორებს, თუ მათ იკისრეს ამგვარი წვლილის შეტანა, არ შეუძლიათ, ნებისმიერი საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობის არარსებობისას, წინააღმდეგობა გაუწიონ ნაწარმოების რეპროდუცირებას, გავრცელებას, საჯარო შესრულებას, სადენით საყოველთაო გაცნობას, ეთერით გადაცემას ან ნებისმიერ სხვა სახის საყოველთაო გაცნობას, ასევე, ტექსტების სუბტიტრირებას ან დუბლირებას.
(c) საკითხს იმის შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა წერილობითი შეთანხმების ან თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის ფორმა, ზემოაღნიშნულ ვალდებულებას (b) ქვეპუნქტის გამოყენების მიზნით, განსაზღვრავს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელშიც კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებელს აქვს თავისი შტაბ–ბინა, ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. თუმცა, კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა, განისაზღვრება აღნიშნულ ვალდებულებას ექნება წერილობითი შეთანხმების თუ თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის ფორმა. ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს ამას, ატყობინებენ აღნიშნულის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი დეკლარაციით, რომლის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.
(d) „საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობა” ნიშნავს ნებისმიერ შემზღუდავ პირობას, რომელიც შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებას.

(3) თუ ეროვნული კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ზემოთ აღნიშნული (2)(b) პუნქტის დებულებები არ ვრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოებისთვის შექმნილი სცენარების, დიალოგებისა და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებსა ან მის დამდგმელ რეჟისორზე. თუმცა, კავშირის ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს აღნიშნული (2)(b) პუნქტის გამოყენებას დამდგმელი რეჟისორის მიმართ, აცნობებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომლის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

მუხლი 14ter

[„Droit de suite”[2] ხელოვნების ნაწარმოებებსა და ხელნაწერებზე; უფლება ხელახალი გაყიდვით მიღებული შემოსავლის წილზე; გამოსაყენებელი კანონი; 3. პროცედურა]

(1) ავტორი ან, მისი გარდაცვალების შემდეგ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირები, ან დაწესებულებები, ხელოვნების ნაწარმოებების ორგინალებთან და მწერლებისა და კომპოზიტორების ხელნაწერების ორგინალების მიმართ, ნაწარმოების ყოველი გაყიდვისას სარგებლობენ წილობრივი მონაწილეობის განუსხვისებელი უფლებით, რომელიც მოჰყვება ავტორის მიერ ნაწარმოების პირველ დათმობას.

(2) წინა პუნქტით გათვალისწინებული დაცვა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია იმ ქვეყანაში, საიდანაც არის ავტორი, და იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(3) თანხის შეგროვების პროცედურა და ოდენობა განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.

[2] „Droit de suite” – წილობრივი მონაწილეობის უფლება

მუხლი 15

[დაცული უფლებების განხორციელების უფლება: 1. როდესაც ავტორის სახელი მითითებულია ან ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს ავტორის ვინაობაში; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში; 3. ანონიმურად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში; 4. უცნობი ავტორის გარკვეული გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების შემთხვევაში]

(1) იმისათვის, რომ ამ კონვენციით დაცული ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორი, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნეოდეს ავტორად და შესაბამისად, იყოს უფლებამოსილი კავშირის ქვეყნებში აღძრას საქმე დარღვევასთან დაკავშირებით, საკმარისია მისი სახელის აღნიშვნა ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით. ეს პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს სახელი არის ფსევდონიმი და ავტორის მიერ შერჩეული ფსევდონიმი ეჭვს არ იწვევს მის ვინაობაში.

(2) კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებლად, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი აღნიშნულია ამ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში, (1) პუნქტში მითითებულის გარდა, გამომცემელი, რომლის სახელიც აღნიშნულია ნაწარმოებზე, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნევა ავტორის წარმომადგენლად და ამ სახით უფლებამოსილია დაიცვას და განახორციელოს ავტორის უფლებები. ამ პუნქტის დებულებების მოქმედება წყდება მაშინ, როდესაც ავტორი გაამხელს თავის ვინაობას და განაცხადებს თავის უფლებას ნაწარმოების ავტორობაზე.

(4)(a) გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების შემთხვევაში, როდესაც ავტორის ვინაობა უცნობია, მაგრამ არსებობს ვარაუდის ყველა საფუძველი, რომ იგი კავშირის ქვეყნის მოქალაქეა, ეს ქვეყანა განსაზღვრავს კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც იქნება ავტორის წარმომადგენელი და ექნება კავშირის ქვეყნებში მისი უფლებების დაცვისა და განხორციელების უფლებამოსილება.

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ დებულების შესაბამისად განსაზღვრავენ ასეთ ორგანოს, აცნობებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ამგვარად განსაზღვრული ორგანოს შესახებ. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს დეკლარაციის შესახებ კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

მუხლი 16

[უფლებების დარღვევით დამზადებული ასლები: 1. ყადაღის დადება; 2. ყადაღის დადება იმპორტირების დროს; 3. გამოსაყენებელი კანონი]

(1) უფლებების დარღვევით დამზადებული ნაწარმოების ასლები ექვემდებარება ყადაღის დადებას კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ეს ნაწარმოები სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.

(2) წინა პუნქტის დებულებები ვრცელდება ასევე რეპროდუქციებზე, რომელთა იმპორტირება ხდება ქვეყნიდან, რომელშიც ეს ნაწარმოები არ არის დაცული, ან აღარ სარგებლობს დაცვის უფლებით.

(3) ყადაღის დადება ხორციელდება თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17
[ნაწარმოებების ბრუნვაში გაშვების, პრეზენტაციისა და ჩვენების კონტროლის შესაძლებლობა]

ამ კონვენციის დებულებებს არ შეუძლიათ მოახდინონ რაიმე გავლენა კავშირის თითოეული ქვეყნის მთავრობის უფლებაზე კანონმდებლობით ან სხვა აქტებით დაუშვას, გააკონტროლოს ან აკრძალოს ნებისმიერი იმ ნაწარმოების ან პროდუქციის ბრუნვაში გაშვება, პრეზენტაცია ან ჩვენება, რომელთა მიმართაც კომპეტენტური ორგანო საჭიროდ მიიჩნევს ასეთი უფლების გამოყენებას.

მუხლი 18
[ნაწარმოებები, რომლებიც უკვე არსებობს კონვენციის ძალაში შესვლისას: 1. დაცულია, როდესაც წარმოშობის ქვეყანაში დაცვის ვადა ჯერ არ არის გასული; 2. დაუცველია, როცა დაცვის ვადა გასულია იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა; 3. ამ პრინციპების გამოყენება; 4. სპეციალური შემთხვევები]

(1) ეს კონვენცია გამოიყენება ყველა ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელიც მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის წარმოშობის ქვეყანაში, დაცვის ვადის გასვლის გამო, ჯერ არ ქცეულა საზოგადო კუთვნილებად.

(2) თუმცა, თუ ნაწარმოები ადრე მინიჭებული დაცვის ვადის გასვლის გამო, უკვე იქცა საყოველთაო კუთვნილებად ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვება დაცვა, ეს ნაწარმოები ხელახლა აღარ დაიცვება.

(3) აღნიშნული პრინციპი გამოიყენება იმ სპეციალური კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომლებიც დადებულია ამ მიზნით ან დაიდება მომავალში კავშირის ქვეყნებს შორის. ასეთი დებულებების არარსებობისას, შესაბამისი ქვეყნები თავად განსაზღვრავენ ამ პრინციპის გამოყენების პირობებს.

(4) წინა დებულებები გამოიყენება აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როცა კავშირს მიუერთდებიან ახალი ქვეყნები და იმ შემთხვევებშიც, როდესაც დაცვა ფართოვდება მე-7 მუხლის გამოყენების საფუძველზე ან დათქმებზე უარის თქმის შედეგად.

მუხლი 19
[კონვენციით გათვალისწინებულ დაცვაზე ფართო დაცვა]

ამ კონვენციის დებულებები არ ეწინააღმდეგება ნებისმიერი უფრო ფართო დაცვის მოთხოვნას, რომელიც შეიძლება იქნეს მინიჭებული კავშირის ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 20
[კავშირის ქვეყნებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებები]

კავშირის ქვეყნების მთავრობები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადების უფლებას, თუ ეს შეთანხმებები ანიჭებენ ავტორებს ამ კონვენციით მინიჭებულ უფლებებზე უფრო ფართო უფლებებს, ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას. უკვე არსებულ შეთანხმებათა დებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ პირობებს, გამოიყენება შემდგომშიც.

მუხლი 21
[სპეციალური დებულებები განვითარებადი ქვეყნების შესახებ: 1. მითითება დამატებით კარზე; 2. დამატებითი კარი – აქტის ნაწილი]

(1) სპეციალურ დებულებებს განვითარებადი ქვეყნების შესახებ შეიცავს დამატებითი კარი.

(2) 28(1)(b) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, დამატებითი კარი წარმოადგენს ამ აქტის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 22
[ასამბლეა: 1. დაფუძნება და შემადგენლობა; 2. ამოცანები; 3. კვორუმი, ხმის მიცემა, მეთვალყურეები; 4. მოწვევა; 5. პროცედურის წესები]

(1)(a) კავშირს აქვს ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის იმ ქვეყნებისგან, რომლებსაც აკისრიათ ვალდებულებები 22–26 მუხლებით.
(b) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს დამატებითი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.
(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც ის დანიშნა.

(2)(a) ასამბლეა:
- (i) განაგებს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის შენარჩუნებასა განვითარებას და ამ კონვენციის გამოყენებას;
- (ii) გადასინჯვის მიზნით მოწვეული კონფერენციების მომზადებასთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ – „საერთაშორისო ბიურო"), როგორც განსაზღვრულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომ – „ორგანიზაცია") დამფუძნებელ კონვენციაში, ამასთან, სათანადო ყურადღებას უთმობს კავშირის იმ ქვეყნების ნებისმიერ შენიშვნებს, რომლებსაც არ ეკისრებათ ვალდებულებები 22–26 მუხლებით;
- (iii) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას კავშირთან დაკავშირებით და აძლევს მას ყველა საჭირო ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ;
- (iv) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;
- (v) განიხილავს და ამტკიცებს თავისი აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებსა და საქმიანობას და აძლევს მას ინსტრუქციებს;
- (vi) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს მის ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;
- (vii) ამტკიცებს კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;
- (viii) ქმნის ექსპერტთა ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, როგორიც აუცილებლად მიაჩნია კავშირის მიზნების განხორციელებისათვის;
- (ix) განსაზღვრავს, კავშირის რომელი არაწევრი ქვეყანა და რომელი სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს მის სხდომებზე მეთვალყურეებად;
- (x) იღებს 22–26 მუხლების შესწორებებს;
- (xi) ახორციელებს ნებისმიერ სათანადო ქმედებას, რომელიც მიმართულია კავშირის მიზნების მისაღწევად;
- (xii) ასრულებს ყველა სხვა ისეთ ფუნქციას, რომელიც გამომდინარეობს ამ კონვენციიდან;

(xiii) მისი თანხმობის შემთხვევაში, ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებიც მინიჭებული აქვს ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციით.

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებადი სხვა კავშირებისათვისაც, ასამბლეა გადაწყვეტილებებს იღებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ.

(3) (a) ასამბლეის თითოეულ წევრ ქეყანას აქვს ერთი ხმა.
(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.
(c) (b) ქვეპუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ ნებისმიერ სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რიცხვი ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ მეტია ან ტოლი ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მესამედისა, ასამბლეას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა, საკუთარ პროცედურულ წესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, ყველა გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების შემთხვევაში. საერთაშორისო ბიურო აცნობებს აღნიშნულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ მას, და სთავაზობს გადაწყვეტილების გაგზავნის თარიღიდან სამი თვის განმავლობაში წერილობითი სახით აცნობონ აძლევენ ხმას ამ გადაწყვეტილებებს, წინააღმდეგნი არიან, თუ თავს იკავებენ. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს ხმის მიცემა ან თავის შეკავება, აღწევს იმ რაოდენობას, რომელიც აკლდა სესიაზე კვორუმის მისაღწევად, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის, იმ პირობით, რომ იმავდროულად შენარჩუნებული იქნება აუცილებელი უმრავლესობა.
(d) 26–ე მუხლის (2) პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე, ასამბლეის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების ორი მესამედი.
(e) თავის შეკავება არ ითვლება ხმის მიცემად.
(f) თითოეულ დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.
(g) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, მის სხდომებზე დაიშვებიან მხოლოდ როგორც მეთვალყურეები.

(4)(a) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით სესიაზე ყოველ მეორე კალენდარულ წელს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, იმავე დროსა და ადგილზე სადაც ორგანიზაციის გენერალური ასამბლეია.
(b) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე, რომელსაც იწვევს გენერალური დირექტორი აღმასრულებელი კომიტეტის ან ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(5) ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 23
[აღმასრულებელი კომიტეტი: 1. დაფუძნება; 2. შემადგენლობა; 3. წევრთა რაოდენობა; 4. გეოგრაფიული განაწილება; სპეციალური შეთანხმებები; 5. ვადა, გადარჩევის შეზღუდვები, არჩევნების წესები; 6. ამოცანები; 7. მოწვევა; 8. კვორუმი, ხმის მიცემა; 9. მეთვალყურეები; 10. პროცედურის წესები]

(1) ასამბლეას ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი.

(2)(a) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისგან, რომლებიც არჩეულია ასამბლეის მიერ ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. გარდა ამისა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ორგანიზაციის შტაბ–ბინა კომიტეტში აქვს „ex officio” ერთი ადგილი იმ პირობით,

თუ სრულდება 25 (7)(b) მუხლის დებულებები.
(b) აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი წევრი ვეყნის მთავრობას წარმოადგენს ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ დამატებითი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.
(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც ის დანიშნა.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რიცხვი შეესაბამება ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვის ერთ მეოთხედს. შესავსები ადგილების რაოდენობის დადგენისას, ოთხზე გაყოფის შემდეგ დარჩენილი ნაშთი მხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას ასამბლეა სათანადო ყურადღებას უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებასა და იმის აუცილებლობას, რომ სპეციალური შეთანხმებების მონაწილე ქვეყნები, რომლებიც შეიძლება დადებულ იქნეს კავშირთან მიმართებაში, შედიოდნენ აღმასრულებელ კომიტეტში.

(5)(a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი ასრულებს თავის ფუნქციებს ასამბლეის სესიის დახურვიდან, რომელზეც ის იქნა არჩეული, ასამბლეის შემდეგი რიგითი სესიის დახურვამდე.
(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები შეიძლება გადაირჩიონ, მაგრამ არაუმეტეს მათი შემადგენლობის ორი მესამედისა.
(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისა და შესაძლო გადარჩევის მარეგულირებელი წესების დეტალებს.

(6)(a) აღმასრულებელი კომიტეტი:

(i) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;
(ii) ასამბლეას წარუდგენს წინადადებებს, რომლებიც ეხება გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ პროგრამის პროექტსა და კავშირის ორწლიან ბიუჯეტს.
(iii) [ამოღებულია]
(iv) სათანადო შენიშვნებით, ასამბლეას წარუდგენს გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებსა და საფინანსური რევიზიის ყოველწლიურ აქტებს.
(v) ასამბლეის გადაწყვეტილებების შესაბამისად და იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც წარმოიქმნება ასამბლეის ორ რიგით სესიას შორის პერიოდში, იღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის შესრულება;
(vi) ასრულებს ყველა სხვა ფუნქცას, რომელიც ამ კონვენციით აქვს დაკისრებული.

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვისაც, აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(7) (a) აღმასრულებელი კომიტეტი, გენერალური დირექტორის მოწვევით, იკრიბება რიგით სესიაზე წელიწადში ერთხელ უპირატესად იმავე დროსა და ადგილზე, სადაც ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.
(b) აღმასრულებელი კომიტეტი საგანგებო სესიაზე იკრიბება გენერალური დირექტორის მოწვევით ან მისი პირადი ინიციატივით, თავმჯდომარის მოთხოვნით, ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8)(a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.
(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.
(d) თავის შეკავება არ განიხილება ხმის მიცემად.
(e) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.
(9) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, მის სხდომაზე დაიშვებიან მხოლოდ, როგორც მეთვალყურეები.

(10) აღმასრულებელი კომიტეტი იღებს პროცედურის თავის საკუთარ წესებს.

მუხლი 24
[საერთაშორისო ბიურო: 1. ზოგადი ამოცანები, გენერალური დირექტორი; 2. ზოგადი ინფორმაცია; 3. ჟურნალი; 4. ქვეყნებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია; 5. გამოკვლევები და მომსახურება; 6. სხდომებში მონაწილეობა; 7. კონფერენციები გადასინჯვის თაობაზე; 8. სხვა ამოცანები]
(1)(a) კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ამოცანები ხორციელდება საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც არის კავშირის ბიუროსა და სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კონვენციით დაარსებული კავშირის ბიუროს მემკვიდრე.
(b) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ასრულებს კავშირის სხვადასხვა ორგანოს სამდივნოს ფუნქციებს.
(c) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და წარმოადგენს კავშირს.

(2) საერთაშორისო ბიურო აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება საავტორო უფლებების დაცვას. კავშირის თითოეული ქვეყანა დაუყოვნებლივ აცნობებს საერთაშორისო ბიუროს ყველა ახალი კანონის ტექსტსა და ოფიციალურ ტექსტს, რომელიც შეეხება საავტორო უფლებების დაცვას.

(3) საერთაშორისო ბიურო გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს.

(4) საერთაშორისო ბიურო, მოთხოვნის საფუძველზე, აწვდის კავშირის ნებისმიერ ქვეყანას ინფორმაციას საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

(5) საერთაშორისო ბიურო ატარებს კვლევებსა და უზრუნველყოფს მომსახურებას საავტორო უფლებების დაცვის გაადვილების ხელშეწყობის მიზნით.

(6) გენერალური დირექტორი და ნებისმიერი მის მიერ დანიშნული თანამშრომელი მონაწილეობას იღებს ხმის უფლების გარეშე ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტისა და ექსპერტთა ნებისმიერი სხვა კომიტეტის ან მუშა ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული თანამშრომელი არის ამ ორგანოების „ex officio" მდივანი.

(7)(a) საერთაშორისო ბიურო, ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით, ამზადებს კონფერენციებს კონვენციის დებულებათა გადასინჯვის თაობაზე, გარდა 22–26 მუხლებისა.
(b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია ჩაატაროს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან გადასინჯვასთან დაკავშირებული კონფერენციების მომზადების თაობაზე.
(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობას იღებენ ამ კონფერენციების მუშაობაში ხმის უფლების გარეშე.

(8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა ამოცანებს.

მუხლი 25
[ფინანსები: 1. ბიუჯეტი; 2. სხვა კავშირებთან კოორდინირება; 3. წყაროები; 4. შესატანები; წინა ბიუჯეტის შესაძლო გაგრძელება; 5. გადასახადები და საფასურები; 6. საბრუნავი საშუალებების ფონდი; 7. მასპინძელი მთავრობის ავანსები; 8. ანგარიშების რევიზია]

(1)(a) კავშირს აქვს ბიუჯეტი.
(b) კავშირის ბიუჯეტი შედგება საკუთრივ კავშირის შემოსავლებისა და გასავლებისაგან, მისი შესატანისაგან კავშირებისათვის საერთო ხარჯვითი ნაწილის ბიუჯეტში და აგრეთვე, შესაბამის შემთხვევებში, ანარიცხებისაგან ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტში.
(c) კავშირებისათვის საერთო გასავლად ითვლება ხარჯები, რომლებიც არ ეკუთვნის მხოლოდ ამ კავშირს, არამედ ერთდროულად ეკუთვნის კიდევ ერთ ან მეტ კავშირს, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს ორგანიზაცია. კავშირის წილი საერთო გასავლებში პროპორციულია მისი წილისა აღნიშნულ ხარჯებში.

(2) კავშირის ბიუჯეტი მიიღება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნის სათანადო გათვალისწინებით.

(3) კავშირის ბიუჯეტის ფინანსირების წყაროებია: (i) კავშირის ქვეყნების შესატანები;
(ii) საფასურები და გადასახადები სერთაშორისო ბიუროს მიერ გაწეული კავშირთან დაკავშირებული მომსახურებისთვის;
(iii) კავშირთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს პუბლიკაციების, გაყიდვისა და მათზე უფლებების გადაცემის შედეგად მიღებული შემოსავლები;
(iv) საჩუქრები, ანდერძით დატოვებული სახსრები და სუბსიდიები;
(v) რენტები, პროცენტები და სხვადასხვა შემოსავალი.

(4) (a) იმისათვის, რომ განისაზღვროს მისი შესატანი ბიუჯეტში, კავშირის თითოეული ქვეყანა მიეკუთვნება გარკვეულ კლასს და წლიურ შესატანს იხდის ქვემოთ მოყვანილი ერთეულების რიცხვების საფუძველზე:

I კლასი..... 25
II კლასი..... 20
III კლასი..... 15
IV კლასი..... 10
V კლასი..... 5
VI კლასი..... 3
VII კლასი..... 1

(b) თითოეული ქვეყანა, თუ ადრე ეს არ გაუკეთებია, რატიფიკაციის ან შეერთების აქტის დეპონირებასთან ერთად მიუთითებს კლასს, რომელსაც სურს, რომ ეკუთვნოდეს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ასამბლეას მის ერთ–ერთ რიგით სესიაზე. ნებისმიერი ასეთი შესწორება ძალაში შედის მითითებული სესიის მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისიდან.

(c) თითოეული ქვეყნის წლიური შესატანის ოდენობა ტოლია სიდიდისა, რომელიც ისევე შეეფარდება კავშირის ბიუჯეტში ყველა ქვეყნის მიერ შესატანების ჯამს, როგორც მისი

ერთეულების რაოდენობა შეეფარდება ყველა გადამხდელი ქვეყნის ერთეულების საერთო რაოდენობას.

(d) შესატანები უნდა იქნეს გადახდილი ყოველი წლის პირველი იანვრიდან.

(e) ქვეყანა, რომელსაც აქვს დავალიანება შესატანების გადახდაში, კარგავს ხმის უფლებას კავშირის ყველა ორგანოში, რომლის წევრიცაა, თუ მისი დავალიანების ოდენობა ტოლია ან მეტი გასული ორი სრული წლის განმავლობაში მის მიერ გადასახდელი შესატანებისა. თუმცა, კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას ამ ორგანოში გააგრძელოს ხმის უფლებით სარგებლობა იმ შემთხვევაში და მანამ, ვიდრე დარწმუნებულია, რომ გადახდის დაგვიანება გამოწვეული იყო განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებების გამო.

(f) თუ ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დაწყებამდე, საფინანსო რეგლამენტის შესაბამისად, იგი არის წინა წლის ბიუჯეტის დონეზე.

(5) საფასურებისა და გადასახადების ოდენობას, რომელსაც იღებს საერთაშორისო ბიურო კავშირთან დაკავშირებით გაწეული მომსახურებისთვის, ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც ამის შესახებ მოახსენებს ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს.

(6)(a) კავშირს აქვს საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც შედგება კავშირის თითოეული ქვეყნის მიერ შემოტანილი ერთჯერადი გადასახადისგან. თუ საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისია, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.
(b) აღნიშნულ ფონდში თითოეული ქვეყნის თავდაპირველი გადასახადის ოდენობა ან მისი წილი ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შესატანისა იმ წლისათვის, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებული იყო გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ
(c) ამ გადასახადის პროპორციასა და გადახდის პირობებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც იგი მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრს.

(7)(a) შეთანხმებაში შტაბ-ბინის თაობაზე, რომელიც იდება იმ ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ როდესაც საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისი აღმოჩნდება, ეს ქვეყანა გაიღებს ავანსებს. ამ ავანსების თანხა და გაცემის პირობები, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს განსაკუთრებული შეთანხმებების საგანს ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის. ვიდრე ამ ქვეყანას დაკისრებული აქვს ავანსების გაცემის ვალდებულება, მას „ex officio" აქვს ერთი ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.
(b) როგორც (a) ქვეპუნქტში დასახელებულ ქვეყანას, ისე ორგანიზაციას აქვს უფლება წერილობითი შეტყობინებით განახორციელოს ავანსების გაცემის ვალდებულების დენონსირება. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც მოხდა შეტყობინება.

(8) ანგარიშების რევიზია ხორციელდება საფინანსო რეგლამენტის შესაბამისად, კავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ან გარე აუდიტორების მიერ, რომლებსაც მათივე თანხმობით ნიშნავს ასამბლეია.

მუხლი 26
[ცვლილებები: 1. დებულებები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ასამბლეის მიერ; წინადადებები; 2. მიღება; 3. ძალაში შესვლა]

(1) წინადადებები შესწორებების შეტანის თაობაზე 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე მუხლებსა და მოცემულ მუხლში შეიძლება წამოყენებულ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის,

აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთ წინადადებებს უგზავნის ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეის მიერ მათ განხილვამდე, სულ მცირე, ექვსი თვით ადრე.

(2) (1) პუნქტში გათვალისწინებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება მიიღება ასამბლეის მიერ, რისთვისაც საჭიროა ხმების უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით; ხოლო, 22–ე მუხლსა და მოცემულ პუნქტში ნებისმიერი შესწორების შესატანად აუცილებელია მიცემული ხმების ოთხი მეხუთედი.

(3) (1) პუნქტში მითითებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ მას მერე, რაც გენერალური დირექტორი მიიღებს წერილობით შეტყობინებას, საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად ამ ცვლილებების მიღების შესახებ, იმ ქვეყნების სამი მეოთხედიდან, რომლებიც იყვნენ ასამბლეის წევრები ამ შესწორების მიღების დროს. ამგვარად მიღებული ამ მუხლის ნებისმიერი შესწორება, სავალდებულოა ყველა ქვეყანისათვის, რომლებიც არიან ასამბლეის წევრები შესწორების ძალაში შესვლის დროს, ან ხდებიან მისი წევრები ამ თარიღის შემდეგ. თუმცა, ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც შეატყობინეს მათ მიერ ასეთი შესწორების მიღების შესახებ.

მუხლი 27
[გადასინჯვა: 1. მიზანი; 2. კონფერენციები; 3. მიღება]

(1) ეს კონვენცია შეიძლება გადაისინჯოს მასში ისეთი ცვლილებების მიზნით, რომლებიც სრულყოფენ კავშირის სისტემას.

(2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგრიგობით ტარდება აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.

(3) 26–ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება ცვლილებების შეტანისას 22–დან 26–ის მუხლების ჩათვლით, ამ აქტის ნებისმიერი გადასინჯვა, დამატებითი აქტის ჩათვლით, მოითხოვს მიცემული ხმების ერთსულოვან თანხმობას.

მუხლი 28
[კავშირის ქვეყნებისათვის აქტის მიღება და ძალაში შესვლა: 1. რატიფიკაცია, შეერთება; გარკვეული დებულებების გამორიცხვის შესაძლებლობა; გამონაკლისების გაუქმება; 2. 1-21 მუხლების ძალაში შესვლა; 3. 22-38 მუხლების ძალაში შესვლა]

(1)(a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიცირება, ხოლო თუ არა აქვს ხელი მოწერილი, შეუძლია მასთან შეერთება. რატიფიკაციის და შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.
(b) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან შეერთების აქტში შეუძლია განაცხადოს, რომ რატიფიკაცია ან შეერთება არ ვრცელდება 1–21 მუხლებსა და დამატებით კარზე; თუმცა, თუ ასეთმა ქვეყანამ წინასწარ გააკეთა განცხადება დამატებითი კარის VI(1) მუხლის შესაბამისად, მას აღნიშნულ დოკუმენტში შეუძლია განაცხადოს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მისი რატიფიკაცია ან შეერთება არ გამოიყენება 1–20 მუხლების მიმართ.
(c) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (b) ქვეპუნქტის თანახმად, გამორიცხა შესაბამისი დებულებები თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედების სფეროდან, შეუძლია მოგვიანებით, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ავრცელებს თავისი რატიფიკაციის ან

შეერთების მოქმედებას ამ დებულებებზე. ასეთი განცხადება შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2)(a) 1–21 მუხლები და დამატებაითი კარი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ მას მერე, რაც შესრულდება შემდეგი ორი პირობა:

(i) კავშირის, სულ მცირე, ხუთი ქვეყანა მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას (1)(b) მუხლით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე.

(ii) პარიზში 1971 წლის 24 ივლისს გადასინჯული საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციის მოქმედება გავრცელდება საფრანგეთზე, ესპანეთზე, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოზე, ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

(b)(a) ქვეპუნქტში მითითებული ძალაში შესვლა ვრცელდება კავშირის იმ ქვეყნებზე, რომლებმაც აღნიშნულ ძალაში შესვლამდე, სულ მცირე, სამი თვით ადრე მაინც ჩააბარა შესანახად სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტები, რომლებიც არ შეიცავს (1)(b) პუნქტში გათვალისწინებულ განცხადებას.

(c) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელზეც არ ვრცელდება (b) ქვეპუნქტი, და რომელმაც განახორციელა ამ აქტის რატიფიცირება ან შეუერთდა მას (1)(b) პუნქტით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე, 1–21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის შესაბამისი სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იქნება მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, 1–21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(d) (a)–(c) ქვეპუნქტების დებულებები არ ახდენს გავლენას დამატებითი კარის VI მუხლის გამოყენებაზე.

(1) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც ახორციელებს ამ აქტის რატიფიკაციას ან უერთდება მას (1)(b) პუნქტში გათვალისწინებული განცხადების გაკეთებით ან მის გარეშე, 22–38 მუხლები ძალაში შედის სათანადო სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტების დეპონირების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იქნება მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, 22–38 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

მუხლი 29
[მიღება და ძალაში შესვლა ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები: 1. შეერთება; 2. ძალაში შესვლა]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და გახდეს ამ კონვენციის მხარე და კავშირის წევრი. შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2)(a) ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც არ არის კავშირის წევრი, (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს კონვენცია ძალაში შედის შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გააკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იყო მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, ეს კონვენცია ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(b) თუ ძალაში შესვლა (a) ქვეპუნქტის შესაბამისად, წინ უსწრებს 1–21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლას 28(2)(a) მუხლის თანახმად, აღნიშნულ ქვეყანაზე ამასობაში 1–21 მუხლების და დამატებითი აქტის ნაცვლად ვრცელდება ამ კონვენციის ბრიუსელის აქტის 1–20 მუხლები.

მუხლი 29bis
[აქტის მიღების შედეგები ისმო-ს კონვენციის მუხლის 14(2) მიზნებისთვის]

ამ აქტის რატიფიკაცია ან მასთან შეერთება ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22–38 მუხლების მოქმედება, ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მხოლოდ და მხოლოდ 14(2) მუხლის მიზნებისთვის, 28 (1)(b)(i) მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვით, აღნიშნული სტოკჰოლმის აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების ტოლფასია.

მუხლი 30
[დათქმები: 1. დათქმების გაკეთების შეზღუდვა; 2. ადრე გაკეთებული დათქმები; დათქმა თარგმნის უფლების თაობაზე; დათქმის ამოღება]

(1) ამ მუხლის (2) პუნქტით, 28(1)(b) მუხლით, 33(2) მუხლითა და დამატებითი კარით დაშვებული ამოღების გამოკლების გათვალისწინებით, რატიფიკაციას ან შეერთებას ავტომატურად მოსდევს ამ კონვენციით დადგენილი ყველა დებულების აღიარება და ყველა უპირატესობის მიღება.

(2)(a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ახორციელებს ამ აქტის რატიფიკაციას ან უერთდება მას, დამატებითი აქტის V(2) მუხლის გათვალისწინებით, შეუძლია შეინარჩუნოს მის მიერ ადრე ფორმულირებული დათქმების უპირატესობა, თუ იგი გააკეთებს განცხადებას ამის შესახებ რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების დროს.
(b) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, ამ კონვენციასთან შეერთებისას დამატებითი აქტის V(2) მუხლის გათვალისწინებით, შეუძლია განაცხადოს, რომ განზრახული აქვს დროებით მაინც ამ აქტის მე–8 მუხლი თარგმნის უფლების შესახებ შეცვალოს პარიზში 1896 წელს შევსებული 1886 წლის საკავშირო კონვენციის მე–5 მუხლის დებულებებით, და იმის ნათლად გაცნობიერებით, რომ ეს დებულებები გამოიყენება მხოლოდ ამ ქვეყანაში საერთო გამოყენების ენაზე შესრულებული თარგმანების მიმართ. დამატებითი კარის I (6) (b) მუხლის გათვალისწინებით, კავშირის ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს იმ ნაწარმოებების თარგმნის უფლების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა სარგებლობს ასეთი დათქმით, გამოიყენოს ამ ქვეყნის მიერ მინიჭებული დაცვის ეკვივალენტურია დაცვა.
(c) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ნებისმიერ დროს ამოიღოს ასეთი დათქმები გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი შეტყობინების გზით.

მუხლი 31
[მოქმედება ზოგიერთი ტერიტორიის მიმართ: 1. განცხადება; 2. განცხადების გატანა; 3. ძალაში შესვლის თარიღი; 4. ფაქტობრივი ვითარებების მიღება არიგულისხმება]

(1) ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტში ან ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, ან წერილობითი შეტყობინებით აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს კონვენცია მოქმედებს განცხადებაში ან შეტყობინებაში მითითებული ყველა ან ზოგიერთი იმ ტერიტორიის, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა ასეთი განცხადება ან გაგზავნა ასეთი შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს გენერალურ დირექტორს, ამ კონვენციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ ყველა ან ზოგიერთ ასეთ ტერიტორიაზე.

(3)(a) (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ძალაში შედის იმ თარიღიდან, როცა ძალაში შედის რატიფიკაცია ან შეერთება, რომლის დოკუმენტებიც შეიცავდა ამ განცხადებას, ხოლო ამ პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი ყოველი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მის შესახებ გაკეთბული შეტყობინებიდან სამი თვის შემდეგ.
(b) ყოველი შეტყობინება, რომელიც გაიგზავა (2) პუნქტის შესაბამისად, ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

(4) ეს მუხლი არანაირად არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიერ ფაქტობრივი ვითარების უსიტყვოდ აღიარება ან მიღება იმ ტერიტორიების მიმართ, სადაც ეს კონვენცია მოქმედებს კავშირის სხვა ქვეყნის მიერ (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით.

მუხლი 32
[ამ აქტისა და უფრო ადრინდელი აქტების გამოყენება: 1. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც უკვე არიან კავშირის წევრები; 2. ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ხდება კავშირის წევრი და კავშირის წევრ სხვა ქვეყნებს შორის; 3. დამატებითი კარის გამოყენება ზოგიერთ ურთიერთობებში]

(1) ეს აქტი კავშირის ქვეყნების ურთიერთობებში, იმ მოცულობით, როგორც გამოიყენება, ცვლის ბერნის 1886 წლის 9 სექტემბრის კონვენციასა და მისი გადასინჯვის შემდგომ აქტებს. მანამდე ძალაში შესული აქტები კვლავინდებურად გამოიყენება მთლიანად ან ისეთი მოცულობით, როგორითაც ეს აქტი არ ცვლის მათ წინა წინადადების ძალით, კავშირის იმ ქვეყნების ურთიერთობებში, რომლებიც რატიფიკაციას არ უწევენ ამ აქტს ან არ უერთდებიან მას.

(2) ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან და ამ აქტის მხარეები ხდებიან, (3) პუნქტის გათვალისწინებით, იყენებენ მას კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, ან თუმცა ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, მაგრამ გააკეთა განცხადება, რომელიც გატვალისწინებულია 28 (1)(b) მუხლით. ასეთი ქვეყნები აღიარებენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში:

(i) შეუძლია გამოიყენოს უკანასკნელი აქტის დებულებები, რომლითაც მას ეკისრება ვალდებულება, და
(ii) დამატების I(6) მუხლის გათვალისწინებით, აქვს უფლება შეუთავსოს დაცვა ამ აქტით გათვალისწინებულ დონეს.

(3) ყოველი ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა დამატებით აქტში გათვალისწინებული ნებისმიერი შესაძლებლობით, შეუძლია გამოიყენოს დამატებითი აქტის დებულებები იმ უფლებების ან შესაძლებლობების მიმართ, რომლითაც მან ისარგებლა კავშირის იმ ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობისას, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ქვეყანა უშვებს აღნიშნულ დებულებათა გამოყენებას.

მუხლი 33
[დავა: 1. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია; 2. დათქმა ასეთი იურისდიქციის მიმართ; 3. დათქმის ამოღება]

(1) ნებისმიერი დავა კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის ამ კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ აღნიშნულ ქვეყანას შეუძლია გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესაბამისად შეტანილი განცხადების გზით, თუ ქვეყნები არ შეთანხმდებიან დავის მოგვარების სხვა ხერხზე. ქვეყანამ, რომელსაც შეაქვს განცხადება, დავის სასამართლოში გადაცემის შესახებ უნდა აცნობოს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურო ატყობინებს ამის შესახებ კავშირის სხვა ქვეყნებს.

(2) ამ აქტის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებისას, ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიიჩნევს თავს შებოჭილად (1) პუნქტის დებულებებით. რაც შეეხება დავებს ამ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის, (1) პუნქტის დებულებები მათზე არ ვრცელდება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (2) პუნქტის დებულებების შესაბამისად, გააკეთა განცხადება, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოითხოვოს ის განცხადება, გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით.

მუხლი 34
[ზოგიერთი უფრო ადრინდელი დებულების დახურვა: 1. ადრინდელი აქტების; 2. სტოკჰოლმის აქტის ოქმის]

(1) 29bis მუხლის გათვალისწინებით, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ამ კონვენციის ადრინდელი აქტების რატიფიკაცია ან მათთან შეერთება 1–21 მუხლებისა და დამატებიტი კარის ძალაში შესვლის შემდეგ.
(2) 1–21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლის შემდეგ, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია განცხადების გაკეთება, სტოკჰოლმის აქტზე თანდართული, განვითარებადი ქვეყნების შესახებ პროტოკოლის მე–5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 35
[კონვენციის მოქმედების ვადა; დენონსაცია: 1. შეუზღუდავი ვადა; 2. დენონსაციის შესაძლებლობა; 3. დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღი; 4. მორატორიუმი დენონსაციაზე]
(1) ეს კონვენცია მოქმედებს დროსი შეზღუდვის გარეშე.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით. ასეთი დენონსაცია წარმოადგენს, ასევე, ადრინდელი აქტების დენონსირებასაც და ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც განახორციელა ის, მაშინ, როცა კავშირის სხვა ქვეყნების მიმართ კონვენცია რჩება ძალაში და ექვემდებარება შესრულებას;

(3) დენონსირება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლების გამოყენება არ შეუძლია არც ერთ ქვეყანას, კავშირში მისი შესვლის თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე.

მუხლი 36
[კონვენციის გამოყენება: 1. აუცილებელი ზომების განხორციელების ვალდებულება; 2. დრო, რომლიდანაც არსებობს ვალდებულება]

(1) ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას, თავისი კონსტიტუციის შესაბამისად, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს ამ კონვენციის გამოყენება.

(2) იგულისხმება, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ეკისრება ვალდებულება ამ კონვენციით, მას შეეძლება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ამ კონვენციის დებულებები.

მუხლი 37
[დასკვნითი დებულებები: 1. აქტის ენები; 2. ხელმოწერა; 3. დამოწმებული ასლები; 4. რეგისტრაცია; 5. შეტყობინებები]

(1) (a) ამ აქტს ხელს აწერენ ერთ ეგზემპლარზე ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და (2) პუნქტის გათვალისწინებით, შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.
(b) ოფიციალური ტექსტები შეიმუშავდება გენერალური დირექტორის მიერ, დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, არაბულ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ და ესპანურ ენებსა და, ასევე, ასამბლეის მიერ განსაზღვრულ სხვა ენებზე.
(c) სხვადასხვა ტექსტის განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1972 წლის 31 იანვრამდე. ამ თარიღამდე (1)(a) პუნქტში მითითებული ეგზემპლარი შესანახად ბარდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას.

(3) გენერალური დირექტორი ამოწმებს ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს და უგზავნის კავშირის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობებს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს ამ აქტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი ატყობინებს კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობებს აქტზე ხელმოწერების, რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებისა და იმ განცხადებების დეპონირების შესახებ, რომლებსაც შეიცავენ ეს დოკუმენტები ან გაკეთებულია 28 (1)(c), 30 (2)(a) და (b) 30 (2)(b) და 33 (2) მუხლების შესაბამისად, ამ აქტის ნებისმიერი დებულების ძალაში შესვლის შესახებ, დენონსაციის თაობაზე შეტყობინების, 30 (2)(c), 31 (1) და 31 (2), 33 (3) და 38 (1) მუხლების შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინებებისა და, აგრეთვე, იმ შეტყობინებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია დამატებით კარში.

მუხლი 38
[გარდამავალი დებულებები: 1. „ხუთწლიანი” პრივილეგიის გამოყენება; 2. კავშირის ბიურო, ბიუროს დირექტორი; 3. კავშირის ბიუროს მემკვიდრეობითობა]

(1) კავშირის ქვეყნებს, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიცირება ან არ შეუერთდნენ მას, ან რომლებიც შებოჭილნი არ არიან ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22–26 მუხლებით, თუ მოისურვებენ შეუძლიათ 1975 წლის 26 აპრილამდე ისარგებლონ აღნიშნული მუხლებით მინიჭებული უფლებებით ისე, თითქოს ისინი ამ მუხლებით იყვნენ შებოჭილნი. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ასეთი უფლებებით სარგებლობა, ამ მიზნით უგზავნის გენერალურ დირექტორს წერილობით შეტყობინებას, რომელიც ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან. აღნიშნულ თარიღამდე, ასეთი ქვეყნები ითვლებიან ასამბლეის წევრებად.

(2) ვიდრე კავშირის ყველა ქვეყანა ორგანიზაციის წევრი გახდება, ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო ფუნქციონირებს, როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი მოქმედებს, როგორც ამ ბიუროს დირექტორი.

(3) როგორც კი კავშირის ყველა ქვეყანა ორგანიზაციის წევრი გახდება, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება გადაეცემა ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს.

დამატებითი კარი
[სპეციალური დებულებები განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით]

მუხლი I
[განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი შეღავათები: 1. გარკვეული შეღავათების არსებობა; განცხადება; 2. განცხადების მოქმედების ხანგრძლივობა; 3. განვითარებადი ქვეყნის სტატუსის შეწყვეტა; 4. ეგზემპლარების არსებული მარაგი; 5. განცხადება გარკვეული ტერიტორიების შესახებ; 6. ნაცვალგების ფარგლები]

(1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, განვითარებად ქვეყნად მიჩნეული ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ახდენს რატიფიცირებას ან უერთდება ამ აქტს, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ეს დამატებითი კარი და რომელიც ითვალისწინებს თავის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ ვერ უზრუნველყოფს ამ აქტით გათვალისწინებულ ყველა უფლების დაცვას, შეუძლია რატიფიკაცის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებისას, ან V(1)(c) მუხლის გათვალისწინებით, შემდგომ ნებისმიერ დროს, შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ისარგებლებს შეღავათით, რომელიც გათვალისწინებულია II ან III მუხლში, ან ორივე ამ შეღავათით. მას შეუძლია II მუხლში გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების ნაცვლად, გააკეთოს განცხადება V (1) (a) მუხლის შესაბამისად.

(2) (a) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის შესაბამისად, 1–21 მუხლებისა და ამ დამატებითი კარის ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში, 28(2) მუხლის თანახმად, ძალაშია აღნიშნული პერიოდის ამოწურვამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს მთლიანად ან ნაწილობრივ თითოეული ათი წლის ვადით გენერალურ დირექტორისათვის ჩაბარებული შეტყობინების გზით, არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ სამი თვით ადრე მიმდინარე ათწლიანი პერიოდის ამოწურვამდე.
(b) ნებისმიერი განცხადება, (1) პუნქტის შესაბამისად, რომელიც გაკეთდა 1–21 მუხლებისა და ამ დამატებითი კარის ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, 28(2) მუხლის შესაბამისად, ძალაშია მიმდინარე ათწლიანი პერიოდის ამოწურვამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს (a) ქვეპუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად.

(3) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, (1) პუნქტის შესაბამისად, აღარ აქვს (2) პუნქტში გათვალისწინებული განცხადების განახლების უფლება, და მიუხედავად იმისა, გამოითხოვს თუ არა ოფიციალურად თავის განცხადებას, ვეღარ ისარგებლებს (1) პუნქტში აღნიშნული შეღავათებით მიმდინარე ათწლიანი ან სამწლიანი პერიოდის ამოწურვიდან, მას შემდეგ, რაც მას აღარ მიიჩნევენ განვითარებად ქვეყნად; ამასთან, გამოიყენება ის პერიოდი, რომელიც უფრო გვიან იწურება.

(4) იქ, სადაც იმ დროისათვის, როდესაც (1) პუნქტის და (2) პუნქტის თანახმად გაკეთებული განცხადება წყვეტს მოქმედებას, არსებობს ამ დამატებითი კარის საფუძველზე გაცემული ლიცენზით დამზადებული სათადარიგო ასლები, მათი მარაგის საბოლოოდ ამოწურვამდე, ნებადართულია გავრცელების გაგრძელება.

(5) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ამ აქტის დებულებებით, და რომელმაც 31(1) მუხლის შესაბამისად, განახორციელა განცხადების ან შეტყობინების შესანახად ჩაბარება ამ აქტის გამოყენების თაობაზე განსაზღვრული ტერიტორიის მიმართ, რომლის მდგომარეობაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს (1) პუნქტში მითითებული ქვეყნების მდგომარეობის ანალოგიურად, ასეთ ტერიტორიასთან დაკავშირებით შეუძლია გააკეთოს (1) პუნქტში აღნიშნული განცხადება და (2) პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განახლების შესახებ. ვიდრე ასეთი განცხადება ან შეტყობინება ძალაშია, ასეთი ტერიტორიის მიმართ გამოიყენება დამატებითი კარის დებულებები.

(6) (a) ის გარემოება, რომ რომელიმე ქვეყანა სარგებლობს (1) პუნქტში გათვალისწინებული შეღავათებით, არ აძლევს უფლებას სხვა ქვეყანას მიანიჭოს ნაწარმოებებს, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის პირველი ქვეყანა, იმაზე ნაკლები დაცვა, ვიდრე ის, რომელსაც ვალდებულია ანიჭებდეს 1–20 მუხლების შესაბამისად.
(b) ეკვივალენტური დაცვის გამოყენების უფლება, რომელიც გათვალისწინებულია 30 (2)(b) მუხლის მეორე წინადადებით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს I (3) მუხლის შესაბამისად მოქმედი პერიოდის ამოწურვამდე იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელმაც გააკეთა განცხადება V (1) (a) მუხლის თანახმად.

მუხლი II
[თარგმნის უფლების შეზღუდვა: 1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიები; 2-4. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 5. მიზნები, რომლებისთვისაც შეიძლება გაიცეს ასეთი ლიცენზიები; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება; 8. მიმოქცევიდან ამოღებული ნაწარმოებები; 9. ლიცენზიები ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ეთერით ახორციელებენ გადაცემებს]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, შეუძლია ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით გამოცემული ნაწარმოებების მიმართ, მე–8 მუხლით გათვალისწინებული თარგმნის განსაკუთრებული უფლება შეცვალოს სისტემით, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენტური ორგანოების მიერ, IV მუხლის გათვალისწინებითა და ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად, ჩვეულებრივი და ისეთი ლიცენზიების გაცემას, რომელთა გადაცემა არ შეიძლება.

(2)(a)(3) პუნქტის გათვალისწინებით, თუ სამწლიანი ან ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, რომელსაც ადგენს აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა, და რომელიც აითვლება ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, თარგმნის უფლების მფლობელი პირის მიერ ან მისი ნებართვით, ამ ქვეყნის საერთო სარგებლობის ენაზე არ გამოქვეყნებულა ასეთი ნაწარმოების თარგმანი, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ამ ნაწარმოების აღნიშნულ ენაზე თარგმნის ლიცენზია და გამოაქვეყნოს ასეთი თარგმანი ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმით.
(b) ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, ლიცენზია შეიძლება ასევე გაიცეს იმ შემთხვევებშიც, როცა ამ ენაზე გამოქვეყნებული თარგმანის ყველა გამოცემა მთლიანად გაიყიდა.

(3)(a) თუ თარგმანი შესრულებულია იმ ენაზე, რომელიც არ არის საერთო სარგებლობის ენა კავშირის წევრ ერთ ან რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, (2)(a) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი იცვლება ერთწლიანი პერიოდით.
(b) (1) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ქვეყანას კავშირის წევრ განვითარებულ ქვეყნებთან

ერთსულოვანი შეთანხმებით, რომლებშიც იგივე ენაა საერთო სარგებლობის ენა, ამ ენაზე თარგმნის შემთხვევაში, შეუძლია (2)(a) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი შეცვალოს ასეთი შეთანხმებით განსაზღვრულ უფრო ხანმოკლე პერიოდით, მაგრამ ასეთი პერიოდი არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები. თუმცა, წინა წინადადების დებულებები არ ვრცელდება ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ნებისმიერი ასეთი შეთანხმების შესახებ, სესაბამისი მთავრობები, ატყობინებენ გენერალურ დირექტორს.

(4)(a) ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, ლიცენზიები, როლებიც მიიღება სამი წლის შემდეგ, არ შეიძლება გაიცეს დამატებითი ექვსთვიანი პერიოდის გასვლამდე, ხოლო ლიცენზიები, რომელთა მიიღება შესაძლებელია ერთი წლის შემდეგ, არ გაიცემა დამატებითი ცხრათვიანი პერიოდის გასვლამდე:

(i) იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი შეასრულებს IV(1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან

(ii) თუ უცნობია თარგმნის უფლების მქონე პირის ვინაობა ან მისი მისამართი, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, IV (2) მუხლის შესაბამისად, გააგზავნის ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილი განცხადების ასლებს.

b) ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზია არ გაიცემა, თუ აღნიშნული ექვს– ან ცხრათვიანი პერიოდის განმავლობაში თარგმნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით გამოქვეყნდება თარგმანი იმ ენაზე, რომელთან დაკავშირებითაც გაკეთდა განცხადება.

(5) ნებისმიერი ლიცენზია, ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, გაიცემა მხოლოდ სკოლებსა და უნივერსიტეტებში გამოსაყენებლად ან კვლევების ჩატარების მიზნით.

(6) თუ ნაწარმოების თარგმანი ქვეყნდება თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც შეესაბამება მსგავს ნაწარმოებებზე ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ მუხლის თანახმად გაცემული ნებისმიერი ლიცენზია წყვეტს მოქმედებას, თუ ასეთი თარგმანი შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, როგორიც ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანი. ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე გამოქვეყნებული ეგზემპლარების გავრცელება შეიძლება მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7) ნაწარმოებებისთვის, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება, ლიცენზია ტექსტის თარგმანასა და გამოქვეყნებაზე და ლიცენზია ილუსტრაციების რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ მაშინ, თუ ასევე სრულდება III მუხლის პირობები.

(8) ამ მუხლის შესაბამისად, ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს, თუ ავტორმა მიმოქცევიდან ამოიღო თავისი ნაწარმოების ყველა ეგზემპლარი.

(9)(a) ლიცენზია იმ ნაწარმოების თარგმნაზე, რომელიც გამოქვეყნებულია ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით, შეიძლება მიეცეს, აგრეთვე, ნებისმიერ სამაუწყებლო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს თავისი შტაბ–ბინა (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში, ამ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსათვის განცხადების წარდგენის შემდეგ, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

(i) თარგმანი განხორციელებულია იმ ეგზემპლარიდან, რომელიც დამზადებული და შეძენილია აღნიშნული ქვეყნის კანონების შესაბამისად;

(ii) თარგმანი განკუთვნილია მხოლოდ სამაუწყებლო გადაცემებში გამოსაყენებლად, მხოლოდ სწავლების ან კონკრეტული პროფესიის სპეციალისტებს შორის, სპეციალური ტექნიკური ან სამეცნიერო კვლევების შედეგების გავრცელების მიზნით.

(iii) თარგმანი გამოიყენება მხოლოდ (ii) ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებით, კანონიერად

შესრულებულ გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია მსმენელთათვის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ გადაცემების ჩათვლით, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ ასეთი გადაცემების მიზნით კანონიერად გაკეთებული ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მეშვეობით.

(iv) თარგმანის ნებისმიერი გამოყენება არ ისახავს კომერციულ მიზნებს.

(b) თარგმანის ხმოვანი ან ვიზუალური ჩანაწერები, რომლებიც შესრულებულია სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით, (a) ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებისა და პირობების გათვალისწინებით, და ამ ორგანიზაციის თანხმობით, შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს თავისი შტაბ–ბინა ქვეყანაში, რომლის კომპეტენტურმა ორგანომ გასცა აღნიშნული ლიცენზია.

(c) იმ პირობით, თუ სრულდება (a) ქვეპუნქტში აღნიშნული ყველა კრიტერიუმი და პირობა, სამაუწყებლო ორგანიზაციას, ასევე, შეიძლება მიეცეს იმ აუდიო–ვიზუალური ჩანაწერში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმნის ლიცენზია, რომელიც დამზადდა და გამოქვეყნდა მხოლოდ სისტემატური სწავლებისათვის გამოსაყენებლად.

(d) (a)–(c) ქვეპუნქტების გათვალისწინებით, წინა პუნქტების დებულებები გამოიყენება ამ პუნქტის შესაბამისად ლიცენზიის გაცემისას და სარგებლობისას.

მუხლი III

[რეპროდუცირების უფლების შეზღუდვა: 1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიები; 2-5. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით, უფლება აქვს მე–9 მუხლში გათვალისწინებული ნაწარმოების რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება შეცვალოს სისტემით, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენტური ორგანოების მიერ, IV მუხლის გათვალისწინებითა და ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად, ჩვეულებრივი და ისეთი ლიცენზიების გაცემას, რომელთა გადაცემა არ შეიძლება.

(2)(a) თუ იმ ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება ეს მუხლი (7) პუნქტის ძალით, მას შემდეგ, რაც ამოიწურება:

(i) (3) პუნქტში განსაზღვრული შესაბამისი პერიოდი, რომელიც იწყება ნაწარმოების მოცემული გამოცემის პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, ან

(ii) (1) პუნქტში აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი იმავე თარიღიდან დაწყებული უფრო ხანგრძლივი პერიოდი, თუ ასეთი გამოცემის ეგზემპლარები არ იყო გავრცელებული ამ ქვეყნის ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწვლებასთან დაკავშირებით რეპროდუცირების უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ასეთი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, შეუძლია მიიღოს ლიცენზია, ამავე ან უფრო ნაკლებ ფასად, ასეთი გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე სისტემატურ სწავლებაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

(b) (a) ქვეპუნქტის შესაბამისად გავრცელებული გამოცემის რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზია, შეიძლება გაიცეს, ასევე, ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, თუ გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში, არ გაყიდულა ამ გამოცემის არც ერთი ნებადართული ეგზემპლარი მოცემულ ქვეყანაში

ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით, იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში მსგავსი ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს.

(3) (2)(a)(i) პუნქტში აღნიშნული პერიოდი შეადგენს ხუთ წელს, გარდა:

(i) საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების დარგის გამოცემებისთვის, მათემატიკისა და ტექნიკის ჩათვლით, რომლებისათვისაც ეს პერიოდი შეადგენს სამ წელს;

(ii) მხატვრული, პოეტური, დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისთვის, ასევე, ხელოვნების დარგის წიგნებისთვის ეს პერიოდი შეადგენს შვიდ წელს.

(4)(a) ლიცენზია, რომლის მიღება შესაძლებელია სამი წლის შემდეგ, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად, ვიდრე არ გავა ექვსთვიანი პერიოდი:

(i) იმ თარიღიდან, როდესაც განმცხადებელი შეასრულებს IV (1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან

(ii)თუ უცნობია რეპროდუცირების უფლების მფლობელის ვინაობა ან მისამართი, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, IV (2) მუხლის შესაბამისად, გააგზავნის ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილი განცხადების ასლებს.

(b) თუ ლიცენზიების მიღება შესაძლებელია სხვა პერიოდების შემდეგ და გამოიყენება IV (2) მუხლი, განცხადების ასლების გაგზავნის თარიღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლამდე არ გაიცემა ლიცენზია.

(c) თუ (a) და (b) ქვეპუნქტებში მითითებული ექვსთვიანი ან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა გავრცელებას, როგორც ეს აღწერილია (2) (a) პუნქტში, ამ მუხლის შესაბამისად, არ გაიცემა ლიცენზია.

(d) ლიცენზია არ გაიცემა, თუ ავტორმა ამოიღო მიმოქცევიდან იმ გამოცემის ყველა ეგზემპლარი, რომელზეც იყო რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების
ლიცენზიის მოთხოვნა.

(5) ამ მუხლის თანახმად, არ გაიცემა ნაწარმოების თარგმანის რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზია შემდეგ შემთხვევებში:

(i) როდესაც თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით, ან

(ii) როცა თარგმანი შესრულებულია იმ ენაზე, რომელიც არ წარმოადგენს იმ ქვეყანის საერთო სარგებლობის ენას, სადაც მოითხოვება ლიცენზია.

(6) თუ რეპროდუცირების უფლების მფლობელი პირის მიერ ან მისი ნებართვით, (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით ვრცელდება ნაწარმოების გამოცემის ეგზემპლარები იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ მუხლის თანახმად გაცემული ნებისმიერი ლიცენზია წყვეტს მოქმედებას, თუ ამგვარი გამოცემა შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, რაც აღნიშნული ლიცენზიით გამოქვეყნებული გამოცემა. ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტამდე გამოცემული ნებისმიერი ეგზემპლარების გავრცელება, შეიძლება გაგრძელდეს მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7)(a) (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს მუხლი ვრცელდება ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე.

(b) ეს მუხლი, აგრეთვე, ვრცელდება კანონიერად განხორციელებული აუდიო–ვიზუალური ჩანაწერების აუდიო–ვიზუალური ფორმით რეპროდუცირებაზე, მათში ჩართული ნებისმიერი დაცული ნაწარმოების ჩათვლით, და მათში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმანზე

იმ ქვეყანის საერთო სარგებლობის ენაზე, სადაც მოითხოვება ლიცენზია, იმ პირობით, თუ ყველა ამ შემთხვევაში აღნიშნული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები გაკეთებული და გამოქვეყნებულია მხლოდ სისტემატურ სწავლებაში გამოყენების მიზნით.

მუხლი IV
[საერთო დებულებები II და III მუხლების შესაბამისად გაცემული ლიცენზიებისთვის: 1. და 2. პროცედურა; 3. ნაწარმოების ავტორისა და სახელწოდების მითითება; 4. ეგზემპლარების ექსპორტი; 5. შეტყობინება; 6. კომპენსაცია]

(1) II ან III მუხლების შესაბამისად, ლიცენზები შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ განმცხადებელი, ქვეყნის პროცედურის თანახმად დაამტკიცებს, რომ მან ნებართვისათვის მიმართა თარგმანის შესრულებასა და გამოქვეყნებაზე ან გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე უფლების მფლობელ პირს და უარი მიიღო მისგან ან, სათანადო ძალისხმევის მიუხედავად, ვერ შეძლო უფლების მფლობელი პირის დადგენა. ლიცენზიის მოთხოვნისას განმცხადებელი ინფორმაციას აწვდის (2) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს.

(2) თუ შეუძლებელია უფლების მფლობელი პირის დადგენა, ლიცენზიის მომთხოვნი ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილ განცხადების ასლებს შეკვეთილი ავიაფოსტით უგზავნის გამომცემელს, რომელიც მითითებულია ნაწარმოებზე და, ასევე, ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს, რომელიც შეიძლება აღნიშნული იყოს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში იმ ქვეყნის მთავრობის მიერ, რომელშიც გამომცემელი სავარაუდოდ ახორციელებს თავის პროფესიულ საქმიანობას.

(3) II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანის ან რეპროდუქციის ყველა ასლზე აღინიშნება ავტორის სახელი. ყველა ასეთ ასლზე იბეჭდება ნაწარმოების სახელწოდებაც. თარგმანის შემთხვევაში, ნაწარმოების ორიგინალის სახელწოდება, ნებისმიერ შემთხვევაში, იბეჭდება ყველა მითითებულ ასლზე.

(4)(a) II ან III მუხლების შესაბამისად გაცემული არანაირი ლიცენზია არ ვრცელდება ნაწარმოების ასლების ექსპორტზე და ძალაშია მხოლოდ თარგმანის გამოქვეყნებისას ან შესაბამისად რეპროდუცირებისას იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც იყო მისი მოთხოვნა.
(b)(a) ქვეპუნქტის მიზნებისათვის ექსპორტის ცნება მოიცავს ეგზემპლარების გაგზავნას ნებისმიერი ტერიტორიიდან იმ ქვეყანაში, რომელმაც I (5) მუხლის შესაბამისად გააკეთა განცხადება ამ ტერიტორიის მიმართ.
(c) როცა იმ ქვეყნის სამთავრობო ან სხვა ორგანიზაცია, რომელმაც II მუხლის შესაბამისად გასცა ლიცენზია თარგმანის მომზადებაზე ნებისმიერ ენაზე, ინგლისური, ფრანგული ან ესპანური ენების გარდა, სხვა ქვეყანაში გზავნის ასეთი ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანის ეგზემპლარებს, (a) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ეგზემპლარების ასეთი გაგზავნა არ ითვლება ექსპორტად, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(i) ეგზემპლარების მიმღებნი არიან ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მოქალაქეები, ან ის ორგანიზაციები, რომლებშიც ასეთი მოქალაქეები არიან გაერთიანებულნი;
(ii) ეგზემპლარები გამოიყენება მხოლოდ სკოლებში, უნივერსიტეტებში ან კვლევების ჩატარების მიზნით;
(iii) ეგზემპლარების გაგზავნა და მათი შემდგომი გავრცელება მიმღებთა შორის არ ემსახურება კომერციულ მიზნებს; და
(iv) ქვეყანა, რომელშიც იგზავნება ეგზემპლარები, დაეთანხმა ქვეყანას, რომლის კომპეტენტურმა ორგანომ გასცა ლიცენზია, ნება დართოს მიღებაზე ან გავრცელებაზე,

ან ორივეზე ერთად და ამ შეთანხმების შესახებ ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მთავრობამ შეატყობინა გენერალურ დირექტორს.

(5) II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით გამოქვეყნებულ ყველა ეგზემპლარზე სათანადო ენაზე აღნიშნულია, რომ ეგზემპლარები ექვემდებარებიან გავრცელებას მხოლოდ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება მოცემული ლიცენზია.

(6)(a) ეროვნულ დონეზე მიიღება სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

(i) ლიცენზიაში სამართლიანი კომპენსაციის გადახდის გათვალისწინება თარგმნის ან შესაბამისად, რეპროდუცირების უფლების მფლობელის სასარგებლოდ, ჰონორარის იმ ნორმათა შესაბამისად, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ორ შესაბამის ქვეყანაში პირთა შორის ლიცენზიებზე თავისუფალი მოლაპარაკების დროს; და

(ii) კომპენსაციის გადახდა და გადაცემა: თუ მოქმედებენ განსაკუთრებული ეროვნული სავალუტო წესები, კომპეტენტური ორგანოები მიმართავენ სათანადო ზომებს, რათა საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით, უზრუნველყონ კომპენსაციის გადაყვანა საერთაშორისო კონვერტირებულ ვალუტაში ან მის ეკვივალენტში.

(b) ეროვნული კანონმდებლობა იღებს სათანადო ზომებს ნაწარმოების სწორად თარგმნის ან შესაბამისად, გარკვეული გამოცემის ზუსტი რეპროდუცირების უზრუნველსაყოფად.

მუხლი V

[თარგმნის უფლების შეზღუდვის ალტერნატიული შესაძლებლობა: 1. 1886 და 1896 წლების აქტებში ამისათვის გათვალისწინებული პროცედურა; 2. II მუხლის თანახმად პროცედურის შეცვლის შეუძლებლობა; 3. ალტერნატიული შესაძლებლობის არჩევის ვადა]

(1)(a) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც აქვს უფლება განაცხადოს, რომ ისარგებლებს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, ნაცვლად ამისა ამ აქტის რატიფიკაციისა ან მასთან შეერთების დროს შეუძლია:

(i) ამ დებულების თანახმად, გააკეთოს განცხადება თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით, თუ ის არის ქვეყანა, რომელზეც ვრცელდება 30 (2)(a) მუხლი.

(ii) თუ ის არის ქვეყანა, რომელზეც არ ვრცელდება 30 (2)(a) მუხლის დებულებები, და მაშინაც კი, თუ ის არ არის ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, გააკეთოს განცხადება, როგორც ეს გათვალისწინებულია 30 (2)(b) მუხლის პირველ წინადადებაში.

(b) თუ ქვეყანა აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, როგორც ეს გათვალისწინებულია I (1) მუხლით, ამ პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება ძალაში რჩება I (3) მუხლის შესაბამისად, გამოყენებული ვადის გასვლის თარიღამდე.

(c) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ პუნქტის შესაბამისად, არ შეუძლია შემდგომში ისარგებლოს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით მაშინაც კი, თუ ის გამოითხოვს აღნიშნულ განცხადებას.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, (3) პუნქტის შესაბამისად, არ შეუძლია შემდგომში განცხადების გაკეთება (1) პუნქტის თანახმად.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც I(1) მუხლის შესაბამისად აღარ მიიჩნევა განვითარებად ქვეყნად, შეუძლია I(3) მუხლის თანახმად დასაშვები პერიოდის გასვლამდე არაუგვიანეს ორი წლისა, გააკეთოს განცხადება 30 (2)(b) მუხლის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის. ასეთი განცხადება ძალაში შედის, იმ დროს როცა ამოიწურება I(3) მუხლის თანახმად დასაშვები ვადა.

მუხლი VI

[დამატებითი კარის ზოგიერთი დებულებების გამოყენების შესაძლებლობები ან გამოყენების დაშვება ვიდრე ქვეყნები გახდებიან მისით შებოჭილნი: 1. განცხადება; 2. განცხადების დეპონირება და ძალაში შესვლის თარიღი]

(1) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, დაწყებული ამ აქტის მიღების თარიღიდან და ნებისმიერ დროს, ვიდრე მას დაეკისრება ვალდებულება 1–21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით, შეუძლია განაცხადოს:

(i) თუ ის არის ქვეყანა, რომელსაც 1–21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში, ექნებოდა უფლება ესარგებლა I(1) მუხლში აღნიშნული შეღავათებით, გამოიყენებს II ან III მუხლის დებულებებს ან ორივეს ერთად იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელიც ქვემოთ მოყვანილი (ii) ქვეპუნქტის თანახმად, უშვებს ამ მუხლების გამოყენებას ასეთი ნაწარმოებების მიმართ ან რომელსაც ეკისრება ვალდებულება 1–21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით; ასეთი განცხადება II მუხლის ნაცვლად, შეიძლება ეყრდნობოდეს V მუხლს;

(ii) რომ უშვებს ამ დამატებითი კარის გამოყენებას იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა თვითონ არის, იმ ქვეყნების მიერ, რომლებმაც გააკეთეს განცხადება (i) ქვეპუნქტის თანახმად, ან გააკეთეს შეტყობინება I მუხლის შესაბამისად.

(2) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის თანახმად, უნდა იყოს წერილობითი ფორმის და შესანახად ინდა გადაეცეს გენერალურ დირექტორს.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო კონვენცია

(ხელმოწერილია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და
შესწორებული 1979 წლის 28 სექტემბერს)

შინაარსი

მუხლი 1: ორგანიზაციის დაფუძნება
მუხლი 2: ტერმინთა განმარტებები
მუხლი 3: ორგანიზაციის მიზნები
მუხლი 4: ფუნქციები
მუხლი 5: წევრობა
მუხლი 6: გენერალური ასამბლეა
მუხლი 7:კონფერენცია
მუხლი 8: საკოორდინაციო კომიტეტი
მუხლი 9: საერთაშორისო ბიურო
მუხლი 10: შტაბ–ბინები
მუხლი 11: ფინანსები
მუხლი 12: ორგანიზაციის ქმედუნარიანობა, პრივილეგიები და იმუნიტეტები
მუხლი 13: სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობა
მუხლი 14:კონვენციის წევრობა
მუხლი 15: კონვენციის ძალაში შესვლა
მუხლი 16: დათქმები
მუხლი 17: ცვლილებები
მუხლი 18: დენონსაცია
მუხლი 19: შეტყობინებები
მუხლი 20: დასკვნითი დებულებები
მუხლი 21: გარდამავალი დებულებები

ხელშემკვრელი მხარეები,

სურთ რა, ხელი შეუწყონ ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას, მათი საერთო სარგებლისა და მათი სუვერენიტეტის და თანასწორობის პატივისცემის საფუძველზე,

სურთ რა, ხელი შეუწყონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მთელს მსოფლიოში, რათა წაახალისონ შემოქმედებითი საქმიანობა,

სურთ რა, რომ უფრო თანამედროვე გახადონ და მოახდინონ იმ გაერთიანებების უფრო ეფექტური მართვა, რომლებიც შექმნილია სამრეწველო საკუთრებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის სფეროში და პატივი სცენ თითოეული გაერთიანების დამოუკიდებლობას,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ორგანიზაციის დაარსება

წინამდებარე კონვენციით დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის:

1. „ორგანიზაცია“ განიმარტოს, როგორც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო);

2. „საერთაშორისო ბიურო“ განიმარტოს, როგორც ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიურო;

3. „პარიზის კონვენცია“ განიმარტოს, როგორც სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენცია ხელმოწერილი 1883 წლის 20 მარტს მასში შესული ნებისმიერი შესწრების ჩათვლით;

4. „პარიზის კავშირი“ განიმარტოს, როგორც პარიზის კონვენციით დაფუძნებული საერთაშორისო გაერთიანება;

5. „ბერნის კავშირი“ განიმარტოს, როგორც ბერნის კონვენციით დაფუძნებული საერთაშორისო გაერთიანება.

6. „კავშირები“ განიმარტოს, როგორც პარიზის კავშირი, განსაკუთრებული კავშირები და ამ კავშირთან მიმართებაში გაფორმებული ხელშეკრულებები, ბერნის კავშირი, და ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც შექმნილია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დასაცავად და რომლის ადმინისტრირება ხორციელდება ორგანიზაციის მიერ მუხლი 4(3)-ის შესაბამისად;

8. ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება:
- ლიტერატურულ, ხელოვნების ნაწარმოებებს და სამეცნიერო ნაშრომებს;
- შესრულებებს, ფონოგრამებსა და მაუწყებლობებს;
- ყველა სფეროში შექმნილ გამოგონებებს;
- სამეცნიერო აღმოჩენებს;
- სამრეწველო ნიმუშებს;
- სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, კომერციულ დასახელებებს და სახელწოდებებს;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვას.

და ყველა სხვა უფლებას, რომელიც წარმოიშობა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ, ან ხელოვნების სფეროში.

მუხლი 3. ორგანიზაციის მიზნები

ორგანიზაციის მიზნებია:

1. მთელს მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ხელშეწყობა ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და სხვა ორგანიზაციებთან კოლაბორაციის გზით.

2. სხვადასხვა გაერთიანებას შორის ადმინისტრაციული თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მუხლი 4. ფუნქციები

იმისთვის, რომ მიღწეულ იქნეს მუხლი 3-ით გათვალისწინებული მიზნები, ორგანიზაციამ, თავისი შესაბამისი ორგანოების მეშვეობით და თითოეული გაერთიანების კომპეტენციის ფარგლებში:

1. ხელი უნდა შეუწყოს იმ ბერკეტების განვითარებას, რომელთა საშუალებითაც მოხდება ინტელექტუალური საკუთრების ეფექტური დაცვა მთელს მსოფლიოში და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება;

2. უნდა შეასრულოს პარიზის კავშირთან, განსაკუთრებულ კავშირებთან და ბერნის კავშირთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დავალებები;

3. შეუძლია თანხმობა გამოთქვას, რომ შეაჯამოს ან მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი იმ საერთაშორისო ხელშეკრულების ადმინისტრირებაში, რომელიც შექმნილია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიზნით;

4. უნდა მოუწოდოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულება ,რომელიც შექმნილია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიზნით;

5. თანამშრომლობა შესთავაზოს ქვეყნებს, რომლებიც ითხოვენ სამართლებრივ-ტექნიკურ დახმარებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში;

6. უნდა შეაგროვოს და გაავრცელოს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ჩაატაროს და ხელი შეუწყოს კვლევებს ამ სფეროში და გამოაქვეყნოს ამ კვლევების შედეგები;

7. უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დაცვის მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, ამ სფეროში რეგისტრაციისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული მონაცემების გამოქვეყნება;

8. უფლებამოსილია განახორციელოს ყველა სხვა საჭირო საქმიანობა.

მუხლი 5. წევრობა

1. ორგანიზაციის წევრობა ღიაა ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც ნებისმიერი კავშირის წევრია, მუხლი 2(7)-ის თანახმად.
2. ორგანიზაციის წევრობა თანაბრად ღიაა ნებისმიერი იმ ქვეყნისათვის, რომელიც არ მიეკუთვნება არცერთ კავშირს იმის გათვალისწინებით, რომ:
ა) ქვეყანა არის გაერთიანებული ერების წევრი, ნებისმიერი სპეციალიზებული სააგეტო, რომელიც კავშირშია გაერთიანებულ ერებთან ან საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოსთან, ან არის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მხარე ან
ბ) მოწვეულია გენერალური ასამბლეის მიერ, რათა გახდეს წინამდებარე კონვენციის მხარე.

მუხლი 6. გენერალური ასამბლეა

1.
ა) გენერალური ასამბლეა უნდა შედგებოდეს კონვენციის ხელშემკვრელი მხარეებისგან, რომლებიც ნებისმიერი კავშირის წევრები არიან.
ბ) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დელეგატის მიერ, რომელსაც შეიძლება დახმარებას უწევდნენ ალტერნატიული დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.

გ) დელეგაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს იმ ქვეყნის მთავრობა, რომლის დანიშნულიც არის დელეგატი.

2. გენერალურმა ასამბლეამ უნდა:
2.1 დანიშნოს გენერალური დირექტორი საკოორდინაციო კომიტეტის მიერ წაყენებული კანდიდატებიდან;
2.2 გადახედოს და დაამტკიცოს ორგანიზაციის თაობაზე გენერალური დირექტორის ანგარიშები და უზრუნველყოს იგი ყველა საჭირო ინსტრუქციით;
2.3 გადახედოს და დაამტკიცოს საკოორდინაციო კომიტეტის მოხსენებები და აქტივობები და მისცეს ინსტრუქციები ამ კომიტეტს;
2.4 მიიღოს ორწლიანი ბიუჯეტი კავშირების ხარჯებთან დაკავშირებით;
2.5 დაამტკიცოს გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილი მექანიზმები მუხლი 4(3)-ით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით;
2.6 დაამტკიცოს ორგანიზაციის ფინანსური რეგულაციები ;
2.7 განსაზღვროს სამდივნოს სამუშაო ენები გაერთიანებული ერების გამოცდილების გათვალისწინებით;
2.8 მოიწვიოს მუხლი 5(2)(ბ)-ით გათვალისწინებული ქვეყნები კონვენციის წევრობისთვის;
2.9 განსაზღვროს, თუ რომელი ორგანიზაციის არა წევრი ქვეყნები, მთავრობათაშორისი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები იქნენ დაშვებულნი დამკვირვებლად შეხვედრებზე;
2.10 განახორციელოს წინამდებარე კონვენციით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

3.
ა) თითოეულ ქვეყანას, კავშირის წევრს თუ არა წევრს უნდა ქონდეს გენერალურ ასამბლეაში ერთი ხმის მიცემის უფლება.
ბ) გენერალური ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარმა უნდა შეადგინოს კვორუმი.
გ) მიუხედავად ქვეპარაგრაფი „ბ„-სა, თუ რომელიმე სესიაზე ქვეყნების წარმომადგენლობები შეადგენს ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ ტოლია ან მეტია გენერალური ასამბლეის მესამედისა, გენერალურ ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ, საკუთარ პროცედურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, ყველა ეს გადაწყვეტილება მაშინ იქონიებს ძალას, თუ შემდეგი პირობები იქნება დაკმაყოფილებული. საერთაშორისო ბიურომ ამგვარი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს გენერალური ასამბლეის იმ წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ სხდომას და მოიწვიონ ისინი, რათა წერილობით გამოხატონ თავიანთი ხმა ან თავი შეიკავონ კომუნიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში. თუ ვადის გასვლის მომენტისთვის იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მისცეს ხმა ან თავი შეიკავეს ხმის მიცემისგან მიაღწევს იმ ნიშნულს რაც იყო საჭირო კვორუმის მოსაპოვებლად, ასეთ გადაწყვეტილებებს ექნებათ ძალა იმის გათვალისწინებით, რომ ამავდროულად უმბრავლესობა არის წარმოდგენილი.
დ) „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.
ე) მუხლი 4(3)-ით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დამტკიცება უნდა მოხდეს ხმების სამი მეოთხედის უმრავლესობით.
ვ)გაერთიანებულ ერებთან ხელშეკრულების გაფორმება, გაეროს ქარტიის მუხლი 57 და 63-ის შესაბამისად, მოითხოვს ხმების ცხრა მეათედს.
ზ) გენერალური დირექტორის დანიშვნისთვის (მუხლი 2.1), გენერალური დირექტორის მიერ

შეთავაზებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მიღებისა (მუხლი 2.5) და შტაბ–ბინის გადაცემისთვის (მუხლი 10), მოთხოვნილი უმრავლესობა უნდა შედგეს არამხოლოდ გენერალური ასამბლეის სხდომაზე, არამედ, ასევე, პარიზის კავშირზე და ბერნის კავშირის ასამბლეაზეც.
თ) თავის შეკავება არ შეიძლება განიხილოს, როგორც ხმის მიცემა.
ი) დელეგატმა უნდა წარმოადგინოს ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ ქვეყნის სახელით.

4.
ა) გენერალური ასამბლეის სხდომა უნდა გაიმართოს ყოველ მეორე კალენდარულ წელს მორიგ სხდომაზე, გენერალური დირექტორის მოწვევის საფუძველზე.
ბ) გენერალური ასამბლეის რიგგარეშე სხდომა შეიძლება გაიმართოს გენერალური დირექტორის მოწვევის და საკოორდინაციო კომიტეტის ან გენერალური ასამბლეის წევრი ქვეყნების მეოთხედის მოთხოვნის საფუძველზე.
გ) შეხვედრები უნდა გაიმართოს ორგანიზაციის შტაბ–ბინებში.

5. კონვენციის წევრი ქვეყნები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არცერთ კავშირს, შეიძლება დაშვებულ იქნან გენერალური ასამბლეის სხდომაზე, როგორც დამკვირვებლები.

6. გენერალურმა ასამბლეამ უნდა მიიღოს საკუთარი პროცედურა.

მუხლი 7. კონფერენცია

1.
ა) კონფერენცია უნდა შედგებოდეს კონვენციის მონაწილე ქვეყნებისგან მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებიან თუ არა ისინი რომელიმე კავშირს.
ბ) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ეხმარებოდნენ ალტერნატიული დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.
გ) წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს ის მთავრობა, რომელმაც დელეგატი დანიშნა.

2. კონფერენციამ უნდა:
2.1 განიხილოს ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი საკითხები და მიიღოს რეკომენდაციები ამ თემებთან დაკავშირებით, კავშირების დამოუკიდებლობისა და კომპეტენციის გათვალისწინებით;
2.2 მიიღოს კონფერენციის ორწლიანი ბიუჯეტი;
2.3 კონფერენციის ბიუჯეტის ფარგლებში, დაამტკიცოს სამართლებრივ–ტექნიკური დახმარების ორწლიანი პროგრამა;
2.4 მე–17 მუხლის შესაბამისად მიიღოს კონვენციაში შეტანილი ცვლილებები;
2.5 განსაზღვროს ორგანიზაციის რომელი არაწევრი ქვეყანა და მთავრობათაშორისი, ასევე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება დაესწრონ შეხვედრებს როგორც დამკვირვებლები.
2.6 განახორციელოს კონვენციით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

3.
ა) თითოეულ წევრ ქვეყანას კონფერენციაზე აქვს ერთი ხმის მიცემის უფლება.
ბ) წევრი ქვეყნების ერთმა მესამედმა უნდა შეადგინოს კვორუმი.

გ) მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კონფერენციამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.
დ) კონვენციის იმ წევრი ქვეყნების ფინანსური შენატანების ოდენობა, რომლებიც არცერთ კავშირს არ მიეკუთვნებიან, უნდა განისაზღვროს ხმის მიცემით, რომელშიც მხოლოდ მოცემული ქვეყნის დელეგატს აქვს ხმის მიცემის უფლება.
ე) თავის შეკავება არ შეიძლება ჩაითვალოს ხმის მიცემად.
ვ) დელეგატმა უნდა წარმოადგინოს ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ ქვეყნის სახელით.

4.
ა) კონფერენცია უნდა შეიკრიბოს მორიგ სხდომაზე გენერალური დირექტორის მოწვევის საფუძველზე, გენერალური ასამბლეის სხდომის ჩატარების დროსა და ადგილას.
ბ)კონფერენციის რიგგარეშე სხდომა შეიძლება ჩატარდეს გენერალური დირექტორის მოწვევით, წევრი ქვეყნების უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე.

5.კონფერენციამ უნდა მიიღოს საკუთარი პროცედურა.

მუხლი 8. საკოორდინაციო კომიტეტი
1.
ა) საკოორდინაციო კომიტეტი უნდა შედგებოდეს კონვენციის მხარე ქვეყნებისგან, რომლებიც არიან პარიზის ,ბერნის ან ერთდროულად ორივე კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. თუმცა, თუ რომელიმე ზემოხსენებული აღმასრულებელი კომიტეტი დაკომპლექტებულია ასამბლეის წევრი ქვეყნების მეოთხედზე მეტი ქვეყნით, რომელმაც ის აირჩია, შემდგომ ამგვარმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წევრი ქვეყნებიდან უნდა დანიშნოს საკოორდინაციო კომიტეტის წევრები ისე, რომ მათმა რიცხვმა არ გადააჭარბოს ზემოხსენებულის მეოთხედს, იმის გათვალისწინებით რომ ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც არის განთავსებული ორგანიზაციის შტაბ-ბინები, მონაწილეობას ვერ მიიღებს მეოთხედის ფორმირებაში.
ბ) საკოორდინაციო კომიტეტის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შესაძლოა ეხმარებოდნენ ალტერნატიული დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.
გ) ნებისმიერ დროს, როცა საკოორდინაციო კომიტეტი განიხილავს პროგრამასთან პირდაპირ კავშირში არსებულ საკითხს ან კონფერენციის ბიუჯეტს და მის დღის წესრიგს ან კონვენციის იმ ცვლილებაზე შემოთავაზებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს კონვენციის იმ წევრი ქვეყნების უფლებებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც არცერთ კავშირს არ მიეკუთვნებიან, ამ ქვეყნების მეოთხედმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საკოორდინაციო კომიტეტის სხდომებში იმავე უფლებებით, რაც აქვთ კომიტეტის წევრებს. კონფერენციამ თავის ყველა მორიგ სესიაზე უნდა დანიშნოს ამგვარი ქვეყანა.
დ) წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს ის მთავრობა, რომელმაც დელეგატი დანიშნა.

2. თუ ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებულ სხვა კავშირებს სურვილი აქვთ წარმოდგენილ იქნენ საკოორდინაციო კომიტეტში, მათი წარმომადგენლობები უნდა დაინიშნოს საკოორდინაციო კომიტეტის წევრი ქვეყნებიდან.

3. საკოორდინაციო კომიტეტმა უნდა:

3.1 მისცეს რჩევა კავშირების ორგანოებს, გენერალურ ასამბლეას, კონფერენციასა და გენერალურ დირექტორს ყველა ადმინისტრაციული, ფინანსური და ორი ან მეტი კავშირის საერთო ინტერესების შესახებ, ან ერთი ან რამდენიმე კავშირის და ორგანიზაციის საერთო ინტერესზე, და განსაკუთრებით კავშირების ბიუჯეტის გასავალზე;
3.2 მოამზადოს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგის სამუშაო ვარიანტი;
3.3 მოამზადოს დღის წესრიგის სამუშაო ვარიანტი და პროგრამის სამუშაო ვარიანტი, ასევე, კონფერენციის ბიუჯეტი;
3.4 (ამოღებულია)
3.5 გენერალური დირექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას, ან მაშინ, როცა გამოცხადებულია ვაკანსია გენერალური დირექტორის პოსტზე, წარადგინოს კანდიდატი გენერალური ასამბლეის მიერ ამ პოზიციაზე დანიშვნისთვის; თუ გენერალური ასამბლეა არ ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს, საკოორდინაციო კომიტეტმა უნდა წარადგინოს სხვა კანდიდატი, ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ გენერალური დირექტორი წარდგენილ კანდიდატს არ დანიშნავს;
3.6 თუ გენერალური დირექტორის პოსტი ვაკანტური გახდება ორ სესიას შორის, დანიშნოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ახალი გენერალური დირექტორის არჩევამდე;
3.7 კონვენციით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

4.
ა) საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა უნდა გაიმართოს ყოველ წელს, გენერალური დირექტორის მოწვევის საფუძველზე. სხდომა გაიმართება ორგანიზაციის შტაბ-ბინებში.
ბ) საკოორდინაციო კომიტეტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება გენერალური დირექტორის მოწვევისა და საკუთარი ინიციატივის საფუძველზე ან თავმჯდომარის, ან წევრთა მეოთხედის მოთხოვნის საფუძველზე.

5.
ა) ყველა ქვეყანა, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი პირველი „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი ან ორივე აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საკოორდინაციო კომიტეტზე სარგებლობს ერთი ხმის მიცემის უფლებით.
ბ)საკოორდინაციო კომიტეტის წევრების ნახევარმა უნდა შეადგინოს კვორუმი.
გ)დელეგატმა უნდა წარმოადგინოს ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ ქვეყნის სახელით.

6.
ა) საკოორდინაციო კომიტეტმა თავისი მოსაზრებები უნდა გამოთქვას და გადაწყვეტილებები მიიღოს ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმის მიცემისგან თავის შეკავება არ ითვლება ხმის მიცემად.
ბ) მაშინაც კი თუ უბრალო უმრავლესობა მიღებულია, საკოორდინაციო კომიტეტის ნებისმიერ წევრს შეუძლია, ხმის მიცემიდან დაუყოვნებლივ, მოითხოვოს შემდეგი ფორმით ხმების სპეციალური გადათვლა: ორი დამოუკიდებელი სია უნდა მომზადდეს, პირველი უნდა მოიცავდეს პარიზის კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების დასახელებებს, და მეორე-ბერნის კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების დასახელებებს. თითოეული ქვეყნის ხმა უნდა ჩაიწეროს ქვეყნის სახელწოდების გასწვრივ იმ სიაში, სადაც ის არის განთავსებული. თუ სპეციალური გადათვლის ეს მექანიზმი გამოავლენს, რომ თითოეულ სიაში უბრალო უმრავლესობა არ იყო მიღწეული, წინადადება არ ჩაითვლება მიღებულად.

7. ორგანიზაციის წევრი ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ არის საკოორდინაციო კომიტეტის წევრი, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კომიტეტის სხდომაზე როგორც დამკვირვებელი, მონაწილეობა მიიღოს დებატებში ხმის მიცემის გარეშე.

8. საკოორდინაციო კომიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარი პროცედურა.

მუხლი 9. საერთაშორისო ბიურო

1. საერთაშორისო ბიურო არის ორგანიზაციის სამდივნო.

2. საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, ორი ან მეტი გენერალური დირექტორის მოადგილის დახმარებით.

3. გენერალური დირექტორი უნდა დაინიშნოს განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა იყოს 6 წელზე ნაკლები. დასაშვებია მისი განსაზღვრული ვადებით ხელახლა არჩევა. თავდაპირველი დანიშვნის და მომდევნო დანიშვნების პერიოდები, ისევე, როგორც დანიშვნის პირობები, უნდა იყოს განსაზღვრული გენერალური ასამბლეის მიერ.

4.
ა) გენერალური დირექტორი არის ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი.
ბ) მან უნდა წარმოადგინოს ორგანიზაცია.
გ) შიდა და საგარეო საქმიანობასთან დაკავშირებით მან უნდა წარადგინოს ანგარიში და დაემორჩილოს გენერალური ასამბლეის მითითებებს.

5. გენერალურმა დირექტორმა უნდა მოამზადოს პროგრამის მონახაზი და ბიუჯეტი, ასევე, პერიოდული მოხსენება საქმიანობაზე. მან ის უნდა გადასცეს დაინტერესებული ქვეყნის მთავრობებს, კავშირების კომპეტენტურ ორგანოებს და ორგანიზაციას.

6. გენერალურმა დირექტორმა და ნებისმიერმა მის მიერ დანიშნულმა თანამშრომელმა ხმის მიცემის უფლების გარეშე მონაწილეობა უნდა მიიღოს გენერალური ასამბლეის ყველა სხდომაზე, კონფერენციაზე, საკოორდინაციო კომიტეტზე და სხვა ნებისმიერ კომიტეტზე ან სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული თანამშრომელი ex oficio უნდა მოქმედებდნენ, როგორც ამ ორგანოების სამდივნო.

7. საერთაშორისო ბიუროს საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, გენერალურმა დირექტორმა უნდა დანიშნოს პერსონალი. საკოორდინაციო კომიტეტის მოწონების შემდგომ მან უნდა დანიშნოს გენერალური დირექტორის მოადგილეები. დასაქმების პირობები უნდა განისაზღვროს პერსონალის რეგულაციების შესაბამისად და დამტკიცდეს საკოორდინაციო კომიტეტის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე. პერსონალის დასაქმებისას და მომსახურების პირობების განსაზღვრისას არსებითად გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს დასაქმებულის ისეთმა შერჩევამ, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურობის, კომპეტენციისა და ერთიანობის მაღალ სტანდარტს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის შერჩევას რაც შეიძლება ფართო გეოგრაფიული არეალიდან.
8. გენერალური დირექტორისა და პერსონალის პასუხისმგებლობა უნდა ატარებდეს მხოლოდ საერთაშორისო ხასიათს. საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას მათ არ უნდა მოიძიონ ან მიიღონ რომელიმე მთავრობის ან ავტორიზებული გარე ორგანოს ინსტრუქციები. მათ თავი უნდა აარიდონ ნებისმიერ ისეთ ქმედებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ, როგორც საერთაშორისო მოხელის საქმიანობას. თითოეულმა წევრმა ქვეყანამ პატივი უნდა სცეს

გენერალური დირექტორის და პერსონალის პასუხისმგებლობების საერთაშორისო ხასიათს და არ მოახდინოს ზეგავლენა მათი მოვალეობების განხორციელებაზე.

მუხლი 10. შტაბ-ბინები

1. ორგანიზაციის შტაბ–ბინები განთავსებულია ჟენევაში.
2. გადაწყვეტილება მათი გადატანის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მუხლი 6(3) „დ“ და“ ზ„–ს შესაბამისად.

მუხლი 11. ფინანსები

1. ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ორი დამოუკიდებელი ბიუჯეტი: კავშირების ხარჯების ბიუჯეტი და კონფერენციის ბიუჯეტი.

2.

2.1 კავშირების ხარჯების ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს ნორმებს იმ ხარჯებზე, რომლებიც წარმოადგენს რამდენიმე კავშირის ინტერესს.
2.2 ბიუჯეტი უნდა შეივსოს შემდეგი წყაროებიდან:
ა) კავშირების შემოწირულებები, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული კავშირის შემოწირულება განისაზღვრება კავშირის ასამბლეის მიერ საერთო ხარჯებში კავშირის ინტერესის მიხედვით;
ბ) საერთაშორისო ბიუროს მიერ გაწეული იმ მომსახურების საფასური, რომელიც პირდაპირ კავშირში არაა არცერთ კავშირთან და არ არის მიღებული საერთაშორისო ბიუროს მიერ სამართლებრივ–ტექნიკური დახმარების სფეროში გაწეული მომსახურებიდან;
გ) საერთაშორისო ბიუროს პუბლიკაციების გაყიდვიდან ან შემოსავლებიდან, რომელიც არ არის პირდაპირ კავშირში აცერთ კავშირთან;
დ) ორგანიზაციის მიერ მიღებული საჩუქრები, მემკვიდრეობები და სუბსიდიები, გარდა პუნქტი 3.2 „ბ„–ით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
ე) ორგანიზაციისთვის გადახდილი ქირა, პროცენტი და სხვა ტიპის შემოსავალი.

3.

1) კონფერენციის ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს მუხლებს სესიების ჩატარების ხარჯების შესახებ და სამართლებრივ–ტექნიკური დახმარების პროგრამის საფასურს.
2) ეს ბიუჯეტი უნდა დაფინანსდეს შემდეგი წყაროებიდან:
ა) კონვენციის იმ წევრი ქვეყნების შემოწირულებები, რომლებიც არცერთ კავშირს არ მიეკუთვნებიან;
ბ) ამ ბიუჯეტისთვის კავშირების მიერ განსაზღვრული ნებისმიერი თანხები, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ამგვარი თანხის ოდენობა დამტკიცებული იქნება მოცემული კავშირის ასამბლეის მიერ და თითოეულ კავშირს ექნება უფლება თავი შეიკავოს ამ ბიუჯეტში თანხის შეტანისგან;
გ) საერთაშორისო ბიუროს მიერ სამართლებრივ–ტექნიკური დახმარების გაწევისთვის მიღებული შემოსავალი;
დ) ორგანიზაციის მიერ მიღებული საჩუქრები, მემკვიდრეობა და სუბსიდიები 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის.
4.
4.1 კონფერენციის ბიუჯეტისთვის ფინანსური შენატანების განსაზღვრისთვის, კონვენციის თითოეული წევრი ქვეყანა უნდა მიეკუთვნებოდეს განსაზღვრულ კლასს და გადაიხადოს

ყოველწლიური გადასახადი დადგენილი ერთეულების შესაბამისად:

კლასი A ---------10

კლასი B --------- 3

კლასი C---------- 1

4.2 ამავდროულად, მუხლი 14(1)-ის გათვალისწინებით, თითოეულმა ამ ქვეყანამ უნდა მიუთითოს, თუ რომელ კლასს უნდა რომ მიეკუთვნებოდეს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეიცვალოს კლასი. თუ ის ირჩევს უფრო დაბალ კლასს, ამის შესახებ ქვეყანამ უნდა განაცხადოს კონფერენციის ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე. ამგვარი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს კალენდარული წლის დასაწყისში სხდომის შემდგომ.
4.3 თითოეული ამ ქვეყნის წლიური ფინანსური შენატანის ოდენობა ისე უნდა შეესაბამებოდეს კონფერენციის ბიუჯეტისთვის გადაცემული თანხის მთლიან ოდენობას, როგორც მისი ერთეულების რაოდენობა შეესაბამება ქვეყნების საერთო რაოდენობას.
4.4 ფინანსური შენატანები უნდა გაკეთდეს ყოველი წლის პირველი იანვრისთვის.
4.5 თუ ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი ფინანსური წლის დასაწყისისთვის, ბიუჯეტი დარჩება იგივე რაც იყო გასულ წელს, ფინანსური რეგულაციების შესაბამისად.

5. წინამდებარე კონვენციის ნებისმიერ წევრ ქვეყანას, რომელიც არ მიეკუთვნება არცერთ იმ კავშირს, რომელსაც მოცემული მუხლის შესაბამისად აქვს ფინანსური შენატანების გადახდის ვალდებულება და ნებისმიერი კონვენციის წევრი ქვეყანა, რომელიც ნებისმიერი კავშირის წევრია, რომელსაც აქვს ფინანსური შენატანების გადახდის დავალიანება, არ ექნება ხმის მიცემის უფლება იმ ორგანიზაციის ნებისმიერ ორგანოში, რომლის წევრიცაა, თუ დავალიანება უტოლდება ან მეტია წინა 2 წლის შენატანებისა. თუმცა, ზემოხსენებულ ორგანოს შეუძლია ნება დართოს მოცემულ ქვეყანას კვლავაც განახორციელოს ხმის მიცემის უფლება ამ ორგანოში, თუ გადასახადის შეფერხება გამოწვეულია გამონაკლისი და გარდაუვალი გარემოებებით.

6. საერთაშორისო ბიუროს მიერ სამართლებრივ- ტექნიკურ სფეროში გაწეული მომსახურებისთვის გადახდილი საფასურების და თანხის ოდენობა უნდა დადგინდეს და მიეწოდოს გენერალური დირექტორის მიერ საკოორდინაციო კომიტეტს.

7. ორგანიზაციას, საკოორდინაციო კომიტეტის თანხმობით შეუძლია მიიღოს საჩუქრები, მემკვიდრეობა და სუბსიდიები პირდაპირი გზით მთავრობებისგან, კერძო ან საჯარო დაწესებულებებისაგან, ასოციაციებისაგან ან კერძო პირებისგან.

8.
ა) ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს სამუშაო კაპიტალის ფონდი, რომელიც უნდა შედგებოდეს კავშირებისა და თითოეული კონვენციის წევრი და არცერთი კავშირის წევრი ქვეყნის ერთჯერადი გადასახადისგან. თუ კაპიტალი გახდება არასაკმარისი, ის შეიძლება გაიზარდოს.
ბ) თითოეული კავშირის ერთჯერადი გადახდის ოდენობისა და მათი კაპიტალის ზრდაში ნებისმიერი შესაძლო მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასამბლეა.
გ) კონვენციის თითოეული იმ წევრი ქვეყნის, რომელიც არ მიეკუთვნება არცერთ კავშირს, ერთჯერადი გადახდის ოდენობა და ნებისმიერ ზრდაში მათი წილის მოცულობა უნდა იყოს პროპორციული ქვეყნის იმ წლიური ფინანსური შენატანებისა, რომელშიც ფონდი შედგა ან გადაწყვეტილება იქნა მიღებული ზრდის შესახებ. პროპორცია და გადახდის პირობები

უნდა დადგინდეს კონფერენციის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების წარდგენის საფუძველზე და მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მოისმენს რჩევას საკოორდინაციო კომიტეტისგან.

9.
ა) შტაბ-ბინების შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება იმ ქვეყანასთან, სადაც ორგანიზაციას აქვს განთავსებული თავისი შტაბ-ბინები, უნდა იყოს მითითებული, რომ, თუ სამუშაო კაპიტალის ფონდი გახდება არასაკმარისი, ზემოხსენებული ქვეყანა გაწევს ფინანსურ დახმარებას. ფინანსური დახმარების ოდენობა და პირობები თითოეულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი ხელშეკრულებებით ამ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის. მანამ, სანამ ქვეყანა ვალდებულია გაწიოს ფინანსური დახმარება, იგი ისარგებლებს ex officio ადგილით საკოორდინაციო კომიტეტში.
ბ) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქვეყანას და ორგანიზაციას უფლება აქვთ გააუქმონ ავანსების მინიჭების ვალდებულება წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. დენონსაცია ძალაში შევა შეტყობინების გაცემის წლის ბოლოდან სამი წლის შემდეგ.

10. ბუღალტრული აუდიტი უნდა განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე წევრი ქვეყნის ან გარე აუდიტორების მიერ, ფინანსური რეგულაციების შესაბამისად. ისინი უნდა დაინიშნონ გენერალური ასამბლეის მიერ და საკუთარი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 12. ქმედუნარიანობა, პრივილეგიები და იმუნიტეტი

1. ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს თითოეული წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ისეთი ქმედუნარიანობა, რომელიც საჭირო იქნება ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად და ფუნქციების შესრულებისთვის.

2. ორგანიზაციამ უნდა გააფორმოს შტაბ-ბინების შესახებ ხელშეკრულება შვეიცარიის კონფედერაციასთან და ნებისმიერ იმ ქვეყანასთან, სადაც შტაბბინა იქნება განთავსებული.

3. ორგანიზაციას შეუძლია გააფორმოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა წევრ ქვეყნებთან ორგანიზაციის, თანამდებობის პირების და წევრი ქვეყნების წარმომადაგენლების იმ პრივილეგიებისა და იმუნიტეტების განხორციელებისთვის, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად და ფუნქციების შესასრულებლად.

4. გენერალურ დირექტორს შეუძლია მოლაპარაკებები აწარმოოს და საკოორდინაციო კომიტეტიდან დამტკიცების შემდგომ გააფორმოს და ხელი მოაწეროს მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებს.

მუხლი 13. სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობები

1. საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციას შეუძლია დაამყაროს სამსახურებრივი ურთიერთობები და ითანამშრომლოს სხვა მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან. ნებისმიერი ზოგადი შეთანხმება ამგვარ ორგანიზაციებთან მიმართებაში უნდა განხორციელდეს გენერალური დირექტორის მიერ საკოორდინაციო კომიტეტის მიერ დასტურის მიღების შემდეგ.
2. ორგანიზაციას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლია გამართოს სათანადო

კონსულტაციები და ითანამშრომლოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ამ მთავრობების თანხმობით, ეროვნულ, სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამგვარი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გენერალური დირექტორის მიერ საკოორდინაციო კომიტეტის დასტურის შემდეგ.

მუხლი 14. კონვენციის წევრობა

1. მეხუთე მუხლით გათვალისწინებული ქვეყნები კონვენციის მხარეები და ორგანიზაციის წევრები ხდებიან:
ა) ხელმოწერით, რატიფიკაციისგან თავის შეკავების გარეშე ან
ბ) ხელმოწერით, რომელიც საჭიროებს რატიფიკაციას, რატიფიკაციის საშუალების დეპონირების შემდეგ ან
გ) მიერთების საშუალების დეპონირებით.

2. მიუხედავად კონვენციის ნებისმიერი სხვა მუხლისა, პარიზის, ბერნის კონვენციების ან ორივეს მონაწილე ქვეყანა შეიძლება გახდეს ამ კონვენციის მხარე, თუ ის ამავდროულად ახდენს რატიფიკაციას ან უერთდება, ან მხოლოდ მას შემდეგ, რაც რატიფიკაცია გააკეთა ან მიუერთდა:
ან პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს სრულად ან მხოლოდ მე-20 მუხლის (1)(ბ)(ი) პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვებს,
ან ბერნის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს სრულად ან მხოლოდ მუხლის 28(1)(ბ)(ი) პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

3. რატიფიკაციის და მიერთების საშუალებები დეპონირებულ უნდა იქნეს გენერალურ დირექტორზე.

მუხლი 15. კონვენციის ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა სამი თვის შემდეგ, რაც პარიზის კავშირის ათი წევრი ქვეყანა და ბერნის კონვენციის შვიდი წევრი ქვეყანა განახორციელებს მუხლი 14(1)-ით გათვალისწინებულ მოქმედებებს იმის გათვალისწინებით, რომ, თუ ქვეყანა არის ორივე კავშირის წევრი, დათვლისას ის შევა ორივე კავშირის ჯგუფში. იმ დღეს კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს, ასევე, იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ორიდან არცერთ კავშირს, და განახორციელეს მუხლი 14(1)-თ გათვალისწინებული მოქმედებები სამი თვით ან უფრო მეტით ადრე კონვენციის ძალაში შესვლის დღემდე.

2. ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა მოცემული ქვეყნის მიერ მუხლი 14(1)-ით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 16. დათქმები

წინამდებარე კონვენციაზე დათქმების გაკეთება დაუშვებელია.

მუხლი 17. ცვლილებები

1. კონვენციაში ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადება შეიძლება ინიციირებული იყოს წევრი ქვეყნის, საკოორდინაციო კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. ასეთი წინადადებების შესახებ გენერალურმა დირექტორმა უნდა შეატყობინოს წევრ ქვეყნებს, სულ

მცირე, 6 თვით ადრე, ვიდრე მოხდება მათი კონფერენციაზე განსახილველად გატანა.

2. ცვლილებებს იღებს კონფერენცია. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები ზეგავლენას ახდენს კონვენციის წევრი ქვეყნის უფლებებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება არცერთ კავშირს, ასეთ ქვეყნებს აქვთ ხმის მიცემის უფლება. სხვა ყველა შემოთავაზებულ ცვლილებაზე მხოლოდ კონვენციის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არიან რომელიმე კავშირის წევრი აქვთ ხმის მიცემის უფლება. ცვლილებების მიღება უნდა მოხდეს ხმების უბრალო უმრავლესობით იმის გათვალისწინებით, რომ კონფერენცია ხმას მისცემს მხოლოდ ისეთი ცვლილებების წინადადებებზე, რომლებიც მანამდე იქნა მიღებული ბერნის და პარიზის კავშირების ასამბლეის მიერ ცვლილებების შეტანის თაობაზე მათი კონვენციების შესაბამისი ადმინისტრაციული მუხლების მიხედვით.

3. ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის ცვლილების მიღების შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან ერთი თვის შემდეგ, კონსტიტუციური პროცესების შესაბამისად, მიღებული გენერალური დირექტორის მიერ ორგანიზაციის იმ წევრი ქვეყნების სამი მეოთხედის მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ხმა მისცენ წინადადებებს ცვლილებებზე, მეორე პუნქტის შესაბამისად, იმ დროისთვის როცა კონფერენციამ მიიღო ცვლილება. შესაბამისად, ნებისმიერი მიღებული ცვლილება შემბოჭველი იქნება ორგანიზაციის ყველა წევრისთვის იმ დროისთვის, როცა ცვლილება ძალაში შევა ან რომელიც გახდება წევრი შემდგომში, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ზრდის წევრი ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, იქნება შემბოჭველი მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც გააგზავნეს შეტყობინება შესაბამის ცვლილებაზე თანხმობის შესახებ.

მუხლი 18. დენონსაცია

1. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

2. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 19. შეტყობინებები

გენერალურმა დირექტორმა ყველა წევრი ქვეყნის მთავრობას უნდა შეატყობინოს:
1. კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი,
2. ხელმოწერებისა და რატიფიკაციისა ან მიერთების საშუალებების დეპონირებები,
3. კონვენციის ცვლილებების მიღება და ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი,
4. კონვენციის დენონსაცია.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

1.
ა) წინამდებარე კონვენცია ხელმოწერილი უნდა იყოს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ეგზემპლარებზე და დეპონირებული შვედეთის მთავრობაზე.
ბ) წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოწერებისთვის სტოკჰოლმში 1968 წლის 13 იანვრამდე.
2. დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ, ოფიციალური ტექსტები უნდა

გამოქვეყნდეს გენერალური დირექტორის მიერ გერმანულ, იტალიურ და პორტუგალიურ და სხვა კონფერენციის მიერ განსაზღვრულ ენებზე.

3. გენერალურმა დირექტორმა უნდა გაუგზავნოს წინამდებარე კონვენციის ორი სათანადოდ დამოწმებული ასლი და პარიზისა და ბერნის კავშირების წევრი ქვეყნების მთავრობების კონფერენციის მიერ მიღებული თითოეული ცვლილება კონვენციის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობას კონვენციაზე მიერთების შემდეგ და, მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას. მთავრობებისთვის გადაცემული კონვენციის ხელმოწერილი ტექსტის ასლები დამოწმებული უნდა იყოს შვედეთის მთავრობის მიერ.

4. წინამდებარე კონვენცია გენერალურმა დირექტორმა უნდა დაარეგისტრიროს გაერთიანებული ერების სამდივნოში.

მუხლი 21. გარდამავალი დებულებები

1. სანამ გენერალური დირექტორი შეუდგება საქმიანობის განხორციელებას, საერთაშორისო ბიუროსთვის ან გენერალური დირექტორისთვის განკუთვნილი კონვენციის რეკომენდაციები უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც სამრეწველო, ლიტერატურული და სახელოვნებო საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიუროსთვის (ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიურო) ან მისი დირექტორისთვის განკუთვნილად, კერძოდ:

2.
ა) ქვეყნები, რომლებიც არიან რომელიმე კავშირის წევრები ,მაგრამ არ არიან კონვენციის მხარეები, უფლებამოსილნი არიან კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში, სურვილის შემთხვევაში, განახორციელონ ის უფლებები, რომლებიც წარმოიშობა კონვენციის მხარე ქვეყნებისთვის. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს განახორციელოს ეს უფლებები, ამის შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს გენერალურ დირექტორს. შეტყობინება ჩაითვლება მოქმედად მისი მიღების დღიდან. ასეთი ქვეყნები ვადის გასვლამდე მიჩნეულნი იქნებიან, როგორც გენერალური ასამბლეა და კონფერენცია.
ბ) ხუთწლიანი პერიოდის ამოწურვამდე, ამ ქვეყნებს არ ექნებათ გენერალურ ასამბლეაზე, კონფერენციაზე და საკოორდინაციო კომიტეტზე ხმის მიცემის უფლება.
გ) კონვენციაზე მიერთების შემდეგ ზემოხსენებული ქვეყანა მიიღებს ხმის მიცემის უფლებას.

3.
ა) ვიდრე არიან პარიზის ან ბერნის კავშირების წევრი ქვეყნები, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე კონვენციის მხარეებს, საერთაშორისო ბიურო და გენერალური დირექტორი იმოქმედებენ ისე, როგორც, შესაბამისად, სამრეწველო, ლიტერატურული და დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიურო და მისი დირექტორი.
ბ) ზემოხსენებული ბიუროს თანამშრომლები კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხილულ უნდა იქნენ, როგორც საერთაშორისო ბიუროს თანამშრომლები.

4.

ა) მას შემდეგ, რაც პარიზის კავშირის ყველა წევრი ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, აღნიშნული კავშირის უფლებები, მოვალეობები და საკუთრება უნდა გადავიდეს საერთაშორისო ორგანიზაციის ბიუროს სახელზე.
ბ) მას შემდეგ, რაც ბერნის კავშირის ყველა წევრი ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, აღნიშნული კავშირის უფლებები, მოვალეობები და საკუთრება უნდა გადავიდეს საერთაშორისო ორგანიზაციის ბიუროს სახელზე.

ფინანსური შენატანების ახალი სისტემა
ისმო-ს მმართველმა ორგანოებმა და ისმო-ს მიერ ადმინისტრირებულმა კავშირებმა 1994 წლის 1 იანვრიდან მიიღეს ფინანსური შენატანების ახალი სისტემა, რომელიც ანაცვლებს ისმო-ს კონვენციის მუხლი 11(4)(ა), (ბ) და (გ), პარიზის კონვენციის მუხლი 16(4)(ა), (ბ) და (გ) და ბერნის კონვენციის 25(4)(ა), (ბ) და (გ) და სტრასბურგის, ნიცის, ლოკარნოს და ვენის შეთანხმებების შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ ფინანსური შენატანების სისტემას. იმ კონტრიბუციის სისტემის შესახებ დეტალების მოპოვება შეიძლება ისმო-ს საერთაშორისო ბიუროს საშუალებით.

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ

წევრი სახელმწიფოები, გამოთქვამენ რა სურვილს, შეამცირონ საერთაშორისო ვაჭრობის დამაბრკოლებელი და ხელშემშლელი ფაქტორები და ითვალისწინებენ რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ეფექტური და ადეკვატური დაცვის ხელშეწყობის, აგრეთვე იმის უზრუნველყოფის საჭიროებას, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა განსახორციელებლად გამიზნულმა ღონისძიებებმა და პროცედურულმა ნორმებმა თავისთავად არ შეუშალოს ხელი კანონიერ ვაჭრობას; აღიარებენ რა, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ახალი წესებისა და დისციპლინების შექმნა, რომლებიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ა) GATT 1994-ის და ინტელექტუალური საკუთრების თაობაზე დადებული შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების ძირითადი პრინციპების გატარება;
ბ) ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობის, მოქმედების სფეროსა და გამოყენების თაობაზე ადეკვატური სტანდარტებისა და პრინციპების შემუშავება;
გ) ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა განხორციელებისთვის ეფექტური და სათანადო საშუალებების უზრუნველყოფა ეროვნული საკანონმდებლო სისტემებს შორის არსებულ განსხვავებათა გათვალისწინებით;
დ) მთავრობათა შორის წარმოქმნილი დავების მრავალმხრივი აღკვეთისა და დარეგულირებისათვის ეფექტური და გადაუდებელი პროცედურული ნორმების შემუშავება; და
ე) გარდამავალი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მოლაპარაკებების შედეგებში სრული მონაწილეობის მიღებას;

აღიარებენ რა გაყალბებული საქონლით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით პრინციპების, წესებისა და რეგლამენტების მრავალმხრივი სისტემის არსებობის საჭიროებას;

აღიარებენ რა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებები წარმოადგენს პირად უფლებებს;

აღიარებენ რა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემების ფუნდამენტურ სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს, განვითარებისა და ტექნოლოგიური განვითარების მიზნების ჩათვლით;

აღიარებენ რა აგრეთვე ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების სპეციფიკურ საჭიროებებს კანონებისა და რეგლამენტების ქვეყნის შიგნით განხორციელების მაქსიმალურად მოქნილი სისტემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რათა მათ შეძლონ მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შექმნა;

ხაზს უსვამენ რა დაძაბულობების შენელების მნიშვნელობას, რაც უნდა განხორციელდეს უფრო მტკიცე ვალდებულებების აღების გზით მრავალმხრივი პროცედურების მეშვეობით ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების საკითხებთან მიმართებით წარმოქმნილი დავების დარეგულირების მიზნით.

გამოთქვამენ რა სურვილს, დაამყარონ ურთიერთდამხმარე ურთიერთობა მსო-სა და მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციას (წინამდებარე შეთანხმებაში მოხსენიებული როგორც „ისმო"), ისევე როგორც სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის;

თანხმდებიან შემდეგზე:

ნაწილი I

ზოგადი დებულებები და ძირითადი პრინციპები

მუხლი 1
ვალდებულებების ხასიათი და ფარგლები

1. წევრი სახელმწიფოები აამოქმედებენ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ დებულებებს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თუმცა ვალდებულნი არ არიან, თავიანთ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ უფრო ფართო დაცვა, ვიდრე ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმებით, იმ პირობით, რომ ასეთი სახის დაცვა არ ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს. წევრ სახელმწიფოებს ეძლევათ სრული თავისუფლება თავად განსაზღვრონ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განხორციელების სათანადო მეთოდი საკუთარი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის ფარგლებში.

2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება" მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების ყველა იმ კატეგორიას, რომლებიც განხილულია – ნაწილი II 1–7 თავებში.

3. წევრი სახელმწიფოები სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს უმკვიდრებენ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ რეჟიმს. რაც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების შესაბამის უფლებას, სხვა წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები ნიშნავს იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პარიზის კონვენციით (1967 წ.), ბერნის კონვენციით (1971წ.), რომის კონვენციით და ინტეგრალურ სქემებთან მიმართებაში ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დაცვის უზრუნველყოფის კრიტერიუმებს, იმ შემთხვევაში, თუ „მსო"-ს შეთანხმების ყველა წევრი სახელმწიფო ამ კონვენციის წევრია. თითოეული წევრი სახელმწიფო, რომელიც სარგებლობს რომის კონვენციის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტით ან მე–6 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, აცნობებს ამის შესახებ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების საბჭოს („TRIPS"-ის საბჭო), აღნიშნული დებულებების თანახმად.

მუხლი 2
ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული კონვენციები

1. წინამდებარე შეთანხმების II, III და IV ნაწილების თანახმად წევრი სახელმწიფოები იცავენ პარიზის კონვენციის (1967 წ.) მუხლების 1–12 და 9 დებულებათა მოთხოვნებს.

2. წინამდებარე შეთანხმების I–IV ნაწილებიდან არცერთი არ ითვალისწინებს გამონაკლისს იმ ვალდებულებებიდან, რაც თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს ნაკისრი ერთმანეთის მიმართ პარიზის კონვენციის, ბერნის კონვენციის, რომის კონვენციისა და ინტეგრალურ მიკროსქემებთან მიმართებაში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 3
ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმი

1. თითოეული წევრი სახელმწიფო სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს სთავაზობს ხელშეწყობის ისეთ რეჟიმს, რომელიც არ იქნება იმაზე უფრო ნაკლებად ხელსაყრელი,

ვიდრე რეჟიმი, რომელსაც ისინი სთავაზობენ თავიანთ მოქალაქეებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მხრივ, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შესაბამისად პარიზის კონვენციით (1967 წ.), ბერნის კონვენციით (1971წ.), რომის კონვენციით ან კიდევ ინტეგრალურ სქემებთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმებებით. რაც შეეხება შემსრულებლებს, ფონოგრამათა მწარმოებლებს და სამაუწყებლო ორგანიზაციებს, ეს ვალდებულება შეეხება მხოლოდ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებს. ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც სარგებლობს ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლი 6 ან რომის კონვენციის მუხლი 16 1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, მოვალეა ამის შესახებ აცნობოს „TRIPS"–ის საბჭოს, აღნიშნული დებულებების თანახმად.

2. წევრებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ პუნქტით 1 გათვალისწინებული გამონაკლისებით სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, მათ შორის მისამართის მითითება შეტყობინების გასაგზავნად ან რომელიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში აგენტის დანიშვნა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი სახის გამონაკლისები საჭიროა იმ კანონების და ინსტრუქციების დასაცავად, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს და როდესაც ასეთი სახის პრაქტიკა არ გამოიყენება ისეთი სახით, რომ მან ფარულად შეზღუდოს ვაჭრობა.

მუხლი 4
უპირატესი ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან მიმართებით, ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია და იმუნიტეტი, რომლებსაც რომელიმე წევრი სახელმწიფო ანიჭებს სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა გავრცელდეს ყველა დანარჩენი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებზე. ეს ვალდებულებები არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოს მიერ ნებადართულ ყველა იმ უპირატესობაზე, პრივილეგიაზე ან იმუნიტეტზე, რომელიც:

ა) გამომდინარეობს საერთაშორისო შეთანხმებებიდან საერთო ხასიათის სასამართლო დახმარების ან კანონის აღსრულების შესახებ და რომლებიც არ შემოიფარგლება კონკრეტულად ინტელექტუალური საკუთრების დაცვით;
ბ) მინიჭებულია ბერნის (1971 წ.) ან რომის კონვენციის დებულებებით, რომლებიც ითვალისწინებს, რომ ნებადართული რეჟიმი წარმოადგენდეს არა ეროვნული რეჟიმის მოქმედებას, არამედ სხვა ქვეყანაში ნებადართული რეჟიმისა;
გ) ეხება შემსრულებელთა, ფონოგრამათა მწარმოებლების და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შეთანხმებით;
დ) გამომდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც ძალაში შევიდა „მსო"–ს შეთანხმების ძალაში შესვლამდე, იმ პირობით, რომ ასეთი სახის შეთანხმებების შესახებ ეცნობება „TRIPS"–ის საბჭოს და ისინი არ ითვალისწინებენ დანარჩენი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების თვითნებურ ან გაუმართლებელ დისკრიმინაციას.

მუხლი 5
მრავალმხრივი შეთანხმებები დაცვის უფლების მოპოვებაზე ან შენარჩუნებაზე

მუხლებით 3 და 4 გათვალისწინებული მოვალეობები არ შეეხება იმ პროცედურებს, რომლებიც გათვალისწინებულია „ისმო"-ს ეგიდით დადებულ მრავალმხრივი შეთანხმებებით და რომლებიც განეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მიღებასა და შენარჩუნებას.

მუხლი 6
უფლებათა ვადის გასვლა

წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ დავათა დარეგულირების მიზნით და მუხლების 3 და 4 თანახმად წინამდებარე შეთანხმების არცერთი პუნქტი არ უნდა იქნეს გამოყენებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვადის გასვლის საკითხის განსახილველად.

მუხლი 7
მიზნები

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა და აღსრულება გამიზნული უნდა იყოს ტექნოლოგიური სიახლეების შემუშავების, გადაცემისა და გავრცელების ხელშესაწყობად, ტექნოლოგიური ცოდნის როგორც მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა საერთო სარგებლობისთვის და ისეთი გზით, რომ ხელი შეუწყოს სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას და დაამყაროს წონასწორობა უფლებებსა და მოვალეობებს შორის.

მუხლი 8
პრინციპები

1. წევრ სახელმწიფოებს თავიანთი კანონებისა და რეგლამენტების ფორმულირების ან შესწორების დროს შეუძლიათ მიიღონ საჭირო ზომები ადამიანთა ჯანმრთელობის და კვების პირობების დასაცავად და ხელი შეუწყონ საზოგადოების დაინტერესებას მათი სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სფეროებით, იმ პირობით, რომ ასეთი სახის ზომები შესაბამისობაში იქნება წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან.

2. შესაბამისი ზომების მიღება შეიძლება საჭირო გახდეს უფლების მფლობელთა მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან ისეთი პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც გაუმართლებლად ზღუდავს ვაჭრობას ან ხელშემშლელ ზემოქმედებას ახდენს ტექნოლოგიის საერთაშორისო გადაცემაზე იმ პირობით, რომ ასეთი ზომები შესაბამისობაში იქნება წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან.

ნაწილი II

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით სარგებლობის, ფარგლების და გამოყენების სტანდარტები

ნაკვეთი 1
საავტორო უფლება და მასთან დაკავშირებული უფლებები

მუხლი 9
დამოკიდებულება ბერნის კონვენციასთან

1. წევრი სახელმწიფოები იცავენ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლების 1–21 და ამ კონვენციის დანართის დებულებებს. მიუხედავად ამისა, წინამდებარე შეთანხმების თანახმად წევრ ქვეყნებს არ ენიჭებათ უფლებები და არ ეკისრებათ მოვალეობები აღნიშნული კონვენციის 6bis მუხლით მინიჭებულ უფლებებთან ან მათგან მომდინარე უფლებებთან დაკავშირებით.

2. საავტორო უფლების დაცვა ვრცელდება გამოსახვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

მუხლი 10
კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები

1. კომპიუტერული პროგრამები, იქნება ეს წყაროს თუ ობიექტის კოდით, დაცულია ბერნის კონვენციით (1971 წ.), როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები.

2. მონაცემთა ან სხვა მასალის ბაზები, იქნება ეს მანქანურად წაკითხვადი თუ სხვა ფორმით წარმოდგენილი, რომლებიც მათი შინაარსის შერჩევის ან წყობის მიზეზის გამო უტოლდება ინტელექტუალურ ქმნილებას, ასევე ექვემდებარება დაცვას როგორც ასეთი. ასეთი დაცვა, რომელიც არ ვრცელდება თვით მონაცემებზე ან მასალაზე, არ უნდა ეხებოდეს საავტორო უფლებას, რომელიც ვრცელდება მონაცემებზე ან თვითონ მასალაზე.

მუხლი 11
გაქირავების უფლებები

რაც შეეხება ისეთ ქმნილებებს, როგორებიცაა, სულ მცირე, კომპიუტერული პროგრამები და კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, ნებისმიერი წევრი სახელმწიფო ავტორებს და მათ სამართალმემკვიდრეებს აძლევს საზოგადოებისათვის თავიანთი საავტორო ნაშრომთა ორიგინალების ან ასლების კომერციული მიქირავების ნებართვის გაცემის ან აკრძალვის უფლებებს. ნებისმიერი წევრი სახელმწიფო თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, როცა საქმე ეხება კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს თუ ასეთი სახის გაქირავებამ ამ ნაწარმოებთა ფართოდ გავრცელებულ ასლგადაღებას არ შეუწყო ხელი, რაც არსებით ზიანს მიაყენებდა რეპროდუცირების განსაკუთრებულ უფლებას, რომელიც ამ წევრ სახელმწიფოში ავტორს ან მის მემკვიდრეს აქვს მინიჭებული. რაც შეეხება კომპიუტერულ პროგრამებს, ეს ვალდებულება არ ეხება ისეთი სახის გაქირავებას, როდესაც თვით პროგრამა არ წარმოადგენს გაქირავების ძირითად საგანს.

მუხლი 12
დაცვის ვადა

როდესაც ისეთი ნაწარმოების დაცვის ვადა, რომელიც არ მიეკუთვნება ფოტოგრაფიული ან გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს, გამოითვლება არა ფიზიკური პირის სიცოცხლის ხანგრძლივობის საფუძველზე; იგი შეადგენს არანაკლებ 50 წელს ნებადართული გამოქვეყნების კალენდარული წლის დასასრულიდან, ან 50 წელს ნაწარმოების შექმნიდან, ხოლო ასეთი ნებადართული გამოქვეყნების არარსებობის შემთხვევაში – 50 წელს მისი შექმნის კალენდარული წლის დასასრულიდან.

მუხლი 13
შეზღუდვები და გამონაკლისები

წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გარკვეულ სპეციფიურ შემთხვევებში დაუწესონ შეზღუდვები ან გამონაკლისები განსაკუთრებულ უფლებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ბღალავდეს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 14
შემსრულებელთა, ფონოგრამათა (ბგერის ჩანაწერთა) მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვა

1. რაც შეეხება ფონოგრამაზე ნაწარმოებთა ფიქსირებას, შემსრულებლებს ეძლევათ შემდეგი ქმედებების აღკვეთის შესაძლებლობა, თუ ისინი ხორციელდება მათი ნებართვის გარეშე: მათი დაუფიქსირებელი ნაწარმოებების ფიქსირება და ასეთი ფიქსირების აღწარმოება. შემსრულებლებს შესაძლებლობა ეძლევათ აღკვეთონ აგრეთვე შემდეგი სახის ქმედებები, რომლებიც ასევე მათი ნებართვის გარეშე ხორციელდება – მაუწყებლობა ეთერში და ცოცხალი შესრულების გაცნობა საზოგადოებისათვის.

2. ფონოგრამათა მწარმოებლებს უფლება აქვთ გასცენ ნებართვა მათი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აღწარმოებაზე.

3. სამაუწყებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ აკრძალონ შემდეგი სახის ქმედებები, თუ ისინი მათი ნებართვის გარეშე ხორციელდება: ფიქსირება, აღწარმოება, რადიოგადაცემათა რეტრანსლირება ეთერის გამოყენებით, ასევე საზოგადოებისათვის სატელევიზიო გადაცემათა მიწოდება. თუ წევრი სახელმწიფოები სამაუწყებლო ორგანიზაციებს არ ანიჭებენ ასეთ უფლებებს, ისინი მოვალენი არიან რადიოგადაცემათა საგანზე საავტორო უფლების მფლობელებს მისცენ ზემოაღნიშნული ქმედებების აღკვეთის შესაძლებლობა ბერნის კონვენციის (1971 წ.) დებულების თანახმად.

4. მუხლი 11–ის დებულებები, რომლებიც ეხება კომპიუტერულ პროგრამებს, მუტატის მუტანდის გამოიყენება ფონოგრამათა მწარმოებლების და ფონოგრამებზე უფლებების მფლობელი ნებისმიერი პირის მიმართ, როგორც ეს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. თუ 1994 წლის 15 აპრილისათვის წევრ სახელმწიფოებში ძალაში იყო უფლების მფლობელთა სამართლიანი კომპენსაციის სისტემა ფონოგრამათა გაქირავებასთან დაკავშირებით, ასეთი სისტემა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს იმ პირობით, რომ ფონოგრამათა კომერციული გაქირავება არ გახდება უფლების მფლობელთა აღწარმოების განსაკუთრებული უფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მიზეზი.

5. დაცვის ვადა, რომელსაც ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმება შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა მიმართ, განისაზღვრება სულ მცირე დროის 50-წლიანი პერიოდით, რომელიც აითვლება დაფიქსირების განხორციელების ან შესრულების კალენდარული წლის დასასრულიდან. პუნქტი 3-ის თანახმად მინიჭებული დაცვის ვადა გრძელდება სულ მცირე 20 წლის მანძილზე იმ კალენდარული წლის დასასრულიდან მოყოლებული, რომელ წელსაც გავიდა რადიოგადაცემა ეთერში.

6. ნებისმიერი წევრი ქვეყანა უფლებამოსილია პუნქტებით 1, 2 და 3 მინიჭებულ უფლებებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს პირობები, შეზღუდვები, გამონაკლისები და შენიშვნები რომის კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლი 18 დებულებები გამოიყენება აგრეთვე, Mutatis mutandis, შემსრულებელთა და ფონოგრამათა მწარმოებლების უფლებათა მიმართ.

ნაკვეთი 2
სასაქონლო ნიშნები

მუხლი 15
დაცვის საგანი

1. ნებისმიერი ნიშანი ან ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც უნარი შესწევს ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება განასხვაოს სხვა საწარმოთა საქონლის ან მომსახურებისაგან, შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს. ასეთი სახის ნიშნებს, კერძოდ, სიტყვებს, მათ შორის საკუთარ სახელებს, ასოებს, ციფრებს, ფიგურულ ელემენტებს და ფერთა კომბინაციებს, აგრეთვე ასეთ ნიშანთა ნებისმიერ კომბინაციას ენიჭება რეგისტრირების უფლება სასაქონლო ნიშნის სახით. როდესაც ნიშნებს არ შესწევთ შესაბამისი საქონლის ან მომსახურებათა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განსხვავების უნარი, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაუშვან მათი რეგისტრაცია, რაც დამოკიდებული იქნება მათი განსხვავების უნარზე უკვე გამოყენების პროცესში. წევრ სახელმწიფოებს რეგისტრაციის პირობის სახით შეუძლიათ მოითხოვონ, რომ აღნიშნული ნიშნები იყოს ვიზუალურად აღქმადი.

2. პუნქტი 1 არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ თითქოს ის გულისხმობდეს წევრი ქვეყნის მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე სხვა საფუძვლით უარის თქმის აკრძალვას იმ პირობით, რომ აღნიშნული საფუძვლები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პარიზის კონვენციის (1967 წ.) დებულებებს.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაუშვან ისეთი რეგისტრაცია, რომელიც დამოკიდებული იქნება გამოყენებაზე. მიუხედავად ამისა, სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენება არ ჩაითვლება იმის პირობად, რომ წარდგენილ იქნას განაცხადი რეგისტრაციაზე. დაუშვებელია განაცხადზე უარის თქმა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ განზრახულ გამოყენებას ადგილი არ ჰქონია განაცხადის წარდგენის თარიღიდან სამწლიანი ვადის გასვლამდე.

4. საქონლისა და მომსახურების ხასიათი, რომელსაც განეკუთვნება სასაქონლო ნიშანი, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქცეს დაბრკოლებად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის.

5. წევრი სახელმწიფოები თითოეულ სასაქონლო ნიშანს აქვეყნებენ მათი რეგისტრაციის წინ ან რეგისტრაციისთანავე და უზრუნველყოფენ სათანადო შესაძლებლობას რეგისტრაციის

გაუქმების თაობაზე განაცხადის გასაკეთებლად. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უზრუნველყონ აგრეთვე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გასაჩივრების შესაძლებლობაც.

მუხლი 16
მინიჭებული უფლებები

1. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება აუკრძალოს ყველა მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე ვაჭრობის პროცესში იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც იდენტური ან მსგავსია საქონლისა ან მომსახურებისა, რომელთა მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი და როდესაც ასეთმა გამოყენებამ შეიძლება წარმოქმნას არევ-დარევის ალბათობა. არევ-დარევის ალბათობა მტკიცდება მაშინ, როდესაც იდენტური ნიშნის გამოყენება ხდება იდენტურ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით. ზემოთ აღწერილი უფლებები არ უნდა არღვევდეს უკვე არსებულ უფლებებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წევრი სახელმწიფოების მიერ უფლებების მინიჭების შესაძლებლობას მათი გამოყენების საფუძველზე.

2. პარიზის კონვენციის (1967 წ.) 6bis მუხლის დებულებები mutatis mutandis ეხება მომსახურებასაც. იმის დასადგენად, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, წევრი სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სასაქონლო ნიშნის შესახებ საზოგადოების შესაბამის წრეებში არსებულ ცოდნას, მათ შორის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მის შესახებ არსებულ ცოდნას, რაც სასაქონლო ნიშნის რეკლამირების შედეგად იქნა შეძენილი.

3. პარიზის კონვენციის (1967 წ.) 6bis მუხლი mutatis mutandis გამოიყენება იმ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც არ არის იმ საქონლის ან მომსახურების მსგავსი, რომელთა მიმართაც არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, იმ პირობით, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება აღნიშნულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით მიუთითებს ამ საქონელსა ან მომსახურებას და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს შორის კავშირზე და რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის ინტერესები შეიძლება შეილახოს ასეთი გამოყენებით.

მუხლი 17
გამონაკლისები

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ შეზღუდული გამონაკლისები სასაქონლო ნიშნით მინიჭებული უფლებებიდან, როგორიცაა აღწერილობითი ტერმინების კეთილსინდისიერი გამოყენება, იმ პირობით, რომ ასეთი სახის გამონაკლისებში გათვალისწინებული იქნება სასაქონლო ნიშნის მფლობელისა და მესამე პირების კანონიერი ინტერესები.

მუხლი 18
დაცვის ვადა

სასაქონლო ნიშნის თავდაპირველი რეგისტრაცია და რეგისტრაციის ყოველი განახლება უნდა განხორციელდეს არანაკლებ შვიდი წლის ვადით. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განახლება შესაძლებელია დაუსრულებლად.

მუხლი 19
გამოყენების მოთხოვნა

1. თუ გამოყენება საჭიროა რეგისტრაციის ძალაში შესანარჩუნებლად, რეგისტრაციის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ გამოუყენებლობის სულ მცირე სამწლიანი უწყვეტი პერიოდის გასვლის შემდეგ, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი არ მიუთითებს დასაბუთებულ მიზეზზე, რომელიც ემყარება ასეთი გამოყენებისათვის დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობას. გამოუყენებლობის დასაბუთებულ მიზეზად ჩაითვლება ის გარემოებები, რომლებიც სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნება და რომლებიც დაბრკოლებას უქმნის სასაქონლო ნიშნის გამოყენებას, როგორიცაა იმპორტის შეზღუდვები ან სხვა მოთხოვნები სამთავრობო დონეზე სასაქონლო ნიშნით დაცული საქონლის ან მომსახურების მიმართ.

2. როდესაც სასაქონლო ნიშანი მისი მფლობელის კონტროლის ქვეშაა, ამ ნიშნის გამოყენება სხვა პირის მიერ ჩაითვლება როგორც სასაქონლო ნიშნის გამოყენება მისი რეგისტრაციის შენარჩუნების მიზნით.

მუხლი 20
სხვა მოთხოვნები

ვაჭრობის პროცესში სასაქონლო ნიშნის გამოყენება არ უნდა ექვემდებარებოდეს გაუმართლებელ შევიწროვებას სპეციალური მოთხოვნებით, როგორიცაა სხვა სახის სასაქონლო ნიშანთან ერთად გამოყენების მოთხოვნა, სპეციალური ფორმით ან ისეთი სახით გამოყენების მოთხოვნა, რომელიც ზიანს მიაყენებს მის შესაძლებლობას, განასხვაოს ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოს საქონლის ან მომსახურებისაგან. ეს არ გამორიცხავს საქონლის ან მომსახურების მწარმოებლის საიდენტიფიკაციო სასაქონლო ნიშნის ისეთ ნიშანთან ერთად გამოყენების, მაგრამ არა მასთან მიერთების მოთხოვნას, რომელიც განასხვავებს ამ საწარმოს მიერ წარმოებულ საქონელს ან მომსახურებას.

მუხლი 21
ლიცენზირება და უფლების გადაცემა

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ სასაქონლო ნიშნების ლიცენზირების და მათზე უფლების გადაცემის პირობები, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სასაქონლო ნიშნების სავალდებულო ლიცენზირება არ იქნება ნებადართული, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს ექნება სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემის უფლება იმ საწარმოს გადაცემასთან ერთად, ან გადაცემის გარეშე, რომელსაც ეს ნიშანი მიეკუთვნება.

ნაკვეთი 3
გეოგრაფიული აღნიშვნები

მუხლი 22
გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე გეოგრაფიული აღნიშვნები წარმოადგენს ისეთ აღნიშვნებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ესა თუ ის საქონელი წარმოებულია წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ამ ტერიტორიის ცალკეულ რაიონში ან ადგილზე და რომ საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, მისი რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები არსებითად განპირობებულია მისი გეოგრაფიული წარმოშობით.

2. გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოები დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფენ სამართლებრივი საშუალებებით, რომლებიც კრძალავენ:

ა) საქონლის აღსანიშნავად ან წარმოსადგენად ნებისმიერი საშუალების გამოყენება, რაც მიუთითებს ან მიანიშნებს, რომ მოცემული საქონელი დამზადებულია მისი ნამდვილი წარმოშობის ადგილისაგან განსხვავებულ ადგილზე, რაც შეცდომაში შეიყვანს საზოგადოებას ამ საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე;

ბ) ნებისმიერი სახის გამოყენებას, რაც პარიზის კონვენციის (1967 წ.) 10bis მუხლის თანახმად წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედებას.

3. წევრი სახელმწიფო, ეს გათვალისწინებულია მისი კანონმდებლობით ან ამას მოითხოვს დაინტერესებული მხარე, ეხ ოფფიციო ამბობს უარს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ან აუქმებს მას თუ ეს სასაქონლო ნიშანი შეიცავს ან შედგება გეოგრაფიული აღნიშვნებისაგან იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც არ არის წარმოებული აღნიშნულ ტერიტორიაზე, თუ აღნიშვნის გამოყენება ასეთი საქონლისათვის განკუთვნილ სასაქონლო ნიშანზე ამ წევრ სახელმწიფოში ისეთ ხასიათს მიიღებს, რომ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება წარმოშობის ჭეშმარიტი ადგილის თაობაზე.

4. პუნქტებით 1, 2 და 3 განსაზღვრული დაცვა გამოიყენება იმ გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ისინი ლიტერატურულად სწორად აღნიშნავენ საქონლის წარმოშობის ტერიტორიას, რაიონს თუ ადგილს, მაინც მცდარ წარმოდგენას უქმნიან საზოგადოებას თითქოს ეს საქონელი სხვა ტერიტორიაზე იყოს წარმოებული.

მუხლი 23
დამატებითი დაცვა ღვინოებისა და ალკოჰოლური სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნებისთვის

1. თითოეული წევრი სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფს სამართლებრივი მექანიზმებით გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების აღსაკვეთად იმ ღვინოებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის წარმოებული მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნით მითითებულ ადგილზე ან იმ ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის წარმოებული მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნით მითითებულ ადგილზე მაშინაც კი, როდესაც მითითებულია საქონლის ჭეშმარიტი წარმოშობა ან გეოგრაფიული აღნიშვნა გამოყენებულია თარგმანის სახით ან თან ახლავს ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა „სახის", „ტიპის", „სტილის", „იმიტაცია" და ა.შ.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ღვინოებისთვის, რომელიც შეიცავს ან შედგება

ღვინოების წარმოშობის მაჩვენებელი გეოგრაფიული აღნიშვნისაგან; ან კიდევ ალკოჰოლური სასმელებისათვის, რომელიც შეიცავს ან შედგება ალკოჰოლური სასმელების წარმოშობის მაჩვენებელი გეოგრაფიული აღნიშვნისაგან, არ დაიშვება ან უქმდება ეხ ოფფიციო თუ ამას ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, ან მოითხოვს დაინტერესებული მხარე იმ ღვინოების ან ალკოჰოლური სასმელების მიმართ, რომელთაც არ გააჩნიათ აღნიშნული წარმოშობა.

3. ღვინოებთან დაკავშირებით ომონიმური გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების შემთხვევაში, მუხლი 22 პუნქტი 4 თანახმად დაცვა გათვალისწინებულია თითოეული აღნიშვნისათვის. თითოეული წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს პრაქტიკულ პირობებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს აღნიშნული ომონიმური აღნიშვნების ერთმანეთისაგან გარჩევა, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამის მწარმოებლებს ეძლევათ სამართლიანი მოპყრობის თანაბარი გარანტია და რომ მომხმარებელი არ იქნას შეყვანილი შეცდომაში.

4. ღვინოებთან დაკავშირებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის გამარტივების მიზნით „TRIPS"-ის საბჭოში იმართება მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების შეტყობინებების და რეგისტრაციის მრავალმხრივი სისტემის დაფუძნების შესახებ იმ ღვინოებისათვის, რომლებისთვისაც ამ სისტემის მონაწილე სახელმწიფოებში გათვალისწინებულია დაცვის უფლება.

მუხლი 24
საერთაშორისო მოლაპარაკებები: გამონაკლისები

1. წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან გამართონ მოლაპარაკებები, რომლებიც მიზნად ისახავს ცალკეული გეოგრაფიული აღნიშვნების მუხლით 23 გათვალისწინებული დაცვის გაძლიერებას. ქვემოთ მოყვანილი პუნქტები 4 და 8 არ გამოიყენება წევრი სახელმწიფოს მიერ მოლაპარაკებების გამართვაზე უარის სათქმელად ან ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დასადებად. ამ მოლაპარაკებათა კონტექსტში წევრი სახელმწიფოები გამოთქვამენ მზადყოფნას მუდმივად გამოიყენონ ეს დებულებები ცალკეულ გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც წარმოადგენდა ამ მოლაპარაკებათა საგანს.

2. „TRIPS"-ის საბჭო მუდმივად განიხილავს წინამდებარე ნაკვეთის დებულებათა გამოყენებას; პირველი ასეთი განხილვა გაიმართება „მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. ნებისმიერი გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის ამ დებულებებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას, შეიძლება ეცნობოს საბჭოს, რომელიც წევრი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე მიმართავს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს ან წევრ სახელმწიფოებს ამ გარემოების თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც შეუძლებელი აღმოჩნდა საკითხის დამაკმაყოფილებელი დარეგულირება შესაბამის წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე. საბჭო ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას წინამდებარე ნაკვეთის განხორციელების და მისი მიზნების მიღწევის ხელშემწყობ ღონისძიებად.

3. წინამდებარე ნაკვეთის განხორციელებისას წევრი სახელმწიფო არ ამცირებს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის დონეს, რომელიც ამ წევრ სახელმწიფოში არსებობდა უშუალოდ „მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღის წინ.

4. წინამდებარე ნაკვეთის არც ერთი მუხლი წევრ სახელმწიფოს არ ავალდებულებს აღკვეთოს

მისი მოქალაქეების ან მუდმივი მაცხოვრებლების მიერ მეორე წევრი სახელმწიფოს კონკრეტული გეოგრაფიული აღნიშვნის ხანგრძლივი და მსგავსი გამოყენება, რომელიც ახდენდა ღვინოების ან ალკოჰოლური სასმელების იდენტიფიკაციას საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, მოქალაქეების ან მუდმივი მაცხოვრებლებისა, რომლებიც ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად იყენებდნენ მოცემულ გეოგრაფიულ აღნიშვნას იგივე ან მასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიმართ ა) 1994 წლის 15 აპრილამდე სულ მცირე 10 წლის განმავლობაში, ან ბ) კეთილსინდისიერ საფუძველზე ამ თარიღამდე.

5. თუ სასაქონლო ნიშანი გამოიყენებოდა ან დარეგისტრირებულ იქნა კეთილსინდისიერი მიზნებისთვის, ან უფლებები სასაქონლო ნიშანზე შეძენილ იქნა მისი კეთილსინდისიერად გამოყენებით:

ა) მოცემულ წევრ სახელმწიფოში წინამდებარე დებულებების გამოყენების თარიღამდე IV ნაწილის თანახმად; ან

ბ) გეოგრაფიულ აღნიშვნაზე დაცვის დაწესებამდე მისი წარმოშობის ქვეყანაში;

წინამდებარე ნაკვეთის განხორციელებისათვის საჭირო ზომების მიღება არ ხელყოფს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლებას ან მის კანონიერებას, ან სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებას იმის საფუძველზე, რომ ასეთი სასაქონლო ნიშანი იდენტურია ან მსგავსია გეოგრაფიული აღნიშვნისა.

6. წინამდებარე ნაკვეთის არცერთი მუხლი წევრ სახელმწიფოს არ ავალდებულებს გამოიყენოს მისი დებულებები სხვა წევრი ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ იმ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისი აღნიშვნა იდენტურია სალაპარაკო ენაში ხმარებული ტერმინისა, როგორც ამ წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი სახის საქონლის ან მომსახურებისათვის მიღებული საერთო სახელწოდება. წინამდებარე ნაკვეთის არცერთი მუხლი წევრ სახელმწიფოს არ ავალდებულებს გამოიყენოს მისი დებულებები სხვა წევრი ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ მევენახეობის პროდუქტებთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისი აღნიშვნა იდენტურია სალაპარაკო ენაში ხმარებული ტერმინისა, როგორც ამ წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ყურძნის სახეობის ზოგადი სახელწოდებისა „მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის.

7. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ მოცემული ნაკვეთის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარდგენილ უნდა იქნას ხუთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დაცული აღნიშვნის არაკანონიერი გამოყენება საყოველთაოდ ცნობილი გახდა ამ სახელმწიფოში ან კიდევ ამ სახელმწიფოში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღის შემდეგ, იმ პირობით, რომ ამ თარიღისათვის სასაქონლო ნიშანი უკვე გამოქვეყნებულია, თუ ეს თარიღი უფრო ადრინდელია, ვიდრე ის, როდესაც არაკანონიერი გამოყენება საყოველთაოდ გახდა ცნობილი ამ სახელმწიფოში, იმ პირობით, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა არ იქნა არაკეთილსინდისიერად გამოყენებული ან რეგისტრირებული.

8. წინამდებარე ნაკვეთის დებულებები არცერთ შემთხვევაში არ ლახავს ნებისმიერი პირის უფლებას ვაჭრობის პროცესში გამოიყენოს თავისი ან ბიზნესში თავისი წინამორბედის სახელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სახელი იხმარება ისეთი სახით, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

9. წინამდებარე შეთანხმება არ ითვალისწინებს არანაირ ვალდებულებას, დაცულ იქნას ის გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც არ არის ან აღარ არის დაცული მათი წარმოშობის ქვეყანაში, ან კიდევ გამოსულია ხმარებიდან ამ ქვეყანაში.

ნაკვეთი 4
სამრეწველო დიზაინები

მუხლი 25
მოთხოვნები დაცვისათვის

1. წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ დამოუკიდებლად შექმნილი სამრეწველო დიზაინების დაცვას, რომლებიც ახალია ან ორიგინალური. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ დიზაინები არ არის ახალი ან ორიგინალური, თუ ისინი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ცნობილი დიზაინებისაგან ან ცნობილ დიზაინთა ნიშნების კომბინაციისაგან. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ ასეთი სახის დაცვა არ გავრცელდება იმ დიზაინებზე, რომელთა შექმნაც ტექნიკური ან ფუნქციონალური მოსაზრებებით არის ნაკარნახევი.

2. თითოეული წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ საფეიქრო ნაწარმის დიზაინთა დაცვის მოთხოვნები, კერძოდ, ფასთან, ექსპერტიზასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებლად არ შეამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ მოთხოვნილ ან მიღებულ იქნას ასეთი დაცვა. წევრი სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ ამ მოვალეობის შესრულების პირობებს სამრეწველო დიზაინების ან საავტორო უფლებების შესახებ კანონის მეშვეობით.

მუხლი 26
დაცვა

1. დაცული სამრეწველო დიზაინის მფლობელი უფლებამოსილია მესამე პირებს აუკრძალოს მისი თანხმობის გარეშე იმ საგნების დამზადება, გაყიდვა ან იმპორტირება, რომლებზეც აღბეჭდილია ან რომლებიც შეიცავენ სამრეწველო დიზაინს, რომელიც წარმოადგენს დაცული დიზაინის ასლს ან არსებითად ასლს, თუ ასეთი ქმედება ხორციელდება კომერციული მიზნებით.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ შეზღუდული გამონაკლისები სამრეწველო დიზაინების დაცვასთან დაკავშირებით, იმ პირობით, თუ ასეთი გამონაკლისები გაუმართლებელ წინააღმდეგობაში არ იქნება დაცული სამრეწველო დიზაინების ნორმალურ ექსპლუატაციასთან და დაუსაბუთებლად არ ხელყოფს დაცული სამრეწველო დიზაინის მფლობელის კანონიერ ინტერესებს, მესამე პირთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

3. დაცვის ხანგრძლივობა განისაზღვრება, სულ მცირე, 10 წლით.

ნაკვეთი 5
პატენტები

მუხლი 27
დაპატენტების საგანი

1. პუნქტები 2 და 3 დებულებების თანახმად, პატენტი გაიცემა ნებისმიერ გამოგონებაზე, ეს იქნება პროდუქტი თუ საწარმოო პროცესი, ტექნიკის ყველა დარგში, თუ ისინი ახალია, მათში ჩადებულია გამომგონებლური მარცვალი და შესაძლებელია მათი სამრეწველო გამოყენება. მუხლის 65 პუნქტი 4, მუხლის 70 პუნქტი 8 და წინამდებარე მუხლის პუნქტი 3 დებულებების თანახმად, პატენტის გაცემა და მასზე უფლებით სარგებლობა ხორციელდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, გამოგონების ადგილის, ტექნიკის დარგის ან იმ საფუძველზე, იმპორტირებულია ეს პროექტები, თუ ადგილობრივი წარმოებისაა.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ პატენტუნარიანად არ ჩათვალონ გამოგონებები, რომელთა კომერციული გამოყენების აკრძალვა მათ ტერიტორიაზე აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ან მორალის დასაცავად, მათ შორის ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, ან გარემოსათვის სერიოზული ზიანის მიყენების ასაცილებლად იმ პირობით, თუ ეს გამონაკლისი არ არის მხოლოდ იმიტომ დაშვებული, რომ ასეთი ექსპლუატაცია მათი კანონით არის აკრძალული.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ პატენტუნარიანად არ ჩათვალონ აგრეთვე შემდეგი ობიექტები:

ა) ადამიანების ან ცხოველთა სამკურნალო დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მეთოდები;

ბ) მცენარეები და ცხოველები, გარდა მიკროორგანიზმებისა, და მცენარეთა და ცხოველთა აღწარმოების არსებითად ბიოლოგიური პროცესები, გარდა არაბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური პროცესებისა. მიუხედავად ამისა, წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ მცენარეთა სახეობების დაცვას ან პატენტების მეშვეობით ან კიდევ ეფექტური sui generis სისტემის მეშვეობით, ან ნებისმიერი მათი კომბინაციის გამოყენებით. ამ ქვეპუნქტის დებულებები გადასინჯვას ექვემდებარება „მსო"–ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ოთხი წლის შემდეგ.

მუხლი 28
მინიჭებული უფლებები

1. პატენტი მის მფლობელს ანიჭებს შემდეგ განსაკუთრებულ უფლებებს:

ა) როდესაც პატენტის საგანს წარმოადგენს პროდუქტი, აუკრძალოს მესამე პირებს მისი მფლობელის თანხმობის გარეშე დაამზადოს, გამოიყენოს, შესთავაზოს გასაყიდად, გაყიდოს ეს პროდუქტი, ან მოახდინოს მისი იმპორტირება ამ მიზნით;

ბ) როდესაც პატენტის საგანს წარმოადგენს სამრეწველო პროცესი, აუკრძალოს მესამე პირებს მისი მფლობელის თანხმობის გარეშე გამოიყენოს, შესთავაზოს გასაყიდად ეს პროცესი ან უშუალოდ ამ პროცესის შედეგად მიღებული გაყიდოს პროდუქტი, ან მოახდინოს მისი იმპორტირება ამ მიზნით.

2. პატენტის მფლობელებს უფლება ეძლევათ აგრეთვე გაასხვისონ ან მემკვიდრეობით გადასცენ პატენტი და დადონ სალიცენზიო ხელშეკრულება.

მუხლი 29
პატენტზე განმცხადებლისათვის წაყენებული მოთხოვნები

1. წევრი სახელმწიფოები პატენტზე განმცხადებლისაგან მოითხოვენ, რომ გამოგონება გამჟღავნებულ იქნას იმდენად ნათლად და სრულად, რომ დარგის სპეციალისტმა შეძლოს ამ გამოგონების განხორციელება, წევრმა აღწერა, რომელიც განმცხადებლისათვის იქნება ცნობილი განაცხადის წარდგენის თარიღისათვის, ან პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში – განაცხადის პრიორიტეტული თარიღისათვის.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ პატენტზე განმცხადებლისაგან მოითხოვონ ინფორმაციის მოწოდება მის მიერ უცხოეთში შეტანილი განაცხადებისა და აღებული პატენტების შესახებ.

მუხლი 30
გამონაკლისები მინიჭებული უფლებებიდან

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ შეზღუდული გამონაკლისები პატენტით მინიჭებულ უფლებებზე იმ პირობით, რომ ასეთი გამონაკლისები დაუსაბუთებლად არ დააბრკოლებს პატენტის ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ შებღალავს პატენტის მფლობელის კანონიერ ინტერესებს, მესამე პირების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 31
სხვა სახის გამოყენება უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე

თუ წევრი სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს პატენტის საგნის სხვა სახის გამოყენებას უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, მათ შორის სახელმწიფოს მიერ, ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი მესამე პირების მიერ, დაცულ უნდა იქნას შემდეგი დებულებები:

ა) ასეთი გამოყენების ნებართვა ეფუძნება საგნის ინდივიდუალურ თვისებებს;

ბ) ასეთი გამოყენება ნებადართული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოყენების წინ სავარაუდო მომხმარებელი ეცადა მიეღო ნებართვა უფლებების მქონე პირისაგან მისაღებ კომერციულ პირობებზე და ასეთი მცდელობა წარმატებით არ დასრულებულა დროის მისაღები პერიოდის მანძილზე. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება უგულებელყოს ეს მოთხოვნა უკიდურესი ეროვნული აუცილებლობისას, ქვეყანაში სხვა ექსტრემალური გარემოებების წარმოშობის გამო, ან კიდევ სახელმწიფოს მიერ არაკომერციული დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში. უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ან სხვა ექსტრემალურ სიტუაციებში უფლების მფლობელს მაინც ეცნობება ამის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად. სახელმწიფოს მიერ არაკომერციული დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, როდესაც მთავრობისათვის ან ხელშეკრულების ხელშემკვრელი პირისათვის საპატენტო მოკვლევის ჩატარების გარეშე ცნობილია, ან მას აქვს აშკარა საფუძველი იცოდეს იმის შესახებ, რომ ძალაში მყოფი პატენტი გამოიყენება, ან მომავალში იქნება გამოყენებულ სახელმწიფოს მიერ, ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის, უფლების მფლობელს დაუყოვნებლივ ეცნობება ამის შესახებ.

გ) ასეთი გამოგონების ფარგლები და მოქმედების ვადა შემოიფარგლება იმ მიზნებით, რომლისთვისაც ის იქნა ნებადართული, ხოლო ნახევარგამტარული ტექნოლოგიის შემთხვევაში ეს გამოყენება შეეხება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ არაკომერციული დანიშნულებით გამოყენებას, ან კიდევ იმ პრაქტიკის გამოსწორებას, რომელიც სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების საფუძველზე ანტიკონკურენციულად იქნა მიჩნეული;

დ) ასეთი გამოყენება არაექსკლუზიური ხასიათისაა;
ე) ასეთი გამოყენება არ ექვემდებარება გასხვისებას გარდა საწარმოს იმ ნაწილისა, ან მისი არამატერიალური აქტივებისა, რომლებიც ამ გამოყენებით სარგებლობს;
ვ) ნებისმიერი ასეთი გამოყენება ნებადართულ იქნება პირველ რიგში იმ წევრი სახელმწიფოს შიდა ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც გასცემს ასეთი გამოყენების ნებართვას;
ზ) ასეთ გამოყენებაზე გაცემული ნებართვა ექვემდებარება გაუქმებას, ასეთი გამოყენების უფლების მიმღები პირების კანონიერი ინტერესების სათანადო დაცვიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში და როდესაც გარემოებები, რომელთაც ეს განაპირობეს უფლების გაცემა, აღარ არსებობს და მოსალოდნელი არ არის მათი ხელახალი წარმოქმნა. კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე გადასინჯოს ამ გარემოებების უწყვეტი არსებობა.
თ) უფლების მფლობელს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება თითოეული შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე ნებართვის გაცემის ეკონომიკური ღირებულების სათანადო გათვალისწინებით;
ი) ნებისმიერი გადაწყვეტილების იურიდიული ძალა, რომელიც შეეხება ასეთ გამოყენებაზე ნებართვის გაცემას, ექვემდებარება სასამართლოს მიერ ან სხვა სახის დამოუკიდებელ გადასინჯვას ამ წევრი სახელმწიფოს გარკვეული ზემდგომი ორგანოს მიერ.
კ) ნებისმიერი გადაწყვეტილება ანაზღაურების შესახებ ასეთ გამოყენებასთან დაკავშირებით ექვემდებარება სასამართლოს მიერ ან სხვა სახის დამოუკიდებელ გადასინჯვას ამ წევრი სახელმწიფოს გარკვეული ზემდგომი ორგანოს მიერ;
ლ) წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებულნი გამოიყენონ ბ) და ვ) პუნქტებში მითითებული პირობები, თუ ასეთი გამოყენება ნებადართულია იმ პრაქტიკის გამოსასწორებლად, რომელიც სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების საფუძველზე მიჩნეულია როგორც ანტიკონკურენციული; ანტიკონკურენციული პრაქტიკის გამოსწორების საჭიროება შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული ასეთ შემთხვევებში ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას. კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან უარი თქვან გაცემული ნებართვის გაუქმებაზე იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ ასეთი გადაწყვეტილების განმაპირობებელი გარემოებები შეიძლება ხელახლა წარმოიშვას;
მ) თუ ასეთი გამოყენება ნებადართულია პატენტის („მეორე პატენტის”) გამოყენების დაშვების მიზნით, რომელიც თავის მხრივ არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა პატენტზე („პირველი პატენტის”) უფლების დარღვევის გარეშე, გამოიყენება შემდეგი დამატებით პირობები:
   (i) გამოგონება, რომლის დაცვა მოითხოვება მეორე პატენტით, უნდა შეიცავდეს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მნიშვნელოვან ტექნიკურ გადაწყვეტას იმ გამოგონებასთან შედარებით, რომლის დაცვაც მოითხოვება პირველი პატენტით;

   (ii) პირველი პატენტის მფლობელს აქვს უფლება მიიღოს ჯვარედინა ლიცენზია მისაღები პირობებით იმისათვის, რათა გამოიყენოს გამოგონება, რომლის დაცვაც მოითხოვება მეორე პატენტით;
   (iii) გამოყენება, რომელიც ნებადართულია პირველ პატენტთან დაკავშირებით, არ ექვემდებარება გასხვისებას, გარდა მეორე პატენტზე უფლების გადაცემისა.

მუხლი 32
პატენტის გაუქმება / პატენტზე უფლების ჩამორთმევა

ნებისმიერი გადაწყვეტილება პატენტის გაუქმებასთან, ან პატენტზე უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით შეიძლება გადასინჯულ იქნას სასამართლო წესით.

მუხლი 33 დაცვის ვადა

მიღებული დაცვის ვადა არ ამოიწურება განაცხადის წარდგენის თარიღიდან 20-წლიანი პერიოდის გასვლამდე.

მუხლი 34
პატენტები სამრეწველო პროცესზე: დამამტკიცებელი საბუთის მოყვანის ვალდებულება

1. მუხლი 28 პუნქტში 1(ბ) მითითებული უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნით, თუ პატენტის საგანს პროდუქციის დამზადების ხერხი წარმოადგენს, სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ მოპასუხისაგან მოითხოვონ იმის დამტკიცება, რომ იდენტური პროდუქციის დამზადების ხერხი განსხვავდება დაპატენტებული ხერხისაგან. აქედან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან ერთ-ერთ შემთხვევაში მაინც ითვალისწინებენ, რომ ნებისმიერი იდენტური პროდუქცია, რომელიც მზადდება პატენტის მფლობელის თანხმობის გარეშე, საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი საბუთის გარეშე ჩაითვლება დაპატენტებული ხერხით დამზადებულად, თუ:

ა) დაპატენტებული ხერხით დამზადებული პროდუქცია ახალია;

ბ) არსებობს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ იდენტური პროდუქტი დამზადებულ იქნა მოცემული ხერხის გამოყენებით, ხოლო პატენტის მფლობელმა სათანადო მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო განესაზღვრა, თუ რა ხერხი იქნა სინამდვილეში გამოყენებული.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფო თავისი შეხედულებისამებრ ითვალისწინებს, რომ პუნქტში 1 მითითებული დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენის ვალდებულება სავარაუდო დამრღვევს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება (ა) პუნქტში მითითებული პირობა, ან კიდევ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება (ბ) პუნქტში მითითებული პირობა.

3. საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი საბუთების მოყვანის დროს მხედველობაში იქნება მიღებული მოპასუხეთა სამრეწველო და კომერციულ საიდუმლოებების დაცვასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესები.

ნაკვეთი 6
ინტეგრალური სქემების ტოპოლოგები (ტოპოგრაფიები)

მუხლი 35
„isim" შეთანხმებასთან კავშირი

წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან, უზრუნველყონ ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიების (ტოპოგრაფიების) დაცვა (წინამდებარე შეთანხმებაში შემდგომში მოხსენიებული როგორც „ტოპოლოგიები") ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმების მუხლების 2–7, 12 (გარდა მუხლის 6 პუნქტი 3), მუხლების 12 და მუხლის 16 პუნქტის 3 თანახმად და, გარდა ამისა, შეასრულონ ქვემოთ მოყვანილი დებულებები.

მუხლი 36
დაცვის ფარგლები

მუხლის 3 პუნქტის 1 დებულებების შესრულების შემთხვევაში წევრი სახელმწიფოები არაკანონიერად მიიჩნევენ შემდეგი სახის ქმედებებს, თუ ისინი ხორციელდება უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე: დაცული ტოპოლოგიის, დაცული ტოპოლოგიის შემცველი ინტეგრალური მიკროსქემის ან ასეთი ინტეგრალური მიკროსქემის შემცველი საგნის იმპორტირებას, გაყიდვას ან სხვა სახის გავრცელებას კომერციული მიზნით, იმდენად, რამდენადაც ასეთ საგანში კვლავ შედის უკანონოდ აღწარმოებული ტოპოლოგია.

მუხლი 37
ქმედებები, რომლებიც არ საჭიროებენ უფლების მფლობელის ნებართვას

1. მუხლი 36 მიუხედავად არცერთი წევრი სახელმწიფო არ მიიჩნევს არაკანონიერად ნებისმიერი იმ ქმედების განხორციელებას, რომელზეც საუბარია ამ მუხლში ისეთ ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს უკანონოდ აღწარმოებულ ტოპოლოგიას ან ყველა იმ საგანთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს ასეთ ინტეგრალურ მიკროსქემას, იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომელიც ახორციელებს ასეთ ქმედებებს ან გასცემს განკარგულებას ასეთი ქმედებების განსახორციელებლად, ინტეგრალური მიკროსქემის ან ასეთი ინტეგრალური მიკროსქემის შემცველი საგნის შეძენის დროს არ იცოდა და არც ჰქონია სარწმუნო საფუძველი სცოდნოდა იმის შესახებ, რომ მასში შედიოდა უკანონოდ აღწარმოებული ტოპოლოგია. წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ მას შემდეგ, რაც ეს პირი მიიღებს დასაბუთებულ შეტყობინებას ტოპოლოგიის არაკანონიერი აღწარმოების შესახებ, აღნიშნულ პირს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება პროდუქციის არსებულ მარაგთან ან ამ დრომდე შეკვეთილ პროდუქციასთან დაკავშირებით, თუმცა მოვალეა უფლების მფლობელს გადაუხადოს თანხა, რომელიც ექვივალენტური იქნება ასეთ ტოპოლოგიაზე შეთანხმებული ლიცენზიის თანახმად გადასახდელი ჰონორარის.

2. მუხლი 31 (ა)–(ლ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები, მუტატის მუტანდის გამოიყენება ტოპოლოგიის ნებისმიერი არანებაყოფლობითი ლიცენზირების, ან მისი მთავრობის მიერ ან მთავრობის სასარგებლოდ გამოყენების შემთხვევაში უფლებების მფლობელის ნებართვის გარეშე.

მუხლი 38
დაცვის ვადა

1. წევრ სახელმწიფოებში, სადაც დაცვის უზრუნველყოფის პირობას წარმოადგენს რეგისტრაციის მოთხოვნა, ტოპოლოგიის დაცვის ვადა არ მთავრდება ათწლიანი პერიოდის გასვლამდე, რომელიც აითვლება რეგისტრაციაზე განაცხადის წარდგენის თარიღიდან ან მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე პირველი კომერციული გამოყენებიდან.

2. წევრ სახელმწიფოებში, სადაც დაცვის უზრუნველყოფის პირობას არ წარმოადგენს რეგისტრაციის მოთხოვნა, ტოპოლოგიის დაცვის ვადა შეადგენს არანაკლებ 10 წლისა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე მისი პირველი კომერციული გამოყენების თარიღიდან.

3. ქვეპუნქტების 1 და 2 მიუხედავად, წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ დაცვის ვადა ამოიწუროს ტოპოლოგიის შექმნიდან 15 წლის შემდეგ.

ნაკვეთი 7
დახურული ინფორმაციის დაცვა

მუხლი 39

1.არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის პროცესში, პარიზის კონვენციის (1976 წ.) 10^{bis} მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები დახურულ ინფორმაციას იცავენ პუნქტის 2 მიხედვით, ხოლო მონაცემებს, რომელიც გადაეცემა მთავრობებს ან სამთავრობო დაწესებულებებს პუნქტის 3 მიხედვით.

2. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალება ეძლევათ წინ აღუდგნენ მათ კონტროლის ქვეშ კანონიერად მყოფი ინფორმაციის სხვებისათვის გამჟღავნებას, სხვების მიერ მიღებას ან გამოყენებას მათი თანხმობის გარეშე ისეთი ხერხით, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიან კომერციულ პრაქტიკას იმდენად, რამდენადაც ეს ინფორმაცია:

ა) წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას იმ გაგებით, რომ ის მთლიანობაში ან მისი კომპონენტების გარკვეული კონფიგურაციით და კომპილაციით არ არის საყოველთაოდ ცნობილი ან ადვილად ხელმისაწვდომი იმ წრეების წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც ჩვეულებისამებრ ასეთ ინფორმაციასთან აქვთ საქმე;

ბ) თავისი საიდუმლო ხასიათის გამო გააჩნია კომერციული ღირებულება;

გ) გარკვეული ვითარებიდან გამომდინარე იმ პირმა რომელიც კანონიერად აკონტროლებდა ამ ინფორმაციას, სათანადო ზომები მიიღო, რათა საიდუმლოდ დაეცვა იგი.

3. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ახალი ქიმიური ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული ან აგროქიმიური პროდუქტების რეალიზაციის ნებართვის გაცემის პირობად მოითხოვენ დახურული ექსპერიმენტული ან სხვა მონაცემების წარმოდგენას, რომელთა მოპოვებაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, ასეთ მონაცემებს იცავენ არაკეთილსინდისიერი კომერციული მიზნებით გამოყენებისაგან. გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები ასეთ მონაცემებს იცავენ გამჟღავნებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, ან კიდევ იმ შემთხვევაში, როდესაც არ მიიღება რაიმე ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს მონაცემები დაცულ იქნას არაკეთილსინდისიერი კომერციული მიზნებით გამოყენებისაგან.

ნაკვეთი 8
ანტიკონკურენციულ პრაქტიკაზე კონტროლის განხორციელება სახელშეკრულებო ლიცენზირებისას

მუხლი 40

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზოგჯერ სალიცენზიო პრაქტიკამ ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულმა გარემოებებმა, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას, შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ვაჭრობაზე და ხელი შეუშალოს ტექნოლოგიის გადაცემას და გავრცელებას.

2. წინამდებარე შეთანხმების არც ერთი მუხლი წევრ სახელმწიფოებს არ ზღუდავს თავიანთ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ სალიცენზიო პრაქტიკის სახეები ან პირობები, რომლებმაც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ბოროტად სარგებლობა და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კონკურენციაზე შესაბამის ბაზარზე. როგორც ზემოთ იყო გათვალისწინებული, წინამდებარე შეთანხმების სხვა დებულებების თანახმად წევრ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები ასეთი პრაქტიკის აღსაკვეთად ან მასზე კონტროლის დასაწესებლად, რაც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, განსაკუთრებულ პირობების გათვალისწინებას უკან გადაცემაზე, ან პირობებისა, რომლებიც აღკვეთენ ნამდვილობასა და შესაფუთი მასალის იძულებითი ლიცენზირების გასაჩივრებას, ამ წევრი სახელმწიფოს შესაბამისი კანონებისა და წესების ჭრილში.

3. თითოეული წევრი სახელმწიფო მოთხოვნის საფუძველზე მართავს კონსულტაციებს ნებისმიერ სხვა წევრ სახელმწიფოსთან, რომელსაც გააჩნია საფუძველი მიიჩნიოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი, რომელიც იმ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა, ან ცხოვრობს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც მიმართეს მოთხოვნით კონსულტაციის გამართვის თაობაზე, ახორციელებს საქმიანობას იმ წევრი სახელმწიფოს კანონებისა და წესების დარღვევით, რომელმაც მოითხოვა კონსულტაციების გამართვა მოცემულ ნაკვეთში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, და რომელსაც სურს, უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის დაცვა ისე, რომ არ დაირღვეს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება ან არ შეილახოს თითოეული წევრის უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. წევრი სახელმწიფო, ვისაც მიმართეს მოთხოვნით, სრული მზადყოფნით და კეთილგანწყობით განიხილავს და ახორციელებს იმ წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობას, რომელმაც იგი მოითხოვა და თანამშრომლობს მასთან განსახილველი საკითხის თაობაზე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, ღია, არაკონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის და ყველა სხვა სახის ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც მას გააჩნია, ეროვნული კანონმდებლობის დაცვითა და ურთიერთმისაღები შეთანხმების დადების პირობით, რომ ის წევრი სახელმწიფო, რომელმაც მოითხოვა კონსულტაციები, უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

4. წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეების ან მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიმართ სხვა წევრ სახელმწიფოში აღძრულია საქმე ამ უკანასკნელის კანონებისა და წესების დარღვევის ბრალდებით მოცემულ ნაკვეთში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს კონსულტაციები ამ სხვა სახელმწიფოს მხრიდან იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია პუნქტში 3.

ნაწილი III
ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულება

ნაკვეთი 1
ზოგადი მოვალეობები

მუხლი 41

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მათი კანონმდებლობით გათვალისწინებულია წინამდებარე ნაწილით განსაზღვრული აღმასრულებელი პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს წინამდებარე შეთანხმებით მოცული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დამრღვევი ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგ ეფექტურ ღონისძიების განხორციელებას, მათ შორის დარღვევის აღსაკვეთად სასწრაფო ზომების მიღებას და ზომებისა, რომლებიც არ დაუშვებენ შემდგომ დარღვევებს. ეს ღონისძიებები ისეთნაირად უნდა იქნას გატარებული, რომ კანონიერ ვაჭრობას არ შეექმნას ბარიერები და უზრუნველყოფილ იქნას მათი დაცვა ბოროტად გამოყენებისაგან.

2. ღონისძიებები, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას, უნდა იყოს სამართლიანი და თანაბარი. ისინი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ძვირადღირებული და არ უნდა გამოიწვიოს არაგონივრული ვადების დაწესება ან გაუმართლებელი შეფერხებები.

3. გადაწყვეტილებები საქმის არსის შესახებ მიიღება უპირატესად წერილობითი სახით და სათანადო დასაბუთებით. ისინი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე წარედგინება, სულ მცირე, პროცედურული განხილვის მონაწილე მხარეებს. გადაწყვეტილებები საქმის არსის თაობაზე ეფუძნება მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომელთა დაკავშირებითაც მხარეებს მიეცათ თავიანთი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

4. პროცედურული განხილვის მონაწილე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა მოითხოვონ სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილი საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების და სასამართლო გადაწყვეტილების, სულ მცირე, იმ სამართლებრივი ასპექტების გადასინჯვა რომლებიც საქმის არსს შეეხება, თანახმად წევრი სახელმწიფოს კანონში არსებული სამართლებრივი დებულებებისა საქმის მნიშვნელობის შესახებ. მიუხედავად ამისა, არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმის თაობაზე გამოტანილი გამამართლებელი გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება.

5. იგულისხმება, რომ მოცემული ნაწილი არ ითვალისწინებს ვალდებულებას შეიქმნას სასამართლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულებას და რომელიც განსხვავებული იქნება საერთოდ კანონების აღსრულების უზრუნველყოფის სისტემისაგან, იგი არ ეხება აგრეთვე წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას აღასრულოს თავიანთი კანონმდებლობა მთლიანობაში. მოცემულ ნაწილში არაფერია ისეთი, რაც წარმოქმნიდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა და საერთოდ კანონის აღსრულებას შორის საშუალებათა განაწილების ვალდებულებას.

ნაკვეთი 2
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება და სასამართლო დაცვის საშუალებები

მუხლი 42
სამართლიანი და თანაბარი სამართალწარმოება

წევრი სახელმწიფოები უფლების მფლობელებს უზრუნველყოფენ სამოქალაქო სამართალწარმოების მოთხოვნის შესაძლებლობით ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი უფლების აღსრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოიცავს წინამდებარე შეთანხმება. მოპასუხეებს უფლება ეძლევათ მიიღონ წერილობითი შეტყობინება, რომელიც მათ დროულად მიეწოდება და რომელშიც მოცემული იქნება საკმარისად დეტალური ინფორმაცია, სარჩელის საფუძვლის ჩათვლით. მხარეებს ნება ეძლევათ წარმოდგენილ იქნან დამოუკიდებელი ვექილით, ხოლო პროცედურული ნორმები არ უნდა ითვალისწინებდეს პირადად გამოცხადების აუცილებლობის ზედმეტად დამამძიმებელ მოთხოვნებს. ასეთი განხილვების ყველა მხარეს ეძლევა ჯეროვანი უფლება დაასაბუთოს თავიანთი სარჩელი და წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ყველა დამამტკიცებელი საბუთი. პროცედურული ნორმები ითვალისწინებს კონფიდენციალური ინფორმაციის იდენტიფიცირების და დაცვის საშუალებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არსებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

მუხლი 43
დამამტკიცებელი საბუთები

1. იმ შემთხვევაში, თუ ერთ–ერთი მხარე წარმოადგენს დასაბუთებულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია მისი სარჩელის განსამტკიცებლად და მიუთითებს სხვა დამამტკიცებელი საბუთებზე, რომელიც საჭიროა მისი სარჩელის დასაბუთებისათვის და რომლებიც იმყოფება მოწინააღმდეგე მხარის განკარგულებაში, სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ მოწინააღმდეგე მხარისაგან მოითხოვონ აღნიშნული დამტკიცებული საბუთების წარმოდგენა, შესაბამისი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული პირობების თანახმად, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო განხილვის ერთ–ერთი მხარე შეგნებულად და სათანადო მიზეზის გარეშე უარს აუცილებელ ინფორმაციასთან დაშვებაზე, ან არ წარმოადგენს ამ ინფორმაციას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ან არსებითად აფერხებს აღსრულებისათვის საჭირო ზომების მიღებას, წევრ სახელმწიფოს შეუძლია სასამართლო ორგანოებს მიანიჭოს უფლებამოსილება წინასწარი და საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღებისა, იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი, მათთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, იმ მხარის მიერ გაკეთებული საჩივრისა თუ განცხადების ჩათვლით, რომელზეც უარყოფითად იმოქმედა ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმამ, თანახმად პირობისა, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამოთქვან თავიანთი შეხედულებები განცხადებების ან დამამტკიცებელი საბუთების შესახებ.

მუხლი 44
სასამართლო აკრძალვები

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ უბრძანონ ნებისმიერ მხარეს თავი შეიკავონ სამართალდარღვევისაგან, კერძოდ, აღკვეთონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ სავაჭრო

ქსელში იმპორტირებული საქონლის შეტანა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას უკავშირდება, ასეთი საქონლის განბაჟების შემდეგ. წევრი სახელმწიფოები მოვალენი არ არიან ასეთი უფლებამოსილება მიანიჭონ იმ დაცული საგნების მიმართ, რომლებიც შეძენილ ან შეკვეთილ იქნა პირის მიერ, რომელმაც ჯერ არ იცოდა, ან არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი სცოდნოდა, რომ ასეთ საგანთან დაკავშირებული გარიგებები გამოიწვევდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევებს.

2. მოცემული ნაწილის სხვა დებულებების მიუხედავად და იმის გათვალისწინებით, რომ დაცულია II ნაწილის დებულებები, რომლებიც შეეხება უფლებათა გამოყენებას მთავრობის ან მთავრობის მიერ უფლებამოსილი მესამე პირების მიერ უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი გამოყენების წინააღმდეგ არსებული სასამართლო დაცვის საშუალებები შეზღუდონ კომპენსაციის გადახდით, მუხლი 31 ქვეპუნქტის (თ) თანახმად. სხვა შემთხვევებში გამოყენებულ იქნება მოცემული ნაწილით განსაზღვრული სასამართლო დაცვის საშუალებები, ან თუ აღნიშნული საშუალებები ეწინააღმდეგება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობას, შეიძლება გამოყენებულ იქნას დეკლარაციული სახის გადაწყვეტილებები და შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 45
ზარალის ანაზღაურება

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ სამართალდამრღვევ პირს უბრძანონ კომპენსაცია გადაუხადოს უფლების მფლობელს, რათა მას სათანადოდ აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც უფლების მფლობელმა განიცადა სამართალდამრღვევი პირის მიერ მისი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შედეგად, რომელმაც იცოდა, ან საკმარისი საფუძველი ჰქონდა ცოდნოდა, რომ იგი ეწეოდა სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობას.

2. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ აგრეთვე სამართალდამრღვევ პირს უბრძანონ უფლების მფლობელს აუნაზღაუროს მის მიერ გაწეული ხარჯები, რაც შეიძლება მოიცავდეს ვექილის ანაზღაურებას. შესაბამის შემთხვევებში წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სასამართლო ორგანოებს მიანიჭონ უფლება მოითხოვონ მოგების დაბრუნება და/ან წინასწარ დადგენილი დანაკლისების გადახდა მაშინაც კი, როდესაც სამართალდამრღვევმა პირმა არ იცოდა, ან კიდევ არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი სცოდნოდა, რომ ეწეოდა სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობას.

მუხლი 46
სასამართლო დაცვის სხვა საშუალებები

უფლებათა დარღვევის აღმკვეთი ეფექტური საშუალებათა შექმნის მიზნით, სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ გასცენ ბრძანება, რათა ის საქონელი, რომელთა მიმართაც დადგენილი იქნა უფლებათა დარღვევა, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ამოღებულ იქნას სავაჭრო ქსელიდან ისე, რომ გამოირიცხოს უფლების მფლობელისათვის რაიმე ზიანის მიყენების შესაძლებლობა, ან აღნიშნული საქონელი განადგურებულ იქნას, თუ ეს ეწინააღმდეგება არსებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს. სასამართლო ორგანოებს ეძლევათ უფლება აგრეთვე გასცენ ბრძანება, რათა ის მასალები და ხელსაწყოები, რომლებიც უმთავრესად გამოიყენებოდა უფლებათა დამრღვევი საქონლის შესაქმნელად, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე იქნას ამოღებულ სავაჭრო ქსელიდან ისეთი სახით, რომ შემდგომი

დარღვევების რისკი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ასეთი მოთხოვნების განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სამართალდარღვევის სერიოზულობის და დადგენილი სასამართლო დაცვის საშუალების ურთიერთთანაფარდობა და მესამე მხარეების ინტერესები. რაც შეეხება გაყალბებული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელს, უკანონოდ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის უბრალოდ მოცილება არ წარმოადგენს საკმარის ზომას ამ საქონლის სავაჭრო ქსელში გასაშვებად, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მუხლი 47
ინფორმაციის მიღების უფლება

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თუ ეს არ ცილდება სამართალდარღვევის სერიოზულობის თანაფარდობის ნორმებს, სასამართლო ორგანოს მიანიჭონ უფლება, რომ ამ უკანასკნელმა სამართალდამრღვევ პირს მოსთხოვოს უფლების მფლობელს მიაწოდოს ინფორმაცია უკანონო საქონლის ან მომსახურების წარმოებაში და გავრცელებაში მონაწილე მესამე პირთა ვინაობის და განაწილების არხების შესახებ.

მუხლი 48
კომპენსაციის გადახდა მოპასუხისათვის

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ მხარეს, რომლის მოთხოვნის საფუძველზე იქნა ზომები მიღებული და რომელმაც არაკეთილსინდისიერად გამოიყენა უფლებათა აღსრულების უზრუნველყოფის პროცედურები, მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაციის გადახდა იმ მხარისათვის, რომელსაც არაკანონიერად დაეკისრა აკრძალვა ან შეზღუდვა, იმ ზიანისათვის, რომელიც ამ არაკეთილსინდისიერი გამოყენებით იქნა გამოწვეული. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ აგრეთვე, განმცხადებელს მოსთხოვონ მოპასუხისათვის დანახარჯების ანაზღაურება, რაც შეიძლება მოიცავდეს ვექილის საზღაურსაც.

2. ნებისმიერი კანონის გამოყენებისას, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას ან აღსრულებას, წევრი სახელმწიფოები სახელმწიფო ორგანოებს და ოფიციალურ პირებს ათავისუფლებენ შესაბამისი სასამართლო დაცვის საშუალებების გამოყენების მოვალეობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონის გამოყენების პროცესში მათ მიერ კეთილსინდისიერად იქნა განხორციელებული ქმედებანი, ან იყო მცდელობა ასეთი ქმედების განხორციელებისა.

მუხლი 49
ადმინისტრაციული პროცედურები

იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი სამოქალაქო სამართლებრივი დამცავი საშუალების გამოყენება შეიძლება ნაკარნახევი იყოს რაიმე საქმის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებით, ასეთი პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც არსებითად ტოლფასია მოცემულ განყოფილებაში განხილული პრინციპებისა.

ნაკვეთი 3
დროებითი ზომები

მუხლი 50

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ მოითხოვონ გადაუდებელი და ეფექტური დროებითი ზომების მიღება, რომელთა მიზანია:

ა) აღმოფხვრას ნებისმიერი სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შესაძლებლობა, და, კერძოდ, არ დაუშვას მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ სავაჭრო ქსელში საქონლის შეტანა, მათ შორის იმპორტირებული საქონლისა, უშუალოდ განბაჟების შემდეგ;

ბ) შეინარჩუნოს შესაბამისი დამამტკიცებელი საბუთები სავარაუდო დარღვევების შესახებ.

2. სადაც შესაძლებელია, სასამართლო ორგანოებს ეძლევათ დროებითი ზომების მიღების უფლება ინაუდიტა ალტერა პარტე, კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ნებისმიერმა დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს ან, როდესაც არსებობს აშკარა რისკი იმისა, რომ მამტკიცებელი საბუთები შეიძლება განადგურებულ იქნას.

3. სასამართლო ორგანოებს ეძლევათ უფლება განმცხადებელს მოსთხოვონ ნებისმიერი საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი, რათა საკმარისად დამაჯერებლად დარწმუნდნენ იმაში, რომ განმცხადებელი წარმოადგენს უფლების მფლობელს და რომ მისი უფლება ირღვევა, ან კიდევ ეს დარღვევა გარდაუვალია, და მოსთხოვონ განმცხადებელს უზრუნველყოფის ან ეკვივალენტური გარანტიის წარმოდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხის დასაცავად და ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

4. თუ დროებითი ზომები მიღებულია ინაუდიტა ალტერა პარტე, იმ მხარეებს, რომელთაც ისინი ეხება, ეცნობებათ ამის თაობაზე, მაქსიმუმ ამ ზომების მიღების შემდეგ. გადასინჯვა, მათ შორის სიტყვით გამოსვლის უფლება, ხორციელდება მოპასუხის თხოვნის საფუძველზე, რათა ზომების მიღების თაობაზე შეტყობინებიდან დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება შეიცვალოს, გაუქმდეს თუ დამტკიცდეს აღნიშნული ზომები.

5. ორგანომ, რომელიც იღებს დროებით ზომებს, შეიძლება მოსთხოვოს განმცხადებელს სხვა სახის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საქონლის იდენტიფიკაციისათვის.

6. პუნქტის 4 დარღვევის გარეშე, დროებითი ზომები, რომლებიც ხორციელდება პუნქტების 1 და 2 საფუძველზე, მოპასუხის თხოვნის საფუძველზე უქმდება ან სხვაგვარად ხდება მათი მოქმედების შეჩერება, თუ სასამართლო განხილვა, რომლის საფუძველზეც ხდება გადაწყვეტილების გამოტანა საქმის არსის შესახებ, არ დაიწყება სათანადო დროის განმავლობაში, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო ორგანო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება ზომების მიღების შესახებ. თუ ეს გათვალისწინებულია წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, ან თუ არ არსებობს ასეთი განსაზღვრა, ეს დრო არ უნდა აღემატებოდეს 20 სამუშაო დღეს ან 31 კალენდარულ დღეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი პერიოდი იქნება უფრო ხანგრძლივი.

7. დროებითი ზომების მიღების გაუქმების ან შეწყვეტის შემთხვევაში, რაც გამოწვეულია განმცხადებლის მიერ განხორციელებული რაიმე ქმედებით ან უმოქმედობით, ან თუ მოგვიანებით დადგენილ იქნა, რომ არ ჰქონია ადგილი ინტელექტუალური უფლების

დარღვევას ან დარღვევის საშიშროებას, სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ განმცხადებელს მოპასუხის თხოვნის საფუძველზე მოსთხოვონ მოპასუხისათვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდა იმ ზიანისთვის, რაც ამ ზომების მიღებით იქნა მიყენებული.

8. იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი დროებითი ზომების გამოყენება შეიძლება ნაკარნახევი იყოს რაიმე საქმის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებით, ასეთი პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც არსებითად ტოლფასია მოცემულ განყოფილებაში განხილული პრინციპებისა.

ნაკვეთი 4
სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებული სპეციალური სახის მოთხოვნები

მუხლი 51
საბაჟო ხელისუფლების მიერ საქონლის ბრუნვაში გაშვების შეჩერება

წევრი სახელმწიფოები ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებების თანახმად იღებენ ზომებს, რათა უფლების მფლობელმა, რომელსაც გააჩნია საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყალბი სასაქონლო ნიშნის მქონე ან საავტორო უფლებების დარღვევით დამზადებული საქონლის იმპორტს, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებში შეიტანონ წერილობითი განცხადება საბაჟო ორგანოების მიერ ასეთი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შეჩერების შესახებ. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი სახის განცხადების გაკეთების უფლება დაუშვან იმ საქონლის მიმართ, რომელიც შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სხვა სახის დარღვევებს, იმ პირობით, რომ დაცული იქნება მოცემული ნაკვეთით გათვალისწინებული დებულებები. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აგრეთვე გაითვალისწინონ შესაბამისი პროცედურული ზომები საბაჟო ორგანოების მიერ მათი ტერიტორიიდან საექსპორტოდ გამიზნული უფლების დამრღვევი საქონლის გაშვების შესაჩერებლად.

მუხლი 52 განცხადება

უფლების ნებისმიერ მფლობელს, რომელიც აღძრავს საქმეს 51-ე მუხლის თანახმად, მოეთხოვება უფლებამოსილი ორგანოების დასარწმუნებლად შესაბამისი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა იმის შესახებ, რომ იმპორტიორი სახელმწიფოს კანონების თანახმად ადგილი აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის უფლებათა პრიმა ფაციე დარღვევას, აგრეთვე საქონლის საკმარისად დაწვრილებითი აღწერის მიწოდება საბაჟო ორგანოების მიერ მისი ადვილად ამოცნობის მიზნით. უფლებამოსილი ორგანოები განმცხადებელს სათანადო ვადაში აცნობებენ მათ მიერ განცხადების მიღების ან არმიღების შესახებ, ხოლო მათ მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, აცნობებენ იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც საბაჟო ორგანოები მიიღებენ ზომებს.

მუხლი 53
უზრუნველყოფა ან მისი ტოლფასი გარანტია

1. უფლებამოსილ ორგანოებს ეძლევათ უფლება განმცხადებელს მოსთხოვონ უზრუნველყოფის ან ეკვივალენტური გარანტიის წარმოდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხის და უფლებამოსილი ორგანოების დასაცავად და ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ასეთი სახის უზრუნველყოფამ ან ექვივალენტურმა გარანტიამ დაუსაბუთებლად არ უნდა გამოიწვიოს ასეთი ზომების მიღებისაგან თავის შეკავება.

2. თუ მოცემული ნაკვეთის შესაბამისად წარდგენილი განაცხადის თანახმად საქონლის, მათ შორის სამრეწველო დიზაინების, პატენტების, ინტელექტუალური მიკროსქემების ტოპოლოგიების ან დახურული ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება შეჩერებულ იქნა საბაჟო ორგანოების მიერ იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც გამოტანილია არა სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, და თუ 55-ე მუხლით გათვალისწინებული პერიოდი ამოიწურა სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიმოქცევაში პირობითი გაშვების ნებართვის გაცემის გარეშე, და თუ შესრულებულია იმპორტთან დაკავშირებული ყველა სხვა პირობა, ასეთი საქონლის მესაკუთრე, იმპორტიორი ან მიმღები, უფლებამოსილია მათ გაშვებაზე მიმოქცევაში უზრუნველყოფის წარმოდგენისთანავე, რომლის ოდენობაც საკმარისი იქნება უფლების მფლობელის დასაცავად ნებისმიერი დარღვევისაგან. ასეთი უზრუნველყოფის შეტანამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სასამართლო დაცვის ნებისმიერ სხვა საშუალებას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს უფლების მფლობელმა. ამასთანავე იგულისხმება, რომ უზრუნველყოფა დაბრუნებულ იქნება, თუ უფლების მფლობელი დროის სათანადო პერიოდის განმავლობაში არ გამოიყენებს თავის უფლებას სარჩელის აღძვრის თაობაზე.

მუხლი 54
შეტყობინება შეჩერების შესახებ

იმპორტიორს და განმცხადებელს დაუყოვნებლივ ეცნობება საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების შესახებ მუხლი 51 თანახმად.

მუხლი 55
შეჩერების ხანგრძლივობა

თუ განმცხადებლისთვის შეჩერების შესახებ შეტყობინების გადაცემიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის მანძილზე საბაჟო ორგანოებს არ ეცნობებათ, რომ რომელიმე მხარის, მაგრამ არა მოპასუხის მიერ დაწყებულ იქნა სასამართლო განხილვა, რომლის შედეგად გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება საქმის არსის თაობაზე, ან თუ სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა მიიღეს დროებითი ზომები საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების გასახანგრძლივებლად, საქონელზე ყადაღა მოიხსნება იმ პირობით, რომ დაცული იქნება იმპორტირებასთან დაკავშირებული ყველა პირობა: განსაკუთრებულ შემთხვევებში აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივებულ იქნას დამატებითი 10 სამუშაო დღით. თუ სასამართლო განხილვა, რომლის შედეგად გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება საქმის არსის თაობაზე, დაწყებულ იქნა, მაშინ გადასინჯვა, მათ შორის მოსმენის უფლება განხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით, რათა დროის სათანადო პერიოდში გადაწყვეტილ იქნას, მიზანშეწონილია თუ არა ამ ზომების შეცვლა, გაუქმება თუ დამტკიცება. ზემორეთქმულის მიუხედავად, იმ შემთხვევებში, თუ საქონელზე ყადაღის მოხსნის შეჩერება ხდება ან გრძელდება დროებით სასამართლო ზომის მიღების შესაბამისად, გამოიყენება 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის დებულებები.

მუხლი 56
იმპორტიორისთვის და საქონლის მესაკუთრისათვის ზარალის ანაზღაურება

შესაბამის ორგანოებს უფლება ეძლევათ განმცხადებელს მოსთხოვონ იმპორტიორისთვის, ტვირთის მიმღები პირისათვის და საქონლის მესაკუთრისათვის სათანადო კომპენსაციის

გადახდა იმ ზარალისათვის, რაც მათ განიცადეს საქონლის არაკანონიერი დაკავების შედეგად, ან იმ საქონლის დაკავების შედეგად, რომელიც მუხლის 55 თანახმად არის ბრუნვაში გაშვებული.

მუხლი 57
ინფორმაციის შემოწმების უფლება

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პირობების დაურღვევლად, წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილ ორგანოებს ანიჭებენ უფლებას, რომ უფლების მფლობელს მიეცეს სათანადო შესაძლებლობა შეამოწმოს საბაჟო ორგანოების მიერ დაკავებული ყველა საქონელი, რათა მას მიეცეს თავისი სარჩელის დასაბუთების საშუალება. უფლებამოსილ ორგანოებს ენიჭებათ აგრეთვე უფლება იმპორტიორებს მისცენ ნებისმიერი ასეთი სახის საქონლის შემოწმების თანაბარი შესაძლებლობა. თუ გამოტანილ იქნა დადებითი გადაწყვეტილება საქმის არსის თაობაზე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უფლებამოსილ ორგანოებს მიანიჭონ უფლება, უფლების მფლობელს აცნობონ ტვირთის გამგზავნის, იმპორტიორის და ტვირთის მიმღების ვინაობა და მისამართები, აგრეთვე ინფორმაცია მოცემული საქონლის რაოდენობის შესახებ.

მუხლი 58
Ex Officio ქმედება

თუ წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი ორგანოებისაგან მოითხოვენ საკუთარი ინიციატივით მოქმედებას და იმ საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერებას, რომლის მიმართაც მათ გააჩნიათ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა პრიმა ფაციე დამამტკიცებელი საბუთები, მაშინ:

ა) უფლებამოსილ ორგანოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ უფლების მფლობელს ინფორმაციისათვის, რაც მათ შეიძლება ამ უფლებამოსილებათა განხორციელებაში დაეხმაროს;

ბ) იმპორტიორს და უფლების მფლობელს დაუყოვნებლივ ეცნობება საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების შესახებ. თუ იმპორტიორმა საჩივარი შეიტანა უფლებამოსილი ორგანოების წინაშე საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების წინააღმდეგ, ეს შეჩერება უნდა განიხილებოდეს mutatis mutandis მუხლში 55 მოყვანილი პირობების მიხედვით.

გ) წევრი სახელმწიფოები სახელმწიფო ორგანოებს და მის ოფიციალურ პირებს ათავისუფლებენ შესაბამისი სასამართლო ზომების მიღების მოვალეობისაგან, თუ ქმედებები კეთილსინდისიერად ხორციელდება, ან არსებობს განზრახვა მათ კეთილსინდისიერად განხორციელებისა.

მუხლი 59

სასამართლო დაცვის საშუალებები

უფლების მფლობელისათვის ხელმისაწვდომი დანარჩენი უფლებების დაცვით მიიღოს სათანადო ზომები, აგრეთვე თანახმად მოპასუხის უფლებისა, მოითხოვოს სასამართლო ორგანოების მიერ გადასინჯვა, უფლებამოსილ ორგანოებს ენიჭებათ უფლება მოითხოვონ სამართალდამრღვევი საქონლის განადგურება ან განკარგვა მუხლში 46 მოყვანილი პრინციპების მიხედვით ყალბი სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელთან დაკავშირებით აღნიშნული ორგანოები არ გასცემენ ასეთი საქონლის უცვლელ მდგომარეობაში ექსპორტის, ან მათ მიმართ სხვა სახის საბაჟო პროცედურების გამოყენებას ნებართვას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მუხლი 60
უმნიშვნელო რაოდენობის საქონლის იმპორტი

წევრ სახელმწიფოებს ზემოაღნიშნულ დებულებები შეუძლიათ არ გამოიყენონ მცირე რაოდენობის არაკომერციული ხასიათის საქონლის მიმართ, რომელიც მოთავსებულია მგზავრთა პირად ბარგში, ან კიდევ იგზავნება მცირე პარტიებად.

ნაკვეთი 5
სისხლის სამართლის პროცედურები

მუხლი 61

წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პროცედურებსა და დამსჯელ ქმედებებს, რომლებიც გამოიყენება სულ მცირე ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა სასაქონლო ნიშნის განზრახ გაყალბება ან საავტორო უფლებების დარღვევა კომერციული მასშტაბებით. დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებები მოიცავს დაპატიმრებას და/ან ფულად ჯარიმებს, რომლებიც საკმარისი იქნება დანაშაულის შესაკავებლად და შეესაბამება მსგავსი სიმძიმის დანაშაულისათვის განსაზღვრულ აღმკვეთ ზომებს. შესაბამის შემთხვევებში დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებები მოიცავს აგრეთვე სამართალდამრღვევ საქონელზე და ყველა იმ მასალაზე და დანადგარებზე ყადაღის დადებას, კონფისკაციას და განადგურებას, რომლებიც უპირატესად გამოიყენებოდა სამართალდარღვევების ჩადენის დროს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ სისხლის სამართლებრივი პროცედურები და სადამსჯელო ღონისძიებები ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევის სხვა შემთხვევებისათვის, კერძოდ, თუ ისინი ჩადენილია წინასწარი განზრახვით და კომერციული მასშტაბებით.

ნაწილი IV
ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვება და ძალაში შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული INTERPARTES პროცედურები

მუხლი 62

1. II ნაწილის მე-2-მე-6 ნაკვეთებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვებისა და ძალაში შენარჩუნების პირობის სახით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ სათანადო პროცედურებისა და ფორმალობების დაცვა. ასეთი პროცედურები და ფორმალობები უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე შეთანხმების დებულებებს.

2. თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მოპოვება ხდება უფლების მინიჭების ან რეგისტრაციის გზით, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მინიჭების და რეგისტრაციის პროცედურები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ასეთი უფლებების მოსაპოვებლად წაყენებულ ძირითად პირობებს, იძლეოდეს მინიჭებისა და რეგისტრაციის საშუალებას დროის სათანადო პერიოდის განმავლობაში, რათა თავიდან იქნას აცილებული დაცვის ვადის გაუმართლებელი შეკვეცა.

3. პარიზის კონვენციის (1967) მუხლი 4 მუტატის მუტანდის გამოიყენება მომსახურების ნიშნებისათვის.

4. თუ წევრი სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს ისეთ პროცედურებს, როგორიცაა ადმინისტრაციული გაუქმება, და ინტერ პარტეს პროცედურებს, როგორიცაა შეწინააღმდეგება, გაუქმება და ანულირება, მაშინ ეს პროცედურები ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვებისა და ძალაში შენარჩუნების პროცედურებთან ერთად რეგულირდება მუხლის 41 პუნქტებით მე–2 და მე–3 გათვალისწინებული ზოგადი პრინციპებით.

5. მე–4 პუნქტში მითითებული ნებისმიერი პროცედურის განხორციელებისას საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ექვემდებარება გადასინჯვას სასამართლო ან კვაზისასამართლო ორგანოს მიერ. მიუხედავად ამისა, არ არსებობს არანაირი ვალდებულება გადაწყვეტილებათა ასეთი გადასინჯვისათვის შესაძლებლობის გათვალისწინებისა წარუმატებელი შეწინააღმდეგების ან ადმინისტრაციული გაუქმების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ასეთი პროცედურების საფუძვლები შეიძლება გასაუქმებელი პროცედურების საგანი გახდეს.

ნაწილი V
დავათა თავიდან აცილება და დარეგულირება

მუხლი 63 გამჭვირვალობა

1. წინამდებარე შეთანხმების საგნის თაობაზე წევრი სახელმწიფოს მიერ ამოქმედებული კანონები და წესები, ისევე როგორც საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები და ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციული დადგენილებები, (ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა არსებობა, ფარგლები, მოპოვება, აღსრულება და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება) ექვემდებარება გამოქვეყნებას ეროვნულ ენაზე, ან თუ პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე ასეთი გამოქვეყნება მიზანშეწონილი არა არის, მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, რათა სამთავრობო ორგანოებმა და უფლების მფლობელებმა შეძლონ მათი გაცნობა. გამოქვეყნებას ექვემდებარება აგრეთვე შეთანხმებები, რომლებიც დადებულია წინამდებარე შეთანხმების საგანის თაობაზე და ძალის მქონეა ორი წევრი სახელმწიფოს მთავრობებს ან სამთავრობო ორგანოებითვის.

2. წევრი სახელმწიფოები პუნქტში 1 მითითებულ კანონებსა და წესებს აწვდიან „TRIPS"–ის საბჭოს, რათა ხელი შეუწყონ ამ საბჭოს წინამდებარე შეთანხმების შესრულების პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებაში. საბჭო ცდილობს რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ის ტვირთი, რაც აწევს წევრ სახელმწიფოებს ამ მოვალეობის შესრულებისას, შეუძლია გაათავისუფლოს ისინი ასეთი კანონებისა და წესების შესახებ შეტყობინების მოვალეობისაგან უშუალოდ საბჭოსათვის თუ „ისმო"–თან გამართული კონსულტაციები საერთო რეესტრის შექმნის შესახებ, რომელიც ასეთ კანონებსა და წესებს უნდა შეიცავდეს, წარმატებულად დასრულდება. ამ თვალსაზრისით საბჭო განიხილავს აგრეთვე ნებისმიერ ქმედებას, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს შეტყობინებასთან დაკავშირებით წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული მოვალეობების თანახმად და რომლებიც გამომდინარეობს პარიზის კონვენციის (1967 წ.) 6ter მუხლის დებულებებიდან.

3. თითოეული წევრი სახელმწიფო სხვა წევრი სახელმწიფოს წერილობითი თხოვნის პასუხად მზად უნდა იყოს პუნქტში 1 მითითებული ინფორმაციის მისაწოდებლად. წევრ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს საფუძველი მიიჩნიოს, რომ გარკვეული სასამართლო გადაწყვეტილება ან ადმინისტრაციული დადგენილება ან ორმხრივი შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების

უფლებათა სფეროში არღვევს მის წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებს, შეუძლია წერილობით მოითხოვოს ასეთი სახის სასამართლო გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული დადგენილების ან ორმხრივი შეთანხმებების მისთვის მიწოდება ან მათ შესახებ საკმარისად დეტალური ინფორმაციის მიღება.

4. პუნქტების 1, 2 და 3 არც ერთი დებულება არ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოს, გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუშლიდა კანონის აღსრულებას, სხვაგვარად შეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შელახავდა ცალკეული სახელმწიფო თუ კერძო საწარმოს კომერციულ ინტერესებს.

მუხლი 64
დავათა დარეგულირება

1. „GATT"–ის (1994 წ.) XXII და XXIII მუხლების დებულებები, რომლებიც შემუშავებული და გამოყენებულია დავათა დარეგულირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული კონსულტაციების გასამართავად და დავათა დასარეგულირებლად, თუ მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. „GATT"–ის (1994 წ.) არ გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დავების დასარეგულირებლად „მსო"–ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

3. პუნქტში 2 მითითებული დროის განმავლობაში „TRIPS"–ის საბჭო შეისწავლის წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად წარდგენილი „GATT"–ის (1994 წ.) XXIII მუხლის 1(ბ) და 1(გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული სარჩელების ტიპების მოქმედების სფეროს და წარდგენისათვის საჭირო ფორმალობებს და თავის რეკომენდაციებს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრთა კონფერენციას. მინისტრთა კონფერენციის ნებისმიერი გადაწყვეტილება ასეთი რეკომენდაციების დამტკიცების ან პუნქტში 2 მითითებული ვადის გაგრძელების შესახებ მიიღება მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე, ხოლო მიღებული რეკომენდაციები ყველა წევრი სახელმწიფოსათვის ძალაში შევა მათი მიღების შემდგომი ფორმალური პროცედურების გარეშე.

ნაწილი VI
გარდამავალი შეთანხმებები

მუხლი 65
გარდამავალი შეთანხმებები

1. პუნქტების 2, 3 და 4 დებულებათა თანახმად არცერთი წევრი სახელმწიფო არ არის ვალდებული გამოიყენოს წინამდებარე შეთანხმების დებულებები „მსო"–ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ერთწლიანი საერთო ვადის გასვლამდე.

2. განვითარებად წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ ოთხი წლით გადაავადონ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა პუნქტით 1 გათვალისწინებული გამოყენება, გარდა მუხლებისა 3, 4 და 5.

3. ნებისმიერ სხვა წევრი სახელმწიფოს, რომელიც ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან

საბაზრო, თავისუფალ სამეწარმეო ეკონომიკაზე გადასვლის სტადიაზეა და რომელიც საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების სისტემის სტრუქტურულ რეფორმას ახორციელებს და აწყდება ინტელექტუალური საკუთრების კანონებისა და წესების მომზადებასა და რეალიზებასთან დაკავშირებულ სპეციფიურ პრობლემებს, აგრეთვე შეუძლია ისარგებლოს პუნქტით 2 გათვალისწინებული გადავადების შესაძლებლობით.

4. იმდენად, რამდენადაც წინამდებარე შეთანხმება განვითარებად წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს გაავრცელოს პროდუქციის საპატენტო დაცვა ტექნიკის ისეთ დარგებში, რომლებიც ასეთ დაცვას არ ექვემდებარება აღნიშნული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წინამდებარე შეთანხმების გამოყენების საერთო თარიღისათვის, მას პუნქტის 2 თანახმად შეუძლია გადაავადოს II ნაწილის მე–5 ნაკვეთში განხილულ პროდუქციის დაპატენტების შესახებ დებულებების გამოყენება ასეთი დარგების მიმართ კიდევ 5 წლით.

5. წევრი სახელმწიფო, რომელიც პუნქტების 1, 2, 3 და 4 შესაბამისად გარდამავალი პერიოდით სარგებლობს უზრუნველყოფს, რომ ამ პერიოდში მის კანონებში, დებულებებსა და პრაქტიკაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება არ შეამცირებს მათი შესაბამისობის დონეს წინამდებარე შეთანხმებასთან.

მუხლი 66
ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოები

1. ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების სპეციფიკური საჭიროებებისა და მოთხოვნების, მათი ეკონომიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული შეზღუდვების და მათთვის სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შესაქმნელად საჭირო მოქნილობის მოთხოვნის გათვალისწინებით, ასეთი სახელმწიფოების მიმართ წინამდებარე შეთანხმების დებულებები, გარდა მუხლებისა 3, 4 და 5 არ გამოიყენება, მუხლის 65 პუნქტით 1 განსაზღვრული გამოყენების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში. „TRIPS"–ის საბჭო ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოს ჯეროვნად დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე აგრძელებს აღნიშნულ პერიოდს.

2. განვითარებული წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ მათ ტერიტორიებზე განლაგებული საწარმოებისა და დაწესებულებების სტიმულირებას, რათა ხელი შეუწყონ ტექნოლოგიის გადაცემას ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოებისათვის მათთვის მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 67
ტექნიკური თანამშრომლობა

წინამდებარე შეთანხმების განხორციელების გაადვილების მიზნით განვითარებული წევრი სახელმწიფოები განვითარებად და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ წევრ ქვეყნებს გაუწევს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას მათი მოთხოვნისა და ორმხრივად შეთანხმებული პირობების საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა მოიცავს დახმარებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის და აღსრულების შესახებ კანონებისა და დებულებების მომზადებაში, აგრეთვე ასეთი უფლებებით ბოროტად სარგებლობის თავიდან აცილებაში, აგრეთვე მოიცავს დახმარებას იმ ეროვნული უწყებებისა და დაწესებულებების შექმნასა და განმტკიცებაში, რომლებიც ამ საკითხებით იქნებიან დაკავებულნი, მათ შორის კადრების მომზადებაში.

ნაწილი VII
ინსტიტუციონალური ღონისძიებები; დასკვნითი დებულებები

მუხლი 68
ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების საბჭო

„TRIPS"-ის საბჭო აკონტროლებს წინამდებარე შეთანხმების შესრულებას, კერძოდ, წევრი სახელმწიფოების მიერ შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და წევრ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას გამართონ კონსულტაციები ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტების თაობაზე. იგი ახორციელებს აგრეთვე წევრი სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებულ ნებისმიერ მოვალეობას, და კერძოდ, სთავაზობს ნებისმიერი სახის დახმარებას, რომელსაც მისგან მოითხოვენ დავათა დარეგულირების პროცედურებთან დაკავშირებით. თავისი ფუნქციების შესრულებისას „TRIPS"-ის საბჭოს შეუძლია რჩევისათვის მიმართოს და მოიძიოს ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან, რომელსაც იგი ამ თვალსაზრისით შესაფერისად მიიჩნევს. „ისმო"-თან გამართული კონსულტაციების შესაბამისად საბჭო თავისი პირველი სხდომიდან ერთი წლის განმავლობაში მიიღებს შესაბამის ზომებს აღნიშნული ორგანიზაციის ორგანოებთან თანამშრომლობის დასამკვიდრებლად.

მუხლი 69
საერთაშორისო თანამშრომლობა

წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე იმ თვალსაზრისით, რომ აღმოფხვრილ იქნას საერთაშორისო ვაჭრობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დამრღვევი საქონლით. ამ მიზნით ისინი თავიანთ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ქმნიან საკონტაქტო პუნქტებს, იტყობინებიან ამის შესახებ და მზად არიან სამართალდამრღვევი საქონლით ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგასაცვლელად. კერძოდ, ისინი ხელს უწყობენ საბაჟო ორგანოებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და თანამშრომლობას გაყალბებული სასაქონლო ნიშნიანი საქონლითა და საავტორო უფლებების დარღვევით დამზადებული საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

მუხლი 70
არსებული ობიექტის დაცვა

1. წინამდებარე შეთანხმება არ წარმოშობს მოვალეობებს იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იქნა მოცემული შეთანხმების გამოყენების თარიღამდე.

2. თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წინამდებარე შეთანხმება წარმოშობს მოვალეობებს ინტელექტუალური საკუთრების ყველა იმ საგანთან დაკავშირებით, რომლებიც არსებობდა ცალკეული წევრი სახელმწიფოს მიმართ წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის და რომლებიც დაცულია ამ სახელმწიფოში აღნიშნული თარიღისათვის, აგრეთვე რომლებიც შეესაბამება ან შემდგომში მოვა შესაბამისობაში წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დაცვის კრიტერიუმებთან. რაც შეეხება მოცემული პუნქტის და პუნქტების 3 და 4 დებულებებს, საავტორო უფლებებთან დაკავშირებული მოვალეობები არსებული ნაწარმოებების მიმართ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლზე 18 დაყრდნობით, ხოლო მოვალეობები,

რომლებიც ფონოგრამების მწარმოებელთა და არსებულ ფონოგრამებში შემსრულებელთა უფლებებს ეხება, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლის 18 მიხედვით იმდენად, რამდენადაც ის გამოყენებადია წინამდებარე შეთანხმების მუხლის 14 პუნქტის 6 მიხედვით.

3. არანაირი მოვალეობა არ წარმოიშვება ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებზე უფლებათა დაცვის აღსადგენად, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოს მიერ წინამდებარე შეთანხმების გამოყენების დაწყების თარიღისათვის სახელმწიფო საკუთრებაში აღმოჩნდა.

4. ნებისმიერ იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება კონკრეტულ საგნებს, რომლებშიც შედის ისეთი ობიექტები, რომლებიც წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად სამართალდამრღვევი ობიექტები გახდნენ, და რომელთა გამოშვება დაიწყო ან რომელთა დაკავშირებითაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ „მსო"-ს შეთანხმებისთვის მიღების თარიღამდე, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს უფლების მფლობელის ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის შეზღუდვა ასეთი ქმედებების გაგრძელების შემთხვევაში ასეთი წევრი სახელმწიფოსათვის მოცემული შეთანხმების გამოყენების დაწყების თარიღის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებში წევრი სახელმწიფო ითვალისწინებს, სულ მცირე, სათანადო ანაზღაურების გადახდას.

5. წევრი სახელმწიფო მოვალე არ არის გამოიყენოს მუხლის 11 და მუხლის 14 პუნქტის 4 დებულებები იმ დედანთა და ასლთა მიმართ, რომლებიც ამ წევრი სახელმწიფოსათვის მოცემული შეთანხმების გამოყენების დაწყებამდე იქნა შეძენილი.

6. წევრი სახელმწიფოები არ არიან მოვალენი გამოიყენონ მუხლის 31 დებულებები, ან მუხლის 27 პუნქტის 1 მოთხოვნები იმის შესახებ, რომ პატენტზე უფლებები მინიჭებულ უნდა იქნას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ტექნიკის დარგის მიუხედავად და გამოყენება უნდა მოხდეს უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, როდესაც ასეთ გამოყენებაზე ნებართვა მთავრობის მიერ იქნა გაცემული იმ თარიღამდე, სანამ წინამდებარე შეთანხმება ცნობილი გახდებოდა.

7. თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა რეგისტრაციის პირობით ხორციელდება, მაშინ ნასეთი დაცვის მისაღებად წარდგენილ განაცხადებში, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოსათვის წინამდებარე შეთანხმების ამოქმედების თარიღისათვის განხილვის სტადიაში იმყოფება, ნებადართულია შესწორებების შეტანა, რომლის მიხედვით მოთხოვნილ იქნება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული უფრო ფართო დაცვა. ასეთი შესწორებები არ უნდა შეიცავდეს ახალ საკითხებს.

8. თუ წევრი სახელმწიფო „მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის არ უზრუნველყოფს საპატენტო დაცვას ფარმაცევტულ და აგროქიმიურ პროდუქტებზე მის მიერ მუხლის 27 თანახმად ნაკისრი მოვალეობების შესაბამისად, ეს წევრი სახელმწიფო:

ა) VI ნაწილის დებულებების მიუხედავად, „მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მოყოლებული ითვალისწინებს ისეთ პროცედურულ ქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ასეთ გამოგონებებზე პატენტის მისაღებად განაცხადების შეტანა;

ბ) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მოყოლებული ასეთი განცხადებების მიმართ იყენებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს ისეთი სახით, თითქოს ეს კრიტერიუმები გამოიყენებოდა აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში განაცხადის შეტანის თარიღისათვის

ან პრიორიტეტის არსებობისა და მისი მოთხოვნის შემთხვევაში – პრიორიტეტული თარიღისათვის; და

გ) უზრუნველყოფს საპატენტო დაცვას წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად პატენტის გაცემის თარიღიდან და პატენტის მოქმედების დარჩენილი ვადის განმავლობაში, რომელიც აითვლება იმ განაცხადების წინამდებარე შეთანხმების მუხლის 33 მიხედვით შეტანის თარიღიდან, რომლებიც აკმაყოფილებს (ბ) ქვეპუნქტში მითითებულ დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს.

9. თუ წევრ სახელმწიფოში პროდუქციის თაობაზე 8(ა) პუნქტის თანახმად გაკეთებულია განაცხადი პატენტის მისაღებად, VI ნაწილის დებულებათა მიუხედავად დაიშვება განსაკუთრებული უფლებები გასაღებაზე აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში გასაღებაზე ნებართვის მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში, ან ამ წევრ სახელმწიფოში პროდუქტზე პატენტის გაცემამდე ან მის გაცემაზე უარის თქმამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ვადა იქნება უფრო მოკლე, იმ პირობით, რომ „მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ აღნიშნულ პროდუქტზე შეტანილ იქნა საპატენტო განაცხადი და პატენტი გაცემულ იქნა სხვა წევრ სახელმწიფოში და გასაღებაზე ნებართვა მიღებული იქნა ამ სხვა წევრ სახელმწიფოში.

მუხლი 71
კონტროლის განხორციელება და შესწორებების შეტანა

1. „TRIPS"-ის საბჭო წინამდებარე შეთანხმების განხორციელებას განიხილავს მუხლის 65 პუნქტში 2 მითითებული გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ. საბჭო იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძინა შეთანხმების განხორციელების პროცესში, მის მოქმედებას განიხილავს ამ თარიღიდან ორი წლის შემდეგ და შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. საბჭოს შეუძლია აგრეთვე განხილვა მოაწყოს ნებისმიერი სიახლის შუქზე, რომლებიც შეიძლება წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის საფუძველი გახდეს.

2. შესწორებები, რომელთა მიზანია მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უფრო მაღალ დონის დამკვიდრება, რაც უკვე მიღწეულია და ამოქმედებული სხვა მრავალმხრივი შეთანხმებებით და რომელიც აღიარებულია „მსო"-ს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, „მსო"-ს შეთანხმების X მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ასამოქმედებლად უნდა მიეწოდოს მინისტრთა კონფერენციას „TRIPS"-ის საბჭოს მიერ კონსენსუსის პრინციპით შემუშავებული წინადადების საფუძველზე.

მუხლი 72 დათქმები

წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერ დებულებაში რაიმე დათქმის გათვალისწინება დანარჩენი წევრი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

მუხლი 73
უსაფრთხოების მიზნით დაშვებული გამონაკლისები

წინამდებარე შეთანხმებაში არცერთი დებულება არ უნდა იქნას გაგებული როგორც:

ა) ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის იმ ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნა, რომლის გამჟღავნებასაც იგი თავისი უსაფრთხოების ინტერესების საზიანოდ მიიჩნევს; ან

ბ) წევრი სახელმწიფოებისათვის ნებისმიერი იმ ქმედების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რომელსაც ის თავისი ძირითადი უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად

მიიჩნევს საჭიროდ:

(i) გახლეჩად მასალებთან ან იმ მასალებთან დაკავშირებით, საიდანაც ისინი მიიღება;

(ii) იარაღით, ტყვია-წამლით და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა სახის საქონლითა და მასალებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ სამხედრო ძალების შესაიარაღებლად ხორციელდება;

(iii) თუ ეს ქმედებები საომარი ან საერთაშორისო ურთიერთობაში სხვა სახის განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ხორციელდება;

ან

გ) ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის ხელის შეშლა იმ ქმედებათა განხორციელებაში, რომლებიც მის მიერ გაერთიანებული ერების წესდების თანახმად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით ნაკისრ ვალდებულებებს შეესაბამება.

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
23/05/2001 N 879–II ს დადგენილებით

ისმო
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
ჟენევა

საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი
საკითხისადმი მიძღვნილი დიპლომატიური კონფერენცია
ჟენევა, 2–20 დეკემბერი, 1996 წ.

ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ

მიღებულია დიპლომატიური კონფერენციის მიერ 1996 წლის 20 დეკემბერს

პრეამბულა
ხელშეკრულების დამდები მხარეები,

სურთ რა მაქსიმალურად ეფექტურად და ერთგვაროვნად დახვეწონ და დაიცვან ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა უფლებები, აღიარებენ რა ეკონომიკური, სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ განვითარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების ადეკვატურად გადაწყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღებისა და ზოგიერთი არსებული წესის უფრო ზუსტი განმარტებისათვის აუცილებლობას, აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და დაახლოების დიდ ზეგავლენას ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების შექმნასა და გამოყენებაზე.

ხაზს უსვამენ რა საავტორო უფლებების დაცვის, როგორც ლიტერატურული და მხატვრული შემოქმედების სტიმულის დიდ მნიშვნელობას, აღიარებენ რა ავტორთა უფლებებსა და ფართო საზოგადოებრიობის ინტერესებს შორის წონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას, კერძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროებში, როგორც ეს ასახულია ბერნის კონვენციაში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიმართება ბერნის კონვენციასთან

(1) ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე–20 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე სპეციალურ შეთანხმებას ხელშეკრულების მხარეებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონვენციით დაფუძნებული კავშირის წევრ სახელმწიფოებს. ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან, გარდა ბერნის კონვენციისა, და არ ამცირებს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებების მიმართ.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ამცირებს ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის თანახმად.

(3) შემდგომში „ბერნის კონვენცია" ნიშნავს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს.

(4) ხელშეკრულების დამდები მხარეები იცავენ 1–21 მუხლებისა და ბერნის კონვენციის დამატებითი ნაწილის მოთხოვნებს.

მუხლი 2. საავტორო უფლებების დაცვის სფერო

საავტორო უფლება ვრცელდება გამოხატვის ფორმაზე და არა იდეებზე, პროცესებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

მუხლი 3. ბერნის კონვენციის 2-6 მუხლების გამოყენება

ხელშეკრულების დამდები მხარეები, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, იყენებენ ბერნის კონვენციის 2–6 მუხლების დებულებებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მიმართ.

მუხლი 4. კომპიუტერული პროგრამები

კომპიუტერული პროგრამები დაცულია როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები ბერნის კონვენციის მე–2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამგვარი დაცვა ვრცელდება კომპიუტერულ პროგრამებზე მათი გამოხატვის ხერხებისა და ფორმების მიუხედავად.

მუხლი 5. მონაცემთა კომპილაცია (მონაცემთა ბაზები)

მონაცემთა ან სხვა ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის კომპილაცია, რომელიც შერჩევისა და შინაარსის განლაგების მიხედვით წარმოადგენს ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგს, დაცულია. ამგვარი დაცვა არ ვრცელდება თვით მონაცემებსა და ინფორმაციაზე და არ ეხება კომპილაციაში არსებული თვით მონაცემებისა და ინფორმაციის საავტორო უფლებას.

მუხლი 6. გავრცელების უფლება

(1) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ ორიგინალისა და საკუთარი ნაწარმოების ეგზემპლარების საყოველთაო გაცნობის განსაკუთრებული უფლებით გაყიდვისა ან საკუთრების უფლების სხვაგვარად გადაცემის გზით.

(2) ამ ხელშეკრულებაში არაფერი არ ახდენს გავლენას ხელშეკრულების დამდები მხარეების თავისუფლებაზე განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვით (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამოწურვა ხორციელდება ორიგინალის ან ნაწარმოების ეგზემპლარის პირველი გაყიდვისა და ან საკუთრების უფლების გადაცემის სხვა გზით, ავტორის ნებართვით.

მუხლი 7. გაქირავების უფლება

(1) ავტორები

(i) კომპიუტერული პროგრამებისა;

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა და,

(iii) ნაწარმოებებისა, რომლებიც განხორციელებულია ფონოგრამების სახით, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ნაციონალური კანონმდებლობით, სარგებლობენ ორიგინალების და თავისი ნაწარმოებების ეგზემპლარების კომერციული გაქირავების ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით

(2) პუნქტი (1) არ ვრცელდება:

(i) კომპიუტერული პროგრამების მიმართ, თუ თვით ეს პროგრამა არ წარმოადგენს გაქირავების ძირითად ობიექტს; და

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ, თუ ასეთ კომერციულ გაქირავებას არ მოსდევს ამ ნაწარმოებთა საყოველთაო კოპირება, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს კვლავწარმოების განსაკუთრებულ უფლებას.

(3) პუნქტი (1) დებულების მიუხედავად, ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს ფონოგრამების სახით გავრცელებული ეგზემპლარებისა და ნაწარმოებების გაქირავებისაგან ავტორთათვის სამართლიანი ჰონორარის გაცემის სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების სახით გავრცელებული ნაწარმოებების კომერციული გაქირავება არ აყენებს სერიოზულ ზიანს ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას კვალავწარმოებაზე.

მუხლი 8. საჯარო გადაცემის (გადაცემის საყოველთაო გაცნობისათვის) უფლება

ბერნის კონვენციის მუხლების 11(1)(ii), 11bis(1)(i) და (ii), 11ter(1)(ii), 14(1)ii) და 14bis(1) დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით დართონ თავისი ნაწარმოებების საყოველთაო გაცნობისათვის საჯარო გადაცემის უფლება სადენებითა და კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით. მათ შორის ისე, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის ასეთი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

მუხლი 9. ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა

ფოტოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ ითვალისწინებენ ბერნის კონვენციის 7(4) მუხლის დებულებებს.

მუხლი 10. შეზღუდვები და გამონაკლისები

(1) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში შეუძლიათ დააწესონ შეზღუდვები ან გამონაკლისები იმ უფლებებიდან, რომლებითაც სარგებლობენ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები ამ ხელშეკრულებით ზოგიერთ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ნაწარმოების ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენებისა და გარეშე.

(2) ბერნის კონვენციის გამოყენებისას ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს აწესებენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ აყენებენ ზიანს ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებულად არ ლახავენ ავტორის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 11. ვალდებულებები ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები შესაბამის სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ იმ არსებული ტექნიკური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც ავტორები ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით დადგენილი თავიანთი უფლებების განსახორციელებლად იყენებენ და რომლებიც მათი ნაწარმოებების მიმართ ზღუდავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული ავტორების მიერ ან აკრძალულია კანონით.

მუხლი 12. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის შესაბამის და ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგანს, და რომელმაც იცის, ან, დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

(i) უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო მოსპობა ან შეცვლა;

(ii) ნაწარმოებების ან ნაწარმოებების ეგზემპლარების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში გადაცემა, შეტყობინება ან საჯარო გადაცემა, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა მოსპობილი ან შეცვლილი.

(2) „ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ" ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს ნაწარმოების, ნაწარმოების ავტორის, ნაწარმოებზე ან მის გამოყენებაზე რაიმე უფლების მფლობელის ინფორმაციის და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთაგან ნებისმიერი თან ახლავს ნაწარმოების ეგზემპლარს ან ჩნდება ნაწარმოების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 13. გამოყენება დროში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები „ბერნის კონვენციის" მე-18 მუხლის დებულებებს იყენებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის ყველა სახეობის მიმართ.

მუხლი 14. დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყოფენ, რომ მათ კანონებში გათვალისწინებული იყოს უფლებების უზრუნველმყოფელი ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

მუხლი 15. ასამბლეა

(1) (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლეას.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.
(გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლეას შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომში „ისმო"), რათა ხელი შეუწყოს ასამბლეის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად ქვეყნებად განიხილებიან ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არიან.

(2) (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე 17 (2) მუხლით დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო–ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3) (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, ერთი ხმა აქვს და ხმას მხოლოდ თავისი სახელით აძლევს.
(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. სესიებს იწვევს ისმო–ს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის რიგგარეშე სესიების მოწვევის, ქვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

მუხლი 16. საერთაშორისო ბიურო

ამ ხელშეკრულების შესაბამისად ისმო–ს საერთაშორისო ბიურო ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს.

მუხლი 17. ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება

(1) ისმო–ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს თავისი, ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი

სახელმწიფოსათვის სავალდებულო ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე და თავისი შინაგანი პროცედურების შესაბამისად სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე გააკეთა, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლი 18. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

მუხლი 19. ხელშეკრულების ხელმოწერა

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 20. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 21. ხელშეკრულებაში მონაწილეობის დაწყების თარიღი ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

(i) მე-20 მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;

(iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ 20-ე მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 22. ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანის დაუშვებლობა ამ ხელშეკრულებაში რაიმე შესწორებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 23. ხელშეკრულების დენონსაცია

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების

დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 24. ხელშეკრულების ენები

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი აუთენტურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1) პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები „დაინტერესებული მხარე" შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

მუხლი 25. დეპოზიტარი

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
23/05/2001 N 880–II ს დადგენილებით

ისმო
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
ჟენევა

საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი საკითხისადმი მიძღვნილი
დიპლომატიური კონფერენცია
ჟენევა, 2–20 დეკემბერი, 1996 წ.

ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ

მიღებულია დიპლომატიური კონფერენციის მიერ

პრეამბულა
ხელშეკრულების დამდები მხარეები

სურთ რა მაქსიმალურად ეფექტურად და ერთგვაროვნად დახვეწონ და დაიცვან შემსრულებლებისა და ფონოგრამების მწარმოებლების უფლებები, აღიარებენ რა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ განვითარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების ადეკვატურად გადაწყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღების აუცილებლობას, აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და დაახლოების დიდ ზეგავლენას შესრულებებისა და ფონოგრამების წარმოებასა და გამოყენებაზე, აღიარებენ რა ფონოგრამების შემსრულებლებისა და დამამზადებლების უფლებებსა და ფართო საზოგადოებრიობის ინტერესებს შორის წონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას, კერძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში,
შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიმართება სხვა კონვენციებთან

(1) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ამცირებს ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ 1961 წლის 26 ოქტომბერს რომში დადებული „შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვის საერთაშორისო კონვენციის” (შემდგომში „რომის კონვენცია”) თანახმად.

(2) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება და არანაირ გავლენას არ ახდენს ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვაზე. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ

ამგვარ დაცვას ზიანი მიადგეს.

(3) ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან და არ ამცირებს მათ მიერ განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 2. განსაზღვრებები

ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

(ა) „შემსრულებლები" – მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ როლებს, მღერიან, კითხულობენ (მათ შორის მხატვრულად), უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ახდენენ ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოებების ან ხალხური შემოქმედების ნიმუშების ინტერპრეტაციას ან რაიმე სხვა სახით ასრულებენ მათ;

(ბ) „ფონოგრამა" არის შესრულების ან სხვა ხმების ჩაწერა, ან ხმების გამოხატულება, გარდა იმ ხმებისა, რომლებიც ჩანაწერის სახითაა ჩართული კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში;

(გ) „ჩანაწერი" არის ხმების ან მათი გამოხატულების განსახიერება, რომელიც მისი აღქმის, რეპროდუქცირების ან შესაბამისი მოწყობილობის მეშვეობით გადაცემის საშუალებას იძლევა;

(დ) „ფონოგრამის დამამზადებელი" არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თავის თავზე იღებს შესრულების ან სხვა ხმების, ან მათი გამოხატულების პირველი ჩანაწერის ინიციატივას და პასუხისმგებელია ამ ჩაწერაზე;

(ე) „გამოქვეყნება" – შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის გამოქვეყნება ნიშნავს საზოგადოებისათვის შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის შეთავაზებას უფლებამოსილების თანხმობითა და იმ პირობით, რომ საზოგადოებას ეგზემპლარები გონივრული რაოდენობით მიეწოდება;

(ვ) „საერთო მაუწყებლობა" არის კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით ხმების ან გამოსახულებების და ხმების ან მათი გამოხატულების მიწოდება საზოგადოებისათვის, თანამგზავრის მეშვეობით განხორციელებული ამგვარი გადაცემა ასევე „საეთერო მაუწყებლობაა"; კოდირებული სიგნალების გადაცემა „საეთერო მაუწყებლობად" ითვლება, თუ დეკოდირების საშუალებები საზოგადოებას სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ან მისი თანხმობით მიეწოდება;

(ზ) „საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)" – შესრულების ან ფონოგრამის საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის) არის ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ხმების, ხმების ან მათი გამოხატულების გადაცემა საზოგადოებისათვის ნებისმიერი საშუალებით, გარდა საერთო მაუწყებლობის. მე–15 მუხლში „საჯარო გადაცემა, გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)" მოიცავს აგრეთვე ფონოგრამაზე ჩაწერილი ხმების ან ხმების გამოხატულების გამოყენებას იმგვარად, რომ ისინი მისაწვდომი გახდეს საზოგადოების სმენითი აღქმისათვის.

მუხლი 3. ამ ხელშეკრულებით დაცული პირები

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები უზრუნველყოფენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაცვას ფონოგრამების იმ შემსრულებელთა და დამამზადებელთათვის, რომლებიც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეები არიან.

(2) ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეებში ფონოგრამების ის შემსრულებლები

ან დამამზადებლები იგულისხმებიან, რომლებიც დაცვის უზრუნველყოფისათვის „რომის კონვენციით" გათვალისწინებულ აუცილებელ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ ისე, თითქოს ამ ხელეშკრულების დამდები ყველა მხარე ამ კონვენციის დამდები სახელმწიფო იყოს. ხსენებულ კრიტერიუმებთან მიმართებაში ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამის განსაზღვრებებს იყენებენ.

(3) ხელშეკრულების დამდები ნებისმიერი მხარე, რომელიც იყენებს „რომის კონვენციის" მე-5(3) მუხლით, ან ხსენებული კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისათვის ამ კონვენციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობებს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დირექტორს უგზავნის შეტყობინებას, როგორც ეს ხსენებული დებულებებითა გათვალისწინებული.

მუხლი 4. ეროვნული რეჟიმი

(1) ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სხვა მხარეების მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს მე-3(2) მუხლით განსაზღვრულ იმავე რეჟიმს, როგორსაც საკუთარი მოქალაქეებისათვის იმ განსაკუთრებულ უფლებების თვალსაზრისით რომლებიც ამ ხელშეკრულებით სპეციალურადაა უზრუნველყოფილი და ჰონორარის მიღების უფლებით, როგორც ეს ამ ხელშეკრულების მე-15(3) მუხლითაა გათვალისწინებული.

(2)(1) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ გამოიყენება იმ ზომით, რა ზომითაც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარე იყენებს ამ ხელშეკრულების მე-15(3) მუხლით დაშვებულ შესწორებებს.

თავი II
შემსრულებლის უფლებები

მუხლი 5. შემსრულებლის პირადი არაქონებრივი უფლებები

(1) შემსრულებლის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების გადაცემის შემდეგაც კი შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ აღიარებულ იქნეს თავისი შესრულებების შემსრულებლად თავისი ჩაუწერელი ზეპირი შესრულებების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი უფლების მიუცემლობა შესრულების გამოყენების ხასიათითაა ნაკარნახევი, და გამოვიდეს თავისი შესრულებების ყოველგვარი ისეთი გაუკუღმართებული დამახინჯების ან სხვაგვარი შეცვლის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას.

(2)(1) პუნქტის შესაბამისად შემსრულებლისათვის მინიჭებული უფლებები ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე შენარჩუნდება მისი გარდაცვალების შემდეგაც და განხორციელდება იმ პირებისა და დაწესებულებების მიერ, რომლებსაც ამის უფლებამოსილება ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული, რომელშიც დაცვა გამოითხოვება. ხელშეკრულების დამდებმა იმ მხარეებმა კი რომელთა კანონმდებლობა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისა ან მასთან მიერთების მომენტში არ ითვალისწინებს შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ წინა პუნქტით გათვალისწინებული მისი ყველა უფლების დაცვას, შეიძლება დაადგინონ. რომ შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ ამ უფლებებიდან ზოგიერთი შეწყდება.

(3) ამ პუნქტით უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი დაცვითი ღონისძიებები რეგლამენტირებულია ამ ხელშეკრულების დამდები მხარის კანონმდებლობით, რომლის შესაბამისად ხდება დაცვის გამოთხოვა.

მუხლი 6. შემსრულებლის ქონებრივი უფლებები თავის ჩაუწერელ შესრულებაზე

შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ:

(i) თავიანთი ჩაუწერელი შესრულებების ეთერში და საჯარო (საყოველთაო გაცნობისათვის) გადაცემის ნებართვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესრულდება უკვე გადაცემულია ეთერში; და

(iii) თავიანთი ჩაუწერელი შესრულებების ჩაწერის ნებართვა.

მუხლი 7. რეპროდუცირების უფლება

შემსრულებლებს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებები ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირების ნებართვა.

მუხლი 8. გავრცელების უფლება

(1) შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება გაყიდვის ან საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემის გზით გასცეს ფონოგრამაზე ჩაწერილი თავისი შესრულებების ორიგინალისა და ეგზემპლარების საზოგადოებისათვის გაცნობის ნებართვა.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ზღუდავს ხელშეკრულების დამდები თავისუფლებას განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვითაც (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამოწურვა ხდება შემსრულებლის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ჩაწერილი შესრულების ორიგინალსა ან ეგზემპლარზე საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემისას.

მუხლი 9. გაქირავების უფლება

(1) შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება ამ ხელშეკრულების დამდები მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გასცეს ფონოგრამებზე ჩაწერილი თავისი შესრულების ორიგინალის ან ეგზემპლარების საზოგადოებისათვის კომერციული გაქირავების ნებართვა შემსრულებლის მიერ ან მისი ნებართვით მათი გავრცელების შემდეგაც კი.

(2) (1) პუნქტის დებულებების მიუხედავად ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებების ეგზემპლარების დაქირავებისათვის შემსრულებლის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

მუხლი 10. ჩაწერილი შესრულების საჯარო გადაცემის უფლება შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე

ჩაწერილი თავისი შესრულებების სადენებით ან კავშირგაბმულობით უმავთულო საშუალებებით იმგვარი საჯარო გადაცემის ნებართვა, რომ ისინი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

თავი III
ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები

მუხლი 11. რეაპრდუცირების უფლება

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუქცირების ნებართვა.

მუხლი 12. გავრცელების უფლება

(1) ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გაყიდვის ან საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემის გზით გასცენ თავიანთი ფონოგრამების ორიგინალისა და ეგზემპლარების საზოგადოებისათვის გაცნობის ნებართვა.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ზღუდავს ხელშეკრულების დამდები მხარეების თავისუფლებას განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვითაც (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამოწურვა ხდება ფონოგრამის დამამზადებლის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ფონოგრამის ორიგინალსა და ეგზემპლარზე საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემისას.

მუხლი 13. გაქირავების უფლება

(1) ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ორიგინალის ან ეგზემპლარების საზოგადოებისათვის კომერციული გაქირავების ნებართვა დამამზადებლის მიერ ან მისი ნებართვით მათი გავრცელების შემდეგაც კი.

(2) (1) პუნქტის დებულებების მიუხედავად ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამად მოქმედებს თავიანთი ფონოგრამების ეგზემპლარების გაქირავებისათვის ფონოგრამების დამამზადებელი სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს ფონოგრამების დამამზადებლების განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

მუხლი 14. ფონოგრამის საჯარო გადაცემის უფლება

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით იმგვარი საჯარო გადაცემის ნებართვა, რომ ისინი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

თავი IV
ზოგადი დებულებები

მუხლი 15. საერთო მაუწყებლობისა და საზოგადოებაში გავრცელებისათვის ჰონორარის მიღების უფლება

(1) შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ უფლება მიიღონ ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება საეთერო მაუწყებლობის ან საზოგადოებაში ნებისმიერი სხვა სახით გავრცელებისათვის კომერციული მიზნებით გამოქვეყნებული ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენებისათვის.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი ეროვნულ კანონმდებლობაში დაადგინონ, რომ მომხმარებლებისაგან ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შემსრულებელს ან ფონოგრამის დამამზადებელს, ან შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს ერთდროულად. ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც, შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დაადგენს პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება ნაწილდება შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს შორის.

(3) ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერი მხარეს შეუძლია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შესანახად ჩაბარებულ შეტყობინებაში განაცხადოს, რომ (1) პუნქტის დებულებებს მხოლოდ გამოყენების ზოგიერთ სახესთან მიმართებაში გამოიყენებს და შეზღუდავს სხვა რაიმე სახით მათ გამოყენებას ან საერთოდ არ გამოიყენებს ამ დებულებებს.

(4) ამ მუხლის თანახმად ფონოგრამები, რომლებიც საზოგადოებაში სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით გავრცელდა იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით, განიხილება კომერციული მიზნებით გამოქვეყნებულად.

მუხლი 16. შეზღუდვები და გამონაკლისები

(1) ამ ხელშეკრულების დამდეგ მხარეებს შეუძლიათ შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების დაცვის თვალსაზრისით თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დააწესონ იმავე სახის შეზღუდვები ან გამონაკლისები, რაც ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისითაა გათვალისწინებული მათ ეროვნულ კანონმდებლობაში.

(2) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს აწესებენ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესრულების ან ფონოგრამის ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენებისას და შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის კანონიერი ინტერესების უსაფუძვლოდ შელახვის გარეშე.

მუხლი 17. დაცვის ვადა

(1) შემსრულებლებისთვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც შესრულება ფონოგრამაზე ჩაიწერა.

(2) ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც ფონოგრამა გამოქვეყნდა ან თუ ფონოგრამის ჩაწერიდან ამგვარი გამოქვეყნება 50 წლის განმავლობაში არ მომხდარა, 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როცა ჩაწერა მოხდა.

მუხლი 18. ვალდებულებები ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები შესაბამისი სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ იმ არსებული ტექნიკური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც შემსრულებლები და ფონოგრამების დამამზადებლები ამ ხელშეკრულებით დადგენილი თავიანთი უფლებების განსახორციელებლად იყენებენ და რომლებიც მათი შესრულებებისა და ფონოგრამების მიმართ ზღუდავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული შემსრულებლების ან ფონოგრამების დამამზადებლების მიერ ან აკრძალულია კანონით.

მუხლი 19. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის შესაბამის და ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგანს, და რომელმაც იცის, ან, დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

(i) უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო წაშლა ან შეცვლა;

(ii) შესრულებები, ჩაწერილი შესრულებები ან ფონოგრამების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში გადაცემა, შეტყობინება ან საჯარო გადაცემა, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა წაშლილი ან შეცვლილი.

(2) „ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ" ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს შემსრულებლის, შემსრულებლის შესრულების, ფონოგრამის დამამზადებლის, ფონოგრამის, შესრულებასა ან ფონოგრამაზე რაიმე უფლების მფლობელის ან შესრულების ან ფონოგრამის გამოყენების პირობების შესახებ ინფორმაციის და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთაგან ნებისმიერი თან ახლავს ჩაწერილი შესრულების ან ფონოგრამის ეგზემპლარს ან ჩნდება ჩაწერილი შესრულების ან ფონოგრამის შეტყობინებას ან საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 20. ფორმალობები

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ქონა და განხორციელება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობების დაცვასთან.

მუხლი 21. შესწორებები

15(3) მუხლის დებულებების გათვალისწინებით ამ ხელშეკრულებაში არ დაიშვება არანაირი შესწორებები.

მუხლი 22. გამოყენება დროში

(1) ფონოგრამების შემსრულებლებისა და დამამზადებლების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისას ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა იყენებდნენ „ბერნის კონვენციის" მე-18 მუხლის დებულებებს შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

(2) (1) პუნქტის მიუხედავად ხელშეკრულების დამდებ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება შესრულებებით, რომლებიც თარიღდება ამ მხარისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 23. დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყოფენ, რომ მათ კანონებში გათვალისწინებული იყოს უფლებების უზრუნველმყოფელი ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

თავი V
ადმინისტრაციული და დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. ასამბლეა

(1) (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლეას.
(ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.
(გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლეა შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ისმო-ს, რათა ხელი შეუწყოს ასამბლეის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად ქვეყნებად განიხილებიან ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არიან.

(2) (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და ამოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
(ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე 26(2) მუხლით დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.
(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3) (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, ერთი ხმა აქვს და ხმას მხოლოდ თავისი სახელით აძლევს.
(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის რიგგარეშე სესიებს მოწვევის, კვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

მული 25. საერთაშორისო ბიურო
ამ ხელშეკრულების შესაბამისად ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს.

მუხლი 26. ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება
(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს თავისი, ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე და თავისი შინაგანი პროცედურების შესაბამისად სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე გააკეთა, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლი 27. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები
თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

მუხლი 28. ხელშეკრულების ხელმოწერა
ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 29. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 30. ხელშეკრულებაში მონაწილეობის დაწყების თარიღი ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

(i) 29-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;

(iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ 29-ე მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 31. ხელშეკრულების დენონსაცია

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური რექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 32. ხელშეკრულების ენები

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი აუთენტურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1) პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები „დაინტერესებული მხარე" შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

მუხლი 33. დეპოზიტარი

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარიაინტელექტუალურისაკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

რომის კონვენცია

საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლის და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ

შესრულებულია რომში, 1961 წლის 26 ოქტომბერს

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც ამოძრავებთ შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებების დაცვის სურვილი, შეთახმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 [საავტორო უფლებების დაცვა]

ამ კონვენციიით მინიჭებული დაცვა არ ლახავს და ზიანს არ აყენებს ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვას. აქედან გამომდინარე კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა იყოს გაგებული, როგორც ზიანის მიყენება ასეთი დაცვისათვის.

მუხლი 2 [კონვენციით მინიჭებული დაცვა. ეროვნული რეჟიმის განსაზღვრება]

1. ამ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული რეჟიმი ნიშნავს რეჟიმს, რომელსაც მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა, ეროვნული კანონმდებლობით ავრცელებს:

ა) შემსრულებლებზე, რომლებიც არიან მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეები, იმ შესრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შესრულდა, ეთერში გადაიცა ან პირველად ჩაიწერა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ბ) ფონოგრამების მწარმოებლებზე, რომლებიც არიან მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეები, იმ ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირველად ჩაიწერა ან გამოიცა;

გ) მაუწყებლის ორგანიზაციებზე, რომელთა შტაბბინები განლაგებულია (ადგილსამყოფელია) ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ გადაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც გადაიცა მის ტერიტორიაზე განლაგებული გადაცემების მეშვეობით.

2. ეროვნული რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციით უზრუნველყოფილ სპეციალურ დაცვას და განსაზღვრულ სპეციალურ შეზღუდვებს.

მუხლი 3 [განსაზღვრება: (ა) შემსრულებლები; (ბ) ფონოგრამა; (გ) ფონოგრამების დამამზადებელი; (დ) გამოცემა; (ე) რეპროდუცირება; (ვ) ეთერში გადაცემა; (ზ) ეთერში ხელმეორედ გადაცემა]

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

ა) „შემსრულებლები“ ნიშნავს მსახიობებს, მომღერლებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს და სხვა პირებს, რომლებიც თამაშობენ როლს, მღერიან, კითხულობენ, დეკლამირებენ, უკრავენ, ან სხვაგვარად ასრულებენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებს;

ბ) „ფონოგრამა“ ნიშნავს შესრულების ხმების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს;

გ) „ფონოგრამის დამამზადებელი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც პირველად ჩაწერა შესრულების ხმები ან სხვა ხმები;

დ) „გამოცემა“ ნიშნავს ფონოგრამის ასლების საზოგადოებისათვის გონივრული რაოდენობით შეთავაზებას;

ე) „რეპროდუცირება„' ნიშნავს ჩანაწერის ასლის ან ასლების დამზადებას;
ვ) „მაუწყებლობა“ ნიშნავს საზოგადოებისათვის ხმების ან/და გამოსახულებების გადაცემას უმავთულო საშუალებებით;
ზ) ეთერში ხელმეორედ გადაცემა ნიშნავს ერთი სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემის ერთდროულ გადაცემას ეთერში.

მუხლი 4 [დაცული შესრულება. შემსრულებელთათვის დაცვის მინიჭების პირობები]

ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ შემსრულებელზე უნდა გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი, თუ დაკმაყოფილებულია რომელიმე შემდეგი პირობა:
ა) შესრულება სრულდება სხვა მონაწილე სახელმწიფოში;
ბ) შესრულება ჩართულია ფონოგრამაში, რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-5 მუხლით;
გ) შესრულება, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე, გადაიცემა მაუწყებლის მეშვეობით, რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-6 მუხლით.

მუხლი 5 [დაცული ფონოგრამები: 1. დაცვის მინიჭების პირობები ფონოგრამების დამამზადებლებისათვის; 2. ერთდროული გამოცემა; 3. გარკვეული კრიტერიუმების ამოღების უფლებამოსილება]

1. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ ფონოგრამის მწარმოებელზე უნდა გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი, თუ:
ა) ფონოგრამის მწარმოებელი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეა (ეროვნული კრიტერიუმი);
ბ) ხმის პირველი ჩაწერა განხორციელდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (ჩაწერის კრიტერიუმი);
გ) ფონოგრამა პირველად გამოიცა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (გამოცემის კრიტერიუმი).

2. თუ ფონოგრამა პირველად გამოიცა სახელმწიფოში, რომელიც არ მონაწილეობს კონვენციაში, მაგრამ მისი პირველი გამოცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში მოხდა მისი გამოცემა მონაწილე სახელმწიფოში (ერთდროული გამოცემა), ფონოგრამა ჩაითვლება პირველად გამოცემულად მონაწილე სახელმწიფოში.

3. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ შეტყობინების საშუალებით, რომლის დეპონირებაც უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, შეიძლება განაცხადოს, რომ იგი არ გამოიყენებს გამოცემის კრიტერიუმს, ან არჩევით, ჩაწერის კრიტერიუმს. შეტყობინების დეპონირება შეიძლება განხორციელდეს კონვენციის რატიფიკაციის, მიღების, მასთან შეერთების, ან ნებისმიერ სხვა დროს; ბოლო შემთხვევაში შეტყობინება ძალაში შევა მისი დეპონირებიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 6 [დაცული მაუწყებლობა: 1. დაცვის მინიჭების პირობები სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის; 2. დათქმის უფლება]

1. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული რეჟიმის გავრცელება მაუწყებლის ორგანიზაციაზე, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი რომელიმე პირობა:
ა) მაუწყებლის ორგანიზაციის შტაბბინა მდებარეობს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
ბ) მაუწყებლობა განხორციელდა გადაცემიდან, რომელიც სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა განთავსებული.
2. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ შეტყობინების საშუალებით, რომლის დეპონირებაც

უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, შეიძლება განაცხადოს, რომ ის დაიცავს მაუწყებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობის ორგანიზაციის შტაბბინა სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა და მაუწყებლობა ხორციელდება იმ გადამცემის მეშვეობით, რომელიც ამავე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა განთავსებული. შეტყობინების დეპონირება შეიძლება განხორციელდეს კონვენციის რატიფიკაციის, მიღების, მასთან შეერთების, ან ნებისმიერ სხვა დროს; ბოლო შემთხვევაში შეტყობინება ძალაში შევა მისი დეპონირებიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 7 [შემსრულებელთა მინიმალური დაცვა: 1. განსაკუთრებული უფლებები; 2. ურთიერთობა შემსრულებლებსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებს შორის]

1. ამ კონვენციით მინიჭებული დაცვა შემსრულებელს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას აკრძალოს:

ა) შესრულების ერთ–ერთი და საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემა მისი ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეთერში ან საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემის დროს გამოყენებული შესრულება ადრე გადაცემული შესრულებაა, ან გადაცემა განხორციელებულია შესრულების ჩანაწერის გამოყენებით;

ბ) ჩაუწერელი შესრულების ჩაწერა მისი თანხმობის გარეშე;

გ) შესრულებლის ჩაწერის რეპროდუცირება მისი თანხმობის გარეშე, თუ:

(i) პირველი (ორიგინალური) ჩანაწერი გაკეთდება მისი თანხმობის გარეშე;

(ii) რეპროდუცირება ხორციელდება არა იმ მიზნებისათვის, რაზეც შემსრულებელმა მისცა თანხმობა;

(iii) პირველი ჩანაწერი განხორციელდა ამ კონვენციის მე–15 მუხლის დებულების შესაბამისად, ხოლო რეპროდუცირება ხორციელდება იმ მიზნებისათვის, რომლებიც განსხვავდება ამავე დებულებებით განსაზღვრული მიზნებისაგან.

2. (1) თუ ეთერში გადაცემა ნებადართულია შემსრულებლის მიერ, მონაწილე სახელმწიფოს, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს, შესრულების დაცვა ეთერში ხელმეორედ გადაცემისაგან, მაუწყებლობის მიზნით შესრულების ჩაწერისა და რეპროდუცირებისაგან.

(2) მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ მაუწყებლობის მიზნით ჩანაწერების გამოყენების ვადები და პირობები განისაზღვრება იმ მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

(3) მიუხედავად აღნიშნულისა, ეროვნული კანონმდებლობა, ამ პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტებთან მიმართებაში, არ უნდა ართმევდეს შემსრულებელს, ხელშეკრულების მეშვეობით, მაუწყებლობის ორგანიზაციებთან ურთიერთობის კონტროლის უფლებას.

მუხლი 8 [ერთობლივად მოქმედი შემსრულებლები]

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვროს წესი, რომლის შესაბამისადაც შემსრულებლები წარმოდგენილი იქნებიან თავიანთი უფლებების განხორციელების პროცესში, თუ რამდენიმე შემსრულებელი მონაწილეობს ერთსა და იმავე შესრულებაში.

მუხლი 9 [ვარიეტესა და ცირკის მსახიობები]

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, თავისი ეროვნული კანონმდებლობით, ამ კონვენციით გარანტირებული დაცვა გაავრცელოს მსახიობებზე, რომლებიც არ ასრულებენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებს.

მუხლი 10 [რეპროდუცირების უფლება ფონოგრამის დამამზადებლებისათვის]

ფონოგრამების დამამზადებლებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ თავისი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება.

მუხლი 11 [ფორმალური პროცედურები ფონოგრამებთან დაკავშირებით]

თუ მონაწილე სახელმწიფო ფონოგრამებთან დაკავშირებით, ფონოგრამების დამამზადებლის ან/და შემსრულებლის უფლების დაცვის მიზნით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ითხოვს ფორმალური პროცედურების დაცვას, ასეთი პროცედურა ჩაითვლება დაცულად, თუ ბრუნვაში გაშვებული, გამოცემული ფონოგრამის ყველა ეგზემპლარი ან მათი ფუტლარები შეიცავს სიმბოლოს P და პირველი გამოქვეყნების თარიღის მითითებას, რომელიც იმგავარად არის განთავსებული, რომ წარმოადგენს ნათელ განცხადებას უფლებების დაცვის თაობაზე; და თუ ასლები ან მათი ფუტლარები არ იძლევა დამამზადებლის ან დამამზადებლის ლიცენზიატის იდენტიფიცირების საშუალებას (სახელის, სასაქონლო ნიშნის ან სხვა შესაბამისი აღნიშვნის მეშვეობით), აღნიშვნა უნდა შეიცავდეს აგრეთვე დამზადებაზე უფლების მფლობელის სახელსაც; ამასთან, თუ ეგზემპლარები ან მათი ფუტლარები არ იძლევა ძირითადი (მთავარი) შემსრულებლების იდენტიფიცირების საშუალებას, აღნიშვნა უნდა შეიცავდეს აგრეთვე იმ პირის სახელსაც, რომელსაც ეკუთვნის შემსრულებლის უფლებები იმ ქვეყანაში, სადაც განხორციელებულია ჩაწერა.

მუხლი 12 [ფონოგრამების მეორადი გამოყენება]

თუ ფონოგრამა, რომელიც გამოიცა კომერციული მიზნებისათვის, ან ასეთი ფონოგრამის ეგზემპლარი გამოიყენება მაუწყებლის ან საჯარო გადაცემის პროცესში, მოსარგებლემ შემსრულებელს ან/და ფონოგრამის დამამზადებელს უნდა გადაუხადოს სამართლიანი ერთჯერადი ანაზღაურება. ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს ანაზღაურების განაწილების წესი, თუ აღნიშნულ მხარეებს შორის შეთანხმება არ არსებობს.

მუხლი 13 [მინიმალური უფლებები მაუწყებლის ორგანიზაციებისათვის]

მაუწყებლის ორგანიზაციებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ:

ა) თავისი გადაცემის რეტრანსლაცია;

ბ) თავისი გადაცემების ჩაწერა;

გ) რეპროდუცირება:

(i) თავისი გადაცემების ჩანაწერებისა, რომლებიც გაკეთდა მათი თანხმობის გარეშე;

(ii) თავისი გადაცემების ჩანაწერებისა, რომლებიც გაკეთდა მე-15 მუხლის დებულებების შესაბამისად, თუ რეპროდუცირება ხორციელდება იმ მიზნებისათვის, რომლებიც განსხვავდება ამავე დებულებებით განსაზღვრული მიზნებისაგან;

დ) მათი სატელევიზიო გადაცემების საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემა, თუ ასეთი გადაცემა მიმდინარეობს ადგილებში, სადაც საზოგადოებისათვის შესვლა ფასიანია; ამ უფლების

გამოყენებასთან დაკავშირებული პირობების განსაზღვრა წარმოადგენს იმ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს, სადაც მოითხოვება უფლების დაცვა.

მუხლი 14 [დაცვის მინიმალური ვადა]

ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე 20 წელიწადს და აითვლებოდეს იმ წლის დასასრულიდან, როდესაც:

ა) განხორციელდა ფონოგრამის ჩაწერა – ფონოგრამებისათვის და მასში შესული შესრულებისათვის;
ბ) განხორციელდა შესრულება – შესრულებისათვის, რომლებიც არ არიან შესული ფონოგრამაში;
გ) განხორციელდა მაუწყებლობა – გადაცემებისათვის.

მუხლი 15 [დასაშვები გამონაკლისები: 1. სპეციალური შეზღუდვები; 2. თანასწორობა საავტორო უფლებებთან]

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, კონვენციით მინიჭებულ დაცვაში ეროვნული კანონმდებობით დაუშვას გამონაკლისი, რომელიც უკავშირდება:

ა) პირად სარგებლობას;
ბ) მოკლე ნაწყვეტების გამოყენებას, მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვისას;
გ) მაუწყებლის ორგანიზაციის მიერ საკუთარი საშუალებებით და საკუთარი მაუწყებლობისათვის დროებითი (ეფემერული) ჩანაწერის განხორციელებას;
დ) მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო პროცესში ან სამეცნიერო კვლევის მიზნით გამოყენებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიუხედავად, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი ეროვნული კანონმდებლობით დააწესოს იგივე შეზღუდვები შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულია ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა, იძულებითი ლიცენზირება შეიძლება დაწესდეს იმ ფარგლებში, რომლებიც შეესაბამება ამ კონვენციას.

მუხლი 16 [დათქმა]

1. ნებისმიერი სახელმწიფო, კონვენციასთან შეერთებით, შეზღუდული უნდა იყოს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებით და სარგებლობდეს ყველა მისი უპირატესობით. თუმცა სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების დეპონირებით გააკეთოს განაცხადი, რომ:

ა) მე–12 მუხლათან დაკავშირებით:
   (I) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს;
   (II) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს გარკვეული შემთხვევების დროს;
   (III) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს იმ ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომელთა დამამზადებელი არ არის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე;
   (IV) ზღუდავს ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვის ფარგლებს იმ ფონოგრამებთან დაკავშიარებით, რომლის დამამზადებელიც არის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალქე, იმ ფარგლებით და ვადებით, რომლებითაც ეს უკანასკნელი სახელმწიფო ზღუდავს იმ ფონოგრამებისათვის არსებულ დაცვას, რომლის პირველი ჩაწერა

განახორციელა იმ სახელმწიფოს მოქალაქემ, რომელმაც გააკეთა განაცხადი. თუმცა ის ფაქტი, რომ მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქეა ფონოგრამის მწარმოებელი, არ ანიჭებს დაცვას იმავე კატეგორიის უფლებამფლობელს ან უფლებამფლობელებს, იმ სახელმწიფოს მსგავსად, რომელმაც გააკეთა განაცხადი, არ უნდა იქნეს განხილული როგორც განსხვავება დაცვის ფარგლებს შორის;

ბ) მე–13 მუხლთან დაკავშირებით, არ გამოიყენებს ამავე მუხლის „დ“ პუნქტს; თუ მონაწილე სახელმწიფო აკეთებს ასეთ განაცხადს, სხვა მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მე–13 მუხლის (დ) პუნქტით განსაზღვრული უფლება მიანიჭონ მაუწყებლობის ორგანიზაციებს, რომელთა შტაბბინები მდებარეობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განხორციელებულია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის დეპონირების თარიღის შემდეგ, შეტყობინება ძალაში შევა მისი დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 17 [გარკვეული სახელმწიფოები, რომლებიც გამოიყენებენ მხოლოდ „ჩაწერის“ კრიტერიუმს]

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც 1961 წლის 26 ოქტომბრისათვის ანიჭებს დაცვას ფონოგრამების დამამზადებლებს მხოლოდ და მხოლოდ ჩაწერის კრიტერიუმის საფუძველზე, კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების დეპონირებით განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მე–5 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, იგი გამოიყენებს მხოლოდ ჩაწერის კრიტერიუმს და მე–16 მუხლის პირველი პუნქტის (ა) (III) და (IV) ქვეპუნქტების მიზნებისათვის – ჩაწერის კრიტერიუმის ნაცვლად ეროვნულ კრიტერიუმს.

მუხლი 18 [დათქმის გამოთხოვნა]

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც კონვენციის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტის, მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის, მე–16 მუხლის პირველი პუნქტის ან მე–17 მუხლის შესაბამისად განახორციელა შეტყობინების დეპონირება, უფლება აქვს გაერთიენებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დამატებითი შეტყობინების დეპონირებით განახორციელოს მისი ფარგლების შემცირება ან გამოითხოვოს იგი.

მუხლი 19 [შემსრულებლის უფლებები ფილმებში]

კონვენციის შინაარსის მიუხედავად, ამ კონვენციის მე–7 მუხლი არ გამოიყენება, თუ შემსრულებელმა თანხმობა მისცა მისი შესრულების ჩართვაზე ვიზუალურ ან აუდიო–ვიზუალურ ჩანაწერში.

მუხლი 20 [შეუქცევადობა]

1. ეს კონვენცია არ ლახავს უფლებებს, რომლებიც მოპოვებული იყო მონაწილე სახელმწიფოში მის მიმართ კონვენციის ამოქმედებამდე.

2. არცერთი მონაწილე სახელმწიფო ვალდებული არ არის გამოიყენოს ამ კონვენციის დებულებები განხორციელებულ შესრულებასთან ან გადაცემებთან და ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩაიწერა, ამ სახელმწიფოს მიმართ კონვენციის ამოქმედებამდე.

მუხლი 21 [სხვა დაცვა]

კონვენციით უზრუნველოყოფილი დაცვა არ ლახავს დაცვის სხვა საშუალებებს, რომლებითაც სარგებლობენ შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები ან მაუწყებლობის ორგანიზაციები.

მუხლი 22 [სპეციალური შეთანხმებები]

მონაწილე სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას დადონ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებები, თუ ისინი შეძლებენ შემსრულებლებისათვის, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციებისათვის უფრო ფართო უფლებების უზრუნველყოფას, ვიდრე მათ ენიჭებათ ამ კონვენციით, ან შეიცავს სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.

მუხლი 23 [ხელმოწერა და დეპონირება]

კონვენციის დეპონირება უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. იგი ღიაა ხელმოსაწერად 1962 წლის 30 ივნისამდე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოწვეულია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზციების საერთაშორისო დაცვის დიპლომატიურ კონფერენციაზე და არის საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

მუხლი 24 [კონვენციაში გაწევრიანება]

1. ეს კონვენცია უნდა იქნეს რატიფიცირებული ან მიღებული ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ.

2. ეს კონვენცია ღიაა ნებისმიერ სახელმწიფოსათვის, რომელიც მოწვეულია 23-ე მუხლში მითითებულ კონფერენციაზე და გაერთიანებული ერების ორაგანიზაციის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის, იმ პირობით, რომ ასეთი სახელმწიფო ყველა შემთხვევაში არის საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

3. კონვენციის რატიფიკაცია, მიღება ან მასთან შეერთება ძალაში შევა სათანადო აქტის გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირების შემდეგ.

მუხლი 25 [ამოქმედება]

1. ეს კონვენცია ამოქმედდება რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთების თაობაზე მეექვსე აქტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

2. შემდგომში ეს კონვენცია ყოველ სახელმწიფოში ამოქმედდება, რატიფიკაციის, მიღების ან მასთან მიერთების თაობაზე აქტის დეპონირების თრიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 26 [კონვენციის განხორციელება ეროვნული კანონმდებლობის ნორმებით]

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს თავისი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს ზომები კონვენციის დებულებების განხორციელებისათვის.

2. რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების თაობაზე აქტის დეპონირების თარიღისათვის

ყოველ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

მუხლი 27 [კონვენციის გამოყენება გარკვეულ ტერიტორიაზე]

1. ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთების დროს, ან შემდგომში ნებისმიერ დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა ან ერთ რომელიმე ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობისთვისაც არის პასუხისმგებელი, იმ პირობით, რომ საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია ვრცელდება აღნიშნულ ტერიტორიებზე. შეტყობინება ამოქმედდება მისი დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-16 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-17 და მე-18 მუხლებში აღნიშნული შეტყობინება შეიძლება გავრცელდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ან ერთ რომელიმე ტერიტორიაზე.

მუხლი 28 [კონვენციის დენონსაცია]

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია თავისი სახელით ან ყველა ან რომელიმე ტერიტორიის სახელით, რომლებიც გათვალისწინებულია 27-ე მუხლით.

2. დენონსაცია ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით და ძალაში შედის შეტყობინების მიღების 12 თვის შემდეგ.

3. მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გამოიყენოს დენონსაციის უფლება ხუთი წლის განმავლობაში მის მიმართ კონვენციის ამოქმედებიდან.

4. მონაწილე სახელმწიფო არ ჩაითვლება კონვენციის წევრად იმ დროიდან, როდესაც ის აღარ იქნება არც სავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის და არც ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

5. ეს კონვენცია აღარ გავრცელდება 27-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიაზე აღარ იქნება გამოყენებული საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია ან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია.

მუხლი 29 [კონვენციის გადასინჯვა]

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნით მოითხოვოს კონფერენციის მოწვევა კონვენციის გადასინჯვის მიზნით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უნდა შეატყობინოს ყველა მონაწილე სახელმწიფოს ამ მოთხოვნის შესახებ. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შეტყობინების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების არანაკლებ ნახევარი განაცხადებს თანხმობას ამ მოთხოვნაზე, გენერალური მდივანი შეატყობინებს ამის შესახებ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს,

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს, რომლებმაც უნდა მოიწვიონ სარევიზიო კონფერენცია 32-ე მუხლით გათვალისწინებულ სამთავრობათაშორისო კომიტეტთან ერთად.

2. ამ კონვენციაში ნებისმიერი შესწორების შესატანად საჭიროა სარევიზიო კონფერენციაზე დამსწრე სახელმწიფოების ხმების ორი მესამედი, იმ პირობით, რომ ხმების ეს რაოდენობა მოიცავს იმ სახელმწიფოების ორ მესამედს, რომლებიც სარევიზიო კონფერენციის ჩატარების თარიღისათვის არიან ამ კონვენციის წევრები.

3. იმ შემთხვევაში, თუ კონვენციაში შეიტანენ შესწორებებს, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლის კონვენციას და თუ გადასინჯული კონვენციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:
ა) ეს კონვენცია აღარ იქნება ღია რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთებისათვის გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან;
ბ) ეს კონვენცია ძალაში რჩება იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში და მათთან მიმართებაში, რომლებიც არ არიან გადასინჯული კონვენციის წევრები.

მუხლი 30 [დავის გადაწყვეტა]

ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან უფრო მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებით და რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარიკებიდ გზით, დავის ნებისმიერი მონაწილის მოთხოვნით შეიძლება განსახილველად გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, თუ მხარეები არ არიან შეთანხმებული დავის გადაწყვეტის სხვა ფორმაზე.

მუხლი 31 [დათქმის შეზღუდვა]

არავითარი პირობის დათქმა არ შეიძლება, თუ იგი არ ეხება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს, მე-16 მუხლის პირველ პუნქტს და მე-17 მუხლის დებულებებს.

მუხლი 32 [სამთავრობათაშორისო კომიტეტი]

1. კონვენციით ფუძნდება სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომლის მოვალეობებს შეადგენს:
   ა) ამ კონვენციის განხორციელებასთან და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა; და
   ბ) წინადადებების შეგროვება და დოკუმენტაციის მომზადება ამ კონვენციაში შესაძლო ცვლილებების შესატანად.

2. კომიტეტი უნდა შედგებოდეს მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც შეირჩევიან სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფით. კომიტეტი უნდა შედგებოდეს ექვსი წევრისაგან, თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა არის თორმეტი ან თორმეტზე ნაკლები, ცხრა წევრისაგან – თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა ცამეტიდან თვრამეტამდეა და თორმეტი წევრისაგან – თუ მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი თვრამეტს აღემატება.

3. კომიტეტი დაკომპლექტდება კონვენციის ამოქმედებიდან თორმეტი თვის შემდეგ წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით ჩატარებული არჩევნებით, რომელშიც ყოველ სახელმწიფოს აქვს ერთი ხმის უფლება და რომლის ორგანიზებასაც მონაწილე სახელმწიფოების

უმრავლესობის მიერ წინასწარ დადგენილი წესით ახორციელებენ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი და ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორი.

4. კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს და თანამდებობის პირებს. კომიტეტმა უნდა დაადგინოს თავისი მუშაობის წესები. ამ წესებმა დეტალურად უნდა განსაზღვროს კომიტეტის მომავალი საქმიანობის პრინციპები და მომავალში მისი წევრების არჩევის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს როტაციის პრინციპის დაცვას სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოებს შორის.

5. კომიტეტის სამდივნო შედგება შრომის საერთაშორისო ბიუროს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის და ლიტერატურის, და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის თანამდებობის პირებისაგან, რომლებსაც შესაბამისად ნიშნავენ ამ ორგანიზაციების გენერალური დირექტორი და დირექტორები.

6. კომიტეტის სხდომები, რომლებსაც მოიწვევენ მაშინ, როდესაც ამას აუცილებლად მიიჩნევს წევრების უმრავლესობა, ტარდება თანმიმდევრულად შრომის საერთაშორისო ბიუროს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს შტაბბინებში.

7. კომიტეტის წევრების ხარჯებსა ანაზღაურებენ შესაბამისი სახელმწიფოები.

მუხლი 33 [ენები]

1. ეს კონვენცია შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. კონვენციის სამივე ტექსტი ავთენტიკურია.

2. ამ კონვენციის ოფიციალური ტექსტები დამატებით უნდა შემუშავდეს გერმანულ, იტალიურ და პორტუგალიურ ენებზე.

მუხლი 34 [შეტყობინება]

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი 23–ე მუხლით განსაზღვრულ კონფერენციაზე მოწვეულ სახელმწიფოებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს, აგრეთვე შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს ატყობინებს:

ა) კონვენციის რატიფიკაციის, მიღების და მასთან შეერთების თითოეული აქტის დეპონირების თაობაზე;
ბ) კონვენიციიის ძალაში შესვლის თარიღის თაობაზე;
გ) ყველა შეტყობინების, დეკლარაციისა და ინფორმაციის თაობაზე, რომელიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით;
დ) კონვენიციის 28–ე მუხლის მე–4 და მე–5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების თაობაზე.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურისა და ხელოვნების

ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს ატყობინებს აგრეთვე ყველა მოთხოვნის თაობაზე, რომელიც მას წარედგინება კონვენციის 29–ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე ყველა შეტყობინების შესახებ, რომელსაც მიიღებს მონაწილე სახელმწიფოებისაგან კონვენციის გადასინჯვასთან დაკავშირებით. რის დასტურადაც ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელს ვაწერთ ამ კონვენციას.

შესრულებულია რომში, 1961 წლის 26 ოქტომბერს, ერთ ეგზემპლარად, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. სათანადოდ დამოწმებულ ასლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გადასცემს ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ კონფერენციაზე 23–ე მუხლის შესაბამისად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველ წევრ–სახელმწიფოს, აგრეთვე შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორუისო კავშირის ბიუროს დირექტორს.

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმი

მიღებული მადრიდში 1989 წლის 27 ივნისს

ოქმის მუხლების სია:

მუხლი 1: მადრიდის კავშირის წევრობა

მუხლი 2: დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო რეგისტრაციით

მუხლი 3: საერთაშორისო განაცხადი

მუხლი 3bis: ტერიტორიული მოქმედება

მუხლი 3ter: „ტერიტორიული გაფართოების“ მოთხოვნა

მუხლი 4: საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგები

მუხლი 4bis: ეროვნული ან რეგიონალური რეგისტრაციის შეცვლა საერთაშორისო რეგისტრაციით

მუხლი 5: ზოგიერთი მონაწილე მხარის მიერ ნიშნის დაცვაზე უარის თქმა და საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ძალადაკარგულად ცნობა

მუხლი 5bis: ნიშნის ზოგიერთი ელემენტის გამოყენების კანონიერების დამადასტურებელი საბუთი (მტკიცებულება)

მუხლი 5ter: საერთაშორისო რეესტრში ჩანაწერების ასლი; წინასწარი ძიება; ამონაწერი საერთაშორისო რეესტრიდან

მუხლი 6: საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ვადა; საერთაშორისო განაცხადის დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა

მუხლი 7: საერთაშორისო რეგისტრაციის ვადის გაგრძელება

მუხლი 8: საერთაშორისო განაცხადისა და რეგისტრაციის საფასურები

მუხლი 9: საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელის შეცვლის შესახებ ჩანაწერის შეტანა

მუხლი 9bis: საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ჩანაწერების შეტანა

მუხლი 9ter: გარკვეული ჩანაწერების შეტანის საფასური

მუხლი 9quarter: რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს ერთიანი უწყება

მუხლი 9quinquies: საერთაშორისო რეგისტრაციის გარდაქმნა ეროვნულ ან რეგიონალურ განაცხადად

მუხლი 9sexies: მადრიდის (სტოკჰოლმი) ხელშეკრულების შენარჩუნება

მუხლი 10: ასამბლეა

მუხლი 11: საერთაშორისო ბიურო

მუხლი 12: ფინანსები

მუხლი 13: ოქმის ზოგიერთი მუხლის შესწორებები

მუხლი 14: ოქმში მონაწილეობა; ძალაში შესვლა

მუხლი 15: დენონსაცია

მუხლი 16: ხელმოწერა, ენები, სადეპოზიტარო ფუნქციები

მუხლი 1. მადრიდის კავშირის წევრობა

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები (შემდგომში „მონაწილე სახელმწიფო„), მაშინაც კი, როდესაც ისინი არ არიან 1967 წელს სტოკჰოლმში გადამოწმებული და 1979 წელს შესწორებული ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების (შემდგომში მონაწილეები „მადრიდის (სტოკჰოლმი) შეთანხმება„)“ და ამ ოქმის 14 (1)(b) მუხლში მოხსენიებული ორგანიზაციები (შემდგომში „მონაწილე ორგანიზაცია„), რომლებიც ამ ოქმის მონაწილეებს წარმოადგენენ, შეიძლება გახდნენ იმავე კავშირის წევრები, რომლის ქვეყნებიც მადრიდის (სტოკჰოლმი) შეთანხმების წევრები არიან. ამ ოქმში ყველა მოხსენიებული ყველა „მონაწილე მხარე“ გულისხმობს ორივეს – მონაწილე სახელმწიფოს და მონაწილე ორგანიზაციას.

მუხლი 2. დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო რეგისტრაციით

(1) თუ ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადი შეტანილი იყო მონაწილე მხარის უწყებაში, ან, თუ ნიშანი რეგისტრირებული იყო მონაწილე მხარის უწყების მიერ, პიროვნებას, ვის სახელზეც არის ეს განაცხადი (შემდგომში „ძირითადი განაცხადი„) ან ეს რეგისტრაცია (შემდგომში „ძირითადი რეგისტრაცია„), შეუძლია ამ ოქმის დებულებების გათვალისწინებით უზრუნველყოს მისი ნიშნის დაცვა მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს რეესტრში ამ ნიშნის რეგისტრაციით (შემდგომში „ორგანიზაცია“, „საერთაშორისო ბიურო“, „საერთაშორისო რეესტრი“ და „საერთაშორისო რეგისტრაცია“ – შესაბამისად), იმ პირობით, თუ:

(i) ძირითადი განაცხადი შეტანილი იყო მონაწილე სახელმწიფოს უწყებაში ან ძირითადი რეგისტრაცია გაკეთებული იყო ასეთი უწყების მიერ და პიროვნება, ვის სახელზეც არის ეს განაცხადი, ან რეგისტრაცია, წარმოადგენს ამ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეს ან მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოში.

(ii) ძირითადი განაცხადი შეტანილი იყო მონაწილე ორგანიზაციის უწყებაში ან ძირითადი რეგისტრაცია გაკეთებული იყო ასეთი უწყების მიერ, და პიროვნება, ვის სახელზეც არის ეს განაცხადი ან რეგისტრაცია, წარმოადგენს მონაწილე ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს, ან მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი, ან ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება აღნიშნული მონაწილე ორგანიზაციის ტერიტორიაზე.

(2) საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადი (შემდგომში „საერთაშორისო განაცხადი„) შეტანილი უნდა იქნეს საერთაშორისო ბიუროში იმ უწყების (შემდგომში „წარმოშობის უწყება„) შუამდგომლობით, რომელშიც იყო შეტანილი ძირითადი განაცხადი ან რომელმაც მოახდინა რეგისტრაცია იმისდა მიხედვით, რომელ შემთხვევასაც ექნება ადგილი.

(3) ამ ოქმში მოხსენიებული სიტყვები „უწყება“ და „მონაწილე მხარის უწყება“ ყველგან გულისხმობს ისეთ უწყებას, რომელსაც დაევალა მონაწილე მხარის სახელით ნიშნების რეგისტრაცია. ამასთან, ამ ოქმში მოხსენიებული სიტყვა „ნიშნები“ ყველგან გულისხმობს სასაქონლო ნიშნებს და მომსახურების ნიშნებს.

(4) ამ ოქმში მოხსენიებული სიტყვები „მონაწილე მხარის ტერიტორია“ იმ შემთხვევაში, როცა მონაწილე მხარე სახელმწიფოა, გულისხმობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მონაწილე მხარე სამთავრობათაშორისი ორგანიზაციაა – ტერიტორიას, რომელზეც გამოიყენება ამ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება.

მუხლი 3. საერთაშორისო განაცხადი

(1) ყოველი საერთაშორისო განაცხადი, ამ ოქმის თანახმად, წარდგენილი უნდა იყოს ინსტრუქციით დადგენილ ბლანკზე. წარმოშობის დამდგენი უწყება ადასტურებს, რომ საერთაშორისო განაცხადში წარმოდგენილი მონაცემები შეესაბამება მონაცემებს, რომლებიც დადასტურების თარიღისათვის არსებობს ძირითად განაცხადში ან ძირითად რეგისტრაციაში იმის მიხედვით, თუ რომელ შემთხვევას ექნება ადგილი. გარდა ამისა, ხსენებულმა უწყებამ უნდა უჩვენოს:

(i) ძირითადი განაცხადის შემთხვევაში – ამ განაცხადის შეტანის თარიღი და ნომერი;

(ii) ძირითადი რეგისტრაციის შემთხვევაში – რეგისტრაციის თარიღი და ნომერი და ასევე იმ განაცხადის შეტანის თარიღი და ნომერი, რომლის საფუძველზეც მოხდა მისი რეგისტრაცია.

წარმოშობის დამდგენმა უწყებამ უნდა უჩვენოს საერთაშორისო განაცხადის წარდგენის თარიღიც.

(2) განმცხადებელმა უნდა მიუთითოს იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება ნიშნის დაცვა და, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, შესაბამისი კლასი ან კლასები ნიშნების სარეგისტრაციოდ ნიცის ხელშეკრულებით დადგენილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით. თუ განმცხადებელი არ მიუთითებს კლასებს, საერთაშორისო ბიურო თვითონ ანაწილებს საქონელსა და მომსახურებებს აღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისი კლასების მიხედვით. განმცხადებლის მიერ მითითებული კლასები ექვემდებარება შემოწმებას საერთაშორისო ბიუროს მხრიდან, რომელიც აღნიშნულ შემოწმებას აწარმოებს ეროვნულ უწყებასთან ერთად. ეროვნულ უწყებასა და საერთაშორისო ბიუროს შორის უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა უკანასკნელის მოსაზრებას ენიჭება.

(3) თუ განმცხადებელი მოითხოვს ფერის, როგორც მისი ნიშნის განმასხვავებელი მახასიათებლის დაცვას, იგი ვალდებულია:

(i) განაცხადოს ამის შესახებ და საერთაშორისო განაცხადთან ერთად წარმოადგინოს მითითება იმ ფერზე ან ფერთა კომბინაციაზე, რომლის დაცვაც მოეთხოვება;

(ii) განაცხადს თან დაურთოს აღნიშნული ნიშნის ფერადი ასლები, რომლებიც მიმაგრებული უნდა იყოს საერთაშორისო ბიუროს მიერ გაცემულ შეტყობინებებზე; ასეთი ასლების რაოდენობა დგინდება ინსტრუქციით.

(4) საერთაშორისო ბიურო დაუყოვნებლივ არეგისტრირებს ნიშნებს, რომლებიც შეტანილია მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღად ითვლება წარმოშობის ქვეყანაში საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი იმ პირობით, თუ საერთაშორისო ბიურომ საერთაშორისო განაცხადი მიიღო ამ თარიღიდან ორი თვის ვადაში. თუ საერთაშორისო განაცხადი არ იქნა მიღებული ამ ვადაში, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღად ითვლება თარიღი, როდესაც საერთაშორისო განაცხადი იქნა მიღებული საერთაშორისო ბიუროში. საერთაშორისო ბიურო დაუყოვნებლივ ატყობინებს დაინტერესებულ უწყებებს საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ. საერთაშორისო რეესტრში რეგისტრირებული ნიშნები ქვეყნდება პერიოდულ ბიულეტენში, რომელსაც გამოსცემს საერთაშორისო ბიურო საერთაშორისო განაცხადში არსებული მონაცემების საფუძველზე.

(5) საერთაშორისო რეესტრში რეგისტრირებული ნიშნების გაცნობის მიზნით ყოველი უწყება საერთაშორისო ბიუროსაგან ღებულობს აღნიშნული ბიულეტენის ეგზემპლარების გარკვეულ რაოდენობას უფასოდ და გარკვეულ რაოდენობას მე-10 მუხლში მოხსენიებული ასამბლეის (შემდგომში „ასამბლეა„) მიერ დადგენილი პირობების შესაბამისი ფასდაკლებით. ყველა მონაწილე მხარისათვის ასეთი გაცნობა ითვლება საკმარისად და არაფერი სხვა არ უნდა იყოს მოთხოვნილი საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელისაგან.

მუხლი 3bis. ტერიტორიული მოქმედება

საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგად წარმოქმნილი დაცვა მონაწილე მხარეზე ვრცელდება მხოლოდ იმ პიროვნების მოთხოვნით, რომელიც საერთაშორისო განაცხადის განმცხადებელი ან საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელია. ამასთან, არ შეიძლება არანაირი ასეთი მოთხოვნის გაკეთება იმ მონაწილე მხარის მიმართ, რომლის უწყებაც წარმოშობის დამდგენი უწყებაა.

მუხლი 3ter. „ტერიტორიული გაფართოების“ მოთხოვნა

(1) საერთაშორისო რეგისტრაციიდან გამომდინარე, ნებისმიერ მონაწილე მხარეზე დაცვის გავრცელების შესახებ ყოველი მოთხოვნა სპეციალურად უნდა იყოს მითითებული საერთაშორისო განაცხადში.

(2) მოთხოვნა ტერიტორიული გაფართოების შესახებ შეიძლება აგრეთვე გაკეთდეს საერთაშორისო რეგისტრაციის შემდეგ. ყოველი ასეთი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს ინსტრუქციით გათვალისწინებულ ბლანკზე. მოთხოვნა მიღებისთანავე რეგისტრირდება საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც დაუყოვნებლივ ატყობინებს ასეთი ჩანაწერის შესახებ დაინტერესებულ უწყებას და უწყებებს. ეს ჩანაწერი ქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს პერიოდულ ბიულეტენში. ასეთი ტერიტორიული გაფორმება ძალაშია საერთაშორისო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის შეტანის თარიღიდან; იგი წყვეტს თავის მოქმედებას იმ საერთაშორისო რეგისტრაციის შეწყვეტასთან ერთად, რომელსაც იგი ეხება.

მუხლი 4. საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგები

(1) (a) მე–3 და 3ter მუხლების დებულებების შესაბამისად განხორციელებული რეგისტაციის ან ჩანაწერის შეტანის თარიღიდან ნიშნის დაცვა ყოველ მითითებულ მონაწილე მხარეში იქნება ისეთივე, როგორიც იქნებოდა ნიშნის უშუალოდ ამ მონაწილე მხარის უწყებაში წარდგენისას. თუ საერთაშორისო ბიუროში არ იქნა განცხადებული უარი მე–5 მუხლის (1) და (2) პუნქტების შესაბამისად ან ხსენებული მუხლების შესაბამისად განცხადებული უარი შემდგომში გამოთხოვილი იქნა უკან, აღნიშნული თარიღიდან ნიშნის დაცვა მითითებულ მონაწილე მხარეში იქნება ისეთივე, როგორიც იქნებოდა ამ მონაწილე მხარის უწყების მიერ ნიშნის რეგისტრაციისას.
(b) მე–3 მუხლით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების კლასების მითითება არ ზღუდავს მონაწილე მხარეებს ნიშნის დაცვის ფარგლების განსაზღვრის თვალსაზრისით.

(2) ნებისმიერი საერთაშორისო რეგისტრაცია სარგებლობს სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენციის მე–4 მუხლით გათვალისწინებული პრიორიტეტის უფლებით ამავე მუხლის პუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმალობების დაცვის გარეშე.

მუხლი 4bis. ეროვნული ან რეგიონალური რეგისტრაციის შეცვლა საერთაშორისო რეგისტრაციით

(1) როდესაც ნიშანი, რომელიც მონაწილე მხარის უწყებაში ეროვნული ან რეგიონალური რეგისტრაციის საგანს წარმოადგენს, ამავე დროს საერთაშორისო რეგისტრაციის საგანიცაა და ორივე რეგისტრაცია ერთი და იმავე პირის სახელზეა, საერთაშორისო რეგისტრაცია ადგილობრივი და რეგიონალური რეგისტრაციის შემცვლელად განიხილება ისე, რომ არ არღვევს ამ რეგისტრაციებით მოპოვებულ უფლებებს, თუ:

(i) საერთაშორისო რეგისტრაციიდან გამომდინარე დაცვა ხსენებულ მონაწილე მხარეზე ვრცელდება 3ter მუხლის (1) ან (2) პუნქტების თანახმად;

(ii) ეროვნულ ან რეგიონალურ რეესტრში ჩამოთვლილი ყველა საქონელი და მომსახურება ასევე ჩამოთვლილია ხსენებულ მონაწილე მხარესთან დაკავშირებით საერთაშორისო რეესტრშიც;
(iii) დაცვის ასეთი გაფართოება ძალაში შედის ეროვნული ან რეგიონალური რეგისტრაციის თარიღიდან.

(2) უწყება, რომელიც მოიხსენიება (1) პუნქტში, ვალდებულია მოთხოვნისთანავე შეიტანოს აღნიშვნა მის რეესტრში საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ.

მუხლი 5. ზოგიერთი მონაწილე მხარის მიერ ნიშნის დაცვაზე უარის თქმა და საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ძალადაკარგულად ცნობა

(1) ნებისმიერი მონაწილე მხარის უწყებას, რომელსაც საერთაშორისო ბიურომ შეატყობინა 3ter მუხლის (1) ან (2) პუნქტების თანახმად ამ მონაწილე მხარეზე საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგად წარმოქმნილი დაცვის გავრცელების შესახებ, უფლება აქვს, თუ მოქმდი კანონმდებლობა ამის ნებას იძლევა, უარის შეტყობინებაში განაცხადოს, რომ ნიშანს, რომელიც ასეთი გაფართოების საგანია, ხსენებული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დაცვა არ ენიჭება. ყოველი ასეთი უარი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მოსაზრებებს, რომლებიც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის თანახმად შეიძლებოდა გამოეყენებინა უარის განმცხადებელ უწყებას ნიშნის უშუალოდ იქ შეტანის შემთხვევაში. ამავე დროს დაცვაზე არ შეიძლება ეთქვას ნაწილობრივი უარიც კი, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კლასებისა ან შეზღუდული რაოდენობის საქონლისა და მომსახურების რეგისტრაცია.

(2) (a) ყოველმა უწყებამ, რომელსაც სურს გამოიყენოს ასეთი უფლება, მისი უარი დასაბუთებულ მოსაზრებასთან ერთად საერთაშორისო ბიუროს უნდა შეატყობინოს ამ უწყებისათვის მოქმედი კანონით დადგენილ ვადაში (b) და (c) ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ არაუგვიანეს ერთი წლისა მას შემდეგ, რაც (1) პუნქტში მითითებული დაცვის გაფართოების შესახებ შეტყობინება საერთაშორისო ბიურომ გაუგზავნა ამ უწყებას.
(b) მიუხედავად (a) ქვეპუნქტის მოთხოვნისა, ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ ოქმის თანახმად განხორციელებული საერთაშორისო რეგისტრაციისათვის ერთწლიანი ვადა, რომელზეც ლაპარაკია (a) ქვეპუნქტში, შეცვლილია 18 თვით.
(c) ასეთ განცხადებაში შეიძლება მითითებული იყოს აგრეთვე იმაზე, რომ თუ უარი დაცვაზე უარი შეიძლება დაცვის მინიჭებაზე შედავების შედეგს წარმოადგენდეს, ხსენებული მონაწილე მხარის უწყებას შეუძლია ასეთი უარი საერთაშორისო ბიუროს შეატყობინოს 18-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ. ამ უწყებას შეუძლია მოცემული საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ დაცვის მინიჭებაზე უარი საერთაშორისო ბიუროს შეატყობინოს 18-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
(i) მან 18-თვიანი ვადის გასვლამდე შეატყობინა საერთაშორისო ბიუროს 18-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ასეთი შედავების შემოსვლის შესაძლებლობის შესახებ; და
(ii) შედავებაზე დაფუძნებული უარის შესახებ შეტყობინება მოხდა შედავების ვადის დაწყების დღიდან არაუმეტეს 7 თვეში; თუ შედავების ვადა ამ შვიდთვიან ვადაზე ადრე იწურება, შეტყობინება უნდა მოხდეს შედავების ვადის გასვლიდან ერთ თვეში.

(d) ნებისმიერი (b) და (c) ქვეპუნქტების შესაბამისი განცხადება შეიძლება გაკეთდეს 14(2) მუხლში მითითებული დოკუმენტით, ხოლო მისი მოქმედების დაწყების თარიღი დაემთხვევა იმ ქვეყნის ან მთავრობათშორისო ორგანიზაციის მიმართ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს, რომელმაც გააკეთა განცხადება. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება გაკეთდეს მოგვიანებითაც; ასეთ შემთხვევაში განცხადება ძალაში შედის ორგანიზაციის გენერალური

დირექტორის (შემდგომში „გენერალური დირექტორი„) მიერ განცხადების მიღებიდან სამი თვის შემდეგ ან უფრო მოგვიანებითი თარიღიდან, რომელიც მითითებული იქნება განცხადებაში იმ საერთაშორისო რეგისტრაციების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ განცხადების ძალაში შესვლის თარიღის თანხვედრილი ან უფრო გვიანდელი თარიღი.
(e) ამ ოქმის ძალაში შესვლიდან ათი წლის გასვლის შემდეგ ასამბლეა გადასინჯავს (a)-დან (d)-მდე ქვეპუნქტებით დადგენილი სისტემის მოქმედებას. ამის შემდეგ ხსენებული ქვეპუნქტები შეიძლება შეიცვალოს ასამბლეის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

(3) საერთაშორისო ბიურო უარის შესახებ შეტყობინების ერთ-ერთ ასლს დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელს. ხსენებულ მფლობელს გააჩნია იგივე საშუალებები, როგორიც მის მიერ ნიშნის უშუალოდ იმ უწყებაში წარდგენისას, რომელმაც გაგზავნა შეტყობინება მისი უარის შესახებ. თუ საერთაშორისო ბიურო მიიღებს ინფორმაციას (2)(c)(i) პუნქტის შესაბამისად, მან დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნოს ხსენებული ინფორმაცია საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელს.

(4) დაინტერესებული პირის მოთხოვნით საერთაშორისო ბიურო აცნობებს მას ნიშნის დაცვაზე უარის თქმის მოტივის შესახებ.

(5) ნებისმიერი უწყება, რომელიც საერთაშორისო ბიუროს არ შეატყობინებს მოცემული საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ წინასწარი ან საბოლოო უარის შესახებ (1) და (2) პუნქტების შესაბამისად, ამ საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ კარგავს (1) პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებს.

(6) მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის ძალადაკარგულად ცნობა მონაწილე მხარის ტერიტორიაზე არ შეიძლება გამოცხადებულ იქნეს ისე, რომ საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელს დროულად არ მიეცეს შესაძლებლობა დაიცვას მისი უფლებები. გადაწყვეტილება საერთაშორისო რეგისტრაციის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ უნდა ეცნობოს საერთაშორისო ბიუროს.

მუხლი 5bis. ნიშნის ზოგიერთი ელემენტის გამოქენების კანონიერების დამადასტურებელი საბუთი

ნიშანში შესული ისეთი ზოგიერთი ელემენტის გამოყენების კანონიერების დამადასტურებელი საბუთი, როგორიცაა: გერბები, გერბის ფარები, პორტრეტები, დამსახურების ნიშნები, წოდებები, საფირმო დასახელებები, განმცხადებლის სახელისაგან განსხვავებული პიროვნების სახელები ან სხვა მსგავსი წარწერები, რომლებიც შეიძლება მოთხოვნილი იყოს მონაწილე მხარის უწყების მიერ, თავისუფლდება ყოველგვარი ლეგალიზაციისა და სხვა დამოწმებებისაგან, გარდა წარმოშობის დამდგენი უწყების მიერ დამოწმებისა.

მუხლი 5ter. საერთაშორისო რეესტრში ჩანაწერების ასლი; წინასწარი ძიება; ამონაწერი საერთაშორისო რეესტრიდან

(1) ნებისმიერი პირის მოთხოვნით საერთაშორისო ბიურო ინსტრუქციით დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ იძლევა საერთაშორისო რეესტრში ნიშნის შესახებ შეტანილი ჩანაწერების ასლს.

(2) საერთაშორისო ბიუროს აგრეთვე შეუძლია ანაზღაურების შემდეგ ჩაატაროს წინასწარი ძიება იმ ნიშნებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო რეგისტრაციის საგანს.

(3) ამონაწერები საერთაშორისო რეესტრიდან ამონაწერები, რომლებიც მოთხოვნილია მათი ერთ-ერთი მონაწილე მხარისადმი წარდგენის მიზნით, თავისუფალია ნებისმიერი ლეგალიზაციისაგან.

მუხლი 6. საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ვადა; საერთაშორისო რეგისტრაციის დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა

(1) საერთაშორისო ბიურო ახდენს ნიშნის რეგისტრაციას ათი წლით მისი გაგრძელების შესაძლებლობით მე–7 მუხლში მითითებული პირობების შესაბამისად.

(2) საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ეს რეგისტრაცია დამოუკიდებელი ხდება შესაბამისად ძირითადი განაცხადისაგან ან მისგან გამომდინარე რეგისტრაციისაგან, ან ძირითადი რეგისტრაციისაგან მომდევნო დებულებების გათვალისწინებით.

(3) საერთაშორისო რეგისტრაციიდან გამომდინარე დაცვა იმისგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა გადაცემის საგანი, აღარ შეიძლება მოითხოვებოდეს, თუ საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე შესაბამისად ძირითადი განაცხადი ან მისგან გამომდინარე რეგისტრაცია, ან ძირითადი რეგისტრაცია იყო გატანილი, მას გაუვიდა მოქმედების ვადა, მისგან გამომდინარე უფლებების მფლობელმა უარი განაცხადა ან მასზე გამოტანილი იქნა საბოლოო გადაწყვეტილება უარის თქმის, გაუქმების, რეესტრიდან ამოღების ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ საერთაშორისო რეგისტრაციაში არსებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ. იგივე გამოიყენება, თუ:

(i) ძირითადი განაცხადის მოქმედად არცნობის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას,

(ii) ძირითადი განაცხადის გატანასთან ან ძირითადი განაცხადიდან გამომდინარე რეგისტრაციის გაუქმებასთან, რეესტრიდან ამოღებასა ან მისი ძალადაკარგულად ცნობასთან დაკავშირებულ სასამართლოში შეტანილ სარჩელს, ან

(iii) ძირითად რეგისტრაციაზე შედავებას მოჰყვა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამისად, ძირითადი განაცხადის ან მისგან გამომდინარე რეგისტრაციის ან ძირითადი რეგისტრაციის შესახებ უარის თქმის, მისი გაუქმების, რეესტრიდან ამოღების ან ძალადაკარგულად ცნობის ან განაცხადის მასალების გატანის თაობაზე იმ პირობით, რომ გასაჩივრების, სასამართლოში შეტანილი სარჩელის ან მესამე პირის შედავების განხილვა დაიწყო ხსენებული ვადის გასვლამდე. იგივე გამოიყენება აგრეთვე, თუ ძირითადი განაცხადი გატანილი იყო ან, ძირითადი განაცხადიდან გამომდინარე, რეგისტრაციასა ან ძირითად რეგისტრაციზე მფლობელმა უარი თქვა ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, რომ გატანის ან უარის თქმის მომენტისათვის ხსენებული განაცხადი ან რეგისტრაცია (i), (ii) ან (iii) პუნქტების შესაბამისი პროცედურის საგანს უნდა წარმოადგენდეს და რომ ასეთი პროცედურა დაიწყო ხსენებული ვადის გასვლამდე.

(4) წარმოშობის უწყება, როგორც ეს ინსტრუქციითაა გათვალისწინებული, ატყობინებს საერთაშორისო ბიუროს მე–(3) პუნქტთან დაკავშირებული ფაქტებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, ხოლო საერთაშორისო ბიურო, როგორც ეს ინსტრუქციითაა გათვალისწინებული, ატყობინებს ამის შესახებ დაინტერესებულ პირებს და ახორციელებს გამოქვეყნებას შესაბამისად. წარმოშობის უწყება საჭიროების შემთხვევაში მიმართავს საერთაშორისო ბიუროს თხოვნით დადგენილი წესით ამოიღოს საერთაშორისო რეგისტრაცია რეესტრიდან, ხოლო საერთაშორისო ბიურო ახორციელებს შესაბამის პროცედურას.

მუხლი 7. საერთაშორისო რეგისტრაციის ვადის გაგრძელება

(1) ყოველი საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო ათი წლით დაწყებული წინა დაცვის ვადის გასვლის მომენტიდან 8(7) მუხლით გათვალისწინებული ძირითადი საფასურის და 8(2) მუხლით გათვალისწინებული შემავსებელი და დამატებითი საფასურების უბრალო გადახდის გზით.

(2) ვადის გაგრძელებისას დაუშვებელია რეგისტრაციის ბოლო სახის რაიმე ცვლილება.

(3) დაცვის ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე საერთაშორისო ბიურო არაოფიციალური შეტყობინების გაგზავნის გზით საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელს ან, საჭიროების შემთხვევაში, მის წარმომადგენელს ახსენებს ვადის გასვლის ზუსტ თარიღს.

(4) ინსტრუქციით დადგენილი დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში საერთაშორისო რეგისტრაციის გაგრძელებისათვის ნებადართულია ექვსთვიანი შეღავათიანი ვადა.

მუხლი 8. საერთაშორისო განაცხადისა და რეგისტრაციის საფასური

(1) წარმოშობის უწყებას შეუძლია თავის შეხედულებისამებრ დაადგინოს და თავის სარგებლობისათვის მოკრიბოს საფასური, რომელიც შეიძლება მან მოითხოვოს განმცხადებლისაგან საერთაშორისო რეგისტრაციისათვის ან საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელისაგან საერთაშორისო განაცხადის შემოტანის, ან საერთაშორისო რეგისტრაციის ვადის გაგრძელებისათვის.

(2) საერთაშორისო ბიუროში ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაცია ექვემდებარება იმ წინასწარი საერთაშორისო საფასურის გადახდას, რომელიც (7) (a) პუნქტის თანახმად უნდა შეიცავდეს:

(i) ძირითად საფასურს;

(ii) შემავსებელ საფასურს საერთაშორისო კლასიფიკაციის ყოველ კლასზე, რომელიც სამზე მეტს აღემატება და რომლებსაც მიეკუთვნება საქონელი ან მომსახურება, რომელთა მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული ნიშანი;

(iii) დამატებით საფასურს 3ter მუხლის ესაბამისად დაცვის გაფართოების ყოველი მოთხოვნისათვის.

(3) ამ მუხლის მე–2 (ii) პუნქტში მითითებული შემავსებელი საფასური შეიძლება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღის შენარჩუნებით გადახდილ იქნეს ინსტრუქციით დადგენილ ვადაში, თუ საქონლისა ან მომსახურების ჩამონათვალის კლასების რაოდენობას განსაზღვრავს, ან გადამოწმების შემდეგ, შეცვლის საერთაშორისო ბიურო. თუ განმცხადებლის მიერ ხსენებული ვადის გასვლამდე შემავსებელი საფასური არ იქნა გადახდილი ან საქონლის ან მომსახურების ჩამონათვალი არ იქნა შემცირებული მოთხოვნილ დონემდე, საერთაშორისო განაცხადზე საქმის წარმოება შეწყვეტილად ითვლება.

(4) საერთაშორისო რეგისტრაციიდან სხვადასხვა შემონატანების წლიური შემოსავალი (2) (ii) და (iii) პუნქტებში აღნიშნული საფასურებიდან მიღებული შემონატანების გაუთვალისწინებლად და ამ პროტოკოლის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯებისა და საჭირო გასავლების გამოკლების შემდეგ საერთაშორისო ბიუროს მიერ თანაბრად ნაწილდება მონაწილე მხარეებს შორის.

(5) ყოველი წლის ბოლოს თანხები, რომლებიც მიიღება (2) (ii) პუნქტით გათვალისწინებული შემავსებელი საფასურებიდან, იყოფა დაინტერესებულ მონაწილე მხარეებს შორის იმ ნიშნების რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც აღნიშნული წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო თითოეული მათგანის მიმართ, ხოლო იმ მონაწილე მხარისათვის, რომელიც ატარებს ექსპერტიზას, ეს რაოდენობა მრავლდება კოეფიციენტზე, რომელიც უნდა განისაზღვროს ინსტრუქციით.

(6) თანხები, რომლებიც მიიღება (2) (iii) პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საფასურებიდან, იყოფა მე–(5) პუნქტით გათვალისწინებული წესის მსგავსად.

(7) (a) ნებისმიერ მონაწილე მხარეს ყოველ საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი მითითებულია 3ter მუხლის შესაბამისად, და ყოველი ასეთი რეგისტრაციის ვადის

გაგრძელებასთან დაკავშირებით უფლება აქვს განაცხადოს, რომ მას სურს შემავსებელი და დამატებითი საფასურებიდან მიღებული წლიური შემოსავლიდან კუთვნილი წილის ნაცვლად მიიღოს საფასური (შემდგომში „ინდივიდუალური საფასური„), რომლის ოდენობა მითითებული იქნება განცხადებაში და შეიძლება შეიცვალოს მომდევნო განცხადებებში, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს თანხას, რომელიც, საერთაშორისო პროცედურიდან გამომდინარე დანაზოგის გამოკლებით, შეეძლო მიეღო ხსენებული მონაწილე მხარის უწყებას ამ უწყების რეესტრში განმცხადებლისაგან ნიშნის ათი წლით რეგისტრაციისა ან რეგისტრაციის მფლობელისაგან დაცვის ვადის ათი წლით გაგრძელებისათვის. თუ შესაძლებელია ამგვარი ინდივიდუალური საფასურის გადახდა, მაშინ:

(i) არანაირი მე-2 (ii) პუნქტში მოხსენებული შემავსებელი საფასური არ უნდა იქნეს გადახდილი, თუ 3ter მუხლის შესაბამისად მითითებულია მხოლოდ ის მონაწილე მხარეები, რომლებმაც გააკეთეს განცხადება ამ ქვეპუნქტის შესაბამისად და

(ii) არანაირი მე-2 (iii) პუნქტში მოხსენებული დამატებითი საფასური არ უნდა იქნეს გადახდილი იმ ნებისმიერი მონაწილე მხარის სასარგებლოდ, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ ქვეპუნქტის შესაბამისად.

(b) ნებისმიერი (a) ქვეპუნქტის შესაბამისი განცხადება შეიძლება გაკეთდეს 14 (2) მუხლში მითითებული დოკუმენტით, ხოლო მისი მოქმედების დაწყების თარიღი დაემთხვევა იმ ქვეყნისა ან მთავრობათაშორისო ორგანიზაციის მიმართ პროტოკოლის ძალაში შესვლის თარიღს, რომელმაც გააკეთა განცხადება. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება გაკეთდეს მოგვიანებითაც; ასეთ შემთხვევაში განცხადება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ განცხადების მიღებიდან სამი თვის შემდეგ ან უფრო გვიანდელი თარიღიდან, რომელიც მითითებული იქნება განცხადებაში იმ საერთაშორისო რეგისტრაციების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ განცხადების ძალაში შესვლის თარიღის თანხვედრილი ან უფრო გვიანდელი თარიღი.

მუხლი 9. საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელის ცვლილებების შესახებ ჩანაწერის შეტანა

იმ პირის მოთხოვნით, რომლის სახელზეცაა საერთაშორისო რეგისტრაცია, ან დაინტერესებული უწყების მოთხოვნით, რასაც იგი აკეთებს ეხ ოფფიციო, ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, საერთაშორისო ბიუროს რეგისტრაციის მფლობელის ნებისმიერი ცვლილების შესახებ ჩანაწერი შეაქვს საერთაშორისო რეესტრში ყველა ან გარკვეული მონაწილე მხარის გათვალისწინებით, რომელთა ტერიტორიაზეც მოქმედებდა ხსენებული რეგისტრაცია და იმ ყველა ან გარკვეული საქონლისა და მომსახურებისათვის, რომლებიც ჩამოთვლილია რეგისტრაციაში, თუ ახალი მფლობელი არის პირი, რომელიც 2(1) მუხლის შესაბამისად უფლებამოსილია შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი.

მუხლი 9bis. საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ჩანაწერის შეტანა

საერთაშორისო ბიუროს საერთაშორისო რეესტრში შეაქვს შემდეგი ჩანაწერები:

(i) საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელის ვინაობისა და მისამართის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

(ii) საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელის წარმომადგენლის დანიშვნის და ასეთი წარმომადგენლის შესახებ სხვა მონაცემების შესახებ;

(iii) ყველა ან გარკვეული მონაწილე მხარის მიმართ საერთაშორისო რეესტრში არსებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ;

(iv) ყველა ან გარკვეული მონაწილე მხარის მიმართ ნებისმიერი უარის თქმის, რეესტრიდან ამოღების ან საერთაშორისო რეგისტრაციის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ;

(v) ინსტრუქციით დადგენილი ნებისმიერი სხვა შესაბამისი მონაცემების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია იმ ნიშნის უფლებებთან, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია.

მუხლი 9ter. გარკვეული ჩანაწერების შეტანის საფასური

ნებისმიერი ჩანაწერის შეტანა რეესტრში მე-9 და მე-9bis მუხლების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს საფასურის გადახდას.

მუხლი 9quater. რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს ერთიანი უწყება

(1) თუ რამდენიმე მონაწილე სახელმწიფო თანახმაა განახორციელოს ნიშნების შესახებ ადგილობრივი კანონების უნიფიცირება, მათ შეუძლიათ შეატყობინონ გენერალურ დირექტორს,

(i) რომ ერთიანი უწყება ცვლის ყოველი მათგანის ეროვნულ უწყებას; და

(ii) რომ მათი შესაბამისი ტერიტორიები მთლიანობაში მიჩნეული უნდა იქნეს ერთ სახელმწიფოდ ყველა ან ნაწილი დებულებების გამოყენების თვალსაზრისით, რომლებიც წინ უძღვის ამ მუხლს და ასევე 9quinquies და 9sexies მუხლების დებულებების თვალსაზრისითაც.

(2) ეს შეტყობინება არ შედის მოქმედებაში გენერალური დირექტორის მიერ სხვა მონაწილე მხარეებისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან სამი თვის გასვლამდე.

მუხლი 9quinquies. საერთაშორისო რეგისტრაციის გარდაქმნა ეროვნულ ან რეგიონალურ განაცხადად

თუ 6(4) მუხლის შესაბამისად, წარმოშობის უწყების მოთხოვნით, საერთაშორისო რეგისტრაცია ამოღებულია რეესტრიდან ხსენებულ რეგისტრაციაში მითითებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი ან ნაწილობრივი ჩამონათვალის მიმართ, და პირს, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელი იყო, იგივე ნიშანზე სარეგისტრაციოდ განაცხადი შეაქვს ერთ-ერთი მონაწილე მხარის უწყებაში, რომლის ტერიტორიაზეც საერთაშორისო რეგისტრაცია მოქმედებდა, ასეთი განაცხადის შეტანის თარიღად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 3(4) მუხლის შესაბამისად საერთაშორისო რეგისტრაციის ან 3ter (2) მუხლის შესაბამისად ტერიტორიული გაფართოების შესახებ ჩანაწერის შეტანის თარიღი და, თუ საერთაშორისო რეგისტრაცია სარგებლობდა პრიორიტეტით, ეს განაცხადიც ისარგებლებს ამავე პრიორიტეტით, თუ:

(i) ასეთი განაცხადი შეტანილ იქნა საერთაშორისო რეგისტრაციის რეესტრიდან ამოღების დღიდან სამი თვის ვადაში;

(ii) განაცხადში ჩამოთვლილი საქონელი და მომსახურება ფაქტობრივად მოცულია საერთაშორისო რეგისტრაციაში იმ მონაწილე მხარის მიმართ მითითებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალით, სადაც ხდება განაცხადის შეტანა; და

(iii) ასეთი განაცხადი აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, საფასურებთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩათვლით.

მუხლი 9sexies. მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების შენარჩუნება

(1) თუ მოცემული საერთაშორისო განაცხადის ან მოცემული საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ წარმოშობის დამდგენი უწყება არის იმ სახელმწიფოს უწყება, რომელიც ერთდროულად ამ ოქმისა და მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების წევრია, ოქმის დებულებები არ იმოქმედებს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც აგრეთვე ერთდროულად ამ ოქმისა და მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების წევრია.

(2) ამ ოქმის ძალაში შესვლიდან ათი წლის ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუადრეს ხუთწლიანი ვადის გასვლისა იმ თარიღიდან, როცა მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების წევრი ქვეყნების უმრავლესობა გახდება ოქმის წევრი, ასამბლეას შეუძლია სამი-მეოთხედი

ხმის უმრავლესობით გააუქმოს (1) პუნქტი ან შეზღუდოს (1) პუნქტის ფარგლები. ასამბლეის კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ერთდროულად ხსენებული შეთანხმებისა და ამ ოქმის წევრები არიან.

მუხლი 10. ასამბლეა

(1) (a) მონაწილე მხარეები იმავე ასამბლეის წევრებს წარმოადგენენ, რომელსაც მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების მონაწილე ქვეყნები.
(b) თითოეული მონაწილე მხარე ასამბლეაში წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება თან ახლდნენ მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.
(c) დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მონაწილე მხარე, რომელმაც გამოყო ეს დელეგაცია, ყოველი მონაწილე მხარის ერთი დელეგატის მგზავრობისა და დღიური ხარჯებისა გარდა, რომელსაც გაიღებს კავშირის ფონდი.

(2) მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმებით გათვალისწინებული ფუნქციების გარდა ასამბლეა:
(i) აწარმოებს ყველა საქმიანობას, რაც დაკავშირებულია ამ ოქმის განხორციელებასთან;
(ii) ოქმის არამონაწილე და კავშირის წევრი ქვეყნების შენიშვნების სათანადო გათვალისწინებით საერთაშორისო ბიუროს აძლევს მითითებებს ოქმის გადასინჯვის მიზნით კონფერენციების მოსაწყობად;
(iii) იღებს და შეაქვს ცვლილებები ოქმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციაში;
(iv) ასრულებს ფუნქციებს, რომლებიც მას ევალება ამ ოქმით.

(3)(a) ყოველ მონაწილე მხარეს აქვს ერთი ხმა ასამბლეაში. მხოლოდ მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების მონაწილე ქვეყნებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მონაწილე მხარეებს, რომლებიც არ არიან ხსენებული შეთანხმების მონაწილეები, არ აქვთ კენჭისყრის უფლება, მაშინ, როცა მონაწილე მხარეებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მხოლოდ ამ უკანასკნელთ აქვთ კენჭისყრის უფლება.
(b) ასამბლეის იმ წევრთა ერთი მეორედი, რომლებსაც აქვთ მოცემულ საკითებზე კენჭისყრის უფლება, შეადგენს ამ კენჭისყრის კვორუმს.
(c) თუ რომელიმე სესიაზე დამსწრე ასამბლეის იმ წევრთა რიცხვი, რომლებსაც მოცემულ საკითხზე კენჭისყრის უფლება გააჩნიათ, ნაკლებია ერთ მეორედზე, მაგრამ ტოლია ან მეტია ასამბლეის იმ წევრთა მესამედზე, რომლებსაც ამ საკითხზე კენჭისყრის უფლება გააჩნიათ, მიუხედავად (b) ქვეპუნქტის დებულებებისა, ასამბლეას შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა გადაწყვეტილებებისა, რომლებიც დაკავშირებულია მის საკუთარ პროცედურასთან, მაგრამ ყველა ასეთი გადაწყვეტილება განხორციელდება მხოლოდ იმ პირობების შესრულებისას, რომლებზეც ლაპარაკია შემდგომში. საერთაშორისო ბიურო ხსენებულ გადაწყვეტილებებს უგზავნის ასამბლეის იმ წევრებს, რომლებსაც ხსენებულ საკითხზე კენჭისყრის უფლება გაჩნიათ და რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილნი სესიაზე, და სთავაზობს მათ შეტყობინების მათთვის გაგზავნის თარიღიდან სამი თვის ვადაში წერილობით გამოხატონ, ეთანხმებიან გადაწყვეტილებას, ეწინააღმდეგებიან თუ თავს იკავებენ მისგან. თუ ამ ვადის გასვლამდე ისეთი წევრების რიცხვი, რომლებმაც ამ სახით მისცეს ან არ მისცეს ხმა, ან თავი შეიკავეს, არ იქნება ნაკლები წევრთა იმ რიცხვზე, რომელიც დააკლდა კვორუმს სესიაზე, ასეთი გადაწყვეტილება შედის ძალაში იმ პირობით, თუ ამავე დროს საჭირო უმრავლესობა მიღწეულია.
(d) ასამბლეის გადაწყვეტილებების მისაღებად 5(2) (e), 9^{sexies}(2), (12) და 13(2) მუხლების დებულებების გათვალისწინებით საჭიროა მიცემულ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობა.
(e) მხედველობაში არ მიიღება მათი ხმები, ვინც თავი შეიკავა.
(f) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს და ხმა მისცეს ასამბლეის მხოლოდ ერთი წევრის სახელით.

(4) მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმებით გათვალისწინებული რიგით და რიგგარეშე სესიების შეკრების გარდა, ასამბლეა შეიძლება შეიკრიბოს რიგგარეშე სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით ასამბლეის იმ წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით, რომლებსაც სესიის დღის წესრიგში შესატანად გათვალისწინებულ საკითხებზე კენჭისყრის უფლება გააჩნიათ. ასეთი რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი მზადდება გენერალური დირექტორის მიერ.

მუხლი 11. საერთაშორისო ბიურო

(1) საერთაშორისო რეგისტრაციას და მასთან დაკავშირებულ ფუნქციებს, ისევე როგორც ყველა სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია ამ ოქმთან, ახორციელებს საერთაშორისო ბიურო.

(2) (a) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებით ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს ამ ოქმის გადასინჯვის მიზნით კონფერენციის მოსაწყობად.
(b) საერთაშორისო ბიუროს, ოქმის გადასინჯვის მიზნით ჩასატარებელი კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებით, შეუძლია კონსულტაცია გაიაროს მთავრობათაშორისო და არასამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები ხმის უფლების გარეშე იღებენ მონაწილეობას ასეთ კონფერენციებზე საკითხების განხილვაში.

(3) საერთაშორისო ბიურო ასრულებს ამ ოქმთან დაკავშირებულ მასზე დაკისრებულ ყველა სხვა ფუნქციას.

მუხლი 12. ფინანსები

როდესაც საქმე მონაწილე მხარეს ეხება, კავშირის ფინანსების მართვა ხდება იმავე დებულებებით, რომლებიც შედის მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების მე–12 მუხლში იმ პირობით, რომ ხსენებული შეთანხმების მე–8 მუხლზე მითითების ნაცვლად უნდა ვიგულისხმოთ მითითება ამ ოქმის მე–8 მუხლზე. გარდა ამისა, ხსენებული შეთანხმების 12(6)(b) მუხლის დებულებებისათვის, თუ ასამბლეა ერთხმად არ მიიღებს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, მონაწილე ორგანიზაცია განიხილება როგორც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის შესაბამისად გადასახადების პირველ (1) კლასს მიკუთვნებული პირი.

მუხლი 13. ოქმის ზოგიერთი მუხლის შესწორებები

(1) წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია მე–10, მე–11, მე–12 მუხლებთან და ამ მუხლში შესწორებების შეტანასთან, შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ნებისმიერი მონაწილე მხარის ან გენერალური დირექტორის მიერ. ეს წინადადებები მონაწილე მხარეებს ეგზავნებათ გენერალური დირექტორის მიერ ასამბლეაზე განხილვამდე სულ მცირე ექვსი თვით ადრე.

(2) იმ მუხლებში შესატანი ცვლილებების მიღება, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტში, ხდება ასამბლეის მიერ, რისთვისაც მოითხოვება მიცემულ ხმათა სამი მეოთხედი, ამასთან, მე–10 მუხლსა და ამ პუნქტში შესწორებების შესატანად მოითხოვება მიცემულ ხმათა ოთხი მეხუთედი.

(3) ნებისმიერი შესწორება, რომელიც ეხება (1) პუნქტში მითითებულ მუხლებს, ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გენერალური დირექტორის მიერ იმ სახელმწიფოებისა და მთავრობათაშორისო ორგანიზაციების სამი მეოთხედისაგან, რომლებიც შესწორებების მიღების მომენტისათვის ასამბლეის წევრები იყვნენ და გააჩნდათ შესწორებაზე კენჭისყრის უფლება, მიღებულ იქნება წერილობითი შეტყობინება მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად აღნიშნული შესწორებების მოწონების შესახებ. ხსენებული მუხლების მიმართ

ამ წესით მიღებული ნებისმიერი შესწორება სავალდებულოა ყველა იმ სახელმწიფოსა და მთავრობათაშორისო ორგანიზაციისთვის, რომლებიც არიან ასამბლეის წევრები შესწორების ძალაში შესვლის მომენტისათვის ან ამის შემდეგ გახდებიან მისი წევრები.

მუხლი 14. ოქმში მონაწილეობა; ძალაში შესვლა

(1)(a) სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფო შეიძლება გახდეს ამ ოქმის მონაწილე.
(b) გარდა ამისა, ნებისმიერი მთავრობათშორისი ორგანიზაცია შეიძლება აგრეთვე გახდეს ამ ოქმის მონაწილე, თუ სრულდება შემდეგი პირობები:
(i) ამ ორგანიზაციის წევრი სულ მცირე ერთი სახელმწიფო მაინც არის სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მონაწილე;
(ii) ამ ორგანიზაციას გააჩნია ორგანიზაციის ტერიტორიაზე მოქმედი ნიშნების სარეგისტრაციო რეგიონალური უწყება იმ პირობით, რომ ეს უწყება არ წარმოადგენს $9^{quarter}$ მუხლის საფუძველზე შეტყობინების საგანს.

(2) ნებისმიერ, (1) პუნქტში მითითებულ სახელმწიფოს ან ორგანიზაციას შეუძლია ხელი მოაწეროს ამ ოქმს. ყოველ ასეთ სახელმწიფოს ან ორგანიზაციას შეუძლია, თუკი მან ხელი მოაწერა ამ ოქმს, შესანახად წარადგინოს ამ ოქმის რატიფიცირების, მისი მიღების ან მოწონების შესაბამისი დოკუმენტი, ხოლო თუ მან არ მოაწერა ხელი, შეუძილა წარადგინოს ამ ოქმთან მიერთების დოკუმენტი.

(30 დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია (2) პუნქტში, შესანახად გენერალურ დირექტორს უნდა ჩაბარდეს.

(4)(a) ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც ამ ოქმის რატიფიცირების, მისი მიღების, მოწონების ან მასთან მიერთების შესახებ ოთხი დოკუმენტი ჩაბარდა შესანახად იმ პირობით, რომ ამ ოთხი დოკუმენტიდან ერთი მაინც ჩაბარდა მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების მონაწილე ქვეყნის მიერ და დანარჩენიდან ერთი მაინც ჩაბარდა იმ ქვეყნის მიერ, რომელიც არ არის მადრიდის (სტოკჰოლმის) შეთანხმების წევრი, ან (1)(b) პუნქტში მითითებული ორგანიზაციის მიერ.
(b) ნებისმიერი სხვა იმ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიმართ, რომლებზეც მითითებულია (1) პუნქტში ეს ოქმი შედის ძალაში მათ მიერ ოქმის რატიფიცირების, მისი მიღების, მოწონების ან მასთან მიერთების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების გამოგზავნის დღიდან სამი თვის შემდეგ.

(5) ნებისმიერ სახელმწიფოს ან ორგანიზაციას, რომლებზეც მითითებულია (1) პუნქტში, შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირების, მისი მიღების, მოწონების ან მასთან მიერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარებასთან ერთად განაცხადოს, რომ ამ ოქმის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციიდან გამომდინარე, ნებისმიერი დაცვა, რომელიც განხორციელდა სმ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიმართ, ოქმის ძალაში შესვლამდე არ შეიძლება გავრცელებულ იქნეს მათზე.

მუხლი 15. დენონსაცია

(1) ამ ოქმის მოქმედების ვადა დროში შეუზღუდავია.

(2) ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ოქმის დენონსაცია გენერალური დირექტორისთვის შეტყობინების გაგზავნით.

(3) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის შეტყობინების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

(4) არცერთი მონაწილე მხარის მიერ არ შეიძლება განხორციელდეს ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება ამ მონაწილე მხარის მიმართ ოქმის ძალაში

შესვლის თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე.

(5) (a) თუ ნიშანი წარმოადგენს საერთაშორისო რეგისტრაციის საგანს, რომელიც დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღისათვის მოქმედებაშია იმ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც მოახდინა დენონსაცია, ასეთი რეგისტრაციის მფლობელს შეუძლია ამ სახელმწიფოს და ორგანიზაციის უწყებაში იმავე ნიშანზე შეიტანოს განაცხადი, რომელიც მიჩნეული იქნება როგორც შეტანილი საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღით 3(4) მუხლის შესაბამისად ან ტერიტორიული გაფართოების შესახებ ჩანაწერის გაკეთების თარიღით 3ter(2) მუხლის შესაბამისად და, თუ საერთაშორისო განაცხადი სარგებლობდა პრიორიტეტით, ისარგებლებს იმავე პრიორიტეტით, იმ პირობით, რომ:

(i) ასეთი განაცხადი შეტანილი იქნება დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღიდან ორი წლის ვადაში;

(ii) განაცხადში ჩამოთვლილი საქონელი და მომსახურება ფაქტობრივად იფარება საერთაშორისო რეგისტრაციაში იმ სახელმწიფოსა და ორგანიზაციის მიმართ მითითებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლით, რომელმაც მოახდინა დენონსაცია; და

(iii) ასეთი განაცხადი შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, საფასურისადმი მოთხოვნის ჩათვლით.

(b) ამ მუხლის (a) ქვეპუნქტის დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ნებისმიერი ნიშნის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეგისტრაციის საგანს, რომელიც დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღისათვის მოქმედებაშია დენონსაციის განმცხადებელი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციებისგან განსხვავებული მონაწილე მხარეების მიმართ და მათი მფლობელების დენონსაციის გამო არიან უფლებამოსილნი 2(1) მუხლის შესაბამისად შეიტანონ საერთაშორისო განაცხადი.

მუხლი 16. ხელმოწერა; ენები; დეპოზიტარის ფუნქციები

(1) (a) ოქმზე ხელის მოწერა ხდება ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე დაწერილი ამ ოქმის თითო ეგზემპლარზე და შესანახად წარედგინება გენერალურ დირექტორს მას შემდეგ, რაც მადრიდში მასზე ხელის მოწერა შეწყდება. ტექსტი სამივე ენაზე ერთნაირად ავთენტიკური უნდა იყოს.

(b) ამ ოქმის ოფიციალური ტექსტების დადგენა ხდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან და ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ არაბულ, გერმანულ, იაპონურ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუსულ და ჩინურ ენებზე და იმ სხვა ენებზე, რომლებსაც განსაზღვრავს ასამბლეა.

(2) ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად მადრიდში 1989 წლის 31 დეკემბრამდე.

(3) ესპანეთის მთავრობის მიერ დამოწმებული ამ ოქმის ხელმოწერილი ტექსტის ორ ეგზემპლარს გენერალური დირექტორი უგზავნის ყველა იმ სახელმწიფოსა და მთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება გახდეს ამ ოქმის მონაწილე.

(4) გენერალური დირექტორი ამ ოქმს არეგისტრირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) ყველა იმ სახელმწიფოსა და მთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც შეიძლება გახდნენ ან არიან ამ ოქმის მონაწილეები, გენერალური დირექტორი აცნობებს ხელმოწერების, ოქმის რატიფიცირების, მისი მიღების, მოწონების ან მასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების, ამ ოქმის ძალაში შესვლის და მასში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე დენონსაციისა და ამ ოქმით გათვალისწინებული ყველა განცხადების შეტყობინების შესახებ.

ნიცის შეთანხმება
ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ

1957 წლის 15 ივნისი
გადასინჯული სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, და ჟენევაში
1977 წლის 13 მაისს და შესწორებული ჟენევაში 1979 წლის 28 სექტემბერს

მუხლი 1. სპეციალური კავშირის დაარსება; საერთაშორისო კლასიფიკაციის მიღება; კლასიფიკაციის განსაზღვრება და ენები

(1) ქვეყნები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს შეთანხმება, ქმნიან სპეციალურ კავშირს და ღებულობენ ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილ საქონლისა და მომსახურების ერთიან კლასიფიკაციას (შემდგომში – კლასიფიკაცია)

(2) კლასიფიკაცია შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

(i) კლასების ჩამონათვალი განმარტებებით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თან ახლავს შენიშვნები.

(ii) საქონლისა და მომსახურების ანბანური ჩამონათვალი (შემდგომში ანბანური ჩამონათვალი) იმ კლასის მითითებით, რომელშიც ხვდება საქონლისა და მომსახურების თითოეული სახეობა

(3) კლასიფიკაცია შეიცავს:

(i) კლასიფიკაციას, გამოქვეყნებულს 1971 წელს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ბიუროს (შემდგომში – „საერთაშორისო ბიურო”) მიერ, რომელიც მოხსენებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონვენციაში; ამასთან, იგულისხმება, რომ ამ პუბლიკაციაში შეტანილი კლასების ჩამონათვალის თნმხლები განმარტებები, განიხილება, დროებითი და რეკომენდაციის ხასიათის მქონედ ვიდრე, კლასების ჩამონათვალის თანმხლებ განმარტებებს არ შეიმუშავებს მე–3 მუხლში მოხსენიებული ექსპერტთა კომისია.

(ii) შესწორებებსა და დამატებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 1957 წლის 13 ივნისის ნიცის შეთანხმებისა და ამავე შეთანხმების 1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის აქტის მე–4 მუხლის (1) ქვეპუნქტის თანახმად, ამ აქტის ძალაში შესვლამდე.

(iii) ნებისმიერ ცვლილებას, შეტანილს ამ აქტის მე–3 მუხლის თანახმად და რომელიც ძალაში შედის ამ აქტის მე–4 მუხლის (1) ქვეპუნქტის მიხედვით.

(4) კლასიფიკაცია შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

(5)(a) მე–3 პუნქტის (i) ქვეპუნქტში მოხსენიებული კლასიფიკაცია მე–3 პუნქტის (ii) ქვეპუნქტში მოხსენიებული შესწორებებსა და დამატებებთან ერთად, რომლებიც ძალაში შევიდა ამ აქტის ხელმოსაწერად გახსნის თარიღამდე, არსებებს ერთ ავთენტიკურ ეგზემპლარად ფრანგულ ენაზე და ინახება ისმოს გენერალურ დირექტორთან (შემდგომში შესაბამისად – „ორგანიზაცია” და „დირექტორი”). მე–3 პუნქტის (ii) ქვეპუნქტში მოხსენიებული შესწორებები და დამატებები, რომლებიც ძალაში შედის ამ აქტის მიღების შემდეგ და ღიაა ხელმოსაწერად, ასევე უნდა ინახებოდეს ფრანგულ ენაზე შესრულებული ერთი ავთეტიკური ეგზემპლარის სახით გენერალურ დირექტორთან.

(b) (a) ქვეპუნქტში მოხსენიებული ტექსტების ინგლისურ ვარიანტს ამზადებს მე-3 მუხლში მოხსენიებული ექსპერტთა კომისია ამ აქტის ძალაში შესვლისთანავე. ეს ავთენტიკური ეგზემპლარი ინახება გენერალურ დირექტორთან.
(c) მე-3 პუნქტის (iii) ქვეპუნქტში მოხსენიებული ცვლილებები ინახება თითო ავთენტიკურ ეგზემპლარად, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, გენერალურ დირექტორთან.

(6) კლასიფიკაციის ოფიციალური ტექსტები არაბულ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუსულ, ესპანურ და სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს მე-5 მუხლში მოხსენიებულმა ასამბლეამ, დგება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ ან ამ მთავრობის მიერ ან სხვა საშუალებით შემოტანილი თარგმანის საფუძველზე, რომელიც არ ახდენს ფინანსურ გავლენას სპეციალური კავშირის ან ორგანიზაციის ბიუჯეტზე.

(7) ანბანურ ჩამონათვალში საქონლისა და მომსახურების თითოეული სახეობის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს რიგითი ნომერი იმ ენის შესაბამისად, რომელზედაც შედგენილია ჩამონათვალი, ამასთან:

(i) ინგლისურ ანბანურ ჩამონათვალში მითითებული უნდა იყოს იმავე დასახელების რიგითი ნომერი ფრანგული ანბანური ჩამონათვალიდან და პირიქით.
(ii) მე-6 პუნქტის შესაბამისად ნებისმიერ ენაზე შედგენილ ანბანურ ჩამონათვალში მითითებული უნდა იყოს იმავე დასახელების რიგითი ნომერი ინგლისური ანბანური ჩამონათვალიდან ან ფრანგული ანბანური ჩამონათვალიდან.

მუხლი 2. კლასიფიკაციის სამართლებრივი მოქმედება და გამოყენება

(1) ამ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნების თანახმად, სპეციალური კავშირის თითოეულ ქვეყანაში კლასიფიკაცია მოქმედებს ისე, როგორც ამას დაადგენს ეს ქვეყანა. კერძოდ, კლასიფიკაცია არ ზღუდავს სპეციალური კავშირის ქვეყნებს არც ნებისმიერი ნიშნის დაცვის ფარგლების განსაზღვრაში და არც მომსახურების ნიშნის დაცვის ობიექტად აღიარებაში.

(2) სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყანა ინარჩუნებს უფლებას, გამოიყენოს კლასიფიკაცია როგორც ძირითად, ისე დამხმარე სისტემად.

(3) სპეციალური კავშირის ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში შეაქვთ კლასიფიკაციით განსაზღვრული იმ საქონლისა და მომსახურების შესაბამისი კლასების ნომრები, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ნიშანი.

(4) დაასახელების ანბანურ ჩამონათვალში შეტანის ფაქტი არანაირად არ მოქმედებს ნებისმიერ უფლებაზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს ამ დასახელებაზე.

მუხლი 3. ექსპერტთა კომისია

(1) ყალიბდება ექსპერტთა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილია სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყანა.

(2) (a) გენერალურ დირექტორს შეუძლია და, ექსპერტთა კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, ექსპერტთა კომისიის სხდომებზე დამკვირვებლის სტატუსით მოიწვიოს სპეციალური კავშირის არაწევრი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც არიან ორგანიზაციის წევრები ან სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მონაწილეები.
(b) გენერალური დირექტორი დამკვირვებლის სტატუსით იწვევს ექსპერტთა კომისიის

სხდომებზე იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც სპეციალიზებულია ნიშნების სფეროში და რომელთა წევრი ერთი ქვეყანა მაინც არის სპეციალური კავშირის ქვეყანა.
(c) გენერალურ დირექტორს შეუძლია და ექსპერტთა კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია მოიწვიოს სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ან არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მათთვის საინტერესო საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

(3) ექსპერტთა კომისია:

(i) ღებულობს გადაწყვეტილებას კლასიფიკაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
(ii) უგზავნის სპეციალური კავშირის ქვეყნებსრეკომენდაციებს კლასიფიკაციის გამოყენების გაადვილებისა და ერთნაირად გამოყენების მიზნით;
(iii) ღებულობს ყველა სხვა ზომას, რომელიც არ ახდენს ფინანსურ გავლენას სპეციალური კავშირის ან ორგანიზაციის ბიუჯეტზე და მიმართულია განვითარებადი ქვეყნების მიერ კლასიფიკაციის გამოყენების გაადვილებისაკენ;
(iv) უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს ქვეკომისიები და მუშა ჯგუფები.

(4) ექსპერტთა კომისია ღებულობს პროცედურის საკუთარ წესებს, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ექსპერტთა კომისიის ქვეკომისიებსა და მუშა ჯგუფებში მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტში მოხსენიებული იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობას, რომელთაც შეუძლიათ შეიტანონ არსებითი წვლილი კლასიფიკაციის განვითარების საქმეში.

(5) წინადადებები კლასიფიკაციაში ცვლილებებისშეტანისშესახებ შეიძლება წარადგინოს სპეციალური კავშირისნებისმიერი ქვეყნისკომპეტენტურმა უწყებამ, საერთაშორისო ბიურომ, ნებისმიერმა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც წარმოდგენილია ექსპერტთა კომისიაში მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტის შესაბამისად და ასეთი წინადადების განსახილველად წარმოდგენის მიზნით ექსპერტთა კომისიის მიერ სპეციალურად მოწვეულმა ნებისმიერმა ქვეყანამან ორგანიზაციამ. წინადადებებიეგზავნება საერთაშორისო ბიუროს, რომელიც განსახილველად წარუდგენს მათ ექსპერტთა კომისიის წევრებსა და დამკვირვებლებს არანაკლებ ორი თვით ადრე ექსპერტთა კომისიის სესიის დაწყებამდე, რომელზედაც განხილული უნდა იქნეს აღნიშნული წინადადებები.

(6) სპეციალური კავშირის თითოეულ ქვეყანას აქვს ერთი ხმა

(7) (a) ამ პუნქტის (b) ქვეპუნქტის დებულების გათვალისწინებით, ექსპერტთა კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სპეციალური კავშირის ქვეყნების ხმათა მარტივი უმრავლესობა.
(b) კლასიფიკაციაში შესწორების შეტანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სპეციალური კავშირის ქვეყნების ხმათა 4/5. „შესწორება” –ში იგულისხმება ერთი კლასიდან მეორე კლასში საქონლის გადატანა ან ახალი კლასის შექმნა.
(c) მე-4 პუნქტში მოხსენიებულ პროცედურის წესებში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, გათვალისწინებულია შესწორებების შეტანა კლასიფიკაციაში დადგენილი პერიოდების ბოლოს; თითოეული პერიოდის ხანგრძლივობას ადგენს ექსპრეტთა კომისია.

(8) მონაწილეთა რაოდენობა, რომელმაც კენჭისყრის დროს თავი შეიკავა, ხმების დათვლისას მხედველობაში არ მიღება.

მუხლი 4. შეტყობინება ცვლილების შესახებ, ცვლილებების ძალაში შესვლა და გამოქვეყნება

(1) საერთაშორისო ბიურო უგზავნის შეტყობინებას სპეციალური კავშირის ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს ექსპერტთა კომისიის მიერ მიღებული ცვლილებებისა და ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციების შესახებ. შესწორებები ძალაში შედის შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 6 თვის შემდეგ. ნებისმიერი სხვა ცვლილება ძალაში შედის ცვლილებების მიღების შემდეგ ექსპერტთა კომისიის მიერ დადგენილი თარიღიდან.

(2) ძალაში შესული ცვლილებები საერთაშორისო ბიურომ უნდა შეიტანოს კლასიფიკაციაში. ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში, რომლებსაც განსაზღვრავს მე–5 მუხლში მოხსენიებული ასამბლეა.

მუხლი 5. სპეციალური კავშირის ასამბლეა

(1) (a) სპეციალურ კავშირს ჰყავს ასამბლეა, რომელიც შედგება იმ ქვეყნებისაგან, რომელთაც მოახდინეს ამ აქტის რატიფიკაცია ან მიუერთდნენ მას.

(b) ყოველი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(c) დელეგაციის ხარჯებს თავისთავზე იღებს მისი წარმომდგენი მთავრობა.

(2) (a) მე–3 და მე–4 მუხლების დებულებების თანახმად ასამბლეა:

(i) იხილავს სპეციალური კავშირის შენახვასა და განვითარებასთან და ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს;

(ii) აძლევს მითითებებს საერთაშორისო ბიუროს კლასიფიკაციის გადასინჯვის მიზნით კონფერენციების მომზადების თაობაზე სპეციალური კავშირის იმ ქვეყნების შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიკაცია ან არ მიუერთდნენ მას;

(iii) მიმოიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის (შემდგომში – „გენერალური დირექტორი") სპეციალურ კავშირთან დაკავშირებულ ანგარიშსა და ქმედებებს და აძლევს მას ყველა აუცილებელ ინსტრუქციას სპეციალური კავშირის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე;

(iv) ადგენს სპეციალური კავშირის პროგრამას და ღებულობს ორწლიან ბიუჯეტს, ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;

(v) იღებს სპეციალური კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;

(vi) ქმნის, მე–3 მუხლში მოხსენიებულ ექსპერტთა კომისიის გარდა, ისეთ სხვა ექსპერტთა კომისიებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებიც აუცილებელია სპეციალური კავშირის მიზნების მისაღწევად;

(vii) განსაზღვრავს სპეციალური კავშირის რომელი არაწევრი ქვეყანა და სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს მის სხდომებზე დამკვირვებლის სტატუსით;

(viii) ღებულობს შესწორებებს 5–8 მუხლებში;

(ix) ასრულებს ყველა სხვა სათანადო ქმედებას, მიმართულს სპეციალური კავშირის შემდგომი მიზნების განხორციელებისაკენ;

(x) ასრულებს შეთანხმებიდან გამომდინარე სხვა ფუნქციებს.

(b) ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ ასამბლეა ღებულობს გადაწყვეტილებებს იმ საკითხებზე, რომლებიც, აგრეთვე, წარმოადგენენ ორგანიზაციის დაქვემდებარებული სხვა კავშირების ინტერესის საგანს.

(3) (a) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.
(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ნახევარი შეადგენს კვორუმს.
(c) მიუხედავად (b) ქვეპუნქტის დებულებისა, თუ რომელიმე სესიაზე წარდგენილი ქვეყნების რიცხვი ნაკლებია საერთო რაოდენობის ნახევარზე, მაგრამ ტოლია ან მეტი ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მესამედზე, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები ასამბლეის პროცედურულ წესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, მაგრამ ყველა ეს გადაწყვეტილება ძალაში შევა ქვემოთ მოყვანილი ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში, საერთაშორისო ბიურო უგზავნის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილნი სესიაზე, და სთავაზობს მათ გადაწყვეტილების გაგზავნის დღიდან სამი თვის ვადაში წერილობით გამოხატონ, მომხრე არიან ამ გადაწყვეტილების მიღებისა, წინააღმდეგი თუ თავი შეიკავეს. თუ ამ პერიოდის გასვლის მომენტისათვის იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც ასეთი სახით კენჭისყრაში მისცეს ხმა ან თავი შეიკავეს, მიაღწევს იმდენს, რამდენიც აკლდა კვორუმს თვით სესიაზე, გადაწყვეტილება ძალაში შედის იმ პირობით, თუ იმავდროულად მიღწეულია გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მოთხოვნილი უმრავლესობა.
(d) მე–8 მუხლის (2) პუნქტის დებულებების თანახმად, ასამბლეის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ორი მესამედი.
(e) იმ მონაწილეთა ხმები, რომლებმაც კენჭისყრისას თავი შეიკავეს, მხედველობაში არ მიიღება.
(f) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს მისი სახელით.
(g) სპეციალური კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, ასამბლეის სხდომებზე დაიშვებიან როგორც დამკირვებლები.

(4) (a) ასამბლეა იკრიბება რიგით სესიაზე ყოველ მეორე კალენდარულ წელს გენერალური დირექტორის მოწვევით და, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მისი მოწვევის დრო და ადგილი ემთხვევა გენერალური ასამბლეის მოწვევის დროსა და ადგილს.
(b) ასამბლეა იკრიბება რიგგარეშე სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით, თუ ამას ითხოვს ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედი.

(c) სესიის დღის წესრიგს ამზადებს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა ღებულობს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 6. საერთაშორისო ბიურო

(1) (a) სპეციალური კავშირის ადმინისტრაციულ ფუნქციებს ახორციელებს საერთაშორისო ბიურო.
(b) საერთაშორისო ბიურო, კერძოდ, ამზადებს სხდომებს და ასრულებს ასამბლეის, ექსპერტთა კომისიის ასამბლეისა და ექსპერტთა კომისიის მიერ შექმნილი სხვა კომისიების და მუშა ჯგუფების სამდივნოს ფუნქციებს.
(c) გენერალური დირექტორი არის სპეციალური კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და წარმოადგენს სპეციალურ კავშირს.

(2) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული ნებისმიერი თანამშრომელი მონაწილეობს

ხმის უფლების გარეშე ასამბლეის ექსპერტთა კომისიის, ასამბლეისა და ექსპერტთა კომისიის მიერ შექმნილი ექსპერტთა სხვა კომისიებისა და მუშა ჯგუფების სხდომებში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული ნებისმიერი თანამშრომელი ex officio არის ამ ორგანოების მდივანი.

(3) (a) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებით ამზადებს კონფერენციებს ამ შეთანხმების დებულებების გადასინჯვის მიზნით, გარდა 5-8 მუხლებისა.
(b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია გამართოს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებთან გადასინჯვის მიზნით კონფერენციების მომზადებასთან დაკავშირებით.
(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობენ ამ კონფერენციებზე გამართულ კამათში ხმის უფლების გარეშე.

(4) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა სხვა დავალებას.

მუხლი 7. ფინანსები

(1) (a) სპეციალურ კავშირს აქვს ბიუჯეტი.
(b) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ სპეციალური კავშირის შემოსავლებსა და ხარჯებს, მათ შენატანებს კავშირების საერთო ხარჯების ბიუჯეტში და, აგრეთვე, სათანადო შემთხვევებში გადარიცხვებს ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტში.
(e) ხარჯები, რომლებიც განეკუთვნება არა მხოლოდ სპეციალურ კავშირს, არამედ ერთ ან მეტ სხვა კავშირსაც, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს ორგანიზაცია, განიხილება, როგორც კავშირების საერთო ხარჯები. საერთო ხარჯებში სპეციალური კავშირის წილი შეესაბამება სპეციალური კავშირის დაინტერესებას ამ ხარჯების მიმართ.

(2) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი დგინდება იმ კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინირების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს ორგანიზაცია.

(3) სპეციალური კავშირის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია:

(i) სპეციალური კავშირის წევრი ქვეყნების საწევრო შენატანები;
(ii) საფასურები და გადასახადები საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან დაკავშირებით გაწეული მომსახურებისათვის;
(iii) შემოსავლები ან ანარიცხები, მიღებული სპეციალურ კავშირთა დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს პუბლიკაციების გაყიდვით ან ამ პუბლიკაციაზე უფლების მინიჭებით;
(iv) შემოწირულობები, ნაანდერძები სახსრები და სუბსიდიები;
(v) შემოსავალი უძრავი ქონებიდან, პროცენტები და სხვა შემოსავლები.

(4) (a) მე-3 პუნქტის (i) ქვეპუნქტში მოხსენიებული საწევრო შენატანის დასადგენად სპეციალური კავშირის თითოეულ ქვეყანას აკუთვნებენ იმავე კლასს, რომელსაც იგი ეკუთვნის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირში და იხდის კუთვნილ წლიურ საწევრო შენატანს ამ კავშირის მოცემული კლასისათვის დადგენილი ერთეულების რაოდენობის მიხედვით.
(b) სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყნის წლიური საწევრო შენატანის რაოდენობა იმავე თანაფარდობაში უნდა იყოს სპეციალური კავშირის ბიუჯეტში ყველა ქვეყნის საწევრო შენატანების ჯამთან, როგორ თანაფარდობაშიცაა მათთვის დადგენილი ერთეულების რაოდენობა გადამხდელი ქვეყნების ერთეულების ჯამთან.

(c) საწევრო შენატანების ჩარიცხვა ხდება ყოველი წლის პირველი იანვრიდან.
(d) ქვეყანა, რომელსაც აქვს საწევრო შენატანის დავალიანება, ვერ გამოიყენებს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას სპეციალური კავშირის ნებისმიერ ორგანოში, თუ მისი დავალიანების სიდიდე ტოლია ან მეტი მისი ბოლო ორი სრული წლის საწევრო შენატანის რაოდენობაზე. ამასთან, სპეციალური კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია დართოს ნება ასეთ ქვეყანას გააგრძელოს ხმის უფლებით სარგებლობა ამ ორგანოში, თუ და ვიდრე სრულდება პირობა, რომ გადახდის დაგვიანება გამოწვეულია განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებებით.
(e) თუ ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დასაწყისისათვის, იგი რჩება წინა წლის ბიუჯეტის დონეზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ფინანსური რეგლამენტით.

(5) საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების საფასურებისა და გადასახადების სიდიდეს ადგენს გენერალური დირექტორი და აცნობებს ასამბლეას.

(6)(a) სპეციალურ კავშირს აქვს საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც დგება სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყნის მიერ გადახდილი ერთჯერადი გადასახადებისაგან. თუ ფონდს სახსრები გახდება არასაკმარისი, ასამბლეა ღებულობს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.
(b) ზემოხსენებულ ფონდში თითოეული ქვეყნის მიერ გადახდილი თანხა ან ამ ფონდის გაზრდაში მისი წილი პროპორციულია ამ ქვეყნის იმ წლის საწევრო შენატანისა, როდესაც ფონდი დაარსდა ან როდესაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ.
(e) პროპორციულობის კოეფიციენტსა და გადახდის პირობებს განსაზღვრავს ასამბლეა გენერალური დირექტორის რეკომენდაციით ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

7. (a) შეთანხმება შტაბ–ბინის შესახებ, დადებული ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ–ბინა, ითვალისწინებს, რომ ყოველთვის, როდესაც საბრუნავი სახსრების ფონდი არ არის საკმარისი, ასეთი ქვეყანა გასცემს სესხს. სესხის სიდიდე და მისი გაცემის პირობები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არის ამ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის დადებული ცალკე შეთანხმების საგანი.
(b) ქვეყანას, რომელიც მოხსენიებულია ამ პუნქტის (a) ქვეპუნქტში, და ორგანიზაციას უფლება აქვთ წერილობითი შეტყობინებით მოახდინონ სესხის გაცემის ვალდებულების დენონსაცია. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის გასვლიდან, როდესაც გაკეთდა შეტყობინება.

(8) საბუღალტრო აუდიტი ხორციელდება სპეციალური კავშირის ერთი ან მეტი ქვეყნის ან გარეშე აუდიტორების მიერ, როგორც ამას ითვალისწინებს ფინანსური რეგლამენტი. აუდიტორებს ნიშნავს ასამბლეა მათი თანხმობით.

მუხლი 8. შესწორებების შეტანა მუხლებში 5-8

(1) წინადადებები მე–5, მე–6, მე–7 და ამ მუხლში შესწორებების შეტანის შესახებ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ასამბლეის წევრი ნებისმიერი ქვეყნის ან გენერალური დირექტორის მიერ. ასეთ წინადადებას გენერალური დირექტორი უგზავნის ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეაზე განხილვამდე სულ მცირე 6 თვით ადრე.

(2) ამ მუხლის (1) პუნქტში მოხსენიებულ მუხლებში შესწორებებს ღებულობს ასამბლეა. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების სამი მეოთხედი.

ამასთან, მე-5 მუხლსა და ამ პუნქტში ნებისმიერი შესწორების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ოთხი მეხუთედი.

(3) ამ მუხლის (1) პუნქტში მოხსენიებული მუხლების ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ თარიღიდან, როდესაც გენერალურ დირექტორს ჩაბარდება ამ თარიღისათვის ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის 3/4-ის წერილობითი შეტყობინებები თითოეული ქვეყნის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად ზემოხსენებული შესწორებების მიღების შესახებ. ზემოხსენებულ მუხლებში ასეთი წესით მიღებული ნებისმიერი შესწორება სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც შესწორების ძალაში შესვლის თარიღისათვის არის ასამბლეის წევრი ან რომელიც წევრი გახდა ამ თარიღის შემდეგ. ამასთან, ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის სპეციალური კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც განაცხადეს ასეთი შესწორების მიღების შესახებ.

მუხლი 9. რატიფიკაცია და მიერთება; ძალაში შესვლა

(1) სპეციალური კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიცირება და, თუ არა აქვს ხელი მოწერილი, მასთან მიერთება.

(2) სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მონაწილე ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის სპეციალური კავშირის წევრი, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და, ამრიგად , გახდეს სპეციალური კავშირის ქვეყანა.

(3) დოკუმენტები რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ ინახება გენერალურ დირექტორთან.

(4)(a) ეს აქტი ძალაში შედის შემდეგი ორი პირობის შესრულებიდან სამი თვის შემდეგ:
- (i) ექვსი ან მეტი ქვეყანა ჩააბარებს დოკუმენტებს რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ; და
- (ii) ამ ქვეყნებიდან სამი მაინც არის სპეციალური კავშირის ქვეყანა იმ თარიღისათვის, როდესაც აქტი ღიაა ხელმოსაწერად.

(b) ამ პუნქტის (a) ქვეპუნქტში მოხსენიებული ძალაში შესვლა ეხება იმ ქვეყნებს, რომლებმაც ძალაში შესვლის თარიღამდე სულ მცირე სამი თვით ადრე ჩააბარეს დოკუმენტები რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ.

(c) ნებისმიერ იმ ქვეყნისათვის, რომელსაც არ ეხება (b) ქვეპუნქტი, ეს აქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალურმა დირექტორმა გააკეთა შეტყობინება ამ ქვეყნის მიერ რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ, თუ რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტებში არ იყო მითითებული უფრო გვიანდელი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს აქტი მოცემული ქვეყნისათვის ძალაში შევა ასეთნაირად მითითებული თარიღიდან.

(5) რატიფიკაციას ან მიერთებას ავტომატურად მოსდევს ამ აქტით დადგენილი ყველა დებულების ცნობა და ყველა უპირატესობით სარგებლობა.

(6) ამ აქტის ძალაში შესვლის შემდეგ არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მოახდინოს რატიფიკაცია ან მიუერთდეს ამ შეთანხმების ნებისმიერ ადრინდელ
აქტს.

მუხლი 10. მოქმედების ვადა

ამ შეთანხმებას აქვს მოქმედების ვადა, რაც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას.

მუხლი 11. გადასინჯვა

(1) ეს შეთანხმება შეიძლება გადაისინჯოს დროდადრო სპეციალური კავშირის ქვეყნების კონფერენციის მიერ.

(2) გადაწყვეტილებას გადასინჯვის კონფერენციის მოწვევის შესახებ ღებულობს ასამბლეა.

(3) მუხლები 5–8 შეიძლება შესწორდეს ან გადაისინჯოს კონფერენციის მიერ ან მე–8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12. დენონსაცია

(1) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორის სახეზე შეტყობინების გაგზავნით. ასეთი დენონსაცია ამ ქვეყნისათვის, აგრეთვე, აუქმებს ამ შეთანხმების ყველა ადრინდელ აქტს ან აქტებს, რომელთა რატიფიკაციაც მოახდინა ან მიუერთდა ამ აქტის დენონსაციის განმახორციელებელი ქვეყანა. ასეთი დენონსაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც იგი განახორციელა, რაც შეეხება სპეციალური კავშირის ყველა დანარჩენ ქვეყანას, მათთვის შეთანხმება მთლიანად რჩება ძალაში და სავალდებულოა შესასრულებლად.

(2) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიიღებს დღიდან ერთ წლის შემდეგ.

(3) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლების გამოყენება არ შეიძლება ქვეყნის სპეციალური კავშირის ქვეყანად გახდომის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

მუხლი 13. მითითება პარიზის კონვენციის 24-ე მუხლზე

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 1967 წლის სტოკჰოლმის აქტის 24–ე მუხლის დებულებები გამოიყენება ამ შეთანხმებაში იმ პირობით, რომ, თუ მომავალში ეს დებულებები შეიცვლება, უკანასკნელი ცვლილება გამოიყენება სპეციალური კავშირის იმ ქვეყნების მიმართ, რომელთაც აღიარეს ეს ცვლილებები.

მუხლი 14. ხელმოწერა; ენები; დეპოზიტარის ფუნქციები

(1) (a) ხელმოწერა უნდა გაკეთდეს ამ აქტის ერთ ორიგინალ–ეგზემპლარზე, რომელიც დაბეჭდილია ინგლისურ და ფრანგულ ენაზე; ორივე ტექსტი თანაბარავთენტიკურია და ინახება გენერალურ დირექტორთან.
(b) ამ აქტის ოფიციალურ ტექსტს ორ სხვა, რუსულ და ესპანურ ენებზე, რომლებზეც (a) ქვეპუნქტში მოხსენიებულ ენებთან ერთად იყო ხელმოწერილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის ავთენტიკური ტექსტები, ადგენს გენერალური დირექტორი დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ ამ აქტის ხელმოწერის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.
(c) ამ აქტის ოფიციალურ ტექსტებს არაბულ, გერმანულ, იტალიურ და პორტუგალიურ და ასამბლეის მიერ განსაზღვრულ სხვა ენებზე ადგენს გენერალური დირექტორი დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1977 წლის 31 დეკემბრამდე.

(3) (a) გენერალური დირექტორი უგზავნის ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის მის მიერ დამოწმებულ ორ ასლს სპეციალური კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას და, მოთხოვნის

შემთხვევაში, სხვა ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას.
(b) გენერალური დირექტორი უგზავნის ამ აქტის ნებისმიერი შესწორების მის მიერ დამოწმებულ ორ ეგზემპლარს, სპეციალური კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას და, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალურმა დირექტორმა უნდა მოახდინოს ამ აქტის რეგისტრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი აუწყებს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობას:

(i) ხელმოწერების შესახებ (1) პუნქტის თანახმად;
(ii) რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტების შენახვის შესახებ მე- 9 მუხლის (3) პუნქტის თანახმად;
(iii) ამ აქტის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ მე-9 მუხლის (4) (a) ქვეპუნქტის თანახმად;
(iv) ამ აქტში შეტანილი შესწორებების მიღების შესახებ მე-8 მუხლის (3) პუნქტის თანახმად;
(v) ასეთი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღების შესახებ;
(vi) დენონსაციის თაობაზე შეტყობინების მიღების შესახებ მე-12 მუხლის თანახმად.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტი

შესავალი დებულებები

თავი I
საერთაშორისო განცხადებები და საერთაშორისო რეგისტრაცია

მუხლი 1. შემოკლებული გამოთქმები

ამ აქტის მიზნებისათვის:
(I) „ჰააგის შეთანხმება“ ნიშნავს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისი დეპონირების ჰააგის შეთანხმებას, რომელსაც შემდგომ დაერქვა სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმება;
(II) „ეს აქტი ნიშნავს ჰააგის შეთანხმებას, რომელიც დადებულია ამ აქტით;
(III) „ინსტრუქცია“ ნიშნავს ინსტრუქციას ამ აქტის შესაბამისად;
(IV) „დადგენილი“ ნიშნავს ინსტრუქციით დადგენილს;
(V) „პარიზის კონვენცია„ნიშნავს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას, რომელსაც ხელი მოაწერეს პარიზში 1883 წლის 20 მარტს, გადასინჯული და შეცვლილი სახით;
(VI) „საერთაშორისო რეგისტრაცია“ ნიშნავს სამრეწველო ნიმუშის ამ აქტის შესაბამისად განხორციელებულ საერთაშორისო რეგისტრაციას„;
(VII) „საერთაშორისო განაცხადი“ ნისნავს განაცხადს საერთაშორისო რეგისტრაციისათვის;
(VIII) „საერთაშორისო რეესტრი“ ნიშნავს საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მონაცემთა ოფიციალურ კრებულს, რომელსაც აწარმოებს საერთაშორისო ბიურო, რომელ მონაცემებსაც ეს აქტი ან ინსტრუქცია მოითხოვს ან ნებას რთავს იყოს შეტანილი, იმ საშუალების მიუხედავად, სადაც ეს მონაცემებია მოთავსებული;
(IX) „პირი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;
(X) „განმცხადებელი“ ნიშნავს პირს, რომლის სახელითაც არის შეტანილი საერთაშორისო განაცხადი;
(XI) „მფლობელი“ ნიშნავს პირს, რომლის სახელითაც არის საერთაშორისო რეგისტრაცია განხორციელებილი საერთაშორისო რეესტრში;
(XII) „სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია“ ნიშნავს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც უფლება აქვს გახდეს წინამდებარე აქტის მხარე 27-ე მუხლის (1) პუნქტის (II) ქვეპუნქტის შესაბამისად.
(XIII) „მონაწილე მხარე“ ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფოს ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ამ აქტის მხარეა;
(XIV) „განმცხადებლის მონაწილე მხარე“ ნიშნავს მონაწილე მხარეს, ან მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთს, რომლისგანაც განმცხადებელი იღებს უფლებამოსილებას, შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი მე-3 მუხლით განსაზღვრული პირობებიდან სულ მცირე ერთის დაკმაყოფილების საშუალებით იმ მონაწილე მხარის მიმართ; როდესაც არსებობს ორი ან მეტი მონაწილე მხარე, რომელთაგან განმცხადებელს მე-3 მუხლის შესაბამისად შეუძლია მიიღოს უფლებამოსილება, შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი, „განმცხადებლის მონაწილე მხარე“ ნიშნავს მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთს, რომელიც აღნიშნულია საერთაშორისო განაცხადში;

(XV) „მონაწილე მხარის ტერიტორია“ ნიშნავს იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილე მხარე სახელმწიფოა, იმ სახელმწიფოს ტერიტორიას და როდესაც მონაწილე მხარე არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია _ ტერიტორიას, სადაც მოქმედებს ამ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება;
(XVI) „უწყება“ ნიშნავს სააგენტოს, რომელსაც მონაწილე მხარის მიერ დაკისრებული აქვს სამრეწველო ნიმუშებისათვის ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მოქმედი დაცვის მინიჭება;
(XVII) „ექსპერტიზის განმახორციელებელი უწყება“ ნიშნავს უწყებას, რომელიც ex officio ატარებს ამ უწყებაში შეტანილი განაცხადების ექსპერტიზას სულ მცირე იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა სამრეწველო ნიმუში სიახლის მოთხოვნას;
(XVIII) „მითითება“ ნიშნავს მოთხოვნას, რომ საერთაშორისო რეგისტარაციას ჰქონდეს მოქმედება მონაწილე მხარის ტერიტორიაზე; იგი აგრეთვე ნიშნავს ამ მოთხოვნის შეტანას საერთაშორისო რეესტრში;
(XIX) ‘’მითითებული მონაწილე მხარე“ და ‘’მითითებული უწყება“ ნიშნავს მონაწილე მხარეს და შესაბამისად მონაწილე მხარის უწყებას, რომელსაც ეს მითითება შეეხება;
(XX) „1934 წლის აქტი“ ნიშნავს ჰააგის შეთანხმების აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს ლონდონში 1934 წლის 2 ივნისს;
(XXI) „1960 წლის აქტი“ ნიშნავს ჰააგის შეთანხმების აქტს. რომელსაც ხელი მოაწერეს ჰააგაში 1960 წლის 28 ნოემბერს;
(XXII) „1961 წლის დამატებითი აქტი“ ნიშნავს 1934 წლის დამატებით აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს მონაკოში 1961 წლის 18 ნოემბერს;
(XXIII) „1967 წლის შემვსები აქტი“ ნიშნავს ჰააგის შეთანხმების შემვსებ შესწორებულ აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს;
(XXIV) „კავშირი“ ნიშნავს ჰააგის კავშირს, რომელიც დაარსდა 1925 წლის 6 ნოემბრის ჰააგის შეთანხმებით და შენარჩუნებულია 1934 და 1960 წლის აქტებით, 1961 წლის დამატებითი აქტებით, 1967 წლის შემვსები აქტით და წინამდებარე აქტით;
(XXV) „ასამბლეა“ ნიშნავს ასამბლეას, რომელიც მითითებულია 21–ე მუხლის (1) (ა) პუნქტით, ან ნებისმიერ ორგანოს, რომელიც ამ ასამბლეას ცვლის;
(XXVI) ‘’ორგანიზაცია“ ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას;
(XXVII) „გენერალური დირექტორი“ ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს;
(XXVIII) ‘’საერთაშორისო ბიურო“ ნიშნავს ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს;
(XXIX) „რატიფიკაციის სამართლებრივი აქტები“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც მიღების ან დამტკიცების სამართლებრივი დოკუმენტების შემცველი.

მუხლი 2. მონაწილე მხარეების და განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებების მიერ მინიჭებული სხვა დაცვის გამოყენება

(1) [მონაწილე მხარეების კანონები და განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებები] ამ აქტის დებულებები გავლენას არ ახდენს ნებისმიერ მეტ დაცვაზე, რომელიც შეიძლება მინიჭებული იქნეს მონაწილე მხარის კანაონით, ისინი აგრეთვე არანაირ გავლენას არ ახდენენ მხატვრული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის საერთაშორისო საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებებითა და კონვენციებით მინიჭებულ დაცვაზე, ან სამრეწველო ნიმუშებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შეთანხმებით, რომელიც თან ერთვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელ შეთანხმებას, მინიჭებულ დაცვაზე.

(2) [პარიზის კონვენციასთან შესაბამისობის ვალდებულება]თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა დააკმაყოფილოს პარიზის კონვენციის ის დებულებები, რომლებიც ეხება სამრეწველო ნიმუშებს.

მუხლი 3. საერთაშორისო განაცხადის შეტანის უფლებამოსილება
ნებისმიერ პირს, რომრლიც არის მონაწილე მხარე სახელმწიფოს, ან მონაწილე მხარე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, ან აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, ენიჭება უფლება შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი.

მუხლი 4. საერთაშორისო განაცხადის შეტანის პროცედურა
(1) [პირდაპირი ან არაპირდაპირი შეტანა]
(ა) საერთაშორისო განაცხადის შეტანა შესაძლებელია, განმცხადებლის არჩევანის მიხედვით ან პირდაპირ საერთაშორისო ბიუროში, ან განმცხადებლის მონაწილე მხარის უწყების საშუალებით.
(ბ) (ა) ქვეპუნქტის მიუხედავათ, ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ განაცხადები შეიძლება არ იქნეს შეტანილი მისი უწყების მეშვეობით.

(2) [გადაგზავნის საფასური არაპირდაპირი შეტანის შემთხვევაში]ნებისმიერი მონაწილე მხარის უწყებას შეუძლია მოითხოვოს, რომ განმცხადებელმა მის სასარგებლოდ გადაიხადოს ამ უწყების საშუალებით შეტანილი ნებისმიერი საერთაშორისო განაცხადის გადაგზავნის საფასური.

მუხლი 5. საერთაშორისო განაცხადის შედგენილობა
(1) [საერთაშორისო განაცხადის სავალდებულო შედგენილობა]საერთაშორისო განაცხადი სრულდება დადგენილ ენაზე, ან დადგენილი ენებიდან ერთ–ერთზე და შეიცავს ან თან ერთვის შემდეგი:
(I) განცხადება საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ამ აქტის შესაბამისად;
(II) დადგენილი მონაცემები განმცხადებლის შესახებ;
(III) გამოსახულების ასლების დადგენილი რაოდენობა, ან გამცხადებლის არჩევით რამდენიმე სხვადასხვა გამოსახულება სამრეწველო ნიმუშისა, რომელიც წარმოადგენს დადგენილი წესით წარდგენილი საერთაშორისო განაცხადის საგანს; მაგრამ, როდესაც სამრეწველო ნიმუში ორგანზომილებიანია და მოთხოვნა გამოქვეყნების გადადებაზე შესრულებულია მე–(5) პუნქტის შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადს გამოსახულების ნაცვლად შეიძლება თან დაერთოს სამრეწველო ნიმუშის ნიმუშების დადგენილი რაოდენობა;
(IV) დადგენილი წესის შესაბამისად ნაკეთობის ან ნაკეთობების აღნიშვნა, რომელიც შეადგენს სამრეწველო ნიმუშს, ან რომლებთან დაკავშირებითაც სამრეწველო ნიმუში უნდა იქნეს გამოყენებული;
(V) მითითებული მონაწილე მხარეების აღნიშვნა;
(VI) დადგენილი საფასურები;
(VII) ნებისმიერი სხვა დადგენილი მონაცემები.

(2) [საერთაშორისო განაცხადის დამატებითი სავალდებულო შედგენილობა]
(ა) ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომლის უწყება ახორციელებს ექსპერტიზას და რომლის კანონი, ამ აქტის მისი მხარედ გახდომის დროს, მოითხოვს, რომ განაცხადი სამრეწველო ნიმუშისათვის დაცვის მინიჭების თაობაზე შეიცავდეს (ბ) ქვეპუნქტში განსაზღვრული

ელემენტებიდან ნებისმიერს, რათა ამ განაცხადს მიენიჭოს შეტანის თარიღი მისი კანონის შესაბამისად, შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს ამ ელემენტების შესახებ.

(ბ) ელემენტები, რომელთა შესახებ შეიძლება შეტყობინება (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, შემდეგია;

(I) მონაცემები იმ სამრეწველო ნიმუშის შემქმნელის ვინაობის შესახებ, რომელიც ამ განაცხადის საგანია;

(II) გამოსახულების, ან დამახასიათებელი ნიშნების მოკლე აღწერა იმ სამრეწველო ნიმუშისა, რომელიც ამ განაცხადის საგანია;

(III) დაცვის ფარგლების მოთხოვნა.

(გ) როდესაც საერთაშორისო განაცხადი შეიცავს მონაწილე მხარის მითითებას, რომელმაც განახორციელა შეტყობინება (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, იგი აგრეთვე დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეიცავდეს ნებისმიერ ელემენტს, რომელიც ასეთი შეტყობინების საგანი იყო.

(3) [საერთაშორისო განაცხადის სხვა შესაძლო შედგენილობა] საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს ან თან ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული ელემენტები.

(4) [რამდენიმე სამრეწველო ნიმუში ერთ და იმავე საერთაშორისო განაცხადში]ისეთი პირობებიდან გამომდინარე, რომლებიც შეიძლება დადგენილი იქნეს, საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს ორ ან მეტ სამრეწველო ნიმუშს.

(5) [გადადებული გამოქვეყნების მოთხოვნა]საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს გამოქვეყნების გადადების მოთხოვნას.

მუხლი 6. პრიორიტეტი

(1) [პრიორიტეტის მოთხოვნა]

(ა) საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს განცხადებას, პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად, ერთი ან მეტი ადრინდელი განაცხადის მიხედვით პრიორიტეტის მოთხოვნით, რომელიც შეტანილი იყო ნებისმიერ ქვეყანაში ან ქვეყნისათვის, რომელიც ამ კონვენციის მხარეა ან მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრია.

(ბ) ინსტრუქციით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ (ა) ქვეპარაგრაფში აღნიშნული განცხადება შეიძლება გაკეთდეს საერთაშორისო განაცხადის შეტანის შემდეგ. ამ შემთხვევაში ინსტრუქცია ადგენს ასეთი განცხადების გაკეთების დასაშვებ ბოლო ვადას.

(2) [საერთაშორისო განაცხადი, რომელიც პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს] საერთაშორისო განაცხადი მისი შეტანის თარიღიდან და მისი შემდგომი ბედის მიუხედავად, პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის მნიშვნელობის მიხედვით ჩვეულებრივად შეტანილი განცხადების ტოლფასია.

მუხლი 7. მითითების საფასურები

(1) [მითითების დადგენილი საფასური] მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, დადგენილი საფასურები თითოეული მითითებული მონაწილე მხარისათვის უნდა შეიცავდეს მითითების საფასურს.

(2) [მითითების ინდივიდუალური საფასური] ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომლის უწყება არის ექსპერტიზის გამახორციელებელი უწყება და ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომელიც

არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ნებისმიერ საერთაშორისო განაცხადთან დაკავშირებით, რომელშიც იგი არის მითითებული, და ასეთი საერთაშორისო განაცხადიდან გამომდინარე ნებისმიერ საერთაშორისო რეგისტრაციის განახლებასთან დაკავშირებით, (1) პუნქტში აღნიშნული მითითების დადგენილი საფასური შეიცვლება მითითების ინდივიდუალური საფასურით, რომლის ოდენობა აღინიშნება განცხადებაში და შეიძლება შეიცვალოს შემდეგ განცხადებებში. აღნიშნული ოდენობა შეიძლება დაფიქსირდეს აღნიშნული მონაწილე მხარის მიერ დაცვის საწყისი ვადისათვის და განახლების თითოეული ვადისათვის, ან დაცვის მაქსიმალური პერიოდისათვის, რომელიც ნებადართულია შესაბამისი მონაწილე მხარის მიერ. მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს იმ ოდენობის ეკვივალენტზე მეტი, რომლის მიღების უფლება აქვს მონაწილე მხარის უწყებას განმცხადებლისაგან იმავე პერიოდით იმავე რაოდენობის სამრეწველო ნიმუშებისათვის დაცვის მისანიჭებლად. ეს ოდენობა შეიძლება შემცირდეს საერთაშორისო პროცედურით განპირობებული დანაზოგებით.

(3) [მითითების საფასურის გადაგზავნა] (1) და (2) პუნქტებში აღნიშნული მითითების საფასური საერთაშორისო ბიუროს მიერ გადაეგზავნება მონაწილე მხარეებს, რომლებისათვისაც ეს საფასური იქნა გადახდილი.

მუხლი 8. უსწორობათა გასწორება

(1) [საერთაშორისო განაცხადის ექსპერტიზა] თუ საერთაშორისო ბიურო აღმოაჩენს, რომ საერთაშორისო განაცხადი, მისი საერთაშორისო ბიუროს მიერ მიღებისას არ აკმაყოფილებს ამ აქტის და ინსტრუქციის მოთხოვნებს, მან უნდა შესთავაზოს განმცხადებელს შეიტანოს მოთხოვნილი შესწორებები დადგენილი დროის ფარგლებში

(2) [უსწორობები, რომლებიც არ იქნა გასწორებული] (ა) თუ განმცხადებელი არ დააკმაყოფილებს შეთავაზებას დადგენილი დროის ფარგლებში, საერთაშორისო განაცხადი, (ბ) ქვეპარაგრაფიდან გამომდინარე, უარყოფილად ჩაითვლება.
(ბ) უსწორობის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია მე-5 მუხლის მე-(2) პუნქტთან, ან ინსტრუქციის შესაბამისად მონაწილე მხარის მიერ გენერალური დირექტორისათვის შეტყობინებულ სპეციალურ მოთხოვნასთან, მიჩნეული იქნება, რომ საერთაშორისო განაცხადი არ შეიცავს ამ მონაწილე მხარის მითითებას, თუ განმცხადებელი არ დააკმაყოფილებს შეთავაზებას დადგენილი დროის ფარგლებში.

მუხლი 9. საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი

(1) [პირდაპირ შეტანილი საერთაშორისო განაცხადი] როდესაც საერთაშორისო განაცხადის შეტანა საერთაშორისო ბიუროში პირდაპირ ხორციელდება, შეტანის თარიღი, მე-(3) პუნქტიდან გამომდინარე, უნდა იყოს თარიღი, როდესაც საერთაშორისო ბიურომ მიიღო ეს განაცხადი.

(2) [არაპირდაპირი შეტანილი განაცხადი]როდესაც საერთაშორისო განაცხადის შეტანა ხორციელდება განმცხადებლის მონაწილე მხარის უწყების მიერ, შეტანის თარიღი განისაზღვრება დადგენილი წესის შესაბამისად.

(3) [საერთაშორისო განაცხადი გარკვეული უსწორობებით] როდესაც საერთაშორისო განაცხადს იმ თარიღით, როდესაც იგი მიიღო საერთაშორისო ბიურომ, აქვს უსწორობა, რომელიც მიჩნეულია საერთაშორისო განაცხადის თარიღის გადატანის გამომწვევ უსწორობად, შეტანის თარიღი არის ის თარიღი, როდესაც საერთაშორისო ბიურო იღებს ასეთ უსწორობის შესწორებას.

მუხლი 10[1]. საერთაშორისო რეგისტრაცია, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი, გამოქვეყნება და საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემების კონფიდენციალური ასლები

(1) [საერთაშორისო რეგისტრაცია]საერთაშორისო ბიურო ახორციელებს თითოეული სამრეწველო ნიმუშის, რომელიც საერთაშორისო განაცხადის საგანია, რეგისტრაციას მის მიერ საერთაშორისო განაცხადის მიღებისთანავე, ან თუ შეთავაზებულია შესწორებები მე-8 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი შესწორებების მიღებისთანავე. რეგისტრაცია განხორციელდება იმისდა მიუხედავად გადადებულია თუ არა გამოქვეყნება მე-11 მუხლის თანახმად.

(2) [საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი] (ა) (ბ) ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი არის საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი.
(ბ) როდესაც საერთაშორისო განაცხადს იმ თარიღით, როდესაც იგი მიიღო საერთაშორისო ბიურომ, აქვს უსწორობა, რომელიც დაკავშირებულია მე-5 მუხლის მე-(2) პუნქტთან, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საერთაშორისო ბიურო იღებს ასეთი უსწორობის შესწორებას, ან საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი, იმისდა მიხედვით რომელიც უფრო გვიანდელია.

(3) [გამოქვეყნება] (ა) მონაცემები საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს მიერ. ასეთი გამოქვეყნება ყველა მონაწილე მხარისათვის საკმარისი საჯაროობის მქონედ ითვლება და მფლობელმა არ უნდა მოითხოვოს არანაირი სხვა საჯაროობა.
(ბ) საერთაშორისო ბიურო უგზავნის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ გამოქვეყნებული მასალის ასლს თითოეულ მითითებულ უწყებას.

(4) [კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა გამოქვეყნების წინ] მე-(5) პუნქტიდან და მე-11 მუხლის მე-(4) პუნქტის (ბ) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საერთაშორისო ბიურო თითოეული საერთაშირისო განაცხადისა და თითოეული საერთაშორისო რეგისტრაციისათვის იცავს კონფიდენციალურობას გამოქვეყნებამდე.

(5) [კონფიდენციალური ასლები] (ა) საერთაშორისო ბიურო რეგისტრაციის შემდეგ დაუყოვნებლივ უგზავნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემების ასლს საერთაშორისო განაცხადზე თანდართული ნებისმიერი შესაბამისი განცხადებით, დოკუმენტით ან ნიმუშით, თითოეულ უწყებას, რომელმაც შეატყობინა საერთაშორისო ბიუროს, რომ მას სურს მიიღოს ასეთი ასლი და მითითებული იყო საერთაშორისო განაცხადში.
(ბ) უწყებამ, საერთაშორისო ბიუროს მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე, უნდა დაიცვას თითოეული საერთაშორისო რეგისტრაციის კონფიდენციალურობა, რომლის ასლი გაუგზავნა მას საერთაშორისო ბიურომ და შეუძლია ამ ასლის გამოყენება საერთაშორისო რეგისტრაციის და სამრეწველო ნიმუშების დაცვაზე განაცხადების ექსპერტიზისათვის მონაწილე მხარის მიერ ან მხარისათვის, რომლისთვისაც ეს უწყება უფლებამოსილია. კერძოდ, მას შეუძლია არ გაუმხილოს ასეთი საერთაშორისო რეგისტრაციის შინაარსი უწყების გარეთ ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის ამ საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციული და იურიდიული პროცესი შეეხება საერთაშორისო განაცხადის, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველს, შეტანის უფლებამოსილების შესახებ დავას. ასეთი ადმინისტრაციული და იურიდიული პროცესის შემთხვევაში, საერთაშორისო რეგისტრაციის

[1] როდესაც იღებდა მე-10 მუხლს დიპლომატიურ კონფერენციას ესმოდა, რომ არაფერი ამ მუხლში განმცხადებლისათვის, ან მფლობელისთვის, ან პირისათვის, რომელსაც განმცხადებლის, ან მფლობელის თანხმობა აქვს, არ აბრკოლებს საერთაშორისო განაცხადის ან საერთაშორისო რეგისტრაციის ხელმისაწვდომობას.

შინაარსი შეიძლება კონფიდენციალურად გააცნონ პროცესის მონაწილე მხარეებს, რომლებიც ვალდებული არიან პატივი სცენ ასეთ კონფიდენციალურობას.

მუხლი 11. გამოქვეყნების გადადება

(1) [მონაწილე მხარეების კანონების დებულებები, რომლებიც შეეხება გამოქვეყნების გადადებას] (ა) როდესაც მონაწილე მხარის კანონი ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშის გადადებას პერიოდით, რომელიც ნაკლებია დადგენილ პერიოდზე, ამ მონაწილემ მხარემ უნდა განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს გადადების ნებადართული პერიოდის შესახებ.
(ბ) როდესაც მონაწილე მხარის კანონი არ ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშის გამოქვეყნების გადადებას, მონაწილე მხარემ ამ ფაქტის შესახებ უნდა შეატყობინოს განცხადებით გენერალურ დირეტორს.

(2) [გამოქვეყნების გადადება] როდესაც საერთაშორისო განაცხადი შეიცავს მოთხოვნას გამოქვეყნების გადადების შესახებ, გამოქვეყნება ხორციელდება, (I) დადგენილი პერიოდის გასვლისას, როდესაც საერთაშორისო განაცხადში მითითებულ არც ერთ მონაწილე მხარეს არ გაუკეთებია განცხადება (1) პუნქტის შესაბამისად, ან (II) როდესაც საერთაშორისო განაცხადში მითითებულ ნებისმიერ მონაწილე მხარეს გაკეთებული აქვს განცხადება (1) პუნქტის (ა) ქვეპუნქტების შესაბამისად, ამ განცხადებით შეტყობინებული პერიოდის გასვლისას, ან როდესა ერთზე მეტი ასეთი მითითებული მონაწილე მხარეა, მათი განცხადებებით შეტყობინებული უმოკლესი პერიოდის გასვლისას.

(3) [გადადების მოთხოვნების რეჟიმი, როდესაც გადადება შეუძლებელია მოქმედი კანონით] როდესაც მოთხოვნილია გამოქვეყნების გადადება და საერთაშორისო განაცხადში მითითებულ ნებისმიერ მონაწილე მხარეს (1) პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად გაკეთებული აქვს განცხადება, რომ გამოქვეყნების გადადება მისი კანონით შეუძლებელია, (I) მე-(II) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საერთაშორისო ბიურო ატყობინებს განმცხადებელს შესაბამისად; თუ დადგენილი პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელმა საერთაშორისო ბიუროსათვის წერილობითი შეტყობინებით არ ამოიღო აღნიშნული მონაწილე მხარის მითითება, საერთაშორისო ბიურო არ გაითვალისწინებს გამოქვეყნების გადადების მოთხოვნას;
(II) როდესაც სამრეწველო ნიმუშის გამოსახულებების მაგივრად საერთაშორისო განაცხადს თან ერთვის სამრეწველო ნიმუშის ნიმუში, საერთაშორისო ბიურო არ გაითვალისწინებს აღნიშნული მონაწილე მხარის მითითებას და შესაბამისად შეატყობინებს განმცხადებელს.

(4) [მოთხოვნა უფრო ადრეულ გამოქვეყნებაზე ან საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალურ ხელმისაწვდომობაზე] (ა) ნებისმერ დროს მე-(2) პუნქტის შესაბამისად მოქმედი გადადების პერიოდის განმავლობაში, მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი ან ყველა სამრეწველო ნიმუშის გამოქვეყნება, რომლებიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია და ამ შემთხვევაში გადადების პერიოდი ასეთი სამრეწველო ნიმუშის ან ნიმუშებისათვის გასულად ჩაითვლება საერთაშორისო ბიუროს მიერ ასეთი მოთხოვნის მიღების თარიღიდან. (ბ) მფლობელს აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს, მე-(20 პუნქტიდან გამომდინარე მოქმედი გადადების პერიოდის განმავლობაში, საერთაშორისო ბიუროს მოსთხოვოს მფლობელის მიერ დასახელებული მესამე პირი უზრუნველყოს ამონაწერით, ან ასეთი პირისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი ან სამრეწველო ნიმუში, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია.

(5) [უარი და შეზღუდვა] (ა) თუ ნებისმიერ დროს მე-(2) პუნქტის შესაბამისად მოქმედი გადადების

პერიოდის განმავლობაში, მფლობელი უარს ამბობს საერთაშორისო რეგისტრაციაზე ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ, სამრეწველო ნიმუში ან ნიმუშები, რომლებიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია არ ქვეყნდება.
(ბ) თუ ნებისმიერ დროს მე–2 პუნქტის შესაბამისად მოქმედი გადადების პერიოდის განმავლობაში, მფლობელი ზღუდავს საერთაშორისო რეგისტრაციას ყველა მონაწილე მხარის მიმართ ერთი ან რომელიმე სამრწველო ნიმუშით, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, სხვა სამრწველო ნიმუში ან ნიმუშები, რომლებიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანს წარმოადგენს არ ქვეყნდება.

(6) [გამოქვეყნება და გამოსახულებების მიწოდება] (ა) ამ მუხლის დებულების შესაბამისად გადადების ნებისმიერი დროის პერიოდის გასვლისას, საერთაშორისო ბიურო, დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ, აქვეყნებს საერთაშორისო რეგისტრაციას. თუ ასეთი საფასური არ იქნა გადახდილი დადგენილის შესაბამისად, საერთაშორისო რეგისტრაცია უქმდება და არ ქვეყნდება.
(ბ) მე–5 მუხლის (1) პუნქტის მე–3 ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ საერთაშორისო განაცხადს თან ერთოდა სამრეწველო ნიმუშის ერთი ან მეტი ნიმუში, მფლობელი წარუდგენს საერთაშორისო ბიუროს თითოეული სამრეწველო ნიმუშის, რომელიც ამ განცხადების საგანია, გამოსახულების ასლების დადგენილ რიცხვს დროის დადგენილ ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ მფლობელმა არ შეასრულა აღნიშნული, საერთაშორისო რეგისტრაცია უქმდება და არ ქვეყნდება.

მუხლი 12. უარყოფა

(1) [უარყოფის უფლება]ნებისმიერი მითითებული მხარის უწყებას შეუძლია, როდესაც ამ მხარის კანონის შესაბამისად დაცვის მინიჭების პირობები არ არის დაკმაყოფილებული ნებისმიერი ან ყველა სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეგისტრაციის საგანს, ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება აღნიშნული მხარის ტერიტორიაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არცერთ უწყებას არ შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოს ნებისმიერი საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება იმ საფუძვლით, რომ ამ აქტით ან ინსტრუქციით გათვალისწინებული, ან მისი დამატებით, ან მისგან განსხვავებული მოთხოვნები, საერთაშორისო განაცხადის ფორმასა და შედგენილობასთან დაკავშირებით არ იქნეს დაკმაყოფილებული აღნიშნული მონაწილე მხარის კანონის შესაბამისად.

(2) [უარყოფის შეტყობინება] (ა) საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების უარყოფა უწყებამ უნდა აცნობოს საერთაშორისო ბიუროს უარყოფის შეტყობინებით დადგენილი დროის პერიოდის განმავლობაში.
(ბ) უარყოფის ნებისმიერ შეტყობინებაში მოყვანილი უნდა იქნეს ყველა საფუძველი, რომელსაც ემყარება უარყოფა.

(3) [უარყოფის შეტყობინების გადაგზავნა; სამართლებრივი დაცვის საშუალებები](ა) საერთაშორისო ბიურო უარის შეტყობინების ასლს დაუყოვნებლივ უგზავნის მფლობელს.
(ბ) მფლობელს აქვს სამართლებრივი დაცვის იგივე საშუალებები, როგორც ექნებოდა ნებისმიერ სამრეწველო ნიმუშს, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, არის დაცვის მინიჭებაზე განაცხადის საგანი მოქმედი კანონის შესაბამისად იმ უწყებისათვის, რომელმაც აცნობა უარყოფის შესახებ. სამართლებრივი დაცვის ასეთი საშუალება, სულ მცირე, შეიცავს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების, ან უარყოფის გადასიჯვის, ან უარყოფის გაპროტესტების შესაძლებლობას.

(4)[2] [უარყოფის გატანა]ნებისმიერი უარყოფა შეიძლება გატანილი იქნეს ნაწილობრივ ან მთლიანად ნებისმიერ დროს იმ უწყების მიერ, რომელმაც ის შეატყობინა.

მუხლი 13. სამრეწველო ნიმუშის ერთიანობის სპეციალური მოთხოვნები

(1) [შეტყობინება სპეციალური მოთხოვნების შესახებ] ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომელის კანონი მისი ამ აქტის მხარედ გახდომისას მოითხოვს, რომ სამრწველო ნიმუშები, რომლებიც ერთი და იგივე განაცხადის საგანია, აკმაყოფილებდეს სამრეწველო ნიმუშის ეთიანობის, ნაწარმის ერთიანობის, ან გამოყენების ერთიანობის მოთხოვნას, ან მიეკუთნება საგნების იგივე კომპლექტს ან ნაკრებს, ან მოთხოვნას, რომ ერთი განაცხადით შეიძლება განცხადებული იქნეს მხოლედ ერთი დამოუკიდებელი და განსხვავებული სამრეწველო ნიმუში, შეუძლია შესაბამისად განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს. მაგრამ არცერთი ასეთი განცხადება გავლენას არ მოახდენს გამცხადებლის უფლებაზე საერთაშორისო განაცხადში მე-5(4) მუხლოის შესაბამისად ჩართოს ორი ან მეტი სამრეწველო ნიმუში, იმისდა მიუხედავად, რომ განაცხადში მითითებულია მონაწილე მხარე, რომელმაც გააკეთა აღნიშნული განცხადება.

(2) [განცხადების მოქმედება] ნებისმიერი ასეთი განცხადება საშუალებას აძლევს მონაწილე მხარის უწყებას, რომელმაც გააკეთა იგი, მე-12 მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად უარყოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება, სანამ არ იქნება დაცული განხილვაში მყოფი შესაბამისობა მოთხოვნასთან, რომელიც შეტყობინებული იყო ამ მონაწილე მხრის მიერ.

(3) [რეგისტრაციის გაყოფისათვის გადასახდელი შემდგომი საფასურები] როდესაც მე-(2) პუნქტის შესაბამისად უარყოფის შეტყობინების შემდეგ, საერთაშორისო რეგისტრაცია გაიყოფა შესაბამისი უწყებისათვის, რათა დაძლეული იქნეს შეტყობინებაში მოყვანილი საფუძველი, ამ უწყებას უფლება აქვს დააკისროს საფასური ყოველი დამატებითი საერთაშორისო განაცხადისათვის, რომელიც საჭირო იქნებოდა უარყოფის ამ საფუძველის თავიდან ასაცილებლად

მუხლი 14. საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება

(1) [განაცხადის სტატუსით მოქმედი კანონის შესაბამისად] საერთაშორისო რეგისტრაციას საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან აქვს სულ მცირე იგივე ძალა თითოეული მითითებული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, როგორც ჩვეულებრივ შეტანილ განაცხადს

სამრეწველო ნიმუშისათვის დაცვის მისანიჭებლად ამ მონაწილე მხარის კანონის შესაბამისად.

(2) [მინიჭებული დაცვის სტატუსით მოქმედი კანინის შესაბამისად](ა) თითოეულ მითითებულ მონაწილე მხარეში, რომლის უწყებამ არ აცნობა უარყოფის შესახებ მე-12 მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო რეგისტრაციას აქვს იგივე ძალა როგორც ამ მონაწილე მხარის კანონით დაცულ სამრეწველო ნიმუშს არა უგვიანეს დროის იმ პერიოდის გასვლის თარიღამდე, რომელიც ნებადართულია უარყოფის შესატყობინებლად, ან, როდესაც მონაწილე მხარეს გაკეთებული აქვს შესაბამისი განცხადება ინსტრუქციის შესაბამისად, ამ განცხადებაში განსაზღვრული დროის ბოლომდე.

(ბ) თუ მითითებული მონაწილე მხარის უწყებამ შეატყობინა უარყოფის შესახებ და შემდეგ

[2] როდესაც იღებდა მე-12(4), მე-14(2) (ბ) მუხლებს და წესს 18(4), დიპლომატიური კონფერენცია აცნობიერებდა, რომ უწყების მიერ, რომელმაც შეატყობინა უარი, უარის გატანამ შეიძლება მიიღოს განცხადების ფორმა იმის შესახებ, რომ აღნიშნულმა უწყებამ გადაწყვიტა მიიღოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება სამრეწველო ნიმუშების, ან რამდენიმე სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელთანაც დაკავშირებული იყო უარის შეტყობინება. აგრეთვე გასაგები იყო, რომ უწყებას შეუძლია უარის შეტყობინების გაგზავნისათვის ნებადართული დროის პერიოდის განმავლობაში გაგზავნოს განცხადება იმის შესახებ, რომ მან გადაწყვიტა მიიღოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება მაშინაც კი, როდესაც მას არ გაუგზავნია უარის ასეთ შეტყობინება.

ეს უარყოფა ნაწილობრივ ან მთლიანად გაიტანა, საერთაშორისო რეგისტრაციას, იმ შემთხვევაში, თუ უარი გატანაილი იქნა, აქვს იგივე ძალა ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, როგორც აღნიშნული მონაწილე მხარის კანონით სამრეწველო ნიმუშისათვის მინიჭებულ დაცვას არაუგვიანეს იმ თარიღიდან, როდესაც ეს უარყოფა იქნა გატანილი. (გ) ამ პუნქტის შესაბამისად საერთაშორისო რეგისტრაციისათვის მინიჭებული ძალა მოქმედებს სამრეწველო ნიმუშის ან ნიმუშებისათვის, რომლებიც ამ რეგისტრაციის საგანია მითითებული უწყებისაგან საერთაშორისო ბიუროს მიერ მიღებული სახით, ან თუ მისაღებია, ამ უწყებაში პროცედურის დროს შეცვლილი სახით.

(3) [განცხადება განმცხადებლის მონაწილე მხარის მითითების მოქმედებასთან დაკავშირებით]
(ა) ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომლის უწყება ახორციელებს ექსპერტიზას, შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ, თუ იგი არის განმცხადებლის მონაწილე მხარე, ამ მონაწილე მხარის მითითებას საერთაშორისო რეგისტრაციაში არ ექნება ძალა.
(ბ) თუ მონაწილე მხარე, რომელსაც გაკეთებული აქვს (ა) ქვეპუნქტში მითითებული განცხადება, საერთაშორისო განაცხადში აღნიშნულია როგორც განმცხადებლის მონაწილე მხარე და როგორც მითითებული მონაწილე მხარე, საერთაშორისო ბიურო ამ მონაწილე მხარის მითითებას მხედველობაში არ მიიღებს.

მუხლი. 15. გაუქმება

(1) [დაცვის შესაძლებლობის მოთხოვნა] მითითებული მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გაუქმება ნაწილობრივ ან მთლიანად ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, არ შეიძლება გამოცხადდეს მფლობელისათვის თავის უფლებების დაცვის შესაძლებლობის დროული მინიჭების გარეშე.

(2) [გაუქმების შეტყობინება]მონაწილე მხარის უწყებამ, რომლის ტერიტორიაზე განხორციელდა საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმება, თუ მან იცის ამ გაუქმების შესახებ, უნდა შეატყობინოს იგი საერთაშორისო უწყებას.

მუხლი 16. ცვლილებების შეტანა და საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

(1) [ცვლილებების შეტანა და სხვა საკითხები] საერთაშორისო ბიუროს დადგენილის შესაბამისად შეაქვს საერთაშორისო რეესტრში
(I) საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელობის ნებისმიერი ცვლილება რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ და ნებისმიერი ან ყველა სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, იმის გათვალისწინებით, რომ მე-3 მუხლის შესაბამისად ახალ მფლობელს უფლება აქვს შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი.
(II) მფლობელის სახელწოდების ან მისამართის ნებისმიერი ცვლილება,
(III) განმცხადებლის ან მფლობელის წარმომადგენლის არჩევა და ასეთ წარმომადგენელთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა შესაბამისი მონაცემი,
(IV) მფლობელის მიერ საერთაშორისო რეგისტრაციაზე ნებისმიერი უარი რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ,
(V) მფლობელის მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის ნებისმიერი შეზღუდვა რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ ერთი ან რამდენიმე სამრეწველო ნიმუშით, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია,

(VI) მითითოეული მონაწილე მხარის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გაუქმება რომელიმე ან ყველა სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, (VII) ინსტრუქციით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა შესაბამისი მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია უფლებებთან ნებისმიერ ან ყველა სამრეწველო ნიშანზე, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია.

(2) [საერთაშორისო რეესტრში ჩანაწერის შეტანის ძალა] (1)-ლი პუნქტის მე-(II), მე-(IV), მე-(VI) და მე-(VII) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებისმიერი ჩანაწერის შეტანას აქვს იგივე ძალა, როგორც თითოეული შესაბამისი მონაწილე მხარის რეესტრში ჩანაწერის შეტანის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილე მხარეს შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ (1) პუნქტის (I) მითითებული ჩანაწერის შეტანას არ ექნება ძალა ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, ვიდრე ამ მონაწილე მხარის უწყება არ მიიღებს ამ განცხადებით განსაზღვრულ მტკიცებებს ან დოკუმენტებს.

(3) [საფასურები] (1) პუნქტის შესაბამისად შესრულებული ნებისმიერი ჩანაწერის შეტანა შეიძლება ექვემდებარებოდეს საფასურის გადახდას.

(4) [გამოქვეყნება] საერთაშორისო ბიურო აქვეყნებს ცნობას (1) პუნქტის შესაბამისად შესრულებული ნებისმიერი ჩანაწერის შეტანის შესახებ. იგი უგზავნის გამოქვეყნებული ცნობის ასლს თითოეული დაინტერესებული მონაწილე მხარის უწყებას.

მუხლი 17. საერთაშორისო რეგისტრაციის პირველი ვადა და ვადის გაგრძელება, დაცვის ხანგრძლივობა

(1) [საერთაშორისო რეგისტრაციის პირველი ვადა] საერთაშორისო რეგისტრაცის მოქმედებს პირველი ხუთწლიანი ვადით, რომელიც აითვლება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან.

(2) [საერთაშორისო რეგისტრაციის ვადის გაგრძელება] საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებითი ხუთი წლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და ექვემდებარება დადგენილი საფასურის გადახდას.

(3) [დაცვის ხანგრძლივობა მითითებული მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე] (ა) იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულია და (ბ) ქვეპარაგრაფიდან გამომდინარე, დაცვის ხანგძლივობა თითოეული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე არის 15 წელი, რომელიც აითვლება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან.
(ბ) როდესაც მონაწილე მხარის კანონი ითვალისწინებს დაცვას, რომლის ხანგრძლივობა 15 წელზე მეტია სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელსაც დაცვა მიენიჭა აღნიშნული კანონის შესაბამისად, დაცვის ხანგრძლივობა, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულია, არის იგივე, რაც გათვალისწინებულია ამ მონაწილე მხარის კანონით.
(გ) თითოეული მონაწილე მხარე განცხადებით ატყობინებს გენერალურ დირექტორს მისი კანონით გათვალისწინებული დაცვის მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ.

(4) [შეზღუდული გაგრძელების შესაძლებლობა] საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა შეიძლება გაგრძელეს რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ და რომელიმე ან ყველა სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია.

(5) [ვადის გაგრძელების შესახებ ჩანაწერის შეტანა და გამოქვეყნება] საერთაშორისო ბიუროს შეაქვს ვადის გაგრძელება საერთაშორისო რეესტრში და აქვეყნებს ცნობას ამის შესახებ.

იგი უგზავნის გამოქვეყნებული ცნობის ასლს დაინტერესებულ მონაწილე მხარის თითოეულ უწყებას.

მუხლი 18. გამოქვეყნებულ საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია

(1) [ინფორმაციის ხელმისაწვდომობა] დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, საერთაშორისო ბიურო აწვდის ნებისმიერ პირს, რომელიც ამას ითხოვს, ამონაწერს საერთაშორისო რეესტრიდან, ან საერთაშორისო რეესტრის მონაცემებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ნებისმიერი გამოქვეყნებული საერთაშორისო რეგისტრაციის მიხედვით.

(2) [ლეგალიზაციისგან გათავისუფლება] საერთაშორისო ბიუროს მიერ მოწოდებული ამონაწერი საერთაშორისო რეესტრიდან გათავისუფლებულია ლეგალიზაციის ნებისმიერი მოთხოვნისაგან ყოველი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

თავი II
ადმინისტრაციული დებულებები

მუხლი 19. რამდენიმე სახელმწიფოს საერთო უწყება

(1) [შეტყობინება საერთო უწყების შესახებ] თუ რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც აპირებს გახდეს ამ აქტის მხარე, ან რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც ამ აქტის მხარეა, შეთანხმდა განახორციელოს სამრეწველო ნიმუშების შესახებ თავისი ეროვნული კანონმდებლობის უნიფიცირება, მათ შეუძლიათ შეატყობინონ გენერალურ დირექტორს, რომ
(I) თითოეული მათგანის ეროვნულ უწყებას ჩაენაცვლება საერთო უწყება, და
(II) მთელი მათი შესაბამისი ტერიტორია, სადაც მოქმედებს უნიფიცირებული კანონმდებლობა, ჩაითვლება ერთ მონაწილე მხარედ ამ აქტის 1-ლი, მე-3-დან მე-18-მდე და 31-ე მუხლების გამოყენების მიზნით.

(2) [შეტყობინების გაკეთების ვადა] (1) პუნქტში აღნიშნული შეტყობინება უნდა გაკეთდეს,
(I) თუ ეს ეხება სახელმწიფოებს, რომლებიც აპირებენ ამ აქტის მხარედ გახდომას, 27-ე მუხლის მე-(2) პუნქტში აღნიშნული სამართლებრივი აქტების დეპონირებისას;
(II) თუ ეს ეხება ამ აქტის მხარე სახელმწიფოებს, ნებისმიერ დროს მას შემდეგ, რაც განხორციელდა მათი ეროვნული კანონმდებლობის უნიფიკაცია.

(3) [შეტყობინების ძალაში შესვლის თარიღი] (1) და (2) პუნქტებში აღნიშნული შეტყობინება ძალაში შევა,
(I) თუ ეს ეხება სახელმწიფოებს, რომლებიც აპირებენ ამ აქტის მხარედ გახდომას, როდესაც ასეთი სახელმწიფოები გახდებიან შებოჭილი ამ აქტით;
(II) თუ ეს ეხება ამ აქტის მხარე სახელმწიფოებს, გენერალური დირექტორის მიერ სხვა მონაწილე მხარეების შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, ან შეტყობინებაში აღნიშნული ნებისმიერი უფრო გვიანი თარიღით.

მუხლი 20. ჰააგის კავშირის წევრობა

მონაწილე მხარეები არიან იმავე კავშირის წევრები, რომლის წევრები არიან 1934 წლის აქტის ან 1960 წლის აქტის მხარე სახელმწიფოები.

მუხლი 21. ასამბლეა

(1) [შემადგენლობა] (ა) მონაწილე მხარეები უნდა იყვნენ იმავე ასამბლეის წევრები, რომლის წევრები არიან 1967 წლის შემვსები აქტის მე–2 მუხლით შებოჭილი სახელმწიფოები.
(ბ) ასამბლეის თითოეული წევრი ასამბლეაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ ალტერნატიული დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები და თითოეულ დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი მონაწილე მხარე.
(გ) კავშირის ის წევრები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, ასამბლეის სხდომაზე მეთვალყურეებად დაიშვებიან.

(2) [ფუნქციები] (ა) ასამბლეა
- (I) განაგებს კავშირის საქმიანობის შენარჩუნება, განვითარებასა და ამ აქტის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- (II) იყენებს ისეთ უფლებებს და ასრულებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მისთვის მინიჭებული ან გადაცემულია ამ აქტით ან 1967 წლის შემვსები აქტით;
- (III) გენერალურ დირექტორს აძლევს გადასინჯვის კონფერენციებისათვის მზადებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს და წყვეტს ნებისმიერი ასეთი კონფერენციის მოწვევის საკითხს;
- (IV) შეაქვს ცვლილებები ინსტრუქციაში;
- (V) განიხილავს და ამტკიცებს გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას კავშირთან მიმართებით, აგრეთვე აძლევს გენერალურ დირექტორს ყველა საჭირო ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;
- (VI) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;
- (VII) იღებს კავშირის ფინანსურ ინსტრუქციებს;
- (VIII) აარსებს ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს კავშირის მიზნების მისაღწევად;
- (IX) (1) პუნქტის (გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრავს რომელი სახელმწიფო, სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია დაიშვება მეთვალყურეებად სხდომებზე;
- (X) ახორციელებს ნებისმიერ შესაბამის მოქმედებას კავშირის მიზნების შესრულების ხელშესაწყობად და ასრულებს ნებისმიერ სხვა ფუნქციას, რომელიც მიზანშეწონილია ამ აქტიდან გამომდინარე.

(ბ) საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვის, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(3) [კვორუმი](ა) ასამბლეის წევრების ნახევარი, რომლებიც არიან სახელმწიფოები და აქვთ ხმის მიცემის უფლება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შეადგენს კვორუმს ამ საკითხთან დაკავშირებული კენჭისყრის მიზნებისათვის.
(ბ) (ა) ქვეპუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ ნებისმიერ სესიაზე ასამბლეის წევრების რიცხვი, რომლებიც არიან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლების მქონე სახელმწიფოები და ესწრებიან, ნაკლებია ნახევარზე, მაგრამ ტოლია ან მეტია ასამბლეის იმ წევრების ერთი მესამედის, რომლებიც არიან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლების მქონე სახელმწიფოები, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ გარდა საკუთარ პროცედურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა, ყველა ეს გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, თუ შემდგომში წარმოდგენილი პირობები

შესრულდება. საერთაშორისო ბიურომ უნდა აცნობოს ამ გადაწყვეტილებების შესახებ ასამბლეის წევრებს, რომლებიც არიან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლების მქონე სახელმწიფოები, მაგრამ არ ესწრებოდნენ და უნდა შესთავაზოს მათ გამოხატონ ხმის მიცემა ან თავის შეკავება წერილობით, შეტყობინების მიღების თარიღიდან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში. თუ ამ პერიოდის ამოწურვისას ასეთი წევრების რიცხვი, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს ხმის მიცემა ან თავის შეკავება, აღწევს წევრების რიცხვს, რომელიც აკლდა სესიის კვორუმის მისაღწევად, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის იმის გათვალისწინებით, რომ ყოველივე აღნიშნულთან ერთად საჭირო უმრავლესობა ამ მომენტისათვის მიღწეულია.

(4) [გადაწყვეტილებების მიღება ასამბლეაზე] (ა) ასამბლეა ყოველ ღონეს იხმარს, რათა გადაწყვეტილებები მიღებულ იქნეს კონსენსუსით.
(ბ) თუ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია კონსენსუსით, სადავო საკითხი კენჭისყრით გადაწყდება. ასეთ შემთხვევაში,
(I) თითოეულ მონაწილე მხარეს, რომელიც არის სახელმწიფო, აქვს ერთი ხმა და ხმას აძლევს მხოლოდ თავის სახელით, და
(II) ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომელიც არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, შეუძლია ხმა მისცეს თავისი წევრი სახელმწიფოების მაგივრად, ხმების რაოდენობით, რომელიც ტოლია მისი წევრი ამ აქტის მხარე სახელმწიფოების რიცხვის, ამასთან, არცერთი ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ რომელიმე მისი წევრი სახელმწიფო გამოიყენებს თავის ხმის მიცემის უფლებას და პირიქით.
(გ) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მხოლოდ 1967 წლის შემვსები აქტის მე–2 მუხლით შებოჭილ სახელმწიფოებს, მონაწილე მხარეებს, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული მუხლი, არა აქვთ ხმის მიცემის უფლება, ხოლო იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მხოლოდ მონაწილე მხარეებს, მხოლოდ ამ უკანასკნელთ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

(5) [უმრავლესობა] (ა) 24(2) და 26(2) მუხლებიდან გამომდინარე, ასამბლეის გადაწყვეტილებები საჭიროებს მიცემული ხმების ორ მესამედს.
(ბ) თავის შეკავება არ განიხილება ხმის მიცემად.

(6) [სესიები] (ა) ასამბლეა იკრიბება რიგით სესიაზე ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს გენერალური დირექტორის მოწვევით და თუ არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, იმავე ადგილზე, როგორც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.
(ბ) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით, ან ასამბლეის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით, ან გენერალური დირექტორის ინიციატივით.
(გ) თითოეული სესიის დღის წესრიგს ამზადებს გენერალური დირექტორი.

(7) [პროცედურის წესები] ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 22. საერთაშორისო ბიურო

(1) [ადმინისტრაციული ფუნქციები] (ა) საერთაშორისო რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული მოვალეობები, ისევე როგორც კავშირთან დაკავშირებული ყველა სხვა ადმინისტრაციული ფუნქცია, სრულდება საერთაშორისო ბიუროს მიერ.

(ბ) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ამზადებს შეხვედრებს და უზრუნველყოფს ასამბლეას და ექსპერტთა ისეთ კომიტეტებს და მუშა ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ასამბლეის მიერ, სამდივნოს მომსახურებით.

(2) [გენერალური დირექტორი] გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი და წარმოადგენს კავშირს.

(3) [შეხვედრები, ასამბლეის სესიების გარდა] გენერალური დირექტორი იწვევს ასამბლეის მიერ დაარსებულ ნებისმიერ კომიტეტს და მუშა ჯგუფს და აწყობს ყველა სხვა შეხვედრას, რომელიც განიხილავს კავშირისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

(4) [საერთაშორისო ბიუროს როლი ასამბლეაზე და სხვა შეხვედრებზე] (ა) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ არჩეული პირები ხმის მიცემის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის და მის მიერ დაარსებული კომიტეტებისა და მუშა ჯგუფების ყველა შეხვერდრაში, აგრეთვე კავშირის ეგიდით გენერალური დირექტორის მიერ მოწვეულ ნებისმიერ სხვა შეხვედრაში.
(ბ) გენერალური დირექტორი ან გენერალური დირექტორის მიერ არჩეული თანამდებობის პირი არის (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული ასამბლეის, კომიტეტების, მუშა ჯგუფების და სხვა შეხვედრების ex officio მდივანი.

(5) [კონფერენციები] (ა) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის ინსტრუქციების შესაბამისად ამზადებს გადასინჯვის კონფერენციებს.
(ბ) სართაშორისო ბიუროს შეუძლია გამართოს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამ მზადებასთან დაკავშირებით.
(გ) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ არჩეული პირები გადასინჯვის კონფერენციებზე მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში ხმის მიცემის უფლების გარეშე.

(6) [სხვა ფუნქციები] საერთაშორისო ბიურო ამ აქტიდან გამომდინარე ახორციელებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა ფუნქციას.

მუხლი 23. ფინანსები

(1) (ბიუჯეტები] (ა) კავშირს უნდა ჰქონდეს ბიუჯეტი.
(ბ) კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ კავშირის კუთვნილ შემოსავალს და მართებულ ხარჯებს, მის შენატანებს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, რომელიც საერთოა ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული კავშირებისათვის.
(გ) ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება მხოლოდ კავშირს, მაგრამ განეკუთნება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებულ ერთ ან მეტ სხვა კავშირს, განიხილება კავშირების საერთო ხარჯებად. კავშირის წილი ასეთ საერთო ხარჯებში შეესაბამება მის წილს მოცემულ ხარჯებში.

(2) [კოორდინირება კავშირის სხვა ბიუჯეტებთან] კავშირის ბიუჯეტი დგინდება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით.

(3) [ბიუჯეტის დაფინანსების წყაროები]კავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:
(I) საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურებით;
(II) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურებისათვის კუთვნილი გადასახადით;
(III) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან დაკავშირებული გამოცემების გაყიდვით ან ჰონორარით.
(IV) საჩუქრებით, უფლებამონაცვლეობით მიღებული ქონებით, სუბსიდიებით;
(V) რენტით, პროცენტებით და სხვა შემოსავლით.

(4) [საფასურების და გადასახადების დადგენა;ბიუჯეტის დონე] (ა) მე–(3) (I) პუნქტით მითითებული საფასურის ოდენობა უნდა დადგინდეს ასამბლეის მიერ გენერალური

დირექტორის წინადადებით. მე-(3) (II) პუნქტით მითითებული გადასახადები უნდა დადგინდეს გენერალური დირექტორის მიერ და დასაშვებია მათი წინასწარი გამოყენება, მაგრამ ექვემდებარება ასამბლეის მიერ დამტკიცებას თავის შემდეგ სესიაზე.
(ბ) მე-(3) (I) პუნქტში მითითებული საფასურის ოდენობა ისე უნდა იქნეს დადგენილი, რომ კავშირის მიერ საფასურებით და სხვა წყაროებით მიღებული შემოსავალი სულ მცირე საკმარისი იყოს საერთაშორისო ბიუროს კავშირთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დასაფარად.
(გ) თუ ბიუჯეტი არ იქნა მიღებული ახალი ფინანსური პერიოდის დაწყების წინ, იგი წინა წლის ბიუჯეტის დონეზე იქნება, როგორც ეს გათვალისწინებულია ფინანსურ ინსტრუქციაში.

(5) [მიმდინარე აქტივების ფონდი] კავშირს აქვს მიმდინარე აქტივების ფონდი, რომელიც შედგენილია შემოსავლების ნამეტით, ხოლო თუ ასეთი ნამეტი არ არის საკმარის, კავშირის თითოეული წევრის ერთჯერადი გადასახადით. თუ ფონდი არასაკმარისია, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ. გადასახადის წილს და ვადაებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებებით.

(6) [მასპინძელი სახელმწიფოს ავანსი] (ა) შეთანხმებით შტაბბინის შესახებ, რომელიც დადებულია სახელმწიფოსთან, რომლის ტერიტორიაზე ორგანიზაციას აქვს შტაბბინა, გათვალისწინებული უნდა იქნეს რომ როდესაც მიმდინარე აქტივების ფონდი არასაკმარისია, ასეთმა სახელმწიფომ უნდა გაიღოს ავანსი. ამ ავანსის ოდენობა და გამოყოფის პირობები ასეთ სახელმწიფოსა და ორგანიზაციას შორის ცალკე შეთანხმების საგანია.
(ბ) (ა) ქვეპუნქტში მითითებულ სახელმწიფოს და ორგანიზაციას თითოეულს უნდა ჰქონდეს ავანსის გამოყოფის ვალდებულების დენონსირების უფლება წერილობითი შეტყობინებით. დენონსირება ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის ბოლოდან, როდესაც ეს შეტყობინებული იქნა.

(7) [ანგარიშების შემოწმება] ანგარიშების შემოწმება ხორციელდება კავშირის ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოს მიერ ან გარე აუდიტორიების მიერ, ფინანსური ინსტრუქციის მიხედვით. ისინი უნდა დაინიშნონ ასამბლეის მიერ მათთან შეთანხმებით.

მუხლი 24. ინსტრუქცია

(1) [საგანი]ინსტრუქცია აწესრიგებს ამ აქტის განხორციელების დეტალებს. იგი, კერძოდ, მოიცავს ღირებულებებს, რომლებიც შეეხება
(I) საკითხების, რომელთა დაწესებასაც ეს აქტი ნათლად ითვალისწინებს;
(II) შემდგომ დეტალებს, რომლებიც ეხება, ან ნებისმიერ დეტალებს, რომლებიც მისაღებია, ამ აქტის დებულებების განხორციელებისათვის;
(III) ნებისმიერ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, საკითხებს ან პროცედურებს.

(2) [ინსტრუქციის განსაზღვრული დებულებების შეცვლა] (ა) ინსტრუქციამ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ ინსტრუქციის განსაზღვრული დებულებების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთსულოვნად ან უმრავლესობის ოთხი მეხუთედით;
(ბ) დადგინდეს, რომ რათა ერთსულოვნების ან უმრავლესობის ოთხი მეხუთედის მოთხოვნა აღარ იქნეს გამოყენებული მომავალში ინსტრუქციის დებულების შესაცვლელად, ერთსულოვნება არის საჭირო.
(გ) დადგინდეს, რომ რათა ერთსულოვნების ან უმრავლესობის ოთხი მეხუთედის მოთხოვნა გამოყენებულ იქნეს მომავალში ინსტრუქციის დებულებების შესაცვლელად, ოთხი მეხუთედი არის საჭირო.

(3) [წინააღმდეგობა ამ აქტსა და ინსტრუქციას შორის]ამ აქტის დებულებებსა და ინსტრუქციის დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პირველს.

თავი III
გადასინჯვა და ცვლილება

მუხლი 25. ამ აქტის გადასინჯვა

(1) [გადასინჯვის კონფერენციები]ეს აქტი შეიძლება გადაისინჯოს მონაწილე მხარეების კონფერენციის მიერ.

(2) [განსაზღვრული მუხლების გადასინჯვა და შეცვლა] 21–ე, 22– ე, 23–ე და 26–ე მუხლები შეიძლება შეიცვალოს გადასინჯვის კონფერენციის ან ასამბლეის მიერ 26–ე მუხლის დებულების თანახმად.

მუხლი 26. განსაზღვრული მუხლების შეცვლა ასამბლეის მიერ

(1) [წინადადებების შეცვლის შესახებ] (ა) ასამბლეის მიერ 21–ე, 22–ე, 23–ე და ამ მუხლის შეცვლის წინადადება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნებისმიერი მონაწილე მხარის ან გენერალური დირექტორის ინიციატივით. (ბ) გენერალურმა დირექტორმა ასეთი წინადადებების შესახებ უნდა შეატყობინოს მონაწილე მხარეებს, მათი ასამბლეის მიერ განხილვამდე ექვსი თვით ადრე.

(2) [უმრავლესობა]ამ მუხლის (1) პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ცვლილებების მიღება მოითხოვს უმრავლესობის სამ მეოთხედს, 21–ე მუხლის ან წინამდებარე პუნქტის ნებისმიერი ცვლილების გამოკლებით, რომელიც მოითხოვს უმრავლესობის ოთხმეხუთედს.

(3) [ძალაში შესვლა](ა) იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც გამოიყენება (ბ) ქვეპუნქტი, (1) პუნქტით აღნიშნული მუხლების ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ იმ მონაწილე მხარეების სამი მეოთხედისაგან თანხმობის შესახებ, რომელიც ხორციელდება მათი შესაბამისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, რომლებიც ცვლილებების მიღების დროს ასამბლეის წევრები იყვნენ და ამ ცვლილებისათვის ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ. (ბ) 21–ე მუხლის მე–(3) ან მე–(4) პუნქტის ან ამ ქვეპუნქტის ცვლილება ძალაში არ შედის, თუ ასამბლეის მიერ მისი მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში ნებისმიერი მონაწილე მხარე შეატყობინებს გენერალურ დირექტორს, რომ იგი არ იღებს ამ ცვლილებას. (გ) ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ძალაში შედის ამ პუნქტის დებულებების შესაბამისად, ბოჭავს ყველა სახელმწიფო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც ცვლილების ძალაში შესვლის დროს მონაწილე მხარეები არიან, ან შემდგომ გახდებიან მონაწილე მხარეები.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 27. ამ აქტის მხარედ გახდომა

(1) [მხარედ გახდომის უფლება] მე–(2) და მე–(3) პუნქტებიდან და 28–ე მუხლიდან გამომდინარე, (I) ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ხელი მოაწეროს და გახდეს ამ აქტის მხარე;
(II) ნებისმიერ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს იმ უწყების საქმიანობას, რომელსაც შეუძლია მიანიჭოს დაცვა სამრეწველო ნიმუშებს ტერიტორიაზე,

სადაც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დამაარსებელი ხელშეკრულება მოქმედებს, შეუძლია მოაწეროს ხელი და გახდეს ამ აქტის მხარე, იმის გათვალისწინებით, რომ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სულ მცირე ერთი წევრი სახელმწიფო არის ორგანიზაციის წევრი და იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი უწყება მე–19 მუხლის შესაბამისად არ არის შეტყობინების სუბიექტი.

(2) [რატიფიკაცია ან მიერთება] (1) პუნქტით აღნიშნულ ნებისმიერ სახელმწიფოს ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს დეპონირება
(I) რატიფიკაციის სამართლებრივი აქტისა, თუ მან ხელი მოაწერა ამ აქტს, ან
(II) მიერთების სამართლებრივი აქტისა, თუ მას ხელი არ აქვს მოწერილი ამ აქტზე.

(3) [დეპონირების ძალაში შესვლის თარიღი] (ა) (ბ)–დან (დ)–მდე პუნქტებიდან გამომდინარე, რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირების ძალაში შესვლის თარიღი არის თარიღი, როდესაც ამ სამართლებრივი აქტის დეპონირება განხორციელდა.
(ბ) ნებისმიერ სახელმწიფოს, სადც სამრეწველო ნიმუშის დაცვის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის, რომლის წევრია სახელმწიფო, უწყების საშუალებით, რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირების ძალაში შესვლის თარიღი არის თარიღი, როდესაც ამ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი აქტების დეპონირება განხორციელდა, თუ ეს თარიღი აღნიშნული სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების დეპონირების თარიღზე გვიანდელია.
(გ) რატიფიკაციის ან მიერთების ნებისმიერი სამართლებრივი აქტის, რომელიც შეიცავს ან, რომელსაც თან ერთვის მე–19 მუხლში აღნიშნული შეტყობინება, ძალაში შესვლის თარიღი არის თარიღი, როდესაც სახელმწიფოების ჯგუფის წევრი სახელმწიფოების, რომლებმაც გააკეთეს აღნიშნული შეტყობინება, უკანასკნელი სამართლებრივი აქტებით იყო დეპონირებული.
(დ) სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის ან მიერთების ნებისმიერი სამართლებრივი აქტი შეიძლება შეიცავდეს ან თანდართული ჰქონდეს განცხადება, რომელიც პირობად აყენებს, რომ ჩაითვალოს დეპონირებულად ერთი სხვა სახელმწიფოს ან ერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი აქტი, ან ორი სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი აქტები, ან ერთი სხვა სახელმწიფოს და ერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის, რომელიც განსაზღვრულია სახელით და აკმაყოფილებს ამ აქტის მხარედ გახდომის მოთხოვნებს, აქტი არის ან არიან აგრეთვე დეპონირებული. სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს ან რომელსაც თან ერთვის ასეთი განცხადება ჩაითვლება დეპონირებულად იმ დღეს, როდესაც განცხადებაში აღნიშნული პირობა შესრულდება. გარდა ამისა, როდესაც განცხადებაში განსაზღვრული სამართლებრივი აქტი თვითონ შეიცავს, ან მას თვითონ ერთვის აღნიშნული სახის განცხადება, ეს სამართლებრივი აქტი ითვლება დეპონირებულად იმ დღეს, როდესაც უკანასკნელ განცხადებაში განსაზღვრული პირობა შესრულდება.
(ე) ნებისმიერ დროს შეიძლება (დ) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადების გატანა მთლიანად ნაწილობრივ. ნებისმიერი ასეთი გატანა ძალაში შევა თარიღით, როდესაც გენერალური დირექტორი მიიღებს შეტყობინებას გატანის შესახებ.

მუხლი 28. რატიფიკაციის და მიერთების ძალაში შესვლის თარიღი

(1) [მხედველობაში მისაღები სამართლებრივი აქტები] ამ მუხლის მიზნებისათვის, მხედველობაში მიიღება მხოლოდ 27–ე მუხლის (1) პუნქტით მითითებული სახელმწიფოების ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები, რომელთა ძალაში შესვლის თარიღი შეესაბამება 27–ე მუხლის (3) პუნქტს.

(2) [ამ აქტის ძალაში შესვლა] ეს აქტი ძალაში შედის ექვსი სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირებიდან სამ თვეში, იმის გათვალისწინებით,

რომ საერთაშორისო ბიუროს მიერ შეგროვებული უახლესი წლიური სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად ამ სახელმწიფოდან სულ მცირე სამი აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთს მაინც:

(I) აღნიშნულ სახელმწიფოში ან ამ სახელმწიფოს მითითებით შეტანილია სულ მცირე 3000 განაცხადი სამრეწველო ნიმუშის დაცვაზე, ან

(II) აღნიშნულ სახელმწიფოში ან ამ სახელმწიფოს მითითებით შეტანილია სულ მცირე 1000 განაცხადი სამრეწველო ნიმუშის დაცვაზე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტების მიერ.

(3) [რატიფიკაციის და მიერთების ძალაში შესვლა] (ა) ნებისმიერ სახელმწიფოზე ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაზე, რომელმაც განახორციელა რატიფიკაციის ან მიერთების თავისი სამართლებრივი აქტების დეპონირება ამ აქტის ძალაში შესვლის თარიღამდე სამი ან მეტი თვით ადრე, ამ აქტის მოქმედება ვრცელდება მისი ძალაში შესვლის თარიღით.

(ბ) ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაზე ამ აქტის მოქმედება ვრცელდება მის მიერ რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირების თარიღიდან სამ თვეში, ან ამ სამართლებრივ აქტში აღნიშნული ნებისმიერი უფრო გვიანი თარიღით.

მუხლი 29. იურიდიული დათქმის აკრძალვა

იურიდიული დათქმა ამ აქტისათვის არ არის ნებადართული.

მუხლი 30. მონაწილე მხარეების მიერ გაკეთებული განცხადებები

(1) [განცხადებების გაკეთების დრო] მე-4 (1) (ბ), მე-5 (2) (ა), მე-7 (2), მე-11 (1), მე-13(1), მე-14 (3), მე-16 (2) ან მე-17 (3) (გ) მუხლების შესაბამისად ნებისმიერი განცხადება შეიძლება გაკეთდეს

(I) 27-ე მუხლის მე-(2) პუნქტით აღნიშნული სამართლებრივი აქტის დეპონირებისას, ამ შემთხვევაში იგი ძალაში შევა იმ თარიღით, როდესაც სახელმწიფოზე ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაზე, რომლებმაც გააკეთეს განცხადება, ვრცელდება ამ აქტის მოქმედება, ან

(II) 27-ე მუხლის მე-(2) პუნქტში აღნიშნული სამართლებრივი აქტის დეპონირების შემდეგ, ამ შემთხვევაში იგი ძალაში შევა გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღების თარიღიდან სამ თვეში, ან განცხადებაში მითითებული ნებისმიერი გვიანი თარიღით, მაგრამ გამოყენებადია მხოლოდ ნებისმიერი საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ, რომლის საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი განცხადების ძალაში შესვლის თარიღს ემთხვევა ან უფრო გვიანია.

(2) [საერთო უწყების მქონე სახელმწიფოების განცახდებები] (1) პუნქტის მიუხედავად ამ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი განცხადება, რომელიც გააკეთა სახელმწიფომ, რომელმაც სხვა სახელმწიფოსთან ან სხვა სახელმწიფოებთან ერთად მე-19 მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად შეატყობინა გენერალურ დირექტორს მათი ეროვნული უწყების საერთო უწყებით ჩანაცვლების შესახებ, ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, თუ ამ სხვა სახელმწიფომ ან ამ სხვა სახელმწიფოებმა გააკეთა ან გააკეთეს შესაბამისი განცხადება ან განცხადებები.

(3) [განცხადებების გატანა] (1) პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი განცხადება შეიძლება გატანილ იქნეს ნებისმიერ დროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ასეთი გატანა ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან სამ თვეში ან შეტყობინებაში მითითებული ნებისმიერი გვიანი თარიღით. მე-(7) მუხლის მე-(2) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების შემთხვევაში, გატანა არ მოახდენს გავლენას საერთაშორისო განცხადებაზე, რომელიც შეტანილი იყო ამ გატანის ძალაში შესვლამდე.

მუხლი 31. 1934 წლის და 1960 წლის აქტების გამოყენება

(1) [ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის ან 1960 წლის აქტების მხარეები არიან] ეს აქტი გამოიყენება იმ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომლებიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის აქტის ან 1960 წლის აქტის მხარეები არიან. ამასთან, ასეთმა სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ურთიერთობის დროს, შემთხვევისდა მიხედვით, უნდა გამოიყენონ 1934 წლის აქტი ან 1960 წლის აქტი იმ სამრეწველო ნიმუშებისათვის, რომლებიც დეპონირებული იყო საერთაშორისო ბიუროში მათ ურთიერთობაში ამ აქტის გამოყენების დაწყების წინ.

(2) [ურთირთობა სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის ან 1960 წლის აქტების მხარეები არიან და სახელმწიფოებს შორის, რომლებიც არიან 1934 წლის და 1960 წლის აქტების მხარეები და არ არიან ამ აქტის მხარეები] (ა) ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის აქტის მხარეა უნდა გააგრძელოს 1934 წლის აქტების გამოყენება იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომლებიც 1934 წლის აქტის მხარეები არიან და არ არიან 1960 წლის ან ამ აქტის მხარეები.
(ბ) ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც ორივე ამ აქტის და 1960 წლის აქტის მხარეა, უნდა გააგრძელოს 1960 წლის აქტის გამოყენება იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომლებიც 1960 წლის აქტის მხარეები არიან და არ არიან ამ აქტის მხარეები.

მუხლი 32. ამ აქტის დენონსირება

(1) [შეტყობინება]ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია ამ აქტის დენონსირება გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

(2) [ძალაში შესვლის თარიღი] დენონსირება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, ან შეტყობინებაში აღნიშნული ნებისმიერი გვიანი თარიღით. მან გავლენა არ უნდა მოახდინოს ამ აქტის გამოყენებაზე განხილვის პროცესში მყოფი ნებისმიერი საერთაშორისო განსცხადის მიმართ და ნებისმიერი საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ, რომელიც ძალაშია შესული დენონსირების განმცხადებელი მონაწილე მხარისათვის დენინსირების ამოქმედების დროს.

მუხლი 33. ამ აქტის ენები;ხელმოწერა

(1) [ორიგინალური ტექსტები;ოფიციალური ტექსტები;] (ა) ამ აქტს ხელი უნდა მოეწეროს ერთ პირად ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ყველა ტექსტი ერთნაირად ავთენტიკურია.
(ბ) ოფიციალური ტექსტები დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ ისეთ სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება მიუთითოს ასამბლეამ.

(2) [ხელმოწერის ზღვრული ვადა] ეს აქტი ხელმოსაწერად რჩება ღიად ორგანიზაციის შტაბბინაში, მისი მიღებიდან ერთი წლის მანძილზე.

მუხლი 34. დეპოზიტარი

ამ აქტის დეპოზიტარი არის გენერალური დირექტორი.

ჰააგის შეთანხმება

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ

მუხლი 1

(1) სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ქმნიან სპეციალურ კავშირს.

(2) მხოლოდ სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრ-სახელმწიფოებს შეუძლიათ გახდნენ ამ შეთანხმების მხარეები.

მუხლი 2

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

„1925 წლის შეთანხმება" ნიშნავს 1925 წლის 6 ნოემბრის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმებას;

„1934 წლის შეთანხმება" ნიშნავს 1925 წლის 6 ნოემბრის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმებას, რომელიც გადაისინჯა ლონდონში 1934 წლის 2 ივნისს;

„ეს შეთანხმება" ან „წინამდებარე შეთანხმება" ნიშნავს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმებას, რომელიც დადებული წინამდებარე აქტით;

„ინსტრუქცია" ნიშნავს დებულებებს ამ შეთანხმების განხორციელების მიზნით;

„საერთაშორისო ბიურო" ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს;

„საერთაშორისო დეპოზიტი" ნიშნავს საერთაშორისო ბიუროში შეტანილ საერთაშორისო დეპოზიტს;

„ეროვნული დეპოზიტი" ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულ უწყებაში შეტანილ დეპოზიტს;

„მრავლობითი დეპოზიტი" ნიშნავს დეპოზიტს, რომელიც რამდენიმე ნიმუშს შეიცავს;

„საერთაშორისო დეპოზიტის წარმოშობის სახელმწიფო" ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს, სადაც განმცხადებელს აქვს ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო ან, თუ განმცხადებელს ასეთი საწარმოები აქვს რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოში, მაშინ იმ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც მან მიუთითა თავის განაცხადში; თუ განმცხადებელს არა აქვს ასეთი საწარმო რომელიმე მონაწილე სახელმწიფოში, მაშინ იმ მონაწილე სახელმწიფოს, სადაც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; თუ მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მონაწილე სახელმწიფოში, მაშინ იმ მონაწილე სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის იგი;

„სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს სიახლის ექსპერტიზას" ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს, რომლის ეროვნული კანონი ითვალისწინებს სისტემას, რომელიც მოიცავს ეროვნული უწყების მიერ თითოეულ დეპონირებულ ნიმუშზე სიახლის წინასწარ ex officio ძიებასა და ექსპერტიზას.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოების მოქალაქეებსა და პირებს, რომლებიც არ არიან რომელიმე მონაწილე ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი და მოქმედი საწარმო მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეუძლიათ ნიმუშების დეპონირება საერთაშორისო ბიუროში.

მუხლი 4

(1) საერთაშორისო დეპონირება საერთაშორისო ბიუროში შეიძლება განხორციელდეს:

1. პირდაპირ, ან

2. მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული უწყების შუამავლობით, თუ ეს ნებადართულია ამ სახელმწიფოს კანონით.

(2) ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონი შეიძლება მოითხოვდეს საერთაშორისო დეპოზიტების, რომლის წარმოშობის სახელმწიფოდაც იგი არის მიჩნეული, შეტანას ეროვნული უწყების საშუალებით. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არ მიაყენებს ზიანს საერთაშორისო დეპონირების მოქმედებას სხვა მონაწილე სახელმწიფოებში.

მუხლი 5

(1) საერთაშორისო დეპოზიტი უნდა შედგებოდეს განცხადების, ერთი ან მეტი ფოტოსურათის ან სამრეწველო ნიმუშის სხვა გრაფიკული გამოსახულებისაგან, აგრეთვე გადახდილი უნდა იყოს ინსტრუქციით დადგენილი საფასურები.

(2) განცხადება უნდა შეიცავდეს:

1. იმ მონაწილე სახელმწიფოების სიას, სადაც განმაცხადებელი ითხოვს, რომ მოქმედებდეს საერთაშორისო დეპონირება;

2. იმ ნაკეთობის ან ნაკეთობების მითითებას, რომლებშიც სამრეწველო ნიმუში უნდა იქნეს ჩართული;

3. თუ განმაცხადებელს სურს მე-9 მუხლით გათვალისწინებული პრიორიტეტის მოთხოვნა, დეპოზიტის თარიღის, სახელმწიფოსა და ნომრის მითითებას, რაც წარმოქმნის პრიორიტეტის უფლებას;

4. ისეთ სხვა მონაცემებს, რომლებიც შეიძლება დადგენილ იქნეს ინსტრუქციით.

(3) (ა) დამატებით, განაცხადი შეიძლება შეიცავდეს:

1. სამრეწველო ნიმუშის დამახასიათებელი ნიშნების მოკლე აღწერას;

2. განცხადებას სამრეწველო ნიმუშის ნამდვილი შემქმნელის შესახებ;

3. მოთხოვნას გამოქვეყნების გადადების შესახებ, რასაც მე-6 (4) მუხლი ითვალისწინებს.

(ბ) განაცხადს აგრეთვე შეიძლება თან დაერთოს ნაკეთობის ან ნაკეთობების ნიმუშები ან მოდელები, რომლებშიც სამრეწველო ნიმუშია განხორციელებული.

(4) მრავლობითი დეპოზიტი შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც განკუთვნილია სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთი და იმავე კლასის ნაკეთობებში ჩასართველად 21-ე (2) მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 6

(1) საერთაშორისო ბიურო აწარმოებს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეესტრს, სადაც არეგისტრირებს საერთაშორისო დეპოზიტებს.

(2) საერთაშორისო დეპოზიტი ჩაითვლება დეპონირებულად იმ თარიღიდან, როდესაც საერთაშორისო ბიურომ მიიღო განაცხადი დადგენილი ფორმით – გადასახდელი საგანაცხადო საფასური, თანდართული ფოტოსურათი ან ფოტოსურათები, ან სამრეწველო ნიმუშის სხვა გრაფიკული გამოსახულებები, ან, თუ საერთაშორისო ბიურომ განაცხადის მასალები მიიღო სხვადასხვა თარიღით, ამ თარიღებს შორის უკანასკნელი თარიღიდან. რეგისტრაციას უნდა ჰქონდეს იგივე თარიღი.

(3)(ა) თითოეულ საერთაშორისო დეპოზიტს საერთაშორისო ბიურო აქვეყნებს პერიოდულ ბიულეტენში:

1. რეპროდუქციას შავ-თეთრ ფერებში, ან განმაცხადებლის მოთხოვნით დეპონირებული ფოტოსურათების ან სხვა გრაფიკული გამოსახულების ფერად რეპროდუქციას;
2. საერთაშორისო დეპონირების თარიღს;
3. ინსტრუქციით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

(ბ) საერთაშორისო ბიურო ეროვნულ უწყებებს პერიოდულ ბიულეტენებს უგზავნის რაც შეიძლება მოკლე დროში.

4(ა) მე-(3) პუნქტის (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული გამოქვეყნება განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გადაიდოს ისეთი პერიოდით, რომლის მოთხოვნაც მას შეუძლია. აღნიშნული პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან. მაგრამ, თუ პრიორიტეტია მოთხოვნილი, ამ პერიოდის საწყისი თარიღი იქნება პრიორიტეტის თარიღი.

(ბ)(ა) ქვეპუნქტში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განმცხადებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სასწრაფო გამოქვეყნება, ან შეუძლია გამოითხოვოს დეპოზიტი. დეპოზიტის გამოთხოვა შეიძლება შეიზღუდოს ერთი ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოთი, და მრავლობითი დეპოზიტის შემთხვევაში, მასში შემავალი რამდენიმე ნიმუშით.

(გ) თუ განმცხადებელი დადგენილი დროის განმავლობაში ვერ გადაიხდის იმ საფასურებს, რომელიც გადახდილი უნდა იყოს (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული პერიოდის ამოწურვამდე, საერთაშორისო ბიურო გააუქმებს დეპონირებას და არ განახორციელებს მე-(3) პუნქტის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პუბლიკაციას.

(დ)(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერიოდის ამოწურვამდე საერთაშორისო ბიურო კონფიდენციალურად ინახავს იმ დეპოზიტების რეგისტრაციას, რომელთა პუბლიკაცია გადადებულია, ამასთან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ არის ასეთ დეპოზიტებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ნაგებობა. ამ დებულებების გამოყენება ხორციელდება დროის შეუზღუდავად, თუ განმცხადებელმა გაითხოვა თავისი დეპოზიტი აღნიშნული პერიოდის ამოწურვამდე.

(5) მე-(4) პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რეესტრი და საერთაშორისო ბიუროში შეტანილი ყველა დოკუმენტი და ნაკეთობა დასათვალიერებლად ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

მუხლი 7

(1)(ა) საერთაშორისო ბიუროში რეგისტრირებულ დეპოზიტს ისეთივე მოქმედება აქვს განმცხადებლის მიერ განაცხადში მითითებულ ყოველ სახელმწიფოში, როგორიც ექნებოდა მას, თუ განმცხადებელი დააკმაყოფილებდა დაცვისათვის ეროვნული კანონით დადგენილ ყველა ფორმალობას და ასეთი სახელმწიფოს უწყება შეასრულებდა ყველა მოქმედი ადმინისტრაციული აქტის მოთხოვნებს.

(ბ) მე-11 მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, სამრეწველო ნიმუშების დაცვა, რომელთა დეპოზიტი რეგისტრირებულ იქნა საერთაშორისო ბიუროს მიერ, ყოველ მონაწილე სახელმწიფოში წესრიგდება ამ სახელმწიფოში გამოყენებული ეროვნული კანონის დებულებებით იმ სამრეწველო ნიმუშებისათვის, რომელთა დაცვა მოთხოვნილია ეროვნული დეპოზიტის საფუძველზე და რომელთა მიმართ ყველა ფორმალობა და ადმინისტრაციული აქტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული და შესრულებულია.

(2) საერთაშორისო დეპოზიტს არ ექნება ძალა წარმოშობის სახელმწიფოში, თუ ამას ითვალისწინებს მოცემული სახელმწიფოს კანონები.

მუხლი 8

(1) მე-7 მუხლის დებულებების მიუხედავად, მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული უწყება, რომლის ეროვნული კანონი ითვალისწინებს, რომ ეროვნულ უწყებას შეუძლია ადმინისტრაციული ex officio ექსპერტიზის საფუძველზე, ან მესამე პირის შედავებიდან გამომდინარე უარი თქვას დაცვის მინიჭებაზე, უარის თქმის შემთხვევაში საერთაშორისო ბიუროს ექვს თვეში ატყობინებს იმის შესახებ, რომ სამრეწველო ნიმუში არ აკმაყოფილებს მისი ეროვნული კანონის მოთხოვნებს, რომლებიც განსხვავდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული ფორმალობებისა და ადმინისტრაციული აქტებისაგან. თუ ექვს თვეში ასეთი უარი არ იქნა შეტყობინებული, მოცემულ სახელმწიფოში საერთაშორისო დეპოზიტი მოქმედი გახდება აღნიშნული დეპონირების თარიღიდან. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოში, რომელიც ახორციელებს სიახლის ექსპერტიზას, საერთაშორისო დეპოზიტი, ინარჩუნებს რა თავის პრიორიტეტს, ძალაში შევა აღნიშნული პერიოდის ამოწურვიდან, თუ უარი არ იქნა შეტყობინებული ექვსი თვის განმავლობაში, თუკი ეროვნული კანონი არ ითვალისწინებს უფრო ადრეულ თარიღს თავის ეროვნულ უწყებაში შეტანილი დეპოზიტებისათვის.

(2) (1) პარაგრაფში აღნიშნული ექვსთვიანი პერიოდი აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც ეროვნული უწყება მიიღებს პერიოდული ბიულეტენის იმ გამოცემას, რომელშიც გამოქვეყნებულია მონაცემები საერთაშორისო დეპოზიტის რეგისტრაციის შესახებ. ეროვნული უწყება აცნობებს ამ თარიღს ნებისმიერ პირს, რომელიც ამას მოითხოვს.

(3) განმცხადებელი ეროვნული უწყების მიერ (1) პუნქტში აღნიშნული უარის თქმის შემთხვევაში თავის უფლებებს იცავს იმავე საშუალებებით, როგორსაც იგი გამოიყენებდა თავისი სამრეწველო ნიმუშის დეპონირებისას ეროვნულ უწყებაში; ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფითი გადაწყვეტილება ექვემდებარება განმეორებითი ექსპერტიზის მოთხოვნას ან აპელაციას. ასეთი უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს:

1. მიზეზები, რომელთა გამოც მიიჩნიეს, რომ სამრეწველო ნიმუში არ აკმაყოფილებს ეროვნული კანონის მოთხოვნებს;
2. მე-2 პუნქტში აღნიშნული თარიღი;
3. დრო, რომელიც დაშვებულია განმეორებითი ექსპერტიზის მოთხოვნის ან აპელაციისთვის;
4. ორგანო, რომელსაც ასეთი მოთხოვნით ან აპელაციით უნდა მიმართონ.

(4)(ა) მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულმა უწყებამ, რომლის ეროვნული კანონი 1 პუნქტში მითითებული სახის დებულებებს შეიცავს, რომლებიც მოითხოვს დეკლარაციას სამრეწველო ნიმუშის ნამდვილი შემქმნელის შესახებ, ან სამრეწველო ნიმუშის აღწერას, შეიძლება გაითვალისწინოს, რომ მოთხოვნის თანახმად და უწყების მიერ ასეთი მოთხოვნის გაგზავნიდან არანაკლებ სამოცდღიანი პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელმა საერთაშორისო ბიუროში შეტანილი განაცხადის ენაზე უნდა წარადგინოს:

1. დეკლარაცია იმის შესახებ, თუ ვინ არის სამრეწველო ნიმუშის ნამდვილი შემქმნელი;
2. მოკლე აღწერილობა, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს ფოტოსურათებით ან გრაფიკული გამოსახულებით წარმოდგენილი სამრეწველო ნიმუშის არსებით ნიშნებს.

(ბ) ეროვნულმა უწყებამ ასეთი განცხადებებისა და აღწერილობების შეტანასთან, ან მათ შესაძლო გამოქვეყნებასთან დაკავშირებით არ უნდა მოითხოვოს არანაირი საფასური.

(5)(ა) ნებისმიერი ეროვნული უწყება, რომლის ეროვნული კანონი შეიცავს 1-ლ პუნქტში აღნიშნული სახის დებულებებს, შესაბამისად, შეატყობინებს ამის შესახებ საერთაშორისო ბიუროს.

(ბ) თუ თავისი კანონმდებლობის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოს აქვს სამრეწველო

ნიმუშების დაცვის რამდენიმე სისტემა, რომელთაგან ერთ-ერთი ითვალისწინებს სიახლის ექსპერტიზას, ამ შეთანხმების დებულებები, რომლებიც შეეხება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ახორციელებენ სიახლის ექსპერტიზას, გამოიყენება მხოლოდ აღნიშნული სისტემისათვის.

მუხლი 9

თუ სამრეწველო ნიმუშის საერთაშორისო დეპოზიტი შეტანილია იმავე სამრეწველო ნიმუშის პირველი დეპონირებიდან ექვსი თვის განმავლობაში სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრ-სახელმწიფოში და თუ მოთხოვნილია პრიორიტეტი საერთაშორისო დეპონირებისათვის, პრიორიტეტის თარიღი იქნება იმ პირველის დეპონირების პრიორიტეტის თარიღი.

მუხლი 10

(1) საერთაშორისო დეპონირების მოქმედება შეიძლება განახლდეს ყოველი ხუთი წლით, განახლებისათვის ინსტრუქციით დადგენილი საფასურის გადახდით თითოეული ხუთწლიანი პერიოდის ბოლო წლის განმავლობაში.

(2) ექვემდებარება რა ინსტრუქციით გათვალისწინებულ დამატებით გადასახადს, საერთაშორისო დეპოზიტის მოქმედების განახლებისათვის ენიჭება ექვსთვიანი შეღავათიანი პერიოდი.

(3) განახლებისათვის საფასურის გადახდისას უნდა აღინიშნოს საერთაშორისო დეპოზიტის ნომერი და აგრეთვე, თუ განახლება არ უნდა განხორციელდეს ყველა მონაწილე სახელმწიფოში, სადაც დეპონირების ვადა იწურება, ის მონაწილე სახელმწიფოები, სადაც განახლება უნდა მოხდეს.

(4) განახლება შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ რომელიმე სამრეწველო ნიმუშით, რომელსაც შეიცავს მრავლობითი დეპოზიტი.

(5) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს განახლების რეგისტრირებას და გამოქვეყნებას.

მუხლი 11

(1)(ა) მონაწილე სახელმწიფოს მიერ სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელიც საერთაშორისო დეპონირების საგანს წარმოადგენს, მინიჭებული დაცვის ვადა არ უნდა იყოს ნაკლები:

1. ათ წელზე საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან, თუ დეპოზიტი განახლებული იქნა;
2. ხუთ წელზე საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან, თუ დეპოზიტი არ იქნა განახლებული.

(ბ) აღნიშნულის მიუხედავად, თუ იმ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს სიახლის ექსპერტიზას, ეროვნული კანონის დებულებების მიხედვით დაცვის ვადა იწყება საერთაშორისო დეპონირების თარიღზე უფრო გვიან, მაშინ (ა) პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური ვადა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც დაცვის ვადა იწყება ამ სახელმწიფოში. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო დეპონირების ვადა არ განახლებულა, ან განახლდა მხოლოდ ერთხელ, არანაირ გავლენას არ მოახდენს დაცვის მინიმალურ ვადაზე, რომელიც ზემოთ არის განსაზღვრული.

(2) თუ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონი ითვალისწინებს ეროვნული დეპონირების სამრეწველო ნიმუშების 10 წელზე მეტი ხნით დაცვას, ვადის გაგრძელებით ან გაუგრძელებლად, მაშინ საერთაშორისო დეპოზიტის და მისი ვადის გაგრძელების საფუძველზე ამ სახელმწიფოში საერთაშორისო დეპონირების სამრეწველო ნიმუშების დაცვის ხანგრძლივობაც ასეთივე ვადით განისაზღვრება.

(3) მონაწილე სახელმწიფოს თავისი ეროვნული კანონის შესაბამისად საერთაშორისო დეპონირებით შეტანილი სამრეწველო ნიმუშებისათვის შეუძლია შეზღუდოს სამრეწველო ნიმუშების დაცვის ვადა (1) პუნქტით გათვალისწინებული ვადით.

(4)(1)(ბ) პუნქტის შესაბამისად, დაცვის ვადა მონაწილე სახელმწიფოში შეწყდება საერთაშორისო დეპონირების ვადის ამოწურვის თარიღიდან, თუ ქვეყნის ეროვნული კანონი არ ითვალისწინებს დაცვის ვადის გაგრძელებას საერთაშორისო დეპონირების ვადის გასვლის თარიღის შემდეგ.

მუხლი 12

(1) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს იმ ცვლილებების რეგისტრაციასა და გამოქვეყნებას, რომლებიც გავლენას ახდენს იმ სამრეწველო ნიმუშის მფლობელობაზე, რომელიც წარმოადგენს ძალაში მყოფი საერთაშორისო დეპოზიტის საგანს. ნათელია, რომ მფლობელობის გადაცემა შეიძლება შეიზღუდოს საერთაშორისო დეპონირებით წარმოქმნილი უფლებებით მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოში და მრავლობითი დეპოზიტის შემთხვევაში მასში შემავალი მხოლოდ რომელიმე სამრეწველო ნიმუშით.

(2)(1) პუნქტში აღნიშნულ რეგისტრაციას იგივე ძალა ექნება, რაც ექნებოდა მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულ უწყებებში განხორციელებულ რეგისტრაციას.

მუხლი 13

(1) საერთაშორისო დეპოზიტის მფლობელს შეუძლია საერთაშორისო ბიუროს მიმართოს განცხადებით, რომელშიც უარს იტყვის თავის უფლებებზე ყველა ან რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, ხოლო მრავლობითი დეპოზიტის შემთხვევაში მასში შემავალ რომელიმე სამრეწველო ნიმუშის მიმართ.

(2) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს ასეთი განცხადების რეგისტრაციას და გამოქვეყნებას.

მუხლი 14

(1) არც ერთ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია დაცვის უფლების აღიარებისათვის პირობად მოითხოვოს, რომ ნაკეთობაზე, რომელიც შეიცავს სამრეწველო ნიმუშს, დატანილი იყოს ნიშანი, ან სპეციალური აღნიშვნა მოცემული სამრეწველო ნიმუშის დეპონირების შესახებ.

(2) თუ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ნაკეთობაზე სპეციალური აღნიშვნის დატანას ნებისმიერი სხვა მიზნით, ასეთმა სახელმწიფომ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულად უნდა ჩათვალოს, თუ სამრეწველო ნიმუშზე უფლების მფლობელის ნებართვით საზოგადოებისათვის შეთავაზებულ ყველა ნაკეთობაზე, ან ამ ნაკეთობაზე მიმაგრებულ იარლიყზე დატანილი იქნება საერთაშორისო სამრეწველო ნიმუშის სპეციალური აღნიშვნა.

(3) საერთაშორისო სამრეწველო ნიმუშის სპეციალური აღნიშვნა შედგება სიმბოლოსაგან (დიდი ასო D ჩასმული წრეში), რომელსაც თან ერთვის:

1. საერთაშორისო დეპონირების წელი და დეპოზიტორის სახელი, ან სახელის დამკვიდრებული აბრევიატურა, ან
2. საერთაშორისო დეპოზიტის ნომერი.

(4) საერთაშორისო სამრეწველო ნიმუშის სპეციალური აღნიშვნის არსებობა ნაკეთობაზე, ან იარლიყზე, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული საავტორო უფლებით, ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით მინიჭებულ დაცვაზე უარის თქმად, მაშინ როდესაც ასეთი აღნიშვნის უქონლობის შემთხვევაში ასეთი დაცვა შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

მუხლი 15

(1) ინსტრუქციით დადგენილი საფასური შედგება:

1. საფასურისაგან საერთაშორისო ბიუროსათვის;

2. საფასურისაგან განმცხადებლის მიერ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოებისათვის, სახელდობრ:

(ა) საფასურისაგან თითოეული მონაწილე სახელმწიფოსათვის;

(ბ) საფასურისაგან თითოეული მონაწილე სახელმწიფოსათვის, რომელიც ატარებს სიახლის ექსპერტიზას და მოითხოვს საფასურს ასეთი ექსპერტიზისათვის.

(2) ამ მუხლის (1) პუნქტის მე-2 (ა) ქვეპუნქტის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოსათვის ერთი და იმავე დეპოზიტზე გადახდილი ნებისმიერი საფასური გამოქვითული იქნება (1) პუნქტის მე-2(ბ) ქვეპუნქტში აღნიშნული საფასურის ოდენობიდან, თუ ეს უკანასკნელი საფასური გადასახდელია იმავე სახელმწიფოსათვის.

მუხლი 16

(1) საფასური მე-15 მუხლის (1) პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოსათვის უნდა შეაგროვოს საერთაშორისო ბიურომ და ყოველ წელს გადაუხადოს განმცხადებლის მიერ აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს.

(2)(ა) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შეატყობინოს საერთაშორისო ბიუროს, რომ უარს ამბობს თავის უფლებაზე მე-15 მუხლის 2 (ა) ქვეპუნქტში მითითებული დამატებითი საფასურის მიმართ საერთაშორისო დეპოზიტებისათვის, რომლებისთვისაც ნებისმიერი სხვა, ამგვარივე უარის მთქმელი მონაწილე სახელმწიფო წარმოშობის სახელმწიფოდ ითვლება.

(ბ) ასეთმა სახელმწიფომ შეიძლება ასევე განაცხადოს მსგავსი უარი იმ საერთაშორისო დეპოზიტების მიმართ, რომლებისთვისაც თავად ითვლება წარმოშობის სახელმწიფოდ.

მუხლი 17

ინსტრუქცია არეგულირებს ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ დეტალებს, კერძოდ ესენია:

1. ენები და ასლების რაოდენობა, რაც საჭიროა დეპონირების შესახებ განაცხადის შეტანისათვის, და მონაცემები, რომელებიც განცხადებაში უნდა იყოს მოცემული;

2. საერთაშორისო ბიუროსა და სახელმწიფოებისათვის განკუთვნილი საფასურების ოდენობა, თარიღები და გადახდის ფორმა, სიახლის ექსპერტიზის მქონე მონაწილე სახელმწიფოებისათვის განკუთვნილი საფასურებისათვის დადგენილი ფარგლების ჩათვლით.

3. თითოეული დეპონირებული სამრეწველო ნიმუშის ფოტოსურათების, ან სხვა გრაფიკული გამოსახულების რაოდენობა, ზომა და სხვა მახასიათებლები;

4. სამრეწველო ნიმუშის დამახასიათებელი ნიშნების აღწერის მოცულობა;

5. ფარგლები და პირობები, რომელთა მიხედვითაც ნაკეთობის ნიმუშები, ან მოდელები, რომლებშიც ჩართულია სამრეწველო ნიმუში, შეიძლება თან დაერთოს განაცხადს;

6. სამრეწველო ნიმუშების რაოდენობა, რომელსაც შეიძლება მოიცავდეს მრავლობითი დეპოზიტი, და სხვა პირობები, რომლებიც აწესრიგებს მრავლობითი დეპოზიტის დეპონირებას;

7. ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მე-6 (3) (ა) მუხლში აღნიშნული პერიოდული ბიულეტენის გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან, ეროვნული უწყებისათვის უფასოდ გადასაცემი და შემცირებული ფასით მისაყიდი ბიულეტენის ასლების ჩათვლით;

8. მონაწილე სახელმწიფოს მიერ შეტყობინების პროცედურა ნებისმიერი უარის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია მე-8 (1) მუხლით, და ასეთი უარის შეტყობინებისა და

გამოქვეყნების პროცედურა საერთაშორისო ბიუროს მიერ;

9. საერთაშორისო ბიუროს მიერ იმ ცვლილებების რეგისტრაციისა და გამოქვეყნების პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მე–12 (1) მუხლში აღნიშნულ სამრეწველო ნიმუშის მფლობელობაზე და მე–13 მუხლით გათვალისწინებულ უარის თქმის უფლებებზე;

10. დეპოზიტებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ნაკეთობების განკარგვა, რომელთა ვადის გაგრძელების შესაძლებლობა აღარ არსებობს.

მუხლი 18

წინამდებარე შეთანხმების დებულებები ხელს არ უშლის მოთხოვნას ისარგებლოს უფრო ძლიერი დაცვით, რომელიც შეიძლება მინიჭებულ იქნეს ეროვნული კანონმდებლობით მონაწილე სახელმწიფოში, და არანაირ გავლენას არ ახდენს ხელოვნების ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის საავტორო უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებებით და კონვენციებით მინიჭებულ დაცვაზე.

მუხლები 19–დან 22–ის ჩათვლით (გაუქმებულია სტოკჰოლმის (1967) დამატებითი აქტის მე–17 (2) მუხლით).

მუხლი 23

(1) ეს შეთანხმება ხელმოსაწერად ღიაა 1961 წლის 31 დეკემბრამდე.

(2) შეთანხმების რატიფიცირება მოხდება და რატიფიკაციის სამართლებრივი აქტები გადაეცემა ნიდერლანდის მთავრობას.

მუხლი 24

(1) სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრ–სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი არ მოუწერიათ ამ შეთანხმებაზე, შეუძლიათ მიუერთდნენ მას.

(2) ასეთი მიერთების შესახებ დიპლომატიური არხებით უნდა აცნობონ გენერალურ დირექტორს[1*] და ამ უკანასკნელის მიერ – ყველა მონაწილე სახელმწიფოების მთავრობებს.

მუხლი 25

(1) ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სამრეწველო ნიმუშების დაცვა და კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს ზომები ამ შეთანხმების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) იმ დროისათვის, როდესაც მონაწილე სახელმწიფო თავისი რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირებას მოახდენს, მას უნდა შეეძლოს თავისი ეროვნული კანონით აამოქმედოს ამ შეთანხმების დებულებები.

მუხლი 26

(1) ეს შეთანხმება ძალაში შევა ერთი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალურმა დირექტორმა დაუგზავნა შეტყობინება მონაწილე სახელმწიფოებს რატიფიკაციის ან მიერთების ათი სამართლებრივი აქტის დეპონირების თაობაზე, რომელთაგან სულ მცირე ოთხი სახელმწიფო, ამ შეთანხმების თარიღისათვის არც 1925 წლის და არც 1934 წლის შეთანხმებების მხარეები არ არიან.

1* „გენერალური დირექტორი" სტოკჰოლმის დამატებითი აქტის 1–ლი მუხლით (1967) განსაზღვრულია, როგორც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

(2) ამის შემდეგ რატიფიკაციისა და მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირების შესახებ გენერალურმა დირექტორმა უნდა შეატყობინოს მონაწილე სახელმწიფოებს. ასეთი რატიფიკაცია და მიერთება ძალაში შევა ასეთი შეტყობინების დაგზავნის თარიღიდან ერთი თვის შემდეგ, თუ მიერთების შემთხვევაში მიერთების შესახებ სამართლებრივ აქტში უფრო გვიანი თარიღი არ არის მითითებული.

მუხლი 27

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეტყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს შეთანხმება ეხება აგრეთვე იმ ტერიტორიებს მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელთა საგარეო ურთიერთობებზე იგი არის პასუხისმგებელი. იმავდროულად, გენერალური დირექტორი აწვდის ამ შეტყობინებას მონაწილე სახელმწიფოებს და ეს შეთანხმება გავრცელდება აგრეთვე აღნიშნულ ტერიტორიებზე გენერალური დირექტორის მიერ ამ შეტყობინების დაგზავნის თარიღიდან ერთი თვის შემდეგ, თუ შეტყობინებაში უფრო გვიანი თარიღი არ არის მითითებული.

მუხლი 28

(1) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ შეთანხმების დენონსირება გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე საკუთარი სახელით და შეტყობინებაში 27–ე მუხლის თანახმად მითითებული ყველა ან ნაწილი ტერიტორიების სახელით. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან ერთ წელიწადში.

(2) დენონსირება არ ათავისუფლებს ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან საერთაშორისო ბიუროში დენონსირების ძალაში შესვლის თარიღამდე დეპონირებული სამრეწველო ნიმუშების მიმართ.

მუხლი 29

(1) ეს შეთანხმება ექვემდებარება გადასინჯვას ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც გათვალისწინებულია სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირებიდან გამომდინარე დაცვის გასაუმჯობესებლად.

(2) გადასასინჯი კონფერენციები მოწვეული იქნება მონაწილე სახელმწიფოების არანაკლებ ნახევრის მოთხოვნით.

მუხლი 30

(1) ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ შეტყობინებაში აღნიშნული პირობების შესაბამისად:

1. თითოეული მათგანის ეროვნულ უწყებას ჩაენაცვლება საერთო უწყება.
2. ისინი ჩაითვლებიან ერთ სახელმწიფოდ ამ შეთანხმების მე–2–დან მე–17 მუხლების გამოყენების მიზნებისათვის.

(2) ასეთი შეტყობინება ძალაში არ შევა გენერალური დირექტორის მიერ სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის შეტყობინების დაგზავნის თარიღიდან ექვსი თვის გასვლამდე.

მუხლი 31

(1) მხოლოდ ეს შეთანხმება გამოიყენება იმ სახელმწიფოების ურთიერთობებთან მიმართებაში, რომლებიც ორივე წინამდებარე, 1925 ან 1934 წლების შეთანხმებების მხარეები არიან. მიუხედავად ამისა, ასეთი სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობისას იყენებენ 1925 ან 1934 წლების შეთანხმებებს, ვითარების შესაბამისად, იმ სამრეწველო ნიმუშების მიმართ, რომელთა დეპონირება საერთაშორისო ბიუროში განხორციელდა იმ თარიღამდე, როდესაც ეს შეთანხმება მიიღეს ერთმანეთთან ურთიერთობაში გამოსაყენებლად.

(2) (ა) ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ორივე – წინამდებარე და 1925 წლის შეთანხმებების მხარეა, განაგრძობს 1925 წლის შეთანხმების გამოყენებას იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, რომლებიც მხოლოდ 1925 წლის შეთანხმების მხარეები არიან, თუ ამ სახელმწიფომ არ განახორციელა 1925 წლის შეთანხმების დენონსირება.
(ბ) ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ორივე – წინამდებარე და 1934 წლის შეთანხმებების მხარეა, განაგრძობს 1934 წლის შეთანხმების გამოყენებას იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, რომლებიც მხოლოდ 1934 წლის შეთანხმების მხარეები არიან, თუ ამ სახელმწიფომ არ განახორციელა 1934 წლის შეთანხმების დენონსირება.

(3) სახელმწიფოებს, რომლებიც მხოლოდ წინამდებარე შეთანხმების მხარეები არიან, არ აკისრიათ ვალდებულებები იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ამ შეთანხმების მხარეები არ არიან, მაგრამ არიან 1925 და 1934 წლების შეთანხმების მხარეები.

მუხლი 32

(1) წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერა და რატიფიკაცია, ან მიერთება იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც ამ შეთანხმების თარიღისათვის არის 1925 ან 1934 წლების შეთანხმების მხარე, ნიშნავს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული პროტოკოლის ხელმოწერასა და რატიფიკაციას, ან მიერთებას, თუ ეს სახელმწიფო არ გააკეთებს გამოკვეთილ საწინააღმდეგო განცხადებას ხელმოწერის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირების დროს.

(2) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა (1) პარაგრაფში აღნიშნული განცხადება, ან ნებისმიერ სხვა მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის 1925 და 1934 წლების შეთანხმებების მხარე, შეუძლია ხელი მოაწეროს ან მიუერთდეს ამ შეთანხმებაზე თანდართულ პროტოკოლს. ხელმოწერის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირების დროს, მას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ თვლის თავს ვალდებულად შეასრულოს პროტოკოლის მე-2 (ა) ან მე-2 (ბ) ქვეპუნქტების დებულებები; ასეთ შემთხვევაში პროტოკოლის მხარე სხვა სახელმწიფოები არანაირად არ იქნებიან ვალდებულნი გამოიყენონ ასეთ განცხადებაში აღნიშნული დებულებები ამ სახელმწიფოსთან თავიანთ ურთიერთობაში. 23-დან 28-ე მუხლების ჩათვლით დებულებები გამოიყენება ანალოგიურად.

მუხლი 33

ეს აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად, რომელიც დეპონირებული იქნება ნიდერლანდის მთავრობის არქივებში. დამოწმებული ასლი ამ უკანასკნელის მიერ გადაეცემა თითოეული იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელმაც ხელი მოაწერა, ან მიუერთდა ამ შეთანხმებას.

პროტოკოლი[2]*

ამ პროტოკოლის მხარე სახელმწიფოები შეთანხმდნენ შემდეგზე:
(1) ამ პროტოკოლის დებულებები გამოიყენება სამრეწველო ნიმუშებისათვის, რომლებიც წარმოადგენს საერთაშორისო დეპონირების საგანს და რომელთა წარმოშობის სახელმწიფოდ პროტოკოლის მხარე ერთ-ერთი სახელმწიფო ითვლება.

(2)(1) პუნქტში აღნიშნულ სამრეწველო ნიმუშებთან მიმართებით:
(ა) პროტოკოლის მხარე სახელმწიფოს მიერ სამრეწველო ნიმუშებისათვის (1) პუნქტის შესაბამისად მინიჭებული დაცვის ვადა არ უნდა იყოს თხუთმეტ წელზე ნაკლები იმ თარიღიდან, რომელიც გათვალისწინებულია მე-11 მუხლის (1) (ა) ან (1) (ბ) პუნქტებით, იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს ეხება საქმე;
(ბ) პროტოკოლის მხარე სახელმწიფოებმა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოითხოვოს ნაკეთობაზე, რომელშიც ჩართულია სამრეწველო ნიმუშები, ან მასზე მიმაგრებულ იარლიყზე სპეციალური აღნიშვნის არსებობა, არც თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო დეპონირებით წარმოქმნილი უფლებების გამოყენების და არც ნებისმიერი სხვა მიზნით.

* ეს პროტოკოლი ჯერ არ არის ძალაში შესული.

ლისაბონის შეთანხმება
ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ

31 ოქტომბერი, 1958 წ.
გადასინჯულია 1967 წლის 14 ივლისს სტოკჰოლმში და
შეტანილია ცვლილებები 1979 წლის 28 სექტემბერს

მუხლი 1. (სპეციალური კავშირის შექმნა; საერთაშორისო ბიუროში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა)[1]

(1) ქვეყნები, რომლებზეც ეს შეთანხმება ვრცელდება, ქმნიან სპეციალურ კავშირს სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირის ფარგლებში.

(2) ეს ქვეყნები, ამ შეთანხმების პირობების შესაბამისად, ვალდებულებას იღებენ თავიანთ ტერიტორიებზე დაიცვან სპეციალურ კავშირში შემავალი სხვა ქვეყნების პროდუქციის ადგილწარმოშობის დასახელებები, რომლებიც ასეთად აღიარებული და დაცულია წარმოშობის ქვეყანაში და რეგისტრირებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ბიუროში (შემდგომში „საერთაშორისო ბიურო" ან „ბიურო"), რომელიც მითითებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომში „ორგანიზაცია") დამფუძნებელ კონვენციაში.

მუხლი 2. (ადგილწარმოშობის დასახელებისა და წარმოშობის ქვეყნის ცნებების განსაზღვრება)

(1) ამ შეთანხმების მიხედვით, „ადგილწარმოშობის დასახელება" ნიშნავს ქვეყნის, რაიონის ან ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებას, რომელიც გამოიყენება იქ წარმოშობილი იმ პროდუქციის მოსანიშნად, რომლის ხარისხი და მახასიათებლები განსაკუთრებულად ან არსებითად განპირობებულია გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორების ჩათვლით.

(2) წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომლის სახელიც, ან ქვეყანა, რომელში მდებარე რეგიონის ან ადგილის სახელიც შეადგენს ადგილწარმოშობის დასახელებას, რომელმაც შესძინა პროდუქტს რეპუტაცია.

მუხლი 3. (დაცვის არსი)

დაცვა უზრუნველყოფს ნებისმიერი უკანონო მითვისების ან იმიტაციის თავიდან აცილებას მაშინაც კი, როდესაც პროდუქციის ნამდვილი წარმოშობა აღნიშულია ან ადგილწარმოშობის დასახელება გამოიყენება თარგმანის სახით ან მას ერთვის ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „სახის", „ტიპის", „დამზადებულია", „იმიტაცია" და სხვ.

მუხლი 4. (დაცვა სახვა აქტების საფუძველზე)

ამ შეთანხმების დებულებები არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს დაცვას, რომელიც უკვე ვრცელდება ადგილწარმოშობის დასახელებებზე სპეციალური კავშირის თითოეულ ქვეყანაში

[1] მუხლებს სათაურები მიეცა მათი იდენტიფიცირების გაიოლების მიზნით. ხელმოწერილ ფრანგულ ტექსტში არ არის არცერთი სათაური.

სხვა ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების საფუძველზე, როგორიცაა 1883 წლის 20 მარტი პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ და მისი შემდგომი რედაქციები და 1891 წლის 14 აპრილის მადრიდის შეთანხმება საქონლის წარმოშობის ყალბი და შეცდომაში შემყვანი აღნიშვნების აღკვეთის შესახებ და მისი შემდგომი რედაქციები, ან ეროვნული კანონმდებლობის ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 5. (საერთაშორისო რეგისტრაცია; უარი და უარის გაპროტესტება, შეტყობინებები; გამოყანების დაშვება ფიქსირებულ პერიოდში)

(1) ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაცია ხორციელდება საერთაშორისო ბიუროში, სპეციალური კავშირის ქვეყნების უწყებების მოთხოვნით, როგორც საჯარო, ისე კერძო იურიდიული ან ფიზიკური პირების სახელზე, რომელთაც ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე უფლება აქვთ გამოიყენონ ასეთი ადგილწარმოშობის დასახელებები.

(2) საერთაშორისო ბიურო დაუყოვნებლივ ატყობინებს სპეციალური კავშირის სხვადასხვა ქვეყნების უწყებებს ასეთი რეგისტრაციების შესახებ და მათ აქვეყნებს პერიოდულ გამომცემლობაში.

(3) ნებისმიერი ქვეყნის უწყებას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს იმ ადგილწარმოშობის დასახელების დაცვას, რომლის რეგისტრაციის შესახებაც მას ეცნობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განცხადება უარის თქმის საფუძვლების მითითებით საერთაშორისო ბიუროში წარდგენილია რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში და იმ პირობით, რომ ასეთი განცხადება არ მიაყენებს ზიანს ამ ქვეყანაში ადგილწარმოშობის დასახელების დაცვის სხვა ფორმებს, რომელთა მოთხოვნის უფლება შეიძლება ჰქონდეს ამ ნიშნის მფლობელს მე–4 მუხლის შესაბამისად.

(4) ასეთი განცხადება არ შეიძლება წარდგენილ იქნეს კავშირის ქვეყნების უწყებების მიერ წინა პუნქტში გათვალისწინებული ერთწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.

(5) საერთაშორისო ბიურო წარმოშობის ქვეყნის უწყებას შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში ატყობინებს მე–(3) პუნქტის პირობების შესაბამისად სხვა ქვეყნების უწყებების მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადების შესახებ. დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც ეცნობა მისი ეროვნული უწყებისაგან სხვა ქვეყნის მიერ გაკეთებული განცხადების შესახებ, შეუძლია მიმართოს სამართლებრივი და ადმინისტრაციული დაცვის ყველა საშუალებას, რომლებიც ხელმისაწვდომია ამ ქვეყნის მოქალაქეთათვის.

(6) თუ ადგილწარმოშობის დასახელება, რომელსაც მოცემულ ქვეყანაში მიენიჭა დაცვა მისი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების თანახმად, უკვე გამოიყენებოდა ამ ქვეყანაში მესამე პირების მიერ ასეთი შეტყობინების მიღებამდე, აღნიშნული ქვეყნის კომპეტენტურ უწყებას აქვს უფლება მესამე პირებს მისცეს ვადა, არა უმეტეს ორი წლისა, რომ მათ შეწყვიტონ ამგვარი გამოყენება, იმ პირობით, რომ აღნიშნული უწყება შესაბამისად მიმართავს საერთაშორისო ბიუროს მე–(3) პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 6. (გვარეობითი სახელები)

ადგილწარმოშობის დასახელება, რომელსაც მიენიჭა დაცვა სპეციალური კავშირის ერთ–ერთ ქვეყანაში, მე–5 მუხლში გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად, არ შეიძლება ამ ქვეყანაში მიჩნეულ იქნეს, როგორც გვარეობითად გარდაქმნილი, ვიდრე წარმოშობის ქვეყანაში იგი დაცულია როგორც ადგილწარმოშობის დასახელება.

მუხლი 7. (რეგისტრაციის მოქმედების პერიოდი; საფასური)

(1) რეგისტრაცია, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო ბიურო მე-5 მუხლის შესაბამისად, დაცვას უზრუნველყოფს განახლების გარეშე წინა მუხლში აღნიშნული მთელი პერიოდის განმავლობაში.

(2) თითოეული ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციაზე გადახდილი უნდა იქნეს ერთჯერადი საფასური.

მუხლი 8. (სასამართლო წარმოება)

სასამართლო პროცესი ადგილწარმოშობის დასახელების დაცვის უზრუნველსაყოფად შეიძლება აღიძრას სპეციალური კავშირის თითოეულ ქვეყანაში ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე:

1. კომპეტენტური უწყების ან პროკურორის მოთხოვნით;
2. ნებისმიერი დაინტერესებული მხარის, საჯარო ან კერძო იურუდიული ან ფიზიკური პირის მიერ.

მუხლი 9. (სპეციალური კავშირის ასამბლეა)

(1) (ა) სპეციალურ კავშირს გააჩნია ასამბლეა იმ ქვეყნების შემადგენლობით, რომლებმაც მოახდინეს ამ აქტის რატიფიცირება ან მიუერთდნენ მას;
(ბ) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები;
(გ) თითოეული დელეგაციის ხარჯებს თავისთავზე იღებს ის მთავრობა, რომელიც მას ნიშნავს.

(2) (ა) ასამბლეა:
(I) აწესრიგებს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება სპეციალური კავშირის შენარჩუნებას, განვითარებასა და არსებული შეთანხმების განხორციელებას;
(II) საერთაშორისო ბიუროს აძლევს მითითებებს შეთანხმების გადასასინჯად გამიზნული კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებით, სპეციალური კავშირის იმ წევრი ქვეყნების შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებსაც არ მოუხდენიათ ამ აქტის რატიფიკაცია ან არ მიერთებიან მას;
(III) ცვლის ინსტრუქციებს მე-7(2) მუხლში მითითებული საფასურისა და საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა საფასურის ჩათვლით;
(IV) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის (შემდგომში „გენერალური დირექტორი”) ანგარიშებსა და საქმიანობას, რომელიც ეხება სპეციალურ კავშირს და მას აძლევს ყველა აუცილებელ ინსტრუქციას იმ საკითხებზე, რომლებიც შედის სპეციალური კავშირის კომპეტენციაში;
(V) განსაზღვრავს პროგრამას, ამტკიცებს სპეიალური კავშირის ორწლიან ბიუჯეტსა და ფინანსურ ანგარიშს;
(VI) იღებს სპეციალური კავშირის ფინანსურ ინსტრუქციებს;
(VII) ქმნის ექსპერტთა ისეთ კომიტეტებსა და სამუშაო ჯგუფებს, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის სპეციალური კავშირის მიზნების მისაღწევად;
(VIII) განსაზღვრავს სპეციალური კავშირის იმ არაწევრი ქვეყნების, აგრეთვე იმ სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სიას, რომელთა დაშვებაც შეიძლება მის სხდომებზე დამკვირვებლის სტატუსით;

(IX) შეაქვს ცვლილებები მე-9-დან მე-12-მდე მუხლებში;
(X) იღებს ნებისმიერ სხვა ზომებს, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური კავშირის მიზნების მიღწევას;
(XI) ასრულებს ყველა სხვა ფუნქციას, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმებით;

(ბ) იმ საკითხებზე, რომლებიც შეადგენს სხვა კავშირების დაინტერესების საგანს, რომელთა ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც ახორციელებს ეს ორგანიზაცია, ასამბლეას გამოაქვს გადაწყვეტილებები ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევების გათვალისწინებით.

(3) (ა) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ერთი ხმის უფლება;
(ბ) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს;
(გ) როდესაც რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რაოდენობა შეადგენს ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ ტოლია ან მეტია მათი ერთი მესამედისა, (ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნის მიუხედავად, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, ოღონდ ყველა ასეთი გადაწყვეტილება, გარდა მის საკუთარ პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა, ძალაში შედის ქვემოთ მოყვანილი პირობების შესრულებისას. საერთაშორისო ბიურო გადაწყვეტილებებს უგზავნის ასამბლეის იმ წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილნი სესიაზე და სთავაზობს მათ, რომ შეტყობინების დღიდან სამთვიან ვადაში მათ წერილობით აცნობონ, რომ ხმას აძლევენ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, ან თავს იკავებენ კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. თუ ამ ვადის გასვლის მომენტისთვის იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც ხმას აძლევენ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, ან თავს იკავებენ კენჭისყრაში მონაწილეობისგან, მიაღწევს ისეთ რაოდენობას, რომელიც აკლია სესიაზე კვორუმის მისაღწევად, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის იმ პირობით, თუ ამავე დროს მიღწეული იქნება ხმათა აუცილებელი უმრავლესობა;
(დ) ასამბლეის გადაწყვეტილების მისაღებად, მე-12(2) მუხლის გათვალისწინებით, საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე ხმების ორი მესამედი;
(ე) კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავშეკავებულთა რაოდენობა კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობაში არ ითვლება;
(ვ) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ამ ერთი ქვეყნის სახელით;
(ზ) სპეციალური კავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, სხდომაზე დაიშვებიან დამკვირვებლებად.

(4) (ა) ჩვეულებრივ, ასამბლეა სესიაზე იკრიბება ყოველ მეორე კალენდარულ წელიწადში ერთხელ, გენერალური დირექტორის მოწვევით და, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, იმავე დროსა და ადგილზე, სადაც ჩატარდა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა;
(ბ) საგანგებო სესიაზე ასამბლეა იკრიბება ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნის საფუძველზე, გენერალური დირექტორის მოწვევით;
(გ) ყოველი სესიის დღის წესრიგი მზადდება გენერალური დირექტორის მიერ.

(5) პროცედურისათვის ასამბლეა იღებს თავის საკუთარ წესებს.

მუხლი 10. (საერთაშორისო ბიურო)

(1) (ა) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს საერთაშორისო რეგისტრაციას და ასრულებს მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ისევე როგორც სპეციალური კავშირის სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

(ბ) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ამზადებს სხდომებს და უზრუნველყოფს ასამბლეისა და ექსპერტთა ისეთი კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების სამდივნოებს, რომელთა შექმნის შესაძლებლობაც აქვს ასამბლეას;

(გ) გენერალური დირექტორი არის სპეციალური კავშირის ხელმძღვანელი და წარმოადგენს სპეციალურ კავშირს.

(2) გენერალური დირექტორი და ნებისმიერი მის მიერ დანიშნული თანამშრომელი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის ყველა სხდომასა და ექსპერტთა იმ კომიტეტებში ან სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც მათ მიერაა შექმნილი.

(3) (ა) საერთაშორისო ბიურო, ასამბლეის განკარგულებით ამზადებს შეთანხმების ყველა დებულების გადასასინჯ კონფერენციებს, მე-9-დან მე-12 მუხლებში მოცემული დებულებების გარდა;

(ბ) გადასასინჯი კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებით, საერთშორისო ბიუროს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან;

(გ) გენერალურ დირექტორს და მის მიერ დანიშნულ თანამშრომლებს შეუძლიათ ამ კონფერენციების დისკუსიებში მონაწილეობა ხმის უფლების გარეშე.

(4) საერთშორისო ბიურო ასრულებს ნებისმიერ სხვა მასზე დაკისრებულ ფუნქციას.

მუხლი 11. (ფინანსები)

(1) (ა) სპეციალურ კავშირს გააჩნია თავისი ბიუჯეტი;

(ბ) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი მოიცავს სპეციალური კავშირის საკუთარ შემოსავალს და გასავალს, ბიუჯეტის საერთო ხარჯებისათვის შენატანებს და ორგანიზაციის მიერ კონფერენციების ჩასატარებლად საჭირო თანხას;

(გ) ხარჯები, რომლებიც არ ეკუთვნის მხოლოდ სპეციალურ კავშირს, არამედ ეკუთვნის ერთ ან რამდენიმე სხვა კავშირს, რომელსაც მართავს ორგანიზაცია, განიხილება როგორც კავშირების საერთო ხარჯები. ასეთ საერთო ხარჯებში სპეციალური კავშირის წილი პროპორციულია იმ პროცენტისა, რომელიც სპეციალურ კავშირს აქვს მასში.

(2) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი იქმნება იმ სხვა კავშირების ბიუჯეტებთან სათანადო კოორდინაციის გათვალისწინებით, რომელთაც მართავს ეს ორგანიზაცია.

(3) სპეციალური კავშირის ბიუჯეტის დაფინანსება ხდება შემდეგი წყაროებიდან:

(I) საერთაშორისო რეგისტრაციისთვის მე-7(2) მუხლის მიხედვით შეკრებილი საფასურები და საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან მიმართებაში გაწეულ მომსახურებათა სხვა საფასურები და ხარჯები;

(II) საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან მიმართებაში გამოცემული პუბლიკაციების ან როიალტით მიღებული შემოსავალი;

(III) საჩუქრები, ანდერძით გადმოცემული საშუალებები და სუბსიდიები;

(IV) რენტა, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები და სხვა;

(V) სპეციალური კავშირის წევრი ქვეყნების შენატანები იმ შემთხვევაში, როდესაც (I)-(IV)

პუნქტებით გათვალისწინებული შემოსავლის რაოდენობა არაა საკმარისი სპეციალური კავშირის გასავლის დასაფარად.

(4) (ა) საფასურის რაოდენობა, რომელიც მითითებულია მე-7(2) მუხლში, დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე;

(ბ) ამ საფასურის რაოდენობა დგინდება ისე, რომ სპეციალური კავშირის შემოსავალი, ნორმალურ პირობებში, საკმარისი იყოს საერთაშორისო ბიუროს მიერ საერთაშორისო რეესტრის მუშაობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, იმ შენატანების გაუთვალისწინებლად, რომლებზედაც მითითებული იყო მე-(3) (V) პუნქტში.

(5) (ა) მე-(3) (V) პუნქტში მითითებული შენატანის დადგენის მიზნით, სპეციალური კავშირის თითოეული წევრი ქვეყანა მიეკუთვნება იმავე კლასს, რომელსაც ის ეკუთვნის სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კავშირში და იხდის ყოველწლიურ შენატანს კავშირის მიერ ამ კლასისთვის დადგენილი წილობრივი ერთეულის საფუძველზე;

(ბ) სპეციალური კავშირის თითოეული წევრი ქვეყნის წლიური შენატანის რაოდენობა ყველა წევრი ქვეყნის მიერ სპეციალური კავშირის ბიუჯეტში შეტანილ საერთაშორისო თანხასთან ისეთივე პროპორციაშია, როგორც მისი წილობრივი კოეფიციენტი ყველა ქვეყნის წილობრივი კოეფიციენტების ჯამთან;

(გ) შენატანის გადახდის თარიღს ადგენს ასამბლეა;

(დ) ქვეყანა ვერ გამოიყენებს ხმის უფლებას სპეციალური კავშირის რომელიმე ორგანოში, თუ მას აქვს დავალიანება შენატანების გადახდასთან დაკავშირებით და, თუ მისი დავალიანება ტოლია ან აჭარბებს მასზე ორი სრული წლის განმავლობაში დაკისრებული შენატანის რაოდენობას. მიუხედავად ამისა, სპეციალური კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ასეთ ქვეყანას ხმის უფლების გამოყენების ნება დართოს, თუ დარწმუნებულია, რომ გადახდის გადავადება მოხდა განსაკუთრებული და გარდაუვალი მიზეზების გამო;

(ე) იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი ფინანსური წლის დაწყებამდე, ბიუჯეტი არაა მიღებული, ფინანსური ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, ბიუჯეტი რჩება იგივე, რაც იყო წინა წელს.

(6) მე-(4) (ა) პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საფასურებისა და საერთშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან მიმართებაში გაწეული სხვა მომსახურეობის ხარჯებისა და საფასურების რაოდენობას ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც ამის შესახებ ატყობინებს ასამბლეას.

(7) (ა) სპეციალურ კავშირს გააჩნია საბრუნავი საშუალებების ფონდი, რომელიც იქმნება სპეციალური კავშირის თითოეული წევრი ქვეყნის ერთჯერადი გადასახადით. თუ საბრუნავი საშუალებების ფონდი არასაკმარისი გახდება, ასამბლეა დასვამს მისი გაზრდის საკითხს;

(ბ) თითოეული ქვეყნის საწყისი შენატანის რაოდენობა ზემოთ ხსენებულ ფონდში, ან მისი მონაწილეობა ფონდის გასაზრდელად პროპორციულია ამ ქვეყნის, როგორც სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კავშირის წევრის, შენატანისა ამ კავშირის ბიუჯეტში იმ წელს, როდესაც შეიქმნა ფონდი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მის გაზრდაზე;

(გ) შენატანების თანაფარდობა და ვადები განისაზღვრება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე, მას შემდეგ, რაც მოსმენილ იქნება ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრი.

(8) (ა) შტაბ-ბინის შესახებ შეთანხმება, რომელიც დადებულია იმ ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ-ბინა, ითვალისწინებს, რომ თუ საბრუნავი საშუალებების ფონდი აღმოჩნდება არასაკმარისი, მაშინ ეს ქვეყანა გაიღებს ავანსებს. ამ ავანსების სიდიდე და მათი გაცემის პირობები ყველა შემთხვევაში წარმოადგენს შეთანხმების საგანს ამ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის;

(ბ) წინა (ა) პუნქტით მითითებულ ქვეყანას და ორგანიზაციას გააჩნიათ უფლება წერილობითი ფორმით მოახდინონ ავანსების გაღების ვალდებულების დენონსირება. დენონსაცია ძალაში შედის იმ წლის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც გაიგზავნა შეტყობინება.

(9) ანგარიშის აუდიტი ხორციელდება სპეციალური კავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ან ასამბლეის მიერ დანიშნული გარე აუდიტორების მიერ, ისე როგორც გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუქციით. ისინი ინიშნებიან მათი თანხმობით, ასამბლეის მიერ.

მუხლი 12. (9-12 მუხლების შესწორებები)

(1) წინადადებები მე-9, მე-10, მე-11 მუხლებისა და ამ მუხლებში შესწორებების შეტანის შესახებ შეიძლება წაყენებულ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის ან გენერალური დირექტორის მიერ. ეს წინადადებები გენერალური დირექტორის მიერ ეგზავნება ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეაზე მათ განხილვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე.

(2) წინა, (1) პუნქტში მითითებულ მუხლებში შესწორებების შეტანა ხორციელდება ასამბლეის მიერ. შესწორებების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე ხმათა სამი მეოთხედი, იმის გათვალისწინებით, რომ მე-9 მუხლსა და ამ პუნქტში შესწორებების მისაღებად საჭიროა ხმათა ოთხი მეხუთედი.

(3) ნებისმიერი შესწორება მუხლებში, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტში, ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გენერალური დირექტორი მიიღებს წერილობით შეტყობინებებს ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებული შესწორებების მიღებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელების შესახებ იმ ქვეყნების სამი მეოთხედიდან, რომლებიც შესწორებების მიღების მომენტში არიან ასამბლეის წევრები. აღნიშნულ მუხლებში ნებისმიერი შესწორება, რომელიც მიღებულია ამ გზით, სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომლებიც შესწორებების ძალაში შესვლის მომენტისათვის უკვე არიან ასამბლეის წევრები ან გახდებიან მისი წევრები ამ თარიღის გასვლის შემდეგ იმ პირობით, რომ ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის სპეციალური კავშირის წევრი ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებას, ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნებზე, რომლებმაც აღიარეს ასეთი შესწორებები.

მუხლი 13. (ინსტრუქციები; რევიზია)

(1) შეთანხმების მოთხოვნების განსახორციელებლად საჭირო დეტალები განსაზღვრულია ინსტრუქციით.

(2) შეთანხმების გადასინჯვა შეიძლება სპეციალური კავშირის წევრი ქვეყნების კონფერენციებზე.

მუხლი 14. (რატიფიკაცია და მიერთება; ძალაში შესვლა; პარიზის კონვენციის 24-ე მუხლთან (ტერიტორიები) კავშირი; 1958 წლის აქტთან მიერთება)

(1) სპეციალური კავშირის ნებისმიერ წევრ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიკაცია ხოლო, თუ მას ხელი ჯერ არა აქვს მოწერილი, შეუძლია მიუერთდეს მას.

(2) (ა) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ შედის სპეციალურ კავშირში, მაგრამ სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის წევრია, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და ამ გზით გახდეს სპეციალური კავშირის წევრი;

(ბ) მიერთების შესახებ შეტყობინება უზრუნველყოფს მიერთებული ქვეყნის ტერიტორიაზე ზემოთ ხსენებული დებულებების გამოყენებას ადგილწარმოშობის დასახელებებისათვის, რომლებიც მიერთებისას წარმოადგენენ საერთაშორისო რეგისტრაციის ობიექტეს.

(გ) მიუხედავად ამისა, ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც მიუერთდა ამ აქტს, შეუძლია ერთი წლის ვადაში განაცხადოს საერთაშორისო ბიუროში რეგისტრირებული რომელი ადგილწარმოშობის დასახელებების მიმართ სურს მე-5(3) მუხლით გათვალისწინებული უფლებების გამოყენება.

(3) რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ დოკუმენტების დეპონირება ხდება გენერალურ დირექტორთან.

(4) ეს შეთანხმება იყენებს სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის 24-ე მუხლის დებულებებს.

(5) (ა) იმ ხუთი ქვეყნისათვის, რომლებმაც პირველებმა მოახდინეს მათი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირება, ეს აქტი ძალაში შედის ასეთი მეხუთე დოკუმენტის შეტანიდან სამი თვის შემდეგ;

(ბ) ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის ეს აქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება გენერალურ დირექტორს, თუ რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტში უფრო გვიანდელი თარიღი არ არის მითითებული. მეორე შემთხვევაში ამ ქვეყნისათვის აქტი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(6) რატიფიკაციას ან მიერთებას ავტომატურად მოსდევს ამ აქტის ყველა დებულებითა და ყველა უპირატესობით სარგებლობა.

(7) არსებული აქტის ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყანას შეუძლია მიუერთდეს ამ შეთანხმების 1958 წლის 31 ოქტომბრის საწყის აქტს, მხოლოდ ამ აქტის რატიფიკაციისა და მასთან მიერთებასთან ერთად.

მუხლი 15. (შეთანხმების ხანგრძლივობა; დენონსაცია)

(1) არსებული შეთანხმება ძალაშია, ვიდრე მისი წევრია არა ნაკლებ ხუთი ქვეყნისა.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია არსებული აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ასეთი დენონსაცია განაპირობებს 1958 წლის 31 ოქტომბრის საწყისი აქტის დენონსაციასაც და ეხება მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ეს დენონსაცია; სპეციალური კავშირის სხვა ქვეყნებისთვის არსებული შეთანხმება მთლიანად ძალაში რჩება და ექვემდებარება შესრულებას.

(3) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

(4) ნებისმიერი ქვეყნის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება არ გამოიყენება, ვიდრე არ გავა ხუთწლიანი ვადა იმ დღიდან, როდესაც ეს ქვეყანა გახდა სპეციალური კავშირის წევრი.

მუხლი 16. (1958 წლი აქტის გამოყენება)

(1) (ა) არსებული აქტი ცვლის 1958 წლის 31 ოქტომბრის საწყის აქტს სპეციალური კავშირის იმ ქვეყნებს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიკაცია ან მიუერთდნენ მას;

(ბ) თავის მხრივ, სპეციალური კავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ამ აქტის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას, ვალდებულია სპეციალური კავშირის იმ წევრ ქვეყნებთან ურთიერთობისას, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიკაცია ან არ მიუერთდნენ მას, იმოქმედოს 1958 წლის 31 ოქტომბრის საწყისი აქტის მიხედვით.

(2) სპეციალურ კავშირს გარეთ მყოფი ქვეყნები, რომლებიც გახდნენ ამ აქტის მონაწილენი, იყენებენ ამ აქტის ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო რეგისტრაციებისათვის, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო ბიუროში, სპეციალური კავშირის ნებისმიერი იმ წევრი ქვეყნის უწყების მოთხოვნით, რომელიც არ არის ამ აქტის მონაწილე, იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული ქვეყნების მიმართ ეს რეგისტრაციები აკმაყოფილებენ ამ აქტის მოთხოვნებს. რაც შეეხება საერთაშორისო რეგისტრაციებს, რომელიც ხორციელდება ქვეყნების მიერ, რომლებიც არ შედიან სპეციალურ კავშირში, მაგრამ გახდნენ ამ აქტის მონაწილენი, ასეთი ქვეყნები აღიარებენ, რომ სპეციალური კავშირის ზემოხსენებული ქვეყნებს შეუძლიათ მოითხოვონ 1958 წლის 31 ოქტომბრის საწყისი აქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

მუხლი 17. (ხელმოწერა, ენები, დეპოზიტარის ფუნქციები)

(1) (ა) ხელის მოწერა ხორციელდება არსებული აქტის მხოლოდ ერთ ეგზემპლარზე, ფრანგულ ენაზე და შესანახად გადაეცემა შვედეთის მთავრობას;

(ბ) ოფიციალური ტექსტი დგინდება გენერალური დირექტორის მიერ, დაინტერესებულ მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ, იმ სხვა ენებზე, რომელსაც განსაზღვრავს ასამბლეა.

(2) ეს აქტი ხელმოსაწერად ღიაა სტოკჰოლმში 1968 წლის 13 იანვრამდე.

(3) გენერალური დირექტორი შვედეთის მთავრობის მიერ დამოწმებულ ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს უგზავნის სპეციალური კავშირის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი ახორციელებს ამ აქტის რეგისტრაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) სპეციალური კავშირის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობას გენერალური დირექტორი ატყობინებს ხელმოწერების, რატიფიკაციისა და მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების, ამ აქტის დებულებების ძალაში შესვლის, დენონსაციისა და დეკლარაციის შესახებ მე-14 მუხლის მე-(2)(გ) და მე-(4) პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 18. (გარდამავალი დებულებები)

(1) პირველი გენერალური დირექტორის უფლებამოსილების ძალაში შესვლამდე, ამ აქტში მითითება ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროზე ან გენერალურ დირექტორზე მიიჩნევა მითითებად სპეციალური კავშირის ბიუროზე, სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციაზე ან მის დირექტორზე.

(2) სპეციალური კავშირის ქვეყნებს, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიკაცია ან

არ მიუერთდნენ მას, ორგანიზაციის დამაარსებელი კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში შეუძლიათ სურვილისამებრ ისარგებლონ ამ აქტის მე-19–მე-12 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, თითქოს ისინი ვალდებულნი იყვნენ ამ მუხლების შესრულებაზე. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ამ უფლებების გამოყენების სურვილი, ამის შესახებ წერილობით ატყობინებს გენერალურ დირექტორს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან. ასეთი ქვეყნები მიიჩნევა ასამბლეის წევრებად აღნიშნული ვადის გასვლამდე.

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება

დაიდო ვაშინგტონში 1970 წლის 19 ივლისს, შესწორდა 1979 წლის 28 სექტემბერს,
შეიცვალა 1984 წლის 3 თებერვალსა და 2001 წლის 3 ოქტომბერს

(ძალაშია 2002 წლის 1 აპრილიდან)

ს ა რ ჩ ე ვ ი

პრეამბულა

შესავალი დებულებები

მუხლი 1. კავშირის დაფუძნება

მუხლი 2. განსაზღვრებები

თავი I: საერთაშორისო განაცხადი და საერთაშორისო ძიება

მუხლი 3. საერთაშორისო განაცხადი

მუხლი 4. განცხადება

მუხლი 5. აღწერილობა

მუხლი 6. გამოგონების ფორმულა

მუხლი 7. ნახაზები

მუხლი 8. პრიორიტეტის მოთხოვნა

მუხლი 9. განმცხადებელი

მუხლი 10. მიმღები უწყება

მუხლი 11. განაცხადის წარდგენის თარიღი და საერთაშორისო განაცხადის ძალა

მუხლი 12. საერთაშორისო განაცხადის გადაგზავნა საერთაშორისო ბიუროსა და საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი ორგანოსათვის

მუხლი 13. საერთაშორისო განაცხადის ასლის ხელმისაწვდომობა აღნიშნული უწყებებისათვის

მუხლი 14. საერთაშორისო განაცხადის ზოგიერთი ხარვეზი

მუხლი 15. საერთაშორისო ძიება

მუხლი 16. საერთაშორისო ძიების ორგანო

მუხლი 17. პროცედურა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო ძიების ორგანო

მუხლი 18. საერთაშორისო ძიების ანგარიში

მუხლი 19. გამოგონების ფორმულის ცვლილება საერთაშორისო ბიუროში

მუხლი 20. საბუთების გადაგზავნა აღნიშნული უწყებებისათვის

მუხლი 21. საერთაშორისო გამოქვეყნება

მუხლი 22. ასლი, თარგმანი და აღნიშნული ქვეყნების საფასური

მუხლი 23. ეროვნული პროცედურის ვადის გადაწევა

მუხლი 24. მოქმედების შესაძლო დაკარგვა აღნიშნულ სახელმწიფოებში

მუხლი 25. აღნიშნული უწყებების გადაწყვეტილებების გადასინჯვა

მუხლი 26. აღნიშნულ უწყებებში შესწორების შეტანის შესაძლებლობა

მუხლი 27. ეროვნული მოთხოვნები

მუხლი 28. გამოგონების ფორმულის, აღწერილობისა და ნახაზების ცვლილება აღნიშნულ უწყებებში

მუხლი 29. საერთაშორისო გამოქვეყნების შედეგები

მუხლი 30. საერთაშორისო განაცხადის კონფიდენციალური ხასიათი

თავი II: საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა

მუხლი 31. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მოთხოვნა

მუხლი 32. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანო

მუხლი 33. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა
მუხლი 34. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოს პროცედურა
მუხლი 35. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა
მუხლი 36. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნის გაგზავნა, თარგმნა და დაგზავნა
მუხლი 37. მოთხოვნის გატანა ან უარი სახელმწიფოს არჩევაზე
მუხლი 38. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის კონფიდენციალური ხასიათი
მუხლი 39. ასლი, თარგმანი და საფასური არჩეული უწყებებისთვის
მუხლი 40. ეროვნული ექსპერტიზისა და სხვა პროცედურების ვადის გადაწევა
მუხლი 41. გამოგონების ფორმულის, აღწერილობისა და ნახაზების ცვლილება არჩეულ უწყებაში
მუხლი 42. არჩეულ უწყებებში ეროვნული ექსპერტიზის შედეგები

თავი III: ზოგადი დებულებები
მუხლი 43. გარკვეული დაცვის სახის მოთხოვნა
მუხლი 44. დაცვის ორი სახის მოთხოვნა
მუხლი 45. ხელშეკრულება რეგიონულ პატენტებზე
მუხლი 46. საერთაშორისო განაცხადის თარგმანი, რომელიც არ არის სწორი
მუხლი 47. ვადები
მუხლი 48. გარკვეული ვადების მიმართ მოთხოვნათა დაკმაყოფილების გადაწევა
მუხლი 49. საერთაშორისო უფლებამოსილ ორგანოებში საქმის წარმოების უფლება

თავი IV: ტექნიკური მომსახურება
მუხლი 50. საპატენტო საინფორმაციო მომსახურება
მუხლი 51. ტექნიკური დახმარება
მუხლი 52. ურთიერთკავშირი ხელშეკრულების სხვა დებულებებთან

თავი V: ადმინისტრაციული დებულებები
მუხლი 53. ასამბლეა
მუხლი 54. აღმასრულებელი კომიტეტი
მუხლი 55. საერთაშორისო ბიურო
მუხლი 56. ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტი
მუხლი 57. ფინანსები
მუხლი 58 ინსტრუქცია

თავი VI: დავები
მუხლი 59. დავები

თავი VII: გადასინჯვა და ცვლილებები
მუხლი 60. ხელშეკრულების გადასინჯვა
მუხლი 61. ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის ცვლილება

თავი VIII: დასკვნითი დებულებები
მუხლი 62. ხელშეკრულების მხარედ გახდომა
მუხლი 63. ხელშეკრულების ძალაში შესვლა
მუხლი 64. დათქმები
მუხლი 65. თანამიმდევრული გამოყენება
მუხლი 66. დენონსაცია
მუხლი 67. ხელმოწერა და ენები
მუხლი 68. დეპოზიტარიუმის ფუნქციები
მუხლი 69. შეტყობინებები

ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოებმა, რომლებსაც სურთ წვლილი შეიტანონ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესში, დახვეწონ გამოგონებების სამართლებრივი დაცვა, უფრო მარტივი და ეკონომიური გახადონ გამოგონებებზე დაცვის მოპოვება, როდესაც ის მოითხოვება რამდენიმე ქვეყანაში, უზრუნველყონ იოლი და სწრაფი საჯარო ხელმისაწვდომობა ახალი გამოგონებების აღწერილობების შემცველ დოკუმენტებზე, დააჩქარონ და ხელი შეუწყონ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლას მათი ეროვნული თუ რეგიონში სამართლებრივი სისტემების ეფექტურობის გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებებით, რომლებიც დაწესებულია გამოგონებების დასაცავად და უზრუნველყოფილია ისეთი ტექნიკური მიგნებების შემცველი ინფორმაციის იოლად მისაწვდომობით, რომელიც პასუხობს მათ განსაკუთრებულ მოთხოვნებს, და მუდმივად მზარდი მოცულობის თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევათა ხელმისაწვდომობის გამარტივებით, და დარწმუნებულნი არიან, რომ ერებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული მიზნების მიღწევას, დადეს წინამდებარე ხელშეკრულება.

შესავალი დებულებები

მუხლი 1. კავშირის დაფუძნება

(1) სახელმწიფოები – წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები (შემდგომში – მხარე სახელმწიფოები) აფუძნებენ კავშირს გამოგონებების დაცვისათვის განაცხადების წარდგენის, მათზე ძიებისა და ექსპერტიზის ჩატარებისა და სპეციალური ტექნიკური მომსახურების საქმეში თანამშრომლობისათვის. ამ კავშირს ეწოდება საპატენტო კოოპერაციის საერთაშორისო კავშირი.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ უნდა გაიგებოდეს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მხარე სახელმწიფოს მოქალაქის ან ნებისმიერ ამ სახელმწიფოში მცხოვრები პირის ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შელახვად.

მუხლი 2. განსაზღვრებები

ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის მიზნებიდან გამომდინარე, თუ განსხვავებული მნიშვნელობა სხვაგვარად არ არის განსაზღვრული:

(i) „განაცხადი” ნიშნავს განაცხადს გამოგონების დასაცავად; მითითებები „განაცხადზე” უნდა გაიგებოდეს მითითებებს განაცხადებზე, გამოგონების პატენტებზე, საავტორო მოწმობებზე, სარგებლიანობის მოწმობებზე, სასარგებლო მოდელებზე, დამატებით პატენტებზე ან მოწმობებზე, დამატებით საავტორო მოწმობებსა და დამატებით სარგებლიანობის მოწმობებზე;

(ii) მითითებები „პატენტზე” უნდა გაიგებოდეს, როგორც მითითებები: გამოგონების პატენტებზე, საავტორო მოწმობებზე, სარგებლიანობის მოწმობებზე, სასარგებლო მოდელებზე, დამატებით პატენტებზე ან მოწმობებზე, დამატებით საავტორო მოწმობებსა და დამატებით სარგებლიანობის მოწმობებზე;

(iii) „ეროვნული პატენტი” ნიშნავს უფლებამოსილი ეროვნული ორგანოს მიერ გაცემულ პატენტს;

(iv) „რეგიონული პატენტი” ნიშნავს პატენტს გაცემულს უფლებამოსილი ეროვნული ორგანოს მიერ ან სამთავრობათაშორისო ორგანოს მიერ, რომელსაც გააჩნია ერთზე

მეტ სახელმწიფოში მოქმედი პატენტების გაცემის უფლებამოსილება;

(v) „რეგიონული განაცხადი" ნიშნავს განაცხადს რეგიონულ პატენტზე;

(vi) მითითებები „ეროვნულ განაცხადზე" უნდა გაიგებოდეს როგორც მითითებები ეროვნულ და რეგიონულ საპატენტო განაცხადებზე, რომლებიც არ არის წარდგენილი ამ ხელშეკრულების მიხედვით;

(vii) „საერთაშორისო განაცხადი" ნიშნავს განაცხადს წარდგენილს ამ ხელშეკრულების მიხედვით;

(viii) მითითებები „განაცხადზე" უნდა გაიგებოდეს როგორც მითითებები საერთაშორისო და ეროვნულ განაცხადებზე;

(ix) მითითებები „პატენტზე" უნდა გაიგებოდეს როგორც მითითებები ეროვნულ და რეგიონულ პატენტებზე;

(x) მითითებები „ეროვნულ კანონზე" უნდა გაიგებოდეს როგორც მითითებები მხარე სახელმწიფოს ეროვნულ კანონზე ან, თუ საქმე ეხება რეგიონულ განაცხადს ან პატენტს, მაშინ როგორც მითითებები ხელშეკრულებაზე, რომელიც უშვებს რეგიონული განაცხადის წარდგენას ან რეგიონული პატენტის გაცემას;

(xi) „პრიორიტეტის თარიღი", ვადის გამოსათვლელად ნიშნავს:

(a) როდესაც საერთაშორისო განაცხადი შეიცავს პრიორიტეტის მოთხოვნას მე-8 მუხლის მიხედვით იმ განაცხადის წარდგენის თარიღს, რომლის პრიორიტეტიც არის მოთხოვნილი აღნიშნული წესით;

(b) როდესაც საერთაშორისო განაცხადი შეიცავს რამდენიმე პრიორიტეტის მოთხოვნას მე-8 მუხლის მიხედვით, ყველაზე ადრე წარდგენილი განაცხადის წარდგენის თარიღს, რომლის პრიორიტეტიც არის მოთხოვნილი აღნიშნული წესით;

(c) როდესაც საერთაშორისო განაცხადი არ შეიცავს რაიმე პრიორიტეტის მოთხოვნას მე-8 მუხლის მიხედვით, ასეთი განაცხადის საერთაშორისო განაცხადად წარდგენის თარიღს;

(xii) „ეროვნული უწყება" ნიშნავს მხარე სახელმწიფოს ეროვნულ ორგანოს, რომელსაც მინიჭებული აქვს პატენტის გაცემის უფლებამოსილება; მითითებები „ეროვნულ უწყებაზე" აგრეთვე უნდა გაიგებოდეს როგორც მითითებები ნებისმიერ სამთავრობათაშორისო ორგანოზე, რომელსაც რამდენიმე სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს რეგიონული პატენტის გაცემის უფლებამოსილება იმ პირობით, რომ ამ სახელმწიფოებიდან, ერთი მაინც არის მხარე სახელმწიფო და რომ ამ სახელმწიფოებმა ზემოაღნიშნულ ორგანოს მიანიჭეს უფლებამოსილება თავის თავზე აიღოს ვალდებულებები და უფლებების განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული უწყებების მიმართ წინამდებარე ხელშეკრულებითა და ინსტრუქციით;

(xiii) „აღნიშნული უწყება" ნიშნავს განმცხადებლის მიერ, ამ ხელშეკრულების I თავის თანახმად, აღნიშნულ ეროვნულ ან სახელმწიფოსთვის მოქმედ უწყებას;

(xiv) „არჩეული უწყება" ნიშნავს განმცხადებლის მიერ, ამ ხელშეკრულების II თავის თანახმად, არჩეულ ეროვნულ ან სახელმწიფოსთვის მოქმედ უწყებას;

(xv) „მიმღები უწყება" ნიშნავს ეროვნულ უწყებას ან სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც წარედგინება განაცხადი;

(xvi) „კავშირი" ნიშნავს საპატენტო კოოპერაციის საერთაშორისო კავშირს;

(xvii) „ასამბლეა" ნიშნავს კავშირის ასამბლეას;

(xviii) „ორგანიზაცია" ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას;

(xix) „საერთაშორისო ბიურო” ნიშნავს ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებულ საერთაშორისო ბიუროს (BIRPI) სანამ ის არსებობს;

(xx) „გენერალური დირექტორი” ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და BIRPI–ის დირექტორს, სანამ BIRPI არსებობს.

თავი I
საერთაშორისო განაცხადი და საერთაშორისო ძიება

მუხლი 3. საერთაშორისო განაცხადი

(1) განაცხადები გამოგონებების დასაცავად ხელშეკრულების ნებისმიერ მხარე სახელმწიფოში შეიძლება შეტანილი იყოს, როგორც საერთაშორისო განაცხადი ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

(2) საერთაშორისო განაცხადი, როგორც ეს დადგენილია ამ ხელშეკრულებითა და ინსტრუქციებით, უნდა შეიცავდეს განცხადებას, აღწერილობას, ერთ ან მრავალმუხლიან ფორმულას, ერთ ან მეტ ნახაზს (თუ ეს საჭიროა) და რეფერატს.

(3) რეფერატი განკუთვნილია მხოლოდ ტექნიკური ინფორმაციისათვის და მხედველობაში არ მიიღება სხვა ნებისმიერი მიზნისათვის, კერძოდ, მოთხოვნილი დაცვის ფარგლების განმარტებისათვის.

(4) საერთაშორისო განაცხადი უნდა:
- (i) შედგეს დადგენილ ენაზე.
- (ii) აკმაყოფილებდეს შედგენილობის დადგენილ მოთხოვნებს.
- (iii) აკმაყოფილებდეს გამოგონების ერთიანობისადმი დადგენილ მოთხოვნებს. (iv) ექვემდებარებოდეს დადგენილი საფასურის გადახდას.

მუხლი 4. განცხადება

(1) განცხადება უნდა შეიცავდეს:
- (i) თხოვნას, რომ საერთაშორისო განაცხადი განიხილებოდეს ამ ხელშეკრულების შესაბამისად;
- (ii) მითითებას ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოზე ან სახელმწიფოებზე, სადაც დაცვა გამოგონებისათვის მოთხოვნილია საერთაშორისო განაცხადის საფუძველზე (აღნიშნული სახელმწიფოები); თუ რომელიმე აღნიშნული სახელმწიფოსთვის დაშვებულია რეგიონული პატენტი და განმცხადებელს აქვს სურვილი მიიღოს რეგიონული და არა ეროვნული პატენტი, განცხადებაში უნდა იყოს მითითებული, თუ ხელშეკრულებით, რომელიც ეხება რეგიონულ პატენტს, განმცხადებელს არა აქვს შესაძლებლობა შემოფარგლოს თავისი განაცხადი რომელიმე ამ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოებით, მითითება ამ სახელმწიფოთაგან ერთისა და მოთხოვნა რეგიონული პატენტის აღების შესახებ განიხილება, როგორც მითითება ხელშეკრულების მხარე ყველა სახელმწიფოზე, თუ აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ამ სახელმწიფოს მითითება აქვს რეგიონულ პატენტზე მოთხოვნის ეფექტი, მითითება აღნიშნულ სახელმწიფოზე უნდა

იყოს განხილული, როგორც მითითება რეგიონული პატენტის მისაღებად;

(iii) სახელსა და სხვა დადგენილ მონაცემებს განმცხადებლის ან წარმომადგენლის შესახებ (თუ ეს საჭიროა);

(iv) გამოგონების დასახელებას;

(v) სახელს და სხვა დადგენილ მონაცემებს გამომგონებელის შესახებ, იქ, სადაც სულ მცირე ერთი აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს ასეთ მონაცემებს ეროვნული განაცხადის წარდგენასთან ერთად. სხვა შემთხვევაში ხსენებული მონაცემები შეიძლება იყოს წარმოდგენილი ან განცხადებაში ან მითითებული უწყების მისამართით გაგზავნილ ცალკე შეტყობინებებში, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს ხსენებული მონაცემების წარდგენას, მაგრამ უშვებს მათ წარდგენას ეროვნული განაცხადის შეტანის შემდეგ.

(2) ყოველი მითითება ექვემდებარება დადგენილ ვადაში დადგენილი საფასურის გადახდას.

(3) თუ განმცხადებელი არ მოითხოვს დაცვის ერთ რომელიმე სახეს, მოცემულს 43-ე მუხლში, უნდა იყოს გაგებული, რომ მოთხოვნილი დაცვა ნიშნავს პატენტის გაცემას აღნიშნული ქვეყნის მიერ ან ქვეყნის მიმართ. ამ პუნქტის მიზნებისათვის მუხლი 2(ii) არ გამოიყენება.

(4) განცხადებაში გამომგონებლის სახელის ან მის შესახებ სხვა დადგენილი მონაცემების მიუთითებლობა არ უნდა იწვევდეს არავითარ შედეგს ნებისმიერ აღნიშნულ სახელმწიფოში, რომლის ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს ამ მონაცემების წარდგენას, მაგრამ უშვებს მათ გაგზავნას ეროვნული განაცხადის წარდგენის შემდეგ. ცალკე შეტყობინებებში ამ მონაცემთა მიუთითებლობა არ იწვევს არავითარ შედეგს ნებისმიერ აღნიშნულ სახელმწიფოში, რომლის ეროვნული კანონმდებლობა არ მოითხოვს ამ მონაცემთა წარდგენას.

მუხლი 5. აღწერილობა

გამოგონება აღწერილობაში გახსნილი უნდა იყოს საკმარისად ნათლად და სრულად, რომ ტექნიკის მოცემული დარგის სპეციალისტმა შეძლოს გამოგონების განხორციელება.

მუხლი 6. გამოგონების ფორმულა

გამოგონების ფორმულის მუხლი ან მუხლები უნდა განსაზღვრავდეს არსს, რომლის დაცვაც მოითხოვება. გამოგონების ფორმულის მუხლები უნდა იყოს გასაგები და მკაფიო. ისინი მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს აღწერილობას.

მუხლი 7. ნახაზები

(1) 2(ii) პუნქტის მოთხოვნის თანახმად ნახაზები მოითხოვება მაშინ, როდესაც ისინი აუცილებელია გამოგონების არსის ასახსნელად.

(2) თუ, ნახაზები გამოგონების არსის ასახსნელად საჭიროებას არ წარმოადგენს, გამოგონების არსი ნახაზებით გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა:

(i) განმცხადებელს შეუძლია ასეთი ნახაზები ჩართოს წარდგენილ საერთაშორისო განაცხადში.

(ii) ნებისმიერ აღნიშნულ უწყებას შეუძლია მოითხოვოს, რომ განმცხადებელმა ასეთი ნახაზები წარმოადგინოს დადგენილი დროის ფარგლებში.

მუხლი 8. პრიორიტეტის მოთხოვნა

(1) საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს განცხადებას, ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვით, რომლითაც მოითხოვება ერთი ან მეტი ადრინდელი განაცხადის პრიორიტეტი, რომელიც წარდგენილი იყო სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ნებისმიერ მხარე სახელმწიფოს ან ასეთი სახელმწიფოს მითითებით.

(2) (a)-(b) ქვეპუნქტის მოთხოვნების თანახმად, (1) პუნქტის მიხედვით განცხადებული ნებისმიერი პრიორიტეტის მოთხოვნის პირობები და შედეგები განისაზღვრება სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტის მე-4 მუხლით.
(ბ) საერთაშორისო განაცხადი, რომლისთვისაც მოითხოვება ერთი ან რამდენიმე ადრინდელი განაცხადის პრიორიტეტი, რომელიც წარდგენილია ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოში ან ასეთი სახელმწიფოს მითითებით, შეიძლება შეიცავდეს ამ სახელმწიფოს აღნიშვნას, თუ საერთაშორისო განაცხადში მოითხოვება პრიორიტეტი ერთ ან რამდენიმე ეროვნულ განაცხადზე რომელიმე აღნიშნული სახელმწიფოსათვის შეიცავს განაცხადს, ან თუ პრიორიტეტი საერთაშორისო განაცხადისა, რომელსაც გააჩნია აღნიშვნა მხოლოდ ერთ სახელმწიფოზე, შეიცავს განაცხადს, პირობებს და შედეგებს საპრიორიტეტო განაცხადზე სახელმწიფოში, რეგულირდება ამ ქვეყანაში მოქმედი ნაციონალური კანონმდებლობით.

მუხლი 9. განმცხადებელი

(1) ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოებში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ან მოქალაქეს შეუძლია წარადგინოს საერთაშორისო განაცხადი.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც საშუალებას აძლევს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ნებისმიერ იმ ქვეყანაში მცხოვრებ პირებსა და მოქალაქეებს, რომელიც არ არის ამ ხელშეკრულების მხარე, წარადგინონ საერთაშორისო განაცხადები.

(3) მცხოვრები პირისა და მოქალაქეობის შესახებ მონაცემების წარმოდგენა და მათი გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი რამდენიმეა ან განმცხადებლები არ არიან იდენტურნი ყველა აღნიშნული სახელმწიფოსათვის, მოცემულია ინსტრუქციაში.

მუხლი 10. მიმღები უწყება

საერთაშორისო განაცხადი უნდა წარედგინოს განსაზღვრულ მიმღებ უწყებას, რომელიც ამოწმებს და განიხილავს მას ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის თანახმად.

მუხლი 11. განაცხადის წარდგენის თარიღი და საერთაშორისო განაცხადის ძალა

(1) მიმღები უწყება ადგენს საერთაშორისო განაცხადს შეტანის თარიღად საერთაშორისო განაცხადის მიღების თარიღს, თუ ეს უწყება მიღების დროისათვის დაადგენს:

(i) განმცხადებელი, მოქალაქეობისა ან მცხოვრები პირის მიმართ მოთხოვნების გამო აშკარად არ არის მოკლებული საერთაშორისო განაცხადის მიმღებ უწყებაში წარდგენის უფლებას;

(ii) საერთაშორისო განაცხადი წარდგენილია დადგენილ ენაზე;

(iii) საერთაშორისო განაცხადი შეიცავს, სულ მცირე, შემდეგს:

(a) მითითებას, რომ ის წარდგენილია როგორც საერთაშორისო განაცხადი,
(b) მითითებას სულ მცირე ერთ მხარე სახელმწიფოზე,
(c) განმცხადებლის სახელს დადგენილი წესით,
(d) ნაწილს, რომელიც გარეგნულად ჩანს, რომ არის აღწერილობა,
(e) ნაწილს, რომელიც გარეგნულად ჩანს, რომ არის გამოგონების ფორმულის მუხლი ან მუხლები.

(2) (a) თუ მიმღები უწყება ჩათვლის, რომ საერთაშორისო განაცხადი მიღების დროს არ აკმაყოფილებდა (1) პუნქტში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, იგი, ინსტრუქციის შესაბამისად, განმცხადებელს სთხოვს მოთხოვნილი შესწორების წარმოდგენას.

(b) თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს ინსტრუქციაში გათვალისწინებულ მოთხოვნას, მიმღები უწყება საერთაშორისო წარდგენის თარიღად ადგენს მოთხოვნილი შესწორების მიღების თარიღს.

(3) 64(4) მუხლის მიხედვით, ნებისმიერ საერთაშორისო განაცხადს, რომელიც აკმაყოფილებს (1) პუნქტის (i)–(iii) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ მოთხოვნებს და რომელსაც დაუდგინდა საერთაშორისო წარდგენის თარიღი, სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადის ძალა აქვს ყოველ აღნიშნულ ქვეყანაში საერთაშორისო წარდგენის თარიღიდან, რომელიც უნდა განიხილებოდეს წარდგენის ფაქტობრივ თარიღად ყოველ აღნიშნულ ქვეყანაში.

(4) ნებისმიერი საერთაშორისო განაცხადი, რომელიც აკმაყოფილებს (1) პუნქტის (i)–(iii) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ მოთხოვნებს,უთანაბრდება ეროვნული განაცხადის ჩვეულებრივ წარდგენას სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 12. საერთაშორისო განაცხადის გადაგზავნა საერთაშორისო ბიუროს და საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი ორგანოსათვის

(1) საერთაშორისო განაცხადის ერთი ასლი უნდა ინახებოდეს მიმღები უწყების მიერ („საშინაო ასლი”), ერთი ასლი („რეგისტრირებული ასლი”) უნდა გადაეგზავნოს საერთაშორისო ბიუროს, ხოლო ერთი ასლი („საძიებო ასლი”) უნდა გადაეგზავნოს მე–16 მუხლით მითითებულ საერთაშორისო ძიების უფლებამოსილ ორგანოს, ინსტრუქციის შესაბამისად.

(2) რეგისტრირებული ასლი განიხილება საერთაშორისო განაცხადის ნამდვილ ასლად.

(3) საერთაშორისო განაცხადი განიხილება გატანილად, თუ რეგისტრირებული ასლი არ იქნა მიღებული საერთაშორისო ბიუროს მიერ, დათქმული ვადის ფარგლებში.

მუხლი 13. საერთაშორისო განაცხადის ასლის ხელმისაწვდომობა აღნიშნული უწყებებისათვის

(1) ნებისმიერ აღნიშნულ უწყებას შეუძლია სთხოვოს საერთაშორისო ბიუროს საერთაშორისო განაცხადის მისთვის გადაგზავნა მანამ, ვიდრე იგი გადაეგზავნება მე–20 მუხლის შესაბამისად, და საერთაშორისო ბიურო გადაუგზავნის ასეთ ასლს რაც შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც გავა ერთი წელი პრიორიტეტის თარიღიდან.

(2) (a) განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გადაუგზავნოს მისი საერთაშორისო განაცხადის ასლი ნებისმიერ აღნიშნულ უწყებას.

(b) განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეუძლია სთხოვოს საერთაშორისო ბიუროს თავისი საერთაშორისო განაცხადის ასლის გადაგზავნა ნებისმიერი აღნიშნული უწყებისათვის, და საერთაშორისო ბიურომ უნდა გადაუგზავნოს ასეთი ასლი აღნიშნულ უწყებას, რაც

შეიძლება სწრაფად.

(c) ნებისმიერ ეროვნულ უწყებას შეუძლია შეატყობინოს საერთაშორისო ბიუროს, რომ არ სურს მიიღოს ასლები, როგორც ამას

(b) ქვეპუნქტი ითვალისწინებს, და ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება ამ უწყების მიმართ.

მუხლი 14. საერთაშორისო განაცხადის ზოგიერთი ხარვეზი

(1) (a) მიმღები უწყება ამოწმებს, შეიცავს თუ არა საერთაშორისო განაცხადი რომელიმეს შემდეგი ტიპის ხარვეზთაგან, კერძოდ:

(i) არ არის ხელმოწერილი ინსტრუქციის შესაბამისად;

(ii) არ შეიცავს დადგენილ მონაცემებს განმცხადებლის შესახებ;

(iii) არ შეიცავს დასახელებას;

(iv) არ შეიცავს რეფერატს.

(v) არ აკმაყოფილებს საერთაშორისო განაცხადის შედგენილობის მიმართ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

(vi) თუ მიმღები უწყება გამოავლენს აღნიშნულ ხარვეზთაგან რომელიმეს, ის თხოვნით მიმართავს განმცხადებელს, რომ მან შეასწოროს საერთაშორისო განაცხადი დადგენილ ვადაში, თხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეს განაცხადი ითვლება გატანილად, და მიმღები უწყება აცხადებს ამის შესახებ.

(2) თუ საერთაშორისო განაცხადში არის მითითება ნახაზებზე, რომლებიც ფაქტობრივად არ არის ჩართული განაცხადში, მიმღები უწყება შესაბამისად ატყობინებს ამის შესახებ განმცხადებელს, და მას შეუძლია ნახაზები დადგენილ ვადაში წარმოადგინოს. თუ განმცხადებელი შეასრულებს ამ მოთხოვნებს, საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღად ჩაითვლება მიმღები უწყების მიერ ნახაზების მიღების თარიღი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი მითითება ნახაზებზე ჩაითვლება არარსებულად.

(3) (a) თუ მიმღები უწყება გამოავლენს, რომ 3(4)(iv) მუხლით დაწესებული საფასური დადგენილ ვადაში არ ყოფილა გადახდილი ან 4(2) მუხლით დაწესებული არანაირი საფასური არ ყოფილა გადახდილი ნებისმიერი აღნიშნული სახელმწიფოს მიმართ, საერთაშორისო განაცხადი ითვლება გატანილად და მიმღები უწყება აცხადებს ამის შესახებ.

(b) თუ მიმღები უწყება გამოავლენს, რომ 4(2) მუხლით დაწესებული საფასური გადახდილია დადგენილ ვადაში ერთი ან მეტი (მაგრამ არა ყველა) აღნიშნული სახელმწიფოს მიმართ, იმ ქვეყნების აღნიშვნა, რომელთა მიმართ დადგენილ ვადაში არ ყოფილა გადახდილი ეს საფასური, ამოღებულად ჩაითვლება და მიმღები უწყება აცხადებს ამის შესახებ.

(4) თუ საერთაშორისო განაცხადისთვის საერთაშორისო თარიღის მინიჭების შემდეგ, მიმღები უწყება გამოავლენს, რომ დადგენილ ვადაში 11(1) მუხლის ქვეპუნქტებში (i) –(iii) ჩამოთვლილი რომელიმე მოთხოვნა არ შესრულებულა ამ თარიღისათვის, აღნიშნული განაცხადი ჩაითვლება გატანილად და მიმღები უწყება აცხადებს ამის შესახებ.

მუხლი 15. საერთაშორისო ძიება

(1) ყოველი საერთაშორისო განაცხადი ექვემდებარება საერთაშორისო ძიებას.

(2) საერთაშორისო ძიების მიზანია შესაბამისი ტექნიკის დონის გამოვლენა.

(3) საერთაშორისო ძიება ტარდება გამოგონების ფორმულის საფუძველზე აღწერილობისა და

ნახაზების (თუ ისინი წარდგენილია) შესაბამისი განხილვით.

(4) მე–16 მუხლით მითითებული საერთაშორისო ძიების ორგანო უნდა ეცადოს გამოავლინოს შესაბამისი ტექნიკის დონე იმ სისრულით, რასაც მისი შესაძლებლობები იძლევა, და ნებისმიერ შემთხვევაში გაითვალისწინოს ინსტრუქციით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

(5) (a) თუ მხარე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობითაა დაშვებული, განმცხადებელს, რომელიც წარადგენს ეროვნულ განაცხადს ეროვნულ უწყებაში ან ასეთი სახელმწიფოსათვის მოქმედ უწყებაში, ამ კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შეუძლია მოითხოვოს, რომ მის განაცხადზე ჩატარდეს ძიება, რომელიც ანალოგიურია საერთაშორისო ძიებისა („საერთაშორისო ტიპის ძიება").
(b) თუ მხარე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულია, საერთაშორისო ტიპის ძიება შეიძლება ჩატარდეს ეროვნულ უწყებაში ან ასეთი სახელმწიფოსთვის მოქმედ უწყებაში წარდგენილ ნებისმიერ ეროვნულ განაცხადზე.
(c) საერთაშორისო ტიპის ძიება უნდა ჩაატაროს საერთაშორისო ძიებაზე უფლებამოსილების მქონე იმ ორგანომ, რომელიც მე–16 მუხლით არის მითითებული, თუ ეროვნული განაცხადი საერთაშორისო განაცხადი გახდა და წარდგენილია (a) და (b) ქვეპუნქტებით მითითებულ უწყებაში. თუ ეროვნული განაცხადი შესრულებულია იმ ენაზე, რომელზეც საერთაშორისო ძიების ორგანოს არა აქვს განხილვის შესაძლებლობა, საერთაშორისო ტიპის ძიება უნდა ჩატარდეს თარგმანის მიხედვით, რომელიც განმცხადებლის მიერაა მომზადებული იმ ენაზე, რომელიც დაწესებულია საერთაშორისო განაცხადებისათვის და რომლის მიმართაც საერთაშორისო ძიების ორგანომ აიღო ვალდებულება ცნოს მისაღებად. მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული განაცხადი და თარგმანი უნდა წარედგინოს იმ ფორმით, რომელიც დაწესებულია საერთაშორისო განაცხადებისათვის.

მუხლი 16. საერთაშორისო ძიების ორგანო

(1) საერთაშორისო ძიება უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ძიების ორგანოს მიერ, რომელიც შეიძლება იყოს ან ეროვნული უწყება ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, მაგალითად, საერთაშორისო საპატენტო ინსტიტუტი, რომლის მოვალეობაშიც შედის ტექნიკის დონის ძიების დოკუმენტირებული ანგარიშის შედგენა იმ გამოგონებებთან მიმართებაში, რომლებიც განაცხადების ობიექტებია.

(2) თუ ერთიანი საერთაშორისო ძიების ორგანოს დაფუძნებამდე საერთაშორისო ძიების რამდენიმე ორგანო არსებობს, თითოეულმა მიმღებმა უწყებამ (3)(b) პუნქტში აღნიშნული შესაბამისი შეთანხმების დებულებების მიხედვით უნდა მიუთითოს საერთაშორისო ძიების ორგანო ან ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილია ჩაატაროს ძიება ამ უწყებაში წარდგენილ საერთაშორისო განაცხადებზე.

(3) (a) საერთაშორისო ძიების ორგანოებს ნიშნავს ასამბლეა. საერთაშორისო ძიების ორგანოდ შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი ეროვნული უწყება ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს (c) ქვეპუნქტის მოთხოვნებს.
(b) დანიშვნა ხდება იმ პირობით, რომ არის ეროვნული უწყების ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის თანხმობა და ამ უწყებას ან ორგანიზაციასა და საერთაშორისო ბიუროს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელსაც ამტკიცებს ასამბლეა. ხელშეკრულებით უნდა განისაზღვრებოდეს მხარეთა უფლებები და მოვალეობები, კერძოდ, ოფიციალური ვალდებულება, რომ აღნიშნული უწყება ან ორგანიზაცია გამოიყენებს და დაიცავს

საერთაშორისო ძიების ყველა ზოგად წესს.
(c) ინსტრუქცია აწესებს მინიმალურ მოთხოვნებს, კერძოდ, პერსონალისა და დოკუმენტაციის მიმართ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი უწყება ან ორგანიზაცია დანიშვნამდე და დანიშვნის მთელი პერიოდის განმავლობაში.
(d) დანიშვნა ხდება დროის განსაზღვრული პერიოდით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ამავე პერიოდებით.
(e) ვიდრე ასამბლეა მიიღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერი ეროვნული უწყების ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დანიშვნის შესახებ ან მისი უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ ან ამ უფლებამოსილების მოქმედების შეწყვეტამდე, ასამბლეა მოუსმენს დაინტერესებულ უწყებას ან ორგანიზაციას და რჩევას სთხოვს 56-ე მუხლში მოხსენებული ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტს, თუ ეს კომიტეტი უკვე შექმნილია.

მუხლი 17. პროცედურა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო ძიების ორგანო

(1) პროცედურა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო ძიების ორგანო, წესრიგდება მოცემული ხელშეკრულების, ინსტრუქციისა და იმ ხელშეკრულების ნორმებით, რომელსაც დადებს საერთაშორისო ბიურო აღნიშნულ ორგანოსთან ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის შესაბამისად.

(2)(a) თუ საერთაშორისო ძიების ორგანო ჩათვლის, რომ:
(i) საერთაშორისო განაცხადი ეხება ობიექტს, რომლის მიმართ ძიება, ინსტრუქციის თანახმად, არ ევალება საერთაშორისო ძიების ორგანოს, ან, თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში იგი გადაწყვეტს არ ჩაატაროს ძიება, ან
(ii) აღწერილობა, გამოგონების ფორმულა და ნახაზები არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს არსობრივი ძიების ჩატარება, აღნიშნულმა ორგანომ უნდა გამოაცხადოს ამის შესახებ და განმცხადებელსა და საერთაშორისო ბიუროს შეატყობინოს, რომ საერთაშორისო ძიების ანგარიში ვერ გაკეთდება.
(b) თუ აღმოჩნდა, რომ (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე გარემოება არსებობს მხოლოდ გამოგონების ფორმულის ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით, მაშინ საერთაშორისო ძიების ანგარიშში ეს გარემოება უნდა მიეთითოს გამოგონების ფორმულის ასეთ მუხლებთან მიმართებით, ხოლო გამოგონების ფორმულის სხვა მუხლებისათვის აღნიშნული ანგარიში უნდა გაკეთდეს ისე, როგორც გათვალისწინებულია მე-18 მუხლით.

(3)(a) თუ საერთაშორისო ძიების ორგანო ჩათვლის, რომ საერთაშორისო განაცხადი არ აკმაყოფილებს ინსტრუქციით დადგენილ გამოგონების ერთიანობის მოთხოვნას, მაშინ მან უნდა შესთავაზოს განმცხადებელს დამატებითი საფასურების გადახდა. საერთა შორისო ძიების ორგანომ უნდა შეადგინოს საერთაშორისო ძიების ანგარიში საერთაშორისო განაცხადის იმ ნაწილების მიმართ, რომლებიც ეთანადება გამოგონების ფორმულის მუხლებში პირველად მოხსენიებულ გამოგონებას („მთავარი გამოგონება"), თუ დამატებით მოთხოვნილი დადგენილი საფასურები იქნა გადახდილი დადგენილ ვადაში, აგრეთვე, საერთაშორისო განაცხადის იმ ნაწილე ბის მიმართ, რომლებიც ეხება გამოგონებებს, რომლებზეც აღნიშნული საფასურები იქნა გადახდილი.

(b) ნებისმიერი აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული კანონით შეიძლება იყოს გათვალისწინებული, თუკი ამას სახელმწიფოს ეროვნული უწყება დაადგენს, რომ (a) ქვეპუნქტით მითითებული საერთაშორისო ძიების ორგანოს შეთავაზება დაკმაყოფილდა, ხოლო განმცხა ბელს არ გადაუხდია ყველა დამატებითი საფასური, მაშინ საერთაშორისო

განაცხადის ის ნაწილები, რომლებიც ამის შედეგად უზრუნველყოფილი არ ყოფილა ძიებით, გატანილად განიხილება, თუკი ქვეყანაში ასეთი წესი მოქმედებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელმა არ გადაიხადა სპეციალური საფასური აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული უწყებისათვის.

მუხლი 18. საერთაშორისო ძიების ანგარიში

(1) საერთაშორისო ძიების ანგარიში უნდა იყოს შედგენილი დადგენილ ვადაში და დადგენილი ფორმით.

(2) საერთაშორისო ძიების ანგარიში საერთაშორისო ძიების ორგანოს მიერ მომზადდებისთანავე გაეგზავნება განმცხადებელს და საერთაშორისო ბიუროს.

(3) საერთაშორისო ძიების ანგარიში ან 17(2)(a) მუხლით გათვალისწინებული განცხადება უნდა ითარგმნოს ინსტრუქციის შესაბამისად. თარგმანები უნდა შესრულდეს საერთაშორისო ბიუროს მიერ ან მისი პასუხისმგებლობით.

მუხლი 19. გამოგონების ფორმულის ცვლილება საერთაშორისო ბიუროში

(1) საერთაშორისო ძიების ანგარიშის მიღების შემდეგ განმცხადებელს უფლება აქვს ერთხელ შეცვალოს საერთაშორისო განაცხადის გამოგონების ფორმულა დადგენილ ვადაში საერთაშორისო ბიუროში ცვლილების წარდგენით. ამასთან, განმცხადებელს ინსტრუქციის თანახმად შეუძლია წარადგინოს მოკლე განმარტება, რომელიც ახსნის ცვლილებებს და მიუთითებს იმ გავლენაზე, რასაც იწვევს აღწერილობასა და ნახაზებში შეტანილი ცვლილებები.

(2) ცვლილებები არ უნდა სცილდებოდეს წარდგენილ საერთაშორისო განაცხადში წარმოჩენილ ფარგლებს.

(3) თუ რომელიმე აღნიშნული ქვეყანის ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ცვლილებას, რომელიც
სცილდება აღნიშნულ ფარგლებს, მაშინ მე–2 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობას არ ექნება ძალა იმ ქვეყანაში.

მუხლი 20. საბუთების გადაგზავნა აღნიშნული უწყებებისათვის

(1)(a) საერთაშორისო განაცხადი, საერთაშორისო ძიების ანგარიშთან (რომელიც მოიცავს ნებისმიერ მითითებას მოცემულს 17(2)(b) მუხლის თანახმად) ან 17(2)(a) მუხლით მითითებულ განცხადებასთან ერთად გადაეგზავნება თითოეულ აღნიშნულ უწყებას, როგორც ამას ითვალისწინებს ინსტრუქცია, თუ აღნიშნული უწყება მთლიანად ან ნაწილობრივ უარს არ ამბობს ამგვარ აუცილებელ წესზე.
(b) გადაგზავნილი საბუთები უნდა მოიცავდეს აღნიშნული ანგარიშის ან განცხადების თარგმანს (როგორც დადგენილია).

(2) თუ 19(1) მუხლის თანახმად გამოგონების ფორმულამ განიცადა ცვლილება, გადაგზავნილი საბუთები უნდა მოიცავდეს ან გამოგონების ფორმულის სრულ ტექსტს, როგორც ის იყო წარდგენილი, ისე შეცვლილ მუხლებს; ან უნდა შეიცავდეს ფორმულის სრულ ტექსტს, როგორც ეს იყო წარმოდგენილი და ცვლილების ჩამონათვალს, და 19(1) მუხლით გათვალისწინებულ განმარტებას, თუ ასეთი განმარტება არსებობდა.

(3) მიმღები უწყების ან განმცხადებლის თხოვნით, საერთაშორისო ძიების ორგანომ უნდა გადაუგზავნოს მითითებულ უწყებას ან განმცხადებელს, შესაბამისად, საერთაშორისო ძიების ანგარიშში მითითებული დოკუმენტების ასლები, როგორც გათვალისწინებულია ინსტრუქციით.

მუხლი 21. საერთაშორისო გამოქვეყნება

(1) საერთაშორისო ბიურო აქვეყნებს საერთაშორისო განაცხადს.

(2) (a) საერთაშორისო განაცხადის საერთაშორისო გამოქვეყნება ხორციელდება დაუყოვნებლივ ამ განაცხადის პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის ამოწურვის შემდეგ, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია (b) ქვეპუნქტსა და 64(3) მუხლში. (b) განმცხადებელს შეუძლია საერთაშორისო ბიუროს სთხოვოს საერთაშორისო განაცხადის გამოქვეყნება (a) ქვეპუნქტში მითითებული ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს. საერთაშორისო ბიურომ უნდა იმოქმედოს ინსტრუქციის შესაბამისად.

(3) 17(2)(a) მუხლში მითითებული საერთაშორისო ძიების ანგარიში ან განცხადება ქვეყნდება ინსტრუქციის შესაბამისად.

(4) საერთაშორისო გამოქვეყნების ენას, ფორმასა და სხვა დეტალებს აწესრიგებს ინსტრუქცია.

(5) საერთაშორისო გამოქვეყნება არ ხორციელდება, თუ საერთაშორისო განაცხადი გატანილია ან ითვლება გატანილად გამოქვეყნებისათვის ტექნიკური მომზადების დასრულებამდე.

(6) თუ საერთაშორისო განაცხადი შეიცავს ფრაზებს ან ნახაზებს, რომლებიც, საერთაშორისო ბიუროს აზრით, ეწინააღმდეგება მორალს, ან საზოგადოებრივ წესრიგს ან თუ საერთაშორისო განაცხადი, მისი აზრით, შეიცავს დამამცირებელ გამონათქვამებს, მას შეუძლია, ინსტრუქციის შესაბამისად, გამოქვეყნებისას არ ჩართოს ასეთი ფრაზები, ნახაზები და გამონათქვამები, მიუთითოს მათი ადგილი, გამოტოვებული სიტყვებისა და ნახაზების რაოდენობა და მოთხოვნისას წარმოადგინოს გამოტოვებული ადგილების ინდივიდუალური ასლები.

მუხლი 22. ასლი, თარგმანი და აღნიშნული ქვეყნების საფასური

(1) განმცხადებელი, პრიორიტეტის თარიღიდან არა უგვიანეს 30* თვისა, ყოველ აღნიშნულ უწყებას წარუდგენს საერთაშორისო განაცხადის ასლსა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაგზავნა უკვე განხორციელებულია მე–20 მუხლის თანახმად) და მის თარგმანს (როგორც დადგენილია) და უხდის ეროვნულ საფასურს (თუ ეს გათვალისწინებულია). როდესაც აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული კანონი მოითხოვს გამომგონებლის სახელისა და გამომგონებლის შესახებ სხვა დადგენილი მონაცემების მითითებას, მაგრამ უშვებს აღნიშნული მითითებების წარმოდგენას ეროვნული განაცხადის წარდგენის შემდეგ, განმცხადებელი წარადგენს აღნიშნულ მითითებებს, თუ ისინი არ იყო განცხადებაში, ეროვნულ უწყებაში ან ამ სახელმწიფოსთვის მოქმედ უწყებაში, პრიორიტეტის თარიღიდან არა უგვიანეს 30 თვისა.

(2) როდესაც საერთაშორისო საძიებო ორგანო, 17(2)(a) მუხლის თანახმად, განაცხადებს, რომ საერთაშორისო ძიების ანგარიში არ იქნება მომზადებული, ამ მუხლის (1) პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ვადა ისეთივეა, როგორიც დადგენილია (1) პუნქტით.

---

* რედაქტორის შენიშვნა: 2002 წლის 1 აპრილიდან ძალაში შესული 30 თვიანი ვადა არ გამოიყენება იმ ნებისმიერი აღნიშნული უწყების მიმართ, რომელმაც აცნობა საერთაშორისო ბიუროს ამ უწყების მიერ გამოყენებულ ეროვნულ კანონთან შეუთავსებლობის შესახებ. 20 თვიანი ვადა, რომელიც ძალაში იყო 2002 წლის 31 მარტამდე, ამ თარიღის შემდეგაც გამოიყენება ნებისმიერი ასეთი მითითებული უწყების მიმართ მანამ, ვიდრე შეცვლილი მუხლი 22(1) იქნება შეუთავსებელი შესაბამისი ეროვნული კანონის მიმართ. შეტყობინებები ნებისმიერი ასეთი შეუთავსებლობისა და ასეთი შეტყობინებების გატანის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

(3) ნებისმიერი ეროვნული კანონით შეიძლება დაწესდეს (1) და (2) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების ვადები, რომლებიც იწურება უფრო გვიან, ვიდრე ამ პუნქტებითაა დადგენილი.

მუხლი 23. ეროვნული პროცედურის ვადის გადაწევა

(1) არც ერთმა აღნიშნულმა უწყებამ არ უნდა ჩაატაროს ქმედება ან განიხილოს საერთაშორისო განაცხადი 22–ე მუხლით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

(2) 1–ლი პუნქტის პირობების მიუხედავად, ნებისმიერ აღნიშნულ უწყებას შეუძლია, განმცხადებლის პირდაპირი თხოვნით, ნებისმიერ დროს ჩაატაროს ქმედება ან განიხილოს საერთაშორისო განაცხადი.

მუხლი 24. მოქმედების შესაძლო დაკარგვა აღნიშნულ სახელმწიფოებში

(1) საერთაშორისო განაცხადის მოქმედება, გათვალისწინებული 11(3) მუხლით, ძალას დაკარგავს ქვემოთ მოყვანილ (ii) ქვეპუნქტში მოცემულ შემთხვევებში და, 25–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ნებისმიერ აღნიშნულ სახელმწიფოში ისეთივე შედეგებით, როგორი შედეგებიც მოსდევს ამ სახელმწიფოში ნებისმიერი ეროვნული განაცხადის გატანას, თუ:

(i) განმცხადებელი გაიტანს თავის საერთაშორისო განაცხადს ან ამოიღებს ამ ქვეყნის აღნიშვნას;

(ii) საერთაშორისო განაცხადი ითვლება გატანილად 12(3), 14(1)(b), 14(3)(a) ან 14(4) მუხლების მიხედვით ან ამ სახელმწიფოს აღნიშვნა ითვლება ამოღებულად 14(3) (b) მუხლის მიხედვით;

(iii) განმცხადებელი არ ასრულებს 22–ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს ამავე მუხლით მოცემულ ვადაში.

(2) პუნქტი (1)–ის მოთხოვნების მიუხედავად, ნებისმიერ აღნიშნულ უწყებას შეუძლია 11(3) მუხლით გათვალისწინებული საერთა შორისო განაცხადის მოქმედების ძალაში შენარჩუნება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი მოქმედების ძალაში შენარჩუნება არ მოითხოვება 25(2) მუხლით.

მუხლი 25. აღნიშნული უწყებების გადაწყვეტილებების გადასინჯვა

(1) (a) თუ მიმღები უწყება უარს იტყვის საერთაშორისო შეტანის თარიღის დადგენაზე ან განაცხადებს, რომ საერთაშორისო განაცხადი ითვლება გატანილად, ან, თუ საერთაშორისო ბიურო მიიღებს გადაწყვეტილებას 12(3) მუხლის მიხედვით, განმცხადებლის მოთხოვნის თანახმად, საერთაშორისო ბიურომ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს საქმის ნებისმიერი საბუთის ასლი განმცხადებლის მიერ მითითებულ ნებისმიერ მიმღებ უწყებას.

(b) თუ მიმღებმა უწყებამ განაცხადა, რომ რომელიმე სახელმწიფოს აღნიშვნა ითვლება ამოღებულად, განმცხადებლის მოთხოვნის თანახმად, საერთაშორისო ბიურომ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს საქმის ნებისმიერი საბუთის ასლი ასეთი სახელმწიფოს ეროვნულ უწყებას.

(c) მოთხოვნა (a) და (b) ქვეპუნქტების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს დადგენილ ვადაში.

(2)(a) (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თუ ეროვნული საფასური გადახდილია (თუ ის გათვალისწინებულია), და განსაზღვრულ ვადაში წარდგენილია შესაბამისი თარგმანი (როგორც

დადგენილია), ყოველმა აღნიშნულმა უწყებამ უნდა გადაწყვიტოს შეესაბამებოდა თუ არა 1–ელ პუნქტში მითითებული უარყოფა, განცხადება ან გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულების ან ინსტრუქციის პირობებს, და თუ ის გამოავლენს, რომ უარყოფა ან განცხადება მიღებული მიმღები უწყების მიერ იყო შეცდომის ან უყურადღებობის შედეგი ან გადაწყვეტილება, მიღებული საერთაშორისო ბიუროს მიერ, იყო შეცდომის ან უყურადღებობის შედეგი, იმდენად რამდენადაც საქმე ეხება აღნიშნული უწყების შედეგებს სახელმწიფოში, უნდა ჩაითვალოს, რომ საერთაშორისო განაცხადში ასეთი შეცდომა ან გამოტოვება არ არსებობდა.
(b) თუ სარეგისტრაციო ასლმა საერთაშორისო ბიუროს მიაღწია 12(3) მუხლით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, განმცხადებლის მხრიდან ნებისმიერ შეცდომასთან ან უყურადღებობასთან დაკავშირებით, (a) ქვეპუნქტის პირობები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოყენება, თუ არსებობს 48(2) მუხლით მითითებული გარემოებები.

მუხლი 26. აღნიშნულ უწყებებში შესწორების შეტანის შესაძლებლობა

არც ერთმა აღნიშნულმა უწყებამ არ უნდა უარყოს საერთაშორისო განაცხადი იმ საფუძველზე, რომ იგი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს, ზემოაღნიშნულ განაცხადზე განმცხადებლისთვის შესწორების შეტანის შესაძლებლობის მიცემის გარეშე იმ მოცულობითა და იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით ამგვარ ან მსგავს სიტუაციებში ეროვნული განაცხადებისათვის.

მუხლი 27. ეროვნული მოთხოვნები

(1) არც ერთ ეროვნულ კანონმდებლობას არ შეუძლია დააწესოს ისეთი მოთხოვნების შესრულება საერთაშორისო განაცხადის ფორმის ან შინაარსის მიმართ, რომლებიც განსხვავდება, ან დამატებითია, ამ ხელშეკრულებითა და ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შედარებით.

(2) პუნქტის (1) მოთხოვნები არ ახდენს გავლენას არც 7(2) მუხლის პირობების გამოყენებაზე და არც უკრძალავს რომელიმე ეროვნულ კანონმდებლობას, რომ აღნიშნულ უწყებაში საერთაშორისო განაცხადის განხილვის დაწყების შემთხვევაში, მოითხოვოს:

(i) თანამდებობის პირის სახელი, რომელიც უფლებამოსილია იყოს წარმომადგენელი განმცხადებლისა, რომელიც არის იურიდიული პირი.

(ii) ის დოკუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენენ საერთაშორისო განაცხადის ნაწილს, მაგრამ შეიცავენ ამ განაცხადში მოყვანილი მტკიცებულებების ან მონაცემების დადასტურებას, მათ შორის საერთაშორისო განაცხადის დადასტურებას განმცხადებლის ხელმოწერით, თუკი წარდგენისას განაცხადი ხელმოწერილი იყო წარმომადგენლის ან აგენტის მიერ.

(3) თუ განმცხადებელი რომელიმე აღნიშნულ ქვეყანაში, ამ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილი არ არის წარადგინოს ეროვნული განაცხადი, რაკი არ არის გამომგონებელი, აღნიშნულ უწყებას შეუძლია საერთაშორისო განაცხადის უარყოფა.

(4) თუ ეროვნული კანონმდებლობა შეიცავს მოთხოვნებს ეროვნული განაცხადების ფორმასა და შინაარსზე, რომლებიც, განმცხადებლის აზრით, უფრო ხელსაყრელია, ვიდრე საერთაშორისო განაცხადებისადმი ამ ხელშეკრულებითა და ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები, ეროვნულ უწყებას, სასამართლოებსა და ასეთი აღნიშნული ქვეყნის ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოს ან ორგანოებს, რომლებიც მოქმედებენ მისი სახელით, შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო განაცხადებისადმი პირველი მოთხოვნები უკანასკნელთა

ნაცვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განმცხადებელი დაჟინებით მოითხოვს მისი საერთაშორისო განაცხადისადმი ამ ხელშეკრულებითა და ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების გამოყენებას.

(5) არაფერი წინამდებარე ხელშეკრულებაში გაგებული არ უნდა იყოს, როგორც თითოეული ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოს უფლების შეზღუდვა დაამყაროს პატენტუნარიანობის მატერიალურ-სამართლებრივი პირობებისა კუთარი შეხედულებისამებრ. კერძოდ, წინამდებარე ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის ნებისმიერი დებულება, რომელიც ეხება ტექნიკის დონის განსაზღვრას, გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო პროცედურის მიზნებისათვის, და აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარე სახელმწიფოს, საერთაშორისო განაცხადში განცხადებული გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრისას, უფლება აქვს გამოიყენოს თავისი ნაციონალური კანონმდებლობის კრიტერიუმები ტექნიკის დონის და პატენტუნარიანობის სხვა პირობების მიმართ, რომლებიც არ განეკუთვნება განაცხადებისადმი ფორმასა და შინაარსზე წარდგენილ მოთხოვნებს.

(6) ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება შეიცავდეს მოთხოვნას განმცხადებლის მიერ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებულ პატენტუნარიანობის ნებისმიერი მატერიალურ-სამართლებრივი პირობების მიმართ მტკიცებულებების წარდგენაზე.

(7) ნებისმიერ მიმღებ უწყებას ან აღნიშნულ უწყებას, რომელშიც უკვე დაიწყო საერთაშორისო განაცხადის განხილვა, შეუძლია გამოიყენოს ეროვნული კანონმდებლობა განმცხადებლის მიერ იმ აგენტის დანიშვნის თაობაზე, რომელსაც უფლება აქვს წარმოადგინოს განმცხადებლები ამ უწყების წინაშე, და/ან შეტყობინებების მიღების მიზნით აღნიშნულ ქვეყანაში მოითხოვოს განმცხადებლის მისამართი.

(8) წინამდებარე ხელშეკრულებასა და ინსტრუქციაში არაფერი არ უნდა იქნეს გაგებული ხელშეკრულების ნებისმიერი მხარე სახელმწიფოს უფლებების შეზღუდვად ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების საკითხში ან, გამომდინარე სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ინტერესებიდან, შეზღუდოს საკუთარი მოქალაქეების ან ამ ქვეყანაში მცხოვრებ პირთა უფლებები საერთაშორისო განაცხადის წარდგენის თვალსაზრისით.

მუხლი 28. გამოგონების ფორმულის, აღწერილობისა და ნახაზების ცვლილება აღნიშნულ უწყებებში

(1) განმცხადებელს ეძლევა შესაძლებლობა, დადგენილ ვადებში შეიტანოს ცვლილება ფორმულაში, აღწერილობასა და ნახაზებში და წარუდგინოს თითოეულ აღნიშნულ უწყებას. არც ერთი აღნიშნული უწყება არ გასცემს პატენტს, ან უარს არ ამბობს პატენტის გაცემაზე, სანამ ასეთი დადგენილი ვადა არ ამოიწურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებლის თანხმობა მკაფიოდაა გამოხატული.

(2) ცვლილებები არ უნდა სცილდებოდეს საერთაშორისო განაცხადში წარმოჩენილ ფარგლებს, თუ აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა განმცხადებელს ნებას არ აძლევს გასცდეს აღნიშნულ წარმოჩენილ ფარგლებს.

(3) ცვლილებები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას ყველა იმ შემთხვევაშიც, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებითა და ინსტრუქციით.

(4) როდესაც აღნიშნული უწყება ითხოვს საერთაშორისო განაცხადის თარგმანს, ცვლილებები უნდა წარედგენოს თარგმანის ენაზე.

მუხლი 29. საერთაშორისო გამოქვეყნების შედეგები

(1) აღნიშნულ სახელმწიფოში განმცხადებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით საერთაშორისო განაცხადის საერთაშორისო გამოქვეყნების შედეგები, (2)–(4) პუნქტების გათვალისწინებით, უნდა იყოს ისეთივე, როგორიც აქვს აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით უშუალოდ ექსპერტიზაგაუვლელი ეროვნული განაცხადების სავალდებულო გამოქვეყნებას.

(2) თუ ენა, რომელზეც საერთაშორისო განაცხადი გამოქვეყნდა, განსხვავდება იმ ენისაგან, რომელზეც აღნიშნულ სახელმწიფოში ისინი ქვეყნდება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, მაშინ აღნიშნულმა ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ (1) პუნქტით განსაზღვრული შედგები დადგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც:

(i) გამოქვეყნდება თარგმანი ეროვნული კანონით გათვალისწინებულ ენაზე, ან

(ii) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება თარგმანი ზემოთ აღნიშნულ ენაზე, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით საზოგადოების წინაშე ღიად გამოტანის გზით, ან

(iii) იქნება მიწოდებული თარგმანი ზემოთ აღნიშნულ ენაზე განმცხადებლის მიერ საერთაშორისო განაცხადში დაცვის მოთხოვნით წარდგენილი გამოგონების უნებართვო ფაქტობრივი ან სავარაუდო გამომყენებლისათვის,ან

(iv) ექნება ადგილი (1) და (3), აგრეთვე II და III ქვეპუნქტებით მოცემულ ქმედებებს.

(3) ნებისმიერი აღნიშნული ქვეყნის ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ თუ, განმცხადებლის მოთხოვნით, საერთაშორისო გამოქვეყნება განხორციელდა პრიორიტეტის დღიდან 18 თვის გასვლამდე, მაშინ (1) პუნქტით გათვალისწინებული შედეგები ძალაში შევა პრიორიტეტის დღიდან 18 თვის გასვლის შემდეგ.

(4) აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ (1) პუნქტით გათვალისწინებული შედეგები ძალაში შევა მხოლოდ იმ თარიღიდან, როდესაც 21–ე მუხლის მიხედვით გამოქვეყნებული საერთაშორისო განაცხადის ასლი იქნება მიღებული აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული ან ასეთი სახემლწიფოსათვის მოქმედი უწყების მიერ. ამ უწყებამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოაქვეყნოს მიღების თარიღი საკუთარ ბიულეტენში.

მუხლი 30. საერთაშორისო განაცხადის კონფიდენციალური ხასიათი

(1)(a)(b) ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით, საერთაშორისო ბიურომ და საერთაშორისო ძიების უფლებამოსილმა ორგანოებმა საერთაშორისო განაცხადამდე არ უნდა დაუშვან არც ერთი პირი ან ორგანო განაცხადის გამოქვეყნებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განმცხადებელი ამას თავად მოითხოვს ან თავად დართავს ნებას.

(b)(a) ქვეპუნქტის პირობები არ გამოიყენება საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნილი მასალებისათვის, მე–13 მუხლის მიხედვით გადაგზავნილი მასალებისა და 20 მუხლით გათვალისწინებული მიმოწერისათვის.

(2)(a) არც ერთმა ეროვნულმა უწყებამ საერთაშორისო განაცხადამდე არ უნდა დაუშვას მესამე პირები, თუკი ამას თავად განმცხადებელი არ მოითხოვს ან ნებას არ დართავს, ვიდრე არ დადგება ქვემოთ მითითებულთაგან ყველაზე ადრინდელი შემდეგი თარიღი:

(i) საერთაშორისო განაცხადის საერთაშორისო გამოქვეყნების თარიღი,

(ii) მე–20 მუხლის მიხედვით საერთაშორისო განაცხადის ასლის გზავნილის მიღების თარიღი, (iii) 22–ე მუხლის მიხედვით საერთაშორისო განაცხადის მიღების თარიღი.

(b)(a) ქვეპუნქტის მოთხოვნები არ უკრძალავს ეროვნულ უწყებას მესამე პირისათვის იმის შეტყობინებას, რომ ის იყო აღნიშნული, ან ასეთი ფაქტის გამოქვეყნებას. მაგრამ, ასეთი შეტყობინება ან გამოქვეყნება უნდა შეიცავდეს მხოლოდ შემდეგს: მიმღები უწყების ამოსაცნობ მონაცემებს, განმცხადებლის სახელს, განაცხადის წარდგენის საერთაშორისო თარიღს, საერთაშორისო განაცხადის ნომერს და გამოგონების დასახელებას.
(c)(a) ქვეპუნქტის მოთხოვნები არ უკრძალავს აღნიშნულ უწყებას დაუშვას საერთაშორისო განაცხადამდე სასამართლო ორგანოები.

(3)(2)(a) პუნქტის მოთხოვნები ძალაშია ნებისმიერი მიმღები უწყებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება გადაგზავნებს 12(1) მუხლის მიხედვით.

(4) ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინი „დაშვება" მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომლითაც მესამე პირებს შეუძლიათ მოიპოვონ ინფორმაცია, მისი ინდივიდუალური გაცვლისა და ჩვეულებრივი გამოქვეყნების ჩათვლით, თუმცა არც ერთმა ეროვნულმა უწყებამ არ უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო განაცხადი ან მისი თარგმანი ჩვეულებრივი წესით საერთაშორისო გამოქვეყნებამდე ან პრიორიტეტის თარიღიდან 20 თვის გასვლამდე, თუ საერთაშორისო გამოქვეყნებას ადგილი არ ჰქონია პრიორიტეტის თარიღიდან 20 თვის გასვლამდე.

თავი II
საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა

მუხლი 31. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მოთხოვნა

(1) განმცხადებლის მოთხოვნით, მისი საერთაშორისო განაცხადი ექვემდებარება საერთაშორისო წინასწარ ექსპერტიზას, როგორც ეს გათვალისწინებულია მომდევნო პირობებითა და ინსტრუქციებით.

(2)(a) ნებისმიერ განმცხადებელს, რომელიც ინსტრუქციის შესაბამისად არის მხარე სახელმწიფოში მცხოვრები პირი ან მოქალაქე, რომელზეც ვრცელდება II თავი, და რომლის საერთაშორისო განაცხადები წარდგენილია ამ სახელმწიფოს მიმღებ ან ამ სახელმწიფოსათვის მოქმედ უწყებაში, შეუძლია მოითხოვოს საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა.
(b) ასამბლეას შეუძლია ნება დართოს პირებს, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო განაცხადის წარდგენის უფლება, მოითხოვონ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არიან მოქალაქეები ან იქ მცხოვრები პირები იმ სახელმწიფოსი, რომელიც არ არის ამ ხელშეკრულების მხარე, ან რომელზედაც არ ვრცელდება II თავი.

(3) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მოთხოვნა წარედგინება საერთაშორისო განაცხადისაგან ცალკე. მოთხოვნა წარედგინება დადგენილ ენაზე, დადგენილი ფორმით და შეიცავს დადგენილ მონაცემებს.

(4)(a) მოთხოვნაში უნდა მიეთითოს ხელშეკრულების მხარე სახელმწიფო ან სახელმწიფოები, სადაც განმცხადებელი აპირებს საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის შედეგების გამოყენებას („არჩეული სახელმწიფოები"). ხელშეკრულების სხვა მხარე სახელმწიფოები დამატებით შეიძლება არჩეულ იქნეს მოგვიანებით. არჩევა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოებს, რომელიც იყო აღნიშნული მე-4 მუხლის თანახმად.

(b) 2(a) ქვეპუნქტით მითითებულ განმცხადებელს შეუძლია აირჩიოს ხელშეკრულების მხარე ნებისმიერი სახელმწიფო, რომელზეც ვრცელდება II თავი. 2(b) ქვეპუნქტით მითითებულ განმცხადებელს შეუძლიათ აირჩიოს მხოლოდ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები, რომლებზეც ვრცელდება II თავი და რომელთაც განაცხადეს, რომ მზად არიან იყვნენ არჩეულნი ასეთი განმცხადებლების მიერ.

(5) მოთხოვნა ექვემდებარება დადგენილი საფასურის დადგენილ ვადაში გადახდას.

(6)(a) თხოვნა გადაეცემა წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც 32–ე მუხლითაა მითითებული.
(b) ნებისმიერი შემდგომი უწყების არჩევის შესახებ ეცნობება საერთაშორისო ბიუროს.

(7) თითოეულ არჩეულ უწყებას უნდა ეცნობოს არჩევის შესახებ.

მუხლი 32. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანო

(1) საერთაშორისო წინასწარ ექსპერტიზას ატარებს საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანო.

(2) 31(2)(a) მუხლში მოცემული მოთხოვნების შემთხვევაში, მიმღები უწყება, ხოლო 31(2)(b) მუხლში მოცემული მოთხოვნების შემთხვევაში, ასამბლეა, დაინტერესებული საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოს ან ორგანოებისა და საერთაშორისო ბიუროს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, ასახელებენ ორგანოს ან ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ წინასწარი ექსპერტიზა.

(3) 16(3) მუხლის პირობები გამოყენებული უნდა იქნეს როგორც Mutatis mutandis*, საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოების მიმართ.

მუხლი 33. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა

(1) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიზანია გამოიტანოს წინასწარი არასავალდებულო დასკვნა იმის თაობაზე, აქვს თუ არა განცხადებულ გამოგონებას სიახლე, საგამომგონებლო დონე (რომელიც არ უნდა იყოს ცხადი) და სამრეწველო გამოყენებადობა.

(2) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიზნებისათვის, გაცხადებული გამოგონება ჩაითვლება ახლად, თუ მას სიახლეს არ უკარგავს არსებული ტექნიკის დონე, როგორც ეს განსაზღვრულია ინსტრუქციით.

(3) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიზნებისათვის, გაცხადებული გამოგონება საგამომგონებლო დონის მქონედ განიხილება იმ შემთხვევაში, როდესაც, ინსტრუქციის შესაბამისად განსაზღვრული ტექნიკის დონის გათვალისწინებით, დადგენილი შესაბამისი თარიღისათვის იგი არ არის ცხადი დარგის სპეციალისტისათვის.

(4) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიზნებისათვის, გაცხადებული გამოგონება განიხილება სამრეწველო გამოყენებადობის მქონედ, თუ ის თავისი არსით შეიძლება დამზადდეს ან გამოყენებული იქნეს (ტექნოლოგიური მნიშვნელობით) მრეწველობის ნებისმიერ დარგში. „მრეწველობა" გაიგება ფართო მნიშვნელობით, როგორც ეს განსაზღვრულია სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით.

* Mutatis mutandis – შესაბამისი ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინება.

(5) ზემოაღწერილი კრიტერიუმები ემსახურება მხოლოდ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიზნებს. ხელშეკრულების ნებისმიერ მხარე სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი ან განსხვავებული კრიტერიუმები ამ სახელმწიფოში გაცხადებული გამოგონების პატენტუნარიანობის დასადგენად.

(6) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დროს გასათვალისწინებელია საერთაშორისო ძიების ანგარიშში მოყვანილი ყველა დოკუმენტი. შესაძლებელია კერძო შემთხვევისთვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტის გათვალისწინებაც.

მუხლი 34. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოს პროცედურა

(1) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოს პროცედურა წესრიგდება ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებით, აგრეთვე ხელშეკრულებით, რომელსაც ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის თანახმად დადებს საერთაშორისო ბიურო ზემოთ დასახელებულ ორგანოსთან.

(2) (a) განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უფლება იქონიოს ზეპირი ან წერილობითი კავშირი საერთაშორისო ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოსთან.
(b) განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უფლება შეიტანოს ცვლილებები გამოგონების ფორმულაში, აღწერილობასა და ნახაზებში, დადგენილი წესითა და დადგენილ ვადაში, ვიდრე არ იქნება მომზადებული საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ანგარიში. ცვლილებები არ უნდა გასცდეს საერთაშორისო განაცხადში არსის გახსნის იმ ფარგლებს, რა ფარგლებითაც ის იყო განცხადებული.
(c) განმცხადებელმა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთი წერილობითი დასკვნა მაინც საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოსაგან, თუკი ეს ორგანო განიხილავს და დაადგენს რომ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:
(i) გამოგონება აკმაყოფილებს 33(1) მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს,
(ii) საერთაშორისო განაცხადი შეესაბამება ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს აღნიშნული უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად,
(iii) არ არის განზრახული რაიმე შენიშვნის წარდგენა 35(2) მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით.
(d) განმცხადებელს აქვს უფლება გასცეს პასუხი წერილობით დასკვნაზე.

(3) (a) თუ წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანო ჩათვლის, რომ საერთაშორისო განაცხადი არ აკმაყოფილებს გამოგონების ერთიანობის მოთხოვნას, როგორც ეს გათვალისწინებულია ინსტრუქციით, მაშინ მას შეუძლია შესთავაზოს განმცხადებელს, რომ მან შეავიწროვოს გამოგონების ფორმულა თავისი შეხედულებით ისე, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, ან გადაიხადოს დამატებითი საფასურები.
(b) არჩეული სახელმწიფოს ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს რომ, როდესაც განმცხადებელი აირჩევს გამოგონების ფორმულის შევიწროებას, (a) ქვეპუნქტის მიხედვით საერთაშორისო განაცხადის ის ნაწილები, რომლებიც შევიწროების შედეგად აღარ შეიძლება იყოს საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის საგანი, თუ ამ სახელმწიფოში ასეთი შედეგი დგება, უნდა ჩაითვალოს გატანილად, თუკი განმცხადებელმა არ გადაიხადა სპეციალური საფასური ამ სახელმწიფოს ეროვნულ უწყებაში.
(c) თუ განმცხადებელი არ შეასრულებს (a) ქვეპუნქტით მითითებულ შეთავაზებას დადგენილ

ვადაში, მაშინ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მოამზადოს საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა საერთაშორისო განაცხადის იმ ნაწილების მიხედვით, რომლებიც მიიჩნევა, რომ ეხება მთავარ გამოგონებას და უნდა მიუთითოს შესაბამისი ფაქტები აღნიშნულ დასკვნაში. ნებისმიერი არჩეული სახელმწიფოს ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ, თუ მისი ეროვნული უწყების მიერ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოს შეთავაზება დაკმაყოფილებულადაა მიჩნეული, ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადის ის ნაწილები, რომლებიც არ ეხება მთავარ გამოგონებას, ჩაითვლება გატანილად ამ ქვეყანაში დამდგარი შედეგების თვალსაზრისით, თუკი განმცხადებლის მიერ ამ უწყებისათვის სპეციალური საფასური არ იქნება გადახდილი,

(4) (a) თუ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანო ჩათვლის, რომ:

(i) საერთაშორისო განაცხადი ეხება ობიექტს, რომელზეც ინსტრუქციის თანახმად საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოს არ მოსთხოვეს წინასწარი ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი გადაწყვეტს არ ჩაატაროს ასეთი ექსპერტიზა, ან

(ii) აღწერილობა, გამოგონების ფორმულა ან ნახაზები იმდენად ბუნდოვანია, ან, გამოგონების ფორმულის მუხლები სათანადოდ არ ეყრდნობა აღწერილობას, რომ არსობრივად მნიშვნელოვანი ვერანაირი დასკვნა ვერ იქნება გამოტანილი განცხადებული გამოგონების შესახებ სიახლეზე, საგამომგონებლო დონეზე (არა – სიცხადეზე) ან სამრეწველო გამოყენებადობაზე, მაშინ მითითებული უფლებამოსილი ორგანო არ განიხილავს 33(1) მუხლით მოცემულ საკითხებს და მიაწვდის განმცხადებელს ამ გადაწყვეტილებასა და მისი გამოტანის მიზეზებს.

(iii) თუ აღმოჩნდა, რომ (a) ქვეპუნქტით მითითებული რომელიმე გარემოება არსებობს მხოლოდ გამოგონების ფორმულის ცალკეულ მუხლებში ან მათთან დაკავშირებით, მაშინ აღნიშნული ქვეპუნქტის მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ გამოგონების ფორმულის მიითებული მუხლებისათვის.

მუხლი 35. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა

(1) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა შედგენილი უნდა იყოს დადგენილ ვადაში და დადგენილი ფორმით.

(2) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა არ უნდა შეიცავდეს რაიმე მტკიცებას განცხადებული გამოგონების პატენტუნარიანობისა თუ სავარაუდოდ პატენტუნარიანობის ან არაპატენტუნარიანობის შესახებ რომელიმე ეროვნული კანონმდებლობის თანახმად. მე–3 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით, დასკვნიდან უნდა გამომდინარეობდეს მტკიცება, ყოველ წარმოდგენილ მუხლთან დაკავშირებით, აკმაყოფილებს თუ არა ფორმულა სიახლის, საგამომგონებლო დონის (არაცხადი) და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს, როგორც განსაზღვრულია 33(1)–(4) მუხლით, საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიზნებისათვის. მტკიცებას თან უნდა ერთვოდეს მითითება იმ საბუთებზე, რომლებსაც ეყრდნობა გამოტანილი დასკვნა ისეთი განმარტებებით, როგორსაც ამას საქმის გარემოება მოითხოვს. მტკიცებას თან უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა შენიშვნებიც.

(3)(a) თუ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნის შედგენამდე საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ორგანო მიიჩნევს, რომ 34(4)(a) მუხლით მითითებული რომელიმე გარემოება არსებობს, მაშინ დასკვნაში უნდა აისახოს ასეთი მოსაზრებაც და მისი მიზეზებიც.

მე–2 პუნქტის შესაბამისად, იგი არ უნდა შეიცავდეს რაიმე მტკიცებას, (b) თუ აღმოჩნდა, რომ 34(4)(b) მუხლში მითითებულ გარემოებას აქვს ადგილი, საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა უნდა შეიცავდეს (a) ქვეპუნქტში მითითებულ მტკიცებას ფორმულის განსახილველ მუხლებთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც სხვა მუხლებთან დაკავშირებით უნდა შეიცავდეს მტკიცებას მე–2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 36. საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნის გაგზავნა, თარგმნა და დაგზავნა

(1) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა დაწესებულ დანართებთან ერთად უნდა გაეგზავნოს განმცხადებელს და საერთაშორისო ბიუროს.

(2)(a) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა და მისი დანართები უნდა გადაითარგმნოს დადგენილ ენაზე.
(b) აღნიშნული დასკვნის ნებისმიერი თარგმანი მზადდება საერთაშორისო ბიუროს მიერ ან მისი პასუხისმგებლობით, ხოლო აღნიშნული დანართების ნებისმიერი თარგმანი მზადდება განმცხადებლის მიერ.

(3)(a) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა მის თარგმანთან (როგორც დადგენილია) და დანართებთან (დედნის ენაზე) ერთად უნდა დაეგზავნოს საერთაშორისო ბიუროს ყოველ არჩეულ უწყებას.
(b) დანართების დაწესებული თარგმანი განმცხადებლის მიერ დადგენილ დროში უნდა გაეგზავნოს აღნიშნულ უწყებას.

(4) მუხლი 20(3) დებულებები გამოიყენება როგორც Mutatis mutandis, ნებისმიერი საბუთის ასლის მიმართ, რომლებიც მითითებული იყო საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნაში, ხოლო საერთაშორისო ძიების ანგარიშში არ იყო მითითებული.

მუხლი 37. მოთხოვნის გატანა ან უარი სახელმწიფოს არჩევაზე

(1) განმცხადებელს შეუძლია უარი თქვას რომელიმე ან ყველა სახელმწიფოს არჩევაზე.

(2) თუ უარი იქნება ნათქვამი ყველა სახელმწიფოს არჩევაზე, მაშინ მოთხოვნა გატანილად ჩაითვლება.
(3)(a) ნებისმიერი გატანა ან უარი ეცნობება საერთაშორისო ბიუროს.
(b) საერთაშორისო ბიურო შესაბამისად აცნობებს ასეთ არჩეულ უწყებას და შესაბამის საერთაშორისო წინსაწარი ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოს.

(4)(a) ქვეპუნქტის (b) პირობების გათვალისწინებით, მოთხოვნის გატანის ან მხარე სახელმწიფოს არჩევაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამ სახელმწიფოდან საერთაშორისო განაცხადი ჩაითვლება გატანილად, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ამ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.
(b) მოთხოვნის გატანისა და არჩევაზე უარის თქმის შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადი არ ჩაითვლება გატანილად, თუ ასეთი გატანა ან უარი განხორციელდა 22–ე მუხლით დადგენილი შესაბამისი ვადის ამოწურვამდე; მიუხედავად ამისა, ნე ბისმიერ მხარე სახელმწიფოს შეუძლია თავისი ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინოს, რომ ზემოაღნიშნული გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ მისი ეროვნული უწყება აღნიშნულ ვადაში მიიღებს საერთაშორისო განაცხადის ასლს, მის თარგმანთან (როგორც დადგენილია) ერთად და ეროვნულ გადასახადს.

მუხლი 38. საერთაშორისო წინსაწარი ექსპერტიზის კონფიდენციალური ხასიათი

(1) არც საერთაშორისო ბიურომ და არც საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილმა ორგანომ, განმცხადებლის თხოვნის ან ნებართვის გარეშე, მუხლის 30(4) არსის ფარგლებში და დათქმის გათვალისწინებით, არ უნდა დაუშვას არც ერთ შემთხვევაში, ნებისმიერი პირი ან უფლებამოსილი ორგანო, საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მასალებთან, გარდა არჩეული უწყებებისა, ვიდრე საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა არ იქნება შედგენილი.

(2) პუნქტისა (1) და 36(1)–(3) და 37(3)(b) მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, განმცხადებლის თხოვნის ან ნებართვის გარეშე, არც საერთაშორისო ბიურო და არც საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანო არ იძლევა ინფორმაციას საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნის გაცემა–გაუცემლობისა და მოთხოვნის გატანის ან ნებისმიერ არჩევაზე უარის თქმისა თუ ართქმის შესახებ.

მუხლი 39. ასლი, თარგმანი და საფასური არჩეული უწყებებისათვის

(1) (a) თუ რომელიმე მხარე სახელმწიფოს არჩევა განხორციელდა პრიორიტეტის თარიღიდან 19 თვის ამოწურვამდე, ამ სახელმწიფოს მიმართ არ გამოიყენება 22–ე მუხლის პირობები და განმცხადებელი პრიორიტეტის თარიღიდან არა უგვიანეს 30 თვისა, ყოველ აღნიშნულ უწყებას წარუდგენს საერთაშორისო განაცხადის ასლსა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაგზავნა უკვე განხორციელებულია მე–20 მუხლის თანახმად) და მის თარგმანს (როგორც დადგენილია) და უხდის ეროვნულ საფასურს (თუ ეს გათვალისწინებულია).
(b) ნებისმიერი ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს ქვეპუნქტით (a) გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების ვადები, რომლებიც იწურება უფრო გვიან, ვიდრე ამ ქვეპუნქტითაა დადგენილი.

(2) 11(3) მუხლით გათვალისწინებული მოქმედება არჩეულ სახელმწიფოში უნდა შეჩერდეს იმავე შედეგებით, როგორიც აქვს ნებისმიერი ეროვნული განაცხადის გატანას ამ სახელმწიფოში, თუ განმცხადებელი არ შეასრულებს (1) პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას ვადაში, რომელიც შეესაბამება (1)(a) ან (b) პუნქტს.

(3) ნებისმიერ არჩეულ უწყებას შეუძლია შეუნარჩუნოს 11(3) მუხლს მოქმედების ძალა, მაშინაც კი, თუ განმცხადებელი არ აკმაყოფილებს (1)(a) და (b) პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 40. ეროვნული ექსპერეტიზისა და სხვა პროცედურების ვადის გადაწევა

(1) თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე სახელმწიფოს არჩევა პრიორიტეტის თარიღიდან მე–19 თვის ამოწურვამდე განხორციელდა, 23–ე მუხლის პირობები ამ სახელმწიფოსთვის არ გამოიყენება, და ეროვნულმა ან ამ სახელმწიფოს სახელით მოქმედმა უწყებამ, მუხლი (2)–ის პირობების საფუძველზე, არ უნდა განახორციელოს საერთაშორისო განაცხადზე ექსპერტიზა და სხვა პროცედურები 39–ე მუხლით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

(2) მიუხედავად მუხლი (1)–ის პირობებისა, ნებისმიერ არჩეულ უწყებას განმცხადებლის სპეციალური მოთხოვნით, შეუძლია საერთაშორისო განაცხადზე ნებისმიერ დროს დაიწყოს ექსპერტიზა ან სხვა პროცედურები.

მუხლი 41. გამოგონების ფორმულის, აღწერილობისა და ნახაზების ცვლილება არჩეულ უწყებაში

(1) განმცხადებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დადგენილ ვადაში შეასწოროს გამოგონების ფორმულა, აღწერილობა და ნახაზები ყოველ არჩეულ უწყებაში. განმცხადებლის პირდაპირი თანხმობის გარეშე არც ერთმა არჩეულმა უწყებამ არ უნდა გასცეს პატენტი, ან არ უნდა თქვას უარი პატენტის გაცემაზე ასეთი ვადის ამოწურვამდე.

(2) ცვლილებები არ უნდა სცილდებოდეს საერთაშორისო განაცხადის წარდგენისას მასში გახსნილი არსის ფარგლებს, თუკი ამის საშუალებას არ იძლევა არჩეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა.

(3) ცვლილებები უნდა შეესაბამებოდეს არჩეული სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც ამ ხელშეკრულებით და ინსტრუქციით არ არის გათვალისწინებული.

(4) როდესაც არჩეული უწყება ითხოვს საერთაშორისო განაცხადის თარგმანს, ცვლილებები უნდა იყოს შესრულებული თარგმნის დადგენილ ენაზე.

მუხლი 42. არჩეულ უწყებებში ეროვნული ექსპერტიზის შედეგები

არც ერთ ეროვნულ უწყებას, რომელმაც მიიღო საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნა, არ შეუძლია, განმცხადებლისაგან მოითხოვოს ექსპერტიზასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის შედგენილობის შესახებ იმ ასლების ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომლებიც ეხება იმავე საერთაშორისო განაცხადს ნებისმიერ სხვა არჩეულ სახელმწიფოში.

თავი III
ზოგადი დებულებები

მუხლი 43. გარკვეული სახის დაცვის მოთხოვნა

ნებისმიერი აღნიშნული ან არჩეული სახელმწიფოს მიმართ, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს საავტორო მოწმობის, სარგებლიანობის მოწმობის, სასარგებლო მოდელის, პატენტის ან დამატებითი მოწმობების, დამატებითი საავტორო მოწმობების, ან სარგებლიანობის დამატებითი მოწმობების გაცემას, ინსტრუქციის თანახმად, განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს, რომ მისი საერთაშორისო განაცხადით მოითხოვება საავტორო მოწმობა, სარგებლიანობის მოწმობა ან სასარგებლო მოდელი და არა პატენტი, ან, რომ ამით მოითხოვება პატენტი ან დამატებითი მოწმობა, დამატებითი საავტორო მოწმობა ან სარგებლიანობის დამატებითი მოწმობა, ხოლო შედეგი განისაზღვრება განმცხადებლის არჩევანით. ამ მუხლის და ამ ხელშეკრულების ნებისმიერი წესის მიზნებისათვის მუხლი 2(ii) არ გამოიყენება.

მუხლი 44. დაცვის ორი სახის მოთხოვნა

ნებისმიერი აღნიშნული ან არჩეული სახელმწიფოს მიმართ, რომლის კანონმდებლობა უშვებს, რომ პატენტის გაცემის მოთხოვნასთან ერთად, რაც მითითებულია 43–ე მუხლში, შეიძლება იყოს მოთხოვნილი აღნიშნული დაცვის სახეებიდან კიდევ ერთი; განმცხადებელს, ინსტრუქციის თანახმად, შეუძლია მიუთითოს დაცვის ორი სახე, რომელსაც ის ითხოვს და შედეგს განსაზღვრავს განმცხადებლის არჩევანი. ამ მუხლის მიზნებისათვის მუხლი 2(ii) არ გამოიყენება.

მუხლი 45. ხელშეკრულება რეგიონულ პატენტებზე

(1) ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს რეგიონული პატენტის გაცემას (ხელშეკრულება რეგიონულ პატენტებზე) და აძლევს უფლებას ყველა იმ პირს, ვისაც მე–9 მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი, წარადგინონ განაცხადი ასეთ პატენტებზე, შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ საერთაშორისო განაცხადები, სადაც აღნიშნულია ან არჩეულია ის სახელმწიფო, რომელიც ორივე ხელშეკრულების მხარეა – რეგიონულ პატენტებზე ხელშეკრულებისაც და ამ ხელშეკრულებისაც – შეიძლება წარდგენილი იყოს, როგორც განაცხადები ასეთ პატენტებზე.

(2) აღნიშნული ან არჩეული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ასეთი სახელმწიფოს ნებისმიერ აღნიშვნას ან არჩევას საერთაშორისო განაცხადში უნდა ჰქონდეს შედეგი, რომელიც მიუთითებს რეგიონული პატენტის მიღების სურვილზე რეგიონულ პატენტზე ხელშეკრულების მიხედვით.

მუხლი 46. საერთაშორისო განაცხადის თარგმანი, რომელიც არ არის სწორი

თუ საერთაშორისო განაცხადის თარგმანი არ არის სწორი, რის გამოც ამ განაცხადის მიხედვით გაცემული პატენტის მოცულობა აღემატება საერთაშორისო განაცხადის მოცულობის ფარგლებს დედნის ენაზე, შესაბამისი ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ შესაბამისად და უკუქცევით შეზღუდონ გაცემული პატენტის მოცულობა და გამოაცხადონ, რომ იგი ბათილია და დაკარგული აქვს კანონიერი ძალა იმ ფარგლებში, რომლითაც ის აღემატება საერთაშორისო განაცხადის მოცულობას დედნის ენაზე.

მუხლი 47. ვადები

(1) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გამოთვლის წესი რეგულირდება ინსტრუქციით

(2) (a) ყველა ვადა, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულების I და II თავებით, გარდა იმისა, რომელიც არ გადაისინჯება მე–60 მუხლის მიხედვით, შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით.
(b) ასეთი გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული ასამბლეაზე ან მიმოწერით ხმის მიცემის მეშვეობით და უნდა იყოს მიღებული ერთხმად.
(c) პროცედურას აწესრიგებს ინსტრუქცია.

მუხლი 48. გარკვეული ვადების მიმართ მოთხოვნათა დაკმაყოფილების გადაწევა

(1) თუ რომელიმე მოთხოვნა ვერ შესრულდა ამ ხელშეკრულებითა და ინსტრუქციით დადგენილ ვადაში, საფოსტო მომსახურეობაში შეფერხებების ან კორესპონდენციის გარდაუვალი დაკარგვის თუ დაგვიანების გამო, სათანადო მტკიცებულებათა წარმოდგენისა და ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში შესრულება უნდა ჩაითვალოს დროულად.

(2) (a) ხელშეკრულების ნებისმიერი მხარე სახელმწიფო, რამდენადაც ამ სახელმწიფოს ეხება, პატიობს რაიმე მოთხოვნის შესრულების დაგვიანებას მისი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზეზებით.
(b) ხელშეკრულების ნებისმიერი მხარე სახელმწიფო, რამდენადაც ამ სახელმწიფოს ეხება, პატიობს რაიმე მოთხოვნის შესრულების დაგვიანებას (a) ქვეპუნქტში მითითებულისაგან განსხვავებული მიზეზებით.

მუხლი 49. საერთაშორისო უფლებამოსილ ორგანოებში საქმის წარმოების უფლება

ნებისმიერ რწმუნებულს, პატენტრწმუნებულს ან სხვა პირს, რომელსაც აქვს საქმის წარმოების უფლება იმ ეროვნულ უწყებაში, სადაც წარდგენილია საერთაშორისო განაცხადი, უნდა მიეცეს ამ განაცხადზე საქმის წარმოების უფლება საერთაშორისო ბიუროს, საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი ორგანოსა და საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოს წინაშე.

თავი IV
ტექნიკური მომსახურება

მუხლი 50. საპატენტო საინფორმაციო მომსახურება

(1) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია გაწიოს მომსახურება ტექნიკური და ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია გამოქვეყნებული დოკუმენტების, ძირითადად, პატენტებისა და გამოქვეყნებული განაცხადების საფუძველზე (ამ მუხლში მოხსენიებულია, როგორც „საინფორმაციო მომსახურება").

(2) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია ამ საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფა უშუალოდ, ან ერთი ან მეტი საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი ორგანოთი, ან სხვა ეროვნული თუ საერთაშორისო სპეციალიზებული ორგანიზაციით, რომლებთანაც საერთაშორისო ბიუროს შეუძლია ხელშეკრულების დადება.

(3) საინფორმაციო მომსახურება უნდა წარმოებდეს ისე, რომ მხარე სახელმწიფოებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს, გაუადვილდეს ტექნიკური ცოდნისა და ტექნოლოგიების, მათ შორის, ხელმისაწვდომი და გაცხადებული ნოუ-ჰაუს შეძენა.

(4) საინფორმაციო მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი მხარე სახელმწიფოთა მთავრობებისა და მათი მოქალაქეებისა თუ მცხოვრები პირებისათვის. ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ასეთი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს სხვა პირებისთვისაც.

(5) (a) მხარე სახელმწიფოთა მთავრობებს ნებისმიერი მომსახურება გაეწევა ღირებულების მიხედვით; გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ მხარე სახელმწიფო განვითარებად ქვეყანას წარმოადგენს, მის მთავრობას, მომსახურება გაეწევა ღირებულებაზე დაბალი ფასით, თუკი სხვაობა შეიძლება დაიფაროს მხარე სახელმწიფოების მთავრობების გარდა სხვა პირებისათვის გაწეული მომსახურების ან 51(4) მუხლში მოყვანილი წყაროებიდან მიღებული მოგების ხარჯზე.
(b) (a) ქვეპუნქტში დასახელებული ღირებულება უნდა იყოს გაგებული, როგორც იმ ღირებულებაზე მეტი, ვიდრე საჭიროა ჩვეულებრივ შემთხვევაში ეროვნული უწყების მიერ მომსახურების გაწევის ან საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი ორგანოს მიერ მოვალეობების შესრულებისათვის.

(6) ამ მუხლის დებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ასამბლეისა და იმ მუშა ჯგუფების გადაწყვეტილებებით, რომლებიც შეიძლება შექმნას ასამბლეამ ამ მიზნით, ასამბლეის მიერ დადგენილ ჩარჩოებში.

(7) ასამბლეა, როდესაც ჩათვლის საჭიროდ, (5) პუნქტში გათვალისწინებულის გარდა სთავაზობს დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის მეთოდებს.

მუხლი 51. ტექნიკური დახმარება

(1) ასამბლეა აფუძნებს ტექნიკური დახმარების კომიტეტს (ამ მუხლში მოხსენიებულია, როგორც „კომიტეტი").

(2) (a) კომიტეტის წევრებს ირჩევენ მხარე სახელმწიფოთაგან განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლობისადმი სათანადო ყურადღების გამოჩენით.
(b) გენერალური დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან კომიტეტის მოთხოვნით კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომელთაც ეხება განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენა.

(3) (a) კომიტეტის ამოცანაა იმ მხარე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ, ტექნიკური დახმარების ორგანიზება და მეთვალყურეობა მათი საპატენტო სისტემების განვითარებაში ინდივიდუალურ ან რეგიონულ საფუძველზე.
(b) ტექნიკური დახმარება სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს სპეციალისტების მომზადებას, ექსპერტების გაცვლასა და აღჭურვილობით უზრუნველყოფას, როგორც დემონსტრირების, ისე საექსპლოატაციო მიზნებისათვის.

(4) საერთაშორისო ბიურო უნდა ეცადოს ხელშეკრულებების დადებას, ერთი მხრივ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაწესებულებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან, რომლებსაც ეხება ტექნიკური დახმარების აღმოჩენა, და მეორე მხრივ, ტექნიკური დახმარების მიმღები სახელმწიფოების მთავრობებთან, ამ მუხლის თანახმად პროექტთა ფინანსირებისათვის.

(5) ამ მუხლის დებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ასამბლეისა და იმ მუშა ჯგუფების გადაწყვეტილებებით, რომლებიც შეიძლება შექმნას ასამბლეამ ამ მიზნით, ასამბლეის მიერ დადგენილ ჩარჩოებში.

მუხლი 52. ურთიერთკავშირი ხელშეკრულების სხვა დებულებებთან

ეს თავი გავლენას არ ახდენს ამ ხელშეკრულების ნებისმიერ სხვა თავში მოცემულ ფინანსებთან დაკავშირებულ დებულებებზე. ასეთი დებულებები არ გამოიყენება წინამდებარე თავის ან მისი შესრულების მიმართ.

თავი V
ადმინისტრაციული დებულებები

მუხლი 53. ასამბლეა

(1) (a) 57(8) მუხლის თანახმად ასამბლეა უნდა შედგებოდეს მხარე სახელმწიფოებისაგან.
(b) თითოეული მხარე სახელმწიფოს მთავრობა უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ სხვა დელეგატები, მრჩევლები და სპეციალისტები.

(2) (a) ასამბლეა:
(i) განიხილავს კავშირის შენარჩუნება-განვითარებასა და ამ ხელშეკრულების

შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს;

(ii) ასრულებს ამოცანებს, რომლებიც კონკრეტულადაა მასზე დაკისრებული ამ ხელშეკრულების სხვა დებულებების თანახმად;

(iii) საერთაშორისო ბიუროს აძლევს მითითებებს გადასინჯვის კონფერენციების* მომზადების თაობაზე;

(iv) განიხილავს და ამტკიცებს კავშირის თაობაზე გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას და აძლევს მას ყველა აუცილებელ მითითებას კავშირის კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;

(v) განიხილავს და ამტკიცებს მე-9 პუნქტის თანახმად დაფუძნებული აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებსა და საქმიანობას, და აძლევს მას მითითებებს;

(vi) ადგენს პროგრამას, იღებს კავშირის სამწლიან ბიუჯეტს* და ამტკიცებს საბოლოო ანგარიშს;

(vii) იღებს კავშირის საფინანსო წესდებას;

(viii) ნიშნავს ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, როგორსაც საჭიროდ მიიჩნევს კავშირის მიზნებისათვის.

(ix) განსაზღვრავს სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან მხარე სახელმწიფოები, და მე-8 პუნქტის პირობების გათვალისწინებით, სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც შეიძლება დაიშვებოდნენ დამკვირვებლად მის სხდომებზე;

(x) ახორციელებს ნებისმიერ შესაბამის ქმედებას, რომლებიც მიმართულია კავშირის მიზნების განსახორციელებლად და ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც ამ ხელშეკრულებას შეესაბამება.

(b) ასამბლეამ ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებითაც დაინტერესებულნი არიან სხვა კავშირებიც, რომელთა ადმინისტრირებას ახორციელებს ორგანიზაცია.

(3) დელეგატი წარმოადგენს მხოლოდ ერთ სახელმწიფოს და ხმას აძლევს მისი სახელით.

(4) ყოველ მხარე სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ერთი ხმა.

(5) (a) მხარე სახელმწიფოების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(b) თუ კვორუმი არ შედგა, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მის საკუთარ პროცედურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, მაგრამ ყველა ასეთი გადაწყვეტილება ძალაში უნდა შევიდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კვორუმი და აუცილებელი უმრავლესობა მიიღწევა მიმოწერის საშუალებით ხმისმიცემით, როგორც ეს ინსტრუქციითაა გათვალისწინებული.

(6) (a) მუხლების 47(2)(b), 58(2)(b), 58(3) და 61(2)(b) პირობების გათვალისწინებით, ასამბლეის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების ორი მესამედი.

(b) თავის შეკავება ხმის მიცემად არ ითვლება.

(7) იმ საკითხებში, რომლებიც II თავის დებულებებთან დაკავშირებული სახელმწიფოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს, მხარე სახელმწიფოებზე ნებისმიერი მითითება (4), (5) და (6) პუნქტებში მიიჩნევა მხოლოდ II თავთან დაკავშირებულ

* მთარგმნელის შენიშვნა: იგულისხმება კონფერენცია, რომელზეც გადაისინჯება ხელშეკრულება.

* რედაქტორის შენიშვნა: 1980 წლიდან კავშირის პროგრამა და ბიუჯეტი ორწლიანია.

სახელმწიფოებთან მისადაგებულად.

(8) ნებისმიერი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, განსაზღვრული საერთაშორისო ძიების ან წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოდ, ასამბლეის სხდომაზე დამკვირვებლად დაიშვება.

(9) როცა მხარე სახელმწიფოების რაოდენობა აჭარბებს 40–ს, ასამბლეამ უნდა დააფუძნოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამ ხელშეკრულებასა და ინსტრუქციაში აღმასრულებელ კომიტეტზე ნებისმიერი მითითება გაიგება, როგორც მითითება ამ კომიტეტზე, მისი დაფუძნების შემთხვევაში.

(10) აღმასრულებელი კომიტეტის დაფუძნებამდე ასამბლეა ამტკიცებს, პროგრამისა და სამწლიანი ბიუჯეტის ფარგლებში, გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ წლიურ პროგრამებსა და ბიუჯეტებს.

(11)(a) ასამბლეა იკრიბება რიგით სესიაზე ყოველ მეორე კალენდარულ წელს, გენერალური დირექტორის მოწვევით და, გარდა განსაკუთრებული გარემოებისა, იმავე დროსა და იმავე ადგილას, სადაც ტარდება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.
(b) ასამბლეა საგანგებო სესიაზე იკრიბება გენერალური დირექტორის მოწვევით, აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით, ან მხარე სახელმწიფოების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(12) ასამბლეა ამტკიცებს საკუთარ პროცედურულ წესებს.

მუხლი 54. აღმასრულებელი კომიტეტი

(1) ასამბლეის მიერ აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შემთხვევაში იგი უნდა დაექვემდებაროს შემუშავებულ პირობებს.

(2) (a) 57(8) მუხლის თანახმად, აღმასრულებელი კომიტეტი უნდა შედგებოდეს მის მიერ ასამბლეის შემადგენელი მხარე სახელმწიფოებიდან არჩეული სახელმწიფოებისაგან.
(b) აღმასრულებელი კომიტეტის მხარე სახელმწიფოს მთავრობა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ახლდნენ შემცვლელი დელეგატები, მრჩევლები და სპეციალისტები.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის მხარე სახელმწიფოების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ასამბლეის წევრი სახელმწიფოების რაოდენობის ერთ მეოთხედს. შესავსები ადგილების რაოდენობის დასადგენად ოთხზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი მხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას, ასამბლეამ სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას.

(5) (a) ასამბლეის სხდომის დახურვის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტის ყოველმა წევრმა, რომლებიც არჩეულნი იყვნენ ამ სხდომაზე, უნდა შეასრულონ თავისი ფუნქცია ასამბლეის შემდგომი რიგითი სხდომის დახურვამდე.
(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები შეიძლება გადაირჩიონ, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის ორ მესამედს.

(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა არჩევისა და გადარჩევის წესებს, დაწვრილებით.

(6) (a) აღმასრულებელი კომიტეტი:

(i) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;
(ii) წარადგენს წინადადებებს, დაკავშირებულს ასამბლეის პროგრამის პროექტსა და გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ კავშირის ორწლიანი ბიუჯეტთან;
(iii) [ამოღებულია]
(iv) შესაბამისი კომენტარებით წარუდგენს ასამბლეას გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებს და წლიური საფინანსო შემოწმების ანგარიშებს;
(v) ასამბლეის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და ასამბლეის ორი რიგითი სხდომის შუალედში წარმოქმნილი გარემოებების გათვალისწინებით ყველა ღონეს ხმარობს გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის განსახორციელებლად;
(vi) ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ყველა სხვა ფუნქციას.

(b) იმ საკითხების თაობაზე, რომლითაც დაინტერესებულია ორგანიზაციის ადმინისტრირებას დაქვემდებარებული სხვა კავშირები, აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს მას შემდეგ, რაც მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევას.

(7) (a) აღმასრულებელი კომიტეტის რიგითი სხდომა იკრიბება წელიწადში ერთხელ გენერალური დირექტორის მოწვევით, უპირატესად, იმავე დროსა და იმავე ადგილას, სადაც ტარდება ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა.
(b) აღმასრულებელი კომიტეტი საგანგებო სხდომაზე იკრიბება გენერალური დირექტორის მოწვევით, როგორც საკუთრივ მისი ინიციატივით, ისე აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) (a) აღმასრულებელი კომიტეტის ნებისმიერ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.
(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.
(c) გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.
(d) თავის შეკავება ხმის მიცემად არ ჩაითვლება.
(e) დელეგატი წარმოადგენს მხოლოდ ერთ სახელმწიფოს და ხმას აძლევს მისი სახელით.

(9) ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, სხდომებზე დაიშვებიან დამკვირვებლად ისევე, როგორც ნებისმიერი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დანიშნულია საერთაშორისო საძიებო ან წინასწარი ექსპერტიზის ორგანოდ.

(10) აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს საკუთარ პროცედურულ წესებს.

მუხლი 55. საერთაშორისო ბიურო

(1) კავშირთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ამოცანებს ასრულებს საერთაშორისო ბიურო.

(2) საერთაშორისო ბიურო ითვალისწინებს სხვადასხვა ორგანოების სამდივნოს.

(3) გენერალური დირექტორი კავშირის აღმასრულებელი ხელმძღვანელია და წარმოადგენს კავშირს.

(4) საერთაშორისო ბიურო გამოსცემს ბიულეტენს (ჟურნალს) და ინსტრუქციით

გათვალისწინებულ ან ასამბლეის მიერ მოთხოვნილ სხვა სახის გამოცემებს.

(5) ინსტრუქციით უნდა იყოს მითითებული მომსახურების ის სახეები, რომლებიც უნდა განახორციელონ ეროვნულმა უწყებებმა, რათა დაეხმარონ საერთაშორისო ბიუროს, საერთაშორისო ძიებისა და წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში.

(6) გენერალური დირექტორი და მის მიერ დასახელებული ნებისმიერი თანამშრომელი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობს ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტის და ამ ხელშეკრულების ან ინსტრუქციის მიხედვით შექმნილი სამუშაო ორგანოების სხვა კომიტეტების ყველა სხდომაზე. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დასახელებული თანამშრომელი იქნება ამ ორგანოების ex officio* მდივანი.

(7)(a) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითების თანახმად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით ამზადებს სარევიზიო კონფერენციებს.
(b) სარევიზიო კონფერენციის საკითხებთან დაკავშირებით, საერთაშორისო ბიუროს შეუძლია აწარმოოს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დასახელებული პირები ხმის მიცემის უფლების გარეშე მონაწილეობენ სარევიზიო კონფერენციების განხილვებში.

(8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა ამოცანას.

მუხლი 56. ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტი

(1) ასამბლეა აფუძნებს ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტს (ამ მუხლში მოიხსენიება როგორც „კომიტეტი").

(2)(a) ასამბლეა განსაზღვრავს კომიტეტის შემადგენლობას და ნიშნავს მის წევრებს განვითარებადი ქვეყნების სამართლიანი წარმომადგენლობის გათვალისწინებით.
(b) საერთაშორისო ძიებისა და წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანოები კომიტეტის წევრებია ex officio* თუ ასეთი ორგანო ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოს ეროვნული უწყებაა, სახელმწიფო აღარ იქნება დამატებით წარმოდგენილი კომიტეტზე.
(c) თუკი ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოთა რიცხვი ამის საშუალებას იძლევა, კომიტეტის წევრთა საერთო რაოდენობა ex officio წევრების ორმაგ რაოდენობას უნდა შეადგენდეს.
(d) გენერალური დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან კომიტეტის მოთხოვნით იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მათთვის საინტერესო საკითხების განხილვებზე მონაწილეობის მისაღებად.

(3) კომიტეტის მიზანია რჩევებისა და რეკომენდაციების მეშვეობით ხელი შეუწყოს:
(i) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მუდმივ გაუმჯობესებას,
(ii) რადგან არსებობს საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი რამდენიმე ორგანო და საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი რამდენიმე ორგანო, მათი დოკუმენტაციისა და სამუშაოს შესრულების მეთოდების ერთგვაროვნების, აგრეთვე, მათი ანგარიშების ერთგვაროვანი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, და
(iii) ასამბლეის ან აღმასრულებელი კომიტეტის წამოწყებით იმ სპეციფიკური ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ძიების უფლებამოსილი ერთიანი ორგანოს დაფუძნებასთან.

* ex officio – თანამდებობრივი მოვალეობიდან გამომდინარე

(4) ხელშეკრულების ნებისმიერ მხარე სახელმწიფოსა და ნებისმიერ დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია წერილობით მიმართოს კომიტეტს მის კომპეტენციაში მყოფ საკითხებთან დაკავშირებით.

(5) კომიტეტს შეუძლია მიაწოდოს რჩევები და რეკომენდაციები გენერალურ დირექტორს ან მისი მეშვეობით ასამბლეას, აღმასრულებელ კომიტეტს, ყველა ან ცალკეულ საერთაშორისო ძიების ან წინასწარი ექსპერტიზის ორგანოს, აგრეთვე, ყველა ან ცალკეულ მიმღებ უწყებას.

(6)(a) გენერალურმა დირექტორმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გადაუგზავნოს აღმასრულებელ კომიტეტს კომიტეტის ყველა რჩევისა და რეკომენდაციის ტექსტი. მას შეუძლია ასეთი ტექსტების კომენტირება.
(b) აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია გამოთქვას საკუთარი შეხედულებანი კომიტეტის ნებისმიერ რჩევაზე, რეკომენდაციასა თუ მის სხვა საქმიანობაზე და შესთავაზოს კომიტეტს, შეისწავლოს და მოამზადოს პასუხი მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

მაშინ აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია შესაბამის კომენტართან ერთად მიაწოდოს ასამბლეას კომიტეტის რჩევა, რეკომენდაცია და პასუხი.

(7) აღმასრულებელი კომიტეტის დაფუძნებამდე მე-6 პუნქტის მითითებები აღმასრულებელ კომიტეტზე მიიჩნევა ასამბლეაზე მითითებებად.

(8) კომიტეტის მიერ განსახორციელებელი პროცედურის საკითხები წესრიგდება ასამბლეის გადაწყვეტილებებით.

მუხლი 57. ფინანსები

(1)(a) კავშირს აქვს ბიუჯეტი.
(b) კავშირის ბიუჯეტი მოიცავს შემოსავალსა და ხარჯებს, საკუთრივ კავშირის შესაბამისს, და მის შესატანებს ბიუჯეტის ხარჯებისათვის, რაც საერთოა ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული კავშირებისათვის.
(c) ხარჯები, რომლებიც განკუთვნილია არა მარტო კავშირის, არამედ ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული ერთი ან მეტი სხვა კავშირისათვისაც, განიხილება კავშირების საერთო ხარჯებად. კავშირის წილი ასეთ საერთო ხარჯებში მისი ინტერესის პროპორციული უნდა იყოს.

(2) კავშირის ბიუჯეტი დგინდება ორგანიზაციის ადმინისტრირებას დაქვემდებარებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

(3) მე-(5) პუნქტის პირობების გათვალისწინებით, კავშირის ბიუჯეტი დაფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:

(i) კავშირთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის მიღებული საფასურებიდან და გადასახადებიდან.
(ii) კავშირთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს გამოცემების გაყიდვით ან უფლებათა გადაცემით მიღებული შემოსავლებიდან.
(iii) ჩუქებით, უფლებამონაცვლეობით მიღებული ქონებიდან და სუბსიდიებიდან.
(iv) რენტიდან, პროცენტებიდან და სხვა შემოსავლებიდან.

(4) საერთაშორისო ბიუროსათვის განკუთვნილი საფასურებისა და გადასახადების ოდენობა, აგრეთვე, მისი გამოცემების ფასები ისე უნდა იყოს დადგენილი, რომ ნორმალურ ვითარებაში საკმარისად დაიფაროს ამ ხელშეკრულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს ყველა ხარჯი.

(5)(a) ნებისმიერი ფინანსური წლის დეფიციტით დამთავრების შემთხვევაში მხარე სახელმწიფოები გაიღებენ თანხებს ასეთი დეფიციტის დასაფარავად (b) და (c) ქვეპუნქტების თანახმად.
(b) ყოველი მხარე სახელმწიფოს შესატანი თანხა ასამბლეის მიერ დგინდება იმ საერთაშორისო განაცხადების რაოდენობის სათანადოდ გათვალისწინებით, რომლებიც შესაბამის წელს წარმოიშვა ყოველი მათგანიდან.
(c) თუ გამოინახა რომელიმე დეფიციტის დაფარვის სხვა დროებითი საშუალებები, მაშინ ასამბლეას შეუძლია გადაწყვიტოს ასეთი დეფიციტის გადატანა ბიუჯეტის სხვა ნაწილში, ხოლო მხარე სახელმწიფოებისაგან აღარ მოითხოვოს შესატანების გადახდა.
(d) თუ კავშირის ფინანსური მდგომარეობა იძლევა შესაძლებლობას, ასამბლეას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ნებისმიერი შესატანი, გადახდილი (a) ქვეპუნქტის თანახმად, აუნაზღაურდეს ხელშეკრულების იმ მხარე სახელმწიფოს, რომელმაც ის გადაიხადა.
(e) მხარე სახელმწიფოს, რომელმაც ასამბლეის მიერ დადგენილი თარიღისათვის ორი წლის განმავლობაში არ გადაიხადა თავისი შესატანი (b) ქვეპუნქტის თანახმად, არ შეუძლია ხმის მიცემის უფლების გამოიყენება კავშირის არც ერთ ორგანოში. მიუხედავად ამისა, კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ სახელმწიფოს, განაგრძოს ხმის მიცემის უფლების გამოყენება ამ ორგანოში, თუკი დარწმუნდება, რომ გადახდის დაგვიანებას გამონაკლისის სახე აქვს ან დაგვიანება გარდაუვალი გარემოებებითაა განპირობებული.

(6) თუ ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დაწყებამდე, მაშინ საფინანსო წესების თანახმად, ის წინა წლის ბიუჯეტის დონისა რჩება.

(7)(a) კავშირს აქვს საბრუნავი კაპიტალი, რომელიც შედგება მხარე სახელმწიფოთა მიერ ერთჯერადად გადახდილი თანხისაგან. თუ აღნიშნული კაპიტალი საკმარისი არ აღმოჩნდა, ასამბლეა უზრუნველყოფს მის გაზრდას. თუ კაპიტალის ნაწილი საჭირო აღარ არის, მაშინ იგი უნდა დაბრუნდეს.
(b) აღნიშნულ კაპიტალში მხარე სახელმწიფოს მიერ დასაწყისში გადახდილი თანხის ოდენობა ან ამ კაპიტალის გაზრდაში მისი წილი ასამბლეის მიერ განისაზღვრება (5)(b) პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების ანალოგიური საფუძვლებით.
(c) გადახდის პირობები დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც მოისმენს ორგანიზაციის საორგანიზაციო კომიტეტის რჩევას.
(d) ნებისმიერი დაბრუნებული თანხა პროპორციული უნდა იყოს იმ თანხისა, რომელიც გადაიხადა მხარე სახელმწიფომ, გადახდის თარიღის გათვალისწინებით.

(8)(a) შტაბბინის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია იმ ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს შტაბბინა, საბრუნავი კაპიტალის უკმარისობის შემთხვევაში ამ ქვეყანამ უნდა გაიღოს საავანსო თანხა. ამ ავანსის ოდენობა და მისი გამოყოფის პირობები, ყველა შემთხვევისათვის, მოცემული ქვეყნისა და ორგანიზაციის ცალკე შეთანხმების საგანია. იმ დროისათვის, როდესაც მითითებულ ქვეყანას აქვს ავანსის გაცემის ვალდებულება, მას ex officio ეკუთვნის ადგილი ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტში.
(b) სახელმწიფოსა და ორგანიზაციას, რომლებიც მითითებულია (a) ქვეპუნქტით, აქვთ ავანსის გაღების ვალდებულების დენონსირების უფლება, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. დენონსირება ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დამთავრებიდან, როდესაც მიეწოდა წერილობითი შეტყობინება.

(9) ანგარიშების საფინანსო შემოწმება ხორციელდება ერთი ან მეტი მხარე სახელმწიფოს ან გარეშე აუდიტის მიერ, როგორც გათვალის წინებულია საფინანსო წესებით. შეთანხმების მიხედვით, შემმოწმებელ პირზე მიუთითებს ასამბლეა.

მუხლი 58. ინსტრუქცია

(1) ამ ხელშეკრულებაზე დართული ინსტრუქცია ითვალისწინებს წესებს, რომლებიც ეხება:

(i) საკითხებს, რომლებსაც ეს ხელშეკრულება პირდაპირ აკუთვნებს ინსტრუქციას ან პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ისინი არის ან უნდა იყოს მიკუთვნებული,

(ii) ნებისმიერ ადმინისტრაციულ მოთხოვნას, საკითხებს ან პროცედურებს,

(iii) ამ ხელშეკრულების პირობების გამოყენების ნებისმიერ კონკრეტულ საკითხს.

(2) (a) ასამბლეას აქვს ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის უფლება.

(b) პუნქტის (3) თანახმად, ცვლილებების შესატანად საჭიროა მიცემული ხმების სამი მეოთხედი.

(3) (a) ინსტრუქციაში ჩამოთვლილ იმ წესებს, რომელთა ცვლილებაც დასაშვებია:

(i) მხოლოდ ერთხმად, ან

(ii) მხოლოდ მაშინ, როდესაც არც ერთი მხარე სახელმწიფო, რომლის ეროვნული უწყებაც მოქმედებს როგორც საერთაშორისო ძიების ან წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილი ორგანო, არ იქნება წინააღმდეგი, ხოლო, თუ ასეთი უფლებამოსილი ორგანო საერთაშორისო ორგანიზაციაა, წინააღმდეგობას არ გამოხატავს ორგანიზაციის წევრი მხარე სახელმწიფო, რომელსაც ამ მიმართებით სხვა წევრი სახელმწიფოებისაგან მიღებული აქვს უფლებამოსილება აღნიშნული ორგანიზაციის უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს ფარგლებში.

(b) მომავალში ნებისმიერი ასეთი წესის ამოღება მოთხოვნიდან შესაბამისად მოითხოვს (a)(i) ან (a)(ii) ქვეპუნქტებით მითითებული პირობების დაცვას.

(c) მომავალში ნებისმიერი წესის შეტანა რომელიმე ერთ ან მეტ (a) ქვეპუნქტებით მითითებულ პირობებში მოითხოვს ერთსულოვნებას.

(4) ინსტრუქციით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ინსტრუქციის შემუშავება გენერალური დირექტორის მიერ, ასამბლეის ზედამხედველობით.

(5) ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის ნორმებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ნორმებს.

თავი VI
დავები

მუხლი 59. დავები

64(5) მუხლის გათვალისწინებით, ორ ან მეტ მხარე სახელმწიფოს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ამ ხელშეკრულების ან ინსტრუქციის გამოყენების განმარტებას და, რომელიც ვერ გადაიჭრა მოლაპარაკებით, შეიძლება რომელიმე ერთმა სახელმწიფომ წარუდგინოს საერთაშორისო სასამართლოს, ამ სასამართლოს სტატუსის მიხედვით, თუ მოდავე სახელმწიფოები საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის თაობაზე ვერ შეთანხმდნენ. მხარე სახელმწიფომ, რომელმაც დავა წარუდგინა სასამართლოს, ამის შესახებ უნდა აცნობოს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურომ საკითხი სხვა მხარე სახელმწიფოთა ყურადღების საგნად უნდა აქციოს.

თავი VII
გადასინჯვა და ცვლილებები

მუხლი 60. ხელშეკრულების გადასინჯვა

(1) ეს ხელშეკრულება შეიძლება გადაისინჯოს დროდადრო, მხარე სახელმწიფოების სპეციალურ კონფერენციებზე.

(2) ნებისმიერ გადასინჯვაზე კონფერენციის მოწვევა უნდა გადაწყდეს ასამბლეის მიერ.

(3) ნებისმიერი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დანიშნულია საერთაშორისო ძიების ან საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოდ, ნებისმიერი გადასინჯვის კონფერენციის სხდომებზე მეთვალყურედ დაიშვება.

(4) მუხლები 53(5), (9) და (11), 54, 55(4)–(8), 56, და 57 შეიძლება შესწორდეს გადასინჯვის კონფერენციაზე ან 61–ე მუხლის პირობების შესაბამისად.

მუხლი 61. ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის ცვლილება

(1)(a) წინადადებები მუხლების 53(5), (9) და (11), 54, 55(4)–(8), 56, და 57 ცვლილებაზე შეიძლება წამოყენებული იყოს ასამბლეის წევრი ნებისმიერი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ.
(b) ასეთი წინადადებები გენერალურმა დირექტორმა უნდა შეატყობინოს ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოებს, წინასწარ ასამბლეაზე განხილვამდე, სულ მცირე, ექვსი თვით ადრე.

(2)(a) ცვლილებები (1) პუნქტში გათვალისწინებულ მუხლებში მიღებული უნდა იყოს ასამბლეის მიერ.
(b) მიღებას ესაჭიროება მიცემული ხმების სამი მეოთხედი.

(3) (a) ნებისმიერი ცვლილება მუხლებში, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტში, ძალაში შევა ერთ თვეში მას შემდეგ, რაც მიღების შესახებ წერილობითი შეტყობინება, წარდგენილი კონსტიტუციურ პროცედურებთან შესაბამისობაში, იქნება მიღებული გენერალური დირექტორის მიერ, ამ ცვლილების მიღების დროს ასამბლეის წევრი სახელმწიფოების სამი მეოთხედისაგან.
(b) ამგვარად მიღებული ნებისმიერი ცვლილება მითითებულ მუხლებში, სავალდებულოა შესწორების ძალაში შესვლის დროისათვის ასამბლეის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის, იმ პირობით, რომ ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის ხეშეკრულების მხარე სახელმწიფოების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც შეატყობინეს ასეთი შესწორების მიღების შესახებ.
(c) ნებისმიერი ცვლილება, მიღებული (a) ქვეპუნქტის პირობების შესაბამისად, სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის, რომლებიც ასამბლეის წევრები გახდნენ, (a) ქვეპუნქტის შესაბამისად შესწორების ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ.

თავი VIII
დასკვნითი დებულებები

მუხლი 62. ხელშეკრულების მხარედ გახდომა

(1) სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე:

(i) ხელმოწერით, რატიფიკაციის საბუთის შემდგომი დეპონირებით ან

(ii) მიერთების საბუთის დეპონირებით.

(2) რატიფიკაციის ან მიერთების საბუთები უნდა ჩაბარდეს შესანახად გენერალურ დირექტორს.

(3) სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 24–ე მუხლის პირობები გამოიყენება ამ ხელშეკრულებისათვის.

(4) პუნქტი (3) არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გაგებული როგორც ნებისმიერი მხარე სახელმწიფოს მიერ ფაქტობრივი მდგომარეობის აღიარების ან უსიტყვო მიღების შემცველი იმ ტერიტორიასთან მიმართებაში, რომლისთვისაც სხვა მხარე სახელმწიფომ გახადა გამოსაყენებელი ეს ხელშეკრულება, აღნიშნული პუნქტის საფუძველზე.

მუხლი 63. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

(1)(a) პუნქტის (3) პირობების გათვალისწინებით, ეს ხელშეკრულება შედის ძალაში რვა სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის ან მიერთების საბუთების დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ, იმ პირობით, რომ ამ სახელმწიფოებიდან, სულ მცირე, ოთხი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნათაგან რომელიმეს:

(i) ამ სახელმწიფოში წარდგენილი განაცხადების რაოდენობა, საერთაშორისო ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ბოლო ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აღემატება 40 000–ს,

(ii) ასეთი სახელმწიფოს მოქალაქეებმა ან მცხოვრებმა პირებმა წარადგინეს, საერთაშორისო ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ბოლო ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სულ მცირე, 1 000 განაცხადი უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში,

(iii) სახელმწიფოს ეროვნულმა უწყებამ უცხო ქვეყნების მოქალაქეების ან ქვეშევრდომებისგან მიიღო, საერთაშორისო ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ბოლო ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სულ მცირე, 10 000 განაცხადი.

(b) ამ პუნქტის მიზნებისათვის, ტერმინი „განაცხადები” არ მოიცავს განაცხადებს სასარგებლო მოდელებზე.

(2) პუნქტის (3) პირობების გათვალისწინებით, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც (1) პუნქტის თანახმად, ძალაში შესვლით არ გახდა ამ ხელშეკრულების მხარე, ამ ხელშეკრულებით შებოჭილი გახდება მის მიერ რატიფიცირებული მოწმობის ან მიერთების აქტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

(3) II თავის პირობები და ამ ხელშეკრულებაზე დართული ინსტრუქციის შესაბამისი პირობები გამოიყენება მხოლოდ იმ თარიღიდან, როცა სამი სახელმწიფო, რომელთაგანაც ყოველი აკმაყოფილებს, (1) პუნქტში მითითებული სამი მოთხოვნიდან, სულ ცოტა, ერთს მაინც, გახდა ამ ხელშეკრულების მხარე ისე, რომ 64(1) მუხლთან დაკავშირებით არ განუცხადებია უარი II თავის დებულებების მათზე გავრცელებაზე. ამასთან, ეს თარიღი არ უნდა იყოს, (1) პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ძალაში შესვლის თავდაპირველ თარიღზე ადრინდელი.

მუხლი 64. დათქმები

(1) (a) ნებისმიერმა სახელმწიფომ შეიძლება განაცხადოს, რომ არ იქნება შებოჭილი II თავის დებულებებით.
(b)(a) ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო, რომელიც გააკეთებს ასეთ განცხადებას, არ იქნება შებოჭილი II თავისა და მისი შესაბამისი ინსტრუქციის დებულებებით.

(2) (a) ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება (1)(a) პუნქტის თანახმად, შეუძლია განაცხადოს, რომ:

(i) საერთაშორისო განაცხადის ასლისა და მისი თარგმანის წარდგენასთან დაკავშირებით (როგორც დადგენილია) თავს არ მიიჩნევს (39)(1) მუხლის პირობებით შებოჭილად;
(ii) ვალდებულება ეროვნული პროცედურის გადავადებასთან დაკავშირებით, მე–40 მუხლის მოთხოვნის თანახმად, არ აბრკოლებს ეროვნული უწყების მიერ ან მის მეშვეობით, საერთაშორისო განაცხადის გამოქვეყნებას ან მის თარგმნას, ამასთან, გასაგებია, რომ ეს არ ათავისუფლებს 30–ე და 38–ე მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვისაგან.

(b) სახელმწიფოები, რომლებიც აკეთებენ ასეთ განცხადებას, მათი განცხადებების შესაბამისად იქნებიან შებოჭილნი.

(3)(a) ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რამდენადაც საქმეს ეხება, რომ არ მოითხოვება საერთაშორისო განაცხადისათვის საერთაშორისო გამოქვეყნება.
(b) თუ პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის ამოწურვის მომენტისათვის საერთაშორისო განაცხადი შეიცავს მხოლოდ იმ სახელმწიფოების აღნიშვნას, რომლებმაც (a) ქვეპუნქტის შესაბამისად გააკეთეს განცხადება, საერთაშორისო განაცხადი არ გამოქვეყნდება 21(2) მუხლის თანახმად.
(c) (b) ქვეპუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, საერთაშორისო განაცხადი ქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს მიერ:

(i) განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, როგორც ეს ინსტრუქციითაა გათვალისწინებული;
(ii) დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უადრეს პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლისა, საერთაშორისო განაცხადზე დაფუძნებული ეროვნული განაცხადის ან პატენტის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც გაკეთებულია აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნული უწყების ან მისი სახელით, რომელმაც გააკეთა (a) ქვეპუნქტის თანახმად განცხადება.

(4) (a) ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს თავისი პატენტების გავლენას ტექნიკის დონეზე თარიღიდან, რომელიც წინ უსწრებს გამოქვეყნების თარიღს, მაგრამ სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენციის თანახმად, ტექნიკის დონის მიზანებისათვის მოთხოვნილ პრიორიტეტის თარიღს არ უთანაბრებს ამ სახელმწიფოში განაცხადის ფაქტობრივად წარდგენის თარიღს, შეუძლია განაცხადოს, რომ მისი აღნიშვნის შემცველი საერთაშორისო განაცხადის წარდგენა ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, არ უთანაბრდება ტექნიკის დონის მიზნებისათვის საერთაშორისო განაცხადის ფაქტობრივ წარდგენას ამ სახელმწიფოში.
(b) ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აკეთებს განცხადებას (a) ქვეპუნქტის თანახმად, არ იქნება შებოჭილი ამ ფარგლებში 11(3) მუხლის პირობებით.
(c) ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც აკეთებს განცხადებას, (a) ქვეპუნქტის თანახმად, იმავდროულად უნდა დაადგინოს და წერილობით გამოაცხადოს, რომელი თარიღიდან და რა პირობებით იმოქმედებს მოცემულ სახელმწიფოში ნებისმიერი, მისი აღნიშვნის მქონე, საერთაშორისო განაცხადის გავლენა ტექნიკის დონეზე. ეს დადგენილება შეიძლება შეიცვალოს

ნებისმიერ დროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

(5) ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ მიიჩნევს თავს 59–ე მუხლით შებოჭილად. ნებისმიერი დავის შემთხვევაში იმ რომელიმე მხარე სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც გააკეთეს ასეთი განცხადება, და ნებისმიერ სხვა მხარე სახელმწიფოს შორის 59–ე მუხლის დებულებები არ გამოიყენება.

(6) (a) ამ მუხლის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება უნდა იყოს წერილობითი. ის შეიძლება გაკეთდეს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის, ან მიერთების რატიფიკაციის საბუთის დეპონირების დროს ან, უფრო გვიან, გარდა მე–5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ნებისმიერ დროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ასეთი შეტყობინების შემთხვევაში განცხადება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შე ტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ და არ ვრცელდება იმ საერთაშორისო განაცხადებზე, რომლებიც წარდგენილი იყო აღნიშნული ექვსთვიანი ვადის გასვლამდე.
(b) ამ მუხლის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადების გამოთხოვა დასაშვებია ნებისმიერ დროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ასეთი გამოთხოვა ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, ხოლო, მე–3 პუნქტის თანახმად, განცხადების გამოთხოვის შემთხვევაში არ ვრცელდება საერთაშორისო განაცხადებზე, რომლებიც წარდგენილი იყო აღნიშნული სამ თვიანი ვადის გასვლამდე.

(7) არ დაიშვება არანაირი დათქმა ამ ხელშეკრულებასთან მიმართებით იმ დათქმების გარდა, რომლებიც ნებადართულია (1)–დან (5)–მდე პუნქტებით.

მუხლი 65. თანამიმდევრული გამოყენება

(1) თუ შეთანხმება რომელიმე საერთაშორისო ძიების ან საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის უფლებამოსილ ორგანოსთან ითვალისწინებს, დროებით, საერთაშორისო განაცხადების რაოდენობრივ ან სახეობრივ შეზღუდვას, რომელთა განხილვა გადაწყვიტა ასეთმა უფლებამოსილმა ორგანომ, ასამბლეამ უნდა მიიღოს საჭირო ზომები მოცემული კატეგორიის საერთაშორისო განაცხადების მიმართ ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის თანამიმდევრული გამოყენებისათვის. ეს დებულება აგრეთვე გამოიყენება საერთაშორისო ტიპის ძიების მოთხოვნებისათვის, 15(5) მუხლის თანახმად.

(2) ასამბლეამ უნდა დაადგინოს თარიღები, საიდანაც პუნქტი (1)–ის დებულების გათვალისწინებით შეიძლება საერთაშორისო განაცხადებისა და საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მოთხოვნის წარდგენა. ეს თარიღები არ უნდა იყოს უფრო გვიანი, ვიდრე ექვსი თვე მას შემდეგ, რაც ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა, შესაბამისად, მუხლი 63(1)–ის დებულებების თანახმად, ან მას შემდეგ, რაც II თავი გახდა გამოსაყენებელი 63(3) მუხლით.

მუხლი 66. დენონსაცია

(1) ნებისმიერ მხარე სახელმწიფოს შეუძლია ამ ხელშეკრულების დენონსაცია გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

(2) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მითითებული შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ. ეს არ ეხება საერთაშორისო განაცხადის მოქმედებას იმ

სახელმწიფოში, რომელმაც მოახდინა დენონსაცია თუ საერთაშორისო განაცხადი შეტანილი იყო არჩეულ სახელმწიფოში, რომელმაც მოახდინა დენონსაცია და არჩევა განხორციელდა აღნიშნული ექვსთვიანი ვადის გასვლამდე.

მუხლი 67. ხელმოწერა და ენები

(1) (a) ამ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწეროს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე შესრულებულ ერთ დედანზე, ამასთან, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.
(b) ოფიციალური ტექსტები უნდა შემუშავდეს გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ გერმანულ, იაპონურ, პორტუგალიურ, რუსულ და ესპანურ ენებზე და ისეთ სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება მიუთითოს ასამბლეამ.

(2) ეს ხელშეკრულება ხელმოსაწერად ღიაა ვაშინგტონში 1970 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 68. დეპოზიტარიუმის ფუნქციები

(1) ამ ხელშეკრულების დედანი, როდესაც იგი ხელმოსაწერად ღია აღარ იქნება, დეპონირდება გენერალურ დირექტორთან.

(2) გენერალურმა დირექტორმა მის მიერ დამოწმებული ამ ხელშეკრულებისა და თანდართული ინსტრუქციის ორი ასლი უნდა გაუგზავნოს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ყველა მხარე სახელმწიფოს მთავრობას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მთავრობას.

(3) გენერალურმა დირექტორმა უნდა დაარეგისტრიროს ეს ხელშეკრულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(4) გენერალურმა დირექტორმა უნდა გაუგზავნოს მის მიერ დამოწმებული ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის ნებისმიერი ცვლილების ორი ასლი ყველა მხარე სახელმწიფოს მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მთავრობას.

მუხლი 69. შეტყობინებები

გენერალური დირექტორი ატყობინებს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ყველა მხარე სახელმწიფოს მთავრობას:

(i) ხელმოწერების შესახებ 62-ე მუხლის შესაბამისად,
(ii) რატიფიკაციის ან მიერთების საბუთების დეპონირების შესახებ 62-ე მუხლის შესაბამისად,
(iii) ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღს და იმ თარიღს, რომლიდანაც გამოიყენება II თავი 63(3) მუხლის შესაბამისად,
(iv) ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ, რომელიც გაკეთებულია 64(1)-(5) მუხლის თანახმად,
(v) ნებისმიერი დეკლარაციის გამოთხოვის შესახებ 64(6)(b) მუხლის თანახმად,
(vi) დენონსაციის შესახებ, რომელიც მიღებულია 66-ე მუხლის თანახმად, და
(vii) ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ, რომლებიც გაკეთებულია 31(4) მუხლის თანახმად.

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ (ვალიდაციის შეთანხმება)

საქართველოს მთავრობა („საქართველო„), წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, გენადი არველაძის სახით,

და

ევროპის საპატენტო ორგანიზაცია („ორგანიზაცია„), წარმოდგენილი ევროპის საპატენტო უწყების („EPO„) პრეზიდენტის, ანტონიო კამპინოსის სახით,

ითვალისწინებენ რა

1973 წლის 5 ოქტომბრის ევროპული პატენტების გაცემის შესახებ კონვენციას, უკანასკნელად გადასინჯულს 2000 წლის 29 ნოემბრის ევროპის საპატენტო კონვენციის გადასინჯვის აქტით („EPC„) და, კერძოდ, მის 33(4)–ე მუხლს,

1999 წლის 5 თებერვლის საქართველოს საპატენტო კანონს N1791,

იღებენ რა მხედველობაში იმას,

რომ საქართველოს საპატენტო კანონი ითვალისწინებს ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში არსებული დაცვის დონის არსებითად მსგავს დაცვის დონეს,

რომ საქართველო, თავის ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი დებულებების შეტანით, რომლებიც შეესაბამება ამ შეთანხმების დანართში წარმოდგენილი დებულებების სულისკვეთებას („ვალიდაციის სისტემა„) უზრუნველყოფს სისტემას, რომელიც მოთხოვნისამებრ, შესაძლებელს გახდის თავის ტერიტორიაზე ევროპული საპატენტო განაცხადებისა და პატენტების მოქმედების ვალიდაციას.

იღებენ რა მხედველობაში იმას,

რომ საქართველო არის საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების („PCT„) მონაწილე მხარე და ამ ხელშეკრულების ფარგლებში მინიშნებული ჰყავს EPO, როგორც საერთაშორისო საძიებო და წინასწარი ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანო,

აღიარებენ რა

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების (TRIPS შეთანხმება) სტანდარტების სრულად გამოყენების აუცილებლობას,

აღნიშნავენ რა

საქართველოს მიერ EPO–სგან მხარდაჭერის მოთხოვნას ვალიდაციის სისტემის

განხორციელების საქმეში,

დარწმუნებულნი არიან რა,

რომ ორგანიზაციისა და საქართველოს შორის ვალიდაციის სისტემის შემოღება ერთობლივ ინტერესშია და იგი გააძლიერებს სამრეწველო საკუთრების დაცვას საქართველოში,

რომ ვალიდაციის სისტემა ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიზნების მიღწევასა და ევროკავშირის გეგმებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეკონომიკის ეტაპობრივ ინტეგრაციასთან დაკავშირებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ამ შეთანხმების ფარგლებში საქართველოში ევროპული პატენტების ვალიდაციის ეფექტური სისტემის შემუშავებისათვის.

მუხლი 2. ტექნიკური და სამართლებრივი დახმარება

ორგანიზაციამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს საქართველო ტექნიკური და სამართლებრივი დახმარებით, რომელიც აუცილებელია ვალიდაციის სისტემის განსახორციელებლად.

მუხლი 3. სამართლებრივი და ადმინისტრაციული თანამშრომლობა

(1) ხელშემკვრელმა მხარეებმა რეგულარულად უნდა გაცვალონ ინფორმაცია მათ შესაბამის საპატენტო სისტემაში სამართლებრივი პროცესების განვითარების შესახებ.

(2) საქართველოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, ორგანიზაციამ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა გასცეს რეკომენდაცია საქართველოს საპატენტო სისტემასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების მიღებასა ან მათში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

მუხლი 4.ვალიდაციის მოთხოვნების დამუშავება

(1) EPO-მ უნდა მიიღოს, დაამუშაოს და გამოაქვეყნოს საქართველოში ევროპული პატენტების ვალიდაციისთვის ნებისმიერი მოთხოვნა და გადასცეს სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ („უწყებას„) ნებისმიერი ინფორმაცია ევროპულ საპატენტო განაცხადებსა და პატენტებთან დაკავშირებული საქმისწარმოების შესახებ.

(2) EPO-მ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, მოთხოვნის საფუძველზე უნდა გაუწიოს დახმარება უწყებას ნებისმიერი სხვა სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების გზით.

მუხლი 5. ინფორმაცია ვალიდირებული ევროპული პატენტების შესახებ

უწყებამ უნდა აცნობოს EPO-ს ნებისმიერი ვალიდირებული ევროპული პატენტის სამართლებრივი სტატუსის შესახებ (როგორიცაა, ბათილად ცნობა, შეწყვეტა, შეზღუდვა, გამოხმობა ან გაუქმება).

მუხლი 6. ფინანსური საკითხები

(1) ვალიდაციის თითოეული მოთხოვნისათვის ვალიდაციის საფასური გადახდილი უნდა იქნეს EPO– ში. EPO–ს პრეზიდენტმა, უწყების თავმჯდომარესთან შეთანხმებით, უნდა დააწესოს ვალიდაციის საფასურის ოდენობა. ამ საფასურის ოდენობა შეიძლება გადასინჯულ იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

(2) ვალიდაციის საფასურის წილი, 75%–ის ოდენობით ეკუთვნის უწყებას და გადაირიცხება მის ანგარიშზე EPO–სა და უწყებას შორის შეთანხმების საფუძველზე. EPO დაიტოვებს ვალიდაციის საფასურის 25%–ს ვალიდაციის შეთანხმებით ნაკისრი ამოცანების შესრულებისთვის გაწეული ხარჯების დასაფარად.

მუხლი 7. ერთობლივი კომიტეტი

(1) ამ შეთანხმებასთან და მის განხორციელებასთან წარმოშობილი ყველა საკითხის განსახილველად უნდა დაფუძნდეს ერთობლივი კომიტეტი. კომიტეტი უნდა შედგებოდეს EPO–სა და უწყების წარმომადგენლებისაგან.

(2) კომიტეტი უნდა შეიკრიბოს უწყების თავმჯდომარის ან EPO–ს პრეზიდენტის ინიციატივით. თითოეული შეხვედრის დღის წესრიგი, ადგილი და თარიღი დადგინდება ორ უწყებას შორის შეთანხმებით.

მუხლი 8. შეთანხმების განხორციელება

ხელშემკვრელ მხარეთა მიერ ამ შეთანხმების მიხედვით ნაკისრი ამოცანები შესრულებული უნდა იქნეს EPO–სა და უწყების მიერ. EPO–მ შეიძლება დაავალოს ამ შეთანხმების მე–2 მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანების შესრულება EPC–ს მონაწილე სახელმწიფოთა საპატენტო უწყებებს, მათი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 9 შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა

ორგანიზაციის ან საქართველოს თხოვნის საფუძველზე, ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები ამ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ შეთანხმების მიღების პროცედურა mutatis mutandis გავრცელდება შეთანხმების ცვლილებაზე.

მუხლი 10. შეთანხმების ხანგრძლივობა

(1) წინამდებარე შეთანხმება იდება ხუთი წლის პერიოდით და გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით, თუ ამის თაობაზე ხელშემკვრელი მხარე წერილობითი ფორმით არ გამოხატავს წინააღმდეგობას შესაბამისი ხუთწლიანი პერიოდის დასრულებამდე არაუგვიანეს ექვსი თვით ადრე.

(2) პირველი პუნქტის მიუხედავად, წინამდებარე შეთანხმება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს წერილობით რომელიმე მხარის მიერ; შეწყვეტა შედის ძალაში მეორე მხარის მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, თუ აღნიშნული შეტყობინება არ განსაზღვრავს უფრო ხანგრძლივ პერიოდს ან თუ ხელშემკვრელი მხარეები არ შეთანხმდებიან უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

(3) ამ შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში მე–4–მე–6 მუხლების მოქმედება გაგრძელდება განხილვაში მყოფი ნებისმიერი ევროპული საპატენტო განაცხადის მიმართ, რომელთან

დაკავშირებითაც ვალიდაციის მოთხოვნა შეტანილი იქნა შეთანხმების შეწყვეტამდე და ნებისმიერი ევროპული პატენტის მიმართ, რომელიც გაცემულია ამგვარ განაცხადზე.

მუხლი 11. ძალაში შესვლა

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღი განისაზღვრება EPO–ს პრეზიდენტსა და უწყების თავმჯდომარეს შორის შეტყობინებების გაცვლის საფუძველზე, საქართველოს მიერ ამ შეთანხმების დანართის შესაბამისი დებულებების მიღების შემდეგ. შესრულებულია მიუნხენში, 31 ოქტომბერს 2019 წელს, ორ დედნად ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, ამასთან, თითოეული ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

საქართველოს მთავრობის სახელით **Genadi Arveladze**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე

ევროპის საპატენტო ორგანიზაციის სახელით **Antonio Campinos**
ევროპის საპატენტო უწყების პრეზიდენტი

დანართი

საქართველოში ევროპული პატენტების ვალიდაციის მარეგულირებელი სამოდელო დებულებები

დებულებები, რომლებიც შეესაბამება წარმოდგენილი ნიმუშების პროექტების ფორმულირებასა და სულისკვეთებას, უნდა აისახოს საქართველოს საპატენტო კანონში დადგენილი წესით.

მუხლი 1. ევროპული პატენტების ვალიდაცია

(1) ევროპულ საპატენტო განაცხადსა და საქართველოში ვალიდირებულ ევროპულ პატენტს, შემდეგი დებულებების შესაბამისად, უნდა მიენიჭოს იგივე იურიდიული ძალა და დაექვემდებაროს იმავე პირობებს, რაც ვრცელდება ეროვნულ საპატენტო განაცხადსა და ეროვნულ პატენტზე საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით.

(2) ამ დებულებების მიზნებისათვის, (a) „ევროპული საპატენტო განაცხადი“ ნიშნავს ევროპის საპატენტო კონვენციის (EPC) შესაბამისად ევროპული პატენტისათვის განაცხადს, ასევე, საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად შეტანილ საერთაშორისო განაცხადს, რომელთან დაკავშირებით ევროპის საპატენტო უწყება (EPO) არის აღნიშნული ან არჩეული უწყება, და რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის საერთაშორისო თარიღი და რომელშიც აღნიშნულია საქართველო;

(b) „ვალიდირებული ევროპული პატენტი“ ნიშნავს EPO–ს მიერ გაცემულ ევროპულ პატენტს, ევროპულ საპატენტო განაცხადზე, რომლის საფუძველზე მოთხოვნილ იქნა საქართველოში ვალიდაცია;

(c) „ეროვნული საპატენტო განაცხადი“ ნიშნავს საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ („უწყება“) შეტანილ განაცხადს;

(d) „ეროვნული პატენტი“ ნიშნავს პატენტს, რომელიც გაცემულია უწყების მიერ ეროვნულ საპატენტო განაცხადზე საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად.

მუხლი 2 ვალიდაციის მოთხოვნა

(1) ევროპის საპატენტო განაცხადი და ასეთ განაცხადზე გაცემული ევროპული პატენტი შეიძლება იქნეს ვალიდირებული საქართველოში განმცხადებლის მოთხოვნით. ვალიდაციის მოთხოვნა უნდა ჩაითვალოს წარდგენილად განმცხადებლის მიერ ნებისმიერი ევროპული საპატენტო განაცხადისთვის, რომელიც შეტანილია იმ თარიღისათვის ან მას შემდეგ, როდესაც ძალაში შევა საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ვალიდაციის შეთანხმება.

(2) უწყებამ უნდა გამოაქვეყნოს ვალიდაციის ყველა მოთხოვნა შესაძლოდ მოკლე ვადაში მას შემდეგ, რაც EPO შეატყობინებს მას, რომ გადახდილია ვალიდაციის შესაბამისი საფასური, მაგრამ არა შეტანის თარიღიდან 18 თვის გასვლამდე, ან თუ მოითხოვება პრიორიტეტი, პრიორიტეტის ყველაზე ადრინდელი თარიღიდან.

(3) ვალიდაციის მოთხოვნის გამოხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს. იგი უნდა ჩაითვლოს გამოხმობილად, თუ ვალიდაციის შესაბამისი საფასური დროულად არ იქნა გადახდილი,

ან თუ ევროპული საპატენტო განაცხადის მიმართ მიღებულ იქნა საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება, გამოხმობილ იქნა ან ჩაითვალა გამოხმობილად. უწყებამ უნდა გამოაქვეყნოს ის შესაძლოდ მოკლე ვადაში, თუ ვალიდაციის მოთხოვნა უკვე იქნა გამოქვეყნებული მის მიერ მე–2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3 ვალიდაციის საფასური

(1) ვალიდაციის საფასური გადახდილი უნდა იქნეს EPO–სთვის ექვსი თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც ევროპულ საპატენტო ბიულეტენში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ევროპული ძიების ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ, ან, შესაბამის შემთხვევაში, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც გათვალისწინებულია საერთაშორისო განაცხადის ევროპულ ფაზაში შესასვლელად მოთხოვნილი ქმედებების შესასრულებლად პირველი მუხლის მე–2(ა) პუნქტის შესაბამისად.

(2) ვალიდაციის საფასური შესაძლებელია გადახდილ იქნას კანონიერად დამატებითი ორთვიანი პერიოდის განმავლობაში, პირველ პუნქტში მითითებული შესაბამისი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, იმ პირობით, რომ დამატებითი პერიოდის განმავლობაში გადაიხდება საფასურზე 50% დანამატი.

(3) ვალიდაციის საფასურების გადახდისას mutatis mutandis ვრცელდება EPO–ს საფასურებთან დაკავშირებული წესები. კანონით დადგენილი წესით გადახდილი ვალიდაციის საფასურების დაბრუნება არ ხდება.

მუხლი 4. ევროპული საპატენტო განაცხადების მოქმედება

(1) ევროპული საპატენტო განაცხადი, რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის თარიღი, უნდა გაუთანაბრდეს ჩვეულებრივ ეროვნულ საპატენტო განაცხადს, შესაბამის შემთხვევებში ევროპული საპატენტო განაცხადისათვის მოთხოვნილი პრიორიტეტით, შედეგის მიუხედავად.

(2) გამოქვეყნებული ევროპული საპატენტო განაცხადით პირობითად უნდა მოხდეს იმავე დაცვის მინიჭება, რომლის მინიჭებაც ხდება გამოქვეყნებული ეროვნული საპატენტო განაცხადით, იმ თარიღიდან, როდესაც უწყების მიერ ევროპული საპატენტო განაცხადის ფორმულის თარგმანი ქართულ ენაზე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

(3) როდესაც ვალიდაციის მოთხოვნა არის გამოხმობილი ან ითვლება გამოხმობილად, მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ევროპულ საპატენტო განაცხადს ab initio არ ჰქონდა მე–2 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედება.

მუხლი 5. ევროპული პატენტების მოქმედება

(1) ვალიდირებული ევროპული პატენტით, ამ მუხლის მე–2–მე–7 პუნქტების შესაბამისად, EPO–ს მიერ მისი გაცემის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღიდან, უნდა მოხდეს იმავე უფლებების მინიჭება, როგორი უფლებებიც საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად მიენიჭებოდა ეროვნული პატენტით. ნებისმიერი სამართლებრივი ქმედება ვალიდირებულ ევროპულ პატენტთან დაკავშირებით, გარდა EPO–ში წარდგენილ მესამე პირის საჩივართან, ცენტრალურ გაუქმებასთან ან შეზღუდვასთან დაკავშირებული სამართალწარმოებებისა, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

(2) ევროპული პატენტის გაცემის შესახებ ინფორმაციის გამოქვენების თარიღიდან სამი

თვის განმავლობაში, პატენტის მფლობელმა უნდა წარადგინოს უწყებაში პატენტის სრული ქართული თარგმანი და გადაიხადოს გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასური.

(3) თუ EPO–ში წარდგენილი მესამე პირის საჩივრის ან შეზღუდვის მოთხოვნის შედეგად, ევროპული პატენტი ძალაში დარჩება შეცვლილი სახით, პატენტის მფლობელმა სამი თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც გამოქვეყნდა ინფორმაცია ევროპული პატენტის შეცვლილი სახით ძალაში დატოვების ან მისი შეზღუდვის გადაწყვეტილების მიღების შესახებ, უნდა წარადგინოს უწყებაში ევროპული პატენტის შეცვლილი ან შეზღუდული სახით პატენტის სრული ქართული თარგმანი და გადაიხადოს გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური.

(4) როდესაც გამოგონების ფორმულის ტექსტი შეიცავს მინიშნებებს ნახაზებზე, ასეთი ნახაზები უნდა დაერთოს მე–2 და მე–3 პუნქტებში მითითებულ თარგმანს.

(5) უწყებამ შესაძლოდ მოკლე ვადაში უნდა გამოაქვეყნოს მე–2 ან მე–3 პუნქტების მოთხოვნების დაცვით წარდგენილი თარგმანი.

(6) თუ მე–2 ან მე–3 პუნქტებში მითითებული თარგმანი არ არის წარდგენილი შესაბამის ვადაში ან თუ არ არის გადახდილი შესაბამის ვადაში გამოქვეყნების საფასური, ევროპული პატენტი ჩაითვლება ბათილად ab initio. თარგმანი შეიძლება წარდგენილ იქნეს კანონის მოთხოვნათა დაცვით დამატებითი სამთვიანი პერიოდის განმავლობაში მე–2 და მე–3 პუნქტებში მითითებული შესაბამისი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, იმ პირობით, რომ დამატებითი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნების საფასურზე გადაიხდება 100% დანამატი.

(7) იმ შემთხვევაში, თუ პატენტი ბათილად იქნა ცნობილი მესამე პირის გასაჩივრების ან ცენტრალურად გაუქმებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას ან შეიზღუდა EPO–ში შეზღუდვასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ვალიდირებულ ევროპულ პატენტს ან მასზე დაფუძნებულ ევროპულ საპატენტო განაცხადს არ ჰქონდა ab initio ამ მუხლის პირველ პუნქტში და მე–4 მუხლის მე–2 პუნქტში მითითებული მოქმედება.

მუხლი 6. ევროპული საპატენტო განაცხადების ან ევროპული პატენტების ავთენტური ტექსტი

(1) თარგმანთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნების შელახვის გარეშე, ევროპული საპატენტო განაცხადის ან ევროპული პატენტის ტექსტი EPO–ში სამართალწარმოების ენაზე უნდა იყოს ავთენტური ტექსტი საქართველოში ნებისმიერი სამართალწარმოებისთვის, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსაკუთრებული მოთხოვნები, ამის საფუძველზე, შესაძლებელია საქართველოს სასამართლოებში სამართალწარმოებისას, მათ შორის გაუქმებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ჩათვლით, მოთხოვნილ იქნეს დამოწმებული ქართული თარგმანის გამოყენება.

(2) მიუხედავად ამისა, გარდა გაუქმებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, მე–4 და მე–5 მუხლებით გათვალისწინებული თარგმანი უნდა ჩაითვალოს ავთენტურად, თუ ნათარგმნ ენაზე განაცხადით ან პატენტით ხდება ისეთი დაცვის მინიჭება, რომელიც უფრო ვიწროა, ვიდრე ის დაცვა, რომლის მინიჭებაც ხდება სამართალწარმოების ენაზე.

(3) ევროპული პატენტის მიღების მსურველ განმცხადებელს ან ვალიდირებული ევროპული პატეტის მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია წარმოადგინოს შესწორებული თარგმანი. გამოქვეყნებული ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის შესწორებულ

თარგმანს არ აქვს რაიმე იურიდიული ძალა, ვიდრე ის არ გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი უწყების მიერ და არ იქნება გადახდილი გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასური. ვალიდირებული ევროპული პატენტის შესწორებულ თარგმანს არ არა აქვს რაიმე იურიდიული ძალა, ვიდრე ის არ გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი უწყების მიერ და არ იქნება გადახდილი გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასური.

(4) ნებისმიერ პირს, რომელიც კეთილსინდისიერად იყენებს ან განახორციელა ქმედითი და სერიოზული მოსამზადებელი საქმიანობა განაცხადის ან გამოგონების გამოყენებისათვის, რომლის გამოყენებაც არ წარმოადგენდა პატენტზე უფლების დარღვევას თარგმანის პირვანდელ ვარიანტში, შესწორებული თარგმანის ძალაში შესვლის შემდეგ შეუძლია, გააგრძელოს ასეთი გამოყენება თავის საქმიანობაში ან მისი საჭიროებებისათვის, რაიმე საფასურის გადახდის გარეშე.

მუხლი 7. უფლებები უფრო ადრინდელ თარიღზე

(1) ევროპული საპატენტო განაცხადი, რომლისთვისაც გადახდილია ვალიდაციის საფასური და ვალიდირებული ევროპული პატენტი, ეროვნული საპატენტო განაცხადისა და ეროვნული პატენტის მიმართ უნდა მიეკუთვნოს ისეთივე ტექნიკის დონეს, როგორსაც მიეკუთვნება ეროვნული საპატენტო განაცხადი და ეროვნული პატენტი.

(2) ეროვნული საპატენტო განაცხადი და ეროვნული პატენტი ვალიდირებული ევროპული პატენტის მიმართ მიეკუთვნება ისეთივე ტექნიკის დონეს, როგორსაც მიეკუთვნება ეროვნული პატენტი.

მუხლი 8. ერთდროული დაცვის აკრძალვა

როდესაც ვალიდირებულ ევროპულ პატენტს და ეროვნულ პატენტს აქვთ ერთი და იგივე შეტანის თარიღი, ან როდესაც მოითხოვება პრიორიტეტი, ერთი და იგივე პრიორიტეტის თარიღი მინიჭებულია ერთსა და იმავე პირზე ან მის უფლებამონაცვლეზე, ეროვნულ პატენტს არ აქვს ძალა იმ შემთხვევაში, თუ ის ფარავს იმავე გამოგონებას, რომელსაც ფარავს ვალიდირებული ევროპული პატენტი, იმ თარიღიდან, როდესაც გავიდა გასაჩივრების პერიოდი ევროპული პატენტის მიმართ ისე, რომ არ იქნა შეტანილი მესამე პირის საჩივარი, ან იმ თარიღიდან, როდესაც გასაჩივრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების შედეგად მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება ევროპული პატენტის ძალაში შენარჩუნების შესახებ.

მუხლი 9. ვალიდირებული ევროპული პატენტების ძალაში შენარჩუნების საფასურები

ვალიდირებული ევროპული პატენტის ძალაში შენარჩუნების საფასურები გადაიხდება უწყებაში იმ წლებისთვის, რომლებიც მოსდევს ევროპული პატენტის გაცემის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წელს.

მუხლი 10. EPC-ს მოქმედება

EPC–ის დებულებები და მისი განხორციელების შესახებ რეგულაციები არ გამოიყენება, თუ წინამდებარე დებულებებით სხვაგვარად არა არის განსაზღვრული.

ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ

შესავალი დებულებები

მუხლი 1. კავშირის დაფუძნება

ამ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები (შემდგომში წოდებული „მონაწილე სახელმწიფოებად") მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარებისა და საპატენტო პროცედურის ჩატარების მიზნით ქმნიან კავშირს.

მუხლი 2. განსაზღვრებები ამ ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის მიზნებისათვის

(I) მითითებები „პატენტზე" გაგებულია, როგორც მითითებები გამოგონებების პატენტებზე, საავტორო მოწმობებზე, სარგებლიანობის მოწმობებზე, სასარგებლო მოდელებზე, დამატებით პატენტებზე ან მოწმობებზე, დამატებით საავტორო მოწმობებზე და დამატებით სარგებლიანობის მოწმობებზე;

(II) „მიკროორგანიზმის დეპონირება" იმ კონტექსტის თანახმად, რომელშიც ეს სიტყვები გვხვდება, ნიშნავს ამ ხელშეკრულების და ინსტრუქციის შესაბამისად განხორციელებულ შემდეგ მოქმედებებს: მიკროორგანიზმის გადაგზავნას საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოში, რომელიც იღებს და ცნობს მას, ან საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს მიერ ასეთი მიკროორგანიზმის შენახვას, ამ ორივეს აღნიშნულ გადაგზავნას და აღნიშნულ შენახვას;

(III) „საპატენტო პროცედურა" ნიშნავს საპატენტო განაცხადთან ან პატენტთან დაკავშირებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ ან იურიდიულ პროცედურას;

(IV) „გამოქვეყნება საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის" ნიშნავს საპატენტო განაცხადის ან პატენტის ოფიციალურ გამოქვეყნებას, ან ოფიციალურ გამოფენას საზოგადოების მიერ შესწავლის მიზნით;

(V) „სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელსაც შეტანილი აქვს განცხადება მე-9 (1) მუხლის შესაბამისად;

(VI) "სამრეწველო საკუთრების უწყება" ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს ორგანოს ან სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია გასცეს პატენტები;

(VII) „სადეპოზიტო დაწესებულება" ნიშნავს დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს მიკროორგანიზმების მიღებას, ცნობას და შენახვას, აგრეთვე ნიმუშებით მომარაგებას;

(VIII) „საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანო" ნიშნავს სადეპოზიტო დაწესებულებას, რომელმაც მე-7 მუხლის თანახმად მოიპოვა საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსი;

(IX) „დეპოზიტორი" ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც გადასცემს მიკროორგანიზმს საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს, რომელიც იღებს და ცნობს მას და აღნიშნული ფიზიკური ან იურიდიული პირის ნებისმიერ უფლებამონაცვლეს;

(X) „კავშირი" ნიშნავს 1-ლი მუხლით განსაზღვრულ კავშირს;

(XI) „ასამბლეა" მიშნავს მე-10 მუხლით განსაზღვრულ ასამბლეას;

(XII) „ორგანიზაცია” ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას;
(XIII) „საერთაშორისო ბიური” ნიშნავს ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს და არსებობის მანძილზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებულ საერთაშორისო ბიუროს;
(XIV) „გენერალური დირექტორი” ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს;
(XV) „ინსტრუქცია” ნიშნავს მე–12 მუხლით განსაზღვრულ ინსტრუქციას.

თავი I
დამოუკიდებელი დებულებები

მუხლი 3. მიკროორგანიზმთა დეპონირების აღიარება და მოქმედება

(1) (ა) მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის ნებას რთავენ ან მოითხოვენ მიკროორგანიზმების დეპონირებას, ასეთი მიზნებისათვის აღიარებენ მიკროორგანიზმების დეპონირებას ნებისმიერ საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოში. ასეთი აღიარება მოიცავს ამ ფაქტის და დეპონირების თარიღის აღიარებას საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად, აგრეთვე იმ ფაქტის აღიარებას, რომ ის, რაც მიწოდებულია ნიმუშის სახით არის დეპონირებული მიკროორგანიზმის ნიმუში.
(ბ) ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული დეპოზიტის მიღების საბუთის ასლი, რომელიც გაიცემა საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს მიერ.

(2) იმდენად, რამდენადაც ეს შეეხება ამ ხელშეკრულების და ინსტრუქციების მიერ რეგულირებულ საკითხებს, არც ერთ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით და ინსტრუქციით გათვალისწინებულ განსხვავებულ ან დამატებით მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მუხლი 4. ახალი დეპოზიტი

(1) (ა) როდესაც საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს ნებისმიერი მიზეზით არ შეუძლია დეპონირებული მიკროორგანიზმის ნიმუშის მიწოდება, კერძოდ;
(I) თუ ასეთი მიკროორგანიზმი აღარ არის სიცოცხლისუნარიანი, ან (II) თუ ნიმუშების მიწოდება მოითხოვს მათ საზღვარგარეთ გაგზავნას, ხოლო საზღვარგარეთ ნიმუშების გაგზავნა ან მიღება აკრძალულია საექსპორტო ან საიმპორტო შეზღუდვების გამო. ორგანო, მას შემდეგ, რაც შეიტყო მის მიერ ნიმუშების მიწოდების შეუძლებლობა, დაყოვნებლივ აცნობებს დეპოზიტორს ასეთი შეუძლებლობის შესახებ მიზეზით მითითებით და დეპოზიტორის, მე–(2) პუნქტიდან გამომდინარე და ამ პუნქტით გათვალისწინებულის შესაბამისად, პირველად დეპონირებული მიკროორგანიზმის ახალი დეპონირების უფლება აქვს.
(ბ) ახალი დეპონირება ხორციელდება საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოში, სადაც მოხდა თავდაპირველი დეპონირება, იმის გათვალისწინებით, რომ:

(I) ეს ხორციელდება სხვა საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს მიერ, თუ დაწესებულებას, სადაც განხორციელდა პირველი დეპონირება, შეუწყდა საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსი, ან მთლიანად ან იმ სახეობის მიკროორგანიზმთა მიმართ, რომელსაც ეკუთვნის დეპონირებული მიკროორგანიზმი, ან თუ საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანო, სადაც განხორციელდა პირველი დეპონირება, დროებით ან სამუდამოდ წყვეტს თავისი ფუნქციების

შესრულებას დეპონირებული მიკროორგანიზმების მიმართ;
(II) (ა) (II) ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ეს შეიძლება შესრულდეს სხვა საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს მიერ.

(გ) ნებისმიერ ახალ დეპოზიტს თან ერთვის დეპოზიტორის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელიც ასაბუთებს, რომ ხელახლა დეპონირებული მიკროორგანიზმი იგივეა რაც პირველად დეპონირებული ორგანიზმი. თუ დეპოზიტორის დასაბუთება სადავო ხდება, მტკიცების ტვირთის საკითხს არეგულირებს მოქმედი კანონი.

(დ) (ა) ქვეპუნქტიდან (გ) ქვეპუნქტამდე და (ე) ქვეპუნქტიდან გამომდინარე ახალი დეპონირება განიხილება იმგვარად თითოს იგი შესრულდა პირველი დეპონირების თარიღიდან, თუ პირველად დეპონირებული მიკროორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებული ყველა წინა განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მიკროორგანიზმი სიცოცხლისუნარიანი იყო და თუ ახალი დეპონირება განხორციელდა დეპოზიტორის მიერ (ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში.

(ე) როდესაც გამოიყენება (ბ)(I) ქვეპუნქტი და დეპოზიტორს არ მიუღია (ა) ქვეპუნქტის განსაზღვრული შეტყობინება ექვსი თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც (ბ)(I) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეწყვეტა, შეზღუდვა ან შეჩერება გამოქვეყნდა საერთაშორისო ბიუროს მიერ, (დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სამთვიანი ზღვრული ვადა აითვლება აღნიშნული გამოქვეყნების თარიღიდან.

(2) (1)(ა) პუნქტით განსაზღვრული უფლება არ იარსებებს, თუ დეპონირებული მიკროორგანიზმი გადაეცა სხვა საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს, რამდენადაც ამ ორგანოს ძალუძს ასეთი მიკროორგანიზმების ნიმუშების მიწოდება.

მუხლი 5. საექსპერტო და საიმპორტო შეზღუდვები

თითოეული მონაწილე სახელმწიფო აღიარებს, რომ ძალზე სასურველია, თუ და იმ ფარგლებით, რომლითაც განსაზღვრული სახეობების მიკროორგანიზმების ექსპორტი ან იმპორტი მის ტერიტორიაზე შეზღუდულია, ასეთი შეზღუდვა ამ ხელშეკრულების თანახმად უნდა ვრცელდებოდეს დეპონირებული ან დეპონირებისათვის გათვალისწინებულ მიკროორგანიზმებზე, მხოლოდ, როდესაც შეზღუდვა საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის და გარემოს დაცვისათვის საშიშროების თვალსაზრისით.

მუხლი 6. საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანო სტატუსი

(1) საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანო სტატუსის მისაღებად ნებისმიერი სადეპოზიტო დაწესებულება განთავსებული უნდა იყოს მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და სარგებლობდეს ამ სახელმწიფოს მიერ მიცემული გარანტიებით იმის შესახებ, რომ აღნიშნული დაწესებულება აკმაყოფილებს და მომავალში დააკმაყოფილებს მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული გარანტიები შეიძლება უზრუნველყოს სამთავრობოთაშორისო სამრეწველო საკუთრების ორგანიზაციამ; ამ შემთხვევაში სადეპოზიტო დაწესებულება განთავსებული უნდა იყოს აღნიშნული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

(2) სადეპოზიტო დაწესებულება საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს უფლებაუნარიანობის განხორციელებისათვის;

(I) უნდა არსებობდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში;

(II) როგორც ეს დადგენილია ინსტრუქციით, ამ ხელშეკრულების შესაბამისად თავისი სამეცნიერო და ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად უნდა ჰყავდეს საჭირო შტატი და ჰქონდეს საშუალებები;
(III) უნდა იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური;
(IV) დეპონირების მიზნებისათვის ნებისმიერი დეპოზიტორისათვის თანაბარი პირობებით უნდა იყოს ხელმისაწვდომი;
(V) ინსტრუქციით დადგენილის შესაბამისად ნებისმიერი ან განსაზღვრული სახეობის მიკროორგანიზმი უნდა მიიღოს დეპონირებისათვის, შეამოწმოს მათი სიცოცხლისუნარიანობა და შეინახოს ისინი;
(VI) ინსტრუქციით დადგენილის შესაბამისად დეპოზიტორისათვის უნდა გასცეს მიღების ან სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელი ნებისმიერი მოთხოვნილი საბუთი;
(VII) ინსტრუქციით დადგენილის შესაბამისად დეპონირებული მიკროორგანიზმების მიმართ უნდა დააკმაყოფილოს საიდუმლოების მოთხოვნები;
(VIII) ინსტრუქციის დადგენილი პროცედურის და პირობების თანახმად უნდა მიაწოდოს ნებისმიერი დეპონირებული მიკროორგანიზმის ნიმუშები.

(3) ინსტრუქცია ითვალისწინებს მისაღებ ზომებს:
(I) თუ საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანო დროებით ან სამუდამოდ წყვეტს თავისი ფუნქციების შესრულებას დეპონირებული მიკროორგანიზმების მიმართ ან უარს ამბობს ნებისმიერი სახეობის მიკროორგანიზმების მიღებაზე, რომლებიც მას უნდა მიეღო გაცემული გარანტიების შესაბამისად;
(II) საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოსათვის საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსის შეწყვეტის ან შეზღუდვის შემთხვევაში.

მუხლი 7. საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსის მოპოვება

(1) (ა) სადეპოზიტო დაწესებულება მოიპოვებს საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსს გენერალური დირექტორის სახელზე მონაწილე სახელმწიფოს მიერ, რომელიც ტერიტორიაზე არის განთავსებული სადეპოზიტო დაწესებულება, გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების ძალით, რაც მოიცავს გარანტიების განცხადებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული დაწესებულება აკმაყოფილებს და შემდეგში დააკმაყოფილებს მე-6(2) მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
(ბ) შეტყობინება აგრეთვე შეიცავს ინფორმაციას სადეპოზიტო დაწესებულების შესახებ ინსტრუქციით გათვალისწინებულის შესაბამისად და შეიძლება აღნიშნულ იქნეს თარიღი, რომელიც საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსი ძალაში შედის.

(2) (ა) თუ გენერალური დირექტორი ჩათვლის, რომ აღნიშნული შეტყობინება შეიცავს საჭირო განცხადებას და მთელი საჭირო ინფორმაცია მიღებულია, შეტყობინება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს მიერ.
(ბ) საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსი მოპოვებულად ითვლება შეტყობინების გამოქვეყნების თარიღიდან ან, თუ თარიღი მითითებულია (1)(ბ) პუნქტის შესაბამისად და ასეთი თარიღი შეტყობინების გამოქვეყნების თარიღზე უფრო გვიანდელია, მაშინ ამ თარიღიდან.

(3) პროცედურის დეტალები (1)-ლი და მე-(2) პუნქტების შესაბამისად გათვალისწინებულია ინსტრუქციით.

მუხლი 8. საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსის შეწყვეტა და შეზღუდვა

(1) (ა) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ან სამრეწველო საკუთრების ნებისმიერ

სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია მოსთხოვოს ასამბლეის ნებისმიერ ორგანოს შეუწყვიტოს, ან შეზღუდოს განსაზღვრული სახეობის მიკროორგანიზმებით, საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსი იმის საფუძველზე, რომ მე-6 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა ან არ კმაყოფილდება. მიუხედავად ამისა, ასეთი მოთხოვნა არ შეიძლება გაკეთდეს მონაწილე სახელმწიფოს ან სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს მიმართ, რომლისთვის მან გააკეთა მე-7(1)(ა) მუხლით განსაზღვრული განცხადება.
(ბ) (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად მოთხოვნის წარდგენამდე მონაწილე სახელმწიფო ან სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია გენერალური დირექტორის შუამავლობით ატყობინებს შეთავაზებული მოთხოვნის მიზეზებს მონაწილე სახელმწიფოს ან სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც გაგზავნა მე-7(1) მუხლში აღნიშნული შეტყობინება ისე, რომ სახელმწიფომ ან ორგანიზაციამ აღნიშნული შეტყობინებების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში შეძლოს სათანადოდ მოქმედება, რათა ნათლად წარმოაჩინოს შეთავაზებული მოთხოვნის საჭიროება.
(გ) თუ ასამბლეა ჩათვლის, რომ მოთხოვნა კარგად არის დასაბუთებული, იგი იღებს გადაწყვეტილებას შეწყვიტოს (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული ორგანოს საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსი ან შეზღუდოს განსაზღვრული სახეობის მიკროორგანიზმებით. ასამბლეის მიერ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს, რომ ხმების უმრავლესობის ორი მესამედი მოცემული იყოს მოთხოვნის სასარგებლოდ.

(2) (ა) მონაწილე სახელმწიფოს ან სამრეწველო საკუთრების ორგანიზაციას, რომელმაც წარადგინა მე-7(1)(ა) მუხლით განსაზღვრული განცხადება, გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით შეუძლია გამოითხოვოს თავისი განცხადება მთლიანად ან მხოლოდ განსაზღვრული სახის მიკროორგანიზმების მიმართ და ნებისმიერ შემთხვევაში ამას გააკეთებს მაშინ და იმ ფარგლებში, როცა მისი გარანტიები აღარ მოქმედებს.
(ბ) ასეთი შეტყობინება ინსტრუქციით გათვალისწინებული თარიღიდან, თუ ის ეხება მთელ განცხადებას, იწვევს საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსის შეწყვეტას, ან თუ ის ეხება მხოლოდ განსაზღვრული სახეობის მიკროორგანიზმებს, ასეთი სტატუსის შესაბამის შეზღუდვას.

(3) პროცედურის დეტალები (1)-ლი და მე-(2) პუნქტების შესაბამისად გათვალისწინებულია ინსტრუქციით.

მუხლი 9. სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები

(1) (ა) ნებისმიერ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც რამდენიმე სახელმწიფომ დააკისრა რეგიონალური პატენტების გაცემის ფუნქცია და რომლის წევრი ყველა სახელმწიფო არის სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო (პარიზი) კავშირის წევრი, შეუძლია გენერალურ დირექტორთან შეიტანოს განცხადება, რომ იგი ცნობს მე-3(1)(ა) მუხლით გათვალისწინებული აღიარების ვალდებულებას, ვალდებულებას, რომელიც შეეხება მე-3(2) მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ამ ხელშეკრულების და ინსტრუქციის, რომელიც გამოიყენება სამრეწველო საკუთრების ყველა სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციისათვის, დებულებების ყველა მიზანს. თუ წინა წინადადებაში აღნიშნული განცხადება შეტანილია მე-16(1) მუხლის შესაბამისად ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, მაშინ აღნიშნული განცხადება მოქმედი გახდება აღნიშნულის ძალაში შესვლის თარიღიდან. თუ აღნუშნული განცხადება შეტანილია ასეთი ძალაში შესვლის შემდეგ, მაშინ მოქმედი გახდება მისი შეტანიდან სამ თვეში, თუ განცხადებაში უფრო გვიანი თარიღი არ არის მითითებული.

უკანასკნელ შემთხვევაში განცხადება მოქმედი გახდება ამგვარად მითითებული თარიღიდან.
(ბ) აღნიშნულ ორგანიზაციას აქვს მე-3(1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული უფლება.

(2) თუ ამ ხელშეკრულების ან ინსტრუქციის ნებისმიერი დებულება, რომელიც ვრცელდება სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციაზე, გადაისინჯა ან შეიცვალა, ნებისმიერ სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია გაიტანოს (1)-ლი პუნქტით განსაზღვრული საკუთარი განცხადება გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი ხელშეკრულებით. გატანა ძალაში შედის:

(I) თუ შეტყობინება მიღებულია იმ თარიღამდე, როდესაც გადასინჯვა ან ცვლილება შევიდა ძალაში, ამ თარიღიდან;

(II) თუ შეტყობინება მიღებულია (I)-ლი ქვეპუნქტით განსაზღვრული თარიღის შემდეგ, შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან, ან ასეთი მითითების არ არსებობის შემთხვევაში შეტყობინების მიღების თარიღიდან სამ თვეში.

(3) მე-(2) პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, ნებისმიერი სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია გაიტანოს (1)(ა) პუნქტით განსაზღვრული განცხადება გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საშუალებით. გატანა ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ორ წელიწადში. ამ პუნქტის შესაბამისად გატანის შესახებ არ მიიღება არანაირი შეტყობინება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში.

(4) მე-(2) ან მე-(3) პუნქტებში აღნიშნული გატანა სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლის შეტყობინებამ მე-(7)(1) მუხლის თანახმად განაპირობა სადეპოზიტო დაწესებულების მიერ საერთაშორისო სადეპოზიტო სტატუსის მოპოვება, გამოიწვევს ასეთი სტატუსის შეწყვეტას გენერალური დირექტორის მიერ გატანის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

(5) ნებისმიერი განცხადება, რომელიც განსაზღვრულია (1)(ა) პუნქტით, გატანის შესახებ შეტყობინება, რომელიც აღნიშნულია მე-(2) ან მე-(3) პუნქტში, გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფილია მე-6(1) მუხლის მეორე წინადადებით და შედის მე-7(1)(ა) მუხლის თანახმად წარდგენილ განცხადებაში, მოთხოვნა, რომელიც გაკეთებულია მე-8(1) მუხლის შესაბამისად და გატანის შესახებ შეტყობინება, რომელიც აღნიშნულია მე-8(2) მუხლში, მოითხოვს წინასწარ სპეციალურ დამტკიცებას სამრეწველო საკუთრების იმ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციის უზენაესი მმართველი ორგანოსაგან, რომლის წევრიცაა აღნიშნული ორგანიზაციის ყველა სახელმწიფო და რომელშიც გადაწყვეტილებები მიიღება ასეთ სახელმწიფოთა მთავრობების ოფიციალური წარმომადგენლების მიერ.

თავი II
ადმინისტრაციული დებულებები

მუხლი 10. ასამბლეა

(1) (ა) ასამბლეა შედგება მონაწილე სახელმწიფოებისაგან.
(ბ) თითოეული მონაწილე სახელმწიფო წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ ალტერნატიული დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.
(გ) სამრეწველო საკუთრების თითოეული სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია ასამბლეის

და ასამბლეის მიერ დაარსებული ნებისმიერი კომიტეტის და მუშა ჯგუფის სხდომაზე წარმოდგენილია სპეციალური მეთვალყურეების მიერ.
(დ) ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის კავშირი წევრი, მაგრამ არის ორგანიზაციის ან სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო (პარიზი) კავშირის წევრი და პატენტების სფეროში სპეციალიზებული ნებისმიერი სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არ არის მე–2(V) მუხლით განსაზღვრული სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, შეიძლება წარმოდგენილი იყოს მეთვალყურეებით ასამბლეის სხდომებზე და თუ ასამბლეა გადაწყვეტს ნებისმიერი კომიტეტის ან მუშა ჯგუფის სხდომებზე.

(2) (ა) ასამბლეა
- (I) განაგებს კავშირის საქმიანობის შენარჩუნებასთან, განვითარებასა და ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- (II) იყენებს ისეთ უფლებებს და ასრულებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მისთვის მინიჭებული ან გადაცემულია ამ ხელშეკრულებით;
- (III) გენერალურ დირექტორს აძლევს გადასინჯვის კონფერენციებისათვის მზადებასთან დაკავშირებულ მითითებებს;
- (IV) იხილავს და ამტკიცებს გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას კავშირთან მიმართებით, აგრეთვე გენერალურ დირექტორს აძლევს ყველა საჭირო ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;
- (V) აარსებს ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს კავშირის მუშაობის ხელშესაწყობად;
- (VI) (1)(დ) პუნქტიდან გამომდინარე, საზღვრავს რომელი სახელმწიფო, მონაწილე სახელმწიფოს გარდა, სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციის გარდა მე–2(V) მუხლით გათვალისწინებულის შესაბამისად და რომელი საერთაშორისო და სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია დაიშვება მეთვალყურეებად და რა მოცულობით დაიშვება მეთვალყურეებად საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოები მის სხდომებზე.
- (VII) ახორციელებს ნებისმიერ შესაბამის ქმედებას კავშირის მიზნების შესრულების ხელშესაწყობად;
- (VIII) ასრულებს ნებისმიერ სხვა ფუნქციას, რომელიც მიზანშეწონილია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

(ბ) საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია აგრეთვე ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვის, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(3) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სახელმწიფო და ხმა მისცეს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს სახელით.

(4) თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს აქვს ერთი ხმა.

(5) (ა) ასამბლეის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.
(ბ) კვორუმის არ არსებობის შემთხვევაში, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები თავის საკუთარ პროცედურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, ყველა ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვორუმი და საჭირო უმრავლესობა მიიღწევა ხმის მიმოწერით მიცემის საშუალებით ინსტრუქციით გათვალისწინებულის შესაბამისად.

(6) ა) მე-8(1)(გ), მე-12(4) და მე-14(2)(ბ) მუხლებიდან გამომდინარე, ასამბლეის მიერ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს მოცემული ხმების უმრავლესობას.
(ბ) თავის შეკავება არ განიხილება ხმის მიცემად.

(7) ა) ასამბლეა იკრიბება რიგით სესიაზე ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს გენერალური დირექტორის მოწვევით, უპირატესად იგივე დროს და იგივე ადგილზე, როგორც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.
(ბ) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით, ან გენერალური დირექტორის საკუთარი ინიციატივით, ან მონაწილე სახელმწიფოების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 11. საერთაშორისო ბიურო

(1) საერთაშორისო ბიური:
- (I) ასრულებს კავშირთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს, კერძოდ ისეთ ფუნქციებს, რომლებიც ამ ხელშეკრულებით, ინსტრუქციებით ან ასამბლეის მიერ აქვს დაკისრებული;
- (II) უზრუნველყოფს გადასინჯვის კონფერენციებს, ასამბლეას, ასამბლეის მიერ დაარსებულ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს და გენერალური დირექტორის მიერ მოწვეულ სხდომებს, რომლებიც განიხილავს კავშირისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, სამდივნო მომსახურებას.

(2) გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი და წარმოადგენს კავშირს.

(3) გენერალური დირექტორი იწვევს ყველა შეხვედრას, რომელიც განიხილავს კავშირისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

(4)(ა) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ არჩეული შტატის ნებისმიერი წევრი ხმის მიცემის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის და მის მიერ დაარსებული კომიტეტებისა და მუშა ჯგუფების ყველა შეხვედრაში და გენერალური დირექტორის მიერ მოწვეულ ნებისმიერ სხვა შეხვედრაში, რომელიც განიხილავს კავშირისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

(ბ) გენერალური დირექტორი ან გენერალური დირექტორის მიერ არჩეული თანამდებობის პირი არის (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული ასამბლეის, კომიტეტების, მუშა ჯგუფების და სხვა შეხვედრების ex officio მდივანი.

(5)ა) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის ინსტრუქციების შესაბამისად ამზადებს გადასინჯვის კონფერენციებს.
(ბ) საერთაშორისო ბიუროს ამ მზადებასთან დაკავშირებით შეუძლია გამართოს კონსულტაციები სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
(გ) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ არჩეული პირები გადასინჯვის კონფერენციებზე მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში ხმის მიცემის უფლების გარეშე.
(დ) გენერალური დირექტორი, ან მის მიერ არჩეული შტატის წევრი, არის ნებისმიერი გადასინჯვის კონფერენციის ex officio მდივანი.

მუხლი 12. ინსტრუქცია

(1) ინსტრუქცია ითვალისწინებს წესებს, რომლებიც ეხება:
(I) საკითხებს, რომელთა მიმართ ეს ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებს ინსტრუქციაზე ან პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ისინი დადგენილია ან დადგენილი იქნება;
(II) ნებისმიერ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, საკითხებს ან პროცედურებს;
(III) ნებისმიერ დეტალს, რომელიც სასარგებლოა ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის.

(2) ამ ხელშეკრულებასთან ერთად მიღებული ინსტრუქცია თან ერთვის ამ ხელშეკრულებას.

(3) ასამბლეას შეუძლია ინსტრუქციის შეცვლა.

(4) (ა) (ბ) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ინსტრუქციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა საჭიროებს მოცემული ხმების ორ მესამედს.
(ბ) ნებისმიერი ცვლილების მიღება, რომელიც შეეხება საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს მიერ დეპონირებული მიკროორგანიზმების ნიმუშების მიწოდებას, მოითხოვს, რომ არცერთმა მონაწილე სახელმწიფომ შეთავაზებულ ცვლილებას არ მისცეს ხმა წინააღმდეგ.

(5) ამ ხელშეკრულების დებულებებსა და ინსტრუქციის დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების დებულებებს.

თავი III
გადასინჯვა და ცვლილებები

მუხლი 13.ხელშეკრულების გადასინჯვა

(1) ეს ხელშეკრულება შეიძლება გადაისინჯოს დროდადრო მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციების მიერ.

(2) ნებისმიერი გადასინჯვის კონფერენციის მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს ასამბლეა.

(3) მე–10 და მე–11 მუხლების შეცვლა შესაძლებელია გადასინჯვის კონფერენციის მიერ მე–14 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულების განსაზღვრული დებულებების ცვლილება

(1)(ა) მე–10 და მე–11 მუხლების შესაცვლელად წინადადება შეიძლება წამოაყენოს ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ ან გენერალურმა დირექტორმა.
(ბ) გენერალური დირექტორი ატყობინებს მონაწილე მხარეებს ასეთი წინადადებების შესახებ, მათი ასამბლეის მიერ განხილვამდე ექვსი თვით ადრე.

(2)(ა) ამ მუხლის (1)–ლ პუნქტში განსაზღვრულ ცვლილებებს იღებს ასამბლეა.
(ბ) მე–10 მუხლის ნებისმიერი ცვლილების მიღება მოითხოვს მოცემული ხმების ოთხ მეხუთედს; მე–11 მუხლის ნებისმიერი ცვლილების მიღება მოითხოვს მოცემული ხმების სამ მეოთხედს.

(3)(ა) (1)–ლ პუნქტში აღნიშნული მუხლების ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის ერთ თვეში მას შემდეგ, რაც გენერალური დირექტორი მიიღებს იმ მონაწილე სახელმწიფოების სამი მეოთხედისაგან თანხმობის შესახებ წერილობით შეტყობინებას, რაც ხორციელდება

მათი შესაბამისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, რომლებიც ასამბლეის მიერ ცვლილების მიღების დროს ასამბლეის წევრები იყვნენ.
(ბ) აღნიშნული მუხლების ამგვარად მიღებული ნებისმიერი ცვლილება სავალდებულოა ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის, რომელიც ასამბლეის მიერ ცვლილების მიღების დროს იყო მონაწილე სახელმწიფო, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოსათვის ქმნის ფინანსურ ვალდებულებას ან ზრდის ასეთ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც შეატყობინეს თავიანთი თანხმობა ასეთი ცვლილების მიღებაზე.
(გ) ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მიღებულია და ძალაში შევიდა (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც გახდება მონაწილე სახელმწიფო იმ თარიღის შემდეგ, როდესაც ცვლილებას მიიღებს ასამბლეა.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 15. ამ ხელშეკრულების მხარედ გახდომა

(1) ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო (პარიზი) კავშირის წევრია, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე:
(I) ხელმოწერით, რომელსაც მოჰყვება რატიფიკაციის სამართლებრივი აქტის დეპონირება, ან
(II) მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირებით.

(2) რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები ინახება გენერალურ დირექტორთან.

მუხლი 16. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

(1) ეს აქტი ძალაში შედის პირველი ხუთი სახელმწიფოს მიმართ, რომელთაც განახორციელეს რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირება, სამ თვეში თარიღიდან, როდესაც რატიფიკაციის ან მიერთების მეხუთე სამართლებრივი აქტი იქნა დეპონირებული.

(2) ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ ეს ხელშეკრულება ძალაში შედის სამ თვეში თარიღიდან, როდესაც ამ სახელმწიფომ განახორციელა რატიფიკაციის ან მიერთების თავის სამართლებრივი აქტის დეპონირება, თუ რატიფიკაციის ან მიერთების თავის სამართლებრივ აქტში უფრო გვიანი თარიღი არ არის მითითებული. უკანასკნელ შემთხვევაში, ეს ხელშეკრულება ამ სახელმწიფოს მიმართ ძალაში შევა ამგვარად მითითებული თარიღით.

მუხლი 17. ხელშეკრულების დენონსირება

(1) ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია ამ აქტის დენონსირება გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

(2) დენონსირება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ორი წლის შემდეგ.

(3) არცერთი მონაწილე სახელმწიფო არ სარგებლობს (1) პუნქტით გათვალისწინებული

დენონსირების უფლებით იმ თარიღიდან, როდესაც იგი გახდა ამ ხელშეკრულების მხარე, ხუთი წლის გასვლამდე.

(4) ამ ხელშეკრულების დენონსირება მონაწილე სახელმწიფოს მიერ, რომელმაც გააკეთა მე-7(1)(ა) მუხლში აღნიშნული განცხადება სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ, რომელმაც ამგვარად მიიღო საერთაშორისო სადეპოზიტო ორგანოს სტატუსი, იწვევს ასეთი სტატუსის შეწყვეტას იმ დღიდან ერთი წლის შემდეგ, როდესაც გენერალური დირექტორი მიიღებს (1)-ელ პუნქტში აღნიშნულ განცხადებას.

მუხლი 18. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და ენები

(1) (ა) ამ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწეროს ერთ პირად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი არის ერთნაირად ავთენტიკური.
(ბ) ამ ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტები დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ და ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღიდან ორ თვეში ისეთ სხვა ენებზე, რომლებზეც ხელი მოაწერეს მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების დამაარსებელ კონვენციას.
(გ) ამ ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტები დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ არაბულ, გერმანულ, იტალიურ, იაპონურ და პორტუგალიურ ენებზე და ისეთ სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება მიუთითოს ასამბლეამ.

(2) ეს ხელშეკრულება ღიაა ხელმოსაწერად ბუდაპეშტში 1977 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 19. ხელშეკრულების დეპონირება; ასლების გადაგზავნა; ხელშეკრულების რეგისტრაცია

(1) როდესაც ხელშეკრულების დედანი ხელმოსაწერად აღარ იქნება ღია, იგი ინახება გენერალურ დირექტორთან.

(2) გენერალური დირექტორი უგზავნის ამ ხელშეკრულების და ინსტრუქციის მის მიერ დამოწმებულ ორ ასლს მე-15(1) მუხლში აღნიშნული ყველა სახელმწიფოს მთავრობებს, რომელთაც მე-9(1)(ა) მუხლის შესაბამისად შეუძლიათ განცხადების შეტანა და მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს.

(3) გენერალურ დირექტორს შეუძლია ხელშეკრულების რეგისტრირება გაერთიანებული ერების სამდივნოში.

(4) გენერალური დირექტორი უგზავნის ამ ხელშეკრულების და ინსტრუქციის ნებისმიერი ცვლილების მის მიერ დამოწმებულ ორ ასლს ყველა მონაწილე სახელმწიფოს, ყველა სამრეწველო საკუთრების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას და მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მთავრობას და ნებისმიერ სხვა სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია შეიტანოს განცხადება მე-9(1)(ა) მუხლის შესაბამისად.

მუხლი 20. შეტყობინება

გენერალური დირექტორი ატყობინებს მონაწილე სახელმწიფოებს, სამრეწველო საკუთრების სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები, მაგრამ არიან სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო (პარიზი) კავშირის წევრები:

(I) ხელმოწერების შესახებ მე-18 მუხლის შესაბამისად;
(II) რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირების შესახებ მე-15(2) მუხლის შესაბამისად;
(III) მე-9(1)(ა) მუხლის შესაბამისად შეტანილი განცხადებების და მე-9(2) ან (3) მუხლის შესაბამისად გატანის შეტყობინების შესახებ;
(IV) ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ მე-16(1) მუხლის შესაბამისად;
(V) შეტყობინების შესახებ მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად და გადაწყვეტილებების შესახებ მე-8 მუხლის შესაბამისად;
(VI) ამ ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების მიღების შესახებ მე-14(3) მუხლის შესაბამისად;
(VII) ინსტრუქციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
(VIII) ხელშეკრულებაში ან ინსტრუქციაში შეტანილი ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
(IX) მე-17 მუხლის შესაბამისად მიღებული დენონსირებების შესახებ.

მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია

მიღებულია 1961 წლის 2 დეკემბერს, გადასინჯული ჟენევაში 1972 წლის 10 ნოემბერს, 1978 წლის 23 ოქტომბერს და 1991 წლის 19 მარტს

თავი I: განსაზღვრებები მუხლი 1.განსაზღვრებები

თავი II: ხელშემკვრელ მხარეთა ზოგადი ვალდებულებები
მუხლი 2: ხელშემკვრელ მხარეთა ძირითადი ვალდებულებები
მუხლი 3: დაცვას დაქვემდებარებული გვარები და სახეობები
მუხლი 4: ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმი

თავი III: სელექციონერის უფლებების მინიჭების პირობები
მუხლი 5: დაცვის პირობები
მუხლი 6: სიახლე
მუხლი 7: განსხვავება
მუხლი 8: ერთგვაროვნება
მუხლი 9: სტაბილურობა

თავი IV: განაცხადი სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის
მუხლი 10: განაცხადის წარდგენა
მუხლი11: პრიორიტეტის უფლება
მუხლი 12: განაცხადის ექსპერტიზა
მუხლი 13: დროებითი დაცვა

თავი V: სელექციონერის უფლებები
მუხლი 14: სელექციონერის უფლების მოცულობა
მუხლი 15: გამონაკლისი სელექციონერის უფლებებიდან
მუხლი 16: სელექციონერის უფლების ამოწურვა
მუხლი 17: სელექციონერის უფლების განხორციელების შეზღუდვა
მუხლი 18: კომერციის მოწესრიგების ზომები
მუხლი 19: სელექციონერის უფლების ხანგრძლივობა

თავიVI: ჯიშის დასახელება
მუხლი 20: ჯიშის დასახელება

თავი VII: სელექციონერის უფლების გაბათილება და გაუქმება
მუხლი 21: სელექციონერის უფლების გაბათილება
მუხლი 22: სელექციონერის უფლების გაუქმება

თავი VIII: კავშირი
მუხლი 23: წევრები
მუხლი 24: უფლებრივი სტატუსი და ადგილმდებარეობა
მუხლი 25: ორგანოები
მუხლი 26: საბჭო
მუხლი 27: კავშირის ბიურო
მუხლი 28: ენები
მუხლი 29: ფინანსები

თავი IX: კონვენციის მოქმედების უზრუნველყოფა: სხვა შეთანხმებები
მუხლი 30: კონვენციის მოქმედების უზრუნველყოფა

მუხლი 31: ურთიერთობები ხელშემკვრელ მხარეთა და ადრინდელი აქტებით შებოჭილ სახელმწიფოთა შორის
მუხლი 32: სპეციალური შეთანხმებები
თავი X:დასკვნითი დებულებები
მუხლი 33: ხელმოწერა
მუხლი 34: რატიფიკაცია, მიღება ან მოწონება; მიერთება
მუხლი 35: დათქმები
მუხლი 36: შეტყობინება, დაკავშირებული კანონმდებლობასთან და დასაცავ გვარებსა და სახეობებთან; გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია
მუხლი 37: ძალის შეძენა, ადრინდელი აქტების დახურულად გამოცხადება მუხლი 38: კონვენციის გადასინჯვა
მუხლი 39: დენონსირება
მუხლი 40: არსებული უფლებების შენარჩუნება
მუხლი 41: კონვენციის დედანი და ოფიციალური ტექსტები
მუხლი 42: დეპოზიტარის ფუნქციები

თავი I
განსაზღვრებები

მუხლი 1. განსაზღვრებები
მოცემული აქტის მიზნებისათვის:

(i) „ეს კონვენცია" ნიშნავს მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციის წინამდებარე (1991) აქტს;

(ii) „1961/1972 წწ. აქტი „ნიშნავს: 1961 წლის 2 დეკემბრის მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციას, 1972 წლის 10 ნოემბერის დამატებითი აქტით შეტანილი ცვლილებების მიხედვით;

(iii) „1978 წლის აქტი „ნიშნავს მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციის 1978 წლის 23 ოქტომბრის აქტს;

(iv) „სელექციონერი ნიშნავს":
- პირს, რომელმაც გამოიყვანა, გამოავლინა ან გააუმჯობესა ჯიში;
- ზემოთ აღნიშნული პირის სამუშაოს მიმცემს, ან დავალების გამცემს, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია შესაბამისი მხარის კანონმდებლობით, ან
- პირველი ან მეორე პირის უფლებამონაცვლეს, შემთხვევის მიხედვით.

(v) „სელექციონერის უფლება" ნიშნავს მოცემული კონვენციით გათვალისწინებულ სელექციონერის უფლებას;

(vi) „ჯიში" ნიშნავს მცენარეთა ჯგუფს, ცნობილი ბოტანიკური ტაქსონის უდაბლესი საფეხურის ფარგლებში, რომელიც მიუხედავად იმისა აკმაყოფილებს, თუ არა სრულად სელექციონერის უფლების მინიჭების პირობებს, შესაძლებელია, განისაზღვროს მოცემული გენოტიპით ან გენოტიპთა კომბინაციით განპირობებულ მახასიათებელთა გამომჟღავნებით;
- განსხვავებული იქნეს ნებისმიერი სხვა მცენარეთა ჯგუფების ან, მითითებულ განპირობებულ მახასიათებლებიდან სულ მცირე ერთის გამჟღავნებით, მაინც და განხილულ იქნეს მთლიანად მისი, უცვლელად კვლავ წარმოებისათვის გამოდგომის თვალსაზრისით;

(vii) ხელშემკვრელი მხარე ნიშნავს მოცემული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციას;
(viii) "ტერიტორია" ხელშემკვრელ მხარესთან დაკავშირებით ნიშნავს თუ ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოა – ამ სახელმწიფოს ტერიტორიას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა – ტერიტორიას, რომელზეც გამოიყენება, ამ სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის დამაარსებელი ხელშეკრულება;
(ix) „უფლებამოსილი ორგანო" ნიშნავს ორგანოს, მითითებულს 30 (1) (ii) მუხლით;
(x) „კავშირი" ნიშნავს მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის კავშირს, დაარსებულს 1961 წლის აქტით და შემდგომ მოხსენიებულს 1072 წლის აქტით, 1978 წლის აქტით და მოცემული კონვენციით;
(xi) „კავშირის წევრი" ნიშნავს 1961/1972 წწ. ან 1978 წ. აქტის მონაწილე სახელმწიფოს, ან ხელშემკვრელ მხარეს.

თავი II
ხელშემკვრელ მხარეთა ზოგადი ვალდებულებები

მუხლი 2. ხელშემკვრელ მხარეთა ზოგადი ვალდებულებები
ყოველი ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს და იცავს სელექციონერის უფლებებს.

მუხლი 3.დაცვას დაქვემდებარებული გვარები და სახეობები
(1) [ქვეყნები, რომლებიც უკვე არიან კავშირის წევრები] ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რომელზეც ვრცელდება 1961/1972 წწ. ან 1978 წ. აქტი, იყენებს ამ კონვენციის დებულებებს;
(i) იმ თარიღიდან, რომლიდანაც მას ეკისრება ვალდებულებები ამ კონვენციით, ყველა იმ გვარსა და სახეობასთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც აღნიშნული თარიღისათვის იგი იყენებს 1961/1972 წწ. აქტის ან 1978 წ. აქტის დებულებებს, და
(ii) მოცემული თარიღიდან არა უგვიანეს ხუთი წლის გასვლის შემდეგ მცენარეთა ყველა გვარისა და სახეობის მიმართ;

(2) [კავშირის ახალი წევრები] ყოველი ხელშემკვრელი მხარე, რომელსაც არ აკისრია 1961/1972 წწ. ან 1978 წ.აქტებიდან გამომდინარე ვალდებულებები, იყენებს ამ კონვენციის დებულებებს:
(i) თარიღიდან, როცა მან იკისრა ამ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებები, არანაკლებ 15 გვარისა ან სახეობის მიმართ, და
(ii) მოცემული თარიღიდან 10 წლის გასვლის შემდეგ მცენარეთა ყველა გვარისა და სახეობის მიმართ.

მუხლი 4. ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმი
(1) [რეჟიმი] ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებების ხელშეუხებლად, სელექციონერთა უფლებების მინიჭებასა და დაცვასთან დაკავშირებით, ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები, აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებსაც აქვთ საცხოვრებელი ადგილი, და იურიდიული პირები, რომლებსაც ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე აქვთ რეგისტრირებული სამსახური, ყოველი სხვა მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ იმავე რეჟიმით, რომელიც მინიჭებული აქვს ან შეიძლება მიანიჭოს შემდგომი კანონმდებლობით ყოველმა ასეთმა ხელშემკვრელმა

მხარემ საკუთარ მოქალაქეებს,იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული მოქალაქეები, ფიზიკური პირები ან იურიდიული პირები დააკმაყოფილებენ პირობებსა და ფორმალობებს, რომლებიც დადგენილია აღნიშნული სხვა ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით საკუთარი მოქალაქეებისათვის.

(2) [„მოქალაქეები"] წინა პუნქტის მიზნებისათვის „მოქალაქეები" ნიშნავს, თუ ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოა – ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს, ხოლო თუ ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა, ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს.

თავი III
სელექციონერის უფლების მინიჭების პირობები

მუხლი 5. დაცვის პირობები

(1) [კრიტერიუმები] სელექციონერს უფლება ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ჯიში
(i) ახალია,
(ii) განსხვავებულია
(iii) ერთგვაროვანია და
(iv) სტაბილურია

(2) [სხვა პირობები] სელექციონერის უფლების მინიჭება არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სხვა დამატებით ან განსხვავებულ პირობებზე, თუ ჯიში აღნიშნულია დასახელებით მე-20 მუხლის დებულების შესაბამისად, განმცხადებელი დააკმაყოფილებს ფორმალობებს, რომლებიც გათვალისწინებულია იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის უფლებამოსილ ორგანოშიც იყო წარმოდგენილი განაცხადი და თუ იგი გადაიხდის დადგენილ საფასურებს.

მუხლი 6. სიახლე

(1) [კრიტერიუმები] ჯიში მიიჩნევა ახლად, თუ სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის განაცხადის შეტანის დღისათვის, ამ ჯიშის სათესლე ან მცენარეული მასალა ჯიშის გამოყენების მიზნით არ გაყიდულა, ან არ გადაცემულა სხვა გზით სხვა პირებზე სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით;

(i) ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სადაც წარდგენილი იყო განაცხადი ამ თარიღამდე ერთი წლით ადრე, და
(ii) სხვა ტერიტოიაზე, გარდა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიისა, სადაც იყო წარდგენილი განაცხადი, ოთხი წლით ადრე, ხე-მცენარეებთან და ვაზთან დაკავშირებით – მითითებულ ვადაზე ექვსი წლით ადრე.

(2) [ახლად გამოყვანილი ჯიშები] იმ შემთხვევაში, როცა ხელშემკვრელი მხარე იყენებს მოცემულ კონვენციას გვარებსა და სახეობებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც არ იყენებდა ამ კონვენციას ან ადრინდელ აქტს, მას შეუძლია განიხილოს
ახლად გამოყვანილი ჯიშის, რომელიც დაცვის გავრცელების ვადისათვის უკვე არსებობდა, სიახლის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად, რომლის განმარტებაც მოცემულია 1-ლი პუნქტით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ პუნქტით აღწერილი გაყიდვა ან სხვა პირზე გადაცემა მოხდა ამ პუნქტით დადგენილ ვადაზე ადრე.

(3) [„ტერიტორია" ცალკეული შემთხვევისათვის] 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის, ყველა ხელშემკვრელ მხარეს, რომლებიც არიან ერთი და იმავე სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის წევრები, შეუძლიათ იმოქმედონ ერთობლივად, თუ ამას მოითხოვს აღნიშნული ორგანიზაციის წესები, რათა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები გაუთანაბრდეს ქმედებებს, განხორციელებულს საკუთარ ტერიტორიაზე, და თუ ისინი ასე იმოქმედებენ, მაშინ უნდა გაუგზავნონ გენერალურ მდივანს შესაბამისი შეტყობინება.

მუხლი 7. განსხვავება

ჯიში ითვლება განსხვავებულად, თუ იგი ნათლად განირჩევა ნებისმიერი სხვა ჯიშისაგან, რომლის არსებობაც განაცხადის შეტანის დღისათვის საყოველთაოდ ცნობილია, კერძოდ, განაცხადის წარდგენა სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის ან სხვა ჯიშის, ჯიშების ოფიციალურ რეესტრში შეტანა, ნებისმიერ ქვეყანაში ჯიშს ხდის საყოველთაოდ ცნობილად განაცხადის შეტანის დღიდან, იმ პირობით, თუ განაცხადის შეტანის შედეგად მინიჭებულია სელექციონერის უფლება ან ჯიში შეტანილია ჯიშების ოფიციალურ რეესტრში.

მუხლი 8. ერთგვაროვნება

ჯიში ითვლება ერთგვაროვნად, თუ მცენარის ჯიში, მისი გამრავლების თავისებურებებიდან გამომდინარე საკმარისად ერთნაირია ძირითადი ნიშნებით.

მუხლი 9. სტაბილურობა

ჯიში ითვლება სტაბილურად, თუ მისი ძირითადი ნიშნები რჩება უცვლელი განმერებითი გამრავლების შემდეგ ან, გამრავლების განსაკუთრებული ციკლის შემთხვევაში, ყოველი ასეთი ციკლის შემდეგ

თავი IV
განაცხადი სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის

მუხლი 10. განაცხადის წარდგენა

(1)[პირველი განაცხადის წარდგენის ადგილი] სელექციონერს შეუძლია აირჩიოს ხელშემკვრელი მხარე, რომლის უფლებამოსილ ორგანოშიც მას სურს წარადგინოს თავისი პირველი განაცხადი სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის.

(2)[მომდევნო განაცხადის წარდგენის დრო] სელექციონერს შეუძლია მიმართოს სხვა ხელშემკვრელ მხარეთა უფლებამოსილ ორგანოებს სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის ისე, რომ არ დაუცადოს სელექციონერის უფლების მინიჭებას იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, სადაც პირველი განაცხადი წარადგინა.

(3)[დაცვის დამოუკიდებლობა] არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ აქვს უფლება უარი თქვას სელექციონერის უფლების მინიჭებაზე, ან შეზღუდოს მისი მოქმედების ხანგრძლივობა იმის საფუძველზე, რომ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში ან სახელმწიფოთა შორის ორგანიზაციაში იმავე ჯიშზე არ იყო მოთხოვნილი დაცვა, უარი ეთქვა, ან მისი მოქმედება ამოიწურა.

მუხლი 11. პრიორიტეტის უფლება

(1) [უფლება, მისი ვადა] ნებისმიერი სელექციონერი, რომელმაც წარადგინა განაცხადი ჯიშის დაცვაზე დადგენილი წესით ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარესთან („პირველი განაცხადი"), სარგებლობს პრიორიტეტის უფლებით თორმეტი თვის განმავლობაში განაცხადის წარსადგენად ამავე ჯიშზე სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი მხარის უფლებამოსილ ორგანოში („მომდევნო განაცხადი"), ეს ვადა აითვლება პირველი განაცხადის წარდგენის თარიღიდან. განაცხადის წარდგენის დღე მითითებულ ვადაში არ ჩაითვლება.

(2)[პრიორიტეტის უფლების მოთხოვნა] იმისათვის, რომ ისარგებლოს პრიორიტეტის უფლებით, სელექციონერი მომდევნო განაცხადით მოითხოვს პირველი განაცხადის პრიორიტეტს.უფლებამოსილ ორგანოს, რომელშიც იყო წარდგენილი მომდევნო განაცხადი, შეუძლია მოითხოვოს, რომ მომდევნო განაცხადის წარდგენის დღიდან არანაკლებ სამი თვის ვადაში სელექციონერმა წარადგინოს საბუთები, რომლებიც წარმოადგენს პირველი განაცხადის ასლს, დამოწმებულს იმ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელშიც იყო წარდგენილი ეს განაცხადი და ნიმუშები ან სხვა მტკიცებულებები იმისა, რომ მოცემული ჯიში, რომელიც ორივე განაცხადის საგანს წარმოადგენს, არის ერთი და იგივე.

(3) [საბუთები და მასალა] სელექციონერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ორი წლის განმავლობაში პრიორიტეტის ვადის ამოწურვის შემდეგ, ან თუ პირველი განაცხადი უარყოფილი ან უკან გამოთხოვილია, შესაბამისი დრო ამგვარი უარყოფის ან უკან გამოთხოვის შემდეგ, რათა ხელშემკვრელი მხარის უფლებამოსილ ორგანოს, სადაც მიწოდებული იყო მომდევნო განაცხადი, წარუდგინოს ექსპერტიზის მიზნებისათვის მე-12 მუხლის თანახმად ნებისმიერი აუცილებელი ინფორმაცია, საბუთი ან მასალა, რომელიც მოითხოვება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით.

(4) [ფაქტორები, რომლებიც მოხდა პრიორიტეტის ვადის განმავლობაში] ისეთი ფაქტები, როგორიც არის სხვა განაცხადის წარდგენა, ან გამოქვეყნება, ან იმ ჯიშის გამოყენება, რომელიც პირველი განაცხადის საგანს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში თუ ხდება 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, არ უნდა წარმოადგენდეს მომდევნო განაცხადის უარყოფის საფუძველს. ასეთმა ფაქტებმა, აგრეთვე არ უნდა წარმოქმნან უფლება ნებისმიერი მესამე პირისათვის.

მუხლი 12. განაცხადის ექსპერტიზა

სელექციონერის უფლების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისობის ექსპერტიზას. ექსპერტიზის დროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გამოიყვანოს ჯიში ან ჩაატაროს სხვა საჭირო გამოცდები, ხელი შეუწყოს მცენარეთა ჯიშის მოყვანას ან სხვა აუცილებელი გამოცდების ჩატარებას, ან გაითვალისწინოს უკვე ჩატარებული გამოცდის შედეგები ექსპერტიზის მიზნებისათვის. უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს სელექციონერისაგან ყველა აუცილებელი ინფორმაციის, დოკუმენტების ან მასალის წარმოდგენა.

მუხლი 13. დროებითი დაცვა

სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის განაცხადის წარდგენიდან ან გამოქვეყნებიდან ასეთი უფლების მინიჭებამდე დროის განმავლობაში ყოველი ხელშემკვრელი მხარე იღებს ზომებს სელექციონერის ინტერესების დასაცავად.

თავი V
სელექციონერის უფლებები

მუხლი 14. სელექციონერის უფლების ფარგლები

(1) [ქმედებები, სათესლე მასალასთან დაკავშირებით] (ა) სელექციონერის ნებართვას, მე-15 და მე-16 მუხლების მიხედვით დაცული ჯიშების სათესლე მასალასთან დაკავშირებით, საჭიროებს შემდეგი ქმედებები:

(i) წარმოება ან კვლავწარმოება (გამრავლება);

(ii) კონდიციამდე დაყვანა გამრავლების მიზნებისათვის;

(iii) გასაყიდად შეთავაზება;

(iv) გაყიდვა ან სხვა სახის კომერციულ მიმოქცევაში ჩართვა;

(v) ექსპორტი;

(vi) იმპორტი;

(vii) შენახვა ზემოთ მოცემული (i)-დან (vi) ქვეპუნქტებით მითითებული მიზნებით.

(ბ) სელექციონერს შეუძლია ნებართვა შემოფარგლოს გარკვეული პირობებითა და შეზღუდვებით.

(2) [ქმედებები აღებული მოსავლის მცენარეულ მასალასთან დაკავშირებით] მე-15-ე და მე-16-ე მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, პუნქტი (1)(ა) (i)-(vii) ქვეპუნქტებით ქმედებები აღებული მოსავლის მცენარეულ მასალასთან დაკავშირებით, მთელი მცენარისა და მისი ნაწილების ჩათვლით, მიღებული დაცული ჯიშის სათესლე მასალის უნებართვოდ გამოყენების შედეგად, საჭიროებს სელექციონერის ნებართვას, თუ სელექციონერს არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა ესარგებლა თავისი უფლებით მითითებულ სათესლე მასალასთან დაკავშირებით.

(3) [ქმედებები ზოგიერთი პროდუქტის მიმართ] მე-15-ე და მე-16-ე მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ყოველ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ ქმედებები, მითითებული (1)-(ა) პუნქტების (i)-(vii) ქვეპუნქტებით იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც დამზადებულია უშუალოდ დაცული ჯიშის მოსავლიდან აღებული მცენარეული მასალისაგან და აღებული მოსავლის მცენარეული მასალის უნებართვო გამოყენების გამო ექვემდებარება მე-2 პუნქტის დებულებებს, საჭიროებს სელექციონერის ნებართვას, თუ მას არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა ესარგებლა თავისი უფლებით აღებული მოსავლის მცენარეულ მასალასთან დაკავშირებით.

(4) [სხვა შესაძლო ქმედებები] მე-15-ე, მე-16-ე მუხლების დებულებების გათვალისწინებით, ყოველ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ ქმედებები, რომლებიც განსხვავდება იმისაგან, რაც მითითებულია (1)- ა) პუნქტების (i)-(vii) ქვეპუნქტებით, ასევე სელექციონერის ნებართვას საჭიროებს.

(5) [არსებითად წარმოებული და ზოგიერთი სხვა ჯიშები] (ა) დებულებები მოცემული (1)-(4) პუნქტებით გამოიყენება აგრეთვე:

(i) ჯიშების მიმართ, რომლებიც არსებითად წარმოებულია დაცემული ჯიშისაგან, თუ ეს დაცული ჯიში თვით არ წარმოადგენს, არსებითად წარმოებულ ჯიშს.
(ii) ჯიშების მიმართ, რომლებიც თვალნათლივ არ განსხვავდება დაცული ჯიშებისაგან მე–7 მუხლის შესაბამისად, და
(iii) ჯიშების მიმართ, რომელთა წარმოება მოითხოვს დაცული ჯიშის განმეორებით გამოყენებას.

(ბ) (ა)(i) ქვეპუნქტის მიზნებისათვის ჯიში ჩაითვლება არსებითად წარმოებულად სხვა ჯიშისაგან („საწყისი ჯიშისაგან"), თუ იგი:
(i) უპირატესად წარმოებულია საწყისი ჯიშისაგან ან სხვა ჯიშისაგან, რომელიც თვით არის წარმოებული საწყისი ჯიშისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ინარჩუნებს ძირითადი ნიშნების გამოვლენის ხარისხს, რომელიც საწყისი ჯიშის გენოტიპის ან გენოტიპების კომბინაციის შედეგია,
(ii) ნათლად განსხვავდება საწყისი ჯიშისაგან და
(iii) საწყის ჯიშს შეესაბამება ძირითადი ნიშნების გამოვლენით, რომელიც საწყისი ჯიშის გენოტიპის ან გენოტიპების კომბინაციის რეალიზაციის შედეგია, იმ განსხვავებათა გამოკლებით, რომლებიც წარმოებული ჯიშის მიღების შედეგია.

(გ) არსებითად წარმოებული ჯიში შეიძლება მიღებული იქნეს, მაგალითად, ბუნებრივი ან ინდივიდუალური მუტანტის ან თვითკლონური ვარიანტის სელექციით, მცენარის ინდივიდუალური ვარიანტის გამორჩევით საწყისი ჯიშის მცენარისაგან, უკუშეჯვარებით, ან გენური ინჟინერიით გარდაქმნის გზით.

მუხლი 15. გამონაკლისი სელექციონერის უფლებიდან

(1) [სავალდებულო გამონაკლისი] სელექციონერის უფლება არ ვრცელდება:
(i) პირადი მოხმარების და არაკომერციული მიზნით განხორციელებულ ქმედებებზე;
(ii) ექსპერიმენტული მიზნით განხორციელებულ ქმედებებზე;
(iii) სხვა ჯიშების შექმნის მიზნით განხორციელებულ ქმედებებზე იმ ქმედების გამორიცხვით, როცა გამოიყენება მე–14(5) მუხლის დებულებები, აგრეთვე, ქმედებებზე, რომლებიც მითითებულია 14(1) –(4) მუხლში განხორციელებული სხვა ასეთი ჯიშების მიმართ

(2) [არასავალდებულო გამონაკლისი] მე–14 მუხლის გათვალისწინების გარეშე ყოველ ხელშემკვრელ მხარეს, გონივრულ ფარგლებში და სელექციონერის კანონიერი უფლებების შენარჩუნებით, შეუძლია შეზღუდოს სელექციონერის უფლება ნებისმიერი ჯიშის მიმართ, რათა ნება დართოს ფერმერებს საკუთარი მიწის ნაკვეთებზე გამრავლების მიზნით გამოიყენონ მცენარეული მასალა მიღებული მათ მიერ საკუთარი მიწის ნაკვეთებზე დაცული ჯიშის დარგვის შედეგად, ან ჯიშისა, რომელზედაც ვრცელდება მე–14(5) (ა)(i) ან (ii) მუხლის დებულებები.

მუხლი 16. სელექციონერის უფლების ამოწურვა

(1) [უფლების ამოწურვა] სელექციონერის უფლება არ ვრცელდება ქმედებებზე, რომლებიც ეხება დაცული ჯიშის ან მე–14 (5) მუხლის დებულებათა არეში მოქცეული ჯიშის ნებისმიერ მასალას, რომელიც გაიყიდა ან სხვაგვარად იქნა შეტანილი კომერციულ ბრუნვაში სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით სხვა პირის მიერ მოცემული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ან ნებისმიერ მასალას, რომელიც მიღებულია აღნიშნული მასალისაგან, თუ ასეთი ქმედებები არ არის დაკავშირებული:
(i) მოცემული ჯიშის შემდგომ გამრავლებასთან ან

(ii) ჯიშის მცენარეული მასალის გატანასთან, რომელიც შესაძლებლობას ქმნის გამრავლდეს ჯიში, ქვეყანაში სადაც მოცემული ბოტანიკური გვარის ან სახეობის დაცვა არ ხდება, მოხმარების მიზნით გატანის გარდა.

(2) [ტერმინის „მასალა" მნიშვნელობა] (1)-ლი პუნქტის მიზნებისათვის ტერმინი „მასალა" ჯიშთან დაკავშირებით ნიშნავს:

(i) ნებისმიერი სახის გასამრავლებელ მასალას;

(ii) აღებულ მასალას, მთლიანი მცენარის და მისი ნაწილების ჩათვლით, და

(iii) ნებისმიერ პროდუქტს, მიღებულს უშუალოდ აღებული მასალისაგან.

(3) [ტერმინი „ტერიტორია" მნიშვნელობა ზოგიერთ შემთხვევაში] 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის ყველა ხელშემკვრელ მხარეს, რომლებიც ერთი და იმავე სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციის წევრები არიან, შესაძლებლობა აქვთ თუ ამას ითვალისწინებს ამ ორგანიზაციის წესდება, თავიანთი მოქმედებები განახორციელონ ერთობლივად ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე განხორციელებულ ქმედებათა იმ ქმედებებთან გათანაბრებისათვის, რომლებიც განხორციელდა მათ საკუთარ ტერიტორიებზე და ამის შესახებ ატყობინებენ გენერალურ მდივანს.

მუხლი 17. სელექციონერის უფლების გამოყენების შეზღუდვა

(1) [საჯარო ინტერესები] თუ ამ კონვენციით სპეციალურად გათვალისწინებული არ არის, არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია შეზღუდოს სელექციონერის უფლების თავისუფალი გამოყენება საჯარო ინტერესებისაგან განსხვავებული სხვა საფუძვლებით.

(2) [სამართლიანი ანაზღაურება] როდესაც ნებისმიერი ასეთი შეზღუდვის შედეგი მესამე პირისათვის იმ უფლებამოსილების მიცემაა, რომ მან განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომლისთვისაც მოითხოვება სელექციონერის ნებართვა, შესაბამისი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სელექციონერის მიერ სამართლიანი ანაზღაურების მიღება.

მუხლი 18. კომერციის მარეგულირებელი ზომები

სელექციონერის უფლება თავისუფალია ხელშემკვრელი მხარი მიერ მის ტერიტორიაზე ჯიშის მასალის წარმოების, სერტიფიკაციისა და მარკეტინგის ან ასეთი მასალის იმპორტის ან ექსპორტის ნებისმიერი მარეგულირებელი ზომის გატარებისაგან. ყველა შემთხვევაში, ასეთმა ზომებმა არ უნდა მოახდინოს გავლენა ამ კონვენციის დებულებების გამოყენებაზე.

მუხლი19. სელექციონერის უფლების ხანგრძლივობა

(1) [დაცვის ხანგრძლივობა] სელექციონერის უფლება ენიჭება დადგენილი ხანგრძლივობით.

(2) [მინიმალური ხანგრძლივობა] მითითებული დაცვის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 20 წლისა სელექციონერის უფლების მინიჭების თარიღიდან. ხემცენარეებისა და ვაზისათვის აღნიშნული ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 25 წლისა მითითებული თარიღიდან.

თავი VI
ჯიშის დასახელება

მუხლი 20. ჯიშის დასახელება

(ა) [ჯიშის აღნიშვნა დასახელებით, დასახელების გამოყენება]
(ა) ჯიში აღნიშნული უნდა იყოს დასახელებით, რომელიც არის მისი გვარის აღნიშვნა.
(ბ) ყოველი ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს, რომ მე-(4) პუნქტის გათვალისწინებითაღნიშვნის, ჯიშის დასახელებად რეგისტრაციისშედეგად წარმოშობილმა არავითარმა უფლებებმა არ შეუშალოს ხელი ამ დასახელების ჯიშთან დაკავშირებით თავისუფალ გამოყენებას, სელექციონერისუფლებისვადის ამოწურვის შემდეგაც კი.

(2) [დასახელების დახასიათება]დასახელება უნდა ძლეოდეს ჯიშის იდენტიფიკაციის საშუალებას. იგი არ შეიძლება შედგებოდესმხოლოდ ციფრებისაგან, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა ეს შეესაბამება ჯიშის სახელის მინიჭების მიღებულ პრაქტიკას. იგი არ უნდა იწვევდეს შეცდომას ან აღრევას მოცემული ჯიშის მახასიათებლების, ჯიშის მნიშვნელობის ან სელექციონერის იდენტურობასთან დაკავშირებით. კერძოდ იგი უნდა განსხვავდებოდეს ნებისმიერი სხვა დასახელებისაგან, რომლითაც ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე აღნიშნულია იგივე მცენარის სახეობის არსებული ჯიში ან ახლოს მდგომი სახეობა.

(3) [დასახელების რეგისტრაცია] ჯიშის დასახელებას კომპეტენტურ ორგანოს სთავაზობს სელექციონერი. თუ აღმოჩნდება, რომ ამგვარი დასახელება მე-(2) პუნქტის მოთხოვნებს არ პასუხობს, მაშინ მითითებული ორგანო უარს აცხადებს მის რეგისტრაციაზე და ითხოვს, რომ სელექციონერმა მიაწოდოს დადგენილი ვადის განმავლობაში სხვა დასახელება. ჯიშის დასახელება რეგისტრირდება კომპეტენტური სელექციონერისათვის უფლების მინიჭებასთან ერთად. ორგანოსმიერ

(4) [მესამე პირთა ადრინდელი უფლებები] მესამე პირთა ადრინდელი უფლებები არ უნდა შეიბღალოს, თუ ადრე შეძენილი უფლების გამო რომელიმე ჯიშის დასახელების გამოყენება პირისათვის აკრძალულია, რომელიც (7) პუნქტის დებულებათა შესაბამისად ვალდებულია გამოიყენოს იგი, მაშინ კომპეტენტური ორგანო ითხოვს, რომ სელექციონერმა წარადგინოს ჯიშისათვის ახალი დასახელება.

(5) [დასახელების ერთიანობა ყველა ხელშემკვრელი მხარისათვის]ჯიში ყველა ხელშემკვრელ მხარეს უნდა წარედგინოს ერთი და იმავე დასახელებით. ყოველი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანო ამგვარად შემოთავაზებულ დასახელებას არეგიტსტრირებს, თუ იგი არ ჩათვლის, რომ მის ტერიტორიაზე ასეთი დასახელება მიუღებელია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან სელექციონერისაგან უნდა მოითხოვოს სხვა დასახელების წარდგენა.

(6) [ინფორმაცია ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტურ ორგანოთა შორის]ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების ინფორმირება ჯიშების დასახელებათა შესახებ, კერძოდ დასახელებათა წარდგენის, რეგისტრაციისა და შეცვლის შესახებ. ნებისმიერ კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია გაგზავნოს შენიშვნა, თუ აქვს, დასახელების რეგისტრაციის შესახებ იმ ორგანიზაციაში, რომელმაც შეატყობინა მას ამ დასახელების თაობაზე.

(7) [დასახელების გამოყენების ვალდებულება] რომელიმე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიაზე დაცული ჯიშის სათესლე მასალის გასაყიდად შემოთავაზებული ან გამყიდველი ნებისმიერი პირი ვალდებულია გამოიყენოს ამ ჯიშის დასახელება ამ ჯიშზე

სელექციონერის უფლების ვადის ამოწურვის შემდეგაც კი, თუ მე-(4) პუნქტის დებულებათა შესაბამისად ადრე შეძენილი უფლებები არ ეწინააღმდეგება ამგვარ გამოყენებას.

(8) [დასახელებასთან ერთად გამოყენებული აღნიშვნები] თუ ჯიში შეთავაზებულია გასაყიდად ან იყიდება, ნებადართულია სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდების ან სხვა ამგვარი აღნიშვნის ჯიშის რეგისტრირებულ დასახელებასთან ერთად გამოიყენება. თუ ასეთი აღნიშნვა შეესაბამება მითითებულს, მაშინ ჯიშის დასახელება, მიუხედავად შესაბამისობისა, იოლად ამოსაცნობი უნდა იყოს.

თავი VII
სელექციონების უფლების გაბათილება და გაუქმება

მუხლი 21. სელექციონერის უფლების ბათილად ცნობა

(1) [სელექციონერის უფლების გაბათილების საფუძვლები] ყოველი ხელშემკვრელი მხარე მის მიერ მინიჭებული სელექციონერის უფლებას აცხადებს ბათილად, თუ დადგინდება, რომ:

(i) სელექციონერის უფლების მინიჭების დროს არ იყო დაკმაყოფილებული მე-6 და მე- 7 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

(ii) სელექციონერის უფლება მინიჭებული იყო ძირითადად სელექციონერის მიერ წარდგენილი ინფორმციისა და დოკუმენტების საფუძველზე, ხოლო მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები სელექციონერის უფლების მინიჭების დროს არ იყო დაცული, ან

(iii) სელექციონერის უფლება მინიჭებული ჰქონდა პირს, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა, თუ ეს უფლება გადაეცა პირს, რომელიც ამის შედეგად გახდა უფლებამოსილი.

(2) [სხვა საფუძვლების გამორიცხვა] სელექციონერის უფლებათაგან არც ერთი უფლება არ შეიძლება გამოცხადდეს ბათილად საფუძვლებით, რომლებიც განსხვავდება 1-ლი პუნქტით მითითებულისაგან.

მუხლი 22. სელექციონერის უფლების გაუქმება

(1) [სელექციონერის უფლების გაუქმების საფუძვლები] (ა) ყოველ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გააუქმოს მის მიერ მინიჭებული სელექციონერის უფლება, თუ დადგინდება, რომ მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები აღარ კმაყოფილდება.

(ბ) გარდა ამისა, ყოველ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გააუქმოს მის მიერ მინიჭებული სელქციონერის უფლება, თუ კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით და დადგენილ ვადაში:

(i) სელექციონერი არ წარუდგენს ამ კომპეტენტურ ორგანოს ცნობებს, საბუთებს ან მასალას, რომლებიც ითვლება აუცილებლად ჯიშის შენარჩუნების შემოწმებისათვის;

(ii) სელექციონერმა არ გადაიხადა საფასურები, რომლის გადახდაც ხდება მისი უფლების მოქმედების შენარჩუნებისათვის, ან

(iii) იმ შემთხვევაში, როცა ჯიშის დასახელება უქმდება სელექციონერის უფლების მინიჭების შემდეგ, ხოლო სელექციონერმა არ წარადგინა სხვა შესაფერისი დასახელება.

(3) [სხვა ნებისმიერი საფუძვლის გამორიცხვა] სელექციონერის უფლებათაგან არც ერთი უფლება არ შეიძლება გაუქმდეს საფუძვლებით, რომლებიც განსხვავდება (1)-ლი პუნქტით მითითებულისაგან.

თავი VIII
კავშირი

მუხლი 23. წევრები
ხელშემკვრელი მხარეები კავშირის წევრები არიან.

მუხლი 24. სამართლებრივი სტატუსი და ადგილმდებარეობა
(1) [იურიდიული პირი]კავშირი არის იურიდიული პირი.

(2) [უფლებაუნარიანობა] ყოველი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე კავშირი სარგებლობს, მითითებულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ისეთი უფლებაუნარიანობით, რომელიც აუცილებელია კავშირის ამოცანების განხორციელებისა და მისი ფუნქციების შესასრულებლად.

(3) [ადგილმდებარეობა] კავშირის ადგილმდებარეობა და მისი მუდმივი ორგანოები არის ჟენევაში.

(4) [შეთანხმება შტაბ-ბინის შესახებ] შტაბ-ბინის შესახებ კავშირს აქვს შეთანხმება შვეიცარიის კონფედერაციასათან.

მუხლი 25. ორგანოები
კავშირის მუდმივი ორგანოებია საბჭო და კავშირის ბიურო.

მუხლი 26. საბჭო
(1) [შემადგენლობა] საბჭო შედგება კავშირის წევრთა წარმომადგენლებისაგან. კავშირის ყოველი წევრი ნიშნავს ერთ წარმომადგენელს და ერთ მის შემცვლელს. წარმომადგენლებს ან შემცვლელებს შეუძლიათ ჰყავდეთ თანაშემწეები ან მრჩევლები.

(2) [თანამდებობის პირები] საბჭო ირჩევს პრეზიდენტს და პირველ ვიცეპრეზიდენტს თავის წევრთაგან. მას შეუძლია აირჩიოს ვიცე-პრეზიდენტები. პირველი ვიცე-პრეზიდენტი ცვლის პრეზიდენტს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტს არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს თავისი ფუნქციები. პრეზიდენტს ირჩევენ სამწლიანი ვადით.

(3) [სესიები]საბჭოს სესიებს იწვევს მისი პრეზიდენტი. საბჭოს მორიგი სესიები ტარდება ყოველწლიურად. ამის გარდა პრეზიდენტს შეუძლია მოიწვიოს საბჭო თავისი შეხედულებისამებრ, იგი საბჭოს იწვევს სამი თვის ვადაში, თუ ამას მოითხოვს საბჭოს წევრთა ერთი მესამედი.

(4) [დამკვირვებლები] სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები შეიძლება მოწვეული იქნენ საბჭოს სხდომაზე დამკვირვებლად. ამგვარ სხდომებზე შეიძლება მოწვეულნი იქნენ აგრეთვე სხვა დამკვირვებლები და ექსპერტები.

(5) [საბჭოს ამოცანები] საბჭოს ამოცანებს შეადგენს:
- (i) კავშირის ინტერესების უზრუნველსაყოფად შესაფერისი ღონისძიებების შესწავლა და მისი განვითარების ხელშეწყობა;
- (ii) მისი პროცედურული წესების მიღება;

(iii) გენერალური მდივნის, და თუ საბჭო საჭიროდ ჩათვლის გენერალური მდივნის მოადგილის დანიშვნა, და მათი დანიშვნის პირობების განსაზღვრა;
(iv) საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და მისი შემდგომი მუშაობის პროგრამის მიღება;
(v) გენერალური მდივნისათვის საბჭოს ამოცანების შესასრულებლად ყველა აუცილებელი მითითების მიცემა;
(vi) საბჭოს ადმინისტრაციული და საფინანსო წესების დადგენა;
(vii) კავშირის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება, აგრეთვე საბჭოს ყოველი წევრისათვის შენატანების ოდენობის დადგენა;
(viii) გენერალური მდივნის მიერ წარდგენილი საფინანსო ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;
(ix) კონფერენციების ჩატარების თარიღისა და ადგილის დადგენა, რომლებიც მითითებულია 38-ე მუხლით და მათი მომზადებისათვის აუცილებელი ზომების მიღება; და
(x) ზოგადი კავშირის ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად ყველა აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება.

(6)[ხმების რაოდენობა] (ა) კავშირის ყოველ წევრს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, საბჭოში აქვს ერთი ხმა.
(ბ) ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, შეუძლია ისარგებლოს უფლებით მისცეს ხმა კავშირის წევრი სახელმწიფოების სახელით. ასეთი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, თუ ხმას აძლევს თავად მისი წევრი სახელმწიფო და პირიქით.

(7)[უმრავლესობა] საბჭოს გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უბრალო უმრავლესობით, ამასთან საბჭოს გადაწყვეტილებას, მიღებულს მე-5 (II), (VI) და (VII) პუნქტების საფუძველზე, აგრეთვე 28(3)-ე,29(5)-ე და 38(1)-ე მუხლების საფუძველზე, იღებენ ხმათა სამი მეოთხედით, თავშეკავება ხმად არ ჩაითვლება.

მუხლი 27. კავშირის ბიურო

(1)[ბიუროს ამოცანები და ხელმძღვანელობა] კავშირის ბიურო ასრულებს საბჭოს მიერ დასახულ მოვალეობებსა და ამოცანებს. ბიუროს ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური მდივანი.

(2)[გენერალური მდივნის მოვალეობები] გენერალური მდივანი პასუხს აგებს საბჭოს წინაშე; იგი პასუხისმგებელია საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. იგი საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტს დასამტკიცებლად და უზრუნველყოფს მის შესრულებას, ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე თავისი მუშაობის შესახებ და წარადგენს მოხსენებას თავისი მოღვაწეობისა და კავშირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

(3)[თანამშრომლები] 26(5)(iii)-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, თანამშრომლების დანიშვნისა და დაქირავების პირობები, რომელიც აუცილებელია კავშირის ბიუროს ამოცანების ეფექტიანი განხორციელებისათვის, განისაზღვრება ადმინისტრაციული და ფინანსური წესებით.

მუხლი 28. ენები

(1) [ბიუროს სამუშაო ენები] კავშირის ბიურო თავისი მოვალეობების შესრულებისათვის იყენებს ინგლისურ, გერმანულ და ესპანურ ენებს.

(2) [ზოგიერთ სხდომებზე გამოყენებული ენები] საბჭოს სხდომები და გადასინჯვის კონფერენციები მიმდინარეობს მითითებულ ოთხ ენაზე.

(3) [სხვა ენები] საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხვა ენების გამოყენების შესახებ.

მუხლი 29. ფინანსები

(1) [შემოსავლები]კავშირის დანახარჯები იფარება:
   (i) კავშირის წევრი ქვეყნების ყოველწლიური შენატანებით;
   (ii) გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული გადასახადებით;
   (iii) სხვადასხვა შემოსავლებით;

(2) [შენატანები: წილები] (ა) კავშირის ყოველი წევრი ქვეყნის წილი ყოველწლიური შენატანის საერთო ჯამში განისაზღვრება ხარჯების საერთო ჯამის გათვალისწინებით, რომელიც იფარება კავშირის წევრი ქვეყნების შენატანების ხარჯზე, და ერთეული შენატანთა ოდენობით მოცემული ქვეყნის მიმართ გამოყენებული მე-(3) პუნქტის მიხედვით. მითითებული წილი იანგარიშება მე-(4) პუნქტის მიხედვით.
(ბ) ერთეულ შენატანთა ოდენობა გამოიხატება მთელი ან წილადი რიცხვებით, იმ პირობით, რომ არც ერთი წილადი არ იქნება ერთ მეხუთედზე ნაკლები.

(3) [შენატანები: ყოველი წევრის წილი] (ა) კავშირის ნებისმიერი წევრის შესაბამისი ერთეული შენატანის ოდენობა, რომელიც 1961/1972 წ.წ. ან 1978 წლის აქტის მონაწილეა, იმ თარიღისათვის, რომლიდანაც იგი შებოჭილია ამ კონვენციით რჩება იგივე, რა ერთეული შენატანითაც შეესაბამებოდა მას უშუალოდ მითითებულ თარიღამდე.
(ბ) ნებისმიერი კავშირის სხვა წევრისახელმწიფო, კავშირთან მიერთებისას, გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ განცხადებაში მიუთითებს მისთვის მისაღებ ერთეული შენატანის ოდენობას.
(გ) კავშირის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ განცხადებაში, შეუძლია ნებისიმიერ დროს მიუთითოს ერთეული შენატანის ოდენობა, რომელიც (ა) და (ბ) ქვეპუნქტების თანახმად მისთვის შესაბამისისაგან განსხვავდება. ასეთი განცხადება, თუ იგი შეტანილია კალენდარული წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, ძალას იძენს მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ძალას იძენს მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომლის განმავლობაშიც იყო შეტანილი განცხადება.

(4) [შენატანები: წლის გაანგარიშება] (ა) ყოველი საბიუჯეტო პერიოდისათვის ერთეული შენატანის ოდენობა განისაზღვრება იმგვარად, რომ დანახარჯების საერთო ჯამი, რომელიც იხარჯება კავშირის წევრი სახელმწიფოების შენატანებით, იყოფა ერთეული შენატანების ოდენობაზე, რომელიც შეესაბამება კავშირის მოცემულ წევრ სახელმწიფოებს.
(ბ) კავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოს შენატანის ოდენობა განისაზღვრება იმგვარად, რომ ერთი ერთეული შენატანის ჯამი მრავლდება ერთეული შენატანების ოდენობაზე, რომელიც შეესაბამება კავშირის ამ წევრ სახელმწიფოს.

(5)[შენატანების გადახდის დავალიანება] (ა) წევრი სახელმწიფო, რომელსაც აქვს შენატანის გადახდის დავალიანება (ბ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბჭოში არ შეიძლება სარგებლობდეს ხმის უფლებით, თუ მისი დავალიანების ოდენობა ტოლია ან აღემატება ამ ქვეყნის მიერ გადასახდელი წინა სრული წლის შენატანის ოდენობას. ხმის მიცემის უფლების დროებით შეჩერება არ ათავისუფლებს კავშირის ასეთ წევრ სახელმწიფოს მისი ვალდებულებისაგან მოცემული კონვენციის შესაბამისად და არ ართმევს მისგან გამომდინარე სხვა რომელიმე უფლებას.

(ბ) საბჭოს შეუძლია ნება დართოს კავშირის მოცემულ წევრ სახელმწიფოს ისარგებლოს ხმის უფლებით, თუ და იმ პირობით, რომ იგი შეძლებს დაამტკიცოს საბჭოსათვის მისაღები ფორმით, რომ გადახდის შეჩერება გამოწვეულია განსაკუთრებული და გაუთვალისწინებელი ვითარებებით.

(6)[ანგარიშის შემოწმება] კავშირის ანგარიშების შემოწმებას ადმინისტრაციული და საფინანსო წესების შესაბამისად ახორციელებს კავშირის ერთი რომელიმე წევრი სახელმწიფო. კავშირის ასეთი წევრი სახელმწიფო ინიშნება, მისი თანხმობით, საბჭოს მიერ.

(7)[სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების შენატანები] ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციაა, არ არის ვალდებული გადაიხადოს შენატანები. თუ, ამის მიუხედავად იგი საჭიროდ ჩათვლის შენატანების გადახდას, მის მიმართ გამოიყენება (1)-ლი – მე-(4) პუნქტების დებულებები.

თავი IX

კონვენციის გამოყენება: სხვა შეთანხმებები

მუხლი 30. კონვენციის გამოყენება

(1) [ზომები გამოყენებისათვის] ყოველი ხელშემკვრელი მხარე იღებს ყველა აუცილებელ ზომას კონვენციის გამოყენებისათვის, კერძოდ:

(i) ითვალისწინებს შესაბამის სამართლებრივ საშუალებებს, სელექციონერის უფლების ეფექტიანი დაცვისათვის;

(ii) აქვს კომპეტენტური ორგანო, რომელსაც ავალებს სელექციონერის უფლების მინიჭებას ან ამ ამოცანას ავალებს სხვა ხელშემკვრელ მხარის კომპეტენტურ ორგანოს;

(iii) უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას ინფორმაციის პერიოდულად გამოქვეყნების გზით, რომელიც დაკავშირებულია:
- განაცხადთან, სელექციონერის უფლების მინიჭებასთან და
- შემოთავაზებულ და მოწონებულ დასახელებებთან.

(2) [კანონმდებლობათა შესაბამისობა] ნავარაუდევია, რომ ყოველ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციას, რატიფიკაციის შესახებ თავისი დოკუმენტაციის შესანახად ჩაბარების მომენტისათვის, მიღების,მოწონების ან მიერთების, კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად, უნდა შეეძლოს თავის კანონმდებლობის მიხედვით მოცემული კონვენციის დებულებათა განხორციელება.

მუხლი 31. ურთიერთობა ხელშემკვრელ მხარეთა შორის და სახელმწიფოები შეზღუდულნი ადრინდელი აქტებით

(1) [მოცემული კონვენციით შეზღუდულნი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა] კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, რომლებიც შეზღუდულნი არიან მოცემული კონვენციით და ნებისმიერი ადრინდელი აქტით, გამოიყენება მხოლოდ ამ კონვენციის დებულებები.

(2) [შესაძლო ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის, რომლებიც შეზღუდულნი არ არიან ამ კონვენციით] კავშირის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, რომელიც შეზღუდული არ არის ამ კონვენციით, შეტყობინებაში, რომელსაც უგზავნის გენერალურ მდივანს, შეუძლია განაცხადოს, რომ კავშირის იმ ყოველ წევრთან თავის ურთიერთობაში, რომლებიც შეზღუდული არიან მხოლოდ მოცემული კონვენციით, იგი გამოიყენებს უკანასკნელ აქტს, რომლითაც იგი არის შეზღუდული. ასეთი შეტყობინებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ კავშირის წევრ სახელმწიფოს, რომელმაც ასეთი შეტყობინება გაგზავნა, მხოლოდ იმ კონვენციით შეზღუდული თითოეული წევრის მიმართ შეუძლია უკანასკნელი აქტი გამოიყენოს, სანამ თავად გახდება კონვენციით შეზღუდული მაშინ, როდესაც კონვენციით შეზღუდულ წევრებს მის მიმართ შეუძლიათ ამ კონვენციის გამოყენება.

მუხლი 32. სპეციალური შეთანხმებები

კავშირის წევრები იტოვებენ უფლებას ერთმანეთთან დადონ სპეციალური შეთანხმებები მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ, თუ ასეთი შეთანხმებები არ ეწინააღმდეგება მოცემული კონვენციის დებულებებს.

თავი X
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 33. ხელმოწერა

მოცემული კონვენცია ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოს ხელმოწერისათვის, რომელიც კავშირის წევრია მიღების თარიღისათვის. იგი ღიაა ხელმოწერისათვის 1992 წლის 31 მარტამდე.

მუხლი 34. რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება, მიერთება

(1) [სახელმწიფოები და ზოგიერთი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები] (ა) მოცემული მუხლის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს მოცემული კონვენციის მონაწილე.

(ბ) მოცემული მუხლის დებულებათა შესაბამისად ნებისმიერ სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციას შეუძლია გახდეს ამ კონვენციის მონაწილე, თუ მას:

(i) აქვს კომპეტენცია საკითხებში, რომლებიც წესრიგდება მოცემული კონვენციით;

(ii) აქვს თავისი საკუთარი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს სელექციონერის უფლების მინიჭებას და დაცვას, სავალდებულოს მის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოებისათვის, და

(iii) მისი შინაგანი პროცედურების თანახმად ჯეროვნად უფლებამოსილია მიუერთდეს მოცემულ კონვენციას.

(2) [მიერთების დოკუმენტი] ნებისმიერი ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა მოცემულ კონვენციას, ხდება მისი მონაწილე ამ კონვენციასთან მიმართებაში სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების გზით. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელმაც ხელი არ მოაწერა მოცემულ კონვენციას და ნებისმიერი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია ხდება მოცემული კონვენციის მონაწილე, მოცემულ კონვენციასთან მიერთების აქტის შესანახად ჩაბარების გზით. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების ან დამატების შესახებ საბუთები, ან მიერთების შესახებ აქტები შესანახად ბარდება გენერალურ მდივანს.

(3)[საბჭოს დასკვნა] ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ არის კავშირის წევრი და ნებისმიერი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, ვიდრე მიერთების აქტს შესანახად ჩააბარებს, დასკვნის მისაღებად თხოვნით მიმართავს საბჭოს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება მისი ეროვნული კანონმდებლობა მოცემული კონვენციის დებულებებს. თუ საბჭოს დასკვნა დადებითია, შესაძლებელია მიერთების აქტის შესანახად ჩაბარება.

მუხლი35. დათქმები

(1)[პრინციპი] მე-(2) პუნქტის გათვალისწინებით მოცემულ კონვენციასთან დაკავშირებით დათქმები არ დაიშვება.

(2)[შესაძლო გამონაკლისი] (ა) მე-3 (1) მუხლის გათვალისწინების გარეშე, ნებისმიერი სახელმწიფო, როცა იგი ხდება ამ კონვენციის მონაწილე, შეზღუდულია 1978 წლის აქტის დებულებებით და რომელიც ვეგეტაციურად გასამრავლებელ ჯიშებთან დაკავშირებით ითვალისწინებს სელექციონერის უფლებით დაცვას კი არა, არამედ სხვა სახის დამცავი დოკუმენტით სამრეწველო საკუთრების სფეროში, უფლება აქვს გააგრძელოს ასეთი დაცვის განხორციელება, ისე, რომ მოცემული კონვენცია არ გამოიყენოს ასეთი ჯიშების მიმართ.

(ბ) ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ამ უფლებას გამოიყენებს, სარატიფიკაციო სიგელის მიღების, დამტკიცების დოკუმენტის, ან მიერთების აქტის შესანახად ჩაბარების დროს, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად, ამის შესახებ ატყობინებს გენერალურ მდივანს. ასეთ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს უკან გაითხოვოს მითითებული შეტყობინება.

მუხლი 36. შეტყობინება, რომელიც ეხება კანონმდებლობას და დასაცავ გვარებსა და სახეობებს;

ინფორმაციის გამოქვეყნება

(1) [პირველადი შეტყობინება] სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის, ან მოცემულ კონვენციასთან მიერთების აქტის შესანახად ჩაბარების დროს, ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყანა ან სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია გენერალურ მდივანს ატყობინებს:

(i) თავისი კანონმდებლობის შესახებ, რომელიც აწესრიგებს სელექციონერის უფლებებს, და

(ii) გვარებისა და სახეობების ჩამონათვალის შესახებ, რომელთა მიმართაც იმ თარიღიდან, როცა სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია შეზღუდული იქნება მოცემული კონვენციით და რომ იგი გამოიყენებს მოცემული კონვენციის დებულებებს.

(2) [შეტყობინება ცვლილებების შესახებ] ყოველი ხელშემკვრელი მხარე გენერალურ მდივანს შეუფერხებლად ატყობინებს შემდეგს:

(i) თავისი კანონმდებლობის ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც აწესრიგებს სელექციონერთა უფლებებს, და
(ii) მოცემული კონვენციის დამატებით გვარებისა და სახეობების მიმართ გამოყენების ნებისმიერი გაფართოების შესახებ.

(3) [ინფორმაციის გამოქვეყნება] ყოველი დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარის შეტყობინების საფუძველზე გენერალური მდივანი აქვეყნებს ინფორმაციას:

(i) კანონმდებლობის შესახებ, რომელიც აწესრიგებს სელექციონერთა უფლებებს და ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, რომელიც შეტანილი იქნა აღნიშნულ კანონმდებლობაში, და
(ii) მცენარეთა გვარებისა და სახეობების ჩამონათვალის, მითითებული (1) (ii) პუნქტის და ნებისმიერი გაფართოების შესახებ, მითითებული (2) (ii) პუნქტით.

მუხლი 37. ამოქმედება; ადრინდელ აქტებთან მიერთების შეუძლებლობა

(1) [საწყისი ამოქმედება] მოცემული კონვენცია ამოქმედდება იმის შემდეგ, რაც ხუთი ქვეყანა თავიანთ სარატიფიკაციო სიგელებს, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტებს ან მიუერთებს აქტებს, შემთხვევის მიხედვით, ჩააბარებს შესანახად, იმ პირობით, რომ მითითებული დოკუმენტებიდან სამი მაინც შესანახად ჩააბარეს 1961/1972 წწ. და 1978წ. აქტის მონაწილე წევრ-სახელმწიფოებმა.

(2) [შემდგომი ამოქმედება] იმ ქვეყანასთან ან სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომლებზეც არ ვრცელდება (1)-ლი პუნქტის დებულება, მოცემული კონვენცია ამოქმედდება სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან დამტკიცების ან მიერთების აქტის, შემთხვევის მიხედვით, შესანახად ჩაბარებიდან ერთი თვის თავზე.

(3) [1978 წ. აქტთან მიერთების შეუძლებლობა] (1)-ლი პუნქტის შესაბამისად მოცემული კონვენციის ამოქმედების შემდეგ არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია შეუერთდეს 1978 წლის აქტს, იმ ქვეყნების გამოკლებით, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიერ, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ითვლებიან განვითარებად ქვეყნებად, და რომლებთაც ამგვარი დოკუმენტის ჩაბარება შეუძლიათ 1995 წ. 31 დეკემბრამდე. აგრეთვე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს შეუძლია ჩააბაროს ასეთი დოკუმენტი 1993 წლის 31 დეკემბრამდე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემული კონვენცია ამოქმედდა ამ თარიღამდე.

მუხლი 38. კონვენციის გადასინჯვა

(1) [კონფერენცია] მოცემული კონვენცია შეიძლება გადაისინჯოს კავშირის წევრების კონფერენციის მიერ. ასეთი კონფერენციის მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

(2) [კვორუმი და უმრავლესობა] კონფერენციის მუშაობის შედეგები ჩაითვლება ნამდვილად, იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრებოდა კავშირის წევრი ქვეყნების ნახევარი მაინც. კონვენციის ნებისმიერი გადასინჯული ტექსტის მისაღებად აუცილებელია კავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობის სამ მეოთხედზე მეტი იმათგან, ვინც კონფერენციას ესწრებოდა და იღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

მუხლი 39. კონვენციის დენონსაცია

(1) [შეტყობინებები] ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოცემული კონვენციის დენონსირება გენერალური მდივნის შეტყობინების გზით. გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ

აცნობებს კავშირის ყველა წევრს ამგვარი შეტყობინების მიღების შესახებ.

(2) [ადრინდელი აქტები] კონვენციის დენონსირების შეტყობინება განიხილება აგრეთვე ნებისმიერი ადრინდელი აქტის დენონსირებად, რომლითაც შეზღუდულია მოცემული კონვენციის დენონსირების შესახებ მაუწყებელი ხელშემკვრელი მხარე.

(3) [ძალაში შესვლის თარიღი] დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მოცემული კონვენციის დენონსირების შესახებ შეტყობინების მიღების მომდევნო კალენდარული წლის ბოლოს.

(4) [შეძენილი უფლებები] დენონსირება არ ეხება სელექციონერის უფლებებს, რომლებიც შეძენილია მოცემული კონვენციის ან რომელიმე ადრინდელი აქტების ძალით, ასეთი დენონსირების ამოქმედებამდე.

მუხლი 40. მოქმედი უფლებების შენარჩუნება

მოცემული კონვენცია არ ზღუდავს სელექციონერის უფლებებს, შეძენილს ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით ან ადრინდელი აქტებითან კონვენციისაგან განსხვავებული შეთანხმებებით, რომლებიც დადებულია კავშირის წევრებს შორის.

მუხლი 41. კონვენციის დედანი და ოფიციალური ტექსტები

(1) [დედანი] მოცემული კონვენციის ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. სხვადასხვა ენებზე შედგენილი ტექსტების შეუთანხმებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს. დედანი შესანახად ბარდება გენერალურ მდივანს.

(2) [ოფიციალური ტექსტები] ოფიციალური ტექსტები მიიღება გენერალური მდივნის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ არაბულ, ჰოლანდიურ, იტალიურ, ესპანურ და იაპონურ ენებზე, რომელსაც განსაზღვრავს საბჭო.

მუხლი 42. დეპოზიტარის ფუნქციები

(1) [ასლების გადაცემა] გენერალური მდივანი დადგენილი წესით გადასცემს მოცემული კონვენციის დამოწმებულ ასლებს ყველა სახელმწიფოს და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ მოცემული კონვენციის მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე, აგრეთვე, მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციასთან.

(2) [რეგისტრაცია] გენერალური მდივანი ახორციელებს მოცემული კონვენციის რეგისტრაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კრებული

შედგენილია

საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის

2025 წლის პროგრამით განსაზღვრულ მასალებზე დაყრდნობით

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533
info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge